მიხეილ ნანეიშვილი

წერილები

მიხეილ ნახეიშვილი

II

წერილები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით

მიხეილ ნანეიშვილის თხზულებათა წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ცნობილი ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის ძირითადი, ადრე დაბეჭდილი თუ საარქივო, აქამდე გამოუქვეყნებელი ნაშრომები, რომელთაც წარუვალი ზოგადკულტურული, მეცნიერულ-ფილოსოფიური და პოლიტიკური ღირებულება გააჩნია. ისინი დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, რომელიც დარღვეულია რუბრიკაში, – „წერილები ლიტერატურაზე“, რაც ავტორის მთავარი, აქ წარმოდგენილი შრომების ერთიანად გამჭოლი იდეის ხაზგასმას ემსახურება.

წიგნი საგულისხმო საჩუქარია მოაზრე, განათლებული, გემოვნებიანი ქართველი მკითხველისთვის.

შემდგენელ-რედაქტორი გურამ კუტალაძე

კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

© მ. ნანეიშვილი, 2024

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-778-9



წინათქმა

ქართველ ერს, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ჰყოლია მესვეურნი და მოჭირნახულენი, დიდნი პიროვნებანი, რომელნიც თავიანთი ცხოვრებითა და ღვაწლით გამოხატავდნენ და ასახიერებდნენ ერის კულტურულ-ისტორიულ სუვერენულობას, მის „უმაღლეს კულტურულ ცნობიერებას“. თანამედროვე საქართველოს ასეთ შემოქმედთა და მოამაგეთა შორის ერთ-ერთი უპირველესი არის მიხეილ ნანეიშვილი, რომელიც „უფილოსოფოსობით“ და განუსჯელობით დასნებოვნებულ თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო გამონაკლისს წარმოადგენდა მაღალი ფილოსოფიური განსწავლულობით, ეროვნული და მსოფლიო ისტორიის და კულტურის ზედმიწევნითი ცოდნით; მის მძლავრ, არაორდინალურ, ანალიტიკურ გონს იშვიათი „პოეტური“ ინტუიციაც ამკობდა, მეტადრე ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსისთვის საჭირო და აუცილებელი.

ეროვნული მოძრაობის ხანაში, როცა ქართველობა ის-ის იყო სწავლობდა საკუთარ არსებობაში ჩაბუდებული „რუსობის“ დაძლევას, თავისი სუვერენული თავის მოპოვებას და დაუფლებას, მის მართვას საკუთარივე სუვერენული ნებით, მიხეილ ნანეიშვილი გამოუჩნდა მოაზრე-თეორეტიკოსადაც და კულტურტრეგერული მისიის მტვირთველ პოლიტიკურ მოსაქმედაც. ის მისთვის ნიშნეული შეუვალი პრინციპულობით და პასუხისმგებლობით უჩვენებდა მის თანამედროვეთ სწავლის, ფიქრის, აზროვნების, ზნეობის გზას;

მიხეილ ნანეიშვილის პიროვნება, მთელი მისი არსება, სულიერი და გონითი ნება ერთი, მისი ცხოვრების ერთიანად გამჭოლი იდეით იყო შთაგონებული – ეროვნული და პიროვნულ-ინდივიდუალური თავისუფლების იდეით. ეს იდეა, როგორც უმაღლესი ადამიანური ღირებულება, განმსაზღვრელი მისი პროფესიული არჩევანის, თეორიულ-შემოქმედებით თუ პრაქტიკულ-პოლიტიკური ღვწის, თითქოს, პროვინდენციულად დაემკვიდრა მის არსებაში და მშობელი „სოფელ“-ქვეყნისთვის „ზრუნვა“ დაუსახა უმთავრეს საწუთისოფლო მისიად; მამულიშვილობა იყო მიხეილ ნანეიშვილის ბედისწერა, ამას მისი ბიოგრაფიის ყოველი ეპიზოდი აცხადებს;

მოვუსმინოთ თვითონ მას:

„დავიბადე 1934 წლის 12 ივლისს, თბილისში. მამა – ალექსანდრე ნანეიშვილი, იურისტი (ცივილისტი), დედა – აგრაფინა (გრუშა) კალანდაძე, მეან-გინეკოლოგი. გავიზარდე უმამოდ (მამა 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა), დედის და ბებიის, დედის მხრიდან, ხელში.

დედაჩემის მამა, მიხეილ (მიხაკო) კალანდაძე, ცნობილი სოციალ-დემოკრატი იყო, ეკუთვნოდა ამ პარტიის ე.წ. ეროვნულ ფრთას, ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, მის მიერ გამოცემულია დავით კლდიაშვილის თხზულებათა პირველი კრებული. ჩვენს ოჯახში ინახება მწერლის ფოტოსურათი, მის მიერ ბაბუაჩემისთვის, რომელთანაც მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ნაჩუქარი. პროფესიით სტამბის მუშა, მიხაკო კალანდაძე, როგორც მსმენია, პატივისცემით სარგებლობდა მაშინდელ ქართულ ინტელიგენციაში, რომლის ბევრ წარმომადგენელთან მას აკავშირებდა, გარდა პირადისა, საქმიანი ურთიერთობაც (სხვათა შორის, შემონახულია მისი წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, რომლისთვისაც მას გაუგზავია რაღაც ისტორიული საბუთი). ცხოვრების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბოლშევიკების პერიოდში, ციხეში გაატარა. იყო ბოლშევიკების, რომ იტყვიან, დაუძინებელი მტერი, რასაც არც მალავდა. ფილიპე მახარაძეს მისთვის შემოუთვლია, მიხაკო, მოგვეშვი, დაგინიშნავთ პენსიას, როგორც ძველ რევოლუციონერს, ჩვენთან ბრძოლით ვერაფერს გააწყობო; რაზეც მიხაკოს უპასუხია, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ მტრად მიგულეთო. თავისებური ადამიანი ყოფილა. თავის საუკეთესო კოსტუმს ციხისთვის ინახავდა, ქართველი საზოგადოების რჩეული ნაწილი იქ არისო. ბოლო პატიმრობიდან (ლენინგრადში პეტრე-პავლეს საპყრობილეში, – ასე მახსოვს) სასიკვდილოდ დაავადებული, რამდენადაც ვიცი, სტალინის განკარგულებით, ვისთანაც დედაჩემი ჩასულა ბაბუას საქმეზე, გათავისუფლებულ იქნა (...საშიში აღარ არისო) და რამდენიმე თვეში სახლში გარდაიცვალა (1932წ.). ჩვენს ოჯახში ხშირად იხსენებდნენ მისი ცხოვრების დევიზად ქცეულ სიტყვებს „ერის გათავისუფლება“. მიხაკო კალანდაძე მოხსენიებულია ვალიკო ჩუბინიძის მოგონებებში 1924 წლის აჯანყების შესახებ. დედა იგონებდა, მაშინდელი საუკეთესო ექიმები თავს ეხვეოდნენ (დამახასიათებელი ფაქტი), მაგრამ ვერაფერი გააწყვესო.

მამაჩემი, ალექსანდრე ნანეიშვილი აგრეთვე სოციალ-დემოკრატი იყო, თანაც (ფსიქოლოგიურად საინტერესო ფაქტი) ღრმად მორწმუნე. ისიც ამ პარტიის „ეროვნულ ფრთას“ ეკუთვნოდა. მამამისი, ყარამან ნანეიშვილი, თურმე კარგ ურთიერთობაში ყოფილა ცნობილ ვიტესთან, ვისთანაც ერთხელ პეტერბურგში ჩასულა (ერთგვარი კომიზმით აღბეჭდილი ამბავი) ვიღაც რევოლუციონერის ციხიდან გასათავისუფლებლად (ვიტეს ყარამანის თხოვნა დაუკმაყოფილებია). ალექსანდრეს მკვიდრი ბიძა, ყარამანის ძმა, იყო ალექსანდრე ნანეიშვილი, „ივერიის“ პუბლიცისტი („ნალის“ ფსევდონიმით), რომლის შვილიც იყო გამოჩენილი იურისტი ზოზო (იოსებ) ნანეიშვილი. რაც

შეეხება მამაჩემს, ისიც თვალსაჩინო იურისტი ყოფილა („ჩვენი თაობის უბრწყინვალესი იურისტი“, - მისი ერთი კოლეგის თქმით), ამბობენ, ფართო განათლების ადამიანი (უმაღლესი განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული). მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში; იყო გადასახლებაში, საიდანაც, ცოტა ხნით ადრე „დიდ ტერორამდე“, ე.წ. „სვობოდნოე პოსელენიეს“ წესით, იაროსლავში იყო გადაყვანილი. აქ მას მონაწილეობა მიუღია იაროსლავის საბურავების ქარხანასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროცესში (მეორე მხარეს გერმანელები წარმოადგენდნენ), რომელიც მას წარმატებით ჩაუტარებია და თავის ოპონენტთა მაღალი შეფასებაც დაუმსახურებია. პროცესზე ჩამოსული ყოფილა ანდრეი ვიშინსკი, რომელსაც პროცესის დამთავრების შემდეგ ალექსანდრესთვის შეუთავაზებია მასთან სამუშაოდ წასვლა მოსკოვში. მამაჩემს უარი უთქვამს, საქართველოში მინდა დაბრუნებაო (დაბრუნების უფლება ამ პროცესისთვის მისცეს). ვიშინსკის უპასუხია, თქვენი ნებაა, მაგრამ გირჩევთ, აქ დარჩით, საქართველოში ნუ ჩახვალთო (საფიქრებელია, მოსალოდნელი რეპრესიების გამო). ალექსანდრე მაინც დაბრუნდა სამშობლოში, სადაც შვიდი თვის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა და სამ დღეში დახვრეტილიც. 60-იან წლებში, ერთმა ძალიან მსხვილმა – ძველმა ჩეკისტმა მითხრა: „მამათქვენს ბოლომდე(!) ვიცნობდი, შეგიძლიათ, თქვენი მამით იამაყოთ“. მე, გასაგები მიზეზით, არ დამიზუსტებია მასთან საუბარში, მაინც რა აზრით უნდა „მეამაყა“. ჩანს, ალექსანდრეს იმ სამი დღის განმავლობაში ღირსეულად ეკავა თავი და სიკვდილიც მან ღირსეულად მიიღო („რეაბილიტაციის“ პერიოდში გადმომცეს, რომ ალექსანდრეს დაკითხვის ფურცლები ცარიელი ყოფილა).

ბებიაჩემი ელისაბედ ხოშტარია უბრალო ქალი იყო, ვგონებ, სასკოლო განათლებაც არ მიუღია, მაგრამ ჰქონდა საკვირველი მეხსიერება და, თავისებური შეფასებით, იხსენებდა ხოლმე ძველ ამბებს და ცალკეულ პიროვნებებს (რატომღაც აჩემებული ჰყავდა ნიკო ნიკოლაძის და ოლიმპიადა). როდესაც გავაჯავრებდი, იწყებდა მოყოლას, ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით, სოციალ-დემოკრატიის „ისტორიას“, ბაბუაჩემისა და მამაჩემის მისამართით („წელი მომწყვიტეს ციხეში გადაცემების თრაქვით!“), რასაც ამთავრებდა ასევე „სტანდარტული“ დასკვნით: ამათი შვილიშვილი და შვილი (ე.ი. მე) სხვა რა შეიძლება იყოსო. ერთხელ ბაბუაჩემს ციხიდან შემოუთვლია: „ელისაბედ, აქ კათოლიკოსი ამბროსი და სხვა პატივსაცემი ადამიანები ბრძანდებიან,..... კარგი სადილი გამომიგზავნე“, რის მოგონებაზეც ბებიაჩემი დააყოლებდა: „გარეთ შიმშილით ვიხოცებო-

დით, ის კი ციხიდან სადილებს მიკვეთავდა“. მამაჩემზეც იტყოდა: „ციმბირში ცინგის საწინააღმდეგოდ აქედან რის ვაივაგლახით ნიორს ძლივს ვუგზავნიდი. მან კი იაროსლავლიდან მთელი ბიბლიოთეკა ჩამოიტანა“. ასე რომ, იმდროინდელი ამბები, მართალია, ბებიაჩემის ვერსიით, დღემდე ბავშვობის „ნანასავით“ შემომესმის. დედას საშინლად არ უყვარდა თავისი სახელი და ხშირად წამოაძახებდა ბებიაჩემს: „ქალო, ერთი რუსი დედაკაცის რჩევით როგორ დამარქვი ეს სახელიო“ (მიხაკო ამ დროს დაპატიმრებული იყო, როდესაც დედაჩემი დაბადებულა, და რუს ბათუმელ ქალს (მაშინ ბათუმში ცხოვრობდნენ) ვგონებ, სულაც მოუნათლავს დედაჩემი. ოჯახზე, რომლის „ცენტრიც“, რა თქმა უნდა, მე ვიყავი, ელისაბედი გადაყოლილი იყო.

დედაჩემი ქართული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველ გამოშვებას ეკუთვნოდა. ხშირად იხსენებდა ივანე ჯავახიშვილის ლექციებს საქართველოს ისტორიაში (მაშინდელი სავალდებულო საგანი ყველა სტუდენტისთვის). მაგრამ თავის ნამდვილ აღმზრდელად, ვინც მედიცინის გზაზე დააყენა იგი, დედაჩემს ბაბუაჩემის მეგობარი ივანე თიკანაძე მიაჩნდა. შემდგომშიც, სანამ ივანე ცოცხალი იყო, დედა მასთან მუშაობდა. როდესაც დედაჩემი გაგდებული იყო სამსახურიდან მამისა და ქმრის მიზეზით, ივანე თიკანაძე დედაჩემს აგზავნიდა ხოლმე პაციენტებთან პურის ფულისთვის. 1924 წლის აჯანყების მოსამზადებელ პერიოდში დედა თურმე (ეს გვიან შევიტყვე) საიდუმლო მეკავშირე ყოფილა უცხოეთიდან ჩამოსულ და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს შორის (თვითონ ფედერალისტებს თანაუგრძნობდა). მოგვიანებით ცოტა ხანს (სამი თვით) ჩეკაშიც იყო დაკავებული. შვილის სიკვდილის შემდეგ, დედაჩემი, მაშინდელი ნაცნობობით, გაემგზავრა მამაჩემთან ციმბირში. შინ ფეხმძიმედ დაბრუნდა. ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული. აჩემებული ჰქონია, „ალექსანდრეს შვილი უნდა გავუჩინოო“. შინ დაბრუნებულს, ფეხმძიმობის მეშვიდე თვეზე ეკლამსია დაემართა და ექიმები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მუცლის ხელოვნურად მოშლას, რაზეც დედამ კატეგორიული უარი განაცხადა: თუ დადგება საკითხი, ვინ გადარჩეს, მე თუ ბავშვი, ბავშვი გადაარჩინეთო. დედას ამ გადაწყვეტილებაში ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი ჰყავდა, ბაბუაჩემის და მამაჩემის მეგობარი ცნობილი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე (ფედერალისტი) ოსიკო ბარათაშვილი, რომელიც ყოველდღე დაიარებოდა ჩვენს სახლში და დედას ვერის ბაღში ასეირნებდა. მშობიარობის დრო რომ დადგა, დედამ მოიწვია თავისი ახლობელი ბებია ქალი და თვითონ ხელმძღვანელობდა საკუთარ მშობიარობას. ბუნებრივია, ძალიან ვუყვარდი, მაგრამ, ჩანს, იმიტომ რომ უმამოდ

ვიზრდებოდი, ასევე ძალიან მკაცრი იყო: რუსის „ბარაბანს“ არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც მე მომხვედრია ბავშვობაში დედაჩემისგან.

რადგანაც დედა კარგ სპეციალისტად ითვლებოდა, ბევრი პაციენტი ჰყავდა, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები. გაჭირვებულებს ფულს არ ართმევდა (თიკანაძის ტრადიცია), მახსოვს ერთ ასეთ პაციენტს, რომელსაც პალტო არ ჰქონდა, თავისი პალტო აჩუქა („ჩაიცვი, წამლებს წყალში ნუ გადამიყრიო“). სწორედ ასეთი მზრუნველობითი სიმკაცრის წყალობით და არა ამის „მიუხედავად“ მე შედარებით ადრე გამომიმუშავდა პირადი პასუხისმგებლობისა და მასთან პიროვნულად დამოუკიდებლობის შეგნებაც. დედას რუსული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდა, მაგრამ არ მახსოვს რუსულად დამლაპარაკებოდა. ვერ იტანდა მეტყველებაში პროვინციალიზმებსა და ბარბარიზმებს და, თუკი რამე ამის მსგავსი (ვთქვათ, ქუჩიდან მოტანილი) წამომცდებოდა, მყის გამისწორებდა ისეთი ტონით, რომ სამუდამოდ მამახსოვრდებოდა. ასევე ეჯავრებოდა, როდესაც ვინმე აზრს გამოთქვამდა რამე საგანზე, რომელზეც წარმოდგენა არ ჰქონდა, რის გამოც, ერთხელ, რა დამავიწყებს, ჩემი სტუმრების თანდასწრებით, მაშინ თოთხმეტიოდე წლის ვიყავი, მეტიჩრული გამონათქვამისთვის მწარე სირცხვილი მაჭამა.

... ჩვიდმეტი წლის ვიყავი, დედაჩემის ყოფილი სტუდენტის მიპატიჟებით, დედა და მე ყაზბეგის მახლობლად, სოფელ არშაში ვისვენებდით. დედაჩემის მეორე ნასტუდენტარმა, რომელიც გათხოვილი იყო იქაურ თანამდებობის პირზე, დაგვპატიჟა სადილზე სანატორიუმ „დარიალში“. როდესაც იქ ჩავედით, დედამ მითხრა: „ეს ქართული მიწა-წყალი არაა, აქ ჩეჩნები ცხოვრობდნენ, რომლებიც გადაასახლეს, მაგრამ ამაზე აქ ხმა არ ამოიღო, შენთვის იცოდე“ (სტუმრებს შორის, ჩვენ გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ)...

მქონდა უზრუნველყოფილი ცხოვრება, ყოველგვარი ფუფუნების გარეშე. ერთადერთი „ფუფუნება“, რაზეც უარი არასდროს მიმიღია, პირიქით, იყო წიგნები. ვიწრო წრე ჰყავდა მეგობრების, რომლებთანაც მიმოსვლა ჰქონდა და ყოველთვის მე ვყავდი გვერდით, ვუსმენდი მათს საუბარს, მაშინ ჩემთვის ზოგჯერ გაუგებარს, ზოგჯერაც – გასაგებს და სულისათვისაც დიდად მარგებელს. (ე.წ. „ქალური ჭორები“ დედას ჭირივით ეზარებოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა მასთან ამგვარ საუბარს, მით უფრო, რომ თანამოსაუბრეებად მამაკაცები ერჩივნა, ქალებს... ამ მიზნით, დიდად, მეტი რომ არ

ვთქვა, არ სწყალობდა). იყო, ისევე როგორც მამაჩემი, „გერმანოფილი“. როდესაც გერმანიასთან ომი დაიწყო, მახსოვს, თავის საწერ მაგიდაზე დაალაგა გერმანული წიგნები, ელოდა, „ამათგან“ დაგვიხსნიანო (ძალიან გავრცელებული განწყობა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში და, სხვათა შორის, არა მარტო მასში...). როდესაც უნივერსიტეტიდან გამრიცხეს პოლიტიკური მოტივით, ეს ამბავი მშვიდად მიიღო: „ჩანს, ჩვენი ოჯახის ბედი ესაააო“. ერთხელაც არ წამოსცდენია ჩემდამი საყვედური ამასთან დაკავშირებით. სამოც წელს იყო გადაცილებული, როდესაც დამბლა დაეცა. მე მეზობლად დავდიოდი ჩემი მეგობრის დედობილთან, საიდანაც ხშირად გვიან ვბრუნდებოდი ხოლმე. სახლში მოსამსახურე გვყავდა, რომელიც ჩემს არყოფნაში დედას უვლიდა. ერთხელაც გვიან დავბრუნდი სახლში და, ჩვეულებისამებრ, ვიდრე დავწვებოდი დასაძინებლად, დედასთან მივედი საკოცნელად. ვხედავ, არ სძინავს. „შენ რაიმე არალეგალურ ორგანიზაციაში ხომ არ ხარ?“ – შემეკითხა (მერე გაირკვა, მოსამსახურეს უთქვამს მისთვის, გვიან ღამით იმიტომ მოდის, რომ არალეგალურ ორგანიზაციაშიაო). „არა, დედა, საიდან მოგივიდა ეგ აზრი?“ – ვუპასუხე. ექიმებისგან მსმენია, დამბლადაცემულს ხშირად ერთგვარი „ეგოიზმი“ ახასიათებთო. იმ ღამეს კი დედაჩემისგან ეს გავიგონე: „ისე, შენ იცი, მაგრამ, მე მგონია, ჯერ ნაადრევია“. ასეთია ჩემი ბოლო მოგონება დედაჩემზე“.

სამწუხაროდ, აქ წყდება ეს ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, რომელშიც ნათლად იხატება მიხეილ ნანეიშვილის ოჯახის ფსიქო-მორალური ატმოსფერო, თავისუფლების სულით გაჟღენთილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულ-ევროპული გარემო“, როგორც ერთი ორგანული მთლიანობა, რაც ქმნიდა ოჯახის უმაღლეს კულტურულ ინსტანციას.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდა მიხეილ ნანეიშვილი მუსიკალური კარიერისათვის ემზადებოდა, 1953 წელს ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სასწავლებლის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაირიცხა, მაგრამ იმედისმომცემმა, სპეციალისტების აღიარებით, პიანისტმა მიატოვა კონსერვატორია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის შესწავლას მიჰყო ხელი. ეს მისი პრინციპული არჩევანი იყო, „ქართლის ცხოვრების“ მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს „აღდგომა-გამოხსნის“ იდეა-მოტივით შთაგონებული, რაზეც იგი ადრეული ასაკიდანვე ოცნებობდა. მოგვიანებით აღნიშნა კიდეც, – „კარგად მახსოვს, პარტიის შექმნაზე ფიქრი 1957 წელს დავიწყე, 1968

წელს კი, როდესაც საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ, ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმიმტკიცდა“.

პარტიის დაარსებამდე ჯერ დიდი გზა იყო ფიქრის, აზროვნების, ჭვრეტის; თუმცა არც საუნივერსიტეტო ცხოვრებას ჩაუვლია მშვიდად და უხიფათოდ. ერთ-ერთი სასემინარო გამოსვლისას გამოვლენილი ლიბერალური შეხედულებით დამფრთხალმა ლექტორმა ფაკულტეტის დეკანთან დაასმინა, რომელმაც „ჩეკისტური ერთგულება გამოიჩინა“ და უნივერსიტეტიდან მისი გარიცხვა მოითხოვა, რასაც მიაღწია კიდეც (მაშინ გაერთიანებული ფილოსოფიური და იურიდიული ფაკულტეტების ჩეკისტური სულისკვეთების ის დეკანი, რომელსაც იმდროინდელ პარტიულ ნომენკლატურაშიც-კი „ნაძირალად“ იხსენიებდნენ, ბედის ირონიით, თანამედროვე ქართული იურისპრუდენციის „მამად“ არის აღიარებული). სწავლის გაგრძელების უფლება-კი მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოიპოვა.

საუნივერსიტეტო კურსის გასრულების (1961 წელი) შემდეგ მიხეილ ნანეიშვილი ერთ ხანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, საბოლოოდ-კი ფილოსოფიის ინსტიტუტში, ქართული ფილოსოფიის განყოფილებაში. მისი თეორიული განსჯისა და ანალიზის საგნად კულტურის და თავისუფლების ფილოსოფიური პრობლემატიკა იქცა.

თეორიული შრომის პარალელურად ის, გარკვეულწილად, პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა, მხარში ედგა და ეხმარებოდა ყველას, ვინც „ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა“. ასეთი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, მაგალითად, 1974 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ შექმნილ ჯგუფთან, მაგრამ მისი (ამ ჯგუფის) წევრი არ გამხდარა, რადგანაც, „ეს ორგანიზაცია არც პოლიტიკური, არც ინტელექტუალური და არც მორალური დონით“ არ შეესაბამებოდა იმ სააზროვნო თუ ზნეობრივ კრიტერიუმებს, რომელსაც მიხეილ ნანეიშვილი უყენებდა, უპირველესად, საკუთარ თავს.

პარტიის შექმნის გადაწყვეტილება მიხეილ ნანეიშვილმა 1990 წელს მიიღო და დააარსა – „საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია“. პარტიის, „მისი მთელი მოღვაწეობის მაფუძვნებელი და წარმმართველი“ იდეოლოგია, მან, უკვე პარტიის თავმჯდომარემ, განსაზღვრა, როგორც „ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი“, რომლის „იდეოლოგიური კანონიზაცია“ საქართველოში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოხდა“ ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მამამთავრის ილია ჭავჭავაძის „უკვდავი“ ფორმულით, „ამიერიდან ჩვენ, ქართველთათვის,

მარადსახსოვარით თუ გვსურს ქართველებად ვიწოდებოდეთ: „**ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული**“.

ეს იდეოლოგია, ილიასაგან დაფუძნებული, რომელიც „არსებითად საზღვრავდა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართველობის მთელ კულტურულ-ისტორიულ ევოლუციას ქვეყნის „გასაბჭოების“ ეპოქამდე“, დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყანაში, ცნობილ მიზეზთა გამო, უკვე აღარ შეადგენდა ქართველთა „მასობრივი ცნობიერების კულტურულ აქტივს“. ამან, სხვათა შორის, გაამწვავა ის ღრმა „**საერთო ეროვნული კულტურული კრიზისი**“, რომელშიც აღმოჩნდა ქართველი ერი 1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით. ერის სულითა და ხორცით დამაძაბუნებელი ამ ვითარების დაძლევა მხოლოდ ყოვლისმომცველი რეფორმისტული პოლიტიკით იყო შესაძლებელი, რომელიც, მიხეილ ნანეიშვილის აზრით, „**პოლიტიკის** სპეციალურ სუბიექტს“ და „ამ პოლიტიკის ხელმძღვანელ ინსტანციას“ ე.ი. სახელმწიფოსა და ხელისუფლებას უნდა ეწარმოებინა, როგორც პოლიტიკურ „**კულტურტრეგერს**“, მიზანმიმართულად. ამ გზით მოხერხდებოდა ხსენებული დიდი კულტურული დანაკლისის შევსება, კრიზისის გადალახვა, ილიასეული იდეოლოგიის დასაძირკვლება ქართველი ერის მომავალი კულტურულ-პოლიტიკური ზრდა-განვითარებისთვის.

ეს მისია, კულტურტრეგერული, საკუთრივ პოლიტიკურ ფუნქციასთან ერთად, დააკისრა მიხეილ ნანეიშვილმა მის მიერ დაარსებულ პარტიას და, რაც არსებითია, საკუთარ თავს, როგორც ხვედრი და ვალდებულება ეროვნული კულტურის განმცდელი და გამომმთქმელი, „გულგანათლებული“, ილიას თქმით, მამულიშვილისა. ამ მისიისა და ფუნქციის აღსრულება არის მთელი მისი საქმიანობის, თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური ღვწის ერნაირად გამჭოლი, წარმმართველი აზრი.

რაც შეეხება ილიასეული ნაციონალიზმის თეორიულ-ფილოსოფიურ დედააზრს, ის მიხეილ ნანეიშვილმა გამოსახა იდეით, რომლის თანახმადაც, „კულტურისა და ისტორიის ერთადერთი ჭეშმარიტი სუბიექტი არის ერი, ვითარცა მათი ნამდვილი **შემოქმედი**. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორია და კულტურა სხვა არაფერია, თუ არა ერის შემოქმედება, რომელიც შინაარსია ერის ცხოვრებისა“. ხოლო კითხვას, რა არის ნაციონალიზმი? ასე უპასუხა: „ერის, როგორც კულტურის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტის, სიყვარული, კონსტიტუციური მის შვილ ერისაგანთათვის“ (ციტატები აქ და ზემოთ მიხეილ ნანეიშვილის თხზულებებიდანაა, ხაზგასმებიც ავტორისაა, გ.კ.).

ლდეპ-ის (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის) მთელი საქმიანობა, მისი დაარსების დღიდან მიხეილ ნანეიშვილის ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად ქცეული, ნაციონალიზმის ამ იდეისა და პრინციპების რეალიზაციას მიეძღვნა.

მიხეილ ნანეიშვილი იყო საქართველოს მე-3 (1992-1995 წწ.) და მე-5 (1999-2004 წწ.) მოწვევის პარლამენტის წევრი. არ ყოფილა რაიმე, მეტ-ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა თუ საკითხი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელსაც მიხეილ ნანეიშვილი არ გამოხმაურებია, არ გამოუთქვამს თავისი აზრი საპარლამენტო ტრიბუნიდან თუ წერილობით, პუბლიკაციების სახით. ყველა ტალღას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულს, ის მშვიდი, პრინციპული აკადემიზმით ახშობდა და იგერიებდა. საპარლამენტო საქმიანობის ბოლო წლებში მისი კრიტიკის მწვავე სუსხი იწვნია რეფორმისტულად სახელდებულმა ოპოზიციამ, განსაკუთრებით-კი ე.წ. „ნაციონალურმა“ მოძრაობამ.

2003 წლის ნოემბრის მოვლენებს მიხეილ ნანეიშვილმა სახელმწიფო გადატრიალება უწოდა; „დემოკრატიის შუქურა“-დ მონათლული „ნაციონალური“ ხელისუფლების, მისი მოხდენილი თქმით, „შპანოკრატიის“ ზნეობრივი სახე, მისი კარიკატურული, „ანტიპოლიტიკური პოლიტიკის“ შეფასება მოგვცა მან ნაშრომში, – „პოლიტიკაზე – პოლიტიკის გაღმიდან“, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა.

მიხეილ ნანეიშვილის უშუალო დამსახურებაა მაშინდელი მთავრობისა და მის ორბიტაზე მოტრიალე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი საქართველოს ფედერალიზაციის პროექტის ჩაშლა. მისი ინიციატივითა და თავმდგომობით დაარსდა არაპარტიული, საზოგადოებრივი მოძრაობა – „უნიტარული საქართველო“ ერთადერთი მიზნით, – არ დაეშვა „საქართველოს ფედერალიზაცია, ყველა შემთხვევაში, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ მომშლელი“. ხელისუფლების შემოთავაზებული პროექტის არსს, „არნახულ და არსმენილ საქმეს – ერის კონსტიტუციურ თვითმკვლელობას“ ააშკარავებს მისი მრავალი ინტერვიუ თუ საგაზეთო პუბლიკაცია. 2005 წელს გამოქვეყნდა წერილი – „საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა“, რომელშიც გაანალიზებულია ფედერალიზმის, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და სამართლებრივი მოწყობის ფორმის არსი, რომლის შესახებაც, სხვათა შორის, ჩვენს საზოგადოებას, მის განათლებულ, ასე ვთქვათ, ინტელექტუალურ ნაწილსაც-კი ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნდა და გააჩნია დღესაც.

ჩვენ არ ვცდილობთ მიხეილ ნანეიშვილის პრაქტიკული თუ შემოქმედებითი წვლილის შეფასებას თანამედროვე საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქ ამის არც ადგილია და არც კომპენტენცია გაგვწვდება საამისოდ. დავტოვოთ ეს მომავლის საქმედ. ამჯერად-კი მოფიქრალ, ერუდირებულ, გემოვნებიან ქართველ მკითხველ საზოგადოებას ვთავაზობთ თანამედროვე საქართველოს რჩეული მოაზრისა და მოსაქმის თხზულებებს.

არაორდინალური ინტელექტი, უდრეკი გონითი ნება, ურყევი ზნეობრივი პრინციპები მიხეილ ნანეიშვილს უქმნიდა ფუფუნებას, ეცხოვრა სინდისის კარნახით, საკუთარი ღირსების შეგნებით, მის შესაფერად. ყმაწვილობიდანვე თავისუფლების გზაზე მდგომი არასდროს მიდრეკილა არც „მარჯულ, არცაღა მარცხულ“, განუხრელად ვიდოდა „მხოლოდ და სწორედ თავისუფლების გზით“, მაშასადამე, ზნეობის გზით.

მიხეილ ნანეიშვილი 2018 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა.

სამწიგნეული, რომელსაც წარმოგიდგენთ, თავს უყრის მოაზროვნის სამეცნიერო-ფილოსოფიურ ნაშრომებს, პუბლიცისტური ხასიათის წერილებს და ინტერვიუებს (საგანგებოდ მივუთითებთ, რომ თანდართული წინათქმა, მცირეოდენი ცვლილებით ბოლოში, გამიზნულად მეორდება სამივე წიგნში).

წინამდებარე კრებულში შესულია ავტორის მეცნიერულ-ფილოსოფიური და პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რომელთაც წარუვალ აკადემიურ ღირებულებასთან ერთად პრაქტიკულ-პოლიტიკური, მათ შორის, ეს ითქვა, კულტურტრეგერული დანიშნულებაც გააჩნია.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ავტორის თეორიულ-ფილოსოფიური გააზრებანი ერის, ნაციონალიზმის, სახელმწიფოს, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის თუ პოლიტიკის სხვა ფუნდამენტურ ცნებებსა და პრინციპებზე, რაც ქართული სამეცნიერო-პოლიტიკური აზრის ახალ სიმაღლეს ასახავს, და, რაც მთავარია, ქმნის ურყევ საძირკველს ასეთივე, ახალი, აზროვნებისთვის.

წერილებში, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, ჩამოყალიბებულია ერთგვარი სახელმძღვანელო „კურსი“ პოლიტიკის, მისი, ასე ვთქვათ, პრაქტიკის სფეროში. ავტორმა ქართულ პოლიტიკურ კულტურას შესძინა პრინციპული, სიღრმისეული ღირებულებები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ახალი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური წინსვლისთვის. ქართული პოლიტიკური ლიტერატურის, პოლიტიკური პუბლიცისტიკის ეს მონაგარი მათთვის, ვისაც პოლიტიკა

აინტერესებს, შეუცვლელ, როგორც ასეთ შემთხვევაში უწოდებენ, სამაგიდო წიგნად იქცევა, უთუოდ.

ხოლო რუბრიკაში, – „წერილები ლიტერატურაზე“, თავმოყრილი თხზულებანი ჩვენს ეროვნულ მწერლობას ქართული ფილოსოფიურ-ლიტერატურული ტრადიციისთვის აქამდე სავსებით უცხო კუთხით იაზრებს. მკითხველს ეძლევა საშუალება, მისდიოს ავტორის აზღტა ხვეულს, გაიცნობიეროს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ფუნდამენტური იდეა, მისი შინაგანად გამჭოლი ამ ლიტერატურის გენიალურ შემოქმედ-ნოვატორთა თაობიდან თაობაში. ავტორისეული დასკვნა-კი, ამდენადვე უნიკალური, მიხეილ ნანეიშვილმა „პოეტური“ ფორმულის სახით დაგვიტოვა, – „კულტურნაციონალიზმი, როგორც პოეზიის დედაიდეა“, სამომავლო საფიქრ-სააზრებლად.

გურამ კუტალაძე

პოლიტიკა

და

საზოგადოება

რა გვჭირს და რა გვჭირდება

საქართველო რომ უმძიმეს კრიზისში იმყოფება, ეს იმდენად თვალსაჩინო ფაქტია ყველასათვის, რომ ამ საკითხში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სრული „ეროვნული კონსესუსი“ სუფევს ჩვენს საზოგადოებაში. ასეთივე „საერთოეროვნული თანხმობა“ დასტურდება კიდევ ერთი საკითხის მიმართაც: მხედველობაში გვაქვს საყოველთოდ გავრცელებული აზრი (თუკი საჯარო განცხადებებს ვენდობით), რომ ერთადერთი გამოსავალი ამ ტოტალური ეროვნული კრიზისიდან რადიკალურ რეფორმებშია, რომლებზეც, „ახალქართული“ ჩვეულებისამებრ ლაპარაკით ბევრს ვლაპარაკობთ, საქმით კი არაფერს (ან ვერაფერს) ვაკეთებთ. მართლაც (რაც შეეხება საქმეს), არ გაგვაჩნია ერთიანი კონცეფცია და, მით უმეტეს, პროგრამა ამ რეფორმებისა, ისევე როგორც არ გვაქვს გაანალიზებული და შეფასებული თვითონ კრიზისიც, მისი მთელი სიღრმე-სიგანით. თუმცა აშკარაა, რომ რეფორმების პროგრამა უნდა შემუშავდეს არსებული კრიზისის რაობის, მისი ბუნების, წინასწარი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შევძლებთ ადექვატური ანტიკრიზისული ღონისძიების დასახვას, რომლებმაც უნდა შეადგინონ კიდეც რეფორმათა პროგრამის პრაქტიკული ნაწილი. ყოველ სენს თავისი წამალი მოეპოვება და, ვიდრე წამალს გამოვუწერდეთ ჩვენს სნეულ ქვეყანას, „პაციენტს“ ჯერ უნდა ზუსტად დავუსვათ თვით სენის დიაგნოზი, რათა სწორად ვუწამლოთ ავადმყოფს და ჩვენი უთაობით უარესი არ დავმართოთ. შიგადაშიგ საჭიროა ხოლმე ტრივიალური ჭეშმარიტებების შეხსენებაც.

რა თქმა უნდა, მარტო ეს „სამკურნალო“ ფუნქცია არ აკისრია რეფორმებს, მეტიც, კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა ამ რეფორმების მხოლოდ ნეგატიური მხარეა (კრიზისის დაძლევა), მაშინ როდესაც მთავარი საქმე ყოველი ნამდვილი რეფორმისა, როგორც შემოქმედებითი ღონისძიების, გარკვეულ კონსტრუქციულ მიზანს გულისხმობს. მართლაც, როდესაც ვსვამთ საკითხს არსებული მდგომარეობიდან ქვეყნის „გამოყვანა“-ზე, მაშინვე ისმის კითხვა, თუ სად „შეგვყავს“ იგი, რაგვარ ცხოვრებაში. არსებითად აქ საუბარი ეხება, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა კიდეც დეკლარირებული, **ახალი საქართველოს მშენებლობას**, ახალი სოცია-

ლურ-ეკონომიკური, უფლებრივ-პოლიტიკური და ერთობ, კულ-ტურული წყობით. ასე რომ, ზემოხსენებული „მკურნალობა“ ჩვენი სნეული ეროვნული ცხოვრებისა ამ უკანასკნელის შემოქმედებითი აღმშენებლობის, მისი გარდამქმნელი ძალით – ჭეშმარიტად რევოლუციური გზით და სახით უნდა წარიმართოს. ამგვარად, არსებული კრიზისის, მისი დაძლევის პრობლემა ირკვევა, როგორც პრობლემა ეროვნული ცხოვრების ძირეული რეფორმებისა, რომელთა სისტემურ-კონცეპტუალური გააზრებაც გულისხმობს, პირველ რიგში, ორ მთავარ კითხვაზე ნათელ და, შეძლებისდაგვარად, ზუსტ პასუხს, სახელდობრ: 1. როგორ გვესახება მომავალი ახალი საქართველო, მისი სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივ-პოლიტიკური წყობა, და 2. რა ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი ძველიდან ახალზე გარდამავალ ხანაში და, შესაბამისად, რა ღონისძიებებია ამ მიმართულებით განსახორციელებელი.

პრობლემა, რომლის წინაშეც დგას დღეს საქართველო, როგორც ვხედავთ, მეტად რთული და მძიმეა. და ეს არა იმდენად თვითონ ამ, ზემოაღნიშნულ კითხვებზე ჯეროვანი პასუხის მიგნების სიძნელის გამო, არამედ იმ ისტორიულ გარემოებათა მიზეზით, რომელმაც თავად ამ პრობლემის არსებობა განაპირობეს.

ისე მოეწყო საქართველოს ბედი, რომ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1918-21 წწ-ის „თავისუფლების ინტერმედიას“) ერს უხდებოდა მისთვის უცხო პირობებში ცხოვრება, – იმ სოციალურ-ეკონომიკურ და უფლებრივ-პოლიტიკურ პირობებში, რომელიც ჩვენს მწერლობაში „რუსობის“ სახელითაა ცნობილი (ანალოგიურად ადრინდელი „თათრობისა“, „ყიზილბაშობისა“, „ოსმალობისა“... გავიხსენოთ ილიას „მგზავრის წერილები“: „რუსობაში ვართ“-ო). საკუთარი ცხოვრება ქართველობისა, ცხოვრება ბუნებითი, ამ მთელი დროის მანძილზე არსებითად არალეგალურად მიმდინარეობდა, **ბუნებრივი განვითარების** ლეგალურ სარბიელს მოკლებული. ხოლო ეს არაბუნებრივი ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა და დაიხუთა რუსეთის, ამჯერად უკვე ბოლშევიკურის, მიერ საქართველოს ხელმეორე ანექსიის შემდეგ, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანაში გაბატონდა, ნაცვლად ძველრუსული დესპოტიზმისა, ახალრუსული ტოტალიტარიზმი. ის, რაც განიცადა საქართველომ რუსეთის ამ ორსაუკუნოვანი ძალმომრეობის პირობებში, ჩვენს მრავალჭირნახულ ქვეყანას არ განუცდია თავისი ისტორიის **მთელ** მანძილზე:

რუსეთის „ხალხთა საპყრობილე“-ში მოხვედრამდე არც ერთ მოძალადეს არ ხელუყვია ქართველობის, როგორც კულტურულ-ისტორიული სისტემის, სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივ-პოლიტიკური წყობის საფუძვლები, მაშინ როდესაც რუსეთმა, ჯერ ცარისტულმა, ხოლო შემდეგ მისმა, ერთსა და იმავე დროს, მემკვიდრემაც და მესაფლავემაც — ბოლშევიკურმა, მოახდინა ქვეყნის ცხოვრების სრული ინსტიტუციონური რუსიფიკაცია, რომლის უმძიმესი, ერის სულით და ხორცით წარმწყმედი შედეგები, ჯერაც კიდევ ბოლომდე არ გვაქვს შეცნობილი და გაზომილი. შეიძლება ვისმე ეს ჩემი სიტყვები გადაჭარბებულად მოეჩვენოს რომანოვების რუსეთის მიმართ, მაგრამ, აი, როგორ აფასებდნენ ჩვენი ისტორიის შესაბამის პერიოდს ადამიანები, რომელთა კომპეტენტურობასა და ობიექტურობას ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ვერ დააყენებს ეჭვქვეშ: ნიკო ნიკოლაძე — რუსეთმა „ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში“. ივანე ჯავახიშვილი — „არასდროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელი ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით მე-19 საუკუნეში თავს დაატყდა“... ამგვარად, თუკი ევროპის ქვეყნებში ეროვნული ცხოვრება თავისუფლად ვითარდებოდა, ერის სოციალური სტიქიონი თვითონ განსაზღვრავდა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და უფლებრივ-პოლიტიკურ ევოლუციას, რომლის პროცესშიც და საფუძველზეც წარმოებდა კიდეც სათანადო იდეოლოგიების შემუშავება, – საქართველოში (და მისდაგვარი ისტორიული ბედის მქონე სხვა ქვეყნებში), სადაც ერის სოციალურ ძალებს ისეთი ბუნებრივი განვითარების გზა დახშული ჰქონდათ ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, სურათი სრულიად საპირისპიროა: აქ ჩვენ არსებითად გვიხდება **შექმნა** გარკვეული **პროგრამით** იმ პირობებისა, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, სხვაგან (ხსენებულ ისტორიულად ბედნიერ ქვეყნებში) ბუნებრივად **იქმნებოდა** თვითონ საზოგადოებაში, მისი ცხოვრების თავისუფალი განვითარების ბუნებრივ პროცესში. მართლაც, რაზე ვფიქრობთ დღეს ყველა, დიდიც და პატარაც? – როგორ ავაშენოთ ჩვენს ქვეყანაში, – ავაშენოთ, რასაკვირველია, **ხელოვნურად**, ე.წ. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც, მაგალითად ინგლისში თავისით აშენდა, ხოლო ადამ სმითი მას შემდეგ მოევლინა ბრიტანეთს, როდესაც იქ ეკონომიკური ლიბერალიზმი უკვე თვით ცხოვრების **ფაქტი**

იყო. ერთი სიტყვით, ინგლისში არავის შეუძენია პროექტი, როგორ გადასულიყო ერი ლიბერალურ სამეურნეო წყობაზე, არავის **დაუგეგმავს** ამ ქვეყანაში კაპიტალიზმი (იგივე ეკონომიკური ლიბერალიზმი) წინასწარ, მაშინ, როდესაც საქართველოში სწორედ ეს უნდა მოვიმოქმედოთ, რისთვისაც ფიქრობს კიდეც ბევრი ჩვენგანი, შემგნები ქვეყნის ამჟამინდელი ინტელექტუალური პოტენციალის აშკარა უკმარისობისა, კერძოდ – ეკონომიკის დარგში, უცხოეთიდან ექსპერტების და კონსულტანტების მოწვევაზე.

უნიკალური ჩვენს შემთხვევაში თავისთავად არაფერია: ამ გზით და ხერხით, ასე ვთქვათ „ხელოვნურად“, სხვებსაც უშენებიათ თავიანთ ქვეყანაში კაპიტალიზმიც და კიდევ ბევრი სხვა რამ, ამის მსგავსი. მაგრამ ამ ჩვენს (ისევე როგორც, საერთოდ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, რუსეთის გამოკლებით, რომელიც რაც უნდა ილაპარაკონ რუსის პატრიოტებმა, საბჭოთა პერიოდშიც თავის ცხოვრებით ცხოვრობდა, რადგან ბოლშევიზმი არავის მოუხვევია თავს მისთვის, თავად აირჩია იგი), მდგომარეობას ის გარემოება ამძიმებს, რომ თვითონ ამ ამოცანის წინაშეც აღმოვჩნდით, არა, და უკულმართად წარმოებული, მაგრამ მაინც **ჩვენეული** (ჩვენი კულტურულ-ისტორიული **ნების**-მიერი) და, ამგვარად, თავისუფალი (იმავე ნების-მიერი) ცხოვრების შედეგად და, მაშასადამე, ავად თუ კარგად, მაინც ჩევენი „ნატურალური“ თავით მოქმედნი, არამედ სხვისი ცხოვრების, რომელშიც ვიყავით ჩათრეულნი, მოშლისა და დანგრევის გამო, გამოვაღწიეთ რა იქიდან, როგრც პატიმარმა საპყრობილიდან, ხანგრძლივი ტყვეობით თავისუფალ ცხოვრებას გადაჩვეულთ, ასეთი ცხოვრების შემოქმედებისთვის საჭირო ჩვევადაკარგულებმა. ფაქტია, რომ იმ ბრძოლიდან, რომელსაც ერი მუდამ აწარმოებდა, ცხადად თუ ფარულად, თავისუფლებისთვის, ჩვენი ქვეყანა თავისუფლების სამზეოზე გამოვიდა კულტურულად მეტად დაზარალებული და მთავარი პრობლემა, რომელიც უდგას დღეს ქართველ ერს და, კერძოდ, მის ხელისუფლებას, სწორედ ამ ზარალის აღდგენა-ანაზღაურებაში მდგომარეობს. აქ ჩვენ უშუალოდ მივადექით საკითხს, თუ რა ხასიათისაა ის კრიზისი, რომელსაც ამჟამად განიცდის ქართველი ერი თავის ცხოვრების ყველა დარგში და ყველა დონეზე.

მაგრამ, ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ერთი განმარტე-

ბა. ჩვეულებრივს სიტყვათხმარებაში გავრცელებულია ასეთი ოპოზიციები: „ეკონომიკა და კულტურა“, „პოლიტიკა და კულტურა“; საქმე იქამდეა მისული, რომ ასეთ ოპოზიციებსაც ვხვდებით: „მეცნიერება და კულტურა“, თითქოს მეცნიერებაც კი კულტურა არ ყოფილიყოს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გაუგებრობაა, რადგან, მეცნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეკონომიკაცა და პოლიტიკაც კულტურის დარგებია, ისე როგორც კულტურის სფეროს განეკუთვნებიან ის მოვლენანი და ვითარებანი, რომელნიც საკუთრივ „სოციალურის“ სახელქვეშ იგულისხმებიან. ვლაპარაკობთ რა, მაგალითად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისებზე, ჩვენ კარგად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რომ საუბარი ეხება **კულტურის** გარკვეულ დარგებს, რომელთაგან ერთს „ეკონომიკა“ ეწოდება, ხოლო მეორეს – „პოლიტიკა“, და რომ ეკონომიკური კრიზისის სახით საქმე გვაქვს **ეკონომიკური კულტურის** კრიზისთან, ხოლო პოლიტიკური კრიზისის სახით – **პოლიტიკური კულტურის** კრიზისთან. იგივე ითქმის სოციალური კრიზისის შესახებაც, რომელიც ასევე გაიაზრება, როგორც კრიზისი **სოციალური კულტურისა**. თქმულის კონტექსტში გასაგები უნდა იყოს, ისეთი მოვლენები, როგორიცაა ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა და სხვ. ამგვარი ასევე განეკუთვნებიან კულტურას, კერძოდ მის სოციალურ სფეროს, როგორც კულტურის (სახელდობრ, სოციალური კულტურის) ანომალიები და, მაშასადამე, მართალია, პათოლოგიური, მაგრამ მაინც კულტურის მოვლენანი (ამ შემთხვევაში, გარკვეული აზრით, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „კრიმინალურ კულტურაზეც“). ანდა ავიღოთ ომი, რომელიც ასევე სამწუხარო ფაქტია ჩვენი დღევანდელობისა. თავი დავანებოთ იმას, რომ არსებობს სამხედრო მეცნიერება და ხელოვნება ომის წარმოებისა, რაც თავისთავად წარმოადგენს ომს, როგორც კულტურის გარკვეულ ფენომენს. საქმეს სხვა მხრიდან შევხედოთ და გავიხსენოთ კლაუზევიცის სიტყვები, რომ ომი იგივე პოლიტიკაა წარმოებული სხვა მეთოდით: განა ეს განსაზღვრა ომისა როგორც **პოლიტიკის**, ან, გნებავთ, სპეციფიკური პოლიტიკური **მეთოდის**, ნათლად არ მოწმობს იმას, რომ ეს სისხლიანი მოვლენაც კაცობრიობის ცხოვრებაში ასევე კულტურის მოვლენა ყოფილა და, როგორც ასეთი, „კულტურული“-ც. ხოლო ის, რომ დღეს ცივილიზებული ერები ომს უარყოფენ, როგორც წარსულის „ბარბაროსულ“ გადმონაშთს, ესეც იმის დასტურია, რომ ომი საზოგა-

დოდ კულტურის მოვლენაა, კონკრეტულად კი მოვლენა იმ კულ-ტურისა, რომელიც ამჟამად განიხილება, როგორც „ბარბაროსუ-ლი“, კულტურის დაბალი საფეხურის („ბარბაროსულის“) შესატ-ყვისი. ამ თემაზე, ცხადია, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, რაც ითქვა, საკმარისია იმისათვის, რათა გასა-გები იყოს, ზოგადად მაინც, ჩვენი მიდგომა საკითხისადმი, თუ რა კრიზისთან გვაქვს საქმე სინამდვილეში.

მიგვაჩნია, რომ კრიზისი, რომელსაც განიცდის დღეს საქარ-თველო თავისი ცხოვრების, როგორც უკვე ვთქვით, ყველა დარ-გში და ყველა დონეზე, არის **საერთო ეროვნული კულტურული კრიზისი**, რომელიც თავის სპეციფიკურ გამოხატულებას პოვებს სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა, მრავალთა შორის, კერძოდ, ეკონომიკა და პოლიტიკა. დედააზრი პრობლემისადმი ჩვენი ამ-გვარი მიდგომისა, რომელსაც ჩვენი ფიქრით, გარკვეული მეთო-დური მნიშვნელობა აქვს, მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ სახის კრიზისს, მაგალითად, თუნდაც იმავე ეკონომიკურსა და პოლიტიკურს, ჩვენ განვიხილავთ, როგორც კულტურის შესაბამის დარგში (ამ შემთხვევაში, მაგალითისამებრ, ეკონომიკასა და პო-ლიტიკაში) კონცენტრირებულ საერთო ეროვნულ კულტურულ კრიზისს, აღბეჭდილს მოცემული დარგის სპეციფიკური ნიშნით. ასე რომ, თვითეულ შემთხვევაში, არის ეს ეკონომიკა თუ პოლი-ტიკა (ან კიდევ რაიმე სხვა დარგი თუ სფერო ჩვენი ცხოვრება – კულტურისა), საქმე გვაქვს ეროვნული ცხოვრების **მთელი** კულ-ტურული სისტემის კრიზისთან, რომელიც **მთლიანდ** იხატება მო-ცემულ დარგში კონცენტრირებულად, ამ დარგის სპეციფიკური ფორმით. ამიტომაც, თუკი გვსურს, ბოლომდე გავერკვეთ ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ დარგის (თუ სფეროს) კრიზისულ სიტუა-ციაში, ადექვატურ ღონისძიებათა დასახვის მიზნით, თვითეული დარგის პრობლემას უნდა მივუდგეთ **კომპლექსურად**, ზემოთხსე-ნებული ზოგადკულტურული ვითარების გათვალისწინებით და განვიხილოთ ესა თუ ის კრიზისი კულტურის საერთო **სისტემური** კრიზისის კონტექსტში. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ შეიძლება ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების განხილვა არა მარტო ურთიერთმიმართების, არამედ კულტურის ყველა სხვა დარგში კრიზისებთან მიმართების (ან, უკეთ, რეალური ურთიერთკავში-რების) გაუთვალისწინებლად. კიდევ და კიდევ ვიტყვით: ჩვენი ეროვნული ცხოვრების (კულტურის) თვითეულ დარგში, მასში არ-

სებული (და ამდენად მისთვის სპეციფიკური) კრიზისის **სახით, აკუმულირებულია** ერის მთელი კულტურის (ცხოვრების), მისი ყველა და ყოველი დარგის, კრიზისი (კრიზისები), და, თუკი არ შევიმუშავეთ, პირველ ყოვლისა, ამ ტოტალური კრიზისული ვითარების ჯეროვნად ამსახველი კონცეფცია, როგორც საფუძველი შესაბამისი ანტიკრიზისული რეფორმების პროგრამისა და პოლიტიკისა, ჩვენ, შესაძლოა, „გამოვღოღდეთ“ ამ კრიზისიდან, მაგრამ **ახალ საქართველოს**, ამ სახელის ღირსს, ნამდვილად ვერ ავაშენებთ.

ხოლო, რაც შეეხება რეფორმებს, რომელნიც მოწოდებულნი არიან არა მარტო „გამოგვიყვანონ“ შექმნილი კრიზისიდან, არამედ **„შეგვიყვანონ“** კიდეც იმ „ახალ საქართველო“-ში, – ზემოთქმულის გათვალისწინებით უკვე ცხადი უნდა იყოს მათდამი ჩვენი მიდგომა: მათ ჩვენ განვიხილავთ როგორც **საერთოეროვნულ კულტურულ რეფორმებს,** აქედან გამომდინარე ყველა იმ დასკვნით, რაც გავაკეთეთ არსებულ კრიზისზე მსჯელობისას. ამიტომ აქ ამ საგანზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ხსენებულ რეფორმათა პროგრამაც და პოლიტიკაც უნდა შემუშავდეს როგორც **ერთიანი კულტურული პროგრამა და პოლიტიკა,** სადაც სხვადასხვა დარგობრივი რეფორმა წარმოდგენილი იქნება, როგორც ასპექტი **ერთი მთლიანი კულტურული რეფორმისა**. ხოლო, რამდენადაც ამ რეფორმის (და მისი შემადგენელი რეფორმების) როგორც **პოლიტიკის** სპეციალური სუბიექტი არის **სახელმწიფო,** დაყოფის ეს უნივერსალური პოლიტიკური და, როგორც ასეთი, **კულტურული** დაწესებულება, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ, როგორც ამ პოლიტიკის ხელმძღვანელმა ინსტანციამ, ეს თავისი რეფორმატორული პოლიტიკა უნდა წარმართოს, ვითარცა პოლიტიკურმა **„კულტურტრეგერმა“** ამ სიტყვის სრულიად საგანგებო მნიშვნელობით. იმისთვის კი, რათა სახელმწიფომ, მისმა ხელისუფლებამ ამ ისტორიაში, შეიძლება ითქვას, უპრეცენდენტო ამოცანას (უპრეცენდენტოს — თავისი სწორედ კულტურული მასშტაბით) ღირსეულად გაართვას თავი, საჭიროა, რომ მან, ხელისუფლებამ, მობილიზაცია გაუკეთოს ერის მთელ კულტურულ, **ინტელექტუალურ** ძალებს, რომლებიც ერთნაირად უნდა ჩაერთონ ერის ამ **სახელმწიფო** საქმეში (ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი უმთავრესი საზრუნავი სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის, როგორც ჩვენი ეროვნული თავი-

სუფლების რეალური გარანტისაც და მორალური სიმბოლოსიც, აღდგენა-აღორძინებაშია). და აქ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა უნდა თქვას ჩვენმა მეცნიერებათა აკადემიამ, მის სისტემაში მყოფმა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომლებიც უნდა იქცნენ ხელისუფლების ნამდვილ „ტვინის ტრესტებად“ (ამ საკითხზე, უფრო ვრცლად და დაწვრილებით, – სხვა დროს).

ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე კრიტიკული მომენტი, როდესაც ისტორიის ფარული ძალები ამოხეთქავენ და ცხოვრების ზედაპირზე, როგორც ეს ხდება ხოლმე მიწისძვრის დროს, ღრმა ნაპრალები ჩნდება, წარმოიქმნება თავისებური „ისტორიული კრატერები“, საიდანაც ამოედინებიან ისეთი „მეტაფიზიკური ვითარებანი“, რომლებიც სხვა შემთხვევაში რეალური ცხოვრებისაგან განყენებული „ფილოსოფიური სპეკულაციის“ საგნად მიიჩნეოდნენ. და მაშინ, არა მარტო ფილოსოფოსები, არამედ პოლიტიკოსებიც იძულებულნი არიან, იმავე რეალური ცხოვრების ასეთი „მეტაფიზიკური რეალობის“ კარნახით, ჩაიხედონ ამ „გულდახსნილი“ ცხოვრების სიღრმეში, მის, ასე ვთქვათ, „მეტაფიზიკურ საიქიო“-ში, რათა **იქედან ამოიკითხონ** „სააქაოს“ დატრიალებული ამბების ჭეშმარიტი აზრი, – აზრი ცხოვრების ასეთი „გარდატეხისა“; მაშინ იწყებენ პოლიტიკოსები ერის ისტორიისა და კულტურის თავიდან გააზრებას და ამ უდიდესი გონებრივი ძალისხმევის შედეგად იმუშავებენ იმ პოლიტიკას, რომელიც საფუძვლად ედება ახალ ეპოქას ქვეყნის ცხოვრებაში. ამგვარი შემთხვევები საკმაოდ იცის კაცობრიობის წარსულმა და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, რის დასტურადაც კმარა თუნდაც ილია ჭავჭავაძის და მისი მომდევნო მთელი პლეადის მაგალითი, პლეადისა, რომელსაც შეადგენენ პუბლიცისტები, ისტორიკოსები, ეკონომისტები, იურისტები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები (ნუ გაგიკვირდებათ! —), პოეტები და ამჟამადაც მსგავს ვითარებაში ვიმყოფებით, იმ განსხვავებით, რომ ახლანდელი ვითარება კიდევ უფრო რთულია, ინტელექტუალური ძალებით კი ვართ მეტად ღარიბნი, მაგრამ ამ სამწუხარო გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს, არამედ თვალი უნდა გავუსწოროთ სინამდვილეს, და, სხვათა შორის, ახლავე უნდა ვიზრუნოთ ამ ჩვენი „ინტელექტუალური დეფიციტის“ რაც შეიძლება მალე ამოსავსებად, რისთვისაც საჭიროა, წელზე ფეხი დავიდგათ და ჩვენი ახალგაზრდობა გავაგზავ-

ნოთ უცხოეთში ცოდნის მისაღებად. მანამდე უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი მწირი ძალებით, რომლებსაც ახლავე შეგვიძლია შემწე ვუშოვოთ უცხოელ ექსპერტთა სახით, მაგრამ რატომღაც ამ საქმეშიც (ვგულისხმობ ექსპერტთა მოწვევას), ჩვეულებისამებრ, ფეხს ვითრევთ და ვიგვიანებთ, თუმცა, ალბათ, ყველას გვესმის, მეტნაკლებად, რომ მარტო საკუთარი თავის მოიმედენი ვერაფერს გავხდებით, რადგან, ვიმეორებთ, საქმე დიდზე დიდი გვაქვს, **ცოდნა** კი – მცირეზე უმცირესი.

ქართველები სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ისტორიითა და კულტურით, მდიდარი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებით, მათ შორის იმ ტრადიციებითაც, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრიობას აქვს და რომლებიც, გააჩნია, საიდან დავიწყებთ ჩვენი პოლიტიკური ყოფიერების ათვლას „ლეგენდური კოლხეთის“ სამეფოდან, თუ ფარნავაზის დროიდან, ყოველ შემთხვევაში, არაერთ ათასწლეულს ითვლიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენ პოლიტიკურად სრულიად ნორჩი, შეიძლება ითქვას, **ჩვილი** ერი ვართ, რადგან ზემოხსენებული კულტურულ-ისტორიული, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ტრადიციები ამჟამად არ წარმოადგენენ ჩვენი ცხოვრების **რეალურ შემოქმედებითს ფაქტორს**. გაწყვეტილია კულტურულ-ისტორიული „დროთა კავშირი“, რომლის აღდგენაც, რამაც უნდა გვყოს კიდეც ახლანდელი „ჩვილნი“ იმ „ძველთაძველ“ (და მაინც ახალგაზრდა!) ერად, ჩვენი უმთავრესი და უპირველესი ზოგადკულტურული საქმეა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკითხი ეხება დღევანდელ ფრიად „ნარუსალ“ ქართველობაში იმ „შინაგანი ქართველის“ აღორძინებას, რომელიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში „განდევნილი“ იყო ერის ქვეცნობიერების სიღრმეში და მოელის, სწორედ იმ საერთოეროვნული კულტურული რეფორმების წყალობით, ცხოვრების სამზეოზე ამოსვლას, როგორც ჭეშმარიტი სუბიექტი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, ჩვენი ისტორიისა და კულტურის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტი, ნამდვილი – სწორედ თავისი **ქართველობით** ... ხოლო ეს სიღრმისეული კულტურული პრობლემა, ანუ პრობლემა „ქართველობის აღდგომა-გამოხსნისა“, ამ შემთხვევაში ჩვენს გონითს-სულიერ გვამში გამჯდარი „რუსობის“-გან, პირდაპირ კავშირშია ჩვენი ცხოვრების იმ ზოგადკულტურულ პრობლემასთან, რომელიც „ევროპეიზაციის“ სახელითაა ცნობილი და ამჟამადაც, ისევე როგორც ილიას დროს, ისევ და

ისევ დღის წესრიგში დგას. ხოლო იდეა ევროპეიზმისა, როგორც ის ესმოდა ილიას და მის თანამოაზრეთ, გულისხმობს იმ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებზეც დამყარებულია ევროპულ და, ერთობ, დასავლეთის ერთა ცხოვრება და რომელნიც ამჟამადაც იგივენი არიან. მაინც რას წარმოადგენენ ეს ევროპული (ევროპულ-დასავლური) პრინციპები და ღირებულებები? – იმ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებიც შეადგენენ შინაარსს დემოკრატიული ლიბერალიზმისა და რომელთა დამკვიდრებისათვის ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში იღვწოდა კიდეც ილია, ქართული დემოკრატიული ლიბერალიზმის ეს მამამთავარი, და მასთან ერთად არსებითად მთელი ქართველი ინტელიგენცია, თაობიდან თაობაში. და ვლაპარაკობთ რა გაწყვეტილი „დროთა კავშირის“ აღდგენაზე, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს, რაკიღა საუბარი ეხება იმას, თუ როგორ გვესახება ახალი საქართველო, სწორედ დემოკრატიული საქართველო, სწორედ დემოკრატიული ლიბერალიზმის კულტურულ-ისტორიული ტრადიციათა აღორძინება ქვეყნის ცხოვრებაში და, ამ გზით და სახით, მისი, როგორც **ქართველობის ტრადიციული იდეოლოგიის** დამკვიდრება. ასე, რომ, ზემორე კითხვაზე ჩვენ ასე ვუპასუხებდით: ახალი საქართველო **ლიბერალურ-დემოკრატიული საქართველო** უნდა იყოს, რაც იქნება კიდეც რეალური დადასტურება იმისა, რომ ქართველი ერის **5-საუკუნოვანი ბრძოლა „ევროპისათვის“**, ანუ ბრძოლა ევროპის ერთა ოჯახში დამკვიდრებისათვის, ბოლოს გამარჯვებით დასრულდა. ამით ჩვენ დავაგვირგვინებთ დღევანდელი ქართველობის სასახელოდ და ხვალინდელი ქართველობის საბედნიეროდ იმ საქმეს, რომელიც გვიანდერძეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა და რომლის **დედა**-აზრიც მათ ასე ჩამოგვიყალიბეს: **ქართველობა ევროპელობაა**.

და ბოლოს, ერთი საკითხიც. რუსეთთან მოლაპარაკების გამო გაცხოველდა კამათი საქართველოს „ევროპული ორიენტაციის“ ირგვლივ. ისმის კითხვა: რას გულისხმობენ მოკამათენი ამ „ორიენტაცია“-ში? ორიენტაციას საერთოდ ევროპაზე, როგორც გარკვეულ „კულტურულ მსოფლიო“-ზე? თუ ამას გულისხმობენ, უნდა ითქვას, რომ აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგან ეს დაახლოებით ჰგავს იმას, კაცმა ამტკიცოს, ჩემს თავზე ვარ ორიენტირებულიო. საქმე ისაა, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ იგი საუკუნეთა განმავლობაში მოწყვეტილი იყო ევროპას და, „აზიურ“ გარემოცვაში მყოფს, მრავალგვარი ფრიად „არაევროპული“

გავლენა განუცდია (მათ შორის „ყიზილბაშობისა“ და „ოსმალობის“ სახით, ამაზე ადრინდელ გავლენებზე რომ არაფერი ვთქვათ), მაინც რჩებოდა კულტურულ-ისტორიულად, ავად თუ კარგად, მაინც თავისი **ქართველობის** შემნახველი, ევროპული **ტიპის** ერად, რაც განსაზღვრავდა კიდეც მის აი – ამ ტიპოლოგიურ კუთვნილებას ევროპული მსოფლიოსადმი. ასე რომ, საუბარი საქართველოს ორიენტაციაზე იმ მსოფლიოსთან მიმართებაში, რომელსაც ის ისედაც ეკუთვნის, როგორც მისი კულტურულ-ისტორიულად ბუნებითი ნაწილი, მეტი რომ არ ვთქვათ, გაუგებრობაა, სხვა არაფერი, რადგან ორიენტაცია „ორიენტირად“ რაღაც **სხვას** გულისხმობს, ხოლო ევროპა, ევროპული მსოფლიო, საქართველოსთვის ასეთი „სხვა“ არაა. მაგრამ საკითხი იმავე ორიენტაციის შესახებ ასეც შეიძლება დაისვას: ევროპის რომელ **ქვეყანაზე** აჯობებდა ორიენტაცია საქართველოსთვის, რომელიც უთუოდ საჭიროებს ასეთ „მეგობარ“ ქვეყანას, როგორიც მას მხოლოდ ევროპაში (და, საერთოდ, დასავლეთში) შეიძლება აღმოაჩნდეს? ამგვარი კითხვა, მართლაც რეალურია და მასზე დაფიქრება ამიტომაც ღირს. რაც შეგვეხება ჩვენ, ასეთ „სამეგობრო“ ქვეყნად **გერმანია** გვესახება, რიგ მოსაზრებათა გამო, რაც, ცხადია, სულაც არ ნიშნავს ევროპის (და არა მარტო ევროპის) სხვა ქვეყნებთან სრულფასოვან ურთიერთობაზე უარის თქმას. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა თემაა, რომელიც ამ წერილის ფარგალს სცილდება, შევნიშნავთ მხოლოდ: ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ევროპამ (და, მისი მეშვეობით ერთობ დასავლეთმა) გვცნოს თავის ნაწილად, რისთვისაც უნდა ვაწარმოოთ კიდეც სათანადო პოლიტიკა, საშინაოცა და საგარეოც, რომელმაც თვალნათლივ უნდა დაანახოს ევროპას, რომ საქართველოს სახით იგი აფართოებს თავის ტერიტორიას 70 ათასი კვ. კილომეტრით, თანაც ისეთ რეგიონში, სადაც ის უშუალო შეხებაში მოდის „ნამდვილ“ აზიასთან (და, ერთობ აღმოსავლეთთან). და იგი, ევროპა, განსაკუთრებით იმაში უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველო, თავისი **გეოკულტურული** (და არა, უბრალოდ, გეოპოლიტიკური) მდგომარეობით მისთვის წარმოადგენს არა მარტო საიმედო ფორპოსტს ევროპაში, არამედ ხიდსაც, ევროპიდან იქ, აზიაში გადებულს უხსოვარი დროიდან... ხოლო ესეც ცალკე თემაა და, ამიტომ ამით დავამთავრებთ.

Выступление перед СБСЕ
(Совещание по безопасности и сотрудничеству в Европе)

Ознакомившись с докладом Предложения (так буду я называть этот документ согласно "подзаголовочной" квалификации, данной ему его авторами, а не только, вернее – не столько по соображениям краткости), для меня с полной очевидностью,помимо прочего, ясно стало одно, с чего и хочу начать: документ этот, предложенный Миссией СБСЕ в Грузии, якобы с целью политического урегулирования т.н. "грузино-осетинского конфликта" в известном регионе этой страны, является **не** политическим, а сугубо **бюрократическим** документом, что и делает его (названный документ) со всеми своими именно бюрократическими "прелестями" „ приятным" во всех отношениях документом, "приятным..." – **именно политически**, лишь для одной, единственно, стороны, а именно – **России** (разумеется, вместе, с Осетией, **исключительно**). Вот первое, что я хотел сказать здесь, в самом начале моего выступления, в присутствии и во услышание уважаемых представителей упомянутой Мисси.

Конечно, было бы весьма и весьма **несерьезно**, по крайней мере с моей стороны, **серьезно** судить о политическом содержании такого документа, также как было бы несерьезно спорить с его авторами, критикуя их за их бюрократическое отношение к делу. Однако сам **факт** этого Предложения, безусловно заслуживает должного внимания, т.е. факт того, что СБСЕ, где представлены демократические страны европейского континента, так реагирует, чисто бюрократически, на события **творящиеся** на востоке Европы. Или это **политика** такая, для которой, чтобы и лучше замаскировать и лучше реализовать ее, и пригодны бюрократы? Трудно поверить, может быть потому, что очень уж не хочется верить таким вещам. Неужели "там", в Европе (подразумеваю не географическую, а геокультурную Европу), кто-нибудь действительно думает,что с разрушением коммунистической системы "Империя Зла" не может возродиться, полагая что она обязательно должна быть "красного цвета", ныне политически окончательно дискредитированного? Я

лично (вовсе не будучи в этом одиноким) думаю, она уже возрождается, и что это Предложение, пред нами лежащее, является “достойной“ лептой, внесенной его авторами в дело этого имперского “ренессанса“.

Вот тот подход, на фоне и в контексте которого хочу я сказать несколько слов, не углубляясь в рассуждения, тем более, что такие “углубления“, при всем желании, “объективно“ невозможны из за самого объекта – текста Предложения, вовсе лишенного соответствующего измерения. К сожалению, я не смогу уделить должного внимания, так сказать, “литературной“ стороне текста, его “литературному“ **стилю,** ибо сказано: стиль – это человек, это изречение можно было бы перефразировать так: стиль **выдает** человека; и действительно ничего так не выдает авторов Предложения так, как именно стиль этого документа, вернее – **тон,** какой-то педагогическо-терапевтический, с соответствующими “литературными“ приемами (составляющих сам этот “стиль“), **весьма нечистоплотными**.

Начнем с конца – с “заключительных комментариев“, рассмотрим подпункт а) (стр.16). читаем: “Согласно общепринятой международной практике, а также принципам СБСЕ любая оценка должна основываться на самих фактах, а не на истории их возникновения“. Оставим в стороне вопрос отношения оценки чего бы то не было к его пониманию, а понимания чего либо – к знанию его истории (в особенности “имманентной“; мы ниже увидим, что авторы, когда это им нужно, вовсе не брезгают “историей“, правда по **своему** оцениваемой и понимаемой) тем более, что бюрократы, будучи своеобразными “софистами“, философию не жалуют, и прямо перейдем к следующей фразе, которую “зарядив“ вышеупомянутыми “принципами“, они, видимо, нам уготовили как “бомбу“: “факты же **таковы**“, – читаем мы далее, – что существует территориальная единица, именуемая “Южная Осетия“ и населенная “преимущественно осетинами“. Как понять это велеречивое “таковы“? Как имеющий оценочный смысл? Выходит: факт должен существовать, потому что факт это – факт. Но тогда, раз факт, как таковой, самоценен, то зачем его оценивать? Правда, в указанном подпункте речь идет только о названии известной “территориальной единицы“,

в защиту которого и оповестили нас в вышеупомянутых “принципах“ (достойных более **уместного применения в самом же этом документе** если бы не “хитроумие“ уважаемых авторов**...**), но, давайте так поставим вопрос: имеется факт существования “территориальной единицы“ населенной „ преимущественно осетинами“ носящее название “Южная Осетия“; грузины оспаривают правомерность существования этой “территориальной единицы“ и его названия (а не право осетин проживать на территории этой единицы, как в одном месте Предложения намекают нам, весьма недобросовестно подменяя одну проблему другой, а в другом месте – даже обвиняют в чуть ли не в геноциде “слишком много грузин“, а в их лице – и всех “грузин“, с чисто тартюфовским “правдо- и человеколюбием“). Так вот, что разумеется под оценкой так сформулированного “факта“, для решения вопроса насколько уважительны требования грузинской стороны? Согласно логике, столь “мастерски“ применяемой вышеприведенном фрагменте, под этой оценкой подразумевается, наверно, лишь констатация факта, как такового, при всем наличии не подлежащего “пересмотру“ “быть или не быть“ ему. Если бы авторы действительно придерживались бы ими же декларированного принципа, то они рассмотрели бы факт т.н. “Южной Осетии“ в отношении другого, думаем, более весомого факта, а именно той “территориальной единицы“, которая именуется Грузией. И тогда они смогли бы по достоинству оценить названный “осетинский“ факт, являющийся в своей основе-же конфликтогенным и, как таковой, постоянным источником взрывоопасной нестабильности ибо таков был сам замысел, заложенный в основу осетинской автономии и тем самим в живое сознание “южных осетин“. Но все это слишком уж серьезный разговор для авторов этого Предложения, а следовательно для нас – слишком уж несерьезный.

Авторы, “верные“ самому факту и игнорирующие во имя этой “верности“ историю ее происхождения, пользуются ею, сказал бы, “анонимно“. Так, они указывают, между прочим на такой факт: “...уже несколько поколений людей как в Советском Союзе, так и за его пределами – использовали для обозначения соответствующей территории название “Южная Осетия“. Заметим, Советского Союза

уже не существует, а что же касается людей, ныне здравствующих на “соответствующей территории“, то, авторы могут быть спокойны: никто не упадет в обморок, узнав, что названия “Южная Осетия“ уже не существует, разве как в России и, конечно, в Осетии (в частности и в особенности). Не будет переполоха, надо надеяться, и на Елисейских полях или на Уол-Стрите, да и в Северной Африке у древнего Карфагена, камни не “возопиют“. Спрашивается, откуда такая всесоюзно-всемирная чуткость авторов в отношении “нескольких поколений людей“? Но ведь говоря о “нескольких поколениях“, эти авторы вступают на очень опасную для себя почву **истории**! А все-таки “скольких“ поколений? “Территориальная единица“, правомерность которой Предложение так защищает, не брезгуя даже такими “фактами“, насчитывает 70 лет, т.е. продолжительность одной человеческой жизни. Этой же 70-летней “историей“ оперируют авторы и в отношении Осетин, мол их “несколько поколений“ привыкли к факту существования “Южной Осетии“. Замечу, что основной “факт“, на котором держится это “фактолюбивое“ Предложение, это факт вот этой “привычки“, насчитывающий историю “целых“ семидесяти лет (“нескольких поколений!“) и являющийся **субъективным фактом** сознания. Но такое-же сознание, с соответствующим фактом, имеется и у грузин, насчитывающее не несколько **десятилетий**, а несколько **тысячелетий,** сознание того, что область, именуемая в Предложении “Южная Осетия“ есть грузинская, и только грузинская, земля (что, повторяем, вовсе не исключает права осетин жить там в качестве **граждан Грузии, т.е. политически грузин**), где и камень не валяется, имеющий какую-либо культурно-историческую ценность, который не являлся бы фактом грузинской, и только грузинской, культуры и истории... Просто спросим наших “судей“: почему игнорируется это тысячелетиями (и поныне) живущее сознание и удостаивается статуса “правоносного“ факта только то, что запечатлено в сознании осетин? И почему не спрашивают, за эти 70 лет, “несколько поколений“ грузин, **привыкли** ли к существованию т.н. “Южной Осетии“, этой мины заложенной под самим сердцем Грузии, согласно оценке этого “факта“, между прочим, и западными специалистами.

Должен заявить, с полной ответственностью в присутствии представителей Миссии, преподнесшей нам этот безответственный документ, безответственный по всем измерениям – политическом, юридическом, моральном, историческом, безответственном по отношению к самим фактам в их действительном понимании, что **нигде в Европе**, на которую указывают нам авторы этого документа в качестве примера, **не существует автономии, подобной "южноосетинской"**.

Авторы Предложения, вопреки своему утверждению, в действительности признающие не силу факта, а факт силы, игнорируют тот факт, что "Южная Осетия" являлась административной единицей, а не политической, в одном месте документа даже выражают, несколько иронично, сожаление, что большевистская Россия ее "удостоила" только "административной" автономии, тогда как Абхазия и Аджария были возведены в ранг автономий "политических". И, как видно, во имя "симметрий" справедливости, авторы, рекомендующие нам "асиметричную федерацию", вносят коррективы в этот "несправедливый факт" и даруют осетинам "политическую автономию", показывая тем самим пример творческого подхода к фактам. Но интересен этот "симметризм" в другом плане: Предложение таким образом выравнивает статусы "двух Осетий" – "Северной" и "Южной", создавая тем самым два осетинских государства, разделенных как некогда Германия, или (и поныне) Корея. Но авторы в "отличии „ от коммунистов, **в ожидании лучших времен**, не возводят между этими "двумя Осетиями" Берлинской стены, а "рекомендуют" обеспечить "максимальную прозрачность границ". Вот как пекутся авторы о стабильности, о территориальной целостности Грузии, уверяя нас, что и Россия и "Северная" Осетия именно **настаивают** на нерушимости границ.Да, именно настаивают, так что нам нечего опасаться: даже если мы предложим России, воссоединить"Южную Осетию" с "Северной", то и Россия, и Осетия ("Северная") решительно отвергнут это наше предложение. Поэтому авторы советуют нам не быть мелочными, не придавать значения таким "второстепенным" вещам, как будет называться – "областью" или "республикой", и "**проявить в этом вопросе великодушие,**

если Южная Осетия согласится вновь войти в состав Грузинского государства“. Замечательная фраза, ничего не скажешь. Но странно, почему нам проявлять великодушие (слово то какое!), если нам еще следует доказать осетинам, что мы не людоеды и они спокойно могут жить в своей “Южной Осетии“. Любопытная деталь: оказывается, различая “область“ и “республика“ (или “государство“), мы находимся в плену “советских“ представлений, от которых, если это так, нам следует поскорее освободиться. И, действительно какое значение имеет, как будет называться эта „Южная Осетия“ – ведь **фактически** (основа для будущих “оценок“!) она будет государством (столь же “ценно“фактически), весьма “симметрично“ федерированной не в Грузии, а с Грузией, а еще “симметричнее“ с “Северной Осетией“... в составе России. Мы здесь не остановимся на таких аргументах, сугубо научных, как мнение “многих исследователей“, с их “не должно“ или “здравый смысл“, с их “Европой“, объединяющей, как видно, единым “здравым смыслом“ и единым пониманием “долженствования“, скажем, Великобританию и Россию, не остановимся и на такой гарантии, твердой как гранит, какую нам обещает Миссия: шутка ли, документ, регулирующий на основе данного Предложения, отношения между Грузией и “Южной Осетией“ будет хранится в Вене. Не остановимся и на многом другом, и так резюмируем наше отношение к этому обольстительному Предложению:

Мы считаем, что Предложение Миссии СБСЕ в Грузии является прямой попыткой узаконить от имени упомянутой международной организации результаты преступной политики Царистской и Большевистской России, притом узаконить не путем восстановления “Южной Осетии“ с ее прежним статусом административной автономии, а повышения ее статуса в ранг политический. Таким образом СБСЕ явилась в отношении Грузии охранителем и продолжателем царистско-большевитской политики, ее “славных“ традиций, тем самым, ославив себя в глазах всех здравомыслящих грузин и, думаем, всех порядочных людей, с чем мы господ миссионеров, а в их лице и саму организацию, ими представляемую, никак не можем... поздравить.

И, наконец, разрешите мою прозу завершить чужими стихами, вернее, одной стихотворной **строкой** одного русского стихотворца. сперва я хотел ее предпослать моему Выступлению в качестве эпиграфа, но потом, для пущего эффекта – поэтического! – решил ею украсить финал. А вот и этот стих:

“Здесь русский дух, здесь Русью пахнет!“

სიტყვა წარმოთქმული ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე

„წინადადების“ ანგარიშის გაცნობის შემდეგ (ასე ვუწოდებ ამ დოკუმენტს მისი ავტორების მიერ მიცემული „ქვესათაურის“ შესაბამისად არა სიმოკლის, უფრო სწორად, არა მხოლოდ სიმოკლის, თვალსაზრისით), გარდა სხვა დანარჩენისა, ჩემთვის სრულიად ცხადი გახდა ერთი რამ, რითიც მინდა დავიწყო: ეს დოკუმენტი, რომელიც საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ არის შემოთავაზებული, ამ ქვეყნის ცნობილ რეგიონში თითქოს ე.წ. „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ პოლიტიკური დარეგულირების მიზნით, არის **არა** პოლიტიკური, არამედ პირწმინდად **ბიუროკრატიული** დოკუმენტი, რაც მას (ხსენებულ დოკუმენტს) თავისი ბიუროკრატიული „ხიბლით“ ხდის ყველა თვალსაზრისით სასიამოვნო დოკუმენტად, სასიამოვნოდ... **სწორედ პოლიტიკურად,** ერთადერთი მხარისათვის, კერძოდ, **რუსეთისათვის** (გასაგებია, ოსეთთან ერთად). ეს არის პირველი, რაც მინდოდა მეთქვა აქ, ჩემი გამოსვლის დასაწყისში, „მისიის“ ძვირფასი წარმომადგენლების თანდასწრებითა და მათ გასაგონად.

რა თქმა უნდა, ძალიან **არასერიოზული** იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან, **სერიოზულად** განმესაჯა ამ დოკუმენტის პოლიტიკური შინაარსი, ისევე, როგორც არასერიოზული იქნებოდა მის ავტორებთან კამათი საქმისადმი მათი ბუროკრატიული დამოკიდებულების გამო. თუმცა ეს „წინადადება“, როგორც **ფაქტი**, ნამდვილად იმსახურებს სათანადო ყურადღებას, ანუ ის ფაქტი, რომ **ეუთო,** რომელშიც წარმოდგენილია ევროპის კონტინენტის დემოკრატიული ქვეყნები, რეაგირებს ასე, სრულიად ბიუროკრატიულად, ევროპის აღმოსავლეთში **მიმდინარე** მოვლენებ-

ზე. ან, შეიძლება, ეს **პოლიტიკაა ასეთი,** რომლის უკეთ შესანიღ-ბად და უკეთ განსახორციელებლადაც სწორედ ბიუროკრატები გამოდგებიან? რთულია ამის დაჯერება, ალბათ იმიტომ, რომ არ გინდა ამის დაჯერება. ნუთუ ევროპაში (ვგულისხმობ არა გეოგ-რაფიულს, არამედ გეოკულტურულ ევროპას) ვინმეს მართლაც ჰგონია, რომ კომუნისტური სისტემის განადგურების შემდეგ „ბო-როტების იმპერია“ ვერ აღდგება, რადგან, მათი აზრით, ბოროტე-ბის იმპერია მაინცდამაინც „წითელი ფერის“ უნდა იყოს, დღეს-დღეობით პოლიტიკურად საბოლოოდ დისკრედიტირებული ფე-რის? მე პირადად (და ამაში მარტო არ ვარ) ვფიქრობ, რომ ის უკვე იწყებს აღდგენას და რომ ეს „წინადადება“, რომელიც ჩვენ წინაშეა, არის „ღირსეული“ წვლილი, მისი ავტორების მიერ შეტა-ნილი იმპერიის „რენესანსის“ საქმეში.

აი, ამ მიდგომის ფონზე და ამ კონტექსტში მინდა რამდენი-მე სიტყვა ვთქვა მსჯელობაში ჩაღრმავების გარეშე, მით უმეტეს, რომ ასეთი „ჩაღრმავება“, მიუხედავად დიდი სურვილისა, „ობი-ექტურად“ შეუძლებელია თავად ობიექტის – „წინადადების“ – ტექსტის გამო, რომელიც საერთოდ მოკლებულია შესაბამის განზომილებას. სამწუხაროდ, მე არ შემიძლია სათანადო ყურადღება დავუთმო, ასე ვთქვათ, ტექსტის „ლიტერატურულ“ მხარეს, მის „ლიტერატურულ“ **სტილს,** რადგან ნათქვამია: სტილი არის ადამი-ანი. ამ გამონათქვამს მე ასე შევცვლიდი: სტილი **ააშკარავებს** ადამიანს; და, მართლაც, არაფერი ააშკარავებს „წინადადებების“ ავტორებს ისე, როგორც ამ დოკუმენტის სტილი, უფრო სწორად, ტონი, რაღაც პედაგოგიურ-თერაპიული **ტონი** და შესაბამისი „ლიტერატურული“ ხერხები (რომლებიც თავად ამ „სტილს“ ქმნის), ძალიან **არაკეთილსინდისიერი.**

დავიწყოთ ბოლოდან – დასკვნითი კომენტარებით. განვიხი-ლოთ ქვეპუნქტი ა) (გვერდი 16). ვკითხულობთ: „საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკისა და **ეუთო-**ს პრინციპების თანახმად, ნებისმიერი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებს და არა მათი წარმოშობის ისტორიას“. გადავდოთ გვერდზე საკითხი, რამდენად ითხოვს და რა კავშირშია ამა თუ იმ ფაქტის შეფასება მისი ისტორიის ცოდნასთან (განსაკუთრებით, იმანენტურის). ქვე-მოთ დავინახავთ, რომ ავტორები, როდესაც ეს მათ სჭირდებათ, არ თაკილობენ ისტორიის მოშველიებას, მართალია, მათებურად შეფასებულსა და გაგებულს, მით უმეტეს, რომ ბიუროკრატები,

როგორც თავისებური „სოფისტები“, ფილოსოფიას არ სწყალობენ და პირდაპირ გადავიდეთ შემდეგ ფრაზაზე, რომელიც, ზემოთ აღნიშნული „პრინციპებით“ „გაჯერებული“, როგორც ჩანს, მათ მოგვიმზადეს, როგორც „ბომბი“: „ფაქტები კი **ასეთია**“, ვკითხულობთ შემდგომ, არსებობს ტერიტორიული ერთეული სახელწოდებით „სამხრეთი ოსეთი“, დასახლებული „უმეტესწილად ოსებით“. როგორ უნდა გავიგოთ ეს ხმამაღალი „ასეთი“? როგორც შეფასებითი აზრის მქონე? ანუ გამოდის, რომ ფაქტი იმიტომ უნდა არსებობდეს, რომ ფაქტი არის ფაქტი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი თავისთავად ფასეულია, რატომ უნდა შევაფასოთ ის? მართალია, მოცემულ ქვეპუნქტში ლაპარაკია მხოლოდ ცნობილი ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებაზე, რომლის დაცვის შესახებ ჩვენ გვამცნეს ზემოაღნიშნულ „პრინციპებში“ (რომელთა გამოყენებაც ოფრო **უპრიანი** იქნებოდა თავად ამ დოკუმენტში, რომ არა პატივცემული ავტორების პატარა ეშმაკობა ...), მაგრამ, მოდით, ასე დავსვათ საკითხი – გვაქვს ფაქტი: არსებობს „ტერიტორიული ერთეული“, უმეტესად დასახლებული ოსებით, სახელწოდებით „სამხრეთი ოსეთი“; ქართველები ეჭვქვეშ აყენებენ ამ ტერიტორიული ერთეულის არსებობის კანონიერებას და მის სახელწოდებას (და არა ოსების უფლებას, იცხოვრონ ამ ერთეულის ტერიტორიაზე, როგორც „წინადადებების“ ერთ ადგილას გადაკვრით გვეუბნებიან და, სრულიად არაკეთილსინდისიერად ერთ პრობლემას მეორით ანაცვლებენ, ხოლო სხვა ადგილას კი სუფთად ტარტიუფისეული „სიმართლით- და კაცთმოყვარეობით“ ლამის გენოციდში ადანაშაულებენ „ძალიან ბევრ ქართველს“, მათი სახით კი – ყველა „ქართველს“). მაშ ასე, რას გვთავაზობს ამგვარად ჩამოყალიბებული „ფაქტის“ შეფასება იმის გადასაწყვეტად, რამდენად ანგარიშგასაწევია ქართული მხარის მოთხოვნები? ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში, ასე „ოსტატურად“ გამოყენებული ლოგიკის თანახმად, ამ შეფასების ქვეშ იგულისხმება, ალბათ, მხოლოდ ფაქტის, როგორც ასეთის, დადასტურება, რომლის „ყოფნა-არყოფნა“ „გადასინჯვას“ არ ექვემდებარება. მაგრამ ავტორები მართლა ერთგულნი რომ ყოფილიყვნენ მათ მიერვე დეკლარირებული პრინციპისა, მაშინ ისინი განიხილავდნენ ე. წ. „სამხრეთი ოსეთის“ ფაქტს სხვა, ვფიქრობთ, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტის მიმართ, კერძოდ იმ ტერიტორიული ერთეულის მიმართ, რომელსაც ჰქვია საქართველო. და მაშინ ისინი

შეძლებდნენ სათანადოდ შეეფასებინათ ეგრეთ წოდებული „ოსური“ ფაქტი, რომელიც თავისთავად უკვე კონფლიქტოგენური და, როგორც ასეთი, მუდმივი წყაროა სახიფათო არასტაბილურობისა, რადგან თავიდანვე ასეთი იყო ჩანაფიქრი, რომელიც საფუძვლად დაედო ოსურ ავტონომიასა და რომელმაც (აქედან გამომდინარე) ასახვა პოვა „სამხრეთელი ოსების“ ცოცხალ ცნობიერებაში. მაგრამ ეს ყველაფერი ზედმეტად სერიოზული ლაპარაკია ამ „წინადადების“ ავტორებისთვის და, შესაბამისად, ზედმეტად არასერიოზული – ჩვენთვის.

ავტორები, „ერთგულნი“ ფაქტისა, ამ „ერთგულების“ სახელით უგულებელყოფენ მისი წარმოშობის ისტორიას და ამავე ისტორიას იყენებენ, ვიტყოდი, „ანონიმურად“. ასე, მაგალითად, ისინი მიუთითებენ შემდეგ ფაქტზე: „... უკვე რამდენიმე თაობა ადამიანებისა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ შესაბამისი ტერიტორიის აღსანიშნავად იყენებს სახელწოდებას „სამხრეთი ოსეთი“. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ხოლო რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ „შესაბამის ტერიტორიაზე“, ავტორებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: არავის წაუვა გული იმის გაგონებაზე, რომ სახელწოდება „სამხრეთი ოსეთი“ აღარ არსებობს, თუ არ ჩავთვლით რუსეთს და, რა თქმა უნდა, ოსეთს (კერძოდ და განსაკუთრებით). იმედია, არც ელისეს ველებზე, არც უოლ-სთრითზე და არც აფრიკაში, ძველ კართაგენთან, არ გაისმება ქვათა ღაღადი. ისმის კითხვა, რატომ იჩენენ ავტორები ასეთ სიფაქიზეს საკავშირო-საერთაშორისო მასშტაბით ადამიანთა რამდენიმე თაობის მიმართ? მაგრამ „რამდენიმე თაობაზე“ ლაპარაკისას ეს ავტორები ხომ ისტორიის მათთვის ძალიან სახიფათო სფეროში იჭრებიან! და მაინც, რამდენ თაობას გულისხმობენ? „ტერიტორიული ერთეული“, რომლის მართლზომიერების დასაცავად „წინადადება“ არ თაკილობს ასეთი ფაქტების მოშველიებასაც კი, 70 წელს ითვლის. ამავე 70-წლიან „ისტორიას“ იყენებენ ავტორები ოსების მიმართაც, აქაოდა მათი „რამდენიმე თაობა“ მიეჩვია „სამხრეთ ოსეთის“ არსებობის ფაქტს. აღვნიშნავ, რომ ძირითადი „ფაქტი“, რომელსაც ეს „ფაქტების მოყვარული“ „წინადადება“ ეფუძნება, არის ამ „მიჩვევის“ ფაქტი, რომელსაც მთელი „სამოცდაათწლიანი“ ისტორია (რამდენიმე თაობა!) აქვს და ცნობიერებაში არსებული **სუბიექტური ფაქტია**. მაგრამ ასეთივე ცნობიერება,

შესაბამისი ფაქტით, აქვთ ქართველებსაც, რომელიც არა რამდენიმე **ათწლეულის,** არამედ რამდენიმე **ათასწლეულის** ცნობიერებას წარმოადგენს იმის შესახებ, რომ რეგიონი, რომელსაც „წინადადებაში“ „სამხრეთი ოსეთი“ ეწოდება, არის ქართული და მხოლოდ ქართული მიწა (რაც, ვიმეორებთ, არ გამორიცხავს ოსების უფლებას, იცხოვრონ იქ, როგორც **საქართველოს მოქალაქეებმა** ანუ **პოლიტიკურად ქართველებმა**), სადაც ქვაც არ გდია, რაიმე კულტურულ-ისტორიული ღირებულება რომ არ ჰქონდეს და რომელიც არ წარმოადგენდეს ქართული და მხოლოდ ქართული კულტურისა და ისტორიის ფაქტს... უბრალოდ ვკითხოთ ჩვენს „მოსამართლეებს“: რატომ უგულებელყოფენ ათასწლეულების მანძილზე (და ახლაც) ცოცხალ ცნობიერებას და „სამართლებრივი" ფაქტის სტატუსს ანიჭებენ მხოლოდ იმას, რაც ოსების ცნობიერებაშია ჩაბეჭდილი? და რატომ არ კითხულობენ, ამ 70 წლის განმავლობაში „ქართველთა რამდენიმე თაობა“ მიეჩვია თუ არა ე. წ. „სამხრეთი ოსეთის“ არსებობას, შენელებული მოქმედების ნაღმს, ჩადებულს საქართველოს გულში, როგორც ამ ფაქტს, სხვათა შორის, დასავლელი სპეციალისტებიც აფასებენ. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო იმ მისიის წარმომადგენლების თანდასწრებით, რომელმაც შემოგვთავაზა ეს უპასუხისმგებლო დოკუმენტი, უპასუხისმგებლო ყველა განზომილებით: პოლიტიკური, იურიდიული, მორალური, ისტორიული, უპასუხისმგებლო თავად ფაქტების მიმართ მათი ნამდვილი გაგებით, რომ **არსად ევროპაში,** რომელიც ამ დოკუმენტის ავტორებს მაგალითად მოჰყავთ, **არ არსებობს „სამხრეთი ოსეთის“ მსგავსი ავტონომია.**

„წინადადების“ ავტორები, რომლებიც, თავიანთი მტკიცების საპირისპიროდ, სინამდვილეში აღიარებენ არა ფაქტის ძალას, არამედ ძალის ფაქტს, უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ „სამხრეთი ოსეთი“ იყო ადმინისტრაციული ერთეული და არა პოლიტიკური, დოკუმენტის ერთ ადგილას კი ოდნავ ირონიულად გამოხატავენ სინანულს, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა მას მხოლოდ „ადმინისტრაციული“ ავტონომია მიანიჭა მაშინ, როდესაც აფხაზეთი და აჭარა „პოლიტიკური“ ავტონომიების რანგში აიყვანეს. სამართლიანობის „სიმეტრიის“ სახელით ავტორები, რომლებიც „ასიმეტრიულ ფედერაციას“ გვირჩევენ, ამ „უსამართლო ფაქტს“ ასწორებენ და ოსებს „პოლიტიკური ავტონომიით“ ასაჩუქრებენ,

რითაც თავად აჩვენებენ ფაქტებისადმი შემოქმედებით მიდგომას. მაგრამ ეს „სიმეტრიულობა“ საინტერესოა სხვა თვალსაზრისით: „წინადადება“ ამგვარად ათანაბრებს „ორი ოსეთის“ სტატუსს – „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის“, რითაც იქმნება ორი ოსური სახელმწიფო, გაყოფილი, როგორც ოდესღაც გერმანია, ან (ჯერ კიდევ) კორეა. მაგრამ ავტორები, კომუნისტებისგან განსხვავებით, **უკეთესი დროის მოლოდინში**, ამ ორ ოსეთს შორის ბერლინის კედელს კი არ აშენებენ, არამედ გვირჩევენ საზღვრების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. აი, ასე ზრუნავენ ავტორები საქართველოს სტაბილურობასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე, გვარწმუნებენ რა, რომ რუსეთიც და „ჩრდილოეთი ოსეთიც“ საზღვრების ხელშეუხებლობას სწორედ რომ დაჟინებით ადასტურებენ. დიახ, სწორედ ისინი არიან დაჟინებულები, ასე რომ, ჩვენ შიშის საფუძველი არ გვაქვს: რუსეთს „სამხრეთი ოსეთის“ „ჩრდილოეთთან“ გაერთიანება რომც ვურჩიოთ, რუსეთიც და ოსეთიც („ჩრდილოეთი ოსეთი“) გადაჭრით უარყოფენ ჩვენს წინადადებას. ამიტომ ავტორები გვირჩევენ, რომ არ დავწვრილმანდეთ, არ მივანიჭოთ მნიშვნელობა ასეთ „მეორეხარისხოვან“ რაღაცებს, როგორიცაა, ერქმევა „ოლქი“ თუ „რესპუბლიკა“ და **„დიდსულოვნება გამოვავლინოთ ამ საკითხში, თუკი „სამხრეთი ოსეთი“ დათანხმდება, კვლავ შევიდეს ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში“**. მშვენიერი ფრაზაა, ვერაფერს იტყვი. მაგრამ უცნაურია, რა დიდსულოვნებაზეა (მარტო ეს სიტყვა რად ღირს) ლაპარაკი, როცა ჯერ თურმე ის გვაქვს დასამტკიცებელი, რომ კაციჭამიები არ ვართ და მათ შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ თავიანთ „სამხრეთ ოსეთში“. საინტერესო დეტალი: აღმოჩნდა, რომ, თუ „ოლქსა“ და „რესპუბლიკას“ (ან „სახელმწიფოს“) ერთმანეთისგან განვასხვავებთ, ჩვენ „საბჭოთა“ წარმოდგენების ტყვეობაში ვართ, რომელთაგანაც, თუ ეს ასეა, სწრაფად უნდა გავთავისუფლდეთ. და მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელი ეწოდება ამ „სამხრეთ ოსეთს“? ის ხომ **ფაქტობრივად** (საფუძველი მომავალი „შეფასებებისთვის“!) იქნება სახელმწიფო (ასევე „ღირებული“, როგორც ფაქტი), ერთობ „სიმეტრიულად“ ფედერირებული არა საქართველოში, არამედ საქართველოსთან, და კიდევ უფრო „სიმეტრიულად“ „ჩრდილოეთ ოსეთთან“... რუსეთის შემადგენლობაში. აქ არ შევჩერდებით ისეთ არგუმენტებზე, წმინდა წყლის სამეცნიეროზე, როგორებიცაა: „აზრი ბევრი მკვლევრი-

სა“, „არამართებული“, „ჯანსაღი აზრი“, „ევროპა“, რომელიც, როგორც ჩანს, ერთიანი „ჯანსაღი აზრითა“ და „მართებულობის“ ერთიანი გაგებით აერთიანებს, ვთქვათ, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს, არ შევჩერდებით ისეთ გარანტიაზე, გრანიტივით მყარზე, როგორსაც ჩვენ გვპირდება მისია: დოკუმენტი, რომელიც ამ „წინადადების“ საფუძველზე არეგულირებს საქართველოსა და „სამხრეთ ოსეთის“ ურთიერთობებს, შეინახება, ხუმრობა ხომ არაა, ვენაში. არ შევჩერდები კიდევ მრავალ სხვა რამეზე და ჩვენს დამოკიდებულებას ამ მომხიბვლელი „წინადადებისადმი“ ასე შევაჯამებთ: ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში ეუთო-ს მისიის შემოთავაზება არის პირდაპირი მცდელობა, ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით დაკანონდეს მეფისა და ბოლშევიკური რუსეთის დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგები. ამასთან, დაკანონდეს არა „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციული ავტონომიის ძველი სტატუსის აღდგენის გზით, არამედ მისი პოლიტიკურ სტატუსში ამაღლების გზით. ამგვარად, ეუთო საქართველოს მიმართ აღმოჩნდა ცარისტულ-ბოლშევიკური პოლიტიკის, მისი „დიდებული“ ტრადიციების მცველი და გამგრძელებელი, რითაც თავი მოიჭრა ყველა გონიერი ქართველისა და, ვფიქრობთ, ყველა წესიერი ადამიანის თვალში, რასაც ჩვენ ბატონ მისიონერებს, და მათი სახით თავად ორგანიზაციას, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ვერ... მივულოცავთ.

დაბოლოს, ნება მომეცით, ჩემი პროზა დავამთავრო სხვისი ლექსებით, უფრო სწორად, ერთი რუსი პოეტის ერთი ლექსის **ტაეპით**. თავდაპირველად მინდოდა, რომ ეს ჩემი გამოსვლისთვის ეპიგრაფად წამემძღვარებინა, მაგრამ შემდეგ, მეტი ეფექტისთვის – პოეტური ეფექტისთვის! – გადავწყვიტე, რომ მისით დასასრული დამემშვენებინა. აი, ეს ტაეპი:

„Здесь русский дух, здесь Русью пахнет!“

ქართველი ინტელიგენცია: რას წარმოადგენს იგი დღეს?

დღევანდელი ქართველი ინტელიგენციის შესახებ ობიექტური აზრის შემუშავება და, მით უმეტეს, სათანადო მსჯავრის გამოტანა ჩვენთვის, მის თანამედროვეთათვის, თუ შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში მეტად ძნელია, რადგან საუბარი გვიხდება ჩვენს საკუთარ თავზე, ჩვენს საქმეებსა და ჩვენს სიტყვებზე, რომლებიც, თანაც, წარსულს კი არ ეკუთვნიან, არამედ ცოცხალ აწმყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ჩვენი მსჯელობა, გვინდა თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მაინც სუბიექტური იქნება: ჩვენ ჯერ არ ვართ ისტორიულად დისტანცირებული დღევანდელობას (ამისთვის იგი მეტნაკლებ დასრულებულ წარსულად უნდა იქცეს), რომ შეგვეძლოს, იგი ობიექტური ანალიზისა და შეფასების საგნად ვიქონიოთ.

გარდა ამისა, საკითხი, რომელსაც აქ შევეხები, ფრიად რთულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ე.წ. „კომპლექსურ მიდგომას“ მოითხოვს: სოციოლოგიურს, ფსიქოლოგიურს, ისტორიულს, ხოლო, თუკი ბოლომდე ჩავუღრმავდებით, ფილოსოფიურსაც, რაც, მთელი სისრულით რომ განხორციელდეს, ასევე მომავლის საქმეა.

მაგრამ მიუხედავად ზემოთქმულისა (თუმც მისი გათვალისწინებით), მე ჩემსას მაინც შევეცდები, რათა გავცე პასუხი დასმულ კითხვას, რომლის გარკვევასაც დღეს ჩვენთვის დიდი სადღეისო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო.

I

სანამ ჩვენს უშუალო საგანზე გადავიდოდეთ, ჯერ ეს ვიკითხოთ: რა იგულისხმება „ინტელიგენციის“ სახელქვეშ? მე აქ სათანადო ცნების ანალიზსა და განსაზღვრას ვერ შევუდგები, მაგრამ, რათა მიახლოებითი წარმოდგენა გვქონდეს, რაზეა საუბარი, მოვიყვან ერთ განმარტებას, რომელიც, ვფიქრობ, საკმარისად დამაკმაყოფილებელია. აი, როგორ განმარტავს „ინტელიგენციას“ ცნობილი ლექსიკოგრაფი ჰ. ვ. ფაულერი: „სიტყვა „ინტელიგენცია“ გაჩნდა, დაახლოებით, 1870 წელს რუსეთში და თავდაპირველად იგი გამოიყენებოდა ინტელექტუალების მიმართ,

რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რევოლუციურ მოძრაობასთან. რევოლუციის შემდეგ ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა და მისი ოფიციალური საბჭოთა განსაზღვრა უკვე ასეთია: „სოციალური ფენა, რომელიც შედგება პროფესიულად გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანებისაგან“. ხოლო, ვინაიდან ეს ფენა მოიცავს არა მხოლოდ ხელოვნების და სხვა პროფესიების წარმომადგენელთ, არამედ აგრეთვე თეთრსაყელოიან მუშებსაც, სიტყვა „ინტელიგენციამ“ თავის სამშობლოში უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე მას ჰქონდა მანამდე, როდესაც იგი აღნიშნავდა ზედა საშუალო ფენას.“ ამის შემდეგ ავტორი გვაძლევს ამ სიტყვის განმარტებებს ავტორიტეტული ინგლსური ლექსიკონებიდან: „საზოგადოების კლასი, რომელსაც მიაწერენ კულტურას, მაღალ ინტელექტს და მოწინავე პოლიტიკურ შეხედულებებს“; „მოსახლეობის განათლებული ნაწილისაგან შემდგარი კლასი, რომელსაც, მიჩნეულია, რომ აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უნარი“; „ერის ნაწილი, რომელიც ისწრაფვის დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ“.

ვფიქრობ, ზემორე განმარტება, ჩემთვის საინტერესო სიტყვისა, იმის მიუხედავად, რომ იგი არ გვაძლევს ცნების ზუსტ განსაზღვრას, საკმარისია იმისათვის, რათა მეტ-ნაკლები სიცხადითა და სისრულით ვიქონიოთ წარმოდგენა, თუ რას გულისხმობს სიტყვა „ინტელიგენცია“. და მაინც მსურს, ერთი განმარტება დავურთო ჩემგან.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში არაიშვიათად შევხვედრივართ, ასე ვთქვათ, „პროფესიით“ ინტელიგენტებს (მეცნიერებისა თუ ხელოვნების წარმომადგენლებს, მწერლებს და ა.შ.), რომლებიც არ მიგვიჩნევია ინტელიგენტებად, ხოლო, მეორე მხრივ, გვინახავს ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობით თითქოს არ უნდა ეკუთვნოდნენ ინტელიგენციას (გლეხი, მუშა, ხელოსანი...), მაგრამ ისინი მაინც ინტელიგენტებად შეგვიფასებია. აშკარაა, აქ საუბარი ეხება ინტელიგენტობას, როგორც ადამიანის შინაგან, მის ბუნებითს მახასიათებელს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმასთან, თუ ეს ადამიანი ცხოვრებაში რომელი პროფესიის მიმდევარია. ვფიქრობ, რომ ინტელიგენციის ეს გაგება, უფრო არსებითია, ვიდრე ზემოაღნიშნული პროფესიული ნიშნით განსაზღვრა ამა თუ იმ პიროვნების ინტელიგენტობისა. ამ თვალსაზრისით, ინტელიგენტი სხვა არა არის რა, თუ არა „გონის კაცი“, სიტყვა

„გონის“ ორმაგი მნიშვნელობით: გონი – აზრი და გონი – სული. და, მართლაც, ამგვარი ადამიანი, ვინც ასეთი გონითი ცხოვრებით ცხოვრობს (უწოდეთ მას, გნებავთ – „ინტელექტუალი“, გნებავთ – „სპირიტუალი“), შეიძლება შეგხვდეს საზოგადოების ნებისმიერ ფენაში. ინტელიგენტობა, ამ გაგებით, ერის ერთი რომელიმე ნაწილის კონსტიტუციურ პრივილეგიას არ შეადგენს, ისევე როგორც არაინტელიგენტური ელემენტისგან არც ერთი, ერის ამავე ნაწილთა შორის, დაზღვეული არ არის. და ჩვენი ცხოვრების მცოდნეს მით უფრო არ უნდა გაუკვირდეს დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში არაინტელიგენტი მწერლისა თუ პროფესორის არსებობა (რომ არაფერი ვთქვათ ინტელიგენტ გლეხსა თუ მუშაზე, რაც სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება ყველა შემთხვევაში). სხვათა შორის, ერთ-ერთი განმარტება „ინტელიგენციისა“ ფაულერის მიერ მოყვანილი, ინტელიგენტობაზე სწორედ ამ წარმოდგენას უნდა გამოხატავდეს. მაგრამ ამ წერილში მე არსებითად საუბარი მექნება ქართველ ინტელიგენციაზე ზემოხსენებული „პროფესიული“ გაგებით, ე.ი. მხედველობაში მეყოლებიან ადამიანები, რომელთაც მათი პროფესიის მიხედვით აკუთვნებენ ინტელიგენციის სოციალურ ფენას.

II

ვინც კი გასცნობია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ისტორიას სხვადასხვა ქვეყანაში, მან უთუოდ იცის, რომ ამ მოძრაობათა ინტელექტუალურად წარმმართველ ძალას, ძალას – აზრის მიმნიჭებელსა და სულის ჩამდგმელს, წარმოადგენდა სწორედ ინტელიგენცია – ხელოვნებისა და მეცნიერების, ფილოსოფოსების, იურისტების, მედიკოსების, პედაგოგების და სხვათა სახით. განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ უნივერსიტეტები, საუნივერსიტეტო პროფესურა და სტუდენტობა. ასე იყო მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, – საუკუნისა, რომელიც გამოირჩეოდა, როგორც ეპოქა დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი, ირლანდია და ა.შ. მართალია, გერმანიაში არ უხდებოდათ ბრძოლა უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ (ვგულისხმობ პერიოდს 1814 წლიდან), მაგრამ აქაც მოძრაობა ქვეყნის გაერთიანებისათვის იმ ხასიათისა იყო, რომ იგიც

ზემოხსენებულ დიდ მოძრაობათა კატეგორიას მიეკუთვნება; და ამ შემთხვევაშიც ინტელიგენციის ფართო ეროვნული აქტივობის მსგავსი სურათი წარმოგვიდგება.

ანალოგიურ სიტუაციას ვხედავთ ჩვენი ქვეყნის წარსულშიც, მხედველობაში მაქვს რა პერიოდი ცარისტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში, კერძოდ და განსაკუთრებით ხანა – წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული. მართლაც, რით ხასიათდებოდა ჩვენი ერის ეს (1801-1918 წ.წ.) განმათავისუფლებელი მოძრაობა? – ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ქართველ მწერალს, ხელოვნებისა თუ მეცნიერების მოღვაწეს, საერთოდ – ვერც ერთ მეტნაკლებ ღირსსახსენებელ ინტელიგენტს, რომელიც არ ყოფილიყოს ამ მოძრაობაში ჩართული. მე აქ არ ჩამოვთვლი სახელებს ქართული კულტურის მოქმედთა, რომლებიც ხსენებული მოძრაობის მონაწილენი იყვნენ: ისინი საკმაოდ ცნობილნი არიან ჩვენი საზოგადოებისთვის; აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ დიდი მოძრაობის ნამდვილ გონებრივ (ისევე როგორც, ცხადია, ზნეობრივ) „მოტორს“ სწორედ **ქართველი ინტელიგენცია** წარმოადგენდა, პროფესიულად მოღვაწე არამარტო ჰუმანიტარულ სფეროში, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგშიც (გავიხსენოთ ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი...), რომ არაფერი ვთქვათ ინტელიგენციის იმ ფრთაზე, რომელსაც შეადგენდნენ ინჟინრები, მედიკოსები, მეწარმე-კაპიტალისტები (დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები...) და სხვ.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენდა ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა 1990 წელს, როდესაც არჩევნების გზით დაემხო საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი.

რაგინდ სამძიმო იყოს ჩვენთვის ამის აღიარება, ქვეყნის ინტერესი გვაიძულებს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, სიმართლე კი ისაა, რომ ეს მოძრაობა მეტად მწირი იყო სწორედ ინტელიგენტური ელემენტებით და მეტად ღარიბი თავისი კულტურული რესურსებით. ალბათ, მომავალში, როდესაც შეისწავლიან ამ პერიოდს, შეკრებენ და გამოსცემენ ყოველივეს, რაც ამ მოძრაობის დროს დაიწერა და ითქვა, და მაშინ (სამწუხაროდ, ამაში დარწნებული ვარ) მკვლევარი განცვიფრებული დარჩება ჩვენი მოძრაობის მეტისმეტი ინტელექტუალური სიღატაკით. ნაცვლად იმისა, რომ ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, წარმოჩე-

ნილიყო, როგორც კულტურული აღმავლობა, რომლის დამახასიათებელი ნიშანიც იქნებოდა განსაკუთრებული, თავისი სიღრმე-სიგანით, შემოქმედებითი აქტივობა, ჩვენ ვხედავთ (ხოლო მომავლიდან კიდევ მეტი სიცხადით დავინახავთ), რომ ხსენებული მოძრაობა, პირიქით, გამოირჩეოდა შემოქმედებით ენერგიის თითქმის სრული უქონლობით, რისი მჭევრმეტყველი მოწამეცაა ჩვენი კულტურის რომელიც გნებავთ სფერო, სადაც არ ჩანს ამ მოძრაობის პროდუქტიულობის არავითარი ნიშანწყალი.

სხვათა შორის, ისტორიულად ცნობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის ნიშანდობლივი იყო **საგანმანათლებო** იდეალები, რომლებიც აღძრავდნენ საზოგადოებას, პირველ რიგში, ცხადია, ახალგაზრდობას, ცოდნის დაუფლებისათვის, გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებისთვის, რის გამოც ეს მოძრაობები ხასიათდებოდნენ სტუდენტების საგანგებო აქტიურობით, სწორედ სწავლა-განათლების მიღების საქმეში. XIX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაც არაერთ მაგალითს გვაძლევს ჩვენი იმდროინდელი ახალგაზრდობის ასეთი საგანმანათლებლო აქტიურობისა, რაც მემკვიდრეობით გადმოეცა XX საუკუნესაც და გრძელდებოდა მანამ, ვიდრე არ მოხდა საქართველოს ხელმეორედ დაპყრობა რუსეთის, ამჯერად უკვე ბოლშევიკურის, მიერ (ამის შემდეგ განათლებამ თანდათან დაკარგა ძველი იმპულსები, რომელთა ადგილიც სხვა-გვარმა იმპულსებმა დაიკავეს ქართველი, აწ უკვე „საბჭოთა“, ახალგაზრდობის ცნობიერებაში). წინააღმდეგ აღნიშნული ტრადიციისა, ჩვენმა ახალმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამ მხრივაც თავისებურება გამოიჩინა იმით, რომ მის პირობებში მოხდა სწავლა-განათლების იდეის თითქმის სრული დევალვაცია და დისკრედიტაცია. ალბათ, ძნელი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სხვა პერიოდის გახსენება (საბჭოურის ჩათვლით), როდესაც ინტერესი განათლებისადმი ასე ყოფილიყოს დაცემული, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ჩვენს დროს — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანაში.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ეს ფრიად დიდი თემაა და ამ წერილში, ბუნებრივია, ვერ დავიჩემებ ვერავითარ პრეტენზიას მისი ჯეროვნად გაშუქებისა. აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს.

III

დავიწყებ ცოტა შორიდან.

სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენციის ისტორია ჯერჯერობით არ დაწერილა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ არჩილ ჯორჯაძის „მასალებს ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“, რომელიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს ლიტერატურაში როგორც ქართული კრიტიკული აზრის შესანიშნავი ნიმუში. მაგრამ ეს ნაშრომი (როგორც ამას გვაუწყებს თვით მისი სათაურიც – „მასალები...ისტორიისათვის“) არაა თავად ისტორია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, – ისტორია, რომელსაც, რომ დასცლოდა, ყველაზე კარგად იგივე არჩილ ჯორჯაძე დაწერდა, ალბათ, და რომელიც, როგორც ეს ჩანს მისივე „მასალები...“-დან, იქნებოდა ქართველი ინტელიგენციის არა „პრაგმატული“, არამედ ფილოსოფიურად გამართული **კრიტიკული ისტორია**. ხოლო იმისათვის, რათა საფუძვლიანად გავერკვეთ ჩვენი დღევანდელი ინტელიგენციის შინა თუ გარე ვითარებაში, აუცილებელია გათვალისწინება ქართველი ინტელიგენციის ზოგადი ისტორიის, რადგან, მიუხედავად იმ თავისებურებათა, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა პერიოდის (კერძოდ, ახლანდელ „პოსტსაბჭოთა“) ქართველ ინტელიგენციას, ეს უკანასკნელი მაინც სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი ძველი ქართველი ინტელიგენციისა, მისი ბუნებითი მემკვიდრე. ამიტომ იძულებული ვარ, ასეთი „ისტორიის“ არარსებობის გამო, მისი „მასალებით“ დავკმაყოფილდე და მით საჭიროებისამებრ ვისარგებლო და ვიხელმძღვანელო (ასეთი „მასალები“ კი, უნდა ითქვას, ჩვენს ლიტერატურაში, საერთოდ, საკმაოდაა ქართველ ინტელიგენციაზე ცალკეულ გამონათქვამთა სახით პროზით თუ ლექსით).

იმ საგულისხმო დაკვირვებათა და შეფასებათა შორის, რომლებითაც ასე მდიდარია, კერძოდ ა. ჯორჯაძის ნაწერები ამ თემაზე, მოვიყვან ერთს, რომელიც, ჩემი ფიქრით, გვაძლევს ერთგვარ ფსიქოლოგიურ გასაღებს დღევანდელი ქართველი ინტელიგენციის სულიერ ვითარებაში გასარკვევად: „ჩვენი ინტელიგენცია ძალიან მორცხვი და მადლიერი არსებაა. ვინმემ ოდნავ რომ ალერსი ან კეკლუცობა დაუწყოს, სიხარულით შეწითლდება და გასათხოვარ ქალივით თვალების წამწამებს ქვევითკენ დასწევს. მოარშიყეებმაც გაუგეს ეს ხასიათი და ხან ერთი, ხან მეო-

რე გამოტყვრებოდა ხოლმე, ნაზად ხელს გადაუსვამდა და დარცხვენილ მიჯნურს აქეზებდა: – ფიქრი ნუ გაქვს, რაინდო, იყავ ქართველი და გახდები ნამდვილი რუსი. და „მოარშიყეს“ ანგარიში არც ისე უანგარიშო იყო. ქართველი ინტელიგენტი, „არშიყობით“ გაბედნიერებული, თავზე ხელის გადასმით წაქეზებული, სრულიად ივიწყებდა იმის გაგებას..., თუ რა შინაარსს ჰსახავს „ქართველობა“. აი, ეს „რაინდული ქალაჩუნობა“, რომელსაც ასე უჩიოდა არჩილ ჯორჯაძე (და სხვაც), მე მგონია, **ორდინალური** ქართველი ინტელიგენტის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ნიშანია, ჩვენი ინტელიგენციის, ასე ვთქვათ, „ნორმალური“ (გნებავთ, „მასობრივი“) ფსიქოლოგიისთვის ნიშანდობლივი. სულ იმის ცდაში ვართ, – წერს იგივე ავტორი, – ვიღაცას რაღაცა დავუმტკიცოთ, მოძალადეს სიყვარულს ვეფიცებით, ხოლო როდესაც ეს მოძალადე, ჩვენი ფიცის საპასუხოდ, გვირტყამს, გვწყინს ასეთი მისი „უმადურობა“, არ გვსურს რა გავიგოთ და შევიგნოთ, რომ იგი მართალია, რადგან მშვენივრად ხედავს, რომ ჩვენი ფიცი ტყუილია, რომ ვფლიდობთ მის მიმართ და ვთვალთმაქცობთო. ამასვე უთითებდა, სხვათა შორის, მიხეილ წერეთელიც, როდესაც წერდა, ჩვენმა ინტელიგენციამ, უცხოელებთან ლაპარაკი და ქცევა არ იცისო, გულისხმობდა რა ამ შემთხვევაში **პოლიტიკური ტაქტის** უქონლობას გარეშეებთან ურთიერთობაში. ამ მორალურ (ხოლო აქედან – აგრეთვე ინტელექტუალურ) სენს, უკვე ლამის „ისტორიულად“ ქცეულს ჩვენი ინტელიგენციისთვის, იმთავითვე ებრძოდნენ, სიტყვით თუ პირადი მაგალითით, ქართველი ინტელიგენციის ისეთი ექსტრაორდინალური წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი და სხვანი, ხოლო მოგვიანებით – ზემოხსენებული არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი... (ყველას ვერ ჩამოვთვლი). მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ ერთიორი გამონაკლისის გარდა, აღნიშნული სენისგან, თვითონ ეს რჩეულნიც არ იყვნენ მთლად დაზღვეულნი, რადგან ისინიც იმავე საზოგადოებრივი გარემოს შვილები იყვნენ და იმავე ინტელიგენციის, ამ გარემოში შობილისა და აღზრდილის, წარმომადგენლები (ამ „მტკივნეულ“ თემას სპეციალურად სხვა დროს შევეხები).

რა თქმა უნდა, ქართველი პატრიოტის თვითგანცდა რუსეთის პირისპირ ძალიან განსხვავდებოდა პოლონელი პატრიოტის თვითგანცდისაგან, რადგან „ქართული საკითხი“ მხოლოდ ქარ-

თველებისთვის თუ არსებობდა, მაშინ როდესაც „პოლონური პრობლემა“ ევროპის საზოგადოებრიობის, მისი კულტურული ელიტის ყურადღების ცენტრში იდგა ყოველთვის (თუმცა, ცხადია, არა ერთნაირი ინტენსიობით): გავიხსენოთ თუნდაც საფრანგეთის ივლისისა (1830 წლის) და თებერვლის (1848 წლის) რევოლუციები, რომელთაც შეაზანზარეს მთელი ევროპა და რომელთა ერთ-ერთი ლოზუნგი-ყიჟინა „პოლონეთის დამოუკიდებლობა“ იყო. და რუსის ინტელიგენციაც, რომელსაც სურდა, არ გამოჩენილიყო „განათლებული ევროპის“ თვალში „რუს ბარბაროსად“, იძულებული იყო, პოლონურ თემაზე „ცოტა სხვანაირად“ ელაპარაკა, თუმცა ამას სულაც არ დაუშლია ხელი თუნდაც იმავე პუშკინისათვის (დოსტოევსკიზე რომ არაფერი ვთქვათ), დაეწერა, მაგალითად, „რუსეთის ცილისმწამებლებს“ – ცნობილი ანტიპოლონური (ანტიევროპული) „მუქარა“-ლექსი... ცხადია, საქართველოს მორალურ-პოლიტიკური „სტატუსი“ ამ მხრივ სულ სხვა იყო, უკეთ – იგი საერთოდ არ არსებობდა ევროპაში და, მაშასადამე, მსოფლიოშიც, და შესაბამისი უნდა ყოფილიყო ქართველი კაცის სულიერი განწყობაც, გამომხატველი ჭეშმერიტად „მსოფლიო“ ეულობისა და ობლობის. ამიტომაც, როდესაც ვლაპარაკობთ ქართველ ინტელიგენციაზე, რომელიც ჩამოყალიბდა სწორედ „რუსობის“ პერიოდში, და აღვნიშნავთ იმ მის ნაკლთ, რომლებიც დაჰყვნენ მას დღიდან გაჩენისა, ჩვენ „საბრალდებო აქტს“ კი არ ვუყენებთ მას, არამედ უბრალოდ ვუთითებთ ფაქტს, სავსებით ბუნებრივად აღმოცენებულს იმ არაბუნებრივ (ჩვენი ერისათვის) პირობებში. ხოლო თუ რას წარმოადგენდა ცარისტული ეპოქა „რუსობისა“ ქართველი ერის ისტორიაში, ამაზე სრულიად გარკვევით ითქვა 1918 წელს, როდესაც დამთავრდა ეს ხანა და შესაძლებელი გახდა სიმართლის განცხადება: **რუსეთმა „ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში“** (ავტორი? – **ნიკო ნიკოლაძე); „არასდროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელი ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით მე-19 საუკუნეში თავს დაატყდა“** (ავტორი? – **ივანე ჯავახიშვილი).** დადგება დრო, დაიწერება რუსეთის საქართველოში ბატონობის ისტორია, დაიწერება, კერძოდ, ასეთს თემაზეც – „რუსეთის ინტელიგენცია და საქართველო“, და მაშინ ცნობილი შეიქნება ყველასთვის, თუ რა საშინელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველ ინტელიგენციას და

გასაგები გახდება, საიდან წარმოდგნენ ის ნაკლოვანებანიც, გნებავთ – მანკიერებანი, რომლებმაც განსაკუთრებით სახიფათო მასშტაბი შეიძინეს რუსეთის საქართველოში ბატონობის კომუნისტურ პერიოდში. ვის-ვის და, იმ ძველ ინტელიგენციას ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა თავის თავზე „ზედგამოჭრილად“ მიეჩნია რუსთველის სიტყვები: „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“-ო.

ერთი რამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, როგორც ისტორიულად უეჭველი და უდავო ფაქტი: ქართველი ინტელიგენცია, დღიდან „რუსობის“ დამკვიდრებისა საქართველოში, არასოდეს შეჰრიგებია სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვას, და, როგორც შეეძლო, იღვწოდა, სიტყვით თუ საქმით, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოსთვის; ამ მიზნისაკენ იყო მიმართული, კერძოდ, მთელი ქართული ლიტერატურა, ამავე მიზანს ემსახურებოდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წამოწყებანიც (სათავადაზნაურო ბანკი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი და ა.შ.), ამზადებდნენ რა ამგვარად რეალურ წინაპირობებს, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ, როცა ჟამი ხსნისა დადგებოდა, ერის გათავისუფლების საქმის წარმატებით დაგვირგვინება.

მაგრამ ცარისტული „გარნიზონული“ სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, – რეჟიმისა, რომელიც განსაკუთრებით ფხიზლობდა (პოლიციურად), პირველყოვლისა, სწორედ ეროვნული მოძრაობის მიმართ (ტყუილად ხომ არ უწოდებდნენ ამ სახელმწიფოს „ხალხთა საპყრობილეს“!), ქართველ ინტელიგენციას, მის თავკაცებს, უხდებოდათ თავისი პოლიტიკის შენიღბვა მპყრობელი ძალისადმი გარკვეული „ლოიალობის“ გამოხატვით. სწორედ ამ „ლოიალისტურმა“ ტაქტიკამ, რომელიც თავის ნამდვილ პოლიტიკურ აზრს ინარჩუნებდა მხოლოდ ისეთი დიდი პოლიტიკოსის ხელში, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო, ერის ინტელიგენტურ **მასაში** ერთგვარი **პოლიტიკანობის** სახე მიიღო, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი მორალურ-პოლიტიკურ შედეგით. ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილისთვის „პოეტურ იდეად“ რჩებოდა, რომლის ადგილიც შესაბამისად, პატრიოტული პოეზია იყო და რომელსაც თითქმის არანაირი (ასე ჩანდა) რეალური შეხება არ ჰქონდა ცხოვრების პროზასთან, სადაც ზემოხსენებული პოლიტიკური

ტაქტიკა „ლოიალიზმის“ დროშით მოქმედებდა, ლოიალისტური ფრაზეოლოგიითა და მისი შესატყვისი „იდეოლოგიით“. ასე გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც ილია ჭავ-ჭავაძის სკოლიდან გამოსულმა ახალმა თაობამ გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის წმინდა **პოლიტიკურ ნიადაგზე** დაყენება და მის გადასაწყვეტად საკუთრივ **პოლიტიკურ მეთოდებზე** გადასვლა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოწაფეებმა მასწავლებლის ტაქტიკა „მოძველებულად“ მიიჩნიეს და ამ საგანზე აზრთა პატარა შეხლა-შემოხლასაც ჰქონდა ადგილი. განმეორდა, ოღონდ გაცილებით მცირე მასშტაბით, „მამათა და შვილთა“ ძველი ამბავი (აქ მე, ცხადია, არ ვსაუბრობ ცნობილ „მესამე დას“-ზე, არამედ მხედველობაში მყვანან ახალგაზრდა ნაციონალისტები, რომლებმაც ძირითადად თავი მოიყარეს „ცნობის ფურცელ“-ში). ხოლო ილია ილია არ იქნებოდა, რომ დროზე არ აეღო ალღო ახალი ვითარებისთვის, და მანაც გადადგა გარკვეული ნაბიჯი პარტიის შესაქმნელად, მაგრამ... სიკვდილმა უსწრო. ასე დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი მასულდგმულებელი ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში, – ხანა, რომელსაც ამშვენებენ ისეთი ბრწყინვალე სახელები, როგორიცაა: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ზურაბ ავალიშვილი და სხვ. ამ თაობის გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე მიესალმა ქართველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი აკაკი წერეთელი, როგორც დაბადებას ნამდვილი ევროპელი ქართველი ინტელიგენციისა, დაინახა რა მასში ძველი თაობის ღვაწლის ისტორიული დაგვირგვინება. „მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?“ – ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურმა საწუთრომ უმუხთლა ქართველობას, რომელიც, უპირველესად კი მისი პოლიტიკური ინტელიგენცია, ესეც უნდა ითქვას, თვითონაც ჯეროვნად მომზადებული ვერ შეხვდა ამ წუთისოფლის ბრუნვით მოვლენილ განსაცდელთ. დაიწყო „წითელი რუსობის“ ხანა საქართველოში.

IV

თუ რა მოიმოქმედა ლენინ-სტალინის რუსეთმა ჩვენს ქვეყანაში, ყველამ ვუწყით. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, **ქართველი**

ინტელიგენციის გენოციდი. შეუდგნენ „საბჭოთა ინტელიგენციის“ შექმნას, და, როგორც პოლიტიკურ გარანტიას, კერძოდ ამ წამოწყების უზრუნველსაყოფად, – საზოგადოების ტოტალურ ჩეკიზაციას თანახმად ფორმულისა: „Каждый гражданин СССР – сотрудник НКВД“. ტოტალური ტერორისა და რეგულარული რეპრესიების პირობებში ქართველ ინტელიგენციას (უკვე „ძველს“) ერთადერთი, რაც შეეძლო, იყო თავისი „ვიწრო სპეციალობით“ მუშაობა აბსოლუტური იდეოლოგიურ-პოლიტიკური ლოიალობის დაცვით, რაც, ადვილად მისახვედრია, განსაკუთრებულ საცენზურო პირობებში აყენებდა ისეთი „იდეოლოგიური“ დარგების წარმომადგენელთ, როგორიცაა: ფილოსოფია, ისტორია, პოლიტეკონომია, სოციოლოგია, იურისპრუდენცია... და მეორე მხრივ, ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება. დროთა განმავლობაში გაჩნდა ისეთი ფსიქოლოგიური ფენომენი, როგორიცაა „**შინაგანი ცენზორი**“, ანუ მოხდა **ჩეკიზმის ფსიქოლოგიური ინტერიორიზაცია**: ცენზორი-ჩეკისტი ინტელიგენტის სულში ჩასახლდა, მის „ალტერ ეგო“-დ იქცა. მოხდა ცნობიერების გახლეჩა, პიროვნების გაორება, „ინტიმური მე“ სულის „იატაკქვეშეთ“-ში ჩაიმალა, „ოფიციალური მე“ – საჯარო სარბიელზე გამოვიდა. და, ბოლოს, მართლაც ჩამოყალიბდა „საბჭოთა ადამიანის“ ტიპი, სოციალური ანთროპოლოგიის ენაზე – „ჰომო სოვიეტიკუს“, რომლის ინტელექტუალურ მახასიათებლადაც იქცა კიდეც „საბჭოთა ინტელიგენტი“, განსაკუთრებული ფსიქოლოგიით, განსაკუთრებული მორალით, განსაკუთრებული მენტალიტეტით, წარმოიდგინეთ – განსაკუთრებული სახის გამომეტყველებითაც კი. „სიცრუე და ორპირობა“, „მავნებელი“ კაცის „სულისაც და ხორცისაც“, ერის, პირველ ყოვლისა კი მისი „გონებისა და სინდისის“ – ინტელიგენციის ცხოვრების წესად შეიქმნა.

ხოლო განსხვავება ამგვარ ყოფაში ჩავარდნილ რუს ინტელიგენტსა და ქართველ (და, საერთოდ, არარუს) ინტელიგენტს შორის პრინციპული იყო, რადგან რუსი ინტელიგენტი თავისი საიმპერიო ეროვნული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაშინ როდესაც ქართველი ინტელიგენტი, მცხოვრები იმავე „საბჭოთა ცხოვრებით“, თავისთვის სწორედ ეროვნულად, ანუ კულტურულად, სრულიად უცხო, სახელდობრ, – „სარუსო“, ცხოვრებას ეწეოდა. ბოლშევიზმი რუსული ეროვნული ავადმყოფობა იყო და ჩვენ, ქართველებს, აი ეს **სხვისი** სენი შეგვყარეს, რომელმაც ამიტომ,

სათანადო ორგანული „იმუნიტეტის“ უქონლობის გამო საგანგებოდ დაგვაზარალა და დაგვასახიჩრა. ხოლო თავი და თავი ჩვენი უბედურებისა „ჰომო სოვიეტიკუს“ კი არ იყო, არამედ მისი ეროვნული „ესენცია“ (ეროვნული არსი) – „**ჰომო რუსიკუს**“, რომლადაც ვიქეცით, არსებითად, ამ „ჰომო სოვიეტიკუს“-ის სახით. ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე არ გვაქვს გათვალისწინებული, თუ რამდენად **გავრუსდით** ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში. ესაა მთავარი და არა ჩვენი სოციალური გადაგვარება – სოვეტიზაცია, რომელიც მხოლოდ ფორმაა ჩვენი ეროვნული გადაგვარებულობისა და რომელიც მხოლოდ საშუალება იყო მიზნის – არარუსთა, მათ შორის ქართველთა რუსიფიკაციის საქმეში. სოვეტიზმმა თავისი საქმე, როგორც შეეძლო, გააკეთა: მას უკვე შეუძლია წავიდეს – რუსიზმი ხომ დარჩება (ასე ფიქრობენ მავანნი). მართლაც, დააკვირდით, რას მისტირიან დღევანდელი რუსი კომუნისტები? კომუნიზმის იდეალების დამხობას? – არა, „დერჟავის“ დანგრევას! და რას ელოლიავებიან ჩვენებური „ნასაბჭოვარი ინტელიგენტები“? საბჭოურ წარსულს? – არა, მომავალ რუსეთს! მაგრამ დავუბრუნდეთ ბოლშევიზმის ეპოქის საქართველოს, რომლის ისტორიაც, რასაკვირველია, მიუხედავად ყველაფრისა, არ შეწყვეტილა, არამედ განაგრძობდა თავის მსვლელობას რუსულკომუნისტური რეჟიმის, ასე ვთქვათ, არალეგალურ, უკეთეს შემთხვევაში – ნახევრადლეგალურ პირობებში.

„ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ“, რომლის წყალობითაც აღდგა ნანგრევებიდან რუსეთის იმპერია, „ფენიქსებრ“ განახლებული, თავისი უთუოდ წინააღმდეგობრივი ხასიათით (ხოლო სხვანაირი იგი არც შეიძლება ყოფილიყო, ამიტომ ტყუილად აკრიტიკებენ მას დღევანდელი რუსის „დერჟავნიკები“) საშუალება მისცა ქართველ (ისევე როგორც სხვა არარუს) ინტელიგენციას, ამ პოლიტიკის საფარქვეშ ეკეთებინა ნამდვილი ეროვნული საქმეც, ცხადია – იმ სახითა და ზომით, როგორიც აწყობდა, ან დასაშვებად მიაჩნდა, მოსკოვს, კერძოდ, მისი გლობალურ-საიმპერიო პროპაგანდისტული მიზნებისთვის გარე მსოფლიოს, ხოლო უშუალოდ – კოლონიური სამყაროს, მიმართ. რა თქმა უნდა, არსებითად ეს იყო კომუნისტური რუსეთის „დიდი ლენინურ-სტალინური ბლეფი“, რომელმაც დასავლეთის ბევრი ინტელექტუალი მოხიბლა და შეაცდინა და რომლის ასეთმა პროპაგანდისტულ-პოლიტიკურმა წარმატებამაც („ცივილიზებული

მსოფლიოს“ ინტელექტუალურ პროფანთა შორის) რწმენა განუმტკიცა თვით მოსკოვს ამ მისი „ეროვნული პოლიტიკის“ ეფექტიანობაში, რაც სულაც არ უშლიდა ხელს, დროდადრო მოეწყო „ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ტრადიციული რეპრესიები – ამ პოლიტიკის საკურთხეველზე ინტელიგენტთა „მსხვერპლშეწირვის“ თავისებური რიტუალები. ბუნებრივია, „საბჭოური ცხოვრების სკოლას“ გადიოდა ქართველი ინტელიგენციაც, ეუფლებოდა „სიბრძნისმეტყველი სიცრუის“ ხელოვნებას, მის თავისებურ ტექნიკას და, ბოლოს, საქმე იქამდეც მივიდა, რომ შეიმუშავა „ახალი ქართველი პატრიოტის“ რაღაც „ოთარბეგული“ მოდელი, რომელსაც იგი დროთა განმავლობაში ისე შეეზარდა, ისე შეესისხლხორცა, რომ საკუთარ თავს მისგან ვეღარც არჩევდა, და რომლის მიმართაც სკეპტიკური დამოკიდებულება, ლამის პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა. ხოლო, როდესაც დადგა ხანა, როცა შეიძლებოდა სიმართლის ლაპარაკი სიცრუის გარეშე, აღმოჩნდა, რომ ეს ინტელიგენცია სიმართლეს, როგორც ასეთს, გადასჩვეოდა, ხოლო ზოგიერთი, შედარებით ახალგაზრდა, მას არც არასდროს შესჩვევია. ასეთია ტრაგიკული ბედი ჩვენი ინტელიგენციისა მის უდიდეს უმრავლესობაში.

რასაკვირველია, არსებობდნენ ნამდვილი ინტელიგენტებიც, რომელთა ჟამთა სიავემ ვერ დაასვა თავისი დაღი, მაგრამ ისინი, ჯერ ერთი, მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ და, მეორეც, ისე წავიდნენ ცხოვრებიდან, რომ თავისი ნამდვილი სულიერი მემკვიდრენი არ დაუტოვებიათ, რისი მიზეზიც, ვფიქრობ, იყო **შიში**, ლამის „მეტაფიზიკურად“ ქცეული, რითაც აიხსნება ალბათ ისიც, რომ ამ ადამიანებისგან, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არც „არალეგალური“ ნაწერები დაგვრჩენია (თუმცა ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როცა ასეთი ნაწერები ავტორის ახლობლებს გაუნადგურებიათ, ისევ და ისევ – იმავე შიშის გამო).

ასეა თუ ისე, საქართველოს მაინც ჰყავდა, საბჭოთა პერიოდში ინტელიგენცია, მართალია – გვარიანად შეთხელებული და შელახული, რომლის ბევრ წარმომადგენელს ევროპაში ჰქონდა განათლება მიღებული (გარემოება უთუოდ ანგარიშგასაწევი): სწორედ ეს ადამიანები ქმნიდნენ თავის ირგვლივ გარკვეულ ინტელიგენტურ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, ზნეობრივ და გონებრივ ატმოსფეროს, თუნდაც საკუთარი პიროვნებით და ერთგვარ ზეგავლენას ახდენდნენ, თუ მთელ საზოგადოებაზე არა,

მის რაღაც წრეზე მაინც. სწორედ ესენი იყვნენ, ვინც ინახავდა, ავად თუ კარგად, ქართულ-ევროპულ კულტურულ ტრადიციებს და შეძლებისდაგვარად ავითარებდა მათ თავისი ცენზურის ქვეშ მყოფი შემოქმედებით. მაგრამ 60-70-იან წლებში ეს პიროვნებანი თანდათანობით გამოაკლდნენ ერის ცხოვრებას და ქვეყნის კულტურული სარბიელი დარჩათ ადამიანებს, რომელთაც, თავის უდიდეს უმრავლესობაში, ჩვენ ვერ მივიჩნევთ მათ მემკვიდრეებად ვერც ნიჭით, ვერც ცოდნით, ვერც სხვა რამ კულტურულ-პიროვნული ღირსებით. რუსეთში ასეთ მძიმე, ლამის კატასტროფულ, „თვისობრივ წყვეტას“ საბჭოთა პერიოდის ინტელიგენციის თაობათა შორის ადგილი არ ჰქონია (თუმცა „მსგავსი“ იქაც, ბუნებრივია, შეინიშნება), რადგან სტალინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც დასავლეთთან საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის შედარებითი „ლიბერალიზაცია“ მოხდა, რუს ახალგაზრდობას მიეცა გარკვეული საშუალება, საზღვარგარეთ მიეღო განათლება, აემაღლებინა პროფესიული კვალიფიკაცია, რის შესაძლებლობასაც, ქართველი ახალგაზრდობა არსებითად მოკლებული აღმოჩნდა. და ვფიქრობ, ის ინტელექტუალური ჩამორჩენილობა, რომელსაც ვხედავთ დღევანდელ ქართველ ინტელიგენციაში რუსი ინტელიგენციის ფონზე, მნიშვნელოვანწილად ამ გარემოებითაც აიხსნება. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ეს არაა, არამედ ის, რაც ზემოთ აღვნიშნე: წინა თაობის ნამდვილი ქართველი ინტელიგენციის ფაქტობრივად **უმემკვიდრო** გადაშენება, მაშინ როდესაც ჭეშმარიტად **საბჭოთა** ინტელიგენცია სოციალურად ფრიად „ფერტილური“ აღმოჩნდა. და ამ მხრივაც მე პრინციპულ განსხვავებას ვხედავ ქართველი ინტელიგენციისა და რუსი ინტელიგენციის ბედში.

როგორც უკვე ვთქვი, რუსი ინტელიგენცია, რაგინდ ჩაგრულ-გვემული ბოლშევიკური რეჟიმით, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რამდენად ავნო ამ რეჟიმმა მას, თუნდაც იმავე წმინდა ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით, მაინც თავისი საიმპერიო (გნებავთ, სამეტროპოლიო) ეროვნული ცხოვრებით ცხოვრობდა (ვიმეორებ, სხვა საკითხია, **ეს**, ე.ი. ბოლშევიკური ფორმაციის საიმპერიო ცხოვრება, რად დაუჯდა თვითონ რუს ხალხს, მისი ინტელიგენციითურთ, როგორც ამ ცხოვრების სუბიექტსაც და ობიექტსაც...), მაშინ როდესაც, ჩვენ ქართველები, ამ, ე.ი. ეროვნულ-კულტურული, თვალსაზრისით, ილიას მოხევის თქმის

არ იყოს, ხორცითაც და სულითაც, „რუსობაში“ ვიყავით. რუსი ინტელიგენცია, პრობოლშევიკური თუ ანტიბოლშევიკური, მაინც მპყრობელი ერის ინტელიგენცია იყო და, როგორც ასეთი, **საიმპერიო ინტელიგეცია**, რომელსაც სულ სხვა სტატუსი ჰქონდა ფსიქოლოგიურადაც, მორალურადაც და **არაოფიციალურ**-პოლიტიკურადაც. (ეს, რაც შეეხება, განსაკუთრებით, რუს ოპოზიციონერ ინტელიგენციას), ვიდრე ქართველ ინტელიგენციას, რადგან „**ნაციონალიზმი**“, ეს უმძიმესი ცოდვა იმპერიის წინაშე (გაიხსენეთ რუსულტრადიციული „წმინდათაწმინდა“ პრინციპი რუსეთის, ე.ი. რუსეთის იმპერიის „განუყოფლობისა“), სწორედ არარუსი ინტელიგენციის „ეროვნულ სენად“ იყო მიჩნეული (აქ არას ვიტყვი ლენინის ტაქტიკურ „ბრძოლა“-ზე ე.წ. „რუსული დიდმპყრობელური ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ: მისი სტრატეგიული მიზანდასახულობა, ვფიქრობ, დღეს მაინც ნათელი უნდა იყოს ყველასთვის). მოსკოვის მთავრობა რუს ოპოზიციონერ ინტელიგენციასთან თუკი, ასე ვთქვათ, **კლასობრივ**-პოლიტიკურ ბრძოლას ეწეოდა, არსებითად, არარუს ოპოზიციონერ ინტელიგენციას იგი, პირველ ყოვლისა, ებრძოდა როგორც თავის **ეროვნულ**-პოლიტიკურ მტერს. ხოლო, რაც შეეხება სახელდობრ საქართველოს (ქართველ ერსა და მის ინტელიგენციას), მას თავისი რიგი **კულტურულ-ისტორიული** მახასიათებლებით სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეკავა, როგორც საიმპერიო მთლიანობისათვის „არასაიმედოსა“ და „არასანდოს“, სხვა ყველა „მოძმე რესპუბლიკათა“ შორის და ეს – დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რამდენად სერვილური იყო საბჭოთა საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება და რამდენად კონფორმისტული – მისი ინტელიგენცია. რა თქმა უნდა, ყველაზე კარგად, თუ რას წარმოადგენდა საქართველო სარუსო საიმედოობისა და სანდოობის მხრივ, განსაკუთრებით კი მისი ინტელიგენცია, იცოდა თვითონ ყოფილმა ქართველმა სტალინმა, რომელმაც სწორედ იმიტომ, რომ იცოდა, ვინ იყო იგი, საგანგებო სისასტიკით ჩაატარა „წმენდა“ სწორედ თავის ყოფილ სამშობლოში, პირველ ყოვლისა კი – მისი ინტელიგენციის რიგებში. ერთხელაც იქნება და, ხელთ გვექნება ამ პერიოდის ქართველი ინტელიგენციის ისტორია, რომელიც, ვშიშობ, ბევრს არასაამაყოს აღმოგვიჩენს ჩვენი ეროვნულ-ინტელიგენტური თავმოყვარეობისათვის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეგევე ისტორია იმასაც ნათელყოფს, რაც ზემოთ ვთქვი, და მაშინ უფ-

რო გასაგები გახდება იმ შიშის (ზემოთ რომ ვახსენე) ბუნებაც, რომელიც ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის (მის მასაში, ცალკეულ გმირებსა და წმინდანებზე აქ არ ვლაპარაკობ) „მეორე ბუნებად“ იქცა. ასეთ პირობებში, გასაგებია, ქართველი ინტელიგენცია, ერთგული ეროვნული იდეალისა, რიცხობრივად შემცირებული და საზოგადოებრივად მოშლილი, ვერ შეძლებდა, მუდმივი კონტროლისა და ტერორის ქვეშ მყოფი, **ინტელიგენციად**, ამ სიტყვის სოციოლოგიური გაგებით, ანუ ინტელიგენტთა „კლასად“, გაერთიანებასა და ჩამოყალიბებას, „კლასობრივი სოლიდარობით“, მოქმედებაზე რომ არაფერი ვთქვათ. იცნობდნენ ერთმანეთს, ეჩურჩულებოდნენ, ზოგიერთ ახალგაზრდას თავის ცოდნა-გამოცდილებასაც საიდუმლოდ უზიარებდნენ, მაგრამ ეს არ იყო სოციალური ძალა, კულტურული ფაქტორი, რომლის ადგილიც „საზოგადო სარბიელი“-ა, სადაც ბატონობდა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოური ცხოვრება, საბჭოური – აზრითაც და საქმითაც.

მე მგონია, რომ მთავარი მიზეზი იმ (ძველი) ინტელიგენციის უმემკვიდრობისა, მასა და ახლანდელ ინტელიგენციას შორის „ხიდჩატეხილობისა“, სწორედ ესაა: თანამედროვე ინტელიგენციას თავისი წინამორბედი ინტელიგენციის (ვგულისხმობ მის ნამდვილ, ღირსეულ წარმომადგენელთ) **სკოლა** არ გაუვლია, რომლის მაგივრობასაც, რა თქმა უნდა, ვერ გაწევდა „შინაურობის“ იატაკქვეშეთი. ამიტომაცაა, რომ თვით იმ ჭეშმარიტ ინტელიგენტთაგანაც, რომელთა შორის ზოგი მწერლობდა, ზოგი პროფესორობდა და ა.შ., მაშინდელი ახალგაზრდობა „საბჭოური ცხოვრების სკოლა“-ში, სადაც გამეფებული იყო იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონფორმიზმი, თავის დიდზე დიდ უმრავლესობაში სწორედ ამ კონფორმიზმს უფრო ითვისებდა, ვიდრე იმ „დისიდენტურ“ აზრებს, რომლებიც, როგორც წესი, იდეოლოგიურადაც იყვნენ „ჯეროვნად გამართული“ და ფრაზეოლოგიურადაც. ეს გამუდმებული სიფრთხილე, ბოლოს და ბოლოს, იმ შიშს ბადებდა, რომელიც „შეიქმს“ კიდეც „სიყვარულსა“ (ცხადია, არა რუსთველური, არამედ ლენინურ-სტალინური გაგებით). შემუშავდა თავისებური „მოდუს ვივენდი“, ფსიქოლოგიურად აღბეჭდილი ერთგვარი „კონფორმისტული ამბივალენტობით“ (“მძულხარ – მიყვარხარ“) და ჩვენი დღევანდელი ინტელიგენციის ცნობილი ნაწილი სწორედ ასეთი ფსიქოლოგიით ხასიათდება. ხოლო თუ გავიხსენებთ ჩემს მიერ ზემოთ ციტირებულ სიტყვებს არჩილ ჯორჯაძისას ქარ-

თველ ინტელიგენციაზე, დავინახავთ, რა შორეულ მემკვიდრეობასთან გვქონია საქმე და, ადრე თუ გვიან, ამ ინტელიგენციის გული საბჭოთა რეჟიმის პირობებში კიდევ უფრო „გამდედრებული“, საბოლოოდ მაინც რას არჩევს – „სიძულვილსა“ თუ „სიყვარულს“ (ახლა უკვე ესენგეს) სინამდვილეში. ხომ გვახსოვს: „კომუნისტებს ვერავინ მოერევა“, „დასავლეთს დააჩოქებენ“ და სხვ. ამგვარი; ახლა იმავე ინტელიგენციისგან გვესმის: „რუსებს ვერავინ დაუდგება“, „ჩვენი ბედი იყო, არის და იქნება მათ ხელში“ და ა.შ. რაა ეს? – სხვა არაფერი, თუ არა ის, რაც ზემოთ აღვნიშნე, უბედურება ის კი არაა, რომ სულში „ჰომო სოვიეტიკუს“ გვყავს ჩაბუდებული, არამედ ის, რომ მისი „ესენცია“ – „ჰომო რუსიკუს“ – არის-მეთქი ჩვენში გამჯდარი. დიახ, დღეს მავანთა ცნობიერებაში, თვითონ ეს ცოცხალი ესენცია ამეტყველდა უშუალოდ: მთავარმა, არსებითმა იჩინა თავი! საქართველოს ისტორიაში ყოფილა ხანა „თათრობისა“, „ყიზილბაშობისა“, „ოსმალობისა“, XIX საუკუნიდან კი ვცხოვრობთ მათ უარესს „რუსობა“-ში, საიდანაც დღემდე ვერ გამოვსულვართ ვერც აზრით და ვერც საქმით.

V

როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ინტელიგენციის კონფორმიზმზე, უნდა გვახსოვდეს, რომ კონფორმიზმი ადამიანის მთლიანპიროვნული მახასიათებელია და არა მისი ამა თუ იმ ფუნქციისა, მაგალითად აზროვნების. ეს არის თვისება კაცის პიროვნულ-**სოციალური** ხასიათისა, რომლის ფორმირებაც გარკვეულ კულტურულ-სოციალურ პირობებში ხდება. ხოლო იგივე ითქმის, ცხადია, თვით ინტელიგენტობაზეც, რომელიც ასევე მთლიანპიროვნული რამაა, თუკი გავცდებით ინტელიგენტობის „პროფესიული“ ნიშნით განსაზღვრას და მას უფრო ღრმად შევხედავთ. ვფიქრობ, ინტელიგენციასა და მის კონფორმიზზე მსჯელობისას საკითხის, აი, ამ „პიროვნულ“ ასპექტს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

არის კი „კონფორმისტული“ ინტელიგენცია ჭეშმარიტად ინტელიგენტური, ანუ წარმოადგენს კი იგი **ნამდვილ** ინტელიგენციას (ისევე როგორც, ვთქვათ, შეიძლება თუ არა პროფესიით ექიმს ეწოდოს „ნამდვილი ექიმი“)? მე მგონია, რომ ინტელიგენტად ვერ მიიჩნევა ადამიანი, რომელიც მოკლებულია (როგორც ეს ნათქვამია ჩემ მიერ ზემოთ ციტირებულ სიტყვა „ინტელიგენციის“ მნიშ-

ვნელობის ერთ-ერთ განმარტებაში) **მისწრაფებას დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ**, რასაც, ასეთ პიროვნულ მახასიათებელს, არის კიდეც ნიშანდობლივად მოკლებული კონფორმისტული ინტელიგენციის წარმომადგენელი. კონფორმიზმი თრგუნავს ადამიანის პიროვნებას, მის ბუნებითს სწრაფვას თავისუფლებისკენ, მაშინ როდესაც ინტელიგენტობა, პირველ ყოვლისა, პიროვნული საწყისის განვითარებულობას გულისხმობს და, შესაბამისად, თავისუფლების კულტურას (შეგვეძლო გვეთქვა უბრალოდ: „კულტურას“, – რადგან კულტურა, როგორც ასეთი, სხვა არა არის რა, თუ არა თავისუფლების კულტურა, ისევე როგორც თავისუფლება, თავად კულტურაა, იგივე თავისუფლების კულტურა...).

ინტელიგენტობას არ სწავლობენ, მას აღზრდით იძენენ, რაშიც, რა თქმა უნდა, სწავლას თავისი წვლილი შეაქვს. შეიძლება ადამიანი „გამოჩენილი“, „ცნობილი“ მეცნიერი იყოს, მაგრამ არ იყოს ინტელიგენტი, თავის სპეციალობაში იყოს „დიდი“ (რა თქმა უნდა, პირობითად), როგორც პიროვნება კი – პატარა (თანაც უპირობოდ). „კულტურა, მაღალი ინტელექტი და მოწინავე შეხედულებები“, „მოსახლეობის განათლებული ნაწილი“, რომელსაც „აქვს საზოგადოების აზრის ფორმირების უნარი“ – ეს მთელი ატრიბუტიკა ინტელიგენციისა, ვგონებ, წარმოუდგენელია ზემოხსენებული „დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ სწრაფვის“ გარეშე. და, თუკი ეს ყველაფერი ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, მაშინ, „კონფორმისტული ინტელიგენცია“, ამ სიტყვათშეთანხმებას თუ „ბრჭყალებს“ მოვაშორებთ, მოგვევლინება როგორც ქვაზი-, გნებავთ, ერზაცინტელიგენცია და არა ინტელიგენცია, ამ სიტყვის ნამდვილი სერიოზული მნიშვნელობით. ამიტომაც, გასაგებია, როდესაც ობიექტურად ვუყურებთ საკუთარ თავს კრიტიკული მზერით (ვისაც ამის უნარი მაინც შეგვრჩენია), თუ რაიმე „მემკვიდრეობას“ ვხედავთ ჩვენში, წინა თაობისაგან მიღებულს, ეს უმთავრესად ქართველი ინტელიგენციის „ტრადიციული“ ნაკლოვანებებია, რადგან, ვიმეორებ, ჩვენ არ გაგვივლია ის „სკოლა“, სადაც უნდა ჩამოვყალიბებულიყავით კიდეც ინტელიგენტ პიროვნებებად, ინტელიგენტური ხასიათითურთ. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ დღევანდელი ქართველობა მოკლებული იყოს ჭეშმარიტად ინტელიგენტ **ინდივიდებს**, მათ შორის – ჩვენი „ცენზიანი“ (თუ „ტიტულიანი“) ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა სახით, – სულაც არა! მე მხოლოდ იმის თქმა მსურს,

რომ დღეს საქართველოს არ ჰყავს ინტელიგენცია როგორც „კლასი“, სოციალური ფენა, როგორც **საზოგადოება**, სადაც დავინახავდით კიდეც პიროვნულად გამოკვეთილ **„ფიგურებს“ – ნამდვილ „პერსონებს“.** წარმოიდგინეთ ზურაბ ავალიშვილი, მიხეილ წერეთელი ანდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ჩვენს დღევანდელ პარლამენტში, გნებავთ – რომელიმე სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებაში, თავიანთ კოლეგებს შორის, და გასაგები გახდება, რისი თქმაც მსურს: აქ „სიდიდე“-ში კი არაა საქმე, არამედ „კულტურულ ჯიშ“-ში.

ამიტომაც ლაპარაკი დღეს რაღაც „ინტელიგენციის ელიტა“-ზე, მაშინ როდესაც საკითხავია, არსებობს კი, საერთოდ, ინტელიგენცია, როგორც საზოგადოების ფენა, სათანადო სოციალურ-კულტურული ფიზიანომიით, მქონე დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნებისა, მატარებელი და გამავრცელებელი **თავისუფლების კულტურისა**, – მე, პირადად, მხოლოდ გაუგებრობად მიმაჩნია. „ქართველი ინტელიგენცია“, ისევე როგორც მისი „ელიტა“, ჩვენს ამჟამინდელ სიმანდვილეში, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულის მოგონებაა და მომავლის ოცნება. მეტისმეტად დიდია ჩემი წარმოდგენა ქართველ ერზე, და მის ინტელიგენციაზე, რომელსაც ისეთი სახელები ამშვენებენ, როგორიც ზემოთ ჩამოვთვალე (და რამდენი კიდევ არ მომიხსენებია!), რომ ის, რასაც დღეს „ინტელიგენციად“ ნათლავენ (“ელიტა“-ზე რომ არაფერი ვთქვა), ქართველი ერის ღირსებისა და **იმ** მისი ინტელიგენციის ხსოვნის შეუბღალავად სერიოზულად ვცნო და ვაღიარო ინტელიგენციად (თუმცა, გასაგებია, წინათაც მიხმარია და შემდგომაც ვიხმარ ამ სიტყვას, როგორც პირობითს ტექნიკურ ტერმინს, ჩვენი საზოგადოების გარკვეული ფენის აღსანიშნავად).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ აღმოჩნდა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ესოდენ ღარიბი, ღარიბი კი არა **ღატაკი**, ინტელიგენტური ძალებით: უბრალოდ იმიტომ, რომ (ასეთია ჩემი დასკვნა):

დღევანდელ საქართველოში ინტელიგენცია, ასეთი სოციალური „კლასი“ ადამიანთა, არ არსებობს: არსებობენ ცალკეული ინტელიგენტები, ხოლო ინტელიგენცია, როგორც ასეთი, – არა.

ამიტომაც ინტელიგენცია, ჩვენს სინამდვილეში „როგორც ასეთი“ – არარსებული, რაღა თქმა უნდა, ვერ შეიქმნებოდა ჩვენი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ კულტურულ-**სოციალურ** ფაქტორად, რომელსაც უნდა მიენიჭებინა კიდეც ამ მოძრაობაში მონაწილე ინტელიგენტ ინდივიდთათვის **რეალური** სოციალურ მნიშვნელობა და, შესაბამისად, ყველასთვის ერთად თუ თვითეულისათვის ცალკე, – ასევე სოციალურად რეალური **კულტურული ძალის** სტატუსი. ვფიქრობ, სწორედ ამით აიხსნება (თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში – მნიშვნელოვან წილად) სათანადო შემოქმედებით იმპულსების არარსებობაც თვით ამ ინტელიგენტთა შორის (ერთი გამონათქვამი რომ გავიმეორო, იყო გარკვეული „ძალთა ძაბვა“, მაგრამ „ყოველგვარი აღმაფრენის გარეშე“).

და მაინც, თუკი ვირწმუნებთ ილიას სიტყვებს, ზოგჯერ არსებობაც მადლიაო (გულისხმობდა რა არსებობას, თავისთავად ბევრი ვერაფრის მაქნისს), ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როგორც არსებულზე, დღევანდელი ქართველი ინტელიგენციის შესახებ, ოღონდ ერთი განმარტებით: ინტელიგენცია ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც, ასე ვთქვათ, მოწესრიგებული (სოციალურად) სიმრავლე ინტელიგენტ ინდივიდთა, რომელთაც, მოკლებულს საჭირო სოციალურ კოჰეზიას, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მხოლოდ ინდივიდუალური ზეგავლენა თუ ძალუძთ მოახდინონ, როგორც წესი – თავისი რეალური ეფექტიანობით ფრიად შეზღუდული (და ეს გასაგებიცაა, რადგანაც დღეს მათ შორის არ მოიპოვებიან ჭეშმარიტად **ექსტრაორდინალური პიროვნებანი**, ისევე როგორც ჩვენს მთელ საზოგადოებაში). ეს ქართველი ინტელიგენცია მეტად დაქსაქსულია თავის ძალებში და არსებითად გარიყული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან და დღევანდელ საქართველოში, სადაც საერო ცხოვრების სარბიელს ჩვენი ანტროპოფაუნის მტაცებელი წარმომადგენლები არიან დაუფლებული (მათ შორის, რა თქმა უნდა, ამავე სოციალურ კლასში შემავალი – ეს კი უთუოდ უკვე კლასია! – „ინტელიგენტები“...), ნამდვილ ინტელიგენტ კლასს თავისი სოციალური ადგილი, საინტელიგენტო, ვერ უპოვია. ასე რომ, იგი, **ეს** ინტელიგენცია, პრაქტიკულად არ ფუნქციობს, როგორც ინტელიგენცია, იგი არსებობს მხოლოდ, თავის საინტელიგენტო საზოგადოებრივ ფუნქციას მოკლებული, რის გამო ვამბობ კიდეც, რომ სინამდვილეში ესაა სიმრავლე ინტელიგენტ ადამიანთა და არა ინტელიგენცია, როგორც ასეთი, ამ სიტყვის რეალური სოციალური გაგე-

ბით. და, თუკი მაინც ვუწოდებ მას, მიუხედავად ამისა, ინტელიგენციას, ყოველგვარი „ბრჭყალების“ გარეშე, ეს იმიტომ, რომ მასში ვხედავ იმ გონებრივ-ზნეობრივ პოტენციას (თუ რა მასშტაბისა, ამას ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა), რომლის სოციალური აქტუალიზაციაც უთუოდ წარმოაჩენდა მას, როგორც გარკვეულ სოციალურ ძალას. ხოლო ამისათვის საჭირო იყო, სხვათა შორის, რომ საქართველოს ჰყოლოდა თავისი, ასე ვთქვათ, **კულტურტრეგერული** მისიის შემგნები მთავრობა, მთავრობა – კულტურტრეგერი (სხვა აუცილებელ სამთავრობო ღირსებებთან ერთად), რომლის სათანადო პოლიტიკაც შეიქმნებოდა ერთ უმძლავრეს ფაქტორად ამ დაქსაქსულ ინტელიგენტურ ძალთა ერის გარკვეულ სოციალურ ფენად (გნებავთ „კლასად“) კონსოლიდაციისა და ფორმირების საქმეში. ხოლო უნდა შევნიშნო აქვე, რომ ეს „კლასი“ სულაც არ მესახება განცალკევებულად საზოგადოების ისეთ კლასთაგან, როგორიცაა, მაგალითად, გლეხთა კლასი, ანდა მუშათა კლასი, არამედ მიმაჩნია, წინააღმეგ მოარული შეხედულებისა, რომლის თანახმადაც ინტელიგენციის „კლასისა“-დმი კუთვნილების „პრივილეგია“ თითქოს მხოლოდ ცნობილ პროფესიათა მიმდევარ ადამიანებს ჰქონდეთ (ამაზე უკვე მქონდა ზემოთ საუბარი), რომ ინტელიგენციით, მისი ელემენტებით, თუკი შეიძლება ასე ითქვას, „**ინერვირებული**“ უნდა იყოს ერის მთელი კულტურულ-სოციალური სხეული, რაც იმას გულისხმობს, რომ ერს უნდა ჰყავდეს არამარტო ინტელიგენტი მეცნიერები და ხელოვანები, ინჟინრები და ა.შ., არამედ გლეხი ინტელიგენტები და მუშა ინტელიგენტები, ისევე როგორც, ცხადია, ინტელიგენტი მეწარმენი და ვაჭრები, სამხედრო მოსამსახურენი, სახელმწიფო მოხელენი და სხვ. და სხვ., რადგან დარწმუნებული ვარ, ერის ადამიანური ღირსება, პირველ ყოვლისა, იზომება სწორედ იმით, თუ რამდენად ინტელიგენტია თვითონ ერი, როგორც ასეთი, ანუ რამდენადაა, როგორც ახლახან ვთქვი, მისი კულტურულ-სოციალური სხეული, განურჩევლად კლასების, „ინერვირებული“ აი ამ ინტელიგენტური ელემენტებით: მხოლოდ ამ პირობით შევიქმნებით ჩვენ ნამდვილ თანამედროვე დემოკრატიად, რომელიც სხვა არა არის რა თუ არა **განათლებული დემოკრატია** (და როგორც ასეთი – ინტელიგენტური...). მაგრამ მოვეშვათ ოცნებას და დავუბრუნდეთ სინამდვილეს.

ნათქვამია, ბუნება სიცარიელეს არ ითმენსო, ხოლო სოციალური სტიქიონი ერისა ასეთს რასმე მით უფრო არ ითმენს: როდესაც, მაგალითად, საზოგადოებაში „აზნაურნი“ ქრებიან, მათ ადგილს, „სააზნაუროს“, „მდაბიონი“ იკავებენ და ასე ხდება აზნაურთა კლასის სოციალურ ადგილმონაცვლედ „გააზნაურებულ მდაბიოთა“ კლასი, აქედან გამომდინარე ყველა კულტურულ-სოციალური შედეგით. ეს, როგორც იტყვიან, — იგავურად. ხოლო რას ვხედავთ ჩვენს ამჟამინდელ ქართულ სინამდვილეში? – ინტელიგენცია, ასეთი სოციალური ფენა, როგორც აღვნიშნე, დღეს ჩვენში არ არსებობს და მისი ადგილი, რომელიც ცნობილი კანონის თანახმად ცარიელი ვერ დარჩებოდა, საზოგადოებაში ახლა უპყრია გენეტიკურად საბჭოური ფორმაციის ე.წ. „**კონფორმისტულ ინტელიგენციას**“, ხოლო „უბრჭყალებოდ“ – ინტელიგენციის სოციალურად მონაცვლე **ანტიინტელიგენციას**, განსხვავებით პროგრესულად მოაზრე ინტელიგენციისგან (გაიხსენეთ „ინტელიგენციის“ ჩემ მიერ მოყვანილი ერთ-ერთი განმარტებიდან: „პროგრესული შეხედულებები“) – კლასს პირწმინდად **რეაქციულს,** რომლის ცნობილი უპრინციპობაც, მისი კონფორმისტული ბუნებისთვის ესოდენ დამახასიათებელი, არის კიდევაც მისი **პრინციპული რეაქციულობის** ერთი აუცილებელი ატრიბუტი. სწორედ ამ „პრინციპულ უპრინციპობა“-ში უნდა ვეძიოთ, სხვათა შორის, „საიდუმლო“ იმ მოვლენისა, რომ ამ კლასის ზოგიერთი ტიპური წარმომადგენელი თავისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში საზოგადოებას „დისიდენტის“ როლში მოჰვლენია. ასეთი ტრანსფორმაციები, ცნობილი „დისიდენტის“ გაკონფორმისტება და პირუკუ, ცნობილი კონფორმისტის „გადისიდენტება“, სავსებით ეთანხმება კონფორმიზმის – ამ „სოციალური ქამელეონიზმის“ – თვითონ **ინსტიქტურ** ბუნებას, რომლის სუბსტანციაც ყოველთვის უცვლელი რჩება, სახელდობრ კონფორმისტული, დამოუკიდებლად იმისგან, თავის გარეგნულ გამოვლინებაში რა სახით წარმოგვიდგება იგი მოცემულ მომენტში. საერთოდ, ეს თემა (“კონფორმიზმის ფენომენოლოგია“) ფრიად საინტერესოცაა და, რა თქმა უნდა, აქტუალურიც, მაგრამ იგი სცილდება ამ წერილის ფარგლებს და მეც ამიტომ, სიტყვას აქ არ გავაგრძელებ. ასევე მეტს არას ვიტყვი თვითონ ამ „კონფორმისტული ინტელიგენციის“ კლასზე, რამდენადაც იგი, როგორც ვთქვი, **არაა ინტელიგენცია**, რაგინდ „გამოჩენილი“ და „ცნობილი“ მეცნიერები, ხელოვანები და ა.შ. იყვნენ

მისი წარმომადგენლები, რადგან თემა წინამდებარე წერილის ინტელიგენციაა და არა ეს მისი ანტიპოდი. ამიტომაც ჭეშმარიტად სასკანდალო გაუგებრობად მიმაჩნია, როდესაც მავანნი, ლამის დაოსტატებულნი ქართველი ინტელიგენციის ლანძღვაში (სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია), ამ ანტიინტელიგენციისკენ იშვერენ თავის „მამხილებელ თითს“.

და ბოლოს. ზემოთ ვთქვი, ქართველი ინტელიგენცია მხოლოდ წარსულის მოგონებაა და მომავლის ოცნება-მეთქი. მაგრამ წარსულს ვერავინ დააბრუნებს, ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იგი ჩვენ ხელთაა და, რამდენად იქცევა მისი ოცნება აწმყოს სინამდვილედ, ესეც ჩვენზეა დამოკიდებული. ეს მომავალი, თავისი ოცნებითურთ, თვალწინ გვიყენია ხორცშესხმული – ჩვენი **ახალგაზრდობის** სახით. და ნამდვილი ქართველი ინტელიგენცია – **ევროპელი ქართველი ინტელიგენცია** სწორედ ამ ახალგაზრდობიდან უნდა წარმოდგეს, სწორედ ამ ახალგაზრდობისგან უნდა შეიქმნას. სწორედ მან უნდა აღადგინოს ჟამთვითარებით გაწყვეტილი დროთა კავშირი ძველ – წარსულ ინტელიგენციასა და ახალ – მომავალ ინტელიგენციას შორის და გადოს ხიდი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა ამ ჩვენი მომავლიდან იმ ჩვენს წარსულში. აქედან – ჩვენი, თვითეულისა ცალკე და ყველასი ერთად, უმთავრესი ზრუნვის საგანიც: დღევანდელი **ქართველი ახალგაზრდობა**... მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და მასზე – ცალკე.

არასაიმედო იმედი

(ანუ პოლიტიკური მისტიციზმის თეორიისა და
მისი პრაქტიკის – მისტიკური პოლიტიკის შესახებ)

„...ვიძახით წარამარად, „დრონი მეფობენო“, მაშინ როდესაც დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თითონ კაცი ჩასძახებს“.

ილია ჭავჭავაძე

„ისინი უნდა მიიღო ისეთებად, როგორიც არიან. ისინი არიან ისე, რაც არიან. მათ აქვთ თავისი ისტორია, როგორც ჩვენ გვაქვს ჩვენი“.

ჟორჟ კლემანსო

„ჩვენ ვუცხადებთ ამ რეალისტებს, რომ მათ არ იციან რეალობა!“

შარლ დე გოლი

საქართველოს პარლამენტში, მისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე უკვე მერამდენედ, ა.წ. მარტ-აპრილს შედგა მორიგი დებატები აფხაზეთის პრობლემაზე ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის წარმომადენელთა მონაწილეობით. რა მოჰყვება პრაქტიკულად ამ დებატებს, ან, საერთოდ, მათი გამართვის თვით ეს ფაქტი, როგორც ასეთი, სინამდვილეში რისი მაუწყებელი და მომასწავებელია, სახელდობრ, რაა ამ ღონისძიების, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ნამდვილი მიზეზი და ნამდვილი მიზანი – ყოველივე ამას, ალბათ, არც თუ შორეული მომავალი წარმოგვიჩენს (და ღმერთმა ქმნას, ჩემი პესიმიზმი არ გამართლდეს), მაგრამ, რაც უნდა იყოს, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, გამოვთქვა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება (არსებითად ზოგადი ხასიათის) ამავე პრობლემის გამო. „ჩემი“-მეთქი, ვამბობ, რადგან ამ წერილს პირადად ვაწერ ხელს, თუმცა სინამდვილეში ის, რასაც მკითხველს მოვახსენებ, თავის პრინციპულ ნაწილში პირდაპირი ასახვაა იმ პოზიციისა, რომელსაც ამ საკითხში ადგა და ადგას **ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია (ლდეპ)** და რომელიც არაერთგზის დამიფიქსირებია მე, თავად, ჩვენი პარტიის სახელით წინა მოწვევის პარლამენტში თუ მის გარეთ.

ბუნებრივია, მეც, ისევე როგორც ყველა სხვა მოქალაქე, თვალყურს ვადევნებთ ამ საპარლამენტო დებატებს ტელევიზიის მეშვეობით და რაც მთავარია, ყურადღებით გავეცანი „საქართველოს პარლამენტის დადგენილებას აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ – ამ დებატების შემაჯამებელ და ხელისუფლების სახელმძღვანელოდ დასახულ დოკუმენტს, რომელიც, თავისთავად, **არცთუ მთლად ცუდი** დოკუმენტის **შთაბეჭდილებას** ტოვებს თავის მთლიანობაში, წმინდა **ტექსტობრივ** განხილული, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ამ ხელისუფლების ხელიდან არის გამოსული (თუმცა, რა თქმა უნდა, ნაცნობი პოლიტიკური ხელწერა, თავისებური „კონცეპტუალური“ შტრიხებითურთ, მასში ადვილად იკითხება). ხოლო საკითხავი ესაა: არის კი ხსენებული „დადგენილება“, განსხვავებით ჩვენთვის უკვე „ტრადიციულად“ ქცეული, პრაქტიკულად არავის არაფრით მავალდებულებელი „სარიტუალო“ დოკუმენტისგან, როგორიც არაერთი გვინახავს აქამდე, **პოლიტიკურად სერიოზული დოკუმენტი,** რომლის ცალკეული დებულებებიც დაიმსახურებდნენ სათანადო ნდობას, მათს საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოსატანად და ხელისუფლების მიმართ ჩვენს კრიტიკულ პოზიციაში შესაბამისი კორექტივების შესატანად? – წარსულის მწარე გამოცდილება ამ დოკუმენტისადმი, თვით მისი შინაარსის გათვალისწინებით, ასეთი სერიოზული (ზემოაღნიშნული აზრით) დამოკიდებულების სასარგებლოდ, სამწუხაროდ, თითქმის არანაირ საბუთს არ იძლევა და მეც, ამიტომ, ვილაპარაკებ ხელისუფლების დღევანდლამდელ პოლიტიკაზე ამ „დადგენილების“ მხედველობაში მიღებით, მაგრამ არა მასზე დაყრდნობით. ნათქვამია, სიფრხილეს თავი არ სტიკივაო, ხოლო ჩვენს, დავსძენდი, მეტად საფრთხილო მდგომარეობაში – მით უფრო.

„დიდი ანონიმი“: აგრესორი „მშვიდობის მისიონერის“ როლში

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება (ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, **პირადად** ბატონ პრეზიდენტს, ხოლო მასთან ერთად, **აგრეთვე**, მის სამთავრობო კაბინეტსა და მის საპარლამენტო უმრავლესობას, სულ ერთია, „უწინდელსა“ თუ „აწინდელს“, ორივე შემთხვევაში – მისას და ამ

პრინციპული პერსონალური მიმართებით **საზოგადოდ** „ამჟამინდელს“, მოყოლებული 1992 წლიდან...), როდესაც საუბარი ეხება ხოლმე განსაკუთრებით იმ პოლიტიკას, რომელსაც ეწევა იგი, ეს ხელისუფლება, აფხაზეთის (და ასევე შიდა ქართლის – „ცხინვალის რეგიონის“) პრობლემის თითქოსდა მოსაგვარებლად რუსეთთან „თანამშრომლობის“ ბაზაზე, ამ საკითხში პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას ჩვეულებრივ ხსნის იმით, რომ ოპოზიციონერები მოკლებული არიან პოლიტიკურ „რეალიზმსა“ და „პრაგმატიზმს“, ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, ისინი საერთოდ არ არიან პოლიტიკოსები (მართლაც, ვის გაუგონია „არარეალისტი და არაპრაგმატიკოსი პოლიტიკოსი“, ეს ხომ იგივეა, კაცმა თქვას „არაპოლიტიკოსი პოლიტიკოსი“-ო). შესაძლებელია, ხელისუფლება დიდად არ სცოდავდეს ჭეშმარიტებას და ჩვენებური ოპოზიციონერები მართლაც არ იყვნენ პოლიტიკოსები, ამ სიტყვის სერიოზული (“პროფესიული“) გაგებით, მაგრამ თქმა იმისა, თითქოს მათ არ გააჩნდეთ ელემენტური საღი აზრი და **უმარტივესი ფაქტების** ადექვატური აღქმისა და შეფასების უნარი, – ვფიქრობ, მეტისმეტი იქნებოდა თვით ისეთი გონება-“მაღალი და მაღლად მხედი“ ადამიანებისგანაც კი, როგორნიც წარმოდგენილნი არიან ჩვენს ხელისუფლებაში, რაგინდ შესაბამისად მაღალი კრიტერიუმებით ზომავდნენ ისინი **სხვათა** გონებრივ შესაძლებლობებს.

ერთ ასეთ, ვიმეორებ კვლავაც ხაზგასმით, **უმარტივეს ფაქტად** კი, თანაც, მიუხედავად ამ თავისი სიმარტივისა (ან, იქნებ, სწორედ იმიტომაც), „რეალისტური“ (და „პრაგმატული“) პოლიტიკისთვის **ფუნდამენტური** მნიშვნელობის მქონედ ჩვენს შემთხვევაში, უთუოდ მისაჩნევია ის, რომ ე.წ. ქართულ-**აფხაზური**, გნებავთ – ქართულ-**ოსური,** კონფლიქტები სინამდვილეში (თუკი ვილაპარაკებთ „ნამდვილ სინამდვილე“-ზე) სხვა არაფერია, თუ არა **ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე** ქართულ-**რუსული** კონფლიქტი, რომლის ამ რუსული „სუბსტანციის“ მხოლოდღა პოლიტიკური კამუფლაჟია ზემოხსენებული აფხაზური, გნებავთ – ოსური, „ეთნიკური“ ფორმები.

ცნობილია თუ არა საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს **ფაქტი,** ესოდენ უეჭველი და უდავო? – რა თქმა უნდა, ცნობილია ისევე, როგორც ყოველი ჩვენგანისთვის, სკოლის მოწაფით დაწყებული და „ინტელექტუალური ელიტით“ დამთავრებული, მაგრამ ამ მისთვის, ასე ვთქვათ, „დე ფაქტო“ ცნობილ ფაქტს მის-

განვე პოლიტიკურად „დე იურე“ ცნობაც სჭირდება, რასაც იგი ცოცხალი თავით დღემდე არა და არ აკეთებს, გულდაგულ ინახავს რა ამ თავის რაღაც „ეზოთერულ პოლიტიკურ ცოდნას“, როგორც ოფიციალურ ენაზე გამოუთქმელ და, მაშასადამე, პრაქტიკულად ყოველგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებულ, რაღაც უცნაურ „ცოდნას თავის თავში და თავისთვის“.

საქმე ისაა, რომ არსებული კონფლიქტური სიტუაციის თვით **ოფიციალური კვალიფიკაციის** თანახმად, საქართველოში, მის ორ სხვადასხვა რეგიონში, ადგილი აქვს, შესაბამისად, ორ სხვადასხვა ეთნიკურ კონფლიქტს (“რეგიონალურ-ეთნიკურ“) – ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურს, რის გამოც ამ ყველა კონფლიქტის **მთავარი მოქმედი პირი** – რუსული მხარე რჩება კიდევაც თავისთვის მეტად მომგებიან „დიდი ანონიმის“ როლში, საიმედოდ ამოფარებული თავის „**ეთნორეგიონალურ“ პოლიტიკურ ფსევდონიმებს**, აფხაზეთში – რუსულის ფსევდონიმ „აფხაზურს“, ე.წ. „სამხრეთ ოსეთ“-ში – რუსულისავე ფსევდონიმ „ოსურს“, და ამგვარად თვითონ ეს ერთადერთი ნამდვილი – ქართულ-რუსული კონფლიქტი სიტუაციის მაკვალიფიცირებელი ვერსიის, არსებითად მადეზინფორმირებელისა და მადეზორიენტირებელის, ავტორიტეტული ძალით სინამდვილეში პოლიტიკურად **ნახევრადანონიმური** კონფლიქტის სახითაა დაკანონებული (ვამბობ, „დაკანონებული“-მეთქი, რადგან ე.წ. „რუსული ფაქტორის“ ეს მაანონიმირებელი ფსევდონიმები „აფხაზური“ და „ოსური“, ხელისუფლების ოფიციალურ ტერმინოლოგიაში დღემდე რჩება გაუშიფრავი (მათს ოფიციალურ გაშიფვრაზე პოლიტიკურად ლამის ყადაღადადებული), თუკი ასეთ გაშიფვრად არ მივიჩნევთ, მაგალითად, პარლამენტის ამასწინდელ „დადგენილება“-ში იმდენად ორაზროვან, რომ ლამის უაზროდ ქცეულ კონტექსტში ნახმარ „გარეშე ძალებს“ (თანაც დააკვირდით: არა „ძალას“, არამედ „ძალებს“...), ავტორის სავარაუდო ჩანაფიქრით (თუკი მას იგი საერთოდ ჰქონდა), ვითომც „დიპლომატიურად მამხილებელს“, აქაოდა, გამგები გაიგებსო, რაზეც მე ვუპასუხებდი: სწორედ **გამგები** ვერ კი არა, **არ** გაიგებს). და, აი, ამგვარ ფიქციებზე დამყარებული ამ მართლაც რომ „ფიქციონალისტური“ პოლიტიკის (და არა „რეალისტურისა“ და „პრაგმატულის“, გნებავთ – „რაციონალურის“, როგორც გვარწმუნებენ... ამაოდ) წყალობით მივიღეთ კიდეც ის „უცნაური ომი“ (ომი ზემოხსენებულ „დიდ ანონიმ“-თან და ამი-

ტომაც „ნახევრად – თუ მეტად არა – ანონიმური“), რომელიც ჩვენვე ვაწვნიეთ საკუთარ თავს, და ასეთ „პოლიტიკურ უცნაურობა“-ში ვიმყოფებით დღემდე (რამდენადაც, გვინდა – არ გვინდა, ახლაც იმავე უცნაურ „საომარ მდგომარეობა“-ში ვართ, რადგან **საკონსტიტუციო კაპიტულაციაზე საქართველოს ფედერალიზაციის** ან ამ უკანასკნელის ერზაც ფორმის – ე.წ. „**რეგიონალიზაციის**“, შესახებ ჯერ საბოლოოდ არ მოგვიწერია ხელი): **გვებრძვის რუსული იმპერიალიზმი, რომლის ოფიციალური სახელიც „სეპარატიზმი“-ა („აფხაზური“ და „ოსური“),** მაგრამ ეს „უცნაურობა“ ამით არ მთავრდება (იძენს რა ახლა უკვე ერთგვარ მაზოხისტურ ხასიათსაც კი: ეტყობა გვსიამოვნებს, როცა გვცემენ და გვამცირებენ): სწორედ ამ იმპერიალიზმს ვაკისრებთ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან დაგვმართა, არც მეტი, არც ნაკლები – „**სამშვიდობო მისიას**“ მის მიერვე ინსპირირებულ და ორგანიზებულ სეპარატიზმის პრობლემის „მშვიდობიანი“ მოგვარების საქმეში (ანუ „დავავალეთ“, შენგანვე დაგვიცავიო!). ეს კი რაღაა? – ხელისუფლებას რომ ვკითხოთ, ის ალბათ გვიპასუხებს, რომ ეს პოლიტიკური რეალიზმი და პრაგმატიზმია (და რაციონალიზმიო, უთუოდ ამასაც დასძენს), თუმცა მე, პირადად, მაინც მგონია, რომ თუკი აქ რაღაც რეალიზმთან მაინც გვაქვს საქმე (პრაგმატიზმსა და რაციონალიზმს ჯერ თავი დავანებოთ), ეს უნდა იყოს ის მისი ფრიად თავისებური (და, შევნიშნავდი, უცნაური) ფორმა, რომელსაც უფრო „სიურრეალიზმის“ და (ე.ი. ზე-რეალიზმის) სახელი მოუხდებოდა, მაგრამ ეს ხომ ფანტასტიკისა და მისტიკის სფეროა, რომელთანაც „პრაგმას“, ყოველ შემთხვევაში პოლიტიკურს (თავისი „პრაგმატიზმით“-ურთ), ისევე როგორც, სხვათა შორის, საერთოდ „რაციოს“ (თავისი „რაციონალიზმით“-ურთ), არაფერი ესაქმებათ... მაინც სადაა პოზიციათა ასეთი რადიკალური დაშორების კრიტიკული წერტილი? – მაგრამ ამაზე ქვემოთ, ცოტა მოგვიანებით.

განვაგრძობ. ეს პოლიტიკური რეალობის არსებითად მაფალსიფიცირებელი კვალიფიკაცია საქართველოში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციისა, რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი, რაგინდ შორსმწვდომი სტრატეგიული მიზნებით ამართლებდნენ მას, როგორც „ტაქტიკას“, ამ მისი ფრიად ჰიპოტეტური, მეტი რომ არ ვთქვა, ვითომცდა გამართლებულობის მიუხედავად, ყველა შემთხვევაში დიდად წამგებიანია საქართველოსთვის და, **მაშასადამე,**

დიდად მომგებიანი – რუსეთისთვის. ჩვენ რომ თავის დროზე არსებული სიტუაციისთვის თუნდაც საკუთრი სახელი კი არ გვეწოდებინა, არამედ გვეთქვა უბრალოდ, რომ ეს არსებითად ქართულ-რუსული კონფლიქტია, ასეთი მოკრძალებული ფორმულაც საკმარისი იქნებოდა, რათა აშკარა შექმნილიყო ყველასთვის, რომ სინამდვილეში ამ „კონფლიქტის“ სახელქვეშ იგულისხმება ჩვეულებრივი **აგრესია**, რომლის სუბიექტიც „რა თქმა უნდა“ რუსეთია, ხოლო ობიექტი – „რა თქმა უნდა“ საქართველო, რასაც ადრე თუ გვიან, თვითონ ცხოვრების „ლოგიკური აუცილებლობით“, უთუოდ მოჰყვებოდა, **თუკი** ჩვენს მართალ საქმეს ჯეროვანი პრინციპულობით დავიცავდით და ჯეროვანი მეთოდურობით გავუძღვებოდით (რადაც უნდა დაგვჯდომოდა!), კონფლიქტის მონაწილე თვით ამ მხარეთა სათანადო მორალურ-პოლიტიკური და, პრაქტიკულად, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იურიდიულ-პოლიტიკური კვალიფიკაციაც: რუსეთის – როგორც აგრესორის, საქართველოსი – როგორც აგრესიის მსხვერპლის. მოხდა კი სრულიად საპირისპირო რამ და ამ ქართულ – „აფხაზური“ და ქართულ – „ოსური“ კონფლიქტების წყალობით ქართველობა, სინამდვილეში აგრესიის ობიექტი, (ე.ი. მისი მსხვერპლი) მსოფლიო საზოგადოების თვალში მორალურად აგრესიის სუბიექტად იქცა (ე.ი. თვით აგრესორად), რომლის „საკბილოდა“-ც გამოისახა, თანაც, არა ერთი, არამედ არაერთი („მთელი ორი“!) ობიექტი და თან „სუყველა“, ესეც დავამატოთ, – ეროვნული უმცირესობები (აფხაზები და ოსები, – ორი „პატარა“, რომლებსაც ჩაგრავს ერთი „დიდი“...), ამ თავისი „აგრესიის საობიექტო“ სტატუსით რუსეთის მიერ „ობიექტურად“ კიდევაც მომარჯვებულნი როგორც საქართველოს მიმართ მისი საკუთარი აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის ლამის ლეგალიზებული „ცოცხალი ინსტრუმენტები“; ხოლო, რაც შეეხება თვითონ რუსეთს, ასე ვთქვათ – პერსონალურად, არც ის დაგვივიწყებია: იგი, თითქოს იმის შიშით, ვინმე მამხილებლის „ავი თვალი არ ეცესო“, ამავდროულად კიდევ უფრო შევფუთ-შევნიღბეთ იმავე მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მისთვის დაკისრებული „სამშვიდობო მისიით“, – მოყვრის სატირლად და მტრის სასაცილოდ. ამიტომაც, გვინდა თუ არა, ზოგადი პოლიტიკური სურათი თანახმად ჩვენივე ხელისუფლების ამ ოფიციალური ვერსიისა, რომლის „ქვეშევრდომული პროტექციითა“-ც რუსეთი, როგორც ხსენებული კონფლიქტური სიტუა-

ციის ერთადერთი ნამდვილი შემოქმედი, სცენაზე საერთოდ არ ჩანს, ასეთი იხატება. –

საქართველოში ადგილი აქვს ორ კონფლიქტს და ამ **ორივე** კონფლიქტის **ერთ** მოკონფლიქტე მხარეს წარმოადგენენ ქართველები, როგორც ასეთნი – „ერთპიროვნულად“ კონფრონტირებულნი ამ ქვეყნის ორ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ორ სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობასთან – აფხაზებსა და ოსებთან, რაც თავისთავად სავსებით ბუნებრივად უკვე ბადებს ეჭვს, ეროვნულ უმცირესობათა ამ ლამის „საყოველთაო ამბოხების“ მთავარი, თუ სულაც არა ერთადერთი „ფაქტორი“ თვითონ ქართველები ხომ არ არიან, რომელთა „შოვინიზმი“-ც, სხვათა შორის, ისედაც ფართოდაა რეკლამირებული მსოფლიოში სწორედ რუსული „საინფორმაციო სამსახურების“ მეცადინეობით, ასე რომ, ასეთი ეჭვისთვის შესაფერისი ფსიქოლოგიური ნიადაგიც შემზადებულია. ხოლო ვინ არ იცის, რომ ამგვარ ეჭვს, უკეთ **განწყობას,** ვერანაირი „კონფიდენციალური დიპლომატიური“ განმარტებები, რაგინდ „მაღალ დონე“-ზე მიცემული, რომ „საქმე სულ სხვა რამეშია“, ვერ უშველიან, რადგან საზოგადო განწყობის ფონის შემქმნელი და ტონის განმსაზღვრელი, ასეთ შემთხვევებში მაინც, საჯარო საზოგადოებრივი აზრია (მხედველობაში მაქვს, ცხადია, არა რუსეთის, სადაც ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცის და დიდადაც კმაყოფილნი არიან (თავისი თავით), არამედ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი), რომელიც სათანადო გავლენას ახდენს მოცემული ქვეყნის, სადაც ეს აზრი ყალიბდება და მოქმედებს, პოლიტიკაზე, რაოდენ სუვერენულად მოაზრე და მოსაქმე მთავრობაც ჰყავდეს მას (და საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის მადლიერი და პატივისმცემელი).

ხოლო რუსეთი? – იგი, „გეოპოლიტიკურად“ დაინტერესებული საქართველოთი და ასეთი „ინტერესის“ კარნახით „ძალაუნებურად“ მის კონფლიქტურ სიტუაციებში „გარედან“ ჩართული, მართალია, „შიგადაშიგ“ არ იცავს გარკვეულ საერთაშორისო ნორმებს ამ თავის „ინტერესის ობიექტ“ ქვეყნის მიმართ, მაგრამ ამგვარი იურიდიული შეცოდებების, არსებითად „ფორმალურის“, მიუხედავად, **მორალურადაც და პრაქტიკულადაც**, მაინც გამოდის ამ ეროვნულ უმცირესობათა „სასიცოცხლო ინტერესების“ (“კონფიდენციალურად“ თუ ვიტყვით, პოლიტიკურად თავის მიერვე

შექმნილის თავიდან ბოლომდე) ერთგვარ „გარანტად“. თანაც, ესეც უნდა ითქვას (სიმართლეს სად წავუვალთ!), თვითონ ეს ეროვნული უმცირესობები სწორედ მას და მხოლოდ მას – **რუსეთს** – მიიჩნევენ თავის ბუნებრივ მფარველად ქართული „აგრესიული დიდმპყრობელური ნაციონალიზმის“ პირისპირ და, მეტიც, მოითხოვენ კიდეც რუსეთის შემადგენლობაში შესვლას (ეს უკანასკნელი გარემოება ხომ არ აქვს მხედველობაში ჩვენს ხელისუფლებას, გარემოება „საქართველოს“ ასეთი „ცალკე რეგიონალური“ (სახელდობრ აფხაზურ-ოსური) და რუსეთის საერთოსახელმწიფოებრივი „ინტერესების თანხვედრისა“, როდესაც ცდილობს დაგვარწმუნოს, საქართველოს საერთო ინტერესები აქვს რუსეთთანო?... მაგრამ ამაზე ქვემოთ). და რაა ამაში ან განსაკუთრებით საკვირველი, ან განსაკუთრებით საძრახისი, რომ ასეთი „ორმხრივ საინტერესო“ სიტუაცია, ზემოხსენებული „ადგილობრივი ინიციატივების“ გათვალისწინებით, ფრიად „მაცდუნებელი“ იყოს არათუ რუსეთელი, არამედ მასზე გაცილებით უფრო კულტურული და ცივილიზებული „ლევიათანის“ (როგორიცაა, თუკი თომას ჰობზს ვერწმუნებით, საერთოდ ყველა სახელმწიფო, ეს, მისივე განსაზღვრით, მართალია, „ხელოვნური“, მაგრამ მაინც „ადამიანი“ —) „ადამიანური სისუსტისა“-თვის და ამდენად – „ადამიანურადვე გასაგებისა“-ც.

აი, ასეთი უნდა იყოს, ასე მგონია, ის ამგვარ შემთხვევებში, როგორც წესი, გადამწყვეტი „მასობრივ-იმპრესიონისტული“ ხედვა და შეფასება (“ერთი შეხედვით“ და „ერთი შეფასებით“, – მეტს არც უნდა ველოდეთ) დასავლელი „საშუალო ადამიანისა“ (სულ ერთია, ვინაა იგი: რომელიმე უნივერსიტეტის პროფესორი თუ რომელიმე კანტორის კლერკი), რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს საქართველოში არსებული კონფლიქტური ვითარების მაკვალიფიცირებელი ქართულივე ოფიციალურივე ვერსიის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისგან, თუ თვითონ ამ ვერსიის ავტორს რამდენად აწყობს ამგვარი საზოგადოებრივი შთაბეჭდილებისა და განწყობის შექმნა მისივე ნამუშაკევის წყალობით. წარმომიდგენია ვინმე „მოქალაქე“, რომელიც ამ ჩემს სიტყვებზე ჩაიცინებს: „საშუალო ადამიანი“ რა შუაშია, **ჩვენ** დასავლეთის „პოლიტიკურ **ელიტას**“-თან გვაქვს საქმეო (ეს სიტყვა „ელიტა“ ძალიან უყვარს ჩვენს ხელისუფლებას და ამიტომაც მიხდება მისი ხშირად ხმარება). რა მეთქმის ამის საპასუხოდ? – ალბათ, ის, რომ „მოქალა-

ქეს“ ავიწყდება (ან, რაც უფრო მოსალოდნელია, უბრალოდ არც იცის მან), რა არის თანამედროვე დასავლური დემოკრატია: იგი ხომ სწორედ ამ „საშუალო ადამიანის“ დემოკრატიაა, რომლის პოლიტიკური „ელიტა“-ც **მისი** ელიტაა – **საშუალო ადამიანის ელიტა**, არც მეტი, არც ნაკლები) აქედან გამომდინარე, სხვათა შორის, იმ ფრიად სერიოზული ზოგადკულტურული პრობლემებით, რომლებიც უდგანან მთელ დასავლურ ცივილიზაციას და ელიან მისგან გარკვეულ პასუხს...). ასე რომ, ილუზიებს ნუ მივეცემით რაღაც განსაკუთრებული „ელიტის“ იმედით: შეხედეთ, კარგად დააკვირდით დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, მათ სიტყვებსა და საქმეებს, და ადვილად მიხვდებით, თუ კონკრეტულად რა მაქვს მხედველობაში (ეს საკითხი, თავისთავად დიდად საგულისხმო ჩვენთვის, რადგანაც ადრე თუ გვიან უნდა შევიქმნათ სწორედ ამ დასავლური დემოკრატიული მსოფლიოს ორგანულ ნაწილად, სცდება წინამდებარე წერილის ვიწრო ფარგლებს და მიტომაც მხოლოდ ასეთი ზოგადი „მინიშნებით“ დავკმაყოფილდები ამჯერად.)

ხშირად გვსმენია ერთგვარი წუწუნი თვით სამთავრობო „სფეროებიდან“-აც კი, აფხაზეთისა და შიდა ქართლის გამო ატეხილ „საპროპაგანდო ომ“-ში(ც?) ვერ ვიმარჯვებთო. ახლა პარლამენტის „დადგენილება“ თითქოს აპირებს ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას თითქმის სრული დარწმუნებულობით, რომ სანამ „დიდი ანონიმის“ ვინაობა ოფიციალურად არ იქნება გაშიფრული და მით ჯეროვანი სიცხადით წარმოჩენილი „რუსული ფაქტორის“ (ოფიციალური ევფემიზმი, „რუსული იმპერიალიზმის“ თავისებურ „სინონიმად“ შერჩეული) ნამდვილი როლი როგორც აფხაზეთის, ასევე შიდა ქართლის ამბებში, – ყოველივე ამაო იქნება, როგორც ეს იყო აქამდეც (თუმცა აქამდე „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?“, მაგალითად... ჟენევაში, ეს კიდევ სხვა საკითხია), რადგან მარტო აფხაზ (თუ ოს) სეპარატისტთა „მხილებით“ ბევრს ვერას გავხდებით ადვილად გასაგებ, სხვა არა იყოს, თუნდაც წმინდა ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამო.

ამიტომაც, სავსებით ვიზიარებ რა ხელისუფლების მოწოდებას, ვიყოთ რეალისტები და ანგარიში გავუწიოთ „რუსულ ფაქტორს“, ვფიქრობ, რომ რეალისტური ხედვა და შეფასება ამ „ფაქტორისა“, რაზეც უნდა ავაგოთ კიდეც, ალბათ ჩვენი ყველა

პრაგმატული „ანგარიში“, სწორედ იმაშია, რომ თვალი გავუსწოროთ რეალობას და ვაღიაროთ **საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიალისტური აგრესიის ფაქტი, –** რუსეთისა, როგორც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების **ერთადერთი ნამდვილი** (ზემოხსენებული „ნამდვილი სინამდვილის“ გაგებით) **კონფლიქტოგენური ფაქტორის** (და ეს ითქმის არა მარტო ამ კონფლიქტების შესახებ, არამედ, ნურც ამას დავივიწყებთ, სხვისაც, ჯერჯერობით, მართალია, მხოლოდ პროგნოზირებადისა და თუ პროექტირებადის, მაგრამ რომლითაც, რამდენადაც ვიცი, არაერთგზის „გაუფრთხილებია“ ჩვენი მთავრობა მისსავე საესავ ბატონ „ფაქტორს“, თუ ჭკვიანურად არ მოიქცევით, მაშინ... ჩემი რეზერვი და მისი ჯანიო). ამით მე, რა თქმა უნდა, სულაც არ ვაპირებ საკუთრივ აფხაზური თუ საკუთრივ ოსური ფაქტორების ფიქციად გამოცხადებას, არამედ იმის თქმა მსურს მხოლოდ, რომ პირველადი ფაქტორი ამ, შესაბამისად, მეორადი ფაქტორებისა, სწორედ ეს ე.წ. „რუსული ფაქტორი“ გახლავთ, ასე ვთქვათ – „ფაქტორთა ფაქტორი“, რომლის ე.ი. **რუსული იმპერიალიზმის** (ჯერ ცარისტულის, მერე ბოლშევიკურის, ბოლოს „დემოკრატიულის“...), მიზანშეწონილი და გეგმაზომიერი პოლიტიკის შემონაქმედიცაა ეს, გნებავთ, აფხაზური, გნებავთ ოსური ფაქტორები – აფხაზური და ოსური **მებრძოლი ანტიქართული ტრაიბალიზმების** (და არა „ნაციონალიზმების“, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ) სახით. ფაქტი (და საქმე, ე.ი. პრაგმა) თუ გსურთ ესაა ბატონო „რეალისტებო“ (და „პრაგმატიკოსებო“), და ამიტომაც ვამბობ, რომ პოლიტიკა, რომელიც უგულებელყოფს ამ, ვიმეორებ, **ფუნდამენტური** მნიშვნელობის ფაქტს, ვერ იქონიებს რაიმე სერიოზულ პრეტენზიას ვერანაირ რეალიზმზე (და, მაშასადამე, ვერანაირ პრაგმატიზმზე), რაგინდ უქადაგონ ამ პოლიტიკის ავტორმა და მისმა მიმდევრებმა ოპოზიციას „რეალიზმი“, „პრაგმატიზმი“ და სხვა ამგვარი საპოლიტიკო სათნოებები. მეტიც, მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ეს პოლიტიკა არა თუ რეალისტური არაა (და, მაშასადამე არც პრაგმატული, არც რაციონალური... ეს რაც შეეხება მის, ასე ვთქვათ, „უარყოფითს“ დახასიათებას), არამედ იგი დადებითად **მისტიკურია**, როგორც აგებული რაღაც **რწმენაზე** (რაც არაერთგზის განუცხადებია პირადად ბატონ პრეზიდენტს), თითქოს რუსეთის ეროვნულ ინტერესებში ყოფილიყოს მის მეზობლად ტერიტორიულად მთლიანი და პოლიტიკურად სუვერე-

ნული (და, საერთოდ, „ძლიერი“, – ეს სიტყვაც იმავე წყაროდან გვსმენია) საქართველოს არსებობა და ამიტომ ის ვითომც შეეცდება კიდეც, „დაგვეხმაროს“ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების საქმეში, რომლის მოგვარებაც, (ამით ჩანს, უკვე „პედაგოგიურად“ გვაშინებენ, აქაოდა, შიში შეიქმს რწმენასაო) და საერთოდ შეუძლებელი ყოფილა რუსეთის გარეშე, ე.ი. ჩვენს საშინაო საქმეებში მის ჩაურევლად (ეს თეზისი, თუკი გავითვალისწინებთ მის ფსიქოლოგიურ დატვირთულობას, ჩვენი ხელისუფლების ამ მთელი „უკრედიტო კრედოს“, „უკრედიტოსი“ – სწორედ მისი სასიქადულო რეალიზმისა და პრაგმატიზმის თვალსაზრისით, „სპეცდანიშნულების“ დებულება უნდა იყოს). და ზემოხსენებული „კრიტიკული წერტილი“-ც პოზიციათა ასეთი რადიკალური დაპირისპირებისა ხელისუფლებასა და მის, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ ოპონენტს შორის, ვფიქრობ, სწორედ ამ სამთავრობო „რწმენისა“-დმი დამოკიდებულებაშია საძიებელი.

მართლაც, ხელისუფლებას, როგორც ვთქვი, მშვენივრად მოეხსენება რუსეთის როლის შესახებ, როგორც აფხაზეთის, ასევე შიდა ქართლის ამბების მომზადების, წამოწყების და წარმართვის საქმეში. მაშ, თუკი ეს ასეა, – ვიკითხოთ კიდევ ერთხელ, – რატომ ამყარებს იგი თავის იმედს იმავე რუსეთზე? ამის საპასუხოდ ხელისუფლებას ხელთ აქვს მოუგერიებელი არგუმენტის ძალის მქონე (ასე მიაჩნია, ეტყობა, თვითონ მას) კონტრშეკითხვა: სხვა რა გზაა, სხვა რა გამოსავალია? – რომლის პასუხიც თვით მასშივეა ჩადებული, ჩვენთვის ასევე კარგად ცნობილი: სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ არის. ამიტომაც ჩემს ამოცანას ზოგადად ასე შემოვფარგლავდი: **დავუშვათ**, სხვა გზა არ არის, მაგრამ არის კი **ეს „**გზა“, ხელისუფლება რომ გვთავაზობს, ის „გამოსავალი“, რომელმაც **შეიძლება** მიგვიყვანოს სასურველ მიზნამდე (ე.ი. **ნამდვილად** დავიბრუნოთ, – ნამდვილად, არა როგორც ქვეყნის ფედერალიზაციის (თუ რეგიონალიზაციის, – პრინციპულად სულერთია) საფუძველზე **დაშლილი** „ერთიანი საქართველოს“ ფრიად საეჭვო „სუბიექტები“, – აფხაზეთი და შიდა ქართლის ე.წ. ცხინვალის რეგიონი)? ის, რომ „სხვა გზა“ ხელისუფლებას ვერ უპოვია ხსენებული მიზნის მისაღწევად, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ **ამ გზის გარდა** სხვა გზა არ არის, რადგან გასაკვირია, თვითონ ეს გზა რამდენადაა ასეთ „საგამოსავლო“ გზად მისაჩნე-

ვი. ხომაა შესაძლებელი, როგორც იტყვიან ხოლმე, „თეორიულად“ (თუმცა მე, პირადად, ასეთი შესაძლებლობის შესაძლებლობისაც კი არ მჯერა, გარდა ერთი შესაძლებლობისა – თვით ჩვენი ხელისუფლების ცნობილი „შესაძლებლობის“...), რომ ეს „ერეკლე მეფის გზა“, როგორც მონათლა ამ ჩვენმა „ერის საუკეთესო პოლიტიკური ტრადიციების ერთგულმა“ ხელისუფლებამ ეს თავისი, მე მაინც ჩემსას ვიტყვი და, ყველა საზომით რეაქციულზე ურეაქციულესი „სარუსეთო კურსი“, სულაც არ აღმოჩნდეს ისეთი „ბედნიერი“, როგორადაც მოევლინა იგი ცნობილი „მანიფესტით“ უწყებული „ბედნიერებით“ გაოგნებულ ჩვენს წინაპრებს ამ ორასიოდე წლის წინათ; სხვანაირად რომ ვთქვა, განა არ შეიძლება, რომ ეს „გზა“-ც არ იყოს „გამოსავალი“ და მაშინ, როცა ამ გზის საფლობში უკვე შეტოპილი გვექნება, – მაშინ რაღა ვქნათ, „ვინ სადღა იყოს“? სწორედ აქ შემოდის, აი ამ კითხვის საპასუხოდ (და ჩემი ამოცანაც, შესაბამისად, უკვე საბოლოოდ კონკრეტდება), ხელისუფლების „სამმაგი რწმენითი არგუმენტი“ (ჩამოვთვლი ლოგიკური უკურიგით, დანასკვიდან წინამძღვრისკენ): რწმენა პირველი, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენითა და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცებით, რადგან – რწმენა მეორე – რუსეთის საკუთარი ინტერესები მოითხოვენ, ჰყავდეს მას მეზობლად ძლიერი, ტერიტორიულად მთლიანი და პოლიტიკურად სუვერენული საქართველო, და რომ – რწმენა მესამე – არსებობს ორი რუსეთი, პროგრესული (ანუ დემოკრატიული) და რეაქციული (ანუ ანტიდემოკრატიული), რომელთაგან პირველს (პროგრესულ-დემოკრატიულს), საპირისპიროდ მეორესი (რეაქციულ-ანტიდემოკრატიულის), შეგნებული აქვს კიდევაც თავისი ქვეყნის ეს საქართველოსთვისაც ესოდენ სასიკეთო ინტერესები (ალბათ, ეს უნდა იყოს საქართველო-რუსეთის ის ჭეშმარიტად **საახალტრაქტატო** „ინტერესთა თანხვედრა“, რომელზეც ამდენს ლაპარაკობს ჩვენი „ერეკლე მეფის გზით“ მავალი „ტრადიციონალისტი“ ხელისუფლება) და რომელიც ამგვარად ღმერთს მართლაც აღმოუვლენია ჩრდილოეთიდან „ღამიანი ქართლისა“-თვის „მზედ – ღამის გამთენებლად“... ასეთია ჩვენი ხელისუფლების „პოლიტიკური სილოგიზმი“, თავისი სულისკვეთებით „ღრმად მისტიკური“-ცა და, შესატყვისად, „მაღალპოეტური“-ც, ოღონდ არ ვიცი, რამდენად

შევძელი ლოგიკის კლასიკურ ყალიბში ჩამოქანდაკებული ამ სამთავრობო „ინტუიციის“ ადეკვატური ფორმით გამოთქმა.

ხოლო, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ხელისუფლების არგუმენტაცია ამ საკითხში ამით ამოიწურება, მაშინ როდესაც კითხვა კითხვადვე რჩება: რუსული პოლიტიკის, რომლის მესვეურიც, თუ არ ვცდები, სწორედ რუსეთის პრეზიდენტი და მისი მთავრობაა, ჩვენი ხელისუფლებისვე მტკიცებით ჭეშმარიტი წარმომადგენელი, ლამის ერთადერთიც სწორედ ამ „დემოკრატიული და პროგრესული რუსეთისა“, – აი ამ, ვიმეორებ, რუსული პოლიტიკის, კერძოდ და განსაკუთრებით – საქართველოს მიმართ, მაინც რა **ფაქტებს** ემყარება ეს მთელი ზემოაღნიშნული რწმენა, სახელდობრ, რომ რუსეთს აქვს ჩვენთვის სასიკეთო ასეთი ინტერესები და რომ არსებობს „დემოკრატიული, პროგრესული რუსეთი“, ამ ინტერესების ვითომც სერიოზულად თავისად მცნობელი. უბედურებაც სწორედ ისაა (და ქვემოთ სწორედ ამაზე მექნება საუბარი), რომ ეს რწმენა არსებული რეალობის, მისი ფაქტობრივი ვითარების, ხედვაზე კი არაა აგებული, არამედ, პირიქით, თვითონ ეს ხედვა რეალობისა თავადაა მთლიანად აშენებული რაღაც ირეალურ და, შესაბამისად, ირაციონალურ რწმენაზე, რის გამო ვახასიათებ კიდეც პოლიტიკურ ამგვარ „რწმენითს ხილვას“ და მასზე დამყარებულ პოლიტიკასაც როგორც „მისტიკურს“ (თუკი ამ პატივცემული სიტყვის ასეთს კონტექსტში გამოყენება ვინმე „რიგორისტის“ მიერ მკრეხელობად არ ჩამეთვლება). ამგვარად, კითხვა ასე დგას: **არსებობს თუ არა, საერთოდ, საქართველოს მიმართ ნამდვილად კეთილგანწყობილი „პროგრესული და დემოკრატიული“ რუსეთი და აქედან გამომდინარე, რამდენად რეალისტურია (და, მაშასადამე, პრაგმატულიცა და რაციონალურიც) ის „პროგრესული და დემოკრატიული რუსეთის იმედის პოლიტიკა“, რომელსაც ადგას ოფიციალურად საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება?** თანაც შევნიშნავ, რუსეთს სავსებით კეთილგანწყობილად მივიჩნევდი უკვე იმ შემთხვევაში, თუკი ის ნამდვილად **ნეიტრალური** იქნებოდა საქართველოსადმი და ზემოხსენებულ „იმედის პოლიტიკასა“-ც აქ მე სწორედ ასეთი ნეიტრალიტეტის, როგორც **კეთილგანწყობის საკმარისი მინიმუმის**, თვალსაზრისით განვიხილავ და შევაფასებ. და მაშინ ზემორე კითხვაც ამ მარტივ კითხვაზე დაიყვანება: **შეიძლება თუ არა ითქვას, რომ რუსეთს არ აქვს საქართველოს მიმართ იმპერიალისტური ამბიციები და პრეტენზიები და,**

ამდენად, არ არის იგი მისდამი აგრესიულად განწყობილი? ქვემოთ მე შევეცდები სწორედ ამ კითხვას ვუპასუხო, რითაც, თავისთავად გაეცემა პასუხი კითხვასაც, თუ პოლიტიკურად რამდენად კეთილგონივრულია საქართველოს ხელისუფლების თვით ეს რუსეთზე დამყარებული „იმედიც“ ქვეყნის „გამოხსნა-აღდგომისა“.

„დემოკრატიული რუსეთი“: საიმედო რეალობა თუ სახიფათო ილუზია?

როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ სახელმწიფოს (ანუ ერის, როგორც პოლიტიკური საზოგადოების) ინტერესებზე, ჯერ კარგად უნდა გავიაზროთ, რას წარმოადგენს თვითონ ეს სახელმწიფო, როგორია მისი პოლიტიკური ბუნება, რადგან ინტერესები, ვთქვათ, იმპერიალისტური სახელმწიფოსი, როგორც ასეთის – არადემოკრატიულის, ერთია, ხოლო არაიმპერიალისტურისა ე.ი. დემოკრატიულის (თანადროული გაგებით) – სულ სხვა. მაშ, რატომ მივაწერთ რუსეთს ისეთს ინტერესებს, როგორიც მას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რაკიღა იმპერიალისტური სული ისევე ცოცხლობს დღეს მის ერში, როგორც ცოცხლობდა იგი ცარისტული რუსეთისა თუ ბოლშევიკურის დროს? მეტიც, რუსის ხალხი და, პირველყოვლისა, სწორედ მისი მოაზრე ნაწილი (ე.წ. ინტელიგენცია) აშკარად შოკირებული არიან და თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობენ იმ, მართლაც რომ, „სასკანდალო“, ისტორიაში ჭეშმარიტად უპრეცენდენტო სასირცხო კრახის გამო, რომელიც განიცადა „რუსი კაცის სისხლზე საუკუნეებით ნაშენებმა“ მათმა „დერჟავამ“: ხუმრობა საქმეა, დასავლეთის მხრიდან „თოფის გაუსროლად“, თითქოს მარტოოდენ საკუთარ ცოდვათა და მანკიერებათა სიმძიმით, უცებ ჩახვავდა ამხელა იმპერია-მონსტრი, რომელიც „ძილს უფრთხობდა“ მთელ თავისუფალ (და არა მარტო თავისუფალ) მსოფლიოს (нас боятся!) და რამდენს ეგონა შეურყეველი და დაუძლეველი! არადა, გამართლდა ჯოზეფ კონრადის სიტყვები მის მიერ ამ საუკუნის დასაწყისში ნათქვამი: ეს ქვეყანა თიხის ფეხებზე შემდგარ უზარმაზარი ტანის დეგენერატ ბავშვს ჰგავს, რომელიც კიდევ ბევრ უბედურებას მოუტანს მსოფლიოსო. „გამართლდა“-მეთქი, ვამბობ, რადგან ამ „სიმპათიურ ბავშვს“ მართლაც, გარდა უბედურებისა, არაფერი სასიკეთო არ მოუტანია იმ ხალხებისთვის ვისზეც მას ხელი მი-

უწვდება, დაბოლოს, ჭეშმარიტად „ერთ მშვენიერ დღეს“, ყოვლად უსახელოდ დაირღვა და დაიშალა „თავისით“, რადგან „თიხის ფეხებმა“ ვეღარ ზიდეს ამ „გიგანტ დეგენერატის“ მასიური ტანი. და რუსებიც უკიდურესი „რეაქციონერები“-ცა და უმოწინავესი „პროგრესისტები“-ც, მძიმედ განიცდიან, თვითეული, ცხადია, თავისებურად (ასე ვთქვათ, საკუთარი ოფიციალურად პროკლამირებული „სოფლმხედველობისამებრ“) ამ თავისი საამაყო „**სამპყრობელოს**“ („დერჟავის“), დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულის, ასეთს „მსოფლიო-ისტორიულ კონფუზს“, რაც „ეროვნული რევანშის“ გუნებაზე აყენებს კიდეც მათ, მტრისა თუ მოყვრის თვალში ესოდენ მწარედ გაწბილებულთ (ამიტომ კამათიც, არსებითად, ამაზეა მათ შორის: „დერჟავა“ – რა თქმა უნდა, მაგრამ რა სახით და რა გზით?). ერთი სიტყვით, „მატუშკა“ რუსეთი დღეს მაგონებს, როგორც პოეტი იტყოდა, „მკვდარი იმპერიის მგლოვიარე დედას“, რომელიც ვერ შეჰრიგებია ბედს და ეძებს შესაფერის სახელმწიფო კაცს – „მუჟიკს“ (საპრეზიდენტო არჩევნებიც ხომ ამისთვისაა!), რომელიც კვლავ ნამდვილად დააფეხმძიმებდა მას ძველის მსგავს ახალ „დეგენერატ“ ლევიათანზე.

ასეა თუ ისე, ფაქტი სახეზეა: **რუსეთში არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური პარტია, არც ერთი ოდნავ მაინც ღირსსახსენებელი, თავისი რეალური „წონით“, პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ უკავშირებდეს ყოფილი სსრკ-ის სივრცეზე რუსეთის საიმპერიო ჰეგემონიის აღორძინებას, და მთელი განსხვავებაც ამ საკითხში ხსენებულ პარტიებსა და პოლიტიკოსებს შორის მარტოოდენ ტაქტიკური ხასიათისაა.** თუ ვცდები, დამისახელოს ვინმემ თუნდაც **ერთი** პარტია, თუნდაც **ერთი** პოლიტიკოსი, რომელიც უპირობოდ, „მასკალური“ მზაკვრობის გარეშე ცნობდეს, მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, ამ სიტყვის ნამდვილი, სერიოზული გაგებით და, მაშასადამე, მის ტერიტორიულ მთლიანობასაც, როგორც ამ სუვერენიტეტის განუყოფელ ელემენტს, და გულმართლად გვეტყოდეს ასე, უბრალოდ: თქვენ – თქვენთვის, ჩვენ – ჩვენთვის, თქვენ, ვინც გსურთ მასთან იმეგობრეთ, ჩვენ, ვინც გვსურს, მასთან ვიმეგობრებთ, ხოლო ვიყოთ **კეთილმეზობლურად** და ერთმანეთის საქმეებში ცხვირის თუ ხელის ჩაუყოფლადო. მეორდება სიტუაცია, რომელიც 1917 წლის თებერვალ-ოქტომბრის რევოლუციათა შემდეგ იყო ამ ქვეყანაში: მაშინაც ყველა პარტია, სხვა საკითხებში

ერთმანეთს დანასისხლად დაპირისპირებული იმპერიის (დროებით დაშლილის) აღდგენის თაობაზე სანიმუშოდ ერთსულოვანი იყო; და ზუსტად ასეთივე განწყობა სუფევდა, სხვათა შორის, რუსის **ინტელიგენციის** წრეებშიც, სწორედ რომელთა რამენაირად დასაშოშმინებლადაც, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, ალექსანდრე სუმბათაშვილმა (სუმბატოვ-იუჟინმა) მთელი წიგნიც კი დაწერა ასეთი საგულისხმო სათაურით – „В мощных об'ятиях". ხოლო რუსი კომუნისტების ამასწინდელმა საპარლამენტო დემარშმა რუსეთის პრეზიდენტი და სხვა „დემოკრატები" განარისხა მხოლოდ იმით, რომ ლენინ-სტალინის ახლანდელმა მემკვიდრეებმა იმპერიის აღდგენა მოითხოვეს მაინცდამაინც „სსრკ"-ის სახითა და სახელით, რითაც, თავისი ამგვარი პოლიტიკური „უტაქტობით", დისკრედიტაცია გაუკეთეს რუსეთის „დემოკრატიული" მთავრობის არსებითად იმავე „რესტავრაციონისტულ" პოლიტიკას, მიმართულს დსთ-ის წევრი ქვეყნების „შემდგომ ინტეგრაცია"-ზე, ესაა და ეს.

ბოლშევიკური რუსეთის „მთვრალი ხომალდი", მტკიცედ მართული ტრადიციული „ყალბი" კურსით დაიმსხვრა, ისევე როგორც ცარისტული რუსეთის **ასეთივე** ხომალდი, შეჯახებული „ირაციონალურად" გაგებული ისტორიის წყალქვეშა კლდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამით თვითონ ამ, კამიუს ერთი თქმის არ იყოს „ვოდკის" და „სელიოდკის" სუნით გაჟღენთილ „ირაციონალიზმს" (ევროპული და არა რუსული გაგებით: რუსულად მას „რუსეთის განსაკუთრებული გზა და მოწოდება" ჰქვია) ბოლო მოღებოდეს, რადგან თვით ეს მისი ჰაერის მომწამვლელი „სუნი – სული" კვლავინდებურად დაძრწის „კომუნისტური მანიფესტის" აჩრდილივით იმავე „საიმპერიო სივრცე"-ში, რომლის ახლებურად „მოწყობასა"-ც ლამობს ის ამჟამად, ძველებური მამა-პაპური დაჟინებით. ამიტომაც საქართველოს „კეთილმორწმუნე" ხელისუფალთა ცისფერთვალება იმედი, თითქოს დღევანდელი „დემოკრატიული და პროგრესული" რუსეთი პოლიტიკური რაციონალიზმის პრინციპით იხელმძღვანელებს ჩვენთან ურთიერთობაში, სამწუხაროდ, ფრიად „ირრაციონალური" ჩანს თავად და, როგორც ასეთი, ფრიად მისტიკურიც, მით უფრო, რომ რუსეთი, თავისთავად, სავსებით „რაციონალურად" მოქმედებს, საქმე ისაა მხოლოდ, რომ მისი „რაციო" სულაც არაა ის, რაც ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაკომუნისტარ-ნაკომ-

კავშირალ (და ა.შ.) „კარტეზიანელთ“ ჰგონიათ. ნუ დავემსგავსებით იმ გულუბრყვილოთ მოფილოსოფოსე ბატკანს, რომელიც ფიქრობს, რომ მგლის სურვილი, შეჭამოს იგი, ამ მტაცებლის „რაციონალურ ინტერესს“ არ ეთანხმება და ამიტომ, ერთხელაც იქნება და, სათანადო განსჯით გონს მოსული, ის შეიგნებს თავის შეცდომას (რომელიც, თან, შეიძლება „ბუმერანგივით“ დაუბრუნდეს მასვე) და ბატკნის მიმართ ასეთს „გასტრონომიულ აგრესია“-ზე ხელს აიღებს, ამჯერად უკვე „სწორად გაგებული საკუთარი ინტერესები“-დან გამომდინარე. ხოლო სავსებით შესაძლებელია, რომ ვინმე „კომბლემ“ მგელი მართლაც „გონს მოიყვანოს“ და ბატკანიც ასე გადარჩეს, მაგრამ ეს, ცხადია, არა იმიტომ, თითქოს თავში ჩაცხებულ კომბალს მგელი უცებ „ვეგეტარიანელ რაციონალისტად“ ექციოს და თუნდაც ამ სახით ბატკნის „პროგნოზი“ გამართლებულიყოს, თუმცა ჩვენი სამთავრობო „ფარეხის“ წარჩინებულ „ბატკანთა“ (სხვაფრივ, ესეცაა, თავად გვარიან „მგელთა“) მხრიდან, თუკი რაიმე ამის მსგავსი მოხდა და არსებულმა სიტუაციამ რადიკალური ცვლილება განიცადა, ასეთ შორსმჭვრეტელურ „პროგნოზ“-ზე პრეტენზიებს, „ხომ ხედავთ, ყველაფერი გათვლილი გვქონია“-ო, პოლიტიკანური თამაშის ყველა წესით უნდა მოველოდეთ. და მეც, მართალი მოგახსენოთ, დღევანდელი რუსეთის მხოლოდ ამგვარი „ძალისმიერი მეთოდით გონს მოყვანის“, გნებავთ – „გარაციონალისტების“ (დასავლური გაგებით), შესაძლებლობის მჯერა, რადგან ამ ქვეყნის ხალხსაც და მის მესვეურებსაც მარტოოდენ „შეჯავშნული მუშტის“ არგუმენტისა სწამთ, რომლის ენაზე მათთან ლაპარაკი, რა თქმა უნდა, დიდი დემოკრატიების პრეროგატივაა, ესენი კი, დარწმუნებული ვარ, საკუთარივე საარსებო ინტერესების კარნახით ადრე თუ გვიან, იძულებული შეიქნებიან რაიმე ფორმით, სწორედ ამგვარი, „ძალის პოლიტიკის“ პოზიციიდან გაუმართონ დიალოგი ამ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. დასავლეთის ნაფიც სოვეტოლოგთა იმედი, რომ კომუნისტური რეჟიმის დამხობასთან ერთად რუსეთი გადაიქცეოდა დემოკრატიულ არაიმპერიალისტურ სახელმწიფოდ, მტკნარი ილუზია გამოდგა, რაც აღიარებულ იქნა კიდეც იქაური ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ, რადგან ახლა „სწავლულ პროფანთა“-თვისაც კი აშკარა გახდა, რომ იმპერიალისტურ მისწრაფებებს, როგორც ერთგვარ, „კულტურულ ინსტიქტებს“, რუსეთში გაცილებით ღრმა ფესვები აქვს გადგმული თვით ერის

ცნობიერებაში, მის ტრადიციულ ფსიქოიდეოლოგიურ წყობაში და, რომ ბოლშევიზმი ამ ცნობიერების უკიდურესი გამოვლენა იყო მხოლოდ და მეტი არაფერი, – შეხედულება, რომელიც, ერთი გამონათქვამის პერიფრაზირებით, შეიძლებოდა ასეც ჩამოგვეყალიბებინა: ბოლშევიზმი – ეს მითომანური ფორმულაა, ბოლშევიზმი – ესაა „რუსიზმი“ (რუსული ტრადიციული იმპერიალიზმი), მიყვანილი თავის ლოგიკურ დასასრულამდე[1]. და ნურავინ მოიტ-

[1] ვფიქრობ, თუ ზუსტად ეს არა, ამის მსგავსი მაინც ჰქონდა მხედველობაში ნოე ჟორდანიას, როდესაც წერდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო: „**ამით მათ** (ბოლშევიკებმა. – მ.ნ.) **ნათელყვეს თავისი დამალული ნაციონალური სარჩული, გამოამჟღავნეს ნაციონალური სულის კვეთება**. **საქართველოში შემოვიდა არა ბოლშევიკები, არამედ რუსეთი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.** ზერელე კაცი ფრაზებს უფრო უჯერებს, ვინემ საქმეს, ფორმას აქცევს მეტ ყურადღებას, ვინემ შინაარსს. ნამდვილად კი, **ბოლშევიკები თვით გახდნენ იარაღი ნაციონალისტური** (იგულისხმეთ: **იმპერიალისტურ**-ნაციონალისტური. – მ.ნ.) **რუსეთის, გამგრძელებელნი ცარიზმის საგარეო პოლიტიკის.** ამით მათ შემოირიგეს ძველი რეჟიმის მომხრენიც. „სმენოვეხოვსტვო“ აქედან იწყება“ (ხაზგასმა ყველგანს ჩემია. – მ.ნ.). ეგევე ფაქტი რუსული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციის უწყვეტობისა, რომლის საფუძველზეც ბოლშევიკური რუსეთი, ცარისტული რუსეთის ეს ნამდვილი მესაფლავე და ჯალათი, მისსავე ნამდვილ მემკვიდრედ შეიქმნა, ჯერ კიდევ 1918 წელს მეორე ცნობილი სოციალ-დემოკრატის(!) – კარლო ჩხეიძის მიერ ასეთი სიტყვებით იქმნა კონსტანტირებული და კვალიფიცირებული: „მან (ბოლშევიზმმა. – მ.ნ.) შეისრუტა მთელი სიდამპლე და სისაძაგლე, მთელი საშინელი მემკვიდრეობა ცარიზმისაო. რა თქმა უნდა, აღნიშნული „მემკვიდრეობა“ იყო თუ არა „სიდამპლე და სისაძაგლე“ და, როგორც ასეთი „საშინელი“, ეს, როგორც იტყვიან პოლიტიკური „გემოვნების“ საქმეა (– „გემოვნებისა“, რომელზეც, სხვათა შორის კამათობენ, თანაც არა მარტო სიტყვიერი ფორმით), ხოლო ფაქტია ისიც, რომ თვითონ ამ, ასე ვთქვათ, ტრანსისტორიულ კულტურულ-პოლიტიკურ ფაქტს (ფაქტ – კონსტანტას!) რუსეთის მთელი „შეგნებული“ ისტორიისა, ამჟამინდელი „დემოკრატიული“ რუსეთის საიმპერიო რესტავრაციონისტული პოლიტიკის ფონზე და კონტექსტში, კვლავინდებურად ფუნდამენტური და აქტუალური მნიშვნელობის მქონეს, იმთავითვე ჯეროვნად ითვალისწინებდნენ ბოლშევიზმის თუმც „დაუძინებელი“, მაგრამ თან „იმპერიალისტურად გონებაფხიზელი“ მტრები თვით რუსთა შორის, სახელდობრ კი იმას, რომ ბოლშევიკი **პოლიტიკოსები** (ანუ რეალისტები და პრაგმატიკოსები, – არაჩვენებური გაგებით) „მარქსისტულ-ლენინური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ოფიციალურ იდეოლოგიას ფრიად მოხერხებულად იყენებდნენ, ერთსა და იმავე დროს როგორც ნიღაბსაც და როგორც იარაღსაც, რუსული „მსოფლიო იმპერიის“ მანამდე არნახული მასშტაბით გაზრდა-გაძლიერებისთვის: ბოლოსდაბოლოს „ინტერნაციონალი „წარირეცხება“, ხოლო საზღვრები დარჩება“, – წერდა ერთი ასეთი „გამჭრიახი“ რუს იმპერიალისტთაგანი უკვე 20-იანი წლების ზედ დასაწყისში. და სწორედ ამ უწყვეტობით სახელმწიფოებრივი ტრადიციისა „ძველ“ (ცარისტულ) და

ყუებს თავს (და სხვასაც ნუ მოატყუებს) „დემოკრატიული რუსეთის“ ხელისუფლების ანტიბოლშევიკური ფრაზეოლოგიით, რადგან ბოლშევიზმი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ისტორიულად ცნობილი „დოგმატიკა“, იგი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიაა, რომელიც სხვადასხვა „იდეოლოგიის“ ენაზე შეიძლება იქნას პროეცირებული და, ამგვარად, ვერბალურად ჯეროვნად შენიღბული და შეიარაღებულიც. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ უმძიმესი ბრალდება, რომელსაც „დემოკრატი ანტიბოლშევიკები“ უყენებენ ბოლშევიზმს, სწორედ ისაა, რომ ამ უკანასკნელმა კრახი განიცადა, როგორც სწორედ იმპერიალისტურმა სისტემამ, რომელმაც „თვით“ იმპერია გადაიყოლა და ამიტომაც ამბობენ ეს „დემოკრატები“, რომ რესტავრაცია იმპერიისა სსრკ-ის აღორძინებით არა მარტო შეუძლებელია, არამედ – არასასურველიც, რაკიღა ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო ცხადზე უცხადესად მისი საიმპერიო უვარგისობა, რისთვისაც საჭიროა კიდეც ყოფილი საიმპერიო „სივრცის“ ახლებური „ინტეგრაცია“ სხვა – „არაბოლშევიკური“ – ფორმით.

მე აქ არ შევუდგები ყველა მეტ-ნაკლებად საგულისხმო ფაქტის აღნუსხვას, მათ შორის რუსეთის მთავრობის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ფრიად მჭევრმეტყველური **განცხადებებისა**, ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ და საარგუმენტაციოდ, და ეს არცაა, მგონი, საჭირო, რადგან ისინი ყოველი ჩვენგანისთვის ისედაც მშვენივრად არიან ცნობილი. შევეხები მხოლოდ რუსული პოლიტიკური ლექსიკონის ორიოდე „პოსტსაბჭოურ“ შენაძენს, პირველ ყოვლისა კი ე.წ. „მახლობელ საზღვარგარეთს“ („ближнее зарубежье“), რომლის სახელქვეშაც, როგორც ვიცით, იგულისხმება რუსეთის არა მეზობელ-მოსაზღვრე ქვეყნები, საერთოდ (მაშინ, მაგალითად, ჩინეთიც „მახლობელი საზღვარგარეთის ქვეყნად“ უნდა ყოფილიყო აღიარებული), არამედ მხოლოდ და მხოლოდ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა ერების და მთავრობებისათვის „რაღაცას“ განსაკუთრებულს უნდა ნიშნავდეს, მათთვის საგანგებოდ საყურადღებოსა და საგულისხმოს. მაინც რას? არადა, **ვისი**

„ახალ“ (ბოლშევიკურ) რუსეთს შორის აიხსნება ისიც, რომ ზოგიერთი დასავლელი მკვლევარი რუსული ისტორიის პერიოდიზაციისას ოქტომბრის გადატრიალებას არ გამოყოფს, როგორც ეპოქალური მნიშვნელობის მქონე სამიჯნო მოვლენას.

ნათავხედარია ეს აშკარად **ჰულიგნურ-**„დერჟავნიკული“ „ტერმინი“ (თუკი ტერმინი, საზოგადოდ, შეიძლება იყოს ასეთი)? – თუმცა რა საკითხავია, ხომ ვუწყით ყველამ, რომ იგი რუსეთის **სამთავრობო** ტერმინოლოგიის კუთვნილებაა და რა პოლიტიკური („გეოპოლიტიკური“!) სულისა თუ სუნის მქონეცაა ის. და, აი, მიიღეს ევროპის საბჭოში, სადაც თავის ახალ წევრს მის საწევრო ძირითად ვალდებულებათა 25-პუნქტიანი დოკუმენტი დაუდეს წინ, რომელშიც, სხვათა შორის, არის ორი ასეთი პუნქტიც (ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო): „რუსეთი ვალდებულებას იღებს...გადაჭრით თქვას უარი ძალის გამოყენებაზე თავისი მეზობლების მიმართ“ და, ამ კატეგორიულ მოთხოვნასთან პირდაპირ ლოგიკურ კავშირში — „რუსეთი ვალდებულებას იღებს, უარი თქვას საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ორი კლასის **კონცეფციაზე**, რომლის თანახმადაც ეგრეთ წოდებული „მახლობელი საზღვარგარეთის“ ქვეყნები აღიარებული არიან მისი **განსაკუთრებული გავლენის** ზონად“ (ხაზგასმა ყველგან ჩემია. – მ.ნ.). თუ რას ნიშნავს „განსაკუთრებული გავლენა“, ეს კარგად ვიწვნიეთ აფხაზეთში, საიდანაც სწორედ ამ „განსაკუთრებული გავლენის“ შედეგად ვართ კიდეც გამოძევებულნი (თუმცა, ბატონი პრეზიდენტის მტკიცებით მისი საქვეყნო დაპირება, აფხაზეთის ომიდან ღირსეულად გამოვალთო, ამ ფაქტს თურმე სულაც არ გაუცრუებია), და მეტსაც ვიწვნევთ, როდესაც ჩვენი „რუსთმესავი“ ხელისუფლება „დემოკრატიულ“ რუსეთს **ნატოს საპირისპიროდ** (პოლიტიკური „რეალიზმი“ და „პრაგმატიზმი“, თუ გნებავთ, ოფიციალური ქართული გაგებით, სანიმუშოდ ესეც კმარა) საქართველოში სამხედრო ბაზებს გაამართვინებს, კერძოდ, ახალქალაქის „ანკლავის“ (როგორც ეს ჩაგვინისკარტა ერთმა რუსის „კავკასიის არწივმა“ გენერალმა) რაიონში. ხოლო ზემოთ მოყვანილი ციტატა ჩვენთვის იმ მხრივაა განსაკუთრებით საგულისხმო, რომ მასში პირდაპირაა მითითებული გამოთქმა „მახლობელი საზღვარგარეთის“ „**კონცეპტუალური**“ ხასიათი, მე კი დავძენდი – **საპროგრამო** დანიშნულება, რის უგულებელყოფაც საქართველოს ხელისუფლებას, ჩანს, თავისი დიდი „რეალისტობის“ და „პრაგმატიკოსობის“ გამოხატულებად მიაჩნია (რომ არაფერი ვთქვა იმ პოლიტიკურ დასკვნებზე, რომელთა გაკეთებაც **შეიძლებოდა** ევროსაბჭოს ამ დოკუმენტის საფუძველზე საქართველო-რუსეთის დამოკიდებულების საკითხში).

სამწუხაროდ, ასეთი დოკუმენტური ასახვა არ ჰრგებია „განათლებული ევროპის“ მხრიდან (მაგრამ, ვიმედოვნებ, ეს მხოლოდ ჯერჯერობით, ალბათ მალე საამისო დროც დადგება) მეორე ახალ-რუსულ, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო მანკიერ (და ამიტომაც შედარებით ვრცლად სასაუბრო), ხოლო ასევე სავსებით ოფიციალურ კონცეპტუალურ გამოთქმას – „**რუსულენოვანი მოსახლეობა**“, რომლის სახელქვეშაც უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ, სხვათა შორის, იგივე აფხაზები და ოსები და რომელსაც, მასში აშკარად გამოხატული წმინდა წყლის **იმპერიალისტური „ლინგვისტური რასიზმის“** (და არა უბრალოდ „...ნაციონალიზმის“), **დაუფარავად ექსპანსიონისტურ-აგრესიულის**, გამო, განვიხილავდი და შევაფასებდი, როგორც ცნობილი **ნაცისტური „ორმაგი მოქალაქეობის“ არსებითად რასისტული კონცეფციის თანადროულ რუსულ ლინგვორასისტულ ვერსიას**. შევახსენებ მკითხველს, რომ ამ ნაცისტური კონცეფციის თანახმად, ყველა პირი, „სისხლით გერმანელი“ (რუსული კონცეფციით „ენით რუსი“), დამოუკიდებლად იმისაგან თუ ფორმალურ-იურიდიულად რომელი ქვეყნის მოქალაქედ იყო იგი ოფიციალურად აღიარებული, ავტომატურად ითვლებოდა გერმანიის (რუსეთის კონცეფციით: რუსეთის) „ბუნებითს“ მოქალაქედ, აქედან გამომდინარე ყველა **საგულისხმო** (მათთვის, ვინც ჯეროვნად „გულისხმიერი“-ა) შედეგით. ამგვარად, თუკი ნაცისტი გეოპოლიტიკოსები ამტკიცებენ, სადაც ჩვენი სისხლის მოსახლეობა მკვიდრობს, იქ გერმანიაა, დღევანდელი რუსეთის „დემოკრატიული“ მთავრობა სამაგიეროდ აცხადებს, სადაც ჩვენი ენის მოსახლეობაა, იქ რუსეთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში მისი „განსაკუთრებული გავლენის“ ზონაა (ასეთი გამოთქმა, ანალოგიური გაგებით, სხვათა შორის, ნაცისტებსაც ჰქონდათ). მართალია, რუსები, როგორც თვითონვე ირწმუნებიან, განსაკუთრებული სულიერებით გამოირჩევიან სხვა ერთა შორის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მათ მესვეურებს „სისხლი“ არ უჩქეფდეთ ძარღვებში, და, თუკი მაინც თავის კონცეფციაში „სისხლის“ ადგილი მათ „ენას“ დაუთმეს, ეს, მე მგონია, არა ამ თავისი „განსაკუთრებული სულიერების“ გამო, არამედ სულ სხვა, გაცილებით უფრო პროზაულ (და პრაქტიკულ) მოსაზრებათა კარნახით. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ეს როგორც ვთქვი არსებითად რასისტული კონცეფცია „ლინგვოკულტურული პანრუსიზმისა“, იდეოლოგიურად თითქოსდა „კულტურნაციონა-

ლისტური“ (ან, უფრო ზუსტად, „კულტურიმპერიალისტური“) გენეზისისა და ორიენტაციის მქონე, დამყარებული ენის, როგორც ერის „გონის სახლის“, ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე ეროვნული ვინაობის ფორმირებისა თუ ტრანსფორმირების საქმეში, თავისი რეალური წარმოშობითაც და პრაქტიკული მიმართულებითაც **ასიმილატორულია**, გათვალისწინებული სხვადასხვა ეროვნების ინდივიდთა და კოლექტივთა გაერთიანებისათვის უფრო ფართო, ვიდრე ეროვნებაა, ამ სიტყვის „ვიწრო“ გაგებით, მაგრამ თანახმად ჩანაფიქრისა, გარკვეულ პირობებში „ორგანული მაგნეტიზმის“ არანაკლებ, თუ მეტად არა, ძლიერი ველის შემცველი კატეგორიის ქვეშ, როგორადაც სხვა რა უნდა ვიაზროთ ამ შემთხვევაში, თუ არა კატეგორია რასისა, დაარქვით მას, გნებავთ „კულტურული“, გნებავთ, „გონითი“ რასა – ეს უკვე სულერთია... ამ საკითხზე კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა, თქმულიყო, მაგრამ ეს რუსეთის საშინაო „კულტურულ პოლიტიკას“ ეხება უფრო, თუმცაა ესეცაა, ამ პოლიტიკადან მისი ანალიზის გზით გარკვეული დასკვნების გაკეთება შეგვეძლო, რომლებიც დამატებითს შუქს მოჰფენდნენ ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ამბიციებს, უმთავრესად, ცხადია, სწორედ „მახლობელი საზღვარგარეთის“ ერთა მიმართ.

მაინც, რას გვითითებს ეს კონცეფცია კონკრეტულად? – პირველ ყოვლისა, აშკარაა, იმას, რომ იგი არსებითად უგულებელყოფს, თითქმის სრულ იგნორირებას უკეთებს სხვა ქვეყნის „რუსულენოვანი“ მოქალაქის თვით ამ მოქალაქეობას, ე.ი. მის „პოლიტიკურ ეროვნებას“[1], და ამით, მაშასადამე, თვით იმ სა-

[1] რის გამოც, სხვათა შორის, ასევე ხაზს ვუსვამ ამ კონცეპციის „რასიზმს“, გნებავთ – „რასიზმზე რედუცირებულ ნაციონალიზმს“, სადაც სისხლის ჭეშმარიტად სისხლიანი, ამ შემთხვევაში, როლი **ცივილიზაციის, ანუ პოლიტიკური საზოგადოების სამოქალაქო კულტურის**, წინააღმდეგ მებრძოლი პრინციპის „ენას“ აქვს დაკისრებული, კაცის ადამიანობის ამ მართლაც უკეთილშობილეს კულტურულ ხატებას. აი ამაზე ითქმის, ყველაფრის წაბილწვა შეიძლებაო, – მთავარია მონდომება იყოს, უკეთ, საამისო ბნელ ინსტიტუტებს მიეცეთ სარბიელი!...საერთოდ, შევნიშნავ აქვე (სამწუხაროდ, ამ საინტერესო თემაზე ვრცლად საუბრისთვის ეს წერილი საშუალებას არ მაძლევს) რასიზმი მეტად ვერაგი „კონტრკულტურული ინსტინქტი“-ა, კულტურის, ანუ **ერის ადამიანობის**, ნამდვილი „ეშმა“, მისი „ფაუსტური“ **გონითი ვნებათაღელვების** ექსპლოატატორი „მეფისტოფელი“, კაცის, როგორც „მოაზროვნე **ცხოველის**“, ბუნებაში, ამ უკანასკნელის „ქვეცნობიერ ქვესკნელ“-ში ღრმად ჩაბუდებული, და ის მისი პრიმიტიული ფორმა, რომელსაც „სისხლიანი რასიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ, სულაც არაა მის შესაძლო გა-

ხელმწიფოს, რომლის მოქალაქეცაა ეს პირი, პოლიტიკურ სუვერენიტეტსაც, რამდენადაც – ეს მეორე, რასაც გვითითებს ხსენებული კონცეფცია, – იმ შემთხვევაში, თუკი „რუსულენოვანი მოსახლეობა“, სხვა ქვეყანაში მცხოვრები, ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ შევიწროებული, ან სხვათა შევიწროებისაგან ამ ხელისუფლების მიერ დაუცველი, იქნება (თანაც, აქვს თუ არა სინამდვილეში ადგილი ასეთ შევიწროებას, ამის საბოლოო კვალიფიკაციის პრეროგატივას თავად რუსეთი ისაკუთრებს, ასე ვთქვათ, ერთპიროვნულად) და აღნიშნული ხელისუფლება ჯეროვნად არ გაითვალისწინებს რუსეთის მთავრობის სათანადო რეკომენდაციებსა თუ ინსტრუქციებს, ეს უკანასკნელი „იტოვებს უფლებას“, როგორც მან ოფიციალურად განაცხადა კიდეც თავისი პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, ჩაერთოს (თუნდაც შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციათა სანქციის გარეშე, რომელსაც იგი, ჩანს, ამგვარ სიტუაციებში თავისთვის მაინცადამაინც არც საჭიროდ და არც სასურველად არ მიიჩნევს) ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში, მის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებითაც კი, და რომ, – ეს უკვე მესამე, რასაც გვითითებს იგივე კონცეფცია, – აქ საუბარი ეხება სწორედ „მახლობელი საზღვარგარეთის ქვეყნებს“ (რომელთა შესახებ შემუშავებული კონცეფციაც ამგვარად სავსებით ლოგიკურად ებმის ამ „რუსულენოვანი მოსახლეობის“

მოვლინებათა შორის ერთადერთი და, ნუ გაიკვირვებთ, ყველაზე სახიფათო და საშიში. და რომ ეს ასეა, მოვიყვან ერთ მაგალითს, – სტალინის ცნობილ გამონათქვამს, რომ **ბოლშევიკები განსაკუთრებული მასალისგან არინ გაკეთებული**. ვინმემ ეს სიტყვები შეიძლება „რიტორიკულ ფრაზად“ მიიჩნიოს, მაგრამ, გარდა იმისა, რომ მათი ავტორი „ტყუილად“ არაფერს ამბობდა, სხვა საბუთებიც საკმარისად არსებობენ, რათა დაჯერებით ითქვას, რომ ეს სტალინური „თეზისი“ რასიზმის იმ თავისებური ფორმის პროკლამაციაა, რომელსაც მე „პარტიულ რასიზმს“ დავარქმევდი, სახელდობრ – რასიზმს „**განსაკუთრებული ტიპის პარტიისა**“, თვითონ ლენინის განსაზღვრის მიხედვით. ხოლო რუსული კომუნიზმის ამ „ინტერნაციონალურ რასიზმს“, რა თქმა უნდა, სულაც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ბოლშევიზმი, როგორც ასეთი, მუსოლინის თქმით, სლავურ (სინამდვილეში – პანრუსულ, როგორც პოეტი პუშკინი ოცნებობდა: რუსულ ზღვას შერთონ სლავური ნაკადულები) ფაშიზმად „გარდაქმნილიყო“, პირიქით – ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ოღონდ ერთი კორექტივით: არავითარ **გარდაქმნას**, მე ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში, არ ჰქონია ადგილი, რადგან ის, რასაც მუსოლინი გულისხმობს, ბოლშევიზმში იმთავითვე იყო ჩაბუდებული, როგორც მისი, ასე ვთქვათ, „სულის სული“, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურად ხელსაყრელ პირობებში მხოლოდღა **გამოვლინდა**... (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით – სხვა დროს).

კონცეფციას რუსეთის რესტავრაციონისტული პოლიტიკის ერთიან სტრატეგიულ სქემაში) და რომ, ბოლოს, აღნიშნული კონცეფციის დეკლარირებით და მისი ქმედითობის დასადასტურებლად საჭირო შემთხვევაში შეძლებისდაგვარად ძალის დემონსტრირებით რუსეთი ცდილობს „მახლობელი საზღვარგარეთის ქვეყნებ"-ში „რუსულენოვანი მოსახლეობის" მატერიალურ ბაზაზე შექმნას თავისი საიმპერიო რესტავრაციონისტული პოლიტიკის მხარდამჭერი, მასზე ორიენტირებული და მისი ასეთი „მფარველობით" წაქეზებული მოსახლეობის კონფლიქტოგენური მასივი – თავისი ლამის ოფიციალური „მეხუთე კოლონა".

და ბოლოს, არ შემიძლია აქვე, რაკიღა სიტყვა ჩამოვარდა „კონცეპტუალურ გამოთქმებ"-ზე, რომელთაც ფართო გასაქანი აქვთ „დემოკრატიული და პროგრესული რუსეთის" ოფიციალურ პოლიტიკურ, გნებავთ – არაოფიციალურ ინტელიგენტურ წრეებში, ცალკე არ მოვიხსენიო, სათანადო „პატივის" მიგებით, კიდევ ერთი გამოთქმა, უკეთ – „ფორმულა", ასევე საპროგრამო და თან **საპროპაგანდო დანიშნულებისა**, – საპროპაგანდოსი, რამდენადაც იგი აშკარად გამიზნულია საქართველოს, უფრო ზუსტად კი – საერთოდ **ქართველი ერის**, ასე ვთქვათ, „დედაბუდიანად" დისკრედიტაციაზე მსოფლიო საზოგადოების თვალში, რაც, თუკი ასეთი დისკრედიტაცია მიღწეულ იქნებოდა, მომგებიან ფსიქოლოგიურ და მორალურ-პოლიტიკურ საერთაშორისო ფონს შეუქმნიდა „დემოკრატიულ რუსეთს", ეწარმოებინა საქართველოსგან გარკვეული რეგიონების (აფხაზეთის, „სამხრეთი ოსეთის", იქნებ აჭარისაც, ან კიდევ სხვა რომელიმე „ანკლავის", ამა თუ იმ ფორმით) ჩამოცილების „ანტიიმპერიალისტური" ("ანტი" – ქართული „იმპერიალიზმის" მიმართ) პოლიტიკა. მკითხველი, ალბათ, ხვდება რომელ „ფორმულა"-ზეა საუბარი: „ფორმულა"-ზე, რომლის თანახმადაც საქართველო „პატარა იმპერია" ყოფილა, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ანტიიმპერიალისტურ ეპოქაში ყოვლად შეუწყნარებელი რამაა და, მაშასადამე, ამ „ქართული უმსგავსობის" წინააღმდეგ სათანადო გადაუდებელი და გადამჭრელი ზომებიცაა მისაღები (და აკი მიიღეს კიდეც). მაინც ვის ეკუთვნის ეს „კეთილშობილური მამხილებელი მრისხანებით" აღსავსე „ფორმულა", სინამდვილეში კი, თუ საგანს მის საკუთარ სახელს დავარქმევთ, – მყრალი „პოლიტიკური ექსკრემენტი", თავის უნიფორმაშივე ჩამპალი კულტურის, ზნეობრივი და გონებრივი მიაზმებით მხრჩო-

ლავ „საზოგადოებრივი ცნობიერების კლოაკა“-ში მოძიებული? ვის ეკუთვნის, ვიმეორებ, აი ეს პოლიტიკური „ფორმულა-მიაზმა“? – ვის და ადამიანს, რომელიც რუსეთში (და მის გარეთაც) „რუსული ლიბერალიზმის“ ლამის „წმინდანადა“-ა შერაცხული. ვიცი, ზოგიერთი ჩვენებური, რუსი „ლიბერალების“ (იმავე „დემოკრატებისა“ და „პროგრესისტების“) მოიმედე, თავს იმით იტყუებს და ინუგეშებს, ეს „დიდი ლიბერალი“, ნობელის პრემიის ლაურეატი, საქართველოს უმეცარი იყო და მავანთ შეცდომაში შეიყვანესო. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან „გემოვნების“ საქმეა და მე, პირადად, ჩემი „გემოვნებით“, იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც ამისთანა საბავშვო კერძებს „ჭამს“. ხოლო, რაც შეეხება, მაინცდამაინც, თვით ამ „საქართველოს უმეცრებას“, ესოდენ გავრცელებულს, **ტრადიციულად,** რუსის ინტელიგენციაში, ჩემი დაკვირვებით, იგი არც ისეთი გულუბრყვილო „უმეცრება“-ა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, არამედ ეს „უმეცრება საქართველოსი“ არის, მე ასე ვიტყოდი, გარკვეული **იდეოლოგიური პრინციპი რუსული ეროვნული პოლიტიკისა** საქართველოს და, უფრო ზუსტად, **ქართველი ერის მიმართ** (ცნობილი რუსული თქმა, სწორედ რუსის ინტელიგენციაში ჩასახული და გავრცელებული: მშვენიერია საქართველო, ოღონდ ქართველების გარეშეო, – სხვა რაა, თუ არა საქართველოს ქართველების მიმართ რუსული პოლიტიკის მაფორმულირებელი „რუსულ-ინტელიგენტური ფოლკლორი“!). სწორედ ამ **პრინციპის** გამოხატულებაა, სხვათა შორის, ერთი ენერგიული რუსი მანდილოსნის, როგორც ამბობენ, ასევე გამოჩენილი „ლიბერალის“ (რუს „ლიბერალთა“ ზემოხსენებული „ჭკუისა და სინდისის“, ნობელის პრემიის ლაურეატის, დაახლოებული პირი იყო, მისი „კაბიანი რუხი კარდინალი“ ამიერკავკასიის (!) საქმეებშიო, – იუწყებიან), გარდა ამისა კი რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტის მრჩევლადყოფილის „ეროვნულ საკითხებ“-ში, როგორც მათი „სპეციალისტის“ (მიკლუხო-მაკლაის „კარგად ცნობილი“ ინსტიტუტიდან!), მოკლედ, ყველა „სარუსდემოკრატო“ ნიშნით „ყოველმხრივ სასიამოვნო“ ქალბატონის „ავტორიტეტული“ განცხადება, რომ „სამხრეთ ოსეთი“(?) თურმე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში შეერთებია რუსეთს.“ და ყოველივე ამის (და კიდევ რამდენის) შემდეგ, ჩვენი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ არსებობს რაღაც „დემოკრატიული, პროგრესული რუსეთი“ და საქართველომაც ამ რუსეთზე, სინამ-

დვილეში ფიქციაზე, უნდა აიღოს ორიენტაცია („პოლიტიკური ფიქციონალიზმი“-ც, ზემოთ რომ ვახსენე, სწორედ ამას ჰქვია, – ჩვენი ხელისუფლების მართლაც რომ „არასაამქვეყნო“ „მისტიკური პოლიტიკისა“-თვის ესოდენ ნიშნეულ ასეთს დამოკიდებულებას პოლიტიკური რეალობისადმი, მისი ფაქტობრივი ვითარებისადმი), რადგან ეს რუსეთი („დემოკრატიული“, „პროგრესული“ და ა.შ.) თურმე დიდად დაინტერესებული „უნდა იყოს“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენითა და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცებით, რისთვისაც აუცილებელი ყოფილა კიდეც „დემოკრატიულ და ა.შ. რუსეთ“-თან მეგობრობა და ამ მეგობრობის ნიშნად მისი სამხედრო ბაზების გამართვა ნატოსგან თავდასაცავად(!) ჩვენს მიწა-წყალზე.

ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ჩემი ღრმა რწმენით, რომელსაც, **სამწუხაროდ,** ქართულ-რუსული ურთიერთობის **მთელი ისტორიის** (დღევანდელზე რომ არაფერი ვთქვა) **ერთი ფაქტიც** კი ოდნავაც არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, რუსეთი კვლავაც რჩება იმპერიალისტური ამბიციებისა და პრეტენზიების მქონე, ვიტყოდი, „მითოლოგიური იმპერიალიზმის“ პოლიტიკური ინსტიქტებით შეპყრობილ და მოქმედ სახელმწიფოდ, რომლის ინტერესებშიც სულაც არაა ტერიტორიულად მთლიანი და პოლიტიკურად სუვერენული საქართველოს არსებობა, პირიქით, მისი **ეროვნულ-სახელმწიფოებრივად სასიცოცხლო საიმპერიო** ინტერესები (რამდენადაც, ვიმეორებ, სხვაგვარი **ეროვნული** სახელმწიფოებრივი ინტერესები, როგორც თვითონ მას ესმის ისინი, რუსის „რუსეთელ“ ერს, როგორც ერ-იმპერიას, დღესდღეობით არ აქვს და არც, ცხადია, მანამდე ჰქონია) დაჟინებით მოითხოვენ მისგან, ეს ქვეყანა – საქართველო – იყოს ისეთს ტერიტორიულ-პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომელიც საშუალებას მისცემს მას, მოაქციოს იგი თავისი „განსაკუთრებული გავლენის“ სფეროში (რაც უკვე ნაწილობრივ მიღწეულია კიდეც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ, რა თქმა უნდა, „არ კმარა“), აქედან გამომდინარე ყველა სამომავლო შედეგით („შემდგომი ინტეგრაციის“ გზაზე). მე არ ვიცი რუსეთის პრეზიდენტი და მისი, ვთქვათ, სამხედრო მინისტრი კითხულობენ თუ არა მაკიაველს, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, მათი მრჩევლები ამ ავტორს კარგად იცნობენ და მთავრობასაც, ჩვენისგან განსხვავებით, საკმაოდ კვალიფიციურ „მაკიაველისტურ“ რჩევებს აძლევენ, რასაც მაფიქრებინებს, სხვათა შორის, ის **სრული ინტე-**

ლექტუალური (და არა მარტო „სამხედრო-მატერიალური“) **„უპირატესობა“**, რომლითაც წარმართავს რუსეთი თავის ჭეშმარიტად რეალისტურ და პრაგმატულ პოლიტიკას **(რამდენადაც კი შეიძლება** ასეთი **დღევანდელ** საერთაშორისო პირობებში, საერთოდ, **იმპერიალისტური** პოლიტიკა) პოლიტიკური მისტიციზმის „ოპიუმით“ გაბრუებული საქართველოს, ხოლო უკეთ – მისი „რუსეთის გულთამხილავი“ ხელისუფლების, მიმართ. და ერთადერთი გრძნობა, რომელიც ქართველ კაცს, საკუთარი ეროვნული ღირსების შემგნებს, შეიძლება დაეუფლოს, ჩვენი ასეთი ინტელექტუალური (და, შესაბამისად, მორალური) სიბეჩავის შემხედვარეს, – ეს არის გრძნობა უმწვავესი **სირცხვილისა**, პირველ ყოვლისა, შთამომავლობის წინაშე, ანუ ზნეობრივი შიში (სირცხვილის შიში), რას იტყვის ჩვენზე მომავალი ქართველობა, არას ვამბობ რა იმაზე, თუ როგორ ვჩანვართ დღეს გარეშეთა, მოყვრისა თუ მტრის, თვალში.

ხოლო რაც შეეხება შიშს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ნამდვილად მეშინია ერთი რამის: რუსული იმპერიალიზმი რომ განწირულია, ამაში დარწმუნებული ვარ, მეტიც, დარწმუნებული ვარ კი არა, უბრალოდ **ვიცი**, ისევე როგორც, სხვათა შორის, სრულიად არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ამ თავისი იმპერიალისტური სიხარბის გამო რუსის ერი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოჩნდეს პუშკინის „მებადურისა და ოქროს თევზის“ დედაბრის მდგომარეობაში (რაც, მართალი რომ ვთქვა, თავისთავად არც გამახარებდა და არც დამამწუხრებდა როგორც ამ ერის, ოღონდ მოგვეშვას და, არც მტერსა და არც მოყვარეს, უბრალოდ – მის მიმართ კეთილგონივრულად ნეიტრალურს), მაგრამ საკითხავი ისაა, სანამ საშველი დაგვადგებოდეს მსოფლიოში მოქმედ ჩვენგან დამოუკიდებელ (ჩვენდავე საბედნიეროდ!) ისტორიულ ძალთა წყალობით, ჩვენი ხელისუფლება **რა კომპრომისებზეა წამსვლელი** რუსეთის წინაშე ქვეყნის **ტერიტორიული მთლიანობის** ვითომცდა აღდგენის საქმეში.

სახელდობრ, მხედველობაში მაქვს, ამ შემთხვევაში, არა რუსული ბაზები, რომლებიც, ერთხელ იქნება და, ხომ აღიგვებიან საქართველოს „პირისაგან მიწისა“ (თუმცა, ვიდრე იარსებებენ ისინი ჩვენში, მათაც შეუძლიათ, თუნდაც „ანკლავებ“-ში მათებური „მუშაობით“, ახალი თავსატეხი გაგვიჩინონ...), არამედ სწორედ ტერიტორიული მთლიანობის, როგორც ზემოთ აღვნიშნე,

აღდგენის საკითხი, რომლის „მოგვარებასა“-ც რუსები უთუოდ შეეცდებიან ისე, როგორც ეს მათ ინტერესებში იქნება, ე.ი. **ჩვენი** ინტერესების **მაქსიმალურად საზიანოდ. რა სტატუსს** შემოგვთავაზებენ ისინი, ჩვეული „თავაზიანობით“, პირველ ყოვლისა, **აფხაზეთისთვის**, „გონს მოსულნი“ იმით, რომ მათი „აფხაზური შეცდომა“ (დიახ, **დანაშაული** კი არა, მხოლოდ „შეცდომა“) მათვე შემოუბრუნდა „ბუმერანგივით“ ჩეჩნეთში, და ამ „მწარე გამოცდილებით“ მიმხვდარნი, რომ მათსავე „ინტერესებ“-ში ყოფილა ტერიტორიულად მთლიანი (და პოლიტიკურად სუვერენული და, ერთობ, ძლიერი!) საქართველოს ყოლა მეზობლად? რა თქმა უნდა, ინტერესთა ამავე „თანხვედრის“ კარნახით ისინი შეეცდებიან „**სამხრეთ ოსეთის“** აღდგენასაც და თანაც სათანადო (ძველზე „უკეთესი“) სტატუსით, რომელშიც უთუოდ იქნება გათვალისწინებული „ჩრდილოეთ“ ოსეთთან „გამჭვირვალე საზღვარი“, რათა, საამისო დრო და ჟამი რომ დადგება, უფრო ადვილი მოსაშლელი შეიქმნას იგი „ბერლინის კედელივით“ და ბოლოს და ბოლოს ეღირსოს ოსეთს, ომისშემდგომ გერმანიასავით გაყოფილს, ერთ „სახელმწიფოდ“ გაერთიანება, სასურველია (ამას, ალბათ, „თვითონ“ „გაერთიანებული ოსეთი“ გადაწყვეტს), რუსეთის ფარგლებში (მაგრამ ეს უკვე შედარებით შორეული მომავლის საქმეა, თუმცა, „ვინ იცის“...). ხოლო **აჭარამ** რაღა დააშავა? აქაც მოსაფიქრებელი იქნება „ჯეროვანი სტატუსი“. ან იქნებ საერთოდ ფედერალურად მოწყობილიყო საქართველო, მით უფრო, რომ, როგორც ერთმა ჩვენებურმა „იურისტმა“ გაგვანათლა, იგი აქამდეც ფედერაცია ყოფილა (იგულისხმება საბჭოთა საქართველო თავისი სამი ავტონომიით), მაგრამ ეს უბრალოდ არ გვცოდნია (კარგი იქნებოდა, ამ იურისტს იტალიელებისთვისაც შეეტყობინებინა, რომელთაც იტალია, ექვსი ტერიტორიული ავტონომიის შემცველი, თავისი უმეცრებით დღემდე უნიტარული სახელმწიფო ჰგონიათ, რომ მათი ქვეყანაც ასევე ფედერაციაა და შეცდომა დროზე გამოასწორონ, კონსტიტუციურად აღიარონ ეს თავისთვის აქამდე უცნობი ფაქტი)? სხვა არა იყოს რუსის გენერალმა, ზემოთ რომ ვახსენე, თავის სატელევიზიო გამოსვლაში აკი გვაუწყა, თქვენი სახელმწიფოს მეთაური და მე (!) **შევთანხმდით** საქართველოს ფედერალიზაციაზეო, საკონსტიტუციო კომისია კი ამ დროს ჭერზე ბუზებს ითვლიდა, გარდა სახელმწიფოს მეთაურის „საკონსტიტუციო ინდკერვის“ 3-4 კაციანი, თუ არ ვცდები „ატელიე-

სი“, რომელიც ამ კომისიისგან უჩუმრად კერავდა, თეთრი ძაფებით, ბატონ მეთაურის სამეთაურო ტანზე მოსარგებ „კონსტიტუციის პროექტს“ მისი გემოვნებისამებრ, მართლაც, გამოხდა ხანი და ბოლოს შეიმუშავეს კიდეც „ატელიეს“ „სამთავრობო“ იურისტებმა, როგორც ვთქვი, საკონსტიტუციო კომისიის ზურგსუკან (და მის ცხვირწინ), ქვეყნის კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც საქართველო გამოცხადებული იყო **ფედერაციულ რესპუბლიკად**. ხოლო პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციაში, როგორც ცნობილია, მაშინდელი პარლამენტის „ანტიფედერალისტური“ განწყობის გამო სათანადო თავი (ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის შესახებ) საერთოდ არ შესულა, მაგრამ ასეთი „უთავო“ კონსტიტუცია როდემდე შეიძლება ვიქონიოთ? ალბათ, ამ მხრივაც მას რომ „თავი მოვაბათ“, დაგვეხმარებიან რუსი იურისტები და გენერლები, ზემონახსენები გენერალი მაინც, რომელსაც, ჩანს, ძალიან აწუხებს „მაკარტურის კომპლექსი“ (მართალია, მაკარტურმა იაპონია დაამარცხა, ამ გენერალმა კი ჩეჩნეთში გვარიანად ჭამა სირცხვილი, მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველოში მან უთუოდ მოიპოვა გამარჯვება აფხაზეთიდან ჩვენი გამოძევებით და, ეტყობა, როგორც მაკარტურმა იაპონიას მისცა კონსტიტუცია, ამ გენერალსაც სურს: თავის მიერ დამარცხებულ საქართველოს თავისებურივე კონსტიტუცია უბოძოს რუსული „სამხედრო დემოკრატიის“ ჩვენდა სამახსოვროდ და თავისდა სასახელოდ).

მაგრამ, თუ ჩვენი ხელისუფლება, „ძალთა ბალანსის“ (ეს უკვე ამ ხელისუფლების „კონცეპტუალური გამოთქმა“, ფრიად გამოსადეგი კაპიტულანტური კომპრომისების გასამართლებლად), გათვალისწინებით, და, „სხვა გზა-გამოსავალი არ არის“-ო, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ვითომდაც უზრუნველსაყოფად კონსტიტუციურად გააფორმებს და დააკანონებს საქართველოს ფედერალურ მოწყობას (რის გაკეთებაც ახლანდელ „საათივით აწყობილ“ პარლამენტში, ვგონებთ, არ უნდა გაუჭირდეს), მას უთუოდ მოუწევს პასუხების გაცემა „ანკლავების“ პრეტენზიებისთვისაც, რომ ისინი ცნობილ იქნან ფედერაციის სუბიექტ ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულებად, რადგან ერთი „ანკლავის“ ასეთი დოკუმენტურად გაფორმებული პრეტენზია, თავისი დონით საკმაოდ ენერგიული და კატეგორიული (თანაც საამისო „პროექტი“-ც ჰქონიათ უკვე მომზადებული), მიიღო კიდეც რესპუბლიკის ხელისუფლებამ, როდესაც გაცხადდა ქვეყნის ფედერალიზაციის

ზემოხსენებული რუსულ-“ქართული“ საკონსტიტუციო პროექტი. აი, რისი **შიში** მართლაც მაქვს, რადგან, თუ ეს მოხდა, ამ **დანაშაულს** (მე მას შეცდომად ვერანაირ შემთხვევაში ვერ მივიჩნევ) გამოსწორება ჩვენს მომავალ თაობებს მეტად და მეტად გაუჭირდება (საქართველოს ფედერალური მოწყობის საკითხს მე ცალკე შევეხე ამ პრობლემისადმი სპეციალურად მიძღვნილ წერილში). ამიტომაც, თუკი გვაქვს ელემენტური, თუნდაც მინიმალური პასუხისმგებლობის გრძნობა **ერის, ე.ი. მისი მომავალი თაობის**, წინაშე, ყველამ, უკლებლივ, ყოველივე უნდა ვიღონოთ, რათა ეს საქართველოსა და ქართველობისათვის საბედისწერო ნაბიჯი ჩვენმა ხელისუფლებამ, რომლისგანაც, ვაი, რომ უკვე ყველაფერია მოსალოდნელი, არ გადადგას, რადგან ვერავის ჩვენგანს ვეღარ უშველის, აქაოდა, თავის გასამართლებლად, „შევცდი, მომატყუეს, არ ვიცოდი“ და სხვა ამგვარი ჩვენებურ-სამთავრობო ლათაიები. დიახ, ვერ გვიშველის, რადგან არსებობენ ვითარებანი, როდესაც უმეცრებით ჩადენილი ცოდვის მიმტევებელი „არცოდნა-არცოდვა“ ძალას კარგავს, და ეს იმიტომ, რომ ყოველგვარ უმეცრებას, გნებავთ უგუნურებას, თავისი ზნეობრივი საზღვარი აქვს, რომლის გადაბიჯებაც ადამიანის სინდისს და გონებას, ბუნებით განუყოფელთა, სამსჯავროს წინაშე აბსოლუტურად დაუცველ დამნაშავედ ყოფს, როგორც ჩამდენს აბსოლუტური ცოდვის, რამეთუ ზნეობრივი პასუხისმგებლობა ყოველ ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანს აკისრია იმის გამო, რომ ზნეობრიობა, როგორც ასეთი, თავის თავშივე გულისხმობს გონიერების გარკვეულ მინიმუმს, შესაბამისი აუცილებელი ცოდნითურთ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად „მეცნიერი“-ა, ან „უმეცარი“ ესა თუ ის პირი ინდივიდუალურად. ამიტომ ნურავინ მიეცემა ილუზიას, თანაბრად უზნეოსა და უგუნურს, რომ როცა სააქაო „ჟამი განკითხვისა“ მოვა, „შევცდი-მომატყუეს“, „არ ვიცოდი“ და სხვ. მისთ. საბუთებით შეძლებს გადაურჩეს ერის სინდისისა და გონების „სასტიკ“, რამეთუ სრულიად უშეღავათო, მორალურ განაჩენს. ყოველივე ამას ვამბობ, ცხადია, არა კლინიკური იდიოტების გასაგონად, ვისაც არავინ არაფერს ეკითხება, არამედ – „ცივილური იდიოტებისა“, როგორნიც ყველაზე მეტად, ვიტყოდი – გამორჩეულად, რიცხობრივადაც და ხარისხობრივადაც, წარმოდგენილნი არიან ცნობილი ზნეობრივი და გონებრივი ტიპის კულტურულ ფენაში, და რომელნიც, შემიმჩნევია, როცა მას შემდეგ, რაც ქვეყნის

ცხოვრების ურემი გადაბრუნდება, ამგვარი „სამსჯავრო“ მდგომარეობიდან „თავის დაძვრენის“ საკითხი უდგებათ, თავის მოსაწყლება-მომკვდარუნების საქმეში „შესაშურ“ გაქნილობასა და გაიძვერობას ავლენენ ხოლმე, ესოდენ სპეციფიკურად, ლამის „კლასობრივად“, დამახასიათებელ „უნარს“ ამ მათივე სოციალური იდიოტობისა: აი, მაშინ გაახსენდებათ, ერთს – რომ იგი „მხოლოდ მეცნიერია“, მეორეს – რომ იგი „მხოლოდ ხელოვანია“, მესამეს – რომ იგი „მხოლოდ ლიტერატორია“ და ა.შ. და რომ პოლიტიკისა, აქაოდა, ჩვენს „პროფესიას“ სულითაც და ხორცითაც ვართ მიძღვნილნიო, არარა გაეგებათ (საქართველოს სიყვარულმა მათქმევინა, თორემ მე – ვინ, პოლიტიკოსი – ვინაო, – ალბათ, გადაიმღერებენ კიდეც, თავისებურად, ლექსის სიტყვებს). ამასთან დაკავშირებით ერთი რამე, მსურს, ვთქვა, რაკიღა ამ საგანზე მომიხდა საუბარი.

ჩემი ფიქრით, ის საქვეყნო დამცირება, რომელიც განიცადა ჩვენმა ერმა ამ ბოლო წლებში, სულაც არ ყოფილა უაზრო და უმადლო, რადგან, მე ასე მგონია, ამ სახითა და გზით თვითონ ცხოვრებამ, რომლის სახელიც „ისტორია“-ა, თვალნათლივ დაგვანახა, ყველას, „რანი და ვინანი“ ვყოფილვართ დღევანდელი ქართველობა, სინამდვილეში, და მით ჭკუის და ზნის სასწავლებელი დიახაც **კეთილი გაკვეთილი** მოგვცა, რათა გამოვფხიზლდეთ, საკუთარ თავსაც შევხედოთ ყოველგვარი ილუზიის გარეშე, ჩვენი მოყვარეცა და მტერიც, შინა თუ გარე, ბოლოს და ბოლოს გავარჩიოთ და **საქმეს** მოვკიდოთ ხელი, გულზე რომ უქმად დაგვიკრეფია ბედის მათხოვარ „რა გვეშველება“-ს უსასოო და უნაყოფო ფიქრში. ხოლო, გარდა ამისა, სწორედ ამ საერთოეროვნული დამცირებულობის პირობებში, როდესაც საზოგადოება, სრულ მორალურ დეპრესიაში და აპათიაში მყოფი, ვერავის და ვერაფრის გამკითხავი ვერ იქნებოდა, აშკარად გამოჩნდა, **ვინ ვინაა ნამდვილად,** რადგან დღეს ყოველი ადამიანი თავისუფალი ნებით აკეთებს თავის, ყოველ შემთხვევაში, – მორალურ-პოლიტიკურ არჩევანს, რომელზეც ამიტომ ვეღარ იტყვის მავანი (როგორც შეეძლო ეთქვა მას კომუნისტების ბატონობის დროს), დამიბარეს, მაიძულეს და სხვ. ამგვ., ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვა, ჩვენი საზოგადოებრივად უკონტროლო ცხოვრებისავე „მაცდურმა“ გარემოებებმა უტყუარად გამოგვამჟღავნეს და „დედიშობილა“ დაგვაყენეს ერთმანეთის თვალწინ ისე, რომ უკვე „ლეღვის ფოთოლსა“-ც

ვერავინ აიფარებს თავისი მორალური გვამის ზოგიერთ „სარ-ცხვინელ“ ადგილას, – გამოგვამჟღავნეს ჩვენმავე სიტყვებმა და ჩვენმავე საქმეებმა, ე.ი. თვით ჩვენმავე ცხოვრებამ, ყველა ერ-თად და თითოეული ცალკე, ყველა – თვითეულისა და თვითეული – ყველას წინაშე, რაც ვართ და ვინც ვართ ჭეშმარიტად, სწორედ ამ ჩვენი საკუთარი ადამიანური და მოქალაქეობრივი რაობა-ვინა-ობით, რისთვისაც ღმრთის მიმართ, ჩვენი ასეთი **გათვითცნობიე-რებისათვის**, მის მიერ ჩვენდა მოვლენილ ესოდენ მკაცრი სასჯე-ლისა გამო მართლაც მადლობა გვმართებს, მუხლმოდრეკითა და თაყვანისცემით.

ეს – რაც შეეხება საერთოდ ჩვენს საზოგადოებას ამ მისი მორალური (და კერძოდ, მორალურ-პოლიტიკური) მდგომარეობის ფონზე და კონტექსტში. ხოლო, რაც შეეხება „თვით“ ჩვენს ხელი-სუფლებას, – „პირადად“, თუ იგი, თავის ნაცადი „რეალისტური“ და „პრაგმატული“ პრინციპის – „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ – კვლავინდებურად ერთგული, გადაწყვეტს, რუსული გეგმა საქარ-თველოს ფედერალიზაციისა ქვეყნის კონსტიტუციურ ფაქტად აქ-ციოს, რაღა თქმა უნდა, იგი საამისო პოლიტიკურ კამპანიას წარ-მართავს ასეთი, ზემოთ ჩემ მიერ უკვე არაერთგზის მოხსენიე-ბულ და კვლავაც და კვლავაც ჭეშმარიტად „ღირსსახსენებელი“, „რეალისტური“ და „პრაგმატული“ (და არანაკლებ „რაციონალუ-რი“) კითხვის ქვეშ (გავიხსენოთ კიდევ ერთხელ ეს დსთ-ში საქარ-თველოს გაწევრიანებისდროინდელი „სტრატეგიული“ კითხვა): **სხვა რა გზაა, რა გამოსავალია** (ამ შემთხვევაში უკვე აფხაზეთის, ან თუნდაც იმავე „ცხინვალის რეგიონის“, პრობლემასთან დაკავ-შირებით)? მაგრამ ვინც იცნობს ამ ხელისუფლების პერსონალურ თუ კოლექტიურ პოლიტიკურ ზნეს, მან უნდა იცოდეს, რომ იგი (ეს ხელისუფლება) ამ პოლემიკის ქარცეცხლში ნაწრთობი და ნა-ჭედი (თუმცა, ხშირი ხმარებისგან, ცოტა არ იყოს, შელახული და გაცვეთილი) არგუმენტით არ დაკმაყოფილდება, რადგან, ესეცაა, „სხვა გზა-! გამოსავალი არ არის“ სულაც არ ნიშნავს, რომ ეს „გზა“ თავისთავად კარგია, არამედ იმას მხოლოდ, რომ იგი ნაკ-ლები ბოროტებაა (მართლაც, ვინ იტყვის თავისთავად კარგ „გზა“-ზე, იმიტომ ავირჩიე, რომ „სხვა გზა არ იყო“-ო?). ამიტო-მაც შეუდგებიან ამ „სხვა გზა არაა“-ს შემდგომ დამუშავებას ხსე-ნებული უალტერნატივო „გზის“, როგორც ერისთვის ლამის აბ-სოლუტურად (და არა ამა თუ იმ პრაქტიკულად შესაძლო სხვა

გზასთან შედარებით) სასიკეთოსი და საბედნიეროს წარმოსაჩენად და ერთხელაც იქნება გვეტყვიან, თუ გვსურს, საქართველო შეიქმნას ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნად, იგი აუცილებლად ფედერაციულად (ან, როგორც მინიმუმ „რეგიონალურად“, ე.ი. ფედერაციულისთვის – სასტარტოდ) უნდა მოეწყოს, როგორც არიან აშშ, გერმანია და სხვანი მათნი მსგავსნი, უზენაესნი თავისი დემოკრატიულობით (რომელთა რიცხვს, რა თქმა უნდა, არ მიეკუთვნებიან არც ინგლისი, არც საფრანგეთი, არც იტალია, არც დანია და არც... სხვ. და სხვ.), – „**სხვა გზა**“ ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ მიმავალი „არ არის“-ო. და უკვე ეს მაგიური ფორმულა დიახაც სულ სხვა, ახლა მართლაც **საუკეთესო** არჩევანის მაუწყებლად წარმოგვიდგება, რამდენადაც ერთხელ და სამუდამუდ გამოირკვევა, რომ ქვეყანაში დემოკრატიისა და წარმატების „სხვა გზა“, გარდა სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობისა, თურმე „არ ყოფილა“! ამგვარად, ერთ მშვენიერ დღეს „უმცირესი ბოროტება“ თვალსა და ხელშუა „უდიდეს სიკეთედ“ გარდაგვექმნება[1], საიდანაც შორს აღარ იქნება დასკვნამდე (ამ „ლოგიკური სალტოს“ გაკეთებას, იმედია, ადვილად შეძლებს ჩვენი სამთავრობო პრესა და „ელიტარული ინტელიგენცია“), რომ ისინი, ვინც ეწინააღმდეგება საქართველოს ფედერალიზაციის საქმეს, უბრალოდ „არარეალისტები“ და „არაპრაგმატიკოსები“ კი არ არიან, არამედ ადამიანები, რომლებსაც: ა) არ სურთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ბ) არ სურთ ნამდვილი დემოკრატია; ე.ი. „ობიექტურად“ (საკითხის სუბიექტური მხარე შეიძლება მერე პროკურატურამ გამოიძიოს) ისინი საქართველოს როგორც „ხორციელი“ (– „ტერიტორიული“), **ასევე** „სულიერი“ (– „დემოკრატიული“) აღორძინების მტრები არიან. კი მაგრამ, თვითონ ეს ხელისუფლება შარშანდლამდე რატომ აცხადებდა თავის

[1] ისევე, როგორც ეს მოხდა 1983 წელს, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დაუვიწყარ „საიუბილეო“ დღეებში, როდესაც საქართველოს რუსეთთან „შეერთება“ სტალინური „უმცირესი ბოროტები“-დან რუსებისთვისაც კი სასაცილო (თუმც ერთობ სასიამოვნო) „უდიდეს სიკეთედ“ გვიქციეს (ასე რომ საიმპერიო „რუსოფილობა“-ში **თვით სტალინს** გადააჭარბეს [მართლაც რომ უზომო „გატაცების“ ხალხი ვართ ქართველები ჩვენ სერვილურ გამოვლინებებშიც კი(!)] მაინც მეტად საინტერესოა, ვიტყოდი, – ფრიად მაინტრიგებლადაც კი საინტერესო: საიდან ასეთი მსგავსება პოლიტიკურ მეთოდებში მაშინდელი საქართველოს **კომუნისტურ** ხელისუფლებასა და ახლანდელი საქართველოს **დემოკრატიულ**, როგორც თვითონ უწოდებს იგი თავის თავს, ხელისუფლებას შორის?

თავს უნიტარიზმის დაჯერებულ, პრინციპულ მომხრედ?! იმიტომ, რომ (ხელისუფლების კიდევ ერთი ნაცადი ფორმულა, არანაკლებ „მაგიური“) საზოგადოებრივი აზრი ფედერალიზმის იდეის მისაღებად ჯერ **„მომწიფებული“** არ იყო, ამ იდეას ხალხი მაშინ არ მიიღებდა, ახლა კი როდესაც საამისო „პირობები მომწიფდა“, „ნიადაგი მომზადდა“, დადგა კიდეც დრო ქვეყნის ფედერალიზაციის დღის წესრიგში დაყენებისთვის.

ჩვენი ხელისუფლებისთვის შემიმჩნევია, რომ ამ „მომწიფების თეორიას“ იგი იშველიებს ხოლმე მაინცდამაინც სწორედ **ისეთი „**სასიკეთო“ ღონისძიებების გასამართლებლად, როგორიც იყო, ვთქვათ, საქართველოს გაწევრიანება დსთ-ში, ან როგორადაც გვევლინება ამჟამად ფედერალიზაციის (გნებავთ, მის მომასწავებელ აჩრდილ „რეგიონალიზაციის“) საქმე, ამიტომაც ჩემს ცნობიერებაში ეს სამთავრობო „ტერმინი – მეტაფორა“ „მომწიფება“ მტკიცედაა ასოცირებული რაღაც ავის მომასწავებელთან. გარდა ამისა, როგორ უნდა ვერწმუნოთ, საერთოდ, ხელისუფლების რაიმე სიტყვას, თუნდაც ფიციც იყოს იგი, სულ იმის ფიქრში მყოფნი, ხომ არაა იგი რიტორიკული კამუფლაჟი რაღაც ისეთი „სიკეთისა“, რომლისთვისაც ჯერ არ ვართ „მომწიფებული“, და სინამდვილეში რას მოასწავებს იგი, რა პოლიტიკურ „სიბრძნეს სიცრუისა“? თანაც ნიშანდობლივად მეჩვენება ის გარემოება, რომ „მომწიფებულად“ ხელისუფლების ამგვარ ღონისძიებათათვის საზოგადოება, როგორც წესი, მიიჩნევა მაშინ, როდესაც იგი ან პანიკითაა შეპყრობილი (როგორც ამას ჰქონდა ადგილი საქართველოს „ესენგეიზაციის“ დღეებში), ან – აპათიით (როგორც ამას ვხედავთ ამჟამად), რაც მაფიქრებინებს, რომ იმ პოლიტიკისთვის, რომელსაც ეწევა საქართველოს ახლანდელი მთავრობა, პრაქტიკულად ხელსაყრელი უნდა იყოს (და ამდენად სასურველიც) საზოგადოების ისეთი ფსიქო-მორალური ყოფა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც „პანიკით ზომიერად დაელექტროებული აპათია“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვშიშობ, რომ ხელისუფლება, სასიცოცხლოდ დაინტერესებული აფხაზეთის (და შიდა ქართლის) პრობლემის თუნდაც ფიქტიური „მოგვარებით“, რათა სათქმელი ჰქონდეს ხალხისთვის, ესაა და ეს, „სხვა გზა არ იყო“-ო, შეეცდება დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ერთადერთი „გზა ხსნისა“ (ამ შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით) არის სწორედ ფედერალიზაცია (შესაძლოა ნომი-

ნალურად – „რეგიონალიზაციის“ ფორმით), რომლის სიკეთეთა ფორსირებული პროპაგანდაც მის ერთ უმთავრეს საბრძოლო ინსტრუმენტად შეიქმნება საზოგადოებრივი აზრის დამუშავების საქმეში და თუკი ეს მიზანი მიღწეული იქნა, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ხელისუფლება შეეცდება ხალხის საბოლოო დარწმუნებას (იმავე პროპაგანდისტული მეთოდებით), რომ მან პირნათლად შეასრულა, იქნებ „გეგმის გადაჭარბებითა“-ც კი, თავისი ძველი დაპირება, „აფხაზეთის ომიდან ღირსეულად გამოვალთ“ (თუმცა, კაცმა რომ თქვას, **ომიდან** უკვე კარგა ხნის გამოსულები ვართ) და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილ იქმნებაო, – რის შემდეგაც რუსეთს, რომლის მიმართაც ჩვენი ხელისუფლების იმედი, „ესოდენ გამართლებული“, ასევე მისი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის დამამტკიცებელ ფაქტ-არგუმენტად გამოცხადდება, გაამართვინებენ კიდეც თავის სამხედრო ბაზებს იქ, სადაც, ბუნებრივია, თვითონ რუსებს ენებებათ (პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, აფხაზეთში, „სამხერთ ოსეთ“-ში, აჭარაში, „ანკლავებ“-ში).

რაა ეს, ჩემი **პროგნოზი**? – არა, ესაა მხოლოდ მითითება **იმ მოსალოდნელი** საშიშროებისა, რომელიც **შეიძლება** რეალობად იქცეს და რომელიც **უთუოდ** იქცევა კიდეც რეალობად, **თუკი** საქართველოს ხელისუფლების სარუსეთო პოლიტიკა დღემდე წარმოებული, **ასევე** გაგრძელდება, იმავე გზითა და, საერთოდ, მიმართულებით. ხოლო, რაც შეეხება პროგნოზს, თუ ამას „პროგნოზი“ ეთქმის, გახლავთ ის, რომ რუსეთი საქართველოს მთლიანობის აღმდგენი და სახელმწიფო სუვერენიტეტის დამცველი არ კი არა, უბრალოდ ვერც იქნება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ქვეყნის საიმპერიო ეროვნული ინტერესები (სხვა ეროვნული ინტერესები კი, გარდა საიმპერიოსი, დღევანდელ რუსეთს – რა ვქნათ! – არ აქვს) სულ სხვა პოლიტიკას კარნახობენ ამ სახელმწიფოს მესვეურებს. და ეს არა იმიტომ, თითქოს რუსები „ცუდები“ იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ასე მოეწყო ამ ერის ისტორიული და კულტურული ცხოვრება, რომლის საიმპერიო მემკვიდრეობისგან თავის დასაღწევად, ანუ საკუთარი ისტორიისა და კულტურის (ცნობილ ტრადიციათა სახით) დასაძლევად, კულტურულ-ისტორიული ევოლუციის ფრიად გრძელი და მეტად ძნელი, ვინ იცის, რა განსაცდელით აღსავსე გზა აქვს მას ალბათ გასავლელი. რუსეთის ერთმა ყველაზე გამოჩენილმა ისტორიკოსმა

ვ. კლიუჩევსკიმ რუსი ერის კულტურულ-ისტორიული განვითარების შესწავლის საფუძველზე მისი განმსაზღვრელი თუ დამახასიათებელი, როგორც თვითონ ამბობს, ორი „ემპირიული კანონი“ დაადგინა, ერთი – პოლიტიკური წარმატებისა და თავისუფლების წარმატების ურთიერთდამოკიდებულების, მეორე – ეკონომიკური წარმატებისა და თავისუფლების წარმატების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომლებიც (ეს „კანონები“), ერთად აღებული, ასე გამოიყურებიან: რუსეთის, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ზრდა-გაძლიერება, ერთი მხრივ, და სახალხო თავისუფლება (ე.ი. თავისუფლება ადამიანისა, როგორც ასეთის), მეორე მხრივ, ყოველთვის **უკუპროპორციულ** დამოკიდებულებაში ყოფილან ერთმანეთთან. და ამას წერდა ეს ისტორიკოსი გლეხთა განთავისუფლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა რეფორმების შემდგომ ხანაში, აღნიშნავდა რა თან, რომ ხსენებული „ემპირიული კანონებით“, უკეთ – ტენდენციებით, რუსეთის კულტურულ-ისტორიული განვითარება სრულიად საპირისპირო სურათს იძლევა ევროპულ ერთა განვითარებასთან შედარებით, რომელთა პოლიტიკური თუ ეკონომიკური წარმატება, მართლაც, მუდამ იყო, როგორც წესი, პირდაპირ დადებითს („პირდაპირპროპორციულ“) კავშირში თავისუფლების პრინციპის შესაბამის წარმატებასთან, როგორც ამ უკანასკნელის ერთსა და იმავე დროს მიზეზიცა და შედეგიც. ხოლო ეს თავისებურება რუსეთის კულტურულ-ისტორიული ევოლუციისა, რომელიც არაერთ სერიოზულ ევროპელ დამკვირვებელსა თუ მკვლევარს აძლევდა (და აძლევს) საფუძველს, ემტკიცებინა (და ამტკიცოს), რომ რუსეთი ტიპოლოგიურად არაა ნამდვილი ევროპული ქვეყანა, რა თქმა უნდა, ხელის ერთი დაკვრით (კიდეც რომ მოიძებნოს ასეთი „ხელი“... რუსეთში) არ წაიშლება და არც უნდა წაიშალოს, არამედ ხანგრძლივი თანდათანობითი ევოლუციის გზით უნდა გარდაიქმნას სხვადასხვა შინა თუ გარე კულტურულ-ისტორიულ ფაქტორთა შეუნელებელი მოქმედებით, რათა ეს ევროპული ცივილიზაციის ატრიბუტიკით „მოპირკეთებული“ არსებითად არაევროპული (ანუ ზოგის თქმით – „(ნახევრად)აზიური“, ზოგის თქმით – „(ნახევრად)ბარბაროსული“ და ა.შ.) ქვეყანა ბოლოს და ბოლოს იქცეს ნორმალურ ცივილიზებულ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი, ანუ ევროპულ-დასავლური, გაგებით, სახელმწიფოდ. მაგრამ ამ დღეს, არ მგონია, მოესწრონ ისინიც კი, ვინც ახლა დედის ძუძუს წოვენ, ამიტომაც არც

ის მგონია, რომ მას მოესწროს „თვით“ ჩვენი ახლანდელი ხელისუფლებაც თავისი „ფუტურისტული“ (თუ ის ასეთ შორეულ მომავალზეა ორიენტირებული) პოლიტიკითურთ, რაგინდ „მათუსალა“-ც აღმოჩნდეს იგი.

ხოლო, როდესაც ვამბობ, რომ „დემოკრატიული (გნებავთ, „პროგრესული“, გნებავთ, საერთოდ, „ლიბერალური“, ყველა შემთხვევაში – **არაიმპერიალისტური**) რუსეთი“, განხილული როგორც **პოლიტიკური რეალობა** (და არა „იდეალი“, რომელზეც მეოცნებე „იდეალისტები“, ბუნებრივია, ჩვენც უნდა ვიყოთ, ქართველები), სხვა არა არის რა, თუ არა წმინდა წყლის რიტორიკული ფიქცია (უთუოდ გამოსაყენებელი პოლიტიკურ რიტორიკაში, მაგრამ არა ისეთი ლამის **პროპაგანდისტული იდეოლოგიური** მიზანდასახულობით, როგორც ამას ჩადის ჩვენი ხელისუფლება), იმის თქმა კი არ მსურს, თითქოს ამ მრავალრიცხოვან ერში, მეტნაკლებ პროგრესულად მოაზრე ინდივიდები არ იყვნენ, არამედ – იმისა, რომ ეს ცალკეული ინდივიდები ამ ქვეყანაში ჯერჯერობით არავითარ რეალურ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ, რადგან, როგორც ამას წინ განაცხადა ერთმა მათგანმა, მათზე რუსეთში არ არსებობს არანაირი სოციალური მოთხოვნა, რის გამოც, მოკლებულნი, სხვათა შორის, ყოველგვარ ფინანსურ-მატერიალურ სახსარს (არაა მოთხოვნილება – არაა ფული), ისინი პრაქტიკულად ჩამოცილებული არიან პოლიტიკურ სარბიელს, სადაც მოქმედი ზოგიერთი პირი, თუნდაც იგივე რუსეთის პრეზიდენტი, ამ სარბიელზე „მოასპარეზე“ სხვა პოლიტიკოსთა ფონზე ვისმე მართლაც შეიძლება მოეჩვენოს „დემოკრატიზმის გიგანტად“. ნუთუ ჩვენი პოლიტიკური „ისტებლიშმენტის“ და მისი „თანამგზავრი ინტელიგენციის“ წარმომადგენელთ, როდესაც ლაპარაკობენ ისინი „დემოკრატიულ რუსეთ“-ზე ეს სიმპათიური **ინდივიდები** (როგორადაც მეჩვენებიან ისინი შორიდან) ჰყავთ მხედველობაში და მათი იმედი აქვთ? – არ მგონია, რადგან ეს არ ეკადრება მათს ქებულ და ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ყოფით ესოდენ მჭევრმეტყველურად დამტკიცებულ „რეალიზმსა“ და „პრაგმატიზმს“; ვფიქრობ, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება „დემოკრატიულ რუსეთის“ ასეთ (თავისთვის „საიმედო“) განსახიერებად, როგორც ეს მას არაერთგზის განუცხადებია კიდეც, ამ ქვეყნის სწორედ პრეზიდენტსა და მის თანამოაზრეთ მიიჩნევს, რომლებზეც თვითონ რუსი დემოკრატები, ამ სახელის ასე თუ

ისე ღირსნი, (და ამიტომაც, ალბათ, რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების თამაშგარეთ დარჩენილნი) სულ სხვა აზრისა არიან (რატომღაც არ მეჩვენება, ეს „შურით“ მოსდიოდეთ). კი მაგრამ, ეს ჩვენი საესავი დასავლეთის მთავრობები რისთვისღა უჭერენ მხარს რუსეთის პრეზიდენტს და რატომ სურთ მისი გამარჯვება რუსეთის მომავალ არჩევნებში? ყოველ შემთხვევაში, არა იმიტომ, რომ იგი მართლაც ლიბერალად და დემოკრატად მიაჩნდეთ, ამ სიტყვის, მათებური ე.ი. დასავლური გაგებით, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ მათაც, ისევე როგორც ზოგიერთ ჩვენგანს, როდესაც ჯიქურ გვიდგება საკითხი, ვის ვარჩევდით **რეალურ** კანდიდატთა შორის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტად, ასეთივე კითხვა ებადებათ: თუ ეს არა, **მაშ ვინ**? – და უკეთესი არჩევანის უქონლობის გამო, უპირატესობას ანიჭებენ, ბუნებრივია, უარესთან შედარებით **ნაკლებ ცუდს**. ხოლო, რადგან „უფროსები“, მსოფლიოს მესვეურ სახელმწიფოთა მთავრობები, ასე სჯიან და ჭრიან, ჩვენც, „პატარებმა“, მათ უნდა ვუსმინოთ, ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამაც, უკეთ მისმა პრეზიდენტმა, თავისი ავტორიტეტით, უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში რუსეთის, საშინაო საქმეებში ჩაურევლად, მხარი უნდა აუბას ზემოხსენებულ სახელმწიფოთა პოლიტიკას რუსეთის მიმართ, „მეფეზე უფრო როიალისტობა“-ზე არამკითხე თავის გამოუდებლად, და სულაც არა – იმას, რომ ამ ჩვენმა ხელისუფლებამ არარსებული არსებულად ცნოს და საქართველოს ბედი პრაქტიკულად „დემოკრატიული რუსეთის“ იმედზე დაამყაროს და ისედაც დაბეჩავებულ ქართველობას დღედაღამ ტვინსა და გულში უჭედოს, რომ „ქართლის ბედის“ (თუ „ჭირის“?) „**გასაღები**“ თურმე რუსეთში ყოფილა, ქალაქ მოსკოვში (თვით კრემლში!), საიმედოდ გადანახული, – დიახ, რუსეთში და არა საქართველოში: „სუვერენიტეტი“-ც, რომლის „დათმობასაც“ არ აპირებს, როგორც თვითონ გვპირდება (“პირობების მომწიფებამდე“?), ჩვენი ხელისუფლება, სწორედ ამას ჰქვია!

მაინც საინტერესოა, ეს მზეთუნახავი „გასაღები“, ნესტან-დარეჯანივით მოსკოვის „ცხრაკლიტულში მჯდომარე“, როდის აღმოჩნდა იქ? ერეკლე მეფის დროს, ნოე ჟორდანიას დროს თუ ამასწინდელი პრეზიდენტის, აწ უკვე პრეზიდენტყოფილის, დროს? ან იქნებ მოგვიანებით მოხდა ეს რომანტიკული ამბავი? თანაც რამდენადაც ვიცი, გასაღები თავისით არ დადის, მას ან ნებით აძლე-

ვენ, ან ძალით ართმევენ. და, თუ წაგვართვეს, როდის? და, თუ იგი თვითონ „დემოკრატიულმა რუსეთმა“ არ წაგვართვა, რატომ დუმს ეს რუსეთი და რატომ არ იტყვის ხმამაღლა, (რომ ჩვენც გავიგონოთ), „გასაღები“ პატრონს დავუბრუნოთო! აკი რუსეთის ინტერესებშია, პოლიტიკურად სუვერენული, და ტერიტორიულად მთლიანი, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი „ძლიერი“ საქართველოს მეზობლობა, ხოლო როგორ შევძლებთ ყოველივე ამას, თურმე ესოდენ „საინტერესოს“ თვითონ რუსეთისთვის, თუკი ეს „გასაღები“ ჩვენი პრეზიდენტის კი არა, რუსეთის პრეზიდენტის „სეიფ“-ში იქნება ჩაკეტილი? ამიტომაც ვამბობ, რომ, **თუკი ეს ჯადოქრული „გასაღები“ მართლაც რუსეთშია**, – „გასაღები“, რომლის არსებობაც ჩვენს ხელისუფლებას ყველაზე ხშირად სწორედ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ახსენდება ხოლმე (“აფხაზეთის პრობლემის გასაღები“-ო, – გვეუბნებიან, **მაშინ, ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთი (და, უნდა ვიფიქროთ, „ცხინვალის რეგიონი“-ც) დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ,** რადგან ამ „გასაღებს“ რუსები თავისი ნებით, რასაკვირველია, არ დაგვითმობენ, ხოლო ჩვენ, ქართველები, ჩვენი საკუთარი ძალით მათ მას ვერ წავართმევთ; და ამ საქმეში **არც** რუსული ბაზები გამოგვადგებიან... ახალქალაქში და **ვერც** ქართული კონცერტები – მოსკოვში. რა თქმა უნდა, არავითარი „იმედი“ არ მაქვს იმ „**ვაჭრობისა**“-ც („საერთო ინტერესების“ ნიადაგზე?), რომელსაც თითქოს ეწევა ამჟამად საქართველოს მთავრობა რუსეთის მთავრობასთან („დამიბრუნე ტერიტორიები – გაგამართვინებ ბაზებს“, – ქართულ-რუსული „პოლიტიკური ბარტერის“ ქართული ფორმულა!): ერთადერთი, რაც შეიძლება „მოივაჭროს“ თვისდა „სასიქადულოდ“ (და ჩვენდა საუბედუროდ) ასეთი „ვაჭრობი“-დან ამ ჩვენმა „დიდვაჭარმა“ მთავრობამ, ეს – აფხაზეთის და „ცხინვალის რეგიონის“ „დაბრუნება“ ისეთი „**სტატუსით**“, როგორიც აწყობს თვითონ რუსეთს მისი შემდგომი **სამომავლო** პოლიტიკისთვის ჩვენს ქვეყანაში – მის **შიგნით, სადაც**, სხვათა შორის, მას საამისოდ გამართული ექნება კიდეც თავისი ბაზები შესაბამისი სამსახურებითურთ, რომლებიც უთუოდ ჰპოვებენ ფრიად ნაყოფიერ და ნოყიერ ნიადაგს თავისი „დიდად საინტერესო“ (რამეთუ „დიდად საიმედო“) საქმიანობისთვის რუსეთის მიერ ბოძებული „სტატუსით“ უკვე გაბედნიერებული (თან „კიდევ უკეთესის“ მოლოდინში მყოფი) რეგიონებისა და აგრეთვე სხვა ამგვარივე „სტატუსის“ ჯერ კიდევ მომლოდინე რეგიონების

მოსახლეობაში; ხოლო დაამატეთ ამას საქართველოს „ფედერალიზაცია“-ც (ან, გნებავთ, რეგიონალიზაცია), ზემოაღნიშნულ „სტატუსთა“ ვითომდაც მორალურ – და, რაც მთავარია, **სამართლებრივ**-პოლიტიკური ეფექტის ვითომდაც „გასანეიტრალებლად“ (ჩვენი ხელისუფლების „ძალიან ეშმაკური“ კონტრჩანაფიქრი!) და „სრული პერსპექტივა“-ც მზადაა.

კარგა ხანია, მეცნიერებაში არსებობს დაკვირვება, რომ ყოველ აზრს, რაგინდ „ობიექტური“-ც იყოს იგი, ე.ი. თავის უშუალო ობიექტზე ცნობიერად ორიენტირებული, ერთგვარი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მოტივაცია უძევს ძირში, როგორც წესი, თვითონ ადამიანის მიერ გაუცნობიერებელი. მე მგონია, რომ ეს „გასაღების“ თეორიაც ასევე მოტივირებული უნდა იყოს გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტებით, სახელდობრ კი, იმის ფარული შეგნებით თუ არა, ფარული გრძნობით მაინც, რომ ის ურთიერთობა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, მაღალფარდოვნად „საქართველო-რუსეთის ურთიერთობას“ ვეძახით და რომელიც ნომინალურად მართლაც გულისხმობს ურთიერთობას ორ თანასწორუფლებიან სამართლებრივ-პოლიტიკურ სუბიექტს შორის, ფაქტობრივად სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. **სუბიექტ-ობიექტის** ურთიერთობა, რომლის „დაინტერესებული“ **სუბიექტიც**, რა თქმა უნდა, **რუსეთია**, ხოლო „საინტერესო“ **ობიექტი**, ასევე, რა თქმა უნდა, – **საქართველო**; და თავად ამ ურთიერთობასაც, შესაბამისად, ამ სუბიექტის ამ მის ობიექტზე აქტიური ზემოქმედებები და ამ ობიექტის ამ მისი სუბიექტისადმი პასიური უკუქმედებები შეადგენენ არსებითად. აქ იქნებ საქართველოს პოლიტიკაში რუსეთის მიმართ სხვა რამის დანახვა შეიძლება, გარდა ასეთი **საპასუხო რეაქციებისა**, რაოდენ „ორიგინალური“ პოლიტიკური „ინიციატივების“ სახეც ჰქონდეთ მათ გარეგნულად? – რაგინდ სამწუხარო იყოს ამის აღიარება, იძულებული ვარ, ვთქვა: არა! რუსეთის პირისპირ ჩვენ უბრალოდ „ცოცხალი ობიექტი“ ვართ, უფრო ზუსტად კი, თუმც „პოლიტიკურად ცოცხალი“, მაგრამ მაინც... „ობიექტი“. ასეთია ჩვენი „სტატუსი“ ამ „ქართულ-რუსულ ურთიერთობა“-ში და, თუკი „პოლიტიკური სიცოცხლის“ ნიშან-წყალს მაინც ვავლენთ, იგი არ სცდება რუსული პოლიტიკის „სივრცე“-ში ამ ჩვენი „საობიექტო სტატუსის“ ფარგლებს, ანუ ფარგლებს რუსული პოლიტიკის „სუვერენული ობიექტის“ სტატუსისა, რომლის ლოგიკურად ბოლომდე გააზრებამაც, ვშიშობ, ამ სიტუაციის ისე-

თი სურათი არ მომცეს, რომ ზოგიერთს იგი „შარჟადა“-ც შეიძლება მოეჩვენოს... ამიტომაც ამჯერად დავკმაყოფილდები იმით, რაც ზემოთ ვთქვი, ეს „გასაღების“ იდეა ფსიქოლოგიურად სწორედ ამ ჩვენი რუსული პოლიტიკის „საობიექტო სტატუსის“ ფარული შეგნებით (თუ ფარული გრძნობით) უნდა იყოს მოტივირებული-მეთქი, რაც, თავისთავად, თუკი ჩემი ასეთი ვარაუდი მართალია, ფრიად საგულისხმოდ მეჩვენება და, წარმოიდგინეთ, ერთგვარად **საიმედოდაც** კი წმინდა ადამიანური თვალსაზრისით...

ხოლო რაც შეეხება რუსეთის „ყოფილთა“ **სუვერენიტეტს**, რომელიც თავის თავშივე გულისხმობს, სხვათა შორის, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპსაც, რამდენადაც სუვერენიტეტიც იმისაა, რომ იგი გარკვეულ ტერიტორიაზე ვრცელდება, რომლის ხელყოფაც, ამიტომ, თვით ამ საუვერენიტეტის ხელყოფაა, როგორც მისი – სამოქმედო არის შეზღუდვის მცდელობა – თუ როგორ ესმის იგი, აი, ეს თავის „ყოფილთა“ სუვერენიტეტი, თვითონ რუსეთს, სახელდობრ, მის „დემოკრატიულ“ მთავრობას, მისი „დემოკრატი“ პრეზიდენტითურთ, ამის მჭევრმეტყველური მაგალითი ბელორუსიაა, რომლის სპეციალური „საინტეგრაციო“ ალიანსიც, უკვე რომ არა რუსეთ-თან, არამედ ლამის თვით რუსეთ-ში მისი ფედერირების ტენდენციას ატარებს (სხვა საქმეა, სინამდვილეში რა მოხდება), ოფიციალური მოსკოვის მიერ რეკლამირებულ იქნა, როგორც ბელორუსიის სუვერენიტეტის შემდგომი გამტკიცების ცხადმყოფი ფაქტი და უზრუნველმყოფი ფაქტორი. წარმოიდგინეთ ვინმე „ეშმაკის ფეხი“, რომელიც თავის სარეცელში იტყუებს ლამაზ მონაზონს ასეთი „საიმედო“ სიტყვებით: ჩამაბარე შენი ქალწულობა, თუ გინდა, იგი შეინარჩუნო, – მე „შეგინახავ“ მასო. სწორედ ასე ირჯება, თავისი ძველი, ცარისტულ-ბოლშევიკური ტრადიციისამებრ, ახლანდელი რუსეთიც, ამჯერად უკვე „დემოკრატიული“: ჩამაბარეთ თქვენი სუვერენიტეტი (ჩემთან „შემდგომი ინტეგრაციის“ გზით) და მას „ნიავსაც არ მივაკარებ“ (ოღონდაც!) – გახდით ჩემი საიმპერიო პოლიტიკის დიახაც „სუვერენული“, ოღონდ... ობიექტები, რომელთა სუვერენიტეტის სუბიექტიც, ვითარცა მისი „მცველი“, მე ვიქნებიო. და „გასაღების“ საიდუმლოც ამაშია: ობიექტის გასაღები სხვა ვის, თუ არა მის სუბიექტს, უნდა ჰქონდეს, როგორც, ვთქვათ კარადის გასაღები მის პატრონს, რომელიც, რა თქმა უნდა, შეინახავს მას, არ „დაკარგავს“, „საიმედოდ“ (ცხადია, არა კა-

რადისთვის) ედება თავის ჯიბეში. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლების ეს მეტაფორული „გასაღები“ გარკვეული **სიმბოლური** მნიშვნელობის შემცველია და რომ ეს მნიშვნელობა, როგორც გასაღები ამ „გასაღების“ ფარული გასაგისისა, არის **სუვერენიტეტი**: თუკი ჩვენი „გასაღები“ მოსკოვშია, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად ჩვენი „სუვერენიტეტი“ ყოფილა იქ. ესაა და ეს. მაგრამ დავუბრუნდეთ რუსეთის „ყოფილთა“ სუვერენიტეტის რუსულსავე გაგებას და ვიკითხოთ: მაინც ვისგან ან რისგან უნდა დაიცვას ეს მათი (ამ თავის „ყოფილთა“) „სუვერენიტეტები“, ვინ ან რა ემუქრება ამ უკანასკნელთ? ვფიქრობ, ეს საინტერესო კითხვა უნდა იყოს ზოგიერთი ცნობისმოყვარისთვის.

ამ შემთხვევაში მე ვილაპარაკებ იმ ყოფილთა სუვერენიტეტზე, რომლებიც **ევროპაში** შედიან. საიდან ემუქრება მაინც განსაცდელი მათს სუვერენიტეტს, ვისგან ან რისგან? – პასუხი ერთია: **ნატო-სგან**. მართლაც, გავიხსენოთ, ვის უპირისპირდება რუსეთი, როდესაც მოითხოვს საქართველოს მთავრობისგან სამხედრო ბაზები გამამართვინეთ თქვენს ტერიტორიაზეო. საქართველოს, გარდა რუსეთისა, უშუალოდ ესაზღვრება სამი ქვეყანა: აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, ხოლო მის „შორიახლოს“ არის კიდევ სპარსეთი. კონკრეტულად რომლისგან „თავდასაცავად“ სჭირდება რუსეთს ეს ბაზები საქართველოში: აზერბაიჯანისგან? სომხეთისგან? – რა თქმა უნდა, არა. სპარსეთისგან? – ვგონებ, არც მისგან, რამდენადაც, მასთან, ცნობილ მიზეზთა გამო, საკმაოდ კარგ ურთიერთობაშია. მაშ, რომლისგან? – აშკარაა, თურქეთისგან, რომელიც ნატო-ს სამხედრო-პოლიტიკური „კონფედერაციის“ წევრია. რუსული სამხარეო პოლიტიკის ძაღლის თავი-ც თვითონ თურქთში კი არა (თურქეთი, თავისთავად, რა საშიშროებას უნდა წარმოადგენდეს რუსეთისთვის!), არამედ სწორედ ნატო-ში მარხია, რომელიც მისთვის, ცხადია, „სახუმარო ძალა“ მართლაც არაა. გავიხსენოთ, ამასთან დაკავშირებით, ისიც, თუ რა ალიაქოთი შეუდგათ რუსებს შინ და, როგორც შეეძლოთ, გარეთაც ააყენეს, როდესაც ნატო-ს ხელმძღვანელობაში დაისვა საკითხი ამ ორგანიზაციის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა (როცა საკითხი დადებითად გადაწყდებოდა) რუსეთის ყოფილი სატელიტების აღნიშნულ გაერთიანებაში გაწევრიანება: დაიწყეს, როგორც ტრადიციისამებრ სჩვევიათ, მრისხანე „არ დავუშვებთ“, – ამის ძახილით, შემდეგ,

როდესაც დაინახეს, რომ მათი „რისხვის“ არავის ეშინია, იმავე „ჩვეულებითი ტრადიციის“ მიხედვით ტონს თანდათან დაუწიეს და ახლა, რამდენადაც ვიცი, ბუზღუნისა თუ წუწუნის სტადიაზე არიან ჩამოქვეითებული. ხოლო რამ შეაშფოთა, მაინც რუსეთი ნატო-ს ამ პოლიტიკაში? – ცივი ომი დამთავრებულია, ნატო აგრესიული ორგანიზაცია არაა (და არც არასდროს ყოფილა, რაც რუსეთისთვის ასევე კარგადაა ცნობილი), თვითონ რუსეთი მრავალგვარ დახმარებას იღებს იმ ქვეყნებისგან, რომლებიც „ნატო“-ში შედიან, ლაპარაკია მშვიდობიან თანამშრომლობაზე, რუსეთი ახლახან ევროსაბჭოში მიიღეს და ა.შ. ერთი სიტყვით, დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ რაიმე „მუქარის“ არსებობაზე ფიქრიც კი ზედმეტია, ერთადერთი, რასაც იქიდან შეიძლება მოელოდეს ეს ქვეყანა, არის, როგორც ვთქვი, დახმარება, რომ იგიც ისევე ადამიანურად მოეწყოს, როგორაც მოწყობილი არიან თავად ეს დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები. მაშ რა აღელვებს, რა აშფოთებს რუსეთს, მის ერსა და ბერს? – უბრალოდ ის, რომ ნატო-ს გაფართოებით მას ხელიდან ეცლებიან მისნი „ყოფილნი“, რომელთათვის „წიაღთა შინა“ **რაიმე** სახით, **რაიმე** გზით დაბრუნებაზეც ფიქრს იგი არა და არ ეშვება: ფრთები ეკვეცება, – ეკვეცება კი არა, ძირში ეკვეთება! – მის ნოსტალგიური საიმპერიო ოცნებებს, რადგან ნატო-ში შესვლით მისი პოტენციური „სუვერენული ობიექტები“ რეალურ სუვერენულ სუბიექტებად იქცევიან და მათი „ბედის გასაღები“-ც, ე.ი. სუვერენიტეტი, ჩვენს „გასაღებსა“-ვით მოსკოვში კი არ იქნება, არამედ თვითონ ქვეყნის დედაქალაქებში. ასე რომ, ბელორუსიის „დათრევით“ (უნდა ვიფიქროთ, მაინც დროებითით) რუსეთმა ამ ქვეყნის სუვერენიტეტი „დაიცვა“ ნატოს-გან, ე.ი. სინამდვილეში... თვითონ ბელორუსიისგან (უჩვენოდ, თქვენი თავის ამარა, – „всемирноотзывчивая, всечеловеческая душа“ დოსტოევსკის რუსი კაცისა, – დაიღუპებით, ისევ ჩვენ უნდა გიპატრონოთ!), რასაც – ასეთს „სარევანშო გამარჯვებას“ დასავლეთზე („есть еще порох в пороховницах, Белорусия опять стала нашенской!“) – ბუნებრივია, დიდი შინაგანი კმაყოფილებით შეხვდა „დემოკრატია“ და მისმა „დემოკრატმა“ პრეზიდენტმაც კარგი „წონიანი“ ქულა ჩაიწერა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, რუსის ნაციონალ-კომუნისტები კი, ალბათ შურისგან გულზე სკდებიან, „საჩვენო“ საქმის გაკეთება „მათ“ როგორ ერგოთო, ავიწყდებათ რა – შურისაგან! – რომ ეს

„საქმე“ **მათი საერთოეროვნული საიმპერიო** საქმეა. ხოლო რა შეემთხვა რუსეთს ისეთი „ჯერარნახული“ და „ჯერარსმენილი“, რომ ასე მოუსვენრადაა მას შემდეგ დიდიან-პატარიანად?

ინგლისს რუსეთზე გაცილებით დიდი იმპერია ჰქონდა, ყველაზე დიდი როგორიც კი ოდესმე არსებულა, ტერიტორიითაც, (რომელიც ხმელეთის 1/5-ს შეადგენდა) და მოსახლეობითაც (რომელიც კაცობრიობის 1/4-ს შეადგენდა), თანაც იმპერია, რომელსაც ვივეკანანდა, ინგლისური იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე ინდოელი პატრიოტი, მსოფლიო ცივილიზაციის „გენერატორს“ უწოდებდა (ვის უთქვამს სადმე და ოდესმე რამე ამის მსგავსი რუსეთის იმპერიაზე?), მაგრამ მის დაშლას, რაშიც, ესეც უნდა ითქვას, თავად ინგლისელი ერის პოლიტიკურმა კულტურამ და ეროვნული ინტერესების სათანადო გაგებამ უთუოდ ერთი უმნიშვნელოვანესი დადებითი ფაქტორის როლი ითამაშეს, ამ ერში ადამიანური ღირსების გრძნობა და საკუთარი შემოქმედებითი ძალებისადმი რწმენა, ყოველ შემთხვევაში იმ სახითა და ზომით, როგორც ამას რუსეთში ვხედავთ, არც შეულახავს და არც შეურყევია. და ეს იმიტომ, ეტყობა, რომ ამ თავისი ეროვნული ღირსებისა და შემოქმედებითი თვითრწმენის სათავესაც და საგანსაც ეს ერი იმთავითვე საკუთარ თავში პოვებდა და როდესაც დაინახა, რომ იმპერიალიზმს ყავლი გაუვიდა, პირველმა აუღო ალღო თავისთვის ესოდენ დამახასიათებელი ღრმად კულტურული პრაქტიციზმით ახალ დროებას და თავისი ძველი იმპერიალისტური ამბიციები ყოველგვარი ვაი-ვიშის და კბილთა ღრჭენის გარეშე „ისტორიას ჩააბარა“, რითაც ამ საქმეშიც – მსოფლიო იმპერიალიზმის, როგორც პოლიტიკური სისტემის, ლიკვიდაციაში – ასევე მსოფლიო ისტორიული „პირველობა“ დაიმსახურა თვისდა სასახელოდ და სხვათა სამაგალითოდ. შემდეგ კი, ზედმიყოლებით, ეგეთვე გზა განვლეს, ცხადია, თვითეულმა – თავისებურად, დანარჩენმა ევროპელმა ერებმაც: ჰოლანდიელებმა, ფრანგებმა, ბელგიელებმა, ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, თანაც – ფაქტი საგულისხმო! – თავისი პოლიტიკური კულტურის დონის შესატყვისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: შედარებით განვითარებულებმა – უფრო ადრე, შედარებით ჩამორჩენილებმა – უფრო გვიან. დაბოლოს, მართალია, სულ სხვა მიზეზით (პოლიტიკური კულტურა, როგორც ასეთი, აქ უკვე არაფერ შუაში აღარ იყო) ვერც რუსეთმა, სსრკ-ის სახელს რომ ატარებდა, გაუძლო „განახ-

ლებისა ქარისა ქროლას“ (რომელიც უფრო გარედან უბერავდა ვიდრე შიგნიდან) და ისიც „ჩახვავდა“, როგორც ვთქვი, თითქოს საკუთარ და მანკიერებათა სიმძიმისგან. მაგრამ განსხვავებით **ევ-როპელ** ერთაგან, რუსის ერში ამ ფაქტმა სულ სხვა, **სრულიადაც არა „ევროპული“**, ფსიქოიდეოლოგიური რეაქცია გამოიწვია, რომელზეც დაკვირვება მე, პირადად, ჩემს ძველ აზრს (უკეთ აზრ – შთაბეჭდილებას) განმიმტკიცებს, რომ ამ ერს გარეშე იმპერიისა თავისი თავი საერთოდ ვერ წარმოუდგენია ერად, ვერ წარმოუდგენია ცხოვრება „თავის ამარა“, თავის ჭეშმარიტად **ეროვნულ** სახელმწიფოში, გეგონებათ, **საკუთარი** საეროვნო ღირსებისა და შემოქმედებითი ძალებისადმი საკმარისი პატივისცემისა და ნდობა-იმედის უქონლობისა გამო. „გეგონებათ“-მეთქი რომ ვთქვი, მე სწორედ ასე მგონია, რადგან, ჩემი აზრით, რუსეთის როგორც იმპერიის გარეგნული ტერიტორიული ზრდა ყოველთვის უსწრებდა თვით რუსი ერის, **როგორც ერის** შინაგან **კულტურულ** განვითარებას, რის შედეგიცაა, ალბათ, ის, ერთი შეხედვით უცნაური, გარემოება, რომ რუს ერში გაცილებით ძლიერია საკუთრივ იმპერიალისტური ცნობიერება, ვიდრე საკუთრივ ნაციონალისტური: რუსეთის ისტორიის ერთგვარი „პარადოქსი“, ჩემი ფიქრით, სწორედ ისაა, რომ ეს ქვეყანა უფრო ადრე შეიქმნა იმპერიად, ვიდრე ამ იმპერიის მპყრობელი ერი შეიქმნებოდა ერად, რამაც, აი, ამ „პარადოქსულმა“ ისტორიულმა გარემოებამ, ფრიად ნიშანდობლივი ასახვა პოვა კიდეც განსაკუთრებით XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში, რომელსაც წითელ ზოლად გასდევს საკითხი რუსობის, როგორც ასეთის, რაობა-ვინაობისა (რა ვართ და ვინ ვართ რუსები, როგორც ერი, და ვართ კი საერთოდ) და, ამის პარალელურად (უფრო ზუსტად კი, „კომპლემენტარულად“), საკითხი (ეს უკვე წმინდა იმპერიალისტური ასპექტით) რუსეთის მსოფლიო ისტორიული მისიის შესახებ (თანაც საგულისხმოა, რომ ეს ხშირ შემთხვევაში ეროვნულ-კულტურული პესიმიზმი და ეს ყველა შემთხვევაში იმპერიულ-მისიონერული ოპტიმიზმი „სიამის ტყუპებივით“ არიან ერთმანეთთან შესისხლხორცებული ერთი და იმავე ავტორის აზროვნებაში); და ამავე კატეგორიას განეკუთვნება, სხვათა შორის, ის საინტერესო მოვლენაც, როგორიცაა ერთი მხრივ, ცნობილი ჩივილი, თუ როგორ იჩაგრება რუსი ერი თავისსავე ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნულ „უმცირესობათა“-გან, რომელთა ერთადერთი „მარჩენალი“-ც იგია, და მეორე მხრივ, დაჟი-

ნებული მოწოდება იმავე არარუსი „პარაზიტი“ ერებისადმი, არ ჩამოშორდნენ რუსეთს, არ დაანგრიონ ამ თავისი „ნაციონალისტური სეპარატიზმით“ თავისივე „საერთო სამშობლო“. ხოლო იმისთვის, რათა ჯეროვნად გავითვალისწინოთ, თუ რას შეიძლება მოველოდეთ, განსაკუთრებით სწორედ „ყოფილნი“, დღევანდელი რუსეთისგან, რომელიც „რუსეთის ფედერაციის“ სახელს ატარებს, უნდა გვახსოვდეს, რომ თავად ეს ფედერაცია (რომელსაც, შევნიშნავ აქვე, არაფერი აქვს საერთო „მრავალეროვან“ აშშ-სთან), სადაც, გარდა **ამერიკელი ერისა**, სხვა არც ერთი **ერი** არ ცხოვრობს...) ახლაც წარმოადგენს ნამდვილ იმპერიას, რომელმაც თავისი „ეროვნული“ მთლიანობის შესანარჩუნებლად უნდა გაატაროს კიდეც შესაბამისი ე.ი. საიმპერიო საშინაო პოლიტიკა და რომლის საგარეო პოლიტიკაც, თვითონ ამ „შინაპოლიტიკური ლოგიკის“ ძალით, ბუნებითად ასევე იმპერიალისტური შეიძლება იყოს მხოლოდ, ეს კი ნიშნავს, რომ „ყოფილებმა“, ვიდრე ხსენებული „ფედერაცია“ ასეთად რჩება, უნდა შეიმუშაონ და აწარმოონ მის მიმართ პრინციპული და მეთოდური **შემაკავებელი პოლიტიკა**, პროგრამულად ორიენტირებული ნამდვილ (და არა ისეთს, როგორც ეს დღევანდელ „დემოკრატიულ რუსეთს“ ესმის და მოსწონს) კეთილმეზობლობაზე. ასე თუ ისე, აღნიშნული გარემოებანი „რუსების ფსიქოიდეოლოგიური რეაქცია იმპერიის დაშლაზე, მისი სავარაუდო მოტივაციითურთ, და ახლანდელი რუსეთის იმპერიული შინაწყობა), ვფიქრობ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვენ, პირველ ყოვლისა, როგორც ვთქვი, ჩვენნაირ „ყოფილთა“ მხრიდან, მაგრამ საქართველოს ახლანდელ რეალისტ ხელისუფლებას ამგვარი რეალობები, ჩანს, სულაც არ აინტერესებს, ამჟამად გულისფანცქალით მომლოდინეს რუსეთის მომავალი საპრეზიდენტო შესაძლო „რეალობებისა“, თითქოს რომელიმეს ამათგან შეეძლოს რუსეთის იმ ფუნდამენტურ რეალობებში რაიმე სასიკეთო ფსიქოლოგიური თუ იდეოლოგიური ცვლილებების შეტანა. და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი კითხვა.

საიდან ასეთი **დაპირისპირება** ევროპასთან? (და საერთოდ, დასავლეთთან)? ნუთუ 84-წლიანი კომუნისტური წარსულია ამ ყველა ნიშნით „ეროვნული ფენომენის“ ნამდვილი მიზეზი? – რა თქმა უნდა, არა. ზემოთ, თავის ადგილას, მე უკვე მქონდა საუბარი რუსი ერის იმ კულტურულ-ისტორიულ თავისებურებაზე, რომელიც მის კუთვნილებას ევროპული (და, საერთოდ დასავლური)

ტიპის ერთა ოჯახისადმი თუ მთლად არ გამორიცხავს, ყოველ შემთხვევაში, მეტად პრობლემურად, ან პირობითად ხდის. ახლა კი ამავე საკითხთან მიმართებაში, დასმულ კითხვაზე საპასუხოდ თქმულს შემდეგს დავსძენდი. ის ფრიად ზედაპირული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც რევოლუციური მნიშვნელობის მქონე საცივილიზაციო გარდაქმნები, რომლებიც განიცადეს რუსეთის საზოგადოებამ და ცხოვრებამ პეტრე პირველისა და მის მემკვიდ-რეთა (განსაკუთრებით ეკატერინე მეორის) ხელში და ისტორიაში ცნობილი არიან რუსეთის „ევროპეიზაციის“ სახელით, – აი ეს, ვიმეორებ, თავისთავად, თითქოსდა, პროგრესული გარდაქმნები შეიქნენ კიდეც ახალ მიზეზად იმ აშკარად არაჯანსაღი ზოგად-კულტურული მოვლენის ახალი ძალით და ახალი სახით განვითა-რებისა, რომელსაც შპენგლერი, სწორედ რუსეთის კულტურულ-ისტორიულ რეალობათა მხედველობაში მქონებელი, „**ისტორიულ ფსევდომორფოზს**“ უწოდებს და რომლის რაობა-რაგვარობასაც თვით იგი ასე განმარტავს: ეს არის „შემთხვევა, როდესაც უცხო ძველი კულტურა ხარობს არა თავის ნიადაგზე ისეთი ძალით, რომ იგი სულს უხუთავს (ადგილობრივ) ახალგაზრდა კულტურას და ამ უკანასკნელს არ ძალუძს არა მარტო განავითაროს წმინდა საკუთარი ფორმა გამოხატვისა, არამედ მიაღწიოს საკუთარი თვითშეგნების სრულ განვითარებასაც“-ო. და ამგვარ პირობებში განვითარდა ის ჯერ კიდევ რუსოს მიერ შემჩნეული „მახინჯი მიმბაძველობა“-ც (ა. ბეზანსონის თქმით), რომელიც თავის თავ-შივე ატარებს თვით მისაბაძი ნიმუშისადმი „შურისა და სიძულვი-ლის“ (მისივე თქმით) ღრმა აგრესიულ გრძნობას, (რომელმაც თა-ვის უკიდურეს გამოხატულებას მიაღწია კიდევაც ბოლშევიზმში, რაც ასევე ცხადყოფს, სხვათა შორის, რუსული **კულტურის** ამ **ბოლშევიკური ფორმაციის** ორგანულ მემკვიდრეობით კავშირს ხსენებული კულტურის ასეთს, ჩემი განსაზღვრით, შინაგანად ან-ტი – და გარეგნულად ფსევდოევროპულ ფსიქოიდეოლოგიურ დისპოზიციასთან...). მე მგონია, რომ რუსეთის უფრო ადრინდელ აგრეთვე ფსევდომორფოზულ „მონგოლურ-ბიზანტიურ“ ნიადაგზე გადმონერგილი „ევროპის“, ბუნებითად შეუთავსებლის დამხვდუ-რი კულტურის ფსიქოლოგიურ „მონგოლიზმ“-თანაც და იდეოლო-გიურ „ბიზანტიზმ“-თანაც (მათს „ურთიერთგამჭვირვალობა“-ში ერთიანთა), კულტურული პრინციპებისა და ღირებულებებისა ფრიად „უცნაური“ (და ამდენად ასევე „ორიგინალური“) ბედიც ამ

ქვეყანაში, სადაც მათ ადგილობრივი რაიმეგვარი **ბუნებრივი** განვითარებით შემზადებული კულტურულ-ისტორიული წანამძღვრები არ ჰქონიათ (აღნიშნულ ფსიქოიდეოლოგიურ „იმიტაციებ“-ზე რომ არაფერი ვთქვა), სწორედ ზემოხსენებული გარემოებით აიხსნება და ეს, პირველ რიგში, ცხადია, შეეხება იმ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებიც დემოკრატიული ლიბერალიზმის – თანადროული მთელი დასავლური ცივილიზაციის ამ ფუძემდებელი იდეოლოგიის (და შესაბამისი ფსიქოლოგიის) – შინაარსს შეადგენენ. და ეს ამბივალენტური „მძულხარ – მიყვარხარ“, რომელიც წეწავს დღევანდელი მეტ-ნაკლებ ინტელიგენტური რუსეთის საერთოეროვნულ ცნობიერებას მისთვის ამჟამადაც „სანიმუშო“ ევროპულ-დასავლური კულტურული მსოფლიოს მიმართ, ამიტომ **არც უნდა გაგვიკვირდეს და არც უნდა გვაიმედებდეს**. რუსული ლიტერატურისთვის ისეთი ტრადიციული თემა – იდეა, როგორიცაა, ვინც ამ ლიტერატურას იცნობს, მისთვის, უთუოდ, ცნობილი კულტურიდეოლოგიური (და – ფსიქოლოგიური) ოპოზიცია „ევროპა (დასავლეთი) – რუსეთი“, რომლის გამოც ამდენი მელანი ხარჯეს ე.წ. „**სლავიანოფილებმა**“ (სინამდვილეში **რუსოფილებმა,** რომლებმაც თავისი ჭეშმარიტი, ე,ი. წმინდა რუსული, „ფილია“ მხოლოდ განაზოგადეს მთელ სლავურ **რასაზე**...) და **მათმა ოპოზიციურმა ფრაქციამ(!) „მედასავლეთეებმა“**, ამჟამადაც რჩება ამ ერის ზოგადკულტურულ ცნობიერებაში, როგორც ევროპასა და ერთობ დასავლეთთან მისი დამოკიდებულების განმსაზღვრელი ღრმად „ინტიმური“ ფაქტორი (ზემოაღნიშნული აი იმ ფსიქოიდეოლოგიური დისპოზიციის სახით და ძალით), რომელსაც ჩვენი „რუსულ ფაქტორ“-ზე ესოდენ მრავლად (თუმც არა მრავლის) მეტყველი ხელისუფლება, მას რომ დავუჯეროთ, საქართველოს „ევროპეიზაციისა“ და მით ევროპაში მის დამკვიდრებაზე დღემუდამ მზრუნველი, რატომღაც არ ითვალისწინებს, მიუხედავად თავისი მთელი „რეალიზმისა“ და „პრაგმატიზმისა“ (და „რაციონალიზმისა“). ეს კი ისეთი „ფაქტორი“-ა (“რუსული ფაქტორის“ ეს ფსიქოიდეოლოგიური კულტურულისტორიული ფაქტორი), რომლის უგულებელყოფაც (თუკი დავუშვებთ, რომ მისი ფაქტი საერთოდ ცნობილია ჩვენი ბედის გამგეთათვის) მეტად ძვირად შეიძლება დაუჯდეს ქვეყანასაც და, ამდენად, მის ახლანდელ მესვეურებსაც, რადგან, ბევრი რამ, რასაც ამჟამად ვხედავთ „დემოკრატიული რუსეთის“ ურთიერთობაში დასავლეთთან, კერძოდ, თუნ-

დაც იმავე „ნატო“-ს მიმართ დამოკიდებულების საკითხში, თავის ნამდვილ ახსნას სწორედ ამ ფაქტორში პოვებს.[1] ამიტომაც მიმაჩნია, რომ რუსული ბაზების გამართვა საქართველოში ერთგვარი ფარული ფორმა იქნება რუსეთის მიერ საქართველოს რეოკუპაციისა, ჩვენი ქვეყნის მისი ჭეშმარიტად სასიცოცხლო კულტურულ-პოლიტიკური ინტერესებით დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა კი – ევროპის, რეალური კულტურულ-პოლიტიკური ორბიტიდან პრაქტიკულად გამომთიშველი. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით შვეიცარია არაა და იგი, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ნეიტრალური ვერ იქნება ცნობილ გეოკულტურულ (და, შესაბამისად, გეოპოლიტიკურ) სცილასა და ქარიბდას შორის მყოფი, ხოლო რუსული ბაზები მის მიწა-წყალზე უთუოდ იქნება პრინციპული მნიშვნელობის ფაქტი გარკვეული კულტურულ-პოლიტიკური არჩევანისა, ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, რეაქციულზე ურეაქციულესის, როგორიც კი ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს ჩვენი ერისთვის, მისი რამდენადაც ტრადიციული, ამდენადვე აქტუალური კულტურული, კერძოდ კი – პოლიტიკური ინტერესებისთვის. ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა? – **ასეთ პირობებში და ასეთ პირობებზე** იგი „რა თქმა უნდა“ „აღდგენილ“ იქნება, რაკიღა, თუ თვითონ **მთელი** საქართველო რუსეთში არა, თვითონ რუსეთი მაინც იქნება მთელ საქართველოში... იყავი მთლიანად ჩემი და შენი „მთლიანობა“-ც გარანტირებულია, **სანამ იგი ჩემ ხელთაა**! ხოლო იმისთვის, რათა იგი მის ხელთ დარჩეს და „სუვერენული ობიექტი“, თავისი „ტე-

[1] რა გარანტია არსებობს, რომ ადრინდელი „იმიტაციების“ მსგავსად, რომელთა მეშვეობითაც რუსეთი თავის სახელმწიფო ცხოვრებაში „იმეორებდა“, თანმიმდევრობითა და ზედდადებით, ბიზანტიას, მაგრამ მისი „მაღალი ქრისტიანობის გარეშე“, მონგოლთა იმპერიას, მაგრამ მისი „სამართლისა და პატივის გარეშე“, დასავლურ მონარქიას, „მაგრამ მისი საკუთრებისა და თავისუფლების გარეშე“ (ა.ბეზანსონი), ეს მორიგი რუსული „იმიტაცია“-ც, ამ შემთხვევაში უკვე „ნიმუშად“ თანადროული ლიბერალური დემოკრატიის მქონებელი კვლავაც არ აღმოჩნდება ამჯერად ამ დემოკრატიისათვის ასევე რაიმე არსებითის „გარეშე“ და, როგორც ასეთი, ახლაც არ მოგვევლინება „იმიტაცია“ ტრადიციისამებრ „მახინჯი“, თავისი „ნიმუშის“ მიმართ ისევ და ისევ შინაგანად „ანტი“ და გარეგნულად „ფსევდო“? ის გარემოება, რომ „მოტორიზებული ჩინგისხანი“ პირადად მკვდარია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ „მოტორიზებული (გნებავთ, ინდუსტრიალიზებული) ურდო“ გადაშენებულიყოს; არა, ეს უკანასკნელი ძველებურადვე ცოცხლობს სწორედ იმ „საიმპერიო“ სულისკვეთების წყალობით, რომელიც არა და არ ასვენებს მით სულდგმულ „დემოკრატიულ“ (და არა მარტო ნაციონალ-კომუნისტურ) რუსეთს.

რიტორიული მთლიანობით“-ურთ, ერთ მუხთალ დღეს ხელიდან არ გამოეცალოს, საჭიროა, რომ ეს „მთლიანობა“ რეკონსტრუირებულ იქნას „სუბიექტის“-თვის საიმედოდ, ე.ი. მისთვის ასეთი უსიამოვნო შემთხვევითობისგან საიმედოდ დამზღვევი მისივე გეგმით (იხ. ზემოხსენებული „სტატუსები“, აგრეთვე „ფედერალიზაციის“, ან თუნდაც „რეგიონალიზაციის“ სათანადო პროექტები). ამიტომაც, რაც უფრო მალე დავაღწევთ თავს რუსეთის მიმართ ამ ჩვენს „სუბიექტურ ობიექტობას“ (მისი მარტო ნომინალური სუვერენიტეტით) და რაც მალე მოვიპოვებთ მის მიმართ „ობიექტურ სუბიექტურობას“ (მისი აგრეთვე რეალური სუვერენიტეტით), მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვისაც და თვით მთავრობისთვისაც, რადგან რაც დრო გადის, ამ „უკეთესობის“ მარგი ქმედების კოეფიციენტი სულ უფრო და უფრო ეცემა. აი, არსებითად ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა იმ რამდენადაც **მისტიკური**, იმდენადვე **სიმბოლური** „გასაღების“ გამო, – „**გასაღებისა**“, რომლის იგავ-არაკიც, სხვადასხვა ვერსიითა და ვარიაციით, ძილისპირულივით ჩაესმის ჩვენს ღრმა მორალური დეპრესიითა და პოლიტიკური აპათიით შეპყრობილ, ეროვნულ პროსტრაციაში მთვლემარე საზოგადოებას.

ხოლო შეიძლება, მითხრას ვინმემ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ვილაპარაკე, ნუთუ არ გესმით ამ ხნის კაცს, რომ ეს საცოდავი „გასაღები“, ამდენი რომ უტრიალეთ და ატრიალეთ, ამ შემთხვევაში ერთგვარი მეტაფორაა ქვეყნის ირგვლივ (და შიგნით, მე დავსძენდი) შექმნილი საერთაშორისო ვითარებისა (ჩვენს, ისევ დავსძენდი, შიდასახელმწიფოებრივ „საერთაშორისო“ ვითარებად გამოსახულის) და, **საერთოდ**, საქართველოს **გეოპოლიტიკური** მდგომარეობის დასახასიათებლადო. შევეცდები, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის სწორედ ამ საადვოკატო „გეოპოლიტიკურ პუნქტს“ გავცე პასუხი, რითაც, ვფიქრობ, თუკი ეს მოვახერხე, თავისთავად გაეცემა პასუხი, ზოგადად მაინც, „შექმნილი საერთაშორისო ვითარების“, როგორც ასეთის კითხვასაც. მე მგონია, რომ ცნება „გეოპოლიტიკურისა“ გულისხმობს არა მარტო ქვეყნის **გეოგრაფიული ადგილმდებარეობის „კონსტანტას“**, არამედ იმ **პოლიტიკურ „ცვლადსა“-ც**, რომელიც, რაკიღა პოლიტიკურია იგი, დამოკიდებულია კიდეც იმ **პოლიტიკაზე**, რომელსაც აწარმოებს მოცემული სახელმწიფოს (“ქვეყნის“) მთავრობა, ცხადია, მისი საკუთრივ გეოგრაფიული მდგომარეობის **ჯეროვანი**

გათვალისწინებით, – „ჯეროვანით“ ამ პოლიტიკისთვის არა მისი მიზნების, როგორც ასეთთა, **განსასაზღვრავად**, არამედ მათ **მისაღწევად**. სუვერენული პოლიტიკა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ერის პოლიტიკური სუვერენიტეტი, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უბრალო ფუნქცია კი არ უნდა იყოს, არამედ მისი ნამდვილი **ექსპლოატატორი**, რომელიც, ამგვარად „შეჯვარებული“ ამ გეოგრაფიულ „კონსტანტას“, იქნება კიდეც პრაქტიკული გამომხატველი ერის რეალური ინტერესებისა. რა თქმა უნდა, ამ ინტერესებში თავისთავად იგულისხმება მეზობელ ერებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, **სამართლიანი და მშვიდობიანი**, ძირშივე უპირობოდ უარმყოფელი „კეთილმეზობლობის“ იმ ტიპობრივად დიდმპყრობელური „მახლობელი საზღვარგარეთის კონცეფციისა“, რომელზეც ხელის აღება ასე კატეგორიულად მოითხოვა ევროპის საბჭომ რუსეთის მთავრობისგან, რაც იმის ნიშანია, სხვათა შორის, რომ ქვეყანა არც ისე ყოფილა „ჩალით“ დაფარული, როგორც ეს ესურვებოდათ რუს პოლიტიკოსებს და ბევრ, მათ შემხედვარე ქართველს ჰგონია. ხოლო რაც შეეხება საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც ასეთს, იგი არაფერს „საბედისწეროს“ არ შეიცავს ჩვენთვის, რადგან ეს მდგომარეობა, როგორც ვთქვი, სულაც არაა უცვლელი რამ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, არამედ არსებითად თვითონაა ფუნქცია იმ პოლიტიკისა, რომელსაც ამ „მდგომარეობა“-ში მყოფი ერი აწარმოებს თავის მიერვე ხელისუფლების სათავეებში მოყვანილ და დაყენებულ „სახელმწიფო კაცთა“ მეშვეობით. გარდა ამისა, სწორედ ეს მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ყოფს საქართველოს, მის სხვა სიკეთეთა შორის, გეოპოლიტიკურად საინტერესო ქვეყნად დასავლეთისთვის, საიდანაც (და არა ჩრდილოეთიდან) უნდა ამოვიდეს კიდეც „მზე“ ჩვენი ერის თავისუფლებისა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აღნიშნული გარემოება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას ჩვენთვის სასურველ რეალურ გეოპოლიტიკურ ფაქტორად, როდესაც საქართველოს **გეოპოლიტიკური** მდგომარეობის **ადექვატურ პოლიტიკას** დავადგებით, ჯეროვნად განმასხვავებელნი ამ **დინამიკური** მდგომარეობისა, რომელიც ჩვენ ხელთაა, საკუთრივ გეოგრაფიული, ამ მხრივ **სტატიკური** მდგომარეობისგან. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის განხილვა-შეფასებისას მუდამ უნდა გვახსოვდეს სხვა ქვეყნების, სახელდობრ, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწი-

ფოთა სწორედ ეს გეოპოლიტიკური ინტერესები ჩვენი ქვეყნის მიმართ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი, როგორც გეოპოლიტიკურ ფაქტორ – ინტერესები, თავად საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შემადგენელი ელემენტები არიან და ქვეყნის ხელისუფლების ერთი უპირველესი და უმთავრესი საქმეც ისაა, რომ სათანადო პოლიტიკით ხსენებული ინტერესები ჩვენივე გეოპოლიტიკური მდგომარეობის აქტუალურ კომპონენტებად აქციოს, რისთვისაც საჭიროა, საქართველო უბრალოდ „საინტერესო ობიექტი“ კი არ იყოს, იმის იმედით, რომ ამ „ობიექტს“ მისი საინტერესო ატრიბუტებით, თუ მართლაც დასანახავია, ისედაც დაინახავენ, არამედ თვით გახდეს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის (რაკიღა ამჯერად მასზე გვაქვს საუბარი), მისი საკუთრივ პოლიტიკურ „ინტერესთა სტრუქტურის“ განმსაზღვრელ, ნამდვილ, პოლიტიკურად აქტიურ სუვერენულ სუბიექტად, რომელიც თავის „საინტერესოობას“ თავისივე პრინციპული და მეთოდური პოლიტიკით თვითონ დაანახვებს მათ, ვისი ასეთი დაინტერესებაც საკუთარი თავით მას აინტერესებს. ნუ დავივიწყებთ, რომ პოლიტიკა (ისევე როგორც, ნურც ამას დავივიწყებთ, ეკონომიკა) ისეთივე **დარგია კულტურისა**, როგორც, ვთქვათ, ხელოვნება და მეცნიერება, და რომ იგი მხოლოდ მაშინაა სიცოცხლისუნარიანი და, როგორც ასეთი, გნებავთ – რეალისტური, გნებავთ – პრაგმატული (და ა.შ), როდესაც იგი სულდგმული ერის ზოგად – და მთლიანკულტურული სულისკვეთებით ემსახურება ამ ერის სათანადო **კულტურულ მისწრაფებათა პოლიტიკური უზრუნველყოფის** საქმეს მისი საშინაო თუ საგარეო **ცხოვრების**, ანუ, ორივე განზომილებით, მისი **კულტურული ყოფიერების** სარბიელზე. მართლაც რა არის სახელმწიფო? ერის, როგორც კულტურული სხეულის პოლიტიკური (და, როგორც ასეთი, **ამ სახის** კულტურული) ორგანიზაცია, რაც თავისთავად ცხადყოფს კიდევაც მისი (ე.ი. სახელმწიფოს, როგორც სწორედ ასეთი ორგანიზაციის) მაკონსტიტუირებელი და მარეგულირებელი პრინციპებისა და შესაბამის ინსტიტუტთა და ფუნქციათა საერთო რაგვარობასაც: არსებით – კულტურულს, სახებით – პოლიტიკურს. ამიტომაც ხელისუფლებას, რომელსაც ისტორიამ დააკისრა რამდენადაც საპატიო, ამდენადვე საპასუხისმგებლო საქმე, უხელმძღვანელოს სახელმწიფოს **თავიდან** აღმშენებლობას, მოვალეა, უფრო ფართოდ და ღრმად გაიაზროს თავისი პოლიტიკური მიზნები და ამოცანე-

ბი, ვიდრე ეს სჭირდება და მოეთხოვება იმ ერის ხელისუფლებას, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი და უწყვეტი ტრადიცია აქვს აწმყოში (მაშინ როდესაც ჩვენი ტრადიცია ჯერჯერობით წარსულშია და მისი აღორძინება აწმყო ტრადიციად მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც აღდგენილი იქნება ჟამთვითარებით გაწყვეტილი „დროთა კავშირი“), სახელდობრ: გაიაზროს ისინი, ეს პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, ერთიან საერთოკულტურულ მიზნებსა და ამოცანებთან უშუალო მიმართებაში, სწორედ მათს ფონზე და კონტექსტში.[1]

და, ამ თვალსაზრისით, ვინმემ რომ მკითხოს, თუ როგორი საქართველო უნდა ავაშენოთ (საქართველო, როგორც სახელმწიფო), რათა ჩვენი ერი ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დაადგეს თავისუფალი კულტურული განვითარების გზას, მე არც საბაზრო ეკონომიკას ვახსენებდი, არც ადამიანისა და მოქალაქის უფლებათავისუფლებებს, არც კანონის უზენაესობას, არც ხალხის სუვერენიტეტს და ა.შ., არამედ ვუპასუხებდი მოკლედ: **ევროპული საქართველო,** – რითაც მივუთითებდი იმ **ზოგად კულტურულ პრინციპს** ჩვენი სახელმწიფოებრიობისა, ეს პრინციპი კი **ევროპეიზმია**, რომელიც სწორედ საფუძვლად დაუდო, სწორედ ამ სახელით („ევროპეიზმი“), **ქართველობის „გამოხსნა-აღდგომის“** საქმეს (და ამჟამადაც ხომ **ეს საქმე** გვაქვს წინაპართაგან ანდერძად და შთამომავალთადმი ვალად!) ქართული დემოკრატიული ლიბერალიზმის მამამთავარმა **ილია ჭავჭავაძემ**, გამომხატველმა, ამგვარად, **ქართველობის ეროვნული, ანუ კულტურული, ვინაობისათვის** იმ **ჭეშმარიტად სასიცოცხლო მისწრაფებისა ევროპისაკენ** (ამ სიტყვის, ცხადია, არა გეოგრაფიული, არამედ **გეოკულტურული** გაგებით), ევროპულ-დასავლურ მსოფლიოში **კულტურულ-პოლიტიკური**, როგორც დღეს იტყვიან ხოლმე, „ინტეგრირების“ მიზნით, რომელსაც ხუთსაუკუნეზე – ნახევარ ათასწალეულზე მეტი ხნის ისტორიული ტრადიცია აქვს, – ტრადიცია, გავხაზავ კიდევ ერ-

[1] ხოლო რაც შეეხება ქართული სახელმწიფოებრიობის „თავიდან“ მშენებლობას, მინდოდა მეთქვა, „თავიდან, ცარიელ ადგილზე“-მეთქი, მაგრამ რის „ცარიელ“-ზე, როდესაც ადგილი არაა, რომ თითქმის ორასი წლის მანძილზე დაგროვილი ნაგვისაგან არ გვქონდეს ჩვენი „საამშენებლო მოედანი“ – საქართველო განსაწმენდი, თუმცა ზოგიერთი ჩვენებური „მამალი“, ერთი არაკისა არ იყოს, მაინც იქექება ამ „ნარუსალი ისტორიის ნაგავ“-ში, „ძველი კავშირების“, ჩვენ მიერ ასე „უგუნურად“ მოშლილის, „მარგალიტთა“ – ვაი, რომ ამაოდ! – მაძიებელი.

თხელ, კულტურულ-პოლიტიკური (შევნიშნავ, რომ „თვით“ ერეკ-ლე მეორე, რომლის სახელსაც ასეთს უწმაწურ, სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია, ექსპლოატაციას უწევს ზოგიერთი „პოლიტიკური მეტრფე“ ჩვენი ახლანდელი ხელისუფლებისა, ამ მისი „სარუსეთო პოლიტიკის“ მოსარჩლე-მაქებარი, იმავე ქართული ევროპოფილუ-რი ტრადიციის **ტრაგიკული წარმომადგენელია**, ვისი ყბადაღებუ-ლი „რუსოფილობა“-ც, იურიდიულად გაფორმებული 1783 წლის ცნობილი ტრაქტატით, იყო ის „ბეწვის ხიდი“ (ნ.ბერძენიშვილის თქმით), რომელიც უნდა ყოფილიყო „**გზა ევროპაში – რუსეთზე გავლით**“ (თანახმად მისივე ფორმულისა) და რომელიც... „ჩაუწ-ყდა“ (მისივე სიტყვით) ქართველობას, რის შედეგადაც ჩავცვივ-დით კიდეც იმ მდგომარეობაში, საიდანაც დღემდე ვერ ამოვ-მძვრალვართ... – ესეც ერთი ისტორიული გაკვეთილი ჩვენთვის, სრულიადაც არა იმ „პოლიტიკური მორალის“ შემცველი, როგორ-საც **დებენ** მასში ჩვენი ხელისუფლების მოჯამაგირე თუ მოხალი-სე „ხელმარჯვე“ პროპაგანდისტები). რა თქმა უნდა, ეს, როგორც ვთქვი, მართლაც რომ **სასიცოცხლო** სწრაფვა „ევროპისკენ“, რაც ნიშნავს – **ევროპელობისა და ევროპულობისკენ** მომდინარე ერის თვით, ასე ვიტყოდი, „კულტურული ინსტიქტები“-დან, სხვა არა იყო, თუ არა გამოხატულება ერის შინაგანი ორიენტაციისა იმ კულტურულ პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომლებიც სა-ფუძვლად ედვნენ და ასულდგმულებდნენ მთელ ევროპულ (და, საერთოდ დასავლურ) ცივილიზაციას და განსაზღვრავდნენ ევ-როპელი კაცის (“ჰომო ევროპეიკუს“-ის) კულტურულ ტიპს, მისი სათანადო ფსიქოიდეოლოგიური წყობით; და რომლებიც შეადგე-ნენ, საკუთრივ, თანადროული ევროპის (და საერთოდ, დასავლე-თის) იმ კულტურულ-პოლიტიკური იდეოლოგიის (შესაბამისი ფსიქოლოგიითურთ) ტრადიციულ ავლა-დიდებას, რომლის სახე-ლიც „**ლიბერალიზმი**“-ა, თავისი უახლესი რედაქციით – „**დემოკ-რატიული**“... და რომ არა რუსეთი, ამჯერად უკვე „წითელი“, მა-სახიერებელი კაცობრიობის ისტორიაში უშავბნელესი რეაქციისა, თავისი „ანტიკაპიტალისტური“ მებრძოლი იდეოლოგიით („ლენი-ნური მარქსიზმით“) პირდაპირ მიმართული სწორედ ევროპულ-დასავლური ცივილიზაციის ფუძემდებელი პრინციპებისა და ღი-რებულებების, ე.ი. დემოკრატიული ლიბერალიზმის, წინააღმდეგ, საქართველო, 1918-21 წლებში შემდგარი ევროპული განვითარე-ბის გზაზე, სულ მალე შეიქმნებოდა ნამდვილ ევროპულ სახელ-

მწიფოდ და როგორც ასეთი, ევროპის (და მისი სახით – საერთოდ დასავლური მსოფლიოს) ერთ განუყოფელ ნაწილად. ხოლო ახლა, როდესაც რუსეთის მეორე იმპერიის, ბოლშევიკურის, ნანგრევებზე შენდება რუსეთის რიგით უკვე **მესამე იმპერია,** იგივე რუსეთი კვლავ უკეტავს გზას ჩვენს ქვეყანას ევროპისკენ, უკვე ჩამდგარი აფხაზეთსა და შიდა ქართლში და, ყოველივე ამის შემდეგ, თავის მიერვე წარტაცებული ამ ქართული მიწების **ვითომდა** ჩვენთვის დაბრუნების (რასაკვირველია, საამისო საკუთარი პირობებისვე წაყენებით: „სტატუსები“, „ფედერალიზაცია“ და ა.შ.) საფასურად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების დაშვებას და მით საქართველოს რუსების სამხედრო პლაცდარმად, ევროპის საპირისპიროდ, გადაქცევას. თუ ჩვენი ხელისუფლება, რომელსაც, ჩანს, მეფე ერეკლე თავის თანამოაზრედ წარმოუდგენია, ფიქრობს, რომ შესაძლებელია საქართველოს „გზა ევროპისკენ“ გაიმართოს „რუსეთზე გავლით“, – ფრიად შემცდარა: რუსეთმა, რომელსაც თვითონ ძალიან უყვარს, ტრადიციულად, სხვის მიწა-წყალზე „ჩინგის ყაენურად“ გავლა-გამოვლა, ვეჭვობ, რომ დაგვრთოს ნება თავისი საკუთარი ტერიტორიის გამოყენებისა, ჩვენ რომ გვსურს, ისეთი უმანკო ექსკურსიისთვის. რუსეთს არანაირად არ აწყობს, ევროპა დამკვიდრდეს საქართველოში ანუ საქართველო – ევროპაში, ანუ მოხდეს საქართველოს ნამდვილი ევროპეიზაცია და მით მისი გეოკულტურულად და, მაშასადამე, გეოპოლიტიკურადაც გადაქცევა ნამდვილ ევროპულ ქვეყნად, რისთვისაც აუცილებელია ერის ცხოვრების მოწყობა იმ პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომლებზეც დამყარებულია ევროპელ ერთა მთელი ყოფა, არის ეს სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებლივ-პოლიტიკური თუ სხვა მხარეები ყოფა-ცხოვრებისა. სხვანაირად რომ ვთქვა, რუსეთი თავისი ინტერესებით საქართველოს მიმართ სრულ წინააღმდეგობაშია თვითონ საქართველოს **სასიცოცხლო ინტერესებთან**, რასაც დაჟინებით არ ხედავს და არ აღიარებს ჩვენი ხელისუფლება, დღესაც, მიუხედავად ინტერესთა ასეთი შეურიგებელი წინააღმდეგობის დღემუდამ დამადასტურებელი ფაქტებისა, „რეალისტურად“ და „პრაგმატულად“ მაინც იმის „მოიმედე“, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენითა და პოლიტიკური სუვერენიტეტის გამტკიცებით.

მე არ ვიცი, რუსის სამოქალაქო და სამხედრო „გენერლები“ თავისი „გენერალური“ გეგმების შემუშავებისას საქართველოს „გეოპოლიტიკური ათვისების“ თაობაზე თავიანთ მოსაზრებებს როგორ სიტყვიერ გამოხატულებას აძლევენ, ხოლო ერთი რამ ჩემთვის ცხადია: თუკი იმ „გეო“-ზე, რომელსაც „საქართველო“ ეწოდება, შეიქმნა თავისი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებლივ-პოლიტიკური წყობით ევროპული ტიპის, ე.ი. ნამდვილი ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო, ეს იმ **ფაქტის** უტყუარი მაუწყებელი იქნება (როგორც უკვე ვთქვი ზემოთ), რომ საქართველო გეოკულტურულად და, **კერძოდ**, გეოპოლიტიკურად ევროპის ნაწილი გამხდარა, რასაც რუსული „კულტურული(?) იმპერიალიზმის“ „მონგოლურ-ბიზანტიური“ ტრადიციების მემკვიდრე „გენერლები“, რა თქმა უნდა, არ დაუშვებენ (თუკი ვინმემ, ან რამემ მათ ხელი არ შეუშალა). ილია ჭავჭავაძის სკოლის ენაზე, – სკოლისა, საიდანაც გამოვიდა, არსებითად, მთელი ქართველი ინტელიგენცია არა მარტო ლიბერალური, არამედ სოციალისტური აღმსარებლობისაც, – აი, ამ ჩვენი „სა-ქართველო“ სკოლის ენაზე „ევროპელობა“ ქართველობის „ჭეშმარიტობის“ სინონიმი იყო: „**ჭეშმარიტი ქართველი**“ **ევროპელ** ქართველს ნიშნავდა. და რუსული ტრადიციული ანტიქართული პოლიტიკაც სწორედ ამ ჭეშმარიტ ანუ ევროპელ ქართველს ებრძოდა, რადგან კარგად უწყოდნენ, რომ ასეთი ქართველი „რუსი“ ქართველი (გნებავთ „რუსი ევროპელი“ ქართველი) არასდროს არ იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთი „ველური ქართველების“ ვითომც „ცივილიზატორის“ ბარბაროსული „ყნოსვით“ თავიდანვე მიხვდა (რომ იტყვიან, „ალღო აუღო“), რომ ქართველობის „სისუსტე“ მისი ევროპული კულტურისკენ ბუნებითი სწრაფვა იყო, და შეუდგა კიდეც ჩვენში „ცივილიზაციის“, ანუ „ევროპული კულტურის“ („ევროპეიზაციის“), თავისებურ დანერგვას, ვითარცა ძალადმაცხონე „კულტურ-ტრეგერი“, სინამდვილეში გაგვიმართა რა ამ სატყუარა „დროშის“ ქვეშ ნამდვილი „კულტურკამფი“, გასაგებია, – საკუთარ რუსულ-პოლიტიკურ ყაიდაზე, ერის რუსიფიკაციის, ე.ი. მისი ასიმილაციისა და მით, როგორც სწორედ ერის, კულტურული გადაგვარება-მოსპობის მიზნით, რაშიც ერთსულ და ერთპირ იყვნენ (ეს, როგორც ერთი სიმბოლური მაგალითი –) „კავკასიის მომღერალი“ პუშკინიცა და „კავკასიის ჯალათი“ ერმოლოვიც და ასე გაგრძელდა იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, პრაქტიკულად **უგა-**

მონაკლისოდ, საქართველოს „ათვისების“ საქმეში „პოეტებისა“ და „გენერლების“ ამგვარი „კონსონანსი“, შიგადაშიგ სრულიად უწყინარი „დისონანსებით“ კიდევ უფრო „ჰარმონიულად გამდიდრებული“. ხოლო რამდენადაც ამ წერილში არც დროა და არც ადგილი ვილაპარაკო ამ **„კულტურული ომის“** (ბრძოლის კი არა, მართლაც „ომის“) პერიპეტიებზე, ვიტყვი მოკლედ: რუსეთმა ეს „ომი“ საქართველოსთან წააგო, ქართველობამ **კულტურული გამარჯვება** მოიპოვა ამ თავის უბოროტეს და უვერაგეს, როგორიც კი მას ჰყოლია ოდესმე, მტერზე, რომელმაც თავისი **ისტორიული კულტურული მარცხის** შესახებ, რასაკვირველია, მშვენივრად იცის, მაგრამ ხმამაღლა ამაში იგი ცოცხალი თავით არ გამოტყდება. ამგვარად ქართულ-რუსული ურთიერთობების ამ მთელმა ორსაუკუნოვანმა ისტორიამ ცხადზე უცხადესად ცხადყო ქართველობისა და რუსობის, როგორც ორი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული ჩვენ-სისტემის **სრული კულტურული შეუთავსებლობა,** რაც, სხვათა შორის, გარკვეულად მიუთითა ერთმა ადამიანმა, ვისაც, რა რა და, „რუსოფობობას“ ვერავინ დასწამებს (მომყავს მისი სიტყვები დედნის ენაზე): „Надо действительности смотреть в глаза. Такая **зияющая пропасть взаимного психологического непонимания** не может покрываться общностью обрядовой политики или догматических основ христианского учения“ (ერთადერთი საერთო ამ ორ ერს შორის. – ხაზგასმა ჩემია. მ.ნ.). ავტორი? – **ნიკოლოზ (ნიკო) მარი**, ვის ამ სიტყვებსაც, ვგონებ კომენტარი არ სჭირდება: ისედაც ყველაფერი გასაგებია. შევნიშნავ მხოლოდ, რომ ჩემ მიერ ზემორე ხსენებული კულტურული შეუთავსებლობა სწორედ „პირღია უფსკრულს ფსიქოლოგიური ურთიერთგაუგებრობისა“ გულისხმობს, „ფსიქოლოგიურს“ – კულტურული თვალსაზრისით (ანუ თვალსაზრისით კულტურის ფსიქოლოგიისა, გნებავთ – კულტურული ფსიქოლოგიის). ხოლო ყოველივე ეს ითქვა 1906 წელს[1], დემოკრატიული საქართველოს

[1] ნ.მარის ამ ნაშრომში (История Грузии. Культурно-исторический очерк), რომელზეც პირადად მსმენია ნ.ბერძენიშვილისგან, ესაა საქართველოს იმ ნამდვილი ისტორიის კონსპექტი, რომელიც ჯერ კიდევ დასაწერიაო, მკითხველი ნახავს ბრწყინვალე გვერდებს, მიძღვნილს რუსული ლიტერატურის, სახელოვნოსიც და სამეცნიეროსიც, საქართველოსა და ქართველების მიმართ დამოკიდებულების საკითხისადმი და მის მაგალითზე წარმომჩენელს მთელი სიღრმე-სიგანით იმ, ვიმეორებ, სრული კულტურული ურთიერთშეუ-

დამოუკიდებლობის წლებში კი **ივანე ჯავახიშვილმა** სპეციალური ნაშრომი უძღვნა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, ქვეყნის მაშინდელ მესვეურთა საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ, – ასეთი კულტურული შეუთავსებლობიდან გამომდინარე „პოლიტიკური მორალის“ ისტორიული ფაქტებით ჩვენდა საგულისხმოდ დამამტკიცებელი და განმამტკიცებელი. ამჟამად არც მარები გვყავს და არც ჯავახიშვილები, არც სხვები მათდაგვარნი, მაგრამ ეს მათი წარუვალი მნიშვნელობის მქონე მემკვიდრეობა ხომ

თავსებლობისა, რომელიც არსებობს ამ ორ ერს, ქართველსა და რუსს, შორის, ავტორის ჩემ მიერ ზემოთ ციტირებული გამონათქვამით ასე მჭერმეტყველურად დადასტურებული.

ხოლო, თუ რას წარმოადგენდა კულტურული თვალსაზრისით ცარისტული ფორმაციის (ბოლშევიკურზე რომ არაფერი ვთქვა) რუსული იმპერიალიზმი თავის „ნამზითვევ“, ორთავიან არწივთან ერთად, ტირნოვოში შეუმდგარი „მესამე რომის“ სკლეროზულ ინფანტილიზმში ჩავარდნილი და „მონგოლურ“ ნიადაგზე მოხვედრილი „ბიზანტიური კულტურიმპერიალისტური“ პრეტენზიებით, ფსიქოლოგიურად – ანტიკულტურულითა და იდეოლოგიურად – ფსევდოკულტურულით, ეს ნათლად გამოთქვა იმპერიალიზმის ერთმა უდიდესმა ანალიტიკოსმა და კრიტიკოსმა ჯ.ა. ჰობსონმა თავის ეპოქალურ „იმპერიალიზმ“-ში: „რუსული ტირანია (დაპყრობილ ერთა მიმართ) დაფუძნებულია ისეთსავე ძალადობაზე და ყოველ შემთხვევაში უფრო ემტერება კულტურას, ვიდრე ეგვიპტის ხედივის მთავრობა“-ო. ჭეშმარიტად, როგორც არ შეიძლება ვიმსჯელოთ ვისმე კაცთმოყვარეობაზე იმის მიხედვით, თუ როგორ უყვარს მას საკუთარი თავი, ასევე არ შეიძლება კულტურის სიყვარული დადასტურდეს და იზომებოდეს მხოლოდ საკუთარი კულტურის სიყვარულით. აი ვისთან ჰქონდა საქმე თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მართლაც რომ „უბედურ“ საქართველოს და აი ვისთან „ძველი კულტურული(?) კავშირების“ აღდგენა-განმტკიცებას უქადაგებს სწორედ ამ „კავშირებით“ ისედაც ცნობა და ყოფაწარყვნილ დღევანდელ „ნასაბჭოვარ“ ქართველობას მისი „კულტურის მეტრფე“ მთავრობა: კულტურის მტერთა! მე უკვე რამდენჯერმე მოვიყვანე ჩვენი პრესის ფურცელზე ორი დიდი ქართველის მიერ 1918 წელს ნათქვამი სიტყვები, რომლებითაც მათ ისტორიული განაჩენი გამოუტანეს რუსეთის 117-წლიან ბატონობას, მისი „კულტურული კავშირებით“-ურთ, საქართველოში და რომლებსაც კვლავ შევახსენებ მკითხველს: ნიკო ნიკოლაძე – რუსეთმა „ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინელესმა მტარვალებმა ორი ათასი წლის განმავლობაში“; ივანე ჯავახიშვილი – „არასოდეს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელი ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით XIX საუკუნეში თავს დაატყდა“. ისტორიამ 1991 წლამდე, სხვა რუსეთი გარდა ცარისტულისა და ბოლშევიკურისა არ იცის, ხოლო რა იყო ჩვენთივს ან ერთი, ან მეორე, – ყველას, ზოგადად მაინც უნდა მოგვეხსენებოდეს, მათ შორის „თვით“ ჩვენს ხელისუფლებასაც კი. საინტერესოა, რა ან ვინ ნახა ამ უკანასკნელმა ახლანდელ „დემოკრატიულ რუსეთ“-ში ისეთი, რომ ამგვარ ისტორიულ მემკვიდრეობას ქართულ-რუსული „კავშირებისა“ ასეთი „თავგამოდებით“ უგულებელყოფს?

თვალწინ გვიძევს! მაგრამ, ეტყობა, ჩვენს „რეალისტ“, „პრაგმატიკოსს“, „რაციონალისტ“ და ა.შ. „ტიტულებიან“ ხელისუფლებას ამგვარ საქმეზე სჯა და ფიქრი განყენებულ „თეორეტიკოსობად“ მიაჩნია, ალბათ, იმიტომ, რომ ასეთ „თეორიებს“ მაინცდამაინც არ უდით „ნავთობის“ სუნი. ისე კი, რაც შეეხება ნავთობს, 1921 წელს, ვგონებ, სწორედ ნავთობსადენის ამბავმა შეიწირა ჩვენი მაშინდელი თავისუფლება, მაგრამ ეს გარკვეულწილად იმიტომ, სხვათა შორის, რომ „თეორია“-ში, ცოტა არ იყოს, „სოციალისტურად“ მოიკოჭლებდა ჩვენი იმდროინდელი მთავრობა (იხ. ამის შესახებ ზ. ავალიშვილის კლასიკური „საქართველოს დამოუკიდებლობა“). დღესაც იმავე „საბედისწერო“ ნავთობსადენზეა დიდი აურზაური ატეხილი და ღმერთმა ქნას, ახლა მაინც ეს საქმე ისე მოეწყოს, როგორც ჩვენ, ყველას გვსურს და გვენატრება, მაგრამ თუკი ამჯერადაც „თეორიებს“, სინამდვილეში კი ისტორიულ გამოცდილების დღესაც ცოცხალ (და მერე როგორ!) ფაქტებს ცხვირი ავუბზუეთ, ვშიშობ, ამ ჩვენი ხელისუფლების კარიერაც ნავთობსადენის მარშრუტით „ბათუმის პორტ“-ში არ დამთავრდეს (ეს, ასე ვთქვათ, მორალურ-სიმბოლურად, სინამდვილეში კი – იმ ძველის შესადარი რაიმე **ახლებური** მარცხი არ შეგვემთხვეს, რომელსაც, სულაც არაა აუცილებელი, მოჰყვეს „პარიზში ემიგრაცია“, პირიქით, შესაძლოა, ამან ხელისუფლების პოზიციები ერთგვარად „გაამაგროს“ კიდეც... ერთხანს, სანამ თვით ერი გამოფხიზლდებოდეს პოლიტიკური აპათიის ლეთარგიიდან).

ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ერთი რამ აშკარაა: რუსეთის გეოპოლიტიკური და, მაშასადამე, გეოკულტურული ინტერესებიც, თავისთავად აღებულნი, ე.ი. ოპონენტის გარეშე (ასეთი ოპონენტი კი, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ ჩვენი შესაბამისი ინტერესებით) არც და ვერც დაუშვებენ საქართველოს ნამდვილ ევროპეიზაციას, ე.ი. გეოკულტურულად და, მაშასადამე, გეოპოლიტიკურადაც ევროპულ ქვეყნად გადაქცევას, რითაც აიხსნება, სხვათა შორის, რუსეთის მთავრობის ესოდენი „ზრუნვა“-ც ჩვენს ქვეყნებს შორის „ძველი კულტურული კავშირების“ აღდგენასა და „შემდგომ“ გაღრმავება გამტკიცებაზე, რომლის წინააღმდეგ სიტყვის დაძვრაც ჩვენებურ „ინტელიგენციას“, კულტურის ასეთს „უმწიკვლო მეგობარს“, უთუოდ მოეჩვენება ნამდვილი „კულტურული ობსკურანტობის“ გამოვლინებად და მოსალოდნელია, თავის „კულტურულ ხმასა“-ც

("ინტელიგენტური" აღშფოთების სხვადასხვა „ობერტონით" მოვიბრირეს) იგი „აღიმაღლებს"... ზეცისაკენ (რადგან ეს „ინტელიგენცია" ამ ბოლო წლებში თანაც ძალიან „მორწმუნე"-ც გახდა – კიდევ ერთი ნიშანი მისი ჭეშმარიტი „ინტელიგენტური მაღალსულიერებისა"). ხოლო ვინმემ რომ იკითხოს, თუ რაში მდგომარეობს და გამოიხატება ეს ძველი „კულტურული კავშირები", ალბათ, გადაუშლიან კრებულს „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ" და დაანახვებენ, მისდავე სასირცხოდ, როგორ **უყვარდათ** რუს მწერლებს „**თავისი** (!) საქართველო". მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი: რუსეთი ძალიან ეჭვიანია, პირდაპირ „საეჭვოდ ეჭვიანი", თავის „ყოფილთა" მიმართ სწორედ მათი კულტურული ურთიერთობების საკითხში, რაც ჩემთვის, პირადად, სავსებით გასაგებია, ვითვალისწინებ რა მის პოლიტიკურ, უკეთ – „კულტურიმპერიალისტურ" (როგორც პოლიტიკურის კულტურულად საგარანტიო) ინტერესებს ამ „ყოფილთა"-დმი, რომელთა შორის, ცხადია, ჩვენც ვიგულისხმებით. ასე რომ, იმის იმედი, თითქოს რუსეთთან ჩვენი „მეგობრობა" (ისეთი, როგორიც თვით რუსეთს სურს – სხვაგვარს იგი ხომ არც ჩაგვითვლის „მეგობრობად" და მაშინ რა „მეგობრობა"-ზე შეიძლება, საერთოდ, ლაპარაკი? „სანახევრო"-ზე? „ის ჩემი მეგობარია, მაგრამ მე არ ვარ მისი მეგობარი" – ამას ხომ არ იტყვის იგიც, ჩვენებურ-ახლებურ ეთიკასა და ლოგიკას ნაზიარები!.. და ამიტომაც, ვიმეორებ, იმედი იმისა, თითქოს რუსეთთან ჩვენი „მეგობრობა" –) არაფერ ცუდს არ უქადის საქართველოს კულტურული „ორიენტაციას" ევროპაზე, მე სახიფათო ილუზიად მესახება, მეტად არასაიმედო (და უიმედო) იმედად (ჩემი ინტუიციური წარმოსახვით, ხელისუფლების ამ „იმედს", „უიმედო" რომ ვუწოდე თვალებში რაღაც სევდასა და განგაშს ვხედავ... რაა ეს: სევდით და განგაშით შეპყრობილი „იმედი"?). მართლაც, რას ნიშნავს ეს „ორიენტაცია"? – ქვეყნის ევროპეიზაციას კულტურის ყველა სფეროში, მათ შორის – ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ა.შ. სფეროებში. ხოლო საკითხავია, ეკონომიკურად, სოციალურად, სამართლებლივად და, რაც მთავარია, **პოლიტიკურად** ევროპეიზირებული და, ამგვარად, ევროპის, ვიტყვი კიდევ, გეოკულტურულად და, გეოპოლიტიკურად უკვე ორგანული ნაწილი საქართველო როგორღა იქნება რუსეთისთვის ის „განსაკუთრებული გავლენის" ობიექტი, რომელზეც იგი, რამდენიც უნდა აძლიოს მას

„დირექტივები“ ევროსაბჭომ, ხელი აიღე ასეთ პრეტენზიებზეო, ხელს არ აიღებს, თუკი ჩვენ, ჩვენივე „ინიციატივით“, ასეთ „ობიექტობა“-ზე უარს არ განვაცხადებთ, ყველაფრისათვის, რაც მოხდა და ხდება საქართველოში რუსეთის წყალობით (და იმისთვისაც, თუ რა არის მომავალში მისგან კიდევ მოსალოდნელი), ჯეროვანი ოფიციალური კვალიფიკაციის მიცემით. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას, მიმართულს რუსეთთან „თანამშრომლობა“-ზე, ვითომდაც ამ „თანამშრომლობის“ ბაზაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით, მივიჩნევ არარეალისტურად, არაპრაგმატულად, არარაციონალურად და ვამბობ, რომ ესაა რაღაც **უსასოო რწმენაზე**, რომელსაც **ერთი ფაქტიც** არ უმაგრებს ზურგს, **დამყარებული პოლიტიკა** და, როგორც ასეთი, პოლიტიკა არსებითად „მისტიკური“ და **რეაქციული**, რამდენადაც იგი პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის საერთო-კულტურული პროგრესის ძირეულ ინტერესთან, რომლის თავი-და-თავი, თავი – მიზეზიცა და თავი მიზანიც, საქართველოს ევროპეიზაციის ე.ი. მისი გეოკულტურულად და, მაშასადამე, გეოპოლიტიკურადაც ევროპის განუყოფელ ნაწილად ქცევის საქმეა. რუსეთი, თავისი საკუთარი ინტერესების ერთგული, ბუნებრივად გამოდის ქართველი ერისთვის ამ, როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნე, ჭეშმარიტად **სასიცოცხლო** საქმის **მტრად** და ამ ფაქტს რაც უფრო მალე შეიგნებს ჩვენი ხელისუფლება და პოლიტიკასაც ამ შეგნებით წარმართავს, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვისაც და, უნდა ვიფიქროთ, ამდენად მისთვისაც. და თუკი ეს ხელისუფლება მაინც იტყვის, რომ ურუსეთოდ საქართველო ვერც ტერიტორიულ მთლიანობას აღიდგენს და ვერც პოლიტიკურ სუვერენიტეტს განიმტკიცებს, სხვა რა ვთქვა საპასუხოდ, გარდა ამისა: **თუ მართალია ის, რასაც ხელისუფლება გვეუბნება, მაშინ საქართველოს საქმე სრულიად უიმედო ყოფილა და ისღა დაგვრჩენია, თუნდაც ეს განვაცხადოთ ყველას გასაგონად, მტრისაც და მოყვრისაც.** მაგრამ, ცხადია, არაფერი ამის მსგავსი არაა სინამდვილეში, გარდა „**სინამდვილის უმსგავსო პოლიტიკისა**“, რომელსაც ეწევა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ბუნებაში არარსებული რაღაც „დემოკრატიული და პროგრესული რუსეთის“ იმედით. ჭეშმარიტად, გზა ჯოჯოხეთისკენ ასეთი „იმედის“ ვარდებითაა მოფენილი!

ერთი ძალად „საჭირბოროტო“ საკითხის გამო

ამ ბოლო ხანს კვლავ გამოცოცხლდა დისკუსია სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ, თუ რომელი ამათგანი – **საპრეზიდენტო** თუ **საპარლამენტო** – უფრო შესაფერისია დღევანდელი საქართველოსთვის. დისკუსიაში, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, ჩართული არიან, უმთავრესად, პოლიტიკური პარტიები და, აგრეთვე, მათი „მიმდებარე“ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ხოლო თქმა იმისა, რომ ამ დისკუსიას „საერთო სახალხო“ რეზონანსი აქვს და რომ ჩვენებური „დემოკრატია“ („ხალხი“) დიდად იყოს დაინტერესებული პრეზიდენციალიზმისა და პარლამენტარიზმის ავკარგიანობის პრობლემით, აშკარა გადაჭარბება იქნებოდა. მე მგონია, ეს უთუოდ გასათვალისწინებელი გარემოება აიხსნება არა იმდენად იმით, რომ ხალხს არც ინტელექტუალური, არც მორალური თვალსაზრისით, რომ იტყვიან, „თავი“ არ აქვს ასეთ საგნებზე ფიქრისთვის, რამდენადაც „რიგითი“ ადამიანისთვის ესოდენ ნიშნეული იმ საღი აზრით, რომელიც ეუბნება მას, რომ ჭეშმარიტი სათავე არსებული სავალალო მდგომარეობისა ახლანდელი მმართველობის ფორმაში კი არაა, როგორც ასეთში, საძიებელი, არამედ სულ სხვა, უფრო „**მატერიალურ**“ რამეში, რის მოუგვარებლადაც ქვეყანას არაფერი ეშველება, თუნდაც ერთ მშვენიერ დღეს იგი გარდაიქმნას, როგორც ეს ზოგს ეოცნებება, საპარლამენტო რესპუბლიკად, სახელმწიფოს „დეკორატიული“ მეთაურის როლში — პარლამენტისვე არჩეული პრეზიდენტით. და მეც, ვაკვირდები რა ჩვენს სინამდვილეს, ბუნებრივად მებადება კითხვა: ნუთუ ვისმე სერიოზულად ჰგონია (ვგულისხმობ იმათ, ვისაც სერიოზულობა ასე თუ ისე მაინც მოეკითხება), რომ ის, რაც დღეს ხდება ჩვენგანვე გაუბედურებულ საქართველოში, რამენაირად მართლაც გამოსწორდება ქვეყანაში საპარლამენტო რეჟიმის დამყარებით? – პირიქით, გამოსწორდება კი არა, კიდევ უფრო „გამრუდდება“, რაში დასარწმუნებლადაც საკმარისია, ადამიანმა ცოტა დაძაბოს საკუთარი გონებრივი წარმოსახვის უნარი და წარმოიდგინოს ხელისუფლებისთვის მებრძოლი ჩვენებური „პარტიები“ პარლამენტარიზმის პირობებში: რა დღე დაადგება **მაშინ** საქართველოს. საერთოდ, უნდა ითქვას, ძალიან უყვართ დღევანდელ საქართველოში აქაურ პოლიტიკოსებს და მათ „თანამგზავრ“ მოპოლიტიკოსე „ინტელექტუალებს“ **იმპროვიზაცი-**

ები, სპეციფიკურად დამახასიათებელი ჩვენში საზოგადოდ გავრცელებული ინტელექტუალური უპასუხისმგებლობა და სიზარმაცისთვის, რის გამოც არაერთხელ მოგვტეხია კისერი, მაგრამ, ჩანს, არც მთლად „შთამბეჭდავად“, რადგან ჭკუა მაინც ვერა და ვერ ვისწავლეთ. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მივხედოთ, გვინდა — არ გვინდა, ამ ჩვენს სადღეისო ჰამლეტურ კითხვას: პრეზიდენციალიზმი თუ პარლამენტარიზმი? ხოლო, სანამ დასმულ კითხვაზე პასუხს უშუალოდ შევუდგებოდე, მსურს, ზოგიერთი მოსალოდნელი „გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად, გარკვევით მივუთითო, რომ მმართველობის ხსენებულ ფორმებს, **თავისთავად,** მე განვიხილავ როგორც **ალტერნატიულს,** რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს თავისი პლუსები და მინუსები აქვს და პრობლემაც ისაა, რომ გულდასმით და ჭკვადამჯდარად ავწონ-დავწონოთ (საერთოდ, და არა, ცხადია, ასეთი პატარა წერილის ფარგლებში) ავ-კარგი ერთისაც და მეორისაც, ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობის გათვალისწინებით, რათა ამის შემდეგ გამოვიტანოთ ჩვენი „ვერდიქტი“ ან ერთის, ან მეორის სასარგებლოდ. კერძოდ, რაც შემეხება მე, პირადად, ყოველთვის მხარს ვუჭერდი საპრეზიდენტო დემოკრატიის მოდელს და, აი, რა მოსაზრებით. დავიწყებ საკითხის პრინციპული (ასე ვთქვათ, „წმინდა თეორიული“) ასპექტით, რომლის კონტექსტშიც, ვიტყვი წინასწარ, პრეზიდენციალისტური სისტემა თითქმის შეუვალად მეჩვენება კრიტიკისთვის.

პოლიტიკური თავისუფლების **პრობლემას** (აქ სწორედ მასზე არის, არსებითად საუბარი), როგორც მკითხველს, ალბათ, თავადაც მოეხსენება, ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის სათავეებსაც შეიძლება თვალი მივადევნოთ ანტიკურ საბერძნეთამდე და რომამდე, სადაც (ჯერ საბერძნეთში, შემდეგ – მის „მემკვიდრე“ რომში) პირველად დაიწყეს **ფიქრი** ადამიანის თავისუფლების, უკეთ, მისი (თავისუფლების) უფლების, უზრუნველმყოფ პოლიტიკურ-სამართლებლივ პრინციპებსა და მექანიზმებზე. უკვე მაშინ ესმოდათ, რომ იმისთვის, რათა ხელისუფლება, როგორც ასეთი, იყოს **უსაფრთხო** საზოგადოების თავისუფლებისთვის და ამავე დროს შეიქმნას ქმედით **ინსტრუმენტად** თავისუფლების (მისი უფლების) დასაცავად შინა თუ გარე ხელყოფისგან, საჭიროა თვითონ **ხელისუფლების** სათანადო ორგანიზება ამ მისი ძირითადი დანიშნულებისამებრ. ასე დაიბადა აზრი, თავდაპირველად,

ცხადია, ოდენ ჩანასახობრივი, ხელისუფლების გაყოფა-გაწონასწორების შესახებ. შემდგომ ამ იდეამ, კარგა ხნით წაძინებულმა, განახლებული ძალით იწყო აღორძინება გვიან შუა საუკუნეებში, გადავიდა, რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქებზე გავლით, ახალ დროში და, ბოლოს XVII საუკუნის ინგლისში, უმთავრესად ჯონ ლოკის წყალობით, მიიღო ის სახე, რომელიც მოგვიანებით (XVIII საუკუნეში) საფუძვლად დაედო მონტესკიეს მოძღვრებას ხელისუფლებათა – ურთიერთგამიჯვნისა და ურთიერთგაწონასწორების (resp. –შეკავების) შესახებ. და ამ დროიდან მოყოლებული, ხელისუფლების სწორედ ეს მონტესკიესეული მოდელი იგულისხმება, ჩვეულებრივ, როდესაც საუბარია ხოლმე ხელისუფლების გაყოფა- გაწონასწორების პრინციპზე. დედააზრი კი (პრინციპი) ამ მოდელისა ისაა, რომ ხელისუფლების სამი შტო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ან, უფრო ზუსტად, ერთმანეთისადმი დაუქვემდებარებელი უნდა იყოს და, მაშასადამე, არცერთი მათგანი უფლებრივად არ უნდა ფარავდეს დანარჩენს. ასე ჩამოყალიბდა ხელისუფლების ის უმაღლესი ტრიადა, ერთარსება და სამგვამოვანი, რომელიც, მართლაც ძალიან მაგონებს თეოლოგიურს: საკანონმდებლო – მამა, აღმასრულებელი – ძე, სასამართლო – სული წმიდა.

ჩემი მთავარი, **პრინციპული** არგუმენტი საპრეზიდენტო დემოკრატიის სასარგებლოდ, საპირისპიროდ საპარლამენტოსი, სწორედ ის არის, რომ ხელისუფლებათა გაყოფა-ურთიერთშეკავშირების (-გაწონასწორების) პრინციპი სწორედ საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაშია დაცული, მაშინ როდესაც საპარლამენტო სისტემა ამ პრინციპს, სახელდობრ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ურთიერთმიმართების საკითხში **არ** იცავს: პარლამენტარიზმის პირობებში ადმინისტრაცია (აღმასრულებელი ხელისუფლება) არაა ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, იგი მხოლოდღა განშტოებაა იმავე საკანონმდებლო ხელისუფლების, რომელიც ამდენად გამოდის კიდეც ერთდროულად კანონმდებლისა და ქვეყნის მმართველის ორმაგ როლში. საქმე ისაა, რომ პარლამენტარისტულ სახელმწიფოში ადმინისტრაცია (მთავრობა) კომპლექტდება საპარლამენტო უმრავლესობიდან, იგი **დელეგაციაა** პარლამენტისა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომელსაც, როგორც წესი, შეადგენენ ამიტომაც იგივე **პარლამენტარი** მინისტრები. ამგვარად, საპარლამენტო

რეჟიმი იმით ხასიათდება ნიშანდობლივ, პარლამენტი არა მარტო კანონმდებლობს, არამედ თან **მართავს** სახელმწიფოს თავისი რიგებიდან, თავისივე წევრების სახით, გამოყოფილი სამთავრობო „კომისიის“ მეშვეობით, ანუ არსებითად აერთებს თავის თავში როგორც საკანონმდებლო, ასევე სამთავრობო (ადმინისტრაციულ) ფუნქციებს. და ამიტომაცაა, სხვათა შორის, რომ საპარლამენტო სისტემაში ხალხს („სუვერენს“!) ადმინისტრაციის ფორმირების საქმეში „ხმა“ უკვე აღარ აქვს, რაკიღა მთავრობას, როგორც ითქვა, თვითონ პარლამენტი აყალიბებს თავისივე, საკუთარი უმრავლესობის, წიაღში.

შენიშვნა. მართალია, საპარლამენტო სისტემაში არსებობს ერთგვარი „მაკომპენსირებელი მექანიზმი“ ხელისუფლებათა, საკანონმდებლოსი და აღმასრულებელის, **თვითშეკავებისა** თითოეულის **შიგნით**, როგორიცაა, საკანონმდებლოს განზომილებით – მაწონასწორებელი „ძაბვა“ ქვედა და ზედა პალატებს შორის და აღმასრულებლის განზომილებით – მთავრობასა და მის ოპოზიციურ ე.წ. „ჩრდილოვან კაბინეტს“ შორის, მაგრამ მე წინამდებარე წერილში ამაზე კი არ მაქვს საუბარი, არამედ თვითონ **პრინციპზე** ხელისუფლებათა იმ **ურთიერთ**-დამოკიდებულების, რომელიც გულისხმობს, შესაბამისად, მათს **ურთიერთ**-შემაკავებელ მიმართებებს ურთიერთ-**შორის**, რასაც ჩემს თვალში პრინციპულად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებათა **ურთიერთ**-გაწონასწორების თვალსაზრისით, აღარას ვლაპარაკობ რა იმაზე, თუ რა **პერსპექტივა** შეიძლება ჰქონდეს ზემოხსენებულ ავტონომიურ გარანტიებს **ჩვენს** სინამდვილეში.

მახსოვს, ყურს არ დავუჯერე, როდესაც ერთ თავყრილობაზე, სადაც ეს საკითხი განიხილებოდა, მოვისმინე, პარლამენტარიზმი უფრო **დემოკრატიულიაო.** ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომაა ის სისტემა, სადაც ადმინისტრაციის შექმნაში ელექტორატი (ხალხი) უშუალო მონაწილეობას არ იღებს, „უფრო დემოკრატიული“ (ან, გნებავთ, უფრო „კოლექტივისტური“, რადგან ვეჭვობ, ამის მთქმელს მისი სწორედ **კოლექტივისტური** ცნობიერება ალაპარაკებდა...), ვიდრე სისტემა, სადაც ხალხი (ელექტორატი) ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც თვითონ ირჩევს თავის წარმომადგენლებს და სამთავრობოშიც (აქ – ადმინისტრაციის მეთაურის სახით), როგორიცაა კიდეც **საპრეზიდენტო** დემოკრატია.

ხოლო გარდა ამ „დოგმატური“ (ვგულისხმობ, ხელისუფლებათა გაყოფის პრინციპს) და დემოკრატიული უპირატესობისა, პრეზიდენციალიზმს, აქედან გამომდინარე, ის უპირატესობაც აქვს, რომ იგი პოლიტიკურად უფრო **სტაბილურიცაა.** და ეს იმიტომ, რომ ამ სისტემაში არც პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი, და არც პარლამენტს – პრეზიდენტის გადაყენების ე.წ. პოლიტიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე (ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შეიძლება დადგეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, ესაა ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულში). ხოლო, რაც შეეხება, ამ თვალთაზრისით, პარლამენტარიზმს, არ შეიძლება ადამიანს, მის წარმომსახველს ჩვენს პირობებში, არ წარმოუდგეს „მთავრობათა კონვეიერის“ ის სურათი, რომელიც ერთ დროს დამახასიათებელი იყო პოლიტიკური კულტურით ჩვენზე გაცილებით მაღლა მდგომი იტალიისა და საფრანგეთისთვის (ცხადია, ვავლებ ასეთ პარალელს მხოლოდ „ოპტიმისტებისთვის“). შეგვიძლია, დარწმუნებულები ვიყოთ, რომ, თუ საქართველოში, როგორიცაა იგი დღეს, შემოღებულ იქნება საპარლამენტო მმართველობა, ჩვენ შევიქმნებით მუდმივი სამთავრობო კრიზისის მოწმენი. და, რომ ეს ასე იქნება, სრულებითაც არაა საჭირო მომავლის „განჭვრეტა“, საკმარისია, გავიხსენოთ ის, რაც **ახლა** ხდება ჩვენს პარლამენტში: გამუდმებული ლაპარაკი პრეზიდენტის გადაყენების („იმპიჩმენტის“) თუ ნებაყოფლობითი გადადგომის შესახებ, – გამომხატველი **ანარქიატული** უგულებელყოფისა მოქმედი კონსტიტუციის, თითქოს ის არც არსებობდეს. თანაც დააკვირდით **ვინ** აქტიურობს ამ საქმეში ყველაზე მეტს? – ადამიანები, დაჯგუფებები, რომლებსაც წესიერ ქვეყანაში არც გააკარებდნენ პარლამენტს. ან, იქნებ, ჰგონია ვისმე, რომ, თუ საქართველო შეიქმნება საპარლამენტო რესპუბლიკად, მისი პარლამენტი თვალის დახამხამებაში მოგვევლინება „მამულიშვილთა საკრებულოდ“? – ვაი, რომ, რაც ამჟამადაა, იმის უარესს უნდა მოველოდეთ: როგორც კი დაინახავენ, რომ მთელი ძალაუფლება თავს იყრის პარლამენტში, მთელი პოლიტიკური „ანთროპოფაუნა“, დღეს ასე თუ ისე „განშტოებული“, ერთიანად მოაწყდება პარლამენტს და, ნუ მოვიტყუებთ თავს, კიდევაც დაისადგურებს იქ.

შემდეგ. როდესაც უთითებენ ხოლმე, ერთგვარი დაჟინებით, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების უზურპა-

ციის საშიშროებაზე, რატომღაც ავიწყდებათ, რომ პარლამენტიც შეიძლება შეიქმნას ბუდედ ასეთივე უზურპაციის, ან ადგილად ისეთი ბრძოლისა ხელისუფლებისთვის, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას განუკითხაობის სათარეშოდ ხდის. საზოგადოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ე.წ. **შეკავებას** ხელისუფლების ორივე შტო მოითხოვს, საკანონმდებლოც და აღმასრულებელიც, რისთვისაც საჭიროა კიდეც, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი იყოს, რადგან მხოლოდ ასე შეძლებენ ისინი, შემაკავებელი ზეგავლენა იქონიონ ერთმანეთზე. რა თქმა უნდა, ამ საქმეში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება **სასამართლოს,** რომელსაც სწორედ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა გამიჯნულობისა და კონკურენციის პირობებში შეეძლება, უფრო ეფექტიანად იმოქმედოს.

ასევე, რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების საკუთრივ **პოლიტიკურ კურსს,** ამ შემთხვევაშიც პარლამენტი სრულებითაც არაა განიარაღებული საპრეზიდენტო რესპუბლიკაში (აქაოდა ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა), რადგან მას შეუძლია, თავისი **საკანონმდებლო პოლიტიკით** კონტროლქვეშ იყოლიოს ადმინისტრაცია და, თუ წარმმართველი არა, ყოველ შემთხვევაში შემაკავებელი ზემოქმედება ჰქონდეს მასზე. მოკლედ, მთავარია, **თვითონ პარლამენტი** იდგეს თავის მოწოდების სიმაღლეზე, და მაშინ მისი უფლების ვერც უზურპაციას, ვერც იგნორირებას ვერ შეძლებს ვერავინ.

ვაკვირდები რა ამ მხრივ დღევანდელ პარლამენტს, მე სხვა დასკვნის გამოტანა არ შემიძლია: ის, რომ იგი გადაქცეულია ერთსა და იმავე დროს ვითომც „პოლიტიკური“ ბრძოლის შოუ-არენად და თან მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივათა (თუ ინსტრუქციათა) სარეგისტრაციო ბიუროდ, – ამის ნამდვილი მიზეზი გარეთ კი არაა საძიებელი, ვთქვათ, პრეზიდენტის კანცელარიაში, არამედ თვითონ ამ პარლამენტში, მის შიგნით. შეიძლება მითხრას ვინმემ, პარლამენტში პრეზიდენტის უმრავლესობაა გაბატონებულიო, რაზეც ვუპასუხებ: საპარლამენტო რესპუბლიკაში (ვგულისხმობ, ცხადია „ჩვენებურს“) რა სასწაული უნდა მოხდეს, რომ პარლამენტი გადაიქცეს სახელმწიფო შემოქმედების კერად და მაშინაც არ გაბატონდეს იქ, როგორც ახლაა, ბავშვივით, ცოტა არ იყოს, ურჩი, მაგრამ მაინც თავისი „ქარიზმატული“ ლიდერისა და „მისი“ პარტიის მორჩილი უმრავლესობა? ყოველ შემ-

თხვევაში, მე ასე მგონია, სჯობს, არსებობდეს ერთგვარი Luft-ი (სასუნთქე არე) ერთმანეთისგან გამიჯნულ პარლამენტსა და ადმინისტრაციას შორის, ვიდრე შეიქმნას ის საპარლამენტო „ჩახუთულობა“ ერთმანეთში, რომელიც, ვშიშობ, შემყურე ჩვენებურ „პარტიულ“ ზნეთა, არ გადაიზარდოს ნამდვილ „პოლიტიკური პრომისკუიტეტის ორგია“-ში.

და, რაკილა „პარტიები“ ვახსენე, მსურს, აქვე კიდევ ერთ საკითხს შევეხო. პარლამენტარიზმის დამცველთაგან მსმენია, თითქოს ჯანსაღი პარტიული სპექტრის შექმნას საპარლამენტო სისტემა უფრო შეუწყობდა ხელს. რატომ? ჩემი აზრით, საპრეზიდენტო ამ მხრივაც უფრო ეფექტიანი უნდა იყოს, რადგან მის პირობებში პარტიებს მიეცემათ საშუალება, იბრძოლონ როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებში, რაც – ეს აქტივობა ორ ფრონტზე (პარლამენტარის „სავარძლის“-თვისაც და პრეზიდენტის „გვირგვინის“-თვისაც) – უფრო გამომაცოცხლებელი და გამომაჯანსაღებელიც უნდა იყოს ამ „სპექტრისა“-თვის. საპირისპიროდ გავრცელებული შეხედულებისა, რომ სწორედ საპრეზიდენტო სისტემაა დამნაშავე პარტიული სპექტრის არარსებობაში, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე თვით ეს ოპოზიციური პარტიები არიან (ჩვეულებრივ, ესენი იგულისხმებიან ხოლმე „სისტემის მსხვერპლად“), რომელთაც ეკუთვნით, სხვათა შორის, „საპატენტო“ პატივი (თუ მართალი არაა მოარული ხმა, გააბრიყვესო, მაგრამ „ბრიყვი პარტია“ რაღაა?) ჯერ 5%-იანი, მერე 7%-იანი ბარიერის შემოღებისა ჩვენს საარჩევნო კანონში (ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ დღეს „ჩაგრულ“ პარტიულ წრეებში ტრიეალებდა აზრი პარტიული სპექტრის, ჩანს, კიდევ უფრო „გამაჯანსაღებელი“ 10%-იანი ბარიერისაც!). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი პარტიული სისტემის განუვითარებლობასა და იმისაც, რაც იყო, მოშლაში თანაბარი „დამსახურება“ მიუძღვის ხელისუფლებას და **მის** „ოპოზიციურ“ პარტიებს, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თვალნათლივ, თუ რა მდგომარეობაშია, თავისთავად, ჩვენი პოლიტიკური კულტურა, რომელმაც დაბადა კიდევაც ის, რასაც ახლა ვუჩივით და რის მიზეზსაც ზოგიერთი მაინცდამაინც საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაში ხედავს. თუ ვისმე მართლა ჰგონია, რომ პარლამენტარიზმის პირობებში, როდესაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ერთ ჭერქვეშ მოიყრიან თავს, მორალურ-პოლიტიკური ატმოსფე-

რო უფრო ჯანსაღი შეიქმნება და ეს პარტიები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას ააღორძინებენ, – ამის მოიმედე, უკეთეს შემთხვევაში, „დიდი ილუზიების“ ტყვეობაში ყოფილა, თუმცა მე, თავად მიმაჩნია, რომ ამ „ახალი კურსის“ ძიება სულ სხვა სულისა და სუნის მქონე ჯგუფურ-„პარტიული“ (და, რა თქმა უნდა, პირადი) ინტერესებით უნდა იყოს ნაკარნახევი, რომლებსაც საქვეყნო ინტერესთან საერთო არაფერი აქვს, რაზეც აქ სიტყვას არ გავაგრძელებ: გამგები ისედაც გაიგებს. რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომელთაც, მხედველთ ჩვენს ცხოვრებაში გაბატონებული განუკითხაობისა, გულწრფელად ეშინიათ, არ მოხდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების უზურპაცია, რაც ქვეყანას, ეს რომ მოხდეს, მართლაც უფსკრულის პირას მიიყვანდა. მაგრამ გზა ამ უფსკრულისკენ მარტო „დიქტატურა“-ზე არ გადის, რომლის შესაძლებლობას საქართველოში, ესეც უნდა ითქვას, მე სრულიად გამოვრიცხავ (ამას არც, ნუ გაიკვირვებთ, ხალხი დაუშვებს და არც ჩვენი საიმედო „სხვა“...), – უფსკრულამდე ქვეყანა **ანარქიასაც** მიჰყავს, თანაც, რამდენადაც ვიცი, უფრო „პირდაპირ“. საფრთხე, რომელიც ჩვენ გვემუქრება, ვისიმე „დიქტატურა“ კი არაა (საქართველოში, ვიმეორებ, უშანსო და უპერსპექტივო), არამედ ანარქია, რომლის მოწმენიც უკვე ვართ: ის განუკითხაობა, რომელსაც ვხედავთ ჩვენს სნამდვილეში და რაშიც დამნაშავე **მთელი** ხელისუფლებაა და არა მარტო აღმასრულებელი (გავითვალისწინოთ ესეც), სწორედ ანარქიისთვისაა დამახასიათებელი. და, თუ ეს ასეა, მისგან განმკურნებელ წამლად საპარლამენტო მმართველობა აშკარად არ გამოდგება, რადგან პარლამენტარიზმი, მისთვის დამახასიათებელი „სიმბიოზით“ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა, ასეთს ვითარებაში, უფრო მოსალოდნელია, შემდგომი ანარქიზაციის კერად იქცეს. ხოლო, თუ რას მოასწავებს ეს ჩვენისთანა გეოპოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნისთვის, – ვფიქრობ, დიდ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ასეა თუ ისე, ამ ჩვენს ცხოვრებაში მოპარპაშე ანარქიის, რომლის პირობებში ჩვენებური „ისტებლიშმენტი“ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, – აი ამ, მე ასე ვიტყოდი, ინსტიტუციონალიზებული ანარქიის დასაძლევად და, ბოლოს და ბოლოს, თავიდან მოსაშორებლად ერთ, თავისთავად – სულაც არ საკმარის, მაგრამ აუცილებელ ღონისძიებად მიმაჩნია საპრეზიდენტო მმართველობის არა გაუქმება,

არამედ მისი სამართლებლივი მოწესრიგება, კანონის ხისტ საზღვრებში პრაქტიკულად ჩაყენება და მით – **გაძლიერებაც**. მაგრამ ეს, ცხადია, სრულებითაც არაა, როგორც ახლახან შევნიშნე, საკმარისი, რადგან ასევე „მოსარჯულებელია“ ჩვენი პარლამენტიც და სასამართლოც, რადგან კორუფცია გამჯდარია ხელისუფლების **მთელ ტანში**, რომლის ოდენ განშტოებანი არიან პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო. ამიტომაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ამ სამიდან თუნდაც ორი ავდმყოფის ერთ „პალატა“-ში მოთავსება, გაცილებით ჯობს, თითოეულ ავადმყოფს, ჰიგიენისა და სანიტარიის წესების დაცვით, მის საკუთარ „პალატა“-ში ვუმკურნალოთ.

პრეზიდენციალიზმის კრიტიკოსები ჩვეულებრივ დიდ ყურადღებას უთმობენ იმ უფლებებს, რომლითაც აღჭურვილია პრეზიდენტი (და რის გამოც ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ დროს უწოდებნენ კიდეც „საპრეზიდენტო მონარქიას“), დამვიწყებელნი იმ უდიდესი **პასუხისმგებლობის**, რომელიც აწევს მას, **პირადად**, მის მიერ ესოდენ „სუვერენულად“ (და სწორედ ამიტომაც) წარმოებული პოლიტიკისთვის. ეს მორალურ-პერსონალური ასპექტი, ინსტიტუციონალურად გაფორმებული პრეზიდენციალურ სისტემაში (აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციური **ორგანო** ხომ პრეზიდენტია), მე ამ სისტემის კიდევ ერთ პრინციპული მნიშვნელობის მქონე უპირატესობად მიმაჩნია, რომელზეც აქ, სამწუხაროდ, ვრცლად ვერ ვილაპარაკებ, თუმცა სათქმელი ამ საინტერესო თემაზე ძალიან ბევრია. შევნიშნავ მხოლოდ, რომ პრეზიდენციალური სისტემა იძლევა ოპტიმალურ შეთანხმებას კოლექტიურ (პარლამენტი) და პერსონალურ (პრეზიდენტი) საწყისთა, რისიც ღრმა მნიშვნელობის, როგორც ზოგადკულტურული, ასევე საკუთრივ პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენგან შეუფასებლობა, მეტი რომ არ ვთქვა, „მთლად გონივრული“ არ იქნებოდა. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მამა-დამფუძნებლები ქმნიდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტს, ისინი ხელმძღვანელობდნენ იმ მაღალი მორალური შეგნებით, რომ ქვეყანას უნდა მართავდეს თვითონ ერის მიერ **პერსონალურად** ხელდებული „ერის რჩეული“ და არა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული **პარტიის** ლიდერი. კარგად დავუფიქრდეთ ამასაც, რადგან აქ საუბარია, არც მეტი — არც ნაკლები, **პრეზიდენტის**

ინსტიტუტზე, რომელიც ერისგან **მოითხოვს** სწორედ ასეთს არჩევანს.

პრეზიდენციალური სისტემა ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ხელისუფლების სამივე შტოს ქმედუნარიანობას და, მათ შორის, იმ სიძლიერესაც, სტაბილურობასთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენისთანა ქვეყნისთვის, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით ძალიან შორსაა შვეიცარიისებური „საკურორტო“ პოლიტიკური გარემოცვისგან. დღევანდელ საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება დინამიკური და ოპერატიული ადმინისტრაცია, რომელიც არ იქნება ყოველ წუთს დამოკიდებული პარლამენტზე და მის სიტუაციურ „განწყობებ“-ზე, რომელთა შემბოჭველ ზემოქმედებას და, აგრეთვე, იმ სპეციფიკურ „უხერხულობასა“-ც, რომელიც ახლდა მის „რანგს“, ვთქვათ, ამერიკის პრეზიდენტთან ურთიერთობაში, გრძნობდა თვით ისეთი ექსტრაორდინალური პიროვნებაც კი, როგორიც უინსტონ ჩერჩილი იყო. მეც, ამიტომ, იმის მომხრე ვარ, რომ ქვეყნის პოლიტიკას განაგებდეს სახელმწიფოს მეთაური და რომ, თავის მხრივ, სახელმწიფოს მეთაური უბრალო „სიმბოლო“ კი არ იყოს, ერთგვარი „დეკორატიული“ ერთეული, არამედ პირადად პასუხისმგებელი, რამეთუ უფლებამოსილი, ხელმძღვანელი სახელმწიფო პოლიტიკის. და, ვამბობ რა ამას, მხედველობაში მაქვს უმთავრესად ის, ვიმეორებ, **გარემოცვა**, რომელშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა, მსაჭიროებელი მაქსიმალურად ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების, სტაბილურისა და დინამიკურის, როგორიც იგი აშკარად ვერ იქნება პარლამენტის „დელეგატის“ ხელში. საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებსაც ჩვენისთანა ქვეყნისთვის „ზომაზე მეტი“ მნიშვნელობა აქვს, უცხო სახელმწიფოს პრეზიდენტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი კი არ უნდა ელაპარაკებოდეს, არამედ მისივე რანგის – **პრეზიდენტი** საქართველოსი. ხოლო, რაც შეეხება ქვეყნის **საშინაო** მდგომარეობას, იმავე საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, აქაც ასევე აუცილებელია ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, პირველ ყოვლის, საღი **რეგიონალური** პოლიტიკის წარმოებისთვის ერთიანი, განუყოფელი საქართველოს ფარგლებში. ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ ძლიერია გვიანფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელი ის ანარქისტული პარტიკულარიზმი, რომელშიც, მა-

ვანთაგან განსხვავებით, ვერაფერს **საპროგრესოს** ვერ ვხედავ და ამდენად, არც არაფერს **საკომპრომისოსაც**.

შენიშვნა. არგუმენტი, რომ ჩვენს სინამდვილეში სამომავლოდ არ ჩანს „საპრეზიდენტო კაცი“ და რომ შეიძლება ამ თანამდებობაზე აღმოჩნდეს ვინმე უღირსი, – თავისთავად, რასაკვირველია, არაა დამაჯერებლობას მოკლებული, მაგრამ ანალოგიურ არგუმენტს განა არ ექნებოდა ძალა პარლამენტარიზმის პირობებში: არსებობს კი ამ ჩვენს პრაქტიკულად არარსებულ (როგორც ირწმუნებიან, სხვათა შორის, თვით ეს პარლამენტარიზმის ქომაგნი...) პარტიულ სპექტრში პარტია, მოწოდებული ქვეყნის მმართველობისთვის, და რა გარანტია გვაქვს იმისაც, რომ ელექტორატი ამჯერად არ გააკეთებს, ასევე, „უარესის არჩევანს“? ასეთს საქმეებში მარჩიელობა, საერთოდ სახიფათო რამაა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ალბათობა, მოიძებნოს ქვეყანაში საპრეზიდენტოდ ვარგისი (ჩვენს კვალობაზე) ინდივიდუუმი, არანაკლები უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე შესაძლებლობა იმისა, რომ გამოინახოს საქართველოში დღეს მოქმედ (და ჩვენთვის კარგად ნაცნობ) პარტიათა შორის ნამდვილი სამთავრობო პარტია.

ასეა თუ ისე, მე ვერ გავიზიარებ (ვამბობ ამას არა მარტო ზემოხსენებულ არგუმენტთან დაკავშირებით) ვერც იმ **კაპიტულანტურ პესიმიზმს**, როდესაც **პრეზიდენციალიზმზეა** საუბარი, და ვერც იმ **ავანტურისტულ ოპტიმიზმს**, როდესაც **პარლამენტარიზმზეა** საუბარი, რომლებიც დამახასიათებლად მეჩვენებიან, საზოგადოდ, ამ ჩვენ ანტიპრეზიდენციალისტ-პროპარლამენტართა პოზიციისთვის.

ასეთია ჩემი შეხედულება საპრეზიდენტო მმართველობაზე, ცხადია, აქ არასრულად წარმოდგენილი. ამ თემაზე კიდევ ბევრი რისამე თქმა შეიძლებოდა (კერძოდ, მთლიანად გვერდი ავუარე პრობლემის ერთ დიდმნიშვნელოვან **ზოგადკულტურულ** ასპექტს, რომელზეც საუბარი შორს წაგვიყვანდა), მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამი ზოგად წარმოდგენას მაინც შეუქმნის მკითხველს ჩემს პოზიციაზე ამ საკითხში. რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო დემოკრატიას გარკვეული სიძნელეები ახლავს, მაგრამ სიძნელეებს, საერთოდ, არც ერთი სისტემა, მათ შორის, არც პარლამენტარიზმი არაა მოკლებული. ყოველ შემთხვევაში, ეს სიძნელეები სრულები-

თაც არაა გადაულახავი, როგორიცაა, ვთქვათ, შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტს თანამშრომლობა მოუხდეს ოპოზიციურ პარლამენტთან, რაშიც, სახელდობრ, მე დიდ საშიშროებას ვერ ვხედავ, რადგან, ჯერ ერთი, არ მგონია, რამდენადაც ვიცნობ ჩვენებური ელექტორატის ფსიქოლოგიას, მან პარლამენტში მოიყვანოს ის ძალები, რომლებიც დაუპირისპირდებიან მის მიერვე არჩეულ პრეზიდენტს, და, მეორეც, საპრეზიდენტო მმართველობას მოწინავე ქვეყნებში საკმაოდ აქვს დაგროვილი გამოცდილება ამგვარ საქმეებში და ჩვენც შეგვიძლია, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, ვისარგებლოთ კიდევაც ამით. ასე რომ, ეს და სხვა სიძნელეები, რომლებიც დამახასიათებელია საპრეზიდენტო მმართველობისთვის, არ მიმაჩნია მის სისუსტედ, რომელიც გვაიძულებდა, პარლამენტარიზმში გვეძებნა გამოსავალი. ნათქვამია, კარგი ძნელიაო, და პრეზიდენციალიზმის სიძნელეც მე ასეთად მიმაჩნია. სიძნელე ყოველთვის როდია ნაკლის მაუწყებელი, არაიშვიათად იგი ღირსების ნიშანია.

საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა?

„ფედერალიზმი — ეს არის ნაძალადევი
კონცეფციის კლასიკური მაგალითი...
ფედერალიზმი ეს არის ერთ-ერთი
არსებითად სადაო კონცეფცია“.
ოქსფორდის პოლიტიკური ლექსიკონი

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ქვეყნის სამთავრობო წრეებში განახლებული ენერგიით იწყეს საუბარი საქართველოს **ფედერალიზაციაზე** ე.წ. ასიმეტრიული ფედერალიზმის მოდელით. ამ იდეის მომხრეები, ჩვენი ადგილობრივი „ფედერალისტები“ (ქვემოთ მათ ასე მოვიხსენიებთ, ბრჭყალებში, რადგან საკმარისი საფუძველი გვაქვს შეეჭვებისთვის მათს ჯეროვან კომპეტენტურობაში), ცდილობენ, დააჯერონ საზოგადოება, თითქოს ამ გზით შესაძლებელი შეიქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ბევრნი ამათგან თავის „ფედერალისტურ ენთუზიაზმში“ უფრო შორს მიდიან და იმასაც ამტკიცებენ, რომ ფედერაცია, თავისთავად, საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის ოპტიმალური ფორმაა, რადგან იგი ვითომც უკეთ უპასუხებს ლიბერალური დემოკრატიის მოთხოვნებს, რის მაგალითადაც მოჰყავთ აშშ, გერმანია, შვეიცარია..., რატომღაც ავიწყდებათ რა ისეთი **უნიტარული** სახელმწიფოები, როგორიც არიან მრავალთა შორის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, სკანდინავიური სახელმწიფოები...) ინგლისი და ჰოლანდია, – ქვეყნები, სადაც დაირწა თანამედროვე ლიბერალური ცივილიზაციის აკვანი და რომლებიც დღესაც რჩებიან ლიბერალიზმის კლასიკურ ქვეყნებად მთელ დემოკრატიულ მსოფლიოში.

სამწუხაროდ, ქართველ საზოგადოებაში ძალიან ბუნდოვანი, მეტი რომ არ ვთქვათ, წარმოდგენა არსებობს **ფედერალიზმისა** და **უნიტარიზმის** რაობაზე. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი პოზიციის უკეთ ნათელსაყოფად, შეძლებისდაგვარად მოკლედ განვმარტოთ, რა იგულისხმება სინამდვილეში მათ სახელქვეშ.

ფედერაციულია სახელმწიფო, რომელსაც **აფუძნებენ** და **შეადგენენ** ცალკეული **სახელმწიფოები** („სახელმწიფოებრივი წარმო-

ნაქმნები“, ასეც იტყვიან ხოლმე), რის გამოც იწოდებიან კიდეც ეს უკანასკნელნი **ფედერაციის სუბიექტებად**, სათანადოდ უზრუნველყოფილნი, თითოეული ამათგან, საკუთარი **კონსტიტუციითა** და შესაბამისი ინსტიტუტებით: **საკანონმდებლო ორგანოთი** (პარლამენტი), **აღმასრულებელი ხელისუფლებით** (მთავრობა) და **სასამართლოთი**. ფედერაციის ეს რაობა უშუალოდაა გამოხატული პირველი ფედერაციული სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული **შტატების** (state – სახელმწიფო) თვით ამ სახელში (ზოგიერთი „ფედერალისტი“ ალბათ შემოგვედავება აშშ-ის აღნიშნულ „პირველობაზე“, რადგან, მათი მტკიცებით, ქართული სახელმწიფო თურმე ყოველთვის ყოფილა ფედერაციული). ზემონათქვამიდან გასაგები უნდა იყოს, რომ ფედერაციის შექმნისას „მოქმედ პირებად“ გვევლინებიან მომავალი მოკავშირე სახელმწიფოები (ფედერაციის სუბიექტები), რომლებიც საზღვრავენ, სახელმწიფო სუვერენიტეტის რა ნაწილი უნდა გადაეცეს ფედერალურ (ცენტრალურ) ხელისუფლებას და რა დაიტოვონ თავისთვის (ამიტომაც ითქმის, რომ ფედერაციულ სისტემაში **ნაწილები** წინ უსწრებენ თავის „საერთო ეროვნულ“ მთელს, საპირისპიროდ, როგორც ვნახავთ, **უნიტარული** სისტემის, სადაც ეს **მთელი** პირველადია). ფედერაცია არის პოლიტიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძაბვა ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ძალებს შორის და რომლის არსებობაც, ამიტომ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძალუძს მას, დაიცვას ამ ძალთა ბალანსი. ხოლო აქედან, ადვილად მისახვედრია, – აუცილებლობაც **დაწერილი კონსტიტუციის**, რომლის გარეშეც ფედერაციული სახელმწიფო წარმოუდგენელია (რის გამოც ჩვენებურ „ფედერალისტებს“, „ქართული ფედერალიზმის“(?) ტრადიციების მაძიებელთ ქართულ ფეოდალიზმში(!), უთუოდ მოუწევთ მოძებნა „ფედერალური კონსტიტუციისა“ დავით აღმაშენებლის ერთიანი საქართველოსი თუ არა, ერეკლე მეორის ქართლ-კახეთის სამეფოსი მაინც), და ასეთივე აუცილებლობა ქვეყანაში **მაღალი სამართლებრივი კულტურის** არსებობისაც, რაც გულისხმობს: კანონის ურყევ უზენაესობას, მოქალაქეთა კანონმორჩილებას, სასამართლოს ავტორიტეტის შეუვალობას; რადგან იქ, სადაც სამართლებრივი კულტურა **დაბალია**, როგორც **ჩვენში**, ფედერაციას მოელის პოლიტიკური დადამბლავება, ან სულაც დაშლა.

ფედერაციულის საპირისპიროდ, **უნიტარული** ჰქვია სახელმწიფოს, რომელიც არ შეიცავს, როგორც თავის შემადგენელ ერთეულს, არანაირ სახელმწიფოს, რაც სრულებითაც არ გამორიცხავს მის შემადგენლობაში **ავტონომიის** არსებობას, თუ საამისო საჭიროებაა; პირიქით, ავტონომია, რომლის **შექმნაც**, გარკვეული რეგიონისთვის ასეთი სტატუსის **მინიჭება**, სახელმწიფოს, მისი ხელისუფლების პრეროგატივაა, სწორედ უნიტარული სახელმწიფოსთვისაა ნიშნეული („ავტონომიური **რესპუბლიკა**" ლენინურ-სტალინური გამოგონებაა, რომელსაც ვერა და ვერ ელევიან, გასაგები მიზეზით, ჩვენი „ფედერალისტები"). იგივე ითქმის, რაც ავტონომიაზე, საერთოდ **დეცენტრალიზაციის** შესახებაც, რომელიც ასევე დამახასიათებელია მაინცდამაინც უნიტარული სახელმწიფოსთვის: როდესაც გვეუბნებიან რომელიმე სახელმწიფოზე, დეცენტრალიზებულიაო, იგულისხმება, რომ მხედველობაში აქვთ, სახელდობრ, უნიტარული სახელმწიფო.

უზნეობისა და უმეცრების ჩვენში ინტენსიურად მიმდინარე „იდეოლოგიზაციის" პირობებში ე.წ. „შავი ფიარის" ობიექტებად იქცნენ არა მარტო ადამიანები, ცნებებიც კი, ერთი რომელთაგანიც უნიტარიზმია. „ფედერალისტები" მოსახლეობაში ავრცელებენ და ამკვიდრებენ აზრს, თითქოს **თვითმმართველობის** პრინციპი უნიტარიზმთან ძნელად შესათავსებელი, თუ სულაც შეუთავსებელი არა, ყოფილიყოს, თუმცა ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ ადგილობრივი ინტერესები ფედერაციულ სისტემაში უკეთ არის დაცული და წარმოდგენილი, ვიდრე უნიტარულში, მაგალითად, იმავე ინგლისში (იქნებ დაგვისახელონ „ფედერალისტებმა" თუნდაც ერთი ფედერაციული სახელმწიფო, ამ ქვეყნის მიმართ რაიმე უპირატესობის მქონე თვითმმართველობის ტრადიციითა და კულტურით). მართლაც, თვითმმართველობა, როგორც აუცილებელი პირობა ადგილობრივი ინტერესების უზრუნველყოფისთვის, სრულებითაც არაა პრივილეგია ფედერაციული სისტემის, მეტიც, ეს უკანასკნელი გაცილებით დატვირთული ჩანს „სახელმწიფოებრიობით", გაცილებით დამძიმებული ფედერაციის სუბიექტთა სახელისუფლო-სამოხელეო სტრუქტურებით (საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, საკუთარი ადმინისტრაცია (მთავრობა), საკუთარი სასამართლო, საკუთარი ბიუროკრატია, საკუთარი პოლიცია...) და ამიტომაც გაცილებით **ძვირიც**, ვიდრე **დეცენტრალიზებული უნიტარული** სახელმწიფო, სადაც ქვეყნის ცხოვრების

განსახელმწიფოებრივებას, ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმოქმედებისთვის სარბიელის გათავისუფლების მიზნით, უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს, მაშინ როდესაც იმისთვის, რათა ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფილი იყოს ფედერაციულ სახელმწიფოში, საჭიროა, სათანადოდ დეცენტრალიზებული იყვნენ მისი **სუბიექტი** სახელმწიფოები, რომლებიც თავად უნიტარულნი არიან და რომელთა საშინაო კომპეტენციასაც შეადგენს, კერძოდ, თვითმმართველობის საქმე.

გარდა ამისა, აღვნიშნავთ ცალკე, ის გარემოება, რომ ფედერაციის სუბიექტებს საკუთარი **კონსტიტუციები** უნდა ჰქონდეთ, მათი სიმრავლე, „ადგილობრივი სუვერენიტეტის“ სხვა კომპონენტებთან ერთად, ისეთს ქვეყანაში, როგორიც დღევანდელი საქართველოა, მისი ამჟამინდელი სამართლებრივი და მასთან პოლიტიკური კულტურის მეტად არასახარბიელო მდგომარეობის გათვალისწინებით (რუსეთის, ჯერ ცარისტულის, მერე ბოლშევიკურის, „ხალხთა საპყრობილეში“ თითქმის ორსაუკუნოვან ყოფნას, ცხადია, ამ მხრივაც უკვალოდ არ ჩაუვლია), ნამდვილად არ იქნება ხელშემწყობი ერთიანი **სამართლებრივი** სივრცის შესაქმნელად, ჩვენთვის ესოდენ საჭიროსი შეუფერხებელი და ეფექტიანი საერთო სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად, პირველ რიგში, **ადამიანის უფლებათა**, მათ შორის **საკუთრების** უფლების, დაცვის სფეროში (აჭარის ამასწინანდელი მაგალითი სრულიადაც არაა შემთხვევითი ჩვენს სინამდვილეში და ამიტომაც არსებობს სერიოზული საფუძველი შიშისთვის, რომ ფედერაციული საქართველოს ხელისუფლებას დროდადრო მოუწევს პატარ-პატარა „განმათავისუფლებელი ლაშქრობების“ მოწყობა ურჩ „მოკავშირე სახელმწიფოებში“, მართლწესრიგის დასამყარებლად). ამნაირადვე, სწორედ დეცენტრალიზებული უნიტარული საქართველოს (და არა ფედერაციულის) პირობებში იქნება უკეთესი შესაძლებლობები ერთიანი **ეკონომიკური** სივრცის ჩამოყალიბებისთვის, თავისუფალი მეწარმეობის დამაბრკოლებელი ყოველგვარი ბარიერის გარეშე, რაც უზრუნველყოფს რეგიონების შედარებით თანაბარ და ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ისევე როგორც მეტი სტიმული მიეცემა **მოსახლეობის მობილურობასაც** ქვეყნის შიგნით.

დაკვირვებული ადამიანისთვის ზემონათქვამიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რას უქადის ფედერალიზაცია საქარ-

თველოს. და მაინც ვნახოთ, უფრო ახლოს, რას მოასწავების იგი ჩვენთვის.

იმედი, თითქოს ფედერაციის სუბიექტის სტატუსი აფხაზ და ოს სეპარატისტებს დააკმაყოფილებს, ტყუილი იმედია, ხალხის გასაბრიყვებლად გამოგონებული: პირიქით, იგი მხოლოდ **მაპროვოცირებელი და მასტიმულირებელი** იქნება აფხაზურ-ოსური სეპარატიზმის შემდგომი, კიდევ უფრო ენერგიული განვითარებისთვის. ის ფაქტი, რომ სეპარატისტებს არანაირი ფორმით არ სურთ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება, იმის უტყუარი საბუთია, რომ ამგვარი „კონსტიტუციური დათმობებით“, რაც მათ მხოლოდ მადას ჰმატებს და რწმენას განუმტკიცებს საკუთარ ძალებში, ხედავენ რა ასეთს დათმობებში, სავსებით სამართლიანად, დემონსტრაციას ჩვენი მორალურ-პოლიტიკური სისუსტის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ვერ გადაწყდება. უკეთეს შემთხვევაში, სტატუსი, რომელსაც სთავაზობენ აფხაზურ-ოსურ მხარეს ჩვენი „ფედერალისტები“, თუ ის რაღაც მანქანებით მაინც მიღებულ იქნა (რაც, თავისთავად, გამორიცხული არაა დამატებითი დამპალი კომპრომისების შემთხვევაში), აღიქმება, როგორც შემდგომი საფეხური, მათ მიერ მიღწეული, საქართველოსგან სრული გამოყოფისკენ. არსებითად, ეს იქნება **რუსეთის**, საქართველოს ამ დაუძინებელი ისტორიული მტრის, მორიგი გამარჯვება გზად საბოლოო გამარჯვებისკენ, რაც გულისხმობს ყირიმის დამკარგავი რუსეთის „საკომპენსაციო“ დამკვიდრებას შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე და ამასთან საქართველოს შუაგული შიდა ქართლის „სამხრეთ ოსეთად“ წოდებულ რეგიონში. ნუთუ დაგვავიწყდა, ეს აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული კონფლიქტები **ვის** მიერაა, ჯერ კიდევ ცარიზმის დროიდან, მეთოდურად ორგანიზებული და კულტივირებული? რომ ორივე კონფლიქტი სინამდვილეში **ერთი** კონფლიქტია: **რუსულ-ქართული**; რომ „დემოკრატიული“ რუსეთი ერთგული მემკვიდრეა ცარისტულ-ბოლშევიკური ტრადიციული პოლიტიკისა საქართველოში, განუხრელად მიმართულის ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო მოშლაზე.

რუსეთის განსაკუთრებული დაინტერესებულობა საქართველოს ფედერალიზაციით იმ უბრალო მოსაზრებითაა მოტივირებული, რომ საქართველოს „შეერთებული შტატები“, თუნდაც თავისი

„ასიმეტრიული“ ფორმით, იქნება, არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოში, **ინვალიდი სახელმწიფო**, რაც პირდაპირ უპასუხებს რუსეთის იმპერიულ ამბიციებს სამხრეთ კავკასიაში (შევნიშნავთ: ჩვენი „ფედერალისტები“, თავისი უმეცრებითა თუ შეგნებული გულმავიწყობით, სრულიად უგულებელყოფენ შესაფერისი **გეოპოლიტიკური** პირობების აუცილებლობას ფედერაციის სიცოცხლისუნარიანობისთვის). მართლაც, ფედერალიზაცია, – ამაში რუსები სრულებითაც არ ცდებიან, – მოასწავებს საქართველოს გადაქცევას ეთნიკური (აფხაზეთი, „სამხრეთი ოსეთი“...) სეპარატიზმის, რუსეთის ეგიდით, „ლეგალურ“ მძევლად: ის სტატუსი, რომელიც კონსტიტუციურად დაუკანონდება აღნიშნულ რეგიონებს, შეიქმნება, ვიტყვით ერთხელაც, დამაიმედებელ და წამახალისებელ (და არა, როგორც „ფედერალისტები“ ირწმუნებიან, დამაშოშმინებელ) ფაქტორად სეპარატიზმის შემდგომი წარმატებისთვის, იგი იქნება უკანასკნელი „ტრამპლინი“, საიდანაც სეპარატისტებს გადახტომა არ დასჭირდებათ, ნაბიჯის გადადგმა საკმარისი იქნება საქართველოსგან სრული სეპარაციისთვის. უნდა გვახსოვდეს, ამასთან დაკავშირებით, რომ აფხაზებსაც და „სამხრეთელ“ ოსებსაც **ეთნიკური** მიზიდულობის ცენტრი რუსეთში აქვთ, – მათს მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიაში. მაინც ვკითხოთ უცხო ქვეყნების მაგალითად მოყვანის მოყვარულ ამ ჩვენს „ფედერალისტებს“, როგორ ჰგონიათ, **არის** თუ არა ვირჯინია **ამერიკული ეროვნული** შტატი, **არის** თუ არა ბავარია **გერმანული ეროვნული** ლანდი (ქვეყანა, „მიწა“), **არის** თუ არა ჟენევა **შვეიცარული ეროვნული** კანტონი? – პასუხი, ალბათ, დადებითი იქნება. ახლა კი ეს ვკითხოთ: მათი „კონცეფციის“ მიხედვით, **არის** თუ არა აფხაზეთი **ამნაირადვე ქართული**, **არის** თუ არა „სამხრეთი ოსეთი“ **ამნაირადვე ქართული**, ანუ **შეადგენენ** თუ არა ისინი, როგორც ასეთნი, **საქართველოს**, **არიან** თუ არა **მისი ნაწილები**, ისევე როგორც: ვირჯინია – ამერიკის, ბავარია – გერმანიის, ჟენევა – შვეიცარიის? – აშკარაა, **არა**: არც **აფხაზეთი** (მარტო ე.წ. „**პოზიტიური დისკრიმინაცია**“ რად ღირს, რომლის სპეციალურ ობიექტადაც **ქართველები** გვევლინებიან, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება იურიდიულად, რომ „**სუვერენული აფხაზეთის“ სუვერენი ერი მხოლოდ აფხაზები არიან**, ამიტომაც „პერსონალურად“ გამოცხადებულნი „**საქართველოს ფედერაციის ჩამომყალიბებელ ერთ-ერთ ერად**“) და არც „**სამხრეთი ოსეთი**“ (ეს სახელიც საკმა-

რისია, დღეს **ოფიციალურად** მკვდრეთით აღდგენილი), ამ მათი „კონცეფციით“, **არაა საქართველო**, არამედ ისინი წარმოადგენენ **არაქართულ ტერიტორიებს**, საქართველოსთან, ასე ვთქვათ, **გარე-დან** კავშირში მყოფთ, შესაბამისად, **ქართულ-აფხაზური და ქარ-თულ-ოსური „ინტერნაციონალური ფედერაციის“** სახით. ნამდვი-ლი სინამდვილე თუ გნებავთ, სწორედ ესაა: ფედერაციის ნამ-დვილ **სუბიექტად**, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართე-ბაში, **მთელი დანარჩენი საქართველო** გამოდის და არა, აქაოდა ეს ასე არააო, სულელთათვის თვალის ასაბმელად „გასუბიექტებუ-ლი“ ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა.შ., – „ფედერალისტური“ ტაკიმასხარაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ასევე ძვირად დაუჯ-დება.

აი, რას უწოდებენ „ფედერალისტები“ საქართველოს ტერი-ტორიული მთლიანობის აღდგენას: აჰყარეს ქართველ ერს ისტო-რიული უფლება მის ძირძველ ტერიტორიებზე, იურიდიულად ცნეს ისინი არაქართულად, და **ამის სანაცვლოდ** (ვირტუოზული გარიგებაც ამას ჰქვია!) სეპარატისტებისგან მოელიან თანხმობას ფედერაციაში შემოსვლაზე, მათი გულის კიდევ უფრო მოსაგებად ამ ფედერაციისთვის **„კონფედერაციის** (რომელიც, შევნიშნავთ, **სახელმწიფო არაა**, არამედ სახელმწიფოთა კავშირი, ვთქვათ, ნა-ტო-ს მსგავსად) **რამდენიმე ელემენტის“** წამატებით (დააკვირდით: ერთი „ელემენტის“ კი არა, „რამდენიმესი“, მაგრამ ნუ შიშობთ, ბევრი არ იქნება, „სულ“ რამდენიმე). მოკლედ, სურათი თვალის-მომჭრელად ნათელია: საქართველო აღიარებს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ არაქართულ ტერიტორიებად, **სამაგიეროდ** ისი-ნი შემოდიან „რამდენადმე კონფედერაციულ“ ფედერაციაში. ასე-თია ის ფილიგრანული, ან, ოფიციალურ ენაზე რომ ვთქვათ, „უნიკალური“ და „უპრეცედენტო“ კომბინაცია, რომლის მომ-სწრეთ ვინ გაგვიბედავს თქმას, ქართველებს ფანტაზია გაკლია-თო, – ფანტაზია, რომლის წყალობითაც ტერიტორიების ჩამოშო-რების **ტრაგედია** მათი „დაბრუნების“ **ფარსად** იქცა. ხოლო რა შე-დეგს უნდა მოველოდეთ ამ „ფანტასტიკური ფარსისგან“, თუ იგი ჩვენი ცხოვრების სცენაზე მაინც დაიდგა, ამის განჭვრეტას დიდი ჭკუა არ სჭირდება.

ერთ მშვენიერ დღეს, ეს დღე კი უთუოდ დადგება, გვეტყვი-ან ჩვენი „სამხრეთელი“ ოსები: არსებობს ჩრდილოეთი ოსეთი,

არსებობს თქვენ მიერვე აღიარებული „სამხრეთი ოსეთი“, როდემდე ვიყოთ ცივი ომისდროინდელ გერმანიასავით ორად გაყოფილი, გვსურს გაერთიანებაო. რას ვუპასუხებთ: იმას, რომ თქვენს ტყავში დაეტიეთ, ხოლო, თუ გაჯიუტდებით, ამ სახელს – „სამხრეთი ოსეთი“ – როგორც გიფეშქაშეთ, ისე ჩამოგართმევთ? „ფანტასტიკური ფარსის“ ჟანრი სხვა პასუხის საშუალებას არ იძლევა და აფხაზებისთვისაც, როდესაც მოინდომებენ ცალკე გასვლას (ევროპის ე.წ. ჯუჯა სახელმწიფოებზე ნაკლები რით არიან?) ამავე ჟანრში მოგვიწევს პასუხის გაცემა: დავემუქრებით, რომ აფხაზეთს ისევ ქართულ ტერიტორიად გამოვაცხადებთ. მაგრამ, საუბედუროდ, ამგვარი სიტყვა-პასუხით ამ ჩვენს უკვე გასხვისებულ მიწა-წყალს ვეღარ შევინარჩუნებთ პამპულობის არმოყვარე თანამედროვე მსოფლიოში: როგორც სხვა ფედერაციები, ეთნიკური (თუ ეროვნული) ნიშნით შექმნილი, დაშლილან, ან დაშლა ემუქრებათ, ჩვენიც, ამთავითვე, ჯერ კიდევ „კონცეფციის“ სახით, დეგენერატიზმის აშკარა სიმპტომების მავლინებელი, მით უფრო ვერ ასცდება ამ ხვედრს. „ესმის თუ არა ყველას, რომ ჩვენ ვაშენებთ რაღაც ისეთს, რაც გზას ხსნის მსოფლიო ბატონობისკენ, არა უბრალოდ სავაჭრო კავშირს, არამედ პოლიტიკურ წარმონაქმნს? იცნობიერებს თუ არა ყველა, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს, თითოეულს ცალ-ცალკე, მოუწევს, დაამტკიცოს თავისი უფლება არსებობაზე ახალ მსოფლიოში?“ – მრავალმნიშვნელოვნად იკითხა რომანო პროდიმ, ევროკავშირის პრეზიდენტმა, ევროპის პარლამენტის სხდომაზე 2001 წლის თებერვალში. დიახ, ახალი მსოფლიო, რომელიც შენდება და რომლისკენაც მივისწრაფით, რას იზამ, სუსტებს არ სწყალობს, განსაკუთრებით კი ჭკუასუსტებს. იმედი, რომ ჩვენ მიერ ჩადენილ სისულელეს სხვა გამოასწორებს, ამ მსოფლიოში ამაოა (ევროკავშირის პრეზიდენტის ციტირებული სიტყვების უკეთ გასაგებად, ალბათ, დაგვეხმარება ე.წ. **ეროვნულ სახელმწიფოთა რელატივიზაციის** იდეა, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის გარედან შემზღუდავ (დამასუსტებელ) ინტერნაციონალურ (ერთა სახელმწიფოთაშორისო) რეგიონალიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ეროვნული სუვერენიტეტის შიგნიდან შემზღუდავ (დამასუსტებელ) ინტრანაციონალურ (ერთა შიდასახელმწიფოებრივ) ფედერალიზაციას; რაც, რა თქმა უნდა,

სრულებითაც არ ნიშნავს თუნდაც იმავე ევროკავშირში შესვლაზე უარის თქმას, არამედ მხოლოდ იმას, რომ აუცილებელია, ასეთი „რელატივისტური“, არსებითად სოციალისტური, ტენდენციების, ყოველ შემთხვევაში, პატარა ერ-სახელმწიფოთა მიმართ, არსებობის პირობებში, ქვეყანას ავარიდოთ, **რადაც** უნდა დაგვიჯდეს, ეს ნაძალადევი „ფედერალისტური რელატივიზაცია“ მაინც).

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, თუ რა ფასი აქვს „ფედერალისტების“ „სეფე შეკითხვას“, ოპონენტთა ვითომდაც „ჩიხში მომამწყვდეველს“, **სხვა რა გამოსავალიაო**, თითქოს ის, რასაც ისინი ქვეყანას სთავაზობენ, – **„კონსტიტუციური კაპიტულაცია“ სეპარატისტების წინაშე**, იყოს გამოსავალი: ტერიტორიების დაკარგვა თავის გამასხარავებით, საპირისპიროდ თავის გაუმასხარავებლად მათი დაკარგვის (რომელია ამ „ალტერნატივებს“ შორის, თუ მაინცდამაინც ასე დაისმება საკითხი, **უარესი**, რადგან „უკეთესზე“ ასეთს შემთხვევაში არ ლაპარაკობენ, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია). „ფედერალისტების“ წინადადება იმას ჰგავს, ვინმემ თვითმკვლელობა ურჩიოს ავადმყოფს, სულერთია, მოკვდები, სჯობს, შენი ნებით მოკვდეო. მაგრამ საქართველოს მდგომარეობა, მეტად მძიმე და რთული, სრულებითაც არაა, როგორც „ფედერალისტები“ გაიძახიან, „სხვა გამოსავლის“ არმქონე.

დროა, მოვეშვათ იმაზე ფიქრს, რას „მიიღებენ“, ან „არ მიიღებენ“ სეპარატისტები, რომლებიც, თავისთავად, არანაირ ძალას არ წარმოადგენენ. მათი ძალა **რუსეთია** და ჩვენც სწორედ ამ ძალისგან უნდა „განვაიარაღოთ“ ისინი, რის გარეშეც რაიმე პრაქტიკულ გამოსავალზე ლაპარაკი დროის ფუჭი ხარჯვა იქნება. ამიტომაც თითოეულმა ჩვენგანმა, ქვეყნის ხელისუფლებასთან და მთელ ხალხთან ერთად, იმ მიმართულებით უნდა ვიღვაწოთ, ვისაც რა როგორ შეგვიძლია, თავდაუზოგავად, რომ რაც შეიძლება მალე გაყვანილ იქნენ რუსეთის არა მარტო ახალქალაქისა და აჭარის სამხედრო ბაზები, არამედ ე.წ. „**სამშვიდობო ძალებიც**“, რადგან **მხოლოდ მაშინ** გამოჩნდება რეალური პერსპექტივა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის. ასეთია ჩვენი სადღეისო პასუხი კითხვაზე, თუ **სადაა გამოსავალი**. „ხელჩაქნეულებს“ კი, მაინც არაფერი გამოვაო, ვეტყვით, რომ მათ საქართველო არ უყვართ, რადგან სასიკვდილოდ გადადებულ საკუთარ შვილზე ხომ არ ჩაიქნევენ ხელს და ხომ იბრძოლებენ ბოლო წუთამდე მი-

სი სიცოცხლისთვის. ერთ-ერთმა „ფედერალისტმა“ განაცხადა ტელევიზიით, სანამ სიტყვა „პატრიოტიზმს“ არ ამოვიღებთ ჩვენი ლექსიკონიდან, არაფერი გვეშველებაო. ჩვენ ამ „უჯიშოთა ჯიშის“ წარმომადგენლებთან, რომლებიც საკმაოდ მომრავლდნენ საქართველოში, სალაპარაკო არაფერი გვაქვს, არამედ მივმართავთ მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ილია ჭავჭავაძის სიტყვები „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ მისი ადამიანობის კულტურული სიმბოლოა.

სანამ განვაგრძობდეთ საუბარს საქართველოს ფედერალიზაციაზე, საჭიროა, ითქვას ზოგიერთი რამ **„სამხრეთი ოსეთის“ ავტონომიის** და, ამასთან დაკავშირებით, საერთოდ **ავტონომიის** შესახებ.

შევახსენებთ მკითხველს, რომ საქართველოს გეოგრაფია ასეთს ტერმინს – „სამხრეთი ოსეთი“ – არ იცნობდა XIX საუკუნემდე, როდესაც რუსულმა ადმინისტრაციამ შემოიღო იგი ოფიციალურ სახელწოდებად შიდა ქართლის მთიანი ნაწილის, სადაც სახლობდნენ ჩრდილოეთიდან სხვადასხვა დროს გადმოსახლებული ოსები. რუსეთის, ახლა უკვე ბოლშევიკურის, მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ, 1922 წელს ახალმა ხელისუფლებამ, **პრიზად** ოსების აქტიური მონაწილეობისა საქართველოს გასაბჭოების საქმეში და, რაც მთავარია, საქართველოს სხეულში პოლიტიკური **ნაღმის** ჩასადებად, შექმნა „სამხრეთი ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, თვითნებურად მოაქცია რა მის ფარგლებში ქართველებით დასახლებული ვრცელი ტერიტორია, ქალაქ ცხინვალითურთ (ოსურ მოსახლეობიანი ტერიტორია ოლქის შესაქმნელად საკმარისი არ იყო). სხვათა შორის, აფხაზეთისთვის **რესპუბლიკის** სტატუსის მინიჭებაც (ავტონომია აფხაზეთს დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით ჰქონდა გარანტირებული) ზუსტად ასეთივე ბოლშევიკური წარმოშობის პრიზი და ნაღმი იყო (საინტერესოა, ნაცისტური წარმოშობის რომ ყოფილიყო, როგორ შეაფასებდნენ ამას დასავლეთში). როგორც ვიცით, ორმავე პრიზმა, საქართველოსთვის ნაღმად განკუთვნილმა, რუსებს გაუმართლა: „სამხრეთი ოსეთიც“ და აფხაზეთიც რუსეთისგან „განმდგარ“ საქართველოს განუდგნენ. ასეთია ისტორიის გაკვეთილი. რაც შეეხება, კერძოდ, „სამხრეთ ოსეთს“, თუ რას მოასწავებს მისი ხელახალი ცნობა, ამ სახელწო-

დებით, საქართველოსთვის, ამაზე უკვე ითქვა: დადგება დრო და საქართველო, მორალურადაც და პოლიტიკურადაც განიარაღებული „სამხრეთი ოსეთის“ აღიარებით, აღმოჩნდება „ორი ოსეთის“ გაერთიანების პრობლემის წინაშე. ვინ რა **გარანტია** შეიძლება მისცეს **დღეს** საქართველოს ამ მხრივ? განა არ სმენიათ ჩვენს „ფედერალისტებს“, რომ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი ლაპარაკობენ კალიფორნიის, იქ მიმდინარე პროცესების გამო, სეცესიის საკითხის არცთუ შორეულ მომავალში წამოჭრის საშიშროებაზე? მაგრამ „ოსური უსიამოვნებანი“ საქართველოსთვის ამით არ ამოიწურება, ოსურ პრეცედენტს, საქართველოს ფედერალიზაციის პირობებში, ვშიშობთ, ახალი ეთნიკური პრობლემები მოჰყვება, რადგან საქართველოში, ოსების გარდა, ცხოვრობენ სხვა ეთნიკური უმცირესობებიც, კერძოდ, სომხები, კომპაქტურად დასახლებულნი (1829 წლიდან, რუსეთის მთავრობის მიერ განდევნილი მკვიდრი ქართველების სანაცვლოდ) სომხეთის მოსაზღვრე ჯავახეთში, და აზერბაიჯანელები, ასევე კომპაქტურად დასახლებულნი აზერბაიჯანის მოსაზღვრე ქვემო ქართლში, რომლებსაც ოსებზე არანაკლები „უფლება“ აქვთ, პრეტენზია განაცხადონ ავტონომიაზეც და ფედერაციის სუბიექტობაზეც. დარწმუნებული შეიძლება ვიყოთ, რომ, თუ საქართველოს ფედერალიზაცია გადაწყდება, ისინიც იტყვიან თავის „სამართლიან“ სიტყვას: თუ ოსები „ჰო“, ჩვენ რატომ „არა“? მეტიც, აზერბაიჯანელებს შეიძლება ორმაგი პრეტენზია ჰქონდეთ, ეთნიკურიცა და **რელიგიურიც**, მათი „ერთმორწმუნე“ აჭარის, ამ ეთნიკურად წმინდა ქართული, მაგრამ რელიგიური ნიშნით შექმნილი (საერო სახელმწიფოში!) ავტონომიის, მაგალითით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაგები უნდა იყოს, რომ ერთადერთი რეგიონი, რომლის უფლებაც **ავტონომიაზე**, მაქსიმალურად ფართოზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია მის ფარგლებში, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, არის **აფხაზეთი**, როგორც ერთსა და იმავე დროს სამშობლო აფხაზი ერისა და **ნაწილი** ქართველი ერის სამშობლოსი, კულტურულ-ისტორიულად ისევე ორგანულად განუყოფელი საქართველოსგან, როგორც ამ ქვეყნის ნებისმიერი სხვა რეგიონი (ქართლი, კახეთი, იმერეთი...) (რუსულ-აფხაზურ „ისტორიოგრაფიულ“ ლეგენდაზე, ვითომც ქართველები აფხაზეთში „მოსული“ არიან, სადაც მათ „დახვედრიან“ აფხაზები, აქ აღარაფერს ვიტყვით). შეხედულება საქართველოზე, როგორც

„მრავალეროვან“ ქვეყანაზე, სწორი არაა. ის, რომ გერმანიაში რამდენიმე მილიონი თურქი ცხოვრობს, არ ნიშნავს იმას, თითქოს იქ თურქი ერი ცხოვრობდეს: თურქი **ერი** თურქეთში ცხოვრობს და არა გერმანიაში (ან კიდევ სხვაგან, თურქეთის გარეთ). იგივე ითქმის საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზეც: სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, იმავე ოსებზე... **საქართველოში ორი ერი ცხოვრობს: ქართველი და აფხაზი**. –

ქართველი ერი არასდროს არ ყოფილა „ერიჭამია“, მისთვის ყოველთვის უცხო იყო, თვით უკიდურესი კულტურული დაქვეითების დროსაც, კაციჭამიობის ეს უსაზიზღრესი ფორმა, რისი მოწმობაცაა, სხვათა შორის, ქართველებისა და ებრაელების ორ ათასწლეულზე მეტი ხნის მშვიდობიანი თანაცხოვრება. სტალინისა და ბერიას ცოდვებს ქართველ ერს ნუ მიაწერენ, რომელიც თვითონ არის, ყველაზე მეტად, მათი მსხვერპლი: სწორედ სტალინმა დაიპყრო საქართველო 1921 წელს, სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოს დანაღმვა ავტონომიური რესპუბლიკებით (ერთ-ერთი – აფხაზეთი!) და ავტონომიური ოლქით (“სამხრეთი ოსეთი“!) და სწორედ ბერიამ გაანადგურა 1936-1938 წლების ტერორის დროს ერის საუკეთესო ნაწილი... ამიტომაც, ქართველი ერის მიმართ მტერთა ცილისწამებების უკუგდებით, ვაცხადებთ: **საქართველო უნდა იყოს დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო, ფართო ავტონომიით აფხაზეთისთვის, კულტურული ავტონომიით ეთნიკური უმცირესობებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობით მთელი ქვეყნისთვის.** სწორედ და მხოლოდ **ასეთი** საქართველოს აბსოლუტური, „უპირობო“ პირობით შეიძლება ლაპარაკი მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.

ხოლო, როგორც ვიცით, საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა არ იფარგლება აფხაზეთითა და „სამხრეთი ოსეთით“. მართალია, ამ ბოლო ხანს „ფედერალისტები“ ამჯობინებენ, ილაპარაკონ დანარჩენი საქართველოს **რეგიონალიზაციაზე**, მაგრამ საფუძველი გვაქვს ეჭვისთვის, რომ ეს მათი ვერბალური „რეგიონალიზმი“ ფედერალიზმის ის „ნეგატივია“, რომელიც ცხოვრებაში მის „პოზიტივად“ გამჟღავნდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ფედერალისტები“ თვითონ საუბრობენ **„ასიმეტრიული ფედერალიზმის“** შესახებ, რაც ნიშნავს დანარჩენი საქართველოს აგრეთვე ფედერალიზაციას, შესაბამის **სუბიექტთა** თუმც „შეზღუდული“,

მაგრამ მაინც **სახელმწიფოებრივი** უფლებებით. საინტერესოა, რა ჩანაფიქრი უდევს საფუძვლად ამ, ჩვენში უკვე არახალ, იდეას? – ვითომდაც „განეიტრალება“, ამგვარი „ტოტალური ფედერალიზაციით“, აფხაზეთისა და „სამხრეთი ოსეთის“ სტატუსების, ამათი „ვიზუალური შთანთქმა“ (სინამდვილეში ილუზორული) სხვა სუბიექტთა სიმრავლეში, ერთიანად ფედერალიზებული საქართველოს „საერთო სურათში“. ასეთი „გამოსავლის“ მქადაგებელნი გვაგონებენ ადამიანს, რომელიც თავისი სხეულის ერთი რომელიმე ნაწილის სატკივარს „იყუჩებს“ მთელი სხეულის განზრახ ატკივებით. სწორედ ასეთია ის „პოლიტიკური მედიცინაც“, რომლის წარმომადგენლებიც არიან ჩვენი „ფედერალისტები“, სეპარატიზმის „მკურნალნი“ „ფედერალისტურად მოდერნიზებული“ გვიანფეოდალური პარტიკულარიზმის ხელოვნური დანერგვით (გავიხსენოთ მათი წმინდა ობსკურანტისტული დამოწმებები სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს **უშავბნელესი ხანის**, სადაც მათ, ჩანს, ეგულებათ საბაზისო პრეცედენტი ახალი „ქართლის ჭირის“ – საქართველოს ფედერალიზაციისთვის). და აი ეს „ექიმბაშები“, ხელში სკალპელით, საქართველოს სხეულის დასასერად ახალ-ახალ სუბიექტებად, რომელთა მორალურ კვალს ვეღარაფერი წაშლის ერის სულში, ხალხს ამშვიდებენ, ნუ გეშინიათ, ფედერაციის დანარჩენ სუბიექტებს (იგულისხმება: ქართლი, კახეთი, იმერეთი...) არ ექნებათ ისეთი „ფართო უფლებები“, როგორიც აფხაზეთსო („სამხრეთ ოსეთზე“ ჯერ დუმან, თუმცა ერთხელ „მაღლით“ გაისმა, ჩრდილოეთ ოსეთზე მეტი უფლებები ექნებაო).

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, თუ „ფედერალისტების“ გეგმას შესრულება უწერია, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ხელახალ **დამფუძნებელ** სუბიექტებად, მის **ხელახალ,** უკვე ერების მოშლაზე ორიენტირებული ნეომარქსისტული „ლიბერალიზმის“ რეცეპტით, „ავტორებად“, თანაც „შეზღუდული საავტორო უფლებებით“, „ფართო უფლებების“ მქონე აფხაზეთსა და, საფიქრებელია, „სამხრეთ ოსეთთანაც“ შედარებით, მოგვევლინებიან ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა.შ., – თითქოს საქართველო **ჯერ არ არსებობდეს**, თითქოს ქართლი, კახეთი, იმერეთი და ა.შ. **ჯერ არ შეადგენდნენ საქართველოს**, თითქოს ამ **„ცალკეულ ქვეყნებს“** (ქართლს, კახეთს, იმერეთს...) გადასაწყვეტი ჰქონდეთ, **შექმნან თუ არა** ერთი ქვეყანა, სახელად „საქართველო“, **ჯერ არარსებული, არშემდგარი,**

მხოლოდ „პროექტი“. – ვამბობთ რა ამას ერთგვარი „პრევენტიული“ მოსაზრებით, ვეკითხებით „ფედერალისტებს“, თუ რას გულისხმობს მათი „რეგიონალიზმი“: არის თუ არა „რეგიონი“, მისი პრინციპით მოწყობილი, **ფედერაციის სუბიექტი**? თუ ჰო, არის თუ არა იგი, როგორც ასეთი, **პოლიტიკური** ერთეული და, შესაბამისად, **სახელმწიფოებრიობის** გარკვეული ნიშნის მქონებელი, თუნდაც „შეზღუდული უფლებებით“? თუ ესაა „სუბიექტი“, სინამდვილეში კი **ავტონომია**, ცენტრალური ხელისუფლების მიერ **შექმნილი** და „ფედერაციის სუბიექტად“ მხოლოდღა **ფიქტიურად** ცნობილი (თუ ჰო, რა მიზეზით, რა მიზნით)? ხოლო, სანამ ამ კითხვაზე პასუხს მოვისმენდეთ, ჩვენ ჩვენსას განვაგრძობთ.

მართლაც, როდის იქმნება ხოლმე, რა **შინაგანი პირობების** (გეოპოლიტიკურის გარდა) გათვალისწინებით, ფედერაცია? – წინასწარ შევნიშნავთ, რომ სანიმუშოდ თანამედროვე გერმანია არ გამოგვადგება, რომლის ფედერალიზაციაც სრულიად განსაკუთრებულ **გარეშე** პირობებში მოხდა: ცნობილია, რომ ომისშემდგომი დასავლეთი გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ, იმ დროისთვის სავსებით გასაგები შიშით, კვლავ არ აღორძინებულიყო (ყურადღება მივაქციოთ ამასაც) **ძლიერი** გერმანული სახელმწიფო, მიზანშეწონილად მიიჩნია მისი მკვეთრად ფედერალისტურ საწყისებზე მოწყობა (თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, ეს კიდევ სხვა ამბავია, ყოველ შემთხვევაში „ფედერალისტების“ სასარგებლოდ არანაირი არგუმენტის მომცემი, პირიქით). ხოლო ჩვეულებრივ, „ნორმალურად“, ფედერაცია იქმნება მაშინ, როდესაც ცალკეულ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხებს სურთ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, მაგრამ იმ პირობით, რომ დამოუკიდებლობის გარკვეულ ნაწილს თავისთვის დაიტოვებენ, რაც იმით აიხსნება, რომ მათში **ადგილობრივი პატრიოტიზმი უფრო ძლიერია, ვიდრე საერთო ეროვნული** („მე, პირველ ყოვლის, ქართლელი ვარ (კახელი, იმერელი...) და მხოლოდ ამის შემდეგ ქართველი“). ამ ეროვნული გრძნობის დასაწყისში არარსებობა, ან სისუსტე, რაც შეუძლებელყოფს **უნიტარული** სახელმწიფოს შექმნას (რომლისთვისაც აუცილებელია, რომ ადამიანები **უპირველესად** მთელი ქვეყნის შვილად გრძნობდნენ თავს და არა თავისი რაგინდ საყვარელი კუთხის), თავისთავად გასაგებია, რადგან იგულისხმება, რომ საერთო სახელმწიფოს დაარსების მომენტში თვითონ **ერი**, რო-

გორც ასეთი, ჯერ არ არსებობს, იგი ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას საერთო სახელმწიფოს ჭერქვეშ გაერთიანებული ხალხების თანაცხოვრების პირობებში. ასე, მაგალითად, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები იქმნებოდა, ამერიკელი ერი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჯერ არ არსებობდა, არამედ იყვნენ ვირჯინიელები, მერილენდელები, ნიუიორკელები და ა.შ., თავ-თავიანთი შტატების თავგადაკლული პატრიოტები. იგივე ითქმის, მეტნაკლებ, შვეიცარიასა და სხვა ფედერაციულ ქვეყნებზეც. სწორედ ასეთს პირობებში წარმოდგება და მოქმედებს ე.წ. **ფედერალიზმის გრძნობა**, რომლის ამოსავალი ფორმულაცაა: **გვინდა ერთად ყოფნა, მაგრამ არა ერთობა (ე.ი. ერთ ერად სრული შერწყმა)**. ხოლო ამასთან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სულ სხვაა, ვთქვათ, **კონფედერაციიდან** გადასვლა უფრო მჭიდრო ფედერაციაზე, როდესაც უპირატესობას იძენენ **ცენტრისკენული** ძალები (აქედან – ამერიკული „გამაერთიანებელი ფედერალიზმიც“), და სულ სხვაა **უნიტარულიდან** გადასვლა ნაკლებად მჭიდრო ფედერაციულ სისტემაზე, როდესაც, პირიქით, უპირატესობას იძენენ **ცენტრიდანული** ძალები (რის გამოც ფედერალიზმის არანაირ „გამაერთიანებელ“ ფუნქციაზე არ შეიძლება, ამ შემთხვევაში, საუბარი; გერმანიის მაგალითი ამჯერადაც ვერ გამოადგებათ ჩვენს „ფედერალისტებს“, რადგან იქ აღინიშნება, როგორც ამბობენ, ფედერალიზმის საპირისპირო **უნიტარისტული** ტენდენციები, გაპირობებული სპეციფიკურად გერმანული საშინაო და საგარეო ფაქტორებით, რომლებსაც ჩვენს სინამდვილესთან არაფერი აქვთ საერთო).

ყოველივე ამის შემდეგ თვითონ მკითხველმა განსაჯოს, რას უქადის „დანარჩენ“ საქართველოს ფედერალიზაცია (გნებავთ, „რეგიონალიზაცია“, ასიმეტრიული ფედერალიზმის კონტექსტში) თავისი, სხვას რომ თავი დავანებოთ, ერის **ცნობიერებაზე** ზეგავლენით, მასში „ფედერალიზმის გრძნობის“, ჩვენი ქვეყნისთვის სრულებითაც არა „გამაერთიანებლის“, არამედ სწორედ დამანაწევრებლის, ფსიქოიდეოლოგიური „კოდის“ ჩადებით („მე, კახელი, რატომ უნდა ჩავერიო იმერეთის საქმეებში?“ – იკითხა ერთმა წინამბრძოლმა „ფედერალისტმა“).

საქართველოს პირობებში ფედერაცია მხოლოდ მახინჯი და მანკიერი ფორმით იარსებებს, რადგან ფედერალიზმი, საერთოდ, სრულიად უცხოა ქართველი ერის ისტორიულად შემუშავებული

პოლიტიკური კულტურისთვის, მისი დროთა ქარცეცხლში გამოვლილი და გამოცდილი სახელმწიფოებრივი ტრადიციისთვის, რომლის გარეშეც ქართველთა სახსენებელი დღეს კარგა ხნის აღგვილი იქნებოდა მიწის პირისგან. განა არაფრის მთქმელია ის გარემოება, რომ, როდესაც საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, რაშიც ერთი უმთავრესი როლი საგარეო ფაქტორებმა შეასრულეს, ქვეყნის ცხოვრების „შემდგარ ფაქტად“ იქნა აღიარებული, ქართულ პოლიტიკაში გაჩნდა ტერმინი **„საქართველოები“** ამ განთვითებულ სამეფო-სამთავროთა აღსანიშნად, რაც იმას გულისხმობდა, რომ ყველა ისინი **ერთნი** არიან და რომ, ამიტომაც, როდესაც საამისო დრო დადგება, ეს მრავლობითი „საქართველოები“ კვლავ **ერთ განუყოფელ „უნიტარულ“ საქართველოდ** უნდა შეირწყან. ის მართლაც საკვირველი შიდაქართული კულტურული მრავალფეროვნება, რომელსაც ქმნიან ჩვენი ქვეყნის მხარეები და რომელიც გვაძლევს საფუძველს, ვილაპარაკოთ პატარა „ქართულ მსოფლიოზე“, ქართველი ერის ის უძვირფასესი საუნჯეა, რომლის ღირსეულ მოვლა-პატრონობას სრულებითაც არ სჭირდება ქვეყნის ფედერალიზაცია და მისი „გასუბიექტებული“ მხარეების პოლიტიზაცია, არამედ საჭიროა **ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის**, ასე ვთქვათ, „ქვემოდან“ აღმოცენებულის (და „ზემოდან“ ხელშეწყობილის), განვითარება და, ამასთან, სახელმწიფოს მხრიდანაც, დიახაც, „უნიტარული“ ზრუნვა **თითოეულის**, რაგინდ მცირე მხარის, როგორიც არიან, მაგალითად, ფშავი და თუშეთი, **თვითმყოფადობაზე**. საქართველო უნდა იყოს არა „მოზაიკა“, არამედ ალმასივით მტკიცე და მკვრივი, კულტურულად (და არა პოლიტიკურად) დაწახნაგებული თავის მხარეებად... ხოლო ამის ნაცვლად რას უმზადებენ „ფედერალისტები“ საქართველოს? – იმას, რაც უკვე ითქვა: თუ მათი განზრახვა განხორციელდა, ის პროვინციული პარტიკულარიზმი, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდნენ საქართველოს საუკეთესო შვილები – სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეები, მთელი ქართული მწერლობა და რომელმაც ქვეყანა მიიყვანა 1801 წლის კატასტროფამდე, **რეანიმირებული და ლეგიტიმირებული** იქნება ვითომდაც „ცივილიზებული ფედერაციული“ სახელმწიფოს სახით, სადაც ვიხილავთ ისეთს „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს“, როგორიც არიან ქართლი, კახეთი, იმერეთი და

სხვანი და სხვანი. ადვილად წარმოსადგენია, რა ზარ-ზეიმი შეექ-მნებათ ყოველივე ამის ზეგარდმო მხედველ ჩვენს დიდ წინაპ-რებს, რა სიხარული შეუდგება მათ სულებს.

წარმატებული **თავისუფალი** საზოგადოება ყოველთვის დიდ-წილად იქნება **ტრადიციას მიბმული** საზოგადოება, – ამბობს „ტრადიციონალისტი“ ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი. ამ ცხადი ჭეშმარი-ტების საპირისპიროდ, ვხედავთ, რომ ჩვენი „ულტრალიბერალი ფედერალისტები“ **ქართული სახელმწიფოებრიობის უნიტარისტუ-ლი ტრადიციის** არათუ სრულ იგნორირებას, მის **ფალსიფიკაციას** და უკვე ამდენად **დისკრედიტაციასაც** ეწევიან. უნდა გვახსოვდეს, რომ, საერთოდ, საზოგადოებებს მათი ტრადიციების ხელაღებით, ნეომარქსისტ „ლიბერალთა“ ენაზე რომ ეთქვათ, „კულტურრევო-ლუციური“, უარყოფა კულტურული და, შესაბამისად, ეროვნული გადაგვარების ფასად დასჯდომიათ (რეალური საშიშროება თანა-მედროვე ერებისთვის...). ერთი უპირველესი პირობა, რომ ფედე-რალისტური სისტემის შემოღება მხოლოდ სათანადო პოლიტიკუ-რი მენტალიტეტის მქონე საზოგადოებაშია შესაძლებელი, ჩვენი „ფედერალისტებისთვის“, უკეთეს შემთხვევაში, ცარიელი სიტ-ყვაა. იტალიამ, რომელსაც, საქართველოსაგან განსხვავებით, **არასდროს** ჰქონია, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ერთიანი ეროვნული სახელმწიფო, როდესაც დადგა მისი კონსტიტუციუ-რად დაფუძნების სანატრელი დღე, **ერთხმად** უკუაგდო ფედერა-ლიზმის იდეა და ხმა მისცა ქვეყნის უნიტარისტულ მოწყობას, რისი მიზეზიც იტალიელთა პოლიტიკური მენტალიტეტი იყო, მა-თი ტრადიციული ეროვნული თვითშეგნების გამომხატველი. და ამნაირადვე, **საქართველოს პირველი რესპუბლიკის** დაარსებისას, არავის, არც პოლიტიკოსებს, არც იურისტებს, არც ისტორიკო-სებს, რომელთა შესადარიც ნიჭით და ცოდნით დღევანდელ სა-ქართველოში, სამწუხაროდ, არ მოიძებნება, აზრადაც არ მოს-ვლია ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა.

დღეს კი რას არ გაიგონებთ საქართველოში, ლაპარაკობენ ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებათ, ოღონდაც ხალხი გააბრუონ და თავისას მიაღწიონ: საქართველოს ფედერალიზაციას. ამ სურა-თის შემყურეთ, არ გაგვიკვირდება, რომ „ფედერალისტებმა“, თუ მათ გამარჯვება იზეიმეს, ძეგლებიც დაუდგან დადიანებსა და გუ-რიელებს მათს ყოფილ სამთავროებში, როგორც „ქართული ფედე-რალიზმის მედროშეებს“, და, ჩვენი „ფედერალისტური ტრადიციე-

ბის“ მეტი სიძველის დასტურად, საგვარეულო ძეგლი აღუმართონ „პროგრესისტ-ფედერალისტ“ კლდეკარის ერისთავებს „რეაქციონერ“- უნიტარისტ დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას, თბილისსა და „ისტორიულად საქართველოს სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ ერთ-ერთ სუბიექტ“ აფხაზეთის დედაქალაქ... ქუთაისში (მოგეხსენებათ, რომ „ფედერალისტთა“ ერთი ჯგუფის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული „კონცეფციით“ შუა საუკუნეებში აფხაზეთის „ისტორიული სუბიექტობა“ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში თურმე **იურიდიული** საფუძველი ყოფილა ახლანდელი აფხაზეთის, რომელიც მათ, თანაც, **ის** აფხაზეთი ჰგონიათ, „ფედერაციის სუბიექტის განსაკუთრებული სტატუსისთვის“). მაინც საიდან ასეთი „ენთუზიაზმი“? საიდან წარმოდგება იგი? –

ეს ჩვენი XXI საუკუნის დასაწყისი ძალიან გვაგონებს XX საუკუნის დასაწყისს. წიწამურის ტრაგედიის დღეებში ვაჟა-ფშაველა წერდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავენ“. სწორედ ამათ გულისხმობდა მიხეილ წერეთელი, როდესაც თქვა, „გარეშე სატანა“ „შინაური იდიოტების“ მეშვეობით მოქმედებსო. საუბედუროდ, ეს გამონათქვამი ამჟამად კიდევ უფრო აქტუალურია.

ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას ერთგვარ ზნედ სჭირს თავისი ლამის ყოველი ნამოქმედარის თვისდა სასიქადულოდ მოხსენიება, როგორც „უპრეცედენტოსი“ და „უნიკალურის“. ხოლო შევახსენებთ მას, ამასთან დაკავშირებით, რომ, **თუ** იგი საქართველოს ფედერალიზაციის ამ არსაქმნელ საქმეს მაინც მოიმოქმედებს, ეს იქნება ჭეშმარიტად უპრეცედენტო და უნიკალური, ისტორიაში ნამდვილად უმაგალითო მაგალითი იმისა, თუ როგორ უღალატა ერს საკუთარმა მთავრობამ, მის მიერვე არჩეულმა. და აქ სრულიად უადგილო იქნება სტალინისა და ორჯონიკიძის გახსენება, რადგან ისინი რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ, რომლებსაც მისთვის არც უღალატიათ.

საქართველოს, როგორც არასდროს, მისი **ყოფნა-არყოფნის** საკითხი უდგას. თუ წარსულში მახვილით წართმეულს მახვილით იბრუნებდნენ, დღეს, რასაც კანონი დაგვაკარგვინებს, მას ვეღარ დავიბრუნებთ. ნუ დავუშვებთ ამ მართლაც არნახულ და არსმენილ საქმეს – „ერის კონსტიტუციურ თვითმკვლელობას“.

პოლიტიკაზე – პოლიტიკის გაღმიდან

„(მმართველო, ჯერ) მართე თვით შენი თავი“.
თალესი

„ესაა სიბრძნის საბოლოო დასკვნა: მხოლოდ
ის იმსახურებს თავისუფლებას,
სიცოცხლესავით,
ვინც ყოველდღიურად მოიღვაწებს მას“.
იოჰან ვოლფგანგ გოეთე

საქართველო დღეს ღრმა კრიზისის მდგომარეობაშია, კრიზისისა – ეროვნული ცხოვრების ორივე ძირითადი განზომილებით: როგორც საშინაოსი, ასევე საგარეოსი. ესაა ფაქტი, რომელსაც ყველანი ვხედავთ, ვისაც კი გული შეგვტკივა ქვეყნისთვის. ხედავს, ცხადია, მტერიც, რომელიც გვარიანად სარგებლობს კიდეც საქართველოს ამ სავალალო მდგომარეობით.

თვით ჩვენი მეგობარი სახელმწიფოები, მათი მთავრობები, რომლებიც აქამდე სულგრძელად (თუ სხვა რამ მოსაზრებით) ერიდებოდნენ საჯარო კრიტიკას ჩვენი მისამართით, თითქოსდა მოიმედენი, რომ საქართველოს ხელისუფლება და ხალხი ერთიანი ძალისხმევით თავს გაართმევდნენ შექმნილ სიძნელეებს, გამოასწორებდნენ დაშვებულ შეცდომებს, დღეს უკვე იძულებული არიან, აღიარონ, რომ დემოკრატიის საქმე საქართველოში და, მაშასადამე, ქართული სახელმწიფოს არსებობაც თანამედროვე მსოფლიოში რეალური საფრთხის ქვეშაა. „დემოკრატიის შუქურების“ საპატიო სახელი, იმდენადვე მავალდებულებელი, რამდენადაც საამაყო, უნდა ვიფიქროთ, ერთგვარ წამახალისებელ და გამამხნევებელ პოლიტიკურ ავანსად გაცემული საქართველოს ახალ საჭეთმპყრობელთათვის, ამ უკანასკნელთ არათუ ვერ გაამართლეს, მისი სრული ფალსიფიკაცია მოახდინეს და მასთან ერთობ საქართველოს დისკრედიტაციაც საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, როგორც ქვეყნისა – თანამედროვე ნორმალურ, რაც ნიშნავს, ლიბერალიზმის პრინციპზე დაფუძნებულ, დემოკრატიული მეთოდით მართულ, სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოდ ვერა და ვერ შემდგარის.

ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისთვის ძალზე მწარე „ისტორიის ირონიაა“, ალბათ, იმაში, რომ, მას შემდეგ, რაც კომუ-

ნისტური რეჟიმისგან გათავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა მშვიდობიანი არჩევნების შედეგად, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, როდესაც ქვეყნის ცხოვრების სადავეები ამიერიდან მაინც მის სუვერენულ სუბიექტად მოწოდებული ერის ხელთ უნდა ყოფილიყო, ხელისუფლების ცვლა სახელმწიფო გადატრიალებების გზით წარიმართა. და აი ახლაც კვლავ აღმოვჩნდით ამჯერად მართლაც ტრაგიკომიკურ, დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან უკვე მესამე „რევოლუციურ სიტუაციაში“ – მორიგი გადატრიალების საშიშროების წინაშე.

სიმართლეს ვერსად წავუვალთ. ჩვენ არავის „მოვუტყუებივართ“, ჩვენ თვითონ მოვიტყუეთ საკუთარი თავი და სხვებიც, ჩვენი მეგობრები, ვისაც ზოგიერთი ჩვენგანი აბრალებს, ეს ხელისუფლება თავს მოგვახვიესო, ჩვენვე შევაცდინეთ (ან, შესაძლოა, ვაცდუნეთ) ჩვენი ვითომც დემოკრატიული „ენთუზიაზმით“, სინამდვილეში კი ჩვენი მოქალაქეობრივი წინდაუხედაობითა და უპასუხისმგებლობით. ხოლო, სადაც მოქალაქეთა ამგვარ პოლიტიკურ წინდაუხედაობასა და უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი, იქ დემოკრატიას, იგულისხმება, ლიბერალურს, არაფერი ესაქმება, მის ნაცვლად, სხვების დაუხმარებლადაც, ან ანარქია ისადგურებს, ან ტირანია მოდის, ორივე, „დედა-შვილი“, – თავისუფლების აღსასრულის მაუწყებელი. სიმართლე თუ გვინდა, ესაა: არსებული მდგომარეობა ჩვენთვის არავის მოუხვევია თავს (ხოლო, თუ „მოგვახვიეს“, ისიც ვთქვათ, რომ „თავს ახვევენ“ უთავოებს). ასე რომ, ჯობს, ისევ ამ ჩვენს თავს მივხედოთ, მის ავ-კარგს ჩავუკვირდეთ. სხვების, ვინც დაგვხმარებია და გვეხმარება, უმადური ნუ ვიქნებით. გვახსოვდეს, რა მსოფლიოში გვიწევს ცხოვრება და პოლიტიკური მეგობრობა ამ მსოფლიოში რა ღირს.

ამიტომ, თუ ნამდვილად გვსურს, თავი დავაღწიოთ იმ, და არა მარტო დღევანდელ, მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებით, თითქმის ორი ათეული წელია, უნდა ვაღიაროთ, მტრული საგარეო ფაქტორის ჯეროვანი გათვალისწინებით, რომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის წარუმატებლობის მთავარი – შინაგანი მიზეზი, ჩვენში არსებული, ჩვენი ამჟამინდელი სამართლებრივ-პოლიტიკური კულტურის მეტისმეტი დაქვეითებულობა-ჩამორჩენილობაა, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირი თანაფარდი გამოხატულებაა ჩვენი ზოგადკულტურული, ანუ საერ-

თოდ **თავისუფლების** კულტურის, ასეთივე დაქვეითებულობა-ჩამორჩენილობის. სამწუხაროა, რომ ამ ფაქტის კონსტატაცია გვიწევს იმ მაღალკულტუროსანი ერის შვილებს, რომელმაც გვიანდერძა, სხვა არა იყოს, ისეთი ჭეშმარიტად გენიალური კონცეპტუალური სიტყვა, როგორიცაა სიტყვა „თავისუფალი“. მაგრამ ნათქვამია, სადაც განსაცდელია, ხსნაც იქვეაო; და, რაკი ჩვენი თავისუფლების – ჩვენი ადამიანობისა და, მაშასადამე, ჩვენი ერად ყოფნისაც ამ საფუძველთსაფუძვლის – წარმწყმედი განსაცდელი ჩვენშია, ჩვენშივე უნდა მოვიძიოთ ამისი საპასუხო ხსნის ძალაც, რომელიც სხვა არა არის, თუ არა ზნეობრივი და მისგან განუყოფელი გონებრივი ძალა **თავისუფლებისადმი ნების.**

ჩანს, თითქმის ორსაუკუნოვან ყოფნას ცნობილ ჯერ ცარისტულ, შემდეგ მის რევოლუციურ მემკვიდრე ბოლშევიკურ „ხალხთა საპყრობილეში“ საქართველოსთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, რაც თვალსაჩინო შეიქმნა მაშინვე, როგორც კი გამოვედით თავისუფლების სამზეოზე. თვითონ ცხოვრებამ, ჩვენგანვე წარმოებულმა, დაგვანახა, ვისაც კი საამისო ხედვის უნარი კიდევ შეგვრჩენია, რომ ჩვენი კულტურულ-ისტორიული რაობა-ვინაობის – ქართველობის არა მარტო „ზედაპირი“, როგორც ეს XX საუკუნის დასაწყისში აკაკი წერეთელს ეგონა, არამედ მისი შინაგნობაც, უკვე XXI საუკუნის დასაწყისში, დეგრადაციის აშკარა ნიშნების მქონეა. აღმოჩნდა, ბევრისთვის საოცრად, რომ ჩვენს ცნობიერებაში ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის ჩატეხილია, დარღვეულია ისტორიული „დროთა კავშირი“, რაც გვემუქრება, თუ დროულად თავს არ ვუშველეთ, გარდაუვალი გადაგვარებით უისტორიო, უტრადიციო ხალხის რაღაც კულტურულად უსახო მასად, რომელსაც **ერი** აღარ ეთქმის. ერი კი რაა? – დავიმოწმებ დიმიტრი უზნაძეს: „ცხოვრების აზრის სუბიექტი“, ცხოვრებისა, რომლის ინდივიდუალურნი შემოქმედნიც ვართ, ცალკეული პიროვნებები, როგორც მისი, დავაზუსტებ (ავტორთან სრული თანხმობით), კულტურულ-ისტორიული საზრისის, აი, ამ სუბიექტ ერის შვილნი, მაინცდამაინც როგორც ასეთნი – კიდეც თავისუფალნი და, მაშ, შემოქმედნიც.

საქართველოს ეს, გნებავთ, დენაციონალიზაციის, გნებავთ, დეკულტურალიზაციის, ორივე ერთია, პროცესი, თვალშისაცემი ინტენსიურობით მიმდინარე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სრულებითაც არაა სტიქიონური, ყოველ შემთხვევაში, 2003 წლის

„რევოლუციიდან“ მოყოლებული: ასეთია სახელმწიფო პოლიტიკა, ხელისუფლების მიერ შესაშური თანმიმდევრულობით წარმოებული „პატრიოტული“, არაიშვიათად შოვინისტური და ლამის რასისტული („ქართველები ყველაზე ნიჭიერი ერია მსოფლიოში!“), საკამუფლაჟო რიტორიკის, ცნობილი რეცეპტის თანახმად, აკომპანიმენტით ილია ჭავჭავაძის პორტრეტის ფონზე. ხოლო ხელისუფლებისგან ვითომც დამოუკიდებლად მოქმედებენ მისი კოლაბორანტი „კულტურრევოლუციონერები“ – ქართული კულტურის, ისტორიის, ტრადიციის პასკვილანტი „რევიზიონისტები“, ამ როლში – ერთადერთი მიზნით: „მეცნიერულად“ ცხადყონ, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რომ ჩვენ, ქართველებს, არის ეს კულტურა თუ ისტორია (მართლაც, ვინ გაყო ესენი ერთმანეთისგან?), „დიდი არაფერი“ გვქონია და, გასაგებია, ასევე – კულტურულ-ისტორიული ტრადიციაც. მაგრამ, ესეც უნდა ითქვას, ამ ინტელექტუალურ პარვენიუთა „მოღვაწეობას“, თავისთავად, გადამწყვეტი „ქვეყნის დამაქცეველი“ მნიშვნელობა მაინც არ აქვს: ესენი, განსხვავებით თავისი დასავლელი „კოლეგებისგან“, ჩვენი ეროვნული ანთროპოფაუნის იმ კატეგორიას შეადგენენ, რომელიც უფრო ენტომოლოგიის სფეროს განეკუთვნება („ინტელექტუალი“ ტილები, რწყილები, ბაღლინჯოები, კოღოები... დიდი-დიდი, უკვე „აზრის გიგანტი“, კრაზანები). მთავარი საშიშროება ჩვენებურ ხელისუფლებისმტაცებელ კბილებიან, კლანჭებიან „პოლიტიკოს“ ხერხემლიანთა ხროვიდან მოდის. სწორედ ესენი არიან ქვეყნის ნამდვილნი დამაქცეველნი, ამ საქმეში, რა დასამალია, ფრიად „ხელმარჯვენი“ სპეციალური „უნარ-ჩვევებით“ აღჭურვილი სპეციფიკური ინსტინქტის, მათი „ინტელექტიც“ ესაა, წყალობით. ამიტომ მივხედოთ ისევ მათ, მათს საქმეებს.

ლიბერალური დემოკრატია მხოლოდ **განათლებული** (ილიას, გონებრივთან ერთად, ზნეობრივი ასპექტის მომცველი სიტყვით, „გულგანათლებული“) დემოკრატია შეიძლება იყოს. სწორედ თავისუფლების საქმისთვის განათლების ამ მნიშვნელობის ქადაგების გამო შეერქვათ კიდევაც XVIII საუკუნის ლიბერალებს „განმანათლებლები“. ფრანსის ბეკონის განთქმული „ცოდნა ძალაა“-ც იმთავითვე ასე იყო გაგებული: ცოდნა თავისუფლების ძალაა. ამით აიხსნება მეცნიერებისა და განათლების იდეის ტრიუმფალური სვლა ევროპაში, XVII საუკუნიდან მოკიდებული. ცალკეულ-პიროვნული და საერთოეროვნული (ერთი მეორეს გულისხმობს)

თავისუფლების საქმეც ამიტომ შეიქმნა დროთა განმავლობაში ამ იდეასთან სულ უფრო და უფრო მტკიცედ გადაჯაჭვული. და XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეებიც, ასევე ლიბერალები, ქართველობის წარსულიდან ნაანდერძევი „აღდგომა-გამოხსნის“ მთავარ იმედს განა სხვა რაზე ამყარებდნენ, თუ არა ერის საყოველთაო განათლებაზე, საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე...

ახლა ვიკითხოთ: რა მოიმოქმედა ამ მიმართულებით ჩვენმა „შუქურა“ ხელისუფლებამ? – ჩაატარა მეცნიერებისა და განათლების მთელი სისტემის, ერთიანად, როგორც მას შეეფერებოდა, „რევოლუციური რეფორმა“, რითაც ძირი გამოუთხარა, ნაკლებს არ დასჯერდა, ერთისაც და მეორისაც, უერთმანეთოდ წარმოუდგენელთა, თვით არსებობას ჩვენს ქვეყანაში. ამბობენ, „ულტრაპროგრესული“ მსოფლიოს „ულტრალიბერალური“ პანდემონიუმი ამ „რეფორმებს“, სულ „ბრავო, ბრავო, ბის!“ (ეს „ბის“ მაინც არ ყოფილიყო), ასეთი ძახილით შეხვედრია. ასე დაიდგა ჩვენი ცხოვრების სცენაზე, ღმრთის განგებით ჩვენდა სასირცხოდ (ზნეობრივი სასჯელის უმაღლესი ზომა), „შუქურათა“ „ლიბერალურ-დემოკრატიული“ ფარსი (ტრაგედიის ჟანრის ღირსნი ვერ შევიქმენით) – მეცნიერებისა და განათლების „მზის დაბნელება საქართველოში“, თეატრის ლოჟაში – როგორც მიხეილ წერეთელი იტყოდა, „გარეშე სატანით“ (მოკვდავთათვის უჩინრად), ხოლო ამფითეატრსა და პარტერში, წარჩინებულობის მიხედვით, – ჩვენი აბორიგენი, ისევ „ერისა და კაცობრიობის“ ავტორს დავესესხები, „შინაური დეგენერატებით“ (ყველასთვის საჩინოდ), რომლებიც ვინ არიან? – ერის რჩეულები (აკი „რევოლუციურადაც“ ვირჩიეთ და კონსტიტუციურადაც ავირჩიეთ ესენი!) და, მაშასადამე, მისი საქვეყნო ოფიციალური წარმომადგენლები (განა ერმა არ მოიყვანა და დასხა ესენი ხელისუფლებაში თავის წარმომადგენლებად, შეხედეთ ამათ, აი, ვინ ვარო? ამიტომ რად უნდა გაგვიკვირდეს, ვინმემ მათი მიხედვით რომ იმსჯელოს ჩვენზე?).

ამაზეა ნათქვამი, ერი იმ მთავრობის ღირსია, რომელიც მას ჰყავსო, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა, რომელიც ერს ჰყავს, მისი ღირსების, ეროვნული ღირსების, გარკვეული მაჩვენებელი და საზომია: როგორიც მთავრობაა, ერიც ისეთია; როგორიც ერია, მთავრობაც ისეთია. ნათქვამია ისიც, ისტორია იმას გვასწავლის, რომ არაფერს გვასწავლისო, მაგრამ არანაკლები სიმართლეა იმაშიც, რომ, ვინც ისტორიისგან არაფერს სწავლობს, მას

ისტორია სჯის, მაიგნორირებელს – საპასუხო იგნორირებით: „ისტორიის სანაგვეზე“ გადაგდებით. ვისწავლეთ კი რამე, ისტორიას, როგორც ასეთს, ვინ ჩივის, უკანასკნელი ორიოდე ათეული წლის ჩვენი საკუთარი ბიოგრაფიიდან მაინც, რომელიც დროის ამ მონაკვეთის ჩვენთვის „სამემუარო“ ისტორიის, ჩვენ მიერ უშუალოდ, „ბიოგრაფიულად“, განცდილის, მომცველია? ნუთუ ამ პირადი ცხოვრებისეული გამოცდილების დონეზეც არ გვახსოვს და ამიტომ ვერც გაგვიცნობიერებია, ჭკუის სასწავლად, ჩვენი უახლოესი ისტორია, რომელიც ჩვენ თვითონვე გადაგვხდა თავს? ნუთუ ყველანი, მთელი ერი, ასე ვართ დაავადებული „ისტორიული ამნეზიით“, რომლის საბოლოო განმტკიცებასაც ლამობს ეს ხელისუფლება ამ თავისი, ერის ერთიანად გამომათაყვანებელი, მისი სულითაც და, აქედან, ხორცითაც წარმწყმედი, „რეფორმებით“? ქვეყანა – პრესა, რადიო, ტელევიზია, ერთობ ჩვენი ცხოვრება – უკვე ყარს ჩვენი უგნურებით, უმეცრებით, უზნეობით, ყარს გაუნათლებლობით, უკულტურობით. მართალია, არც მანამდე ვიყავით, ილიას „ბედნიერი ერის“ იმ „ვარდებიან-ხავერდოვან“ 2003 წლამდე, ამ მხრივ სურნელოვანნი, მაგრამ მაშინ ასე მაინც არ ვყარდით. ახლა, მას შემდეგ, რაც ესენი მოვივლინეთ ჩვენს თავს, „დემოკრატიის შუქურა“ იეჰუები, ატმოსფერო ამ სიმყრალითაა გაჟღენთილი, სულითა და ხორცით ხრწნის სპეციფიკური იეჰუური სიმყრალით. ამასაც ვერ ვგრძნობთ? გულის რევის შეგრძნება არ გვაწუხებს?

ხოლო, თუკი ეს ასეა, მაშინ მართლაც ვყოფილვართ ღირსნი ამ მთავრობის (მისი, იგულისხმება, „ქვეკომიტეტების“ ჩათვლით: მთავრობის ყოველგვარი თვითნებობის დამაკანონებელი პარლამენტისა და გამამართლებელი სასამართლოსი). მაგრამ ამის ერთხელ და სამუდამოდ სამომავლო დასკვნითი აღიარება აშკარა სულმოკლეობა იქნებოდა, შეუფერებელი თავისუფალი, ე. ი. ოპტიმისტი, ადამიანისთვის („პესიმისტური თავისუფლება“, ისევე როგორც, სხვათა შორის, „თავისუფლება“, ნურც ამას გავიკვირვებთ, „ჰედონისტური“, მისი სიამოვნების კრიტერიუმით, „ევდემონისტური“, მისი ბედნიერების კრიტერიუმით, „უტილიტარისტული“, მისი სარგებლობის კრიტერიუმით, ნონსენსია). ოპტიმისტი კი ისაა, ვინც განსაცდელს ლაჩრულად თვალს კი არ არიდებს, არამედ ვაჟკაცურად თვალს უსწორებს მას, თავის მოიმედე, ხსნის მტკიცე რწმენით. მაშ, ვიყოთ ჩვენც ოპტიმისტები –

გონებით ფხიზელი რეალისტები, ნებით უდრეკი იდეალისტები, რადგან მხოლოდ როგორც ასეთნი შეიძლება ვიყოთ თავისუფალნი, ამ ჩვენი საპატრონო თავის ბედის თავად ჩვენვე მჭედელნი, და არა სხვის, ვინც უნდა იყოს, შინაური თუ გარეული, გლახა მათხოვარნი, თავისთვის ვერ მომივლია, იქნებ შენ მომიაროო. ნუ ვიქნებით საცოდავნი: გვინდა, რომ ვისმე ვეცოდებოდეთ? – სხვისი არ ვიცი და მე – არა, რადგან შეცოდების (სიბრალულის) გრძნობა, თავისთავად თითქოს გულკეთილობის მაუწყებელი, ღრმად რომ ჩავუკვირდეთ, ვაჟა-ფშაველას თქმით, „ბატონკაცური“ გრძნობაა, შემცოდებლის უცნობლადაც, ზემოდან ქვემოთ მიმართული. სხვაა თანაგრძნობა, რომელსაც მხოლოდ გულშეუმკრთალნი „მებრძოლნი შავის ბედისა“, ანუ თავისუფალნი, იმსახურებენ და მასთან „ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისაო“ თანადგომასაც.

ერისა და მთავრობის (ხელისუფლების) ჩვენთვის საბედისწერო ამ, ფერი ფერსაო, „მოჯადოებული წრის“ გარღვევა მხოლოდ თვით ჩვენშია, ჩვენ შიგნით, შესაძლებელი, თითოეულისა ცალკე და ყველასი ერთად ზნეობრივ ცნობიერებაში, იმ ძალის წყალობით, რომლის სახელიც, კვლავ ვიტყვი, „თავისუფლებისადმი ნებაა“ და რომელსაც გარედან, საითკენაც ვიხედებით თვალდაჭყეტილები და, ლაქლაქის ანტრაქტებში, პირდაფჩენილები, ვერავინ მოგვაშველებს, ძალიანაც რომ სურდეს, „ჰუმანიტარულ დახმარებასავით“, როგორც რამ საქონელს. ამიტომ ამ გაუთავებელ, საცოდავ-საზიზღარ „რა გვეშველება?“-ზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება იყოს, სხვა არ მოიპოვება: არაფერი, გარდა იმისა, რომ ვიყოთ თავის უფალნი, თავის ზნეობრივნი ბატონ-პატრონნი, და არა ამ ჩვენი ჩვენგანვე დაობლებული უპატრონო თავის, მისი ქვენა ინსტინქტებისა და ბრმა აფექტების, უზნეო მონა-მორჩილნი.

საპირისპიროდ არა მარტო ჩვენში გავრცელებული წარმოდგენისა, თავისუფლება “რაც მინდა“-ს ქმნა სრულებითაც არაა, ეს თვითნებობაა, თოულენდის მოსწრებული თქმით, ისევე დაშორებული თავისუფლებას, როგორც თავისუფლება – მონობას, რაზეც, დაზუსტების მიზნით, მხოლოდ ერთს ვიტყოდი, რომ თვითნებობა იგივე მონობაა, სახელდობრ, თავისმონობა, სათავე სხვის მონობისაც და მის ტყუპისცალ სხვის უფლობისაც, იმავე მონობის ამ „პრივილეგირებული“ ფორმის; არა, თავისუფლება ამ

თვითნებური „რაც მინდა“-ს კი არა, „რაც უნდა“-ს ქმნაა, უკეთ, „რაც უნდა, ის მინდა“-ს ქმნა. კანტის წარუვალი დამსახურება კაცობრიობის წინაშე სწორედ ისაა, რომ მან ცხადყო, როგორც სხვამ არავინ, რომ მხოლოდ **ზნეობის კანონმორჩილი** ადამიანი შეიძლება იყოს თავისუფალი, ანუ სინდისის იმპერატიული ხმის მორჩილი, სინდისისა, რომელიც, როგორც ვაჟა იტყოდა, თვით ღმერთია ჩვენში. ალბათ ამის გამო ითქმის, რომ, თუ ადამიანი მართლაა ღმრთის ხატი და მსგავსი, ეს – სწორედ და მხოლოდ როგორც თავისუფალი: თავისი ზეციერი უფლის ხატი და მსგავსი თავისი ქვეყნიერი უფალი. და ამიტომაც გვეუბნება ილია, გამგებისათვის გასაგებად: „ჭეშმარიტი თავისუფლება რკინის ბორკილია ბოროტისათვის“.

დავადოთ თავისუფლების ეს ზნეობრივი „რკინის ბორკილი“ ჩვენვე ჩვენსავე იმპულსურ თავს, იმ ცხოველს, რომლის კულტურულ უფლადაც, მისთვისვე სასიკეთოდ, მის გასაკეთილშობილებლად, ვართ მოწოდებული, და მაშინ კიდეც გვეშველება რამე, რადგან ასეთნი ვართ, ადამიანები, თვით ჩვენი წარმოშობით, საშემდგომოდ ჩვენდავე საკანონნიმუშოთი: პირველი ცხოველი, რომელიც „მოიშინაურა“ ჩვენმა წინაპარმა მხეცკაცმა (მაშინდელმა „იეჰუმ“), ძაღლი კი არ იყო, როგორც გვეუბნებიან ხოლმე, არამედ სწორედ ეს მისი, საკუთარი, ცხოველი თავი, რაც იყო კიდევაც მისი თავისუფლების, იმავე კულტურის, პირველი, ფუძემდებელი აქტი, ამ მხეცკაცის თავისუფალ არსებად გარდამქმნელ-დამდგენი და, მაშასადამე, მისი გამაადამიანებელიც; და რითაც, ამგვარად, დაედო სათავე ნამდვილ ისტორიას, რომელიც სხვა არა არის, თუ არა თავისუფლების დრამა, აღსავსე ჭეშმარიტი, მაღალი ტრაგიზმით, დრამა, ქსავიე დე მესტრის არ იყოს, გაუთავებელი ბრძოლისა, წარმოებულის გარდამავალი უპირატესობით ადამიანის ნებასა და იმ ცხოველის ნდომათა შორის, ჩვენვე რომ ვართ, ამ თავით ჩვენით, საზოგადოდ ადამიანები. ასეა, თავისუფლება – თავისუფლებისთვისვე მუდმივი ღვწაა, ესე იგი, მისთვის მუდმივი ზრუნვა – შრომა და ზრუნვა – ბრძოლა, პირველ ყოვლის, საკუთარ სულში, ანუ იგივე კულტურა, როგორც შემოქმედებითი ღვწა სიკეთისთვის, ამ სიტყვის საზოგადო – ზოგადზნეობრივი ღირებულებითი მნიშვნელობით, და რომლის სახეებიცაა, სახელდობრ, სიკეთე, საკუთრივ (მორალური სიკეთე), ჭეშმარიტება (ინტელექტუალური სიკეთე), მშვენიერება (ესთეტიკური

სიკეთე), სხვა ყოველივე დანიშნულებით სასიკეთოთითურთ, მათ შორის, პოლიტიკურით, სამართლებრივით, ეკონომიკურით და ა. შ. ამიტომაც ითქმის, რომ თავისუფლება ადამიანის „ჭირ“-ნახულია და ამის გამო მისთვის „ძვირ“-ფასიც („თავისუფლების იდილია“ სენტიმენტალური იდიოტების წარმოსახვაშია).

და აი, დავსძენ აქვე, ისტორიის მაინცდამაინც ეს დიადი დრამა ვაქციეთ ჩვენ, XXI საუკუნის დასაწყისის ქართველებმა, ყოვლად უშვერ, საპორნოგრაფიო, არა საისტორიოგრაფიო, ფარსად: მოვაწყვეთ, „ღმრთის ხატებმა და მსგავსებმა“, თვით სულიწმიდის შეურაცხმყოფელი საერთოეროვნული თვითგაუპატიურების ორგია კინტოური ტაშ-ფანდურით და ამას დავარქვით „რევოლუცია“... დღეს კი, აქაოდა არცოდნა – არცოდვაო, ურცხვად თავს ვიმართლებთ, არ ვიცოდიო, და, ამისთანა ზნეობრივი ავლადიდების მქონენი, ვეძებთ „საშველს“, დღესაც იმ ელემენტური ჭეშმარიტების უმეცარნი, ვერ შემგნებნი, რომ არსებობს უმეცრება, რომელიც ცოდვაა, თანაც მომაკვდინებელი. საუბარია, სახელდობრ, ალბათ ვხვდებით, ყოფნა-არყოფნის დარ ცოდნა-არცოდნაზე ზნეობის კანონ-მცნებათა, რომელთა ჩვენდა მაუწყებელი და შემახსენებელი ჩვენი საკუთარი სინდისია, მისი ჩვენი მათავისუფლებელი მბრძანებელი ხმა.

ხოლო, რაც შეეხება, ისევ და ისევ, ჩვენს „საშველს“, რომელსაც ვეძებთ ცხოვრების ზედაპირზე, ნაცვლად იმისა, რომ ჩავაკითხოთ მას ჩვენი, ამ ცხოვრების მოქმედ პირთა, ცნობიერების შიგნით, მის, ადამიანის საღი, მღვიძარე სინდისისთვის, მხოლოდ და მხოლოდ, ხელმისაწვდომ, სიღრმეში, – ამ „ვერ ვნახე, დაკარგულიყო“ „საშველის“ სხვა „რეცეპტი“, იმის გარდა, რაც ითქვა, ვიმეორებ, უბრალოდ არ არსებობს და „საქადაგებელიც“ აქ არაფერია: მხოლოდ მითითება და შეხსენება შეიძლება, დანარჩენი ყოველივე, უამწინაპირობოდ, ამაოა (პარტიები, მათი პროგრამებით, ექსპერტები, ანალიტიკოსები, როგორნიც გვყვანან, ასევე მიტინგები, მანიფესტაციები და სხვა ამგვარი, თავისთავად, რა თქმა უნდა, საჭირონი, მაგრამ მხოლოდ ამ, ზემოხსენებული, წინაპირობით). შევძლებთ კი ამას? – თუ ეს ნამდვილად ისაა, რაც „უნდა“, მაშინ უნდა შევძლოთ კიდევაც. ვისთვისაც კენიგსბერგელი ბრძენის **„ძალგიძს, რამეთუ შენ უნდა (გმართებს)“** უქმი სიტყვაა, ცხოვრება მისთვის დაკარგულია: ცხოვრების სარბიელზე ზნეობრივ იმპოტენტებს, თავისმონებს, არაფერი ესაქმებათ. და,

თუკი ასეთი რამ ჩვენზე ახდა, მაშინ... „ჩვენ წავალთ და სხვა შემოვა, ჩვენს ნადგომზე ისადგურებს“. ხომ გვსმენია „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“? – „კაცობრიობისთვის“ ამ ჩვენი ამბით მხოლოდ ეს მოხდება, მეტი არაფერი. ასე რომ, ქვეყნიერება ამით არ დაიქცევა. ისევ ჩვენ ვიკითხოთ... არყოფნაში.

ამიტომაც, რათა ასეთი უსახელო ხვედრი ჩვენდა სასირცხოდ ჩვენვე არ ვარგუნოთ ჩვენს თავს, უნდა გვახსოვდეს, რომ ერის სიცოცხლისუნარიანობა, უპირველეს ყოვლისა, მისი თავისუფლებისუნარიანობით, ანუ თავისუფლებისადმი გონებისგან ბუნებითად განუყრელი ნებით, განისაზღვრება, რადგან ეს და მხოლოდ ეს ნებაა თავისუფლებისვე შინაარს ერთობ კულტურის, მისი ღირებულებებითურთ (სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება), მასულდგმულებელი. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, წინააღმდეგ ისეთ შემაპირისპირებელ გამოთქმათა, როგორიცაა „პოლიტიკა და კულტურა“, „სამართალი და კულტურა“, „ეკონომიკა და კულტურა“, პოლიტიკაც, სამართალიც, ეკონომიკაც თავისუფლების სწორედ ამ შინაარს კულტურის დარგებია, რომლებიც, მის სხვა დარგებთან ერთად, კულტურის ერთი რამ ორგანული სისტემის შემადგენელნი, ცოცხალ, დინამიკურ ურთიერთმოქმედებაში იმყოფებიან. მე მგონია, თავისუფლების სწორედ ასეთი თვითკმარობის, მისი, როგორც კაცის ადამიანობის თავიდათავის, თავ – მიზეზისაც და თავ – მიზნისაც, ამდაგვარმა გაგებამ ათქმევინა ალექსის დე ტოკვილს ეს ღირსსახსოვარი სიტყვები: „ვინც თავისუფლებაში ეძებს სხვა რასმე, თვითონ მის გარდა, ის მონადაა შექმნილი“. ხოლო, რა სახელმწიფოს, მისი პოლიტიკით, სამართლით, ეკონომიკით, „აღმაშენებელნი“ შეიძლება იყვნენ მონები, ადვილად წარმოსადგენია.

მაგრამ არა, ჩვენს „სუპერტექნოლოგიურ“ დროში, როდესაც არსებობს ადამიანთაშორისი ლამის ინტიმური ურთიერთობებისაც კი მასტანდარტიზებელი ტექნოლოგიები (რასაც ადრე ამ ტექნოლოგიზმის ისტორიულად ნება-უნებლიედ შემამზადებელი „ესთეტები“ წინდაუხედავად „ხელოვნებას“ უწოდებდნენ), სავსებით შესაძლებელია, რაკიღა ბეკონისეული „ცოდნა“ ბატონობის იმორალურ ძალადაც გამოდგება, შეიქმნეს „ცივილიზებულ მონათა“ „ლიბერალურ-დემოკრატიული“ სახელმწიფო, რომლის მოქალაქენიც, მათს ცნობიერებაზე „თავისუფალი“ მასმედიის ტექნო-

ლოგიური ზემოქმედებით ჯეროვნად დაპროგრამებულნი, იმოქმედებენ, პირადი თავისუფლების სრული ილუზიით, უკვე მათ აზრად და ნებად ქცეული სხვათა პროგრამის თანახმად (ვერათვისებული „ჯიუტები“ კი ტექნიკურადვე სოციალურად „მარგინალიზებული“ შეიქნებიან), – რაც ასევე ადვილადაა წარმოსადგენი; ისევე როგორც, სხვათა შორის, ადვილად წარმოადგენია ამ „ტექნოლოგიური ცივილიზაციის“ პროგრამით გაუთვალისწინებელი „აფეთქებაც“ (რადგან თავისუფლების გონი საპროგნოზოდ კალკულირებადი არაა და ამდენად არც „პროგრამირებადი“), ეს უკვე – ჩვენ, ამ „პროგრესის“ მაჩანჩალა „ობიექტთა“, ჯერჯერობით სანუგეშოდ, ვიდრე საკუთარი თავის სრულფასოვან სუბიექტად აღვდგებოდეთ ღმრთის მადლითა და ჩვენი გარჯა-მხნეობით. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, „საშველის“ ყველა გზას ისევ და ისევ მაინც რომისკენ მივყავართ, – თავისუფლებისკენ. ჩვენც მისკენ გვეჭიროს თვალი.

თავისუფლება, როგორც ცნება (და, მაშასადამე, შესაბამისი საგანიც), ფილოსოფიის, სახელდობრ, მორალფილოსოფიის კატეგორიაა, თავის თავში ფილოსოფიის არსებითად მთელი პრობლემატიკის შემცველი. ამიტომაც ამბობენ მასზე, ცნებითად ძნელად მოსახელთებელიაო. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი, ამ თავისი ფილოსოფიური ყოვლისმომცველობით თვით ღმერთს მიწევნილი, ფილოსოფიის ურთულესი ცნებაა. რას იზამ, ჯერ კიდევ სოლონს უთქვამს, კარგი ძნელიაო, და, რაკი თავისუფლება ყველაზე კარგი, „ტურფა“ რამაა, ჩანს, ამიტომაცაა იგი „საცოდნელად“ ყველაზე „ძნელი გვარი“. ხოლო, თუ მაინცდამაინც ადვილი გვინდა, ვიყოთ ისე, როგორც ვართ: ცუდი ადვილია. ამით მე სრულებითაც არ ვგულისხმობ იმას, თითქოს, რათა თავისუფალნი ვიყოთ, ყველანი ფილოსოფოსებად უნდა ვიქცეთ, არა, რა თქმა უნდა; არამედ იმის თქმა მსურს, ამ შემთხვევაში, რომ „თავისუფლება“ ჭკუამოკლეთა გრძელი ენის წამოსაკრავი სიტყვა არაა და რომ აუცილებელია ცოდნა-გაგება მისი ნამდვილი მნიშვნელობის მაინც, სიტყვის მნიშვნელობის, რომლის უკვე თეორიულ გააზრებასაც, ჩვეულებრივ, მეტაფიზიკის მიღმეთში გადაბიჯებით, ცდილობს ფილოსოფია, აგერ ორნახევარი ათასწლეულია, თავის უდიდეს შემოქმედთა სახით; თუმცა ალუდა ქეთელაურს არანაირი ფილოსოფია არ დასჭირვებია, ისევე როგორც ჭეშმარიტ, გულით მორწმუნეს საამისოდ – თეოლოგია, რომ ყოფილიყო თავი-

სუფლების გონის პიროვნულად ხორცშესხმული ცოცხალი სახება. კონფუციუსის გამაფრთხილებელი „როდესაც სიტყვები კარგავენ მნიშვნელობას, ადამიანები თავისუფლებას კარგავენ“, რაც მის თანამედროვე აზრის ხელოვან ბერძნებს აზრადაც არ მოსვლიათ (ისევე როგოც ბუდას „ღმერთსაც კი არ ძალუძს, დამარცხებად შეცვალოს გამარჯვება ადამიანის, რომელიც მოერია საკუთარ თავს“, – ამასაც კარგად, გულიანად ჩავუფიქრდეთ), განა პირველ რიგში თვით სიტყვა „თავისუფლებას“ არ ეხება, თუ იგი არსებობს ამ ენაზე? —

თუ თავისუფლების ცნება ფილოსოფიის „საკუთრებაა“, მაინცდამაინც კი მორალფილოსოფიის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, როგორც ასეთი, არაა, ზოგს როგორც ჰგონია, საკუთრივ იურიდიული ცნება, – საწინააღმდეგოდ გაუგებრობისა, წარმომდგარის განურჩევლობისგან თავისუფლებასა, თავისთავად, და მის უფლებას შორის, რომელიც, თავისუფლების სრულფასოვანი რეალიზაციისა და ფორმირებისთვის უდიდესი დანიშნულება-მნიშვნელობის მქონე, მართლაც იურისპრუდენციის კომპეტენციაშია (არსებობს მორალური უფლებაც, რაზეც აქ საუბარი არაა). ტრადიციულად, კონსტიტუციური სამართლის პრინციპების ჩამოთვლისას, თავისუფლების უფლებასთან ერთად მოიხსენიება ხოლმე სიცოცხლის უფლებაც (რომელიც, კაცმა რომ თქვას, თავისუფლების უფლებაშივე იგულისხმება: მკვდრის თავისუფლება არავის ჰსმენია), თუმცა სიცოცხლე, ამაში ალბათ ყველა დაგვეთანხმება, იურიდიული ცნება არაა, არამედ ბიოლოგიის ცნება (და ამისივე საგანიც). ანალოგიური სურათი გვაქვს თავისუფლების შემთხვევაშიც, ერთი ყურადსაღები განსხვავებით: თავისუფლების ცნება შედის სამართლის ფილოსოფიაშიც, რომელიც, ფილოსოფიის ეს დარგი, ამდენად განიხილება კიდევაც, როგორც სამართლის, საკუთრივ, ფილოსოფიური საფუძველი და რომელშიც ჯეროვანი ჩახედულობა ფუნდამენტური იურიდიული ერუდიციის, შესაბამისად, ფილოსოფიური კომპონენტია.

როგორც უნდა იყოს, აღნიშნული აღრევა-განურჩევლობა თავისუფლებისა და მისი უფლების (და, მაშასადამე, საერთოდ უფლების, რომელიც, განსხვავებით მოვალეობისგან, თავისი სუბიექტისთვის არაა იმპერატიული: მინდა ვისარგებლებ ჩემი უფლებით, მინდა – არა) არცთუ მთლად „უვნებელ“ ილუზიებს ბადებს, რადგან ადამიანებს ამის გამო ექმნებათ შთაბეჭდილება,

რომ, თუ მათ კონსტიტუციით გარანტირებული (და სასამართლოთი დაცული... როგორც ჩვენშია...) ეს უფლება აქვთ, ისინი უკვე ნამდვილად არიან თავისუფალნი, – სათავე ერთგვარი პარაზიტული შეუგნებლობის: თავისუფლების უფლება "მომანიჭა" კანონმდებელმა, მაშ, ვარ კიდევაც თავისუფალი, ამ მხრივ, პირადად, საზრუნავი აღარაფერი მაქვს. და ეს მაშინ, როდესაც თავისუფლების უფლების უზრუნველმყოფი სამართლებრივი პრინციპი თუ ნორმა (კანონი) თავისუფალ არსებად კი არ გვქმნის (ასე რომ ყოფილიყო, ყველანი კანონმდებლის "პროდუქტები" ვიქნებოდით, – თანამედროვე, „ლეღვის ფოთოლივით" „ნეო"-მიწებებულ ნეომარქსისტ „ლიბერალ"-გლობალისტთა სახიფათო ამაო ოცნება), არამედ გვიქმნის მხოლოდ გარე სოციალურ სამართლებრივ შესაძლებლობას, ვიყოთ ამიერიდან სხვისგან (და, უწინარეს ყოვლის, თვით ხელისუფლებისგან) დაუბრკოლებლად თავისუფალნი, რაც უკვე – თვითონ თავისუფლება, ხსენებული შესაძლებლობის პირობებში, – მთლიანად საკუთრივ ჩვენი, პიროვნულად, ზნეობრივი შემძლეობა-ძალისხმევის საქმეა. ამიტომაც პოპულარული გამოთქმა „თავისუფალი მსოფლიო", მეტი რომ არ ვთქვა, არც ისე ზუსტია, რადგან ეს მსოფლიო, თუ სიტყვებს მათს მნიშვნელობას არ დავუკარგავთ, სხვა არა არის, თუ არა მსოფლიო მასში შემავალ სახელმწიფოთა, სადაც მოქალაქეებს თავისუფლების უფლება აქვთ უზრუნველყოფილი, რაც ბევრს მათგან სრულებითაც არ უშლის ხელს, იქნებ აქეზებს კიდევაც, ამ უფლების საფარველქვეშ ღორებივით იჭყუმპალაონ თავისებურად გაგებული „თავისუფლების" მწვირეში (რასაკვირველია, მათ მიერ იმავე გარესამართლებრივი გარკვეული პირობების დაცვით). რა თქმა უნდა, უკანასკნელი გარემოება, როგორც იტყვიან, თვით „საგნის ბუნებიდან" გამომდინარე, ოდნავადაც არ ამსუბუქებს იმ უმძიმეს პასუხისმგებლობას, კანონმდებელს მისი მოვალეობა რომ აკისრებს, კანონის შემუშავებისას ჯეროვნად აწონ-დაწონოს, რამდენად უპასუხებს ეს ნორმა თავისუფლების ზნეობრივ პრინციპებს, რომლის სასიკეთოდაც უნდა მოქმედებდეს კანონმდებელი ყველა შემთხვევაში (წარმოვიდგინოთ ამ როლში ჩვენი ახლანდელი პარლამენტარები), რადგან სამართალს, თავისუფლების „შექმნა" არა და, წარწყმედა ნამდვილად ძალუძს, თუ იგი ისეთია, როგორიცაა დღევანდელ საქართველოში, ადამიანის სათავისუფლო – ზნეობ-

რივ ცნობიერებაზე თავისი გამხრწნელი, გარედან შიგნით, ზემოქმედებით.

ამიტომ მგონია, რომ ჩვენ, აი ამ გამხრწნელი სამართლებრივი პრომისკუიტეტის აშმორებულ გარემოში მცხოვრებთ, გვმართებს ამაზეც, რაც ითქვა, სწორედ ამ კუთხით, სერიოზულად დაფიქრება ამთავითვე, სანამ ამჟამინდელი უსამართლობის შხამიანი ზინზლისგან მტკივნეული განბანვის „სადეზინფექციო“ დღე დაგვიდგება, საამისოდ ყოველმხრივ მზადმყოფთ წინასწარვე. და ვამბობ ამას იმიტომ, პირველ ყოვლის, რათა ჩვენს, ჩვეულებისამებრ, „ენთუზიასტურ“ ბრძოლაში სხვადასხვა უფლებისთვის, სათანადო შეგნების უქონლობის გამო, რაა თავის „ნამდვილ სინამდვილეში“ თავისუფლება, რომელსაც უკავშირდება ეს უფლებები, ჩვენი ცნობიერების მღვრიე წყალში მტერმა, ცხადმა თუ ფარულმა, არ დაიჭიროს თავისთვის ორაგულები: როგორ, ეს ხომ ადამიანის უფლებაა! ეს ხომ მთელ მოწინავე მსოფლიოშია მიღებული! – ჭკუასუსტთა გასაბრიყვებელი ასეთი შეძახილ-„არგუმენტებით“ შეეცდებიან, შემოგვაპარონ „უფლება“, რომელიც ჩვენს თავისუფლებას უფლებას აჰყრის... თავისუფლება – სამსხვერპლო თავისუფლების „უფლების“... და აქვე. არ არსებობს თავისუფლება არც „ცუდი“, არც „ჭარბი“, იგი, როგორც ასეთი, ე.ი. აბსოლუტური სიკეთე, ამიტომაც არც არანაირ სამართლებრივ შეზღუდვას არ საჭიროებს, არამედ ზოგიერთს ვსაჭიროებთ ჩვენ, „სუსტი არსება“ ადამიანები, რათა ვიაროთ, რამდენადაც შესაძლებელია, არც „მარცხლ“, არც „მარჯულ“ ცოდვა-დანაშაულისკენ გადაუხრელად, სწორედ და მხოლოდ თავისუფლების გზით, რომელიც, დიახაც, „იწრო არს“, და არა სათარეშო შარა თვითნებური „რაც მინდა“-სი. ამოტომაც ვამბობ, რომ ადამიანი, დანაშაულის ჩადენისას ამ ქმედების მაიძულებელი გარეშე (სხვისმიერი) ძალდატანებისგან, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთს შემთხვევაში, „თავისუფალი“, სინამდვილეში არაა თავისუფალი, არამედ მოქმედებს მაინცდამაინც, როგორც თავისმონა, და ამისთვისაც ისჯება იგი (საიდანაც – თავისუფლების ყოველ შემთხვევაში მორალურად სავალდებულო ხასიათი).

ადამიანებს რომ შესძლებოდათ, მხოლოდ თავისი ზნეობრივი შემძლეობა-ძალისხმევით უზრუნველეყოთ თავისუფლება ურთიერთშორის და მით თვითონ საზოგადოების არსებობაც, მაშინ არც სახელმწიფო იქნებოდა საჭირო და არც, მაშასადამე, სამარ-

თალიც, სასჯელის შიშით გარედან მაიძულებელი თავისი ნორმებით, პრაქტიკულად გარანტირებულით ხელისუფლების, სახელდობრ კი, სასამართლოს მიერ. მაგრამ „მაშინ“ ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე ჩვენ კი არა, ჩვენი „ადამიანური სისუსტეებით“, არამედ ანგელოსები იცხოვრებდნენ და ქვეყანაც, დასაბამიდან ქვე – ჯოჯოხეთსა და ზე – სამოთხეს შორის მყოფი, სამოთხედ გადაიქცეოდა, რომლის სააქაოდ დამკვიდრების „ჰერეტიკულ“ მცდელობას (ღმრთისა თუ ჩვენი საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოს?), როგორც ცნობილია, ყოველთვის შედეგად მხოლოდ უზნეობა-უსამართლობის ჯოჯოხეთი მოჰყოლია; საიდანაც სრული, ნამდვილი თავისუფლების – ასეთი უპირობო პირობა: ზნეობისა და მასთან სამართლის, ურთიერთშემავსებელთა, შიგნიდან და გარედან, კანონმორჩილება; აქედან კი – პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნების ძირითადი, მთავარი პრობლემაც: თავისუფლების შეუვალობისა და ხელისუფლების უცილობლობის ურთიერთშეთავსება (რის გარეშეც თავისუფლება დაუცველია, ხოლო ხელისუფლება – გამხრწნელი) (ერთხელაც შევახსენებ მკითხველს, რომ ახლაც მორიგი, კიდევ უფრო დიდი და ამიტომაც კიდევ უფრო საშიში, ამასწინანდელი მარქსისტულ-კომუნისტური „გლობალური სამოთხის“ მემკვიდრე უკვე ნეომარქსისტულ-“ნეოლიბერალური“ „გლობალური სამოთხის“ უტოპიის ხანაში ვცხოვრობთ, – უტოპიისა, რომელმაც, სანამ ისტორიის საიქიოს უსახელოდ ჩაჰბარდებოდეს, თავისი უახლესი „ტექნოლოგიების“ წყალობით შეიძლება არაერთი ერი, თავისუფლების ნებადადამბლავებული და კულტურულად დაძაბუნებულ-განიარაღებული, რაზეც „პირზე ოფლგადამდინარედ“ იღვწის კიდეც საქართველოში მისი ხელისუფლება, უსახელოდვე წინ გაიმძღვაროს იმავე მისამართით).

ხოლო იმისთვის, რათა შეეძლოს სახელმწიფოს, როგორც ერის საადამიანო, ანუ სათავისუფლო, ღირსების გარანტ პოლიტიკურ-სამართლებრივ ინსტიტუტს, ამ თავისი მოწოდების სიმაღლეზე იყოს, აუცილებელია, მის სათავეში იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, არა ისეთნი „გაარსებებულნი არარანი“, ან, გნებავთ, „უარსებო არსებანი“, როგორნიც გვყვანან, დღეის ქართველებს, რომლებიც, ჩვენგანვე „გამოჭედილი“ ბედის დაცინვით, არც შეიძლება თავისადმი, ერთი შეხედვით თითქოს ბუნებრივ, აგრესიულ გრძნობას იწვევდნენ ჩვენში, რადგან ასეთი გრძნობა, შეუძ-

ლებელია, კაცს ჰქონდეს თუნდაც „ანთროპომორფულ“ არარა-თადმი; არამედ – მხოლოდ ზიზღს, ისიც, თუ კარგად დავფიქ-რდებით, არა იმდენად მათზე მიმართულს, რამდენადაც ჩვენს სა-კუთარ თავზე, რომ „ესენი“ ვაქციეთ სერიოზულ პრობლემად ჩვენი ქვეყნისთვის. და ჩემი „ინვექტივებიც“, თუ ვინმე ზნეფაქი-ზი ასეთად მიიჩნევს ჩემ გამონათქვამთ ამ ხელისუფლებაზე, სი-ნამდვილეში წარმოადგენენ ერთგვარ მცდელობას, შეძლებისა-მებრ მეტაფორულად მაინც ზუსტად აღვწერო, თუ არ „განვსაზ-ღვრო“, ეს ჩვენი „უარსებო ეროვნული ფენომენი“, ტერმინების ლოგიკურ ენაზე გასააზრებლად და გამოსათქმელად, ვამბობ ჩემ-და თავად, „არსებითად“ შეუძლებელი. მაგრამ მთავარი ამ შემ-თხვევაშიც სხვაა, რადგან ხსენებული, დაე, ასე იყოს, „ინვექტივე-ბი“, ბოლოს და ბოლოს, ისევ მე მიბრუნდება, როგორც ერთ-ერთ „ჩვენგანს“, ვისაც გვედება ისტორიული ბრალი ერის წარსული-საც და მომავლისაც წინაშე იმის გამო, რაც ქართველებმა მოვი-მოქმედეთ, ან დავუშვით, ღმრთისმგმობელებივით 2003 წლის გი-ორგობისთვის გიორგობის დღეს (თარიღი, როგორც ირწმუნები-ან, მეგობრულად რეკომენდირებული „რევოლუციების ტექნო-ლოგ“ „იქაური“ გორილების მიერ მათი მობაძავი აქაური მაკაკე-ბისთვის); და ეს იმის მიუხედავად, რომ მე, „პირადად“, არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია, ვისთვის სასაცილო, ვისთვის სასირ-ცხვილო, ნამდვილ რევოლუციებთან უკაცრაული პასუხია და, ამ „რევოლუციაში“. ლოგიკურობა საკუთრივ ზნეობრივ საკითხებ-შიც გვმართებს, რადგან სინდისი განუსჯელად არასდროს მოქმე-დებს.

კარგა ხანია, არსებობს დაკვირვება, რომ ადამიანები, სწო-რედ როგორც თავისუფალი არსებები, დაჯილდოვებული არიან, სხვა ცხოველთაგან განსხვავებით, აწმყოდან წარსულსა და მომა-ვალში პიროვნული ტრანსცენდირების (მე-ობითი დროში „გაღმა-გაბიჯების“) უნარით, საიდანაც წარმოდგება ისეთი, თავისთავად ფრიად საგულისხმო, ფენომენი, როგორიცაა კითხვა, დამახასია-თებლად ნიშნეული ადამიანთა დამოკიდებულებისთვის მაინცდა-მაინც საკუთარი ერის წარსულისა და მომავლისადმი: რანი ვიყა-ვით, ვთქვათ, „ჩვენ“, ქართველები, ასი წლის წინათ (როდესაც „ჩვენ“ და, მაშასადამე, „მეც“ ჯერ დაბადებული არ ვიყავით)? და რანი ვიქნებით ასევე „ჩვენ“, ქართველები, ასი წლის შემდეგ (რო-დესაც „ჩვენ“ და, მაშასადამე, „მეც“ უკვე ცოცხალი არ ვიქნე-

ბით)? თუ არა ეს დროითი ტრანსცენდირების უნარი, ადამიანი პირუტყვივით მიჯაჭვული იქნებოდა თავის აწმყოს, მისიც ამიტომ ვერ მაცნობიერებელი, საკუთარ არსებობაში მკვეთრად ზღვარდებული თავისი დაბადებისა და სიკვდილის მომენტებით და ამნაირად მოკლებული იმ ღრმად პიროვნულ კავშირს რაგინდ შორეულ ისტორიულ წარსულსა და, აქედან, მომავალთანაც, რომელიც ბადებს კიდევაც ადამიანში, ნაცვლად „მოკვდავი“ ვიწრო ინდივიდუალურისა, უკვე ფართო პერსონალური „გონითისტორიული უკვდავების“ რეალურ ზნეობრივ განცდას, მის ამამაღლებელს საკუთარ წმინდა ფიზიკურ არსებობაზე, როგორც ამ, დროითი, განზომილებითაც „ღმრთის ხატ და მსგავს“ თავისუფალი მე-არსების (და რომლის, აი ამ ისტორიული ცნობიერების, მოშლაზეა პირდაპირ მიმართული ჩვენი „კულტურტრეგერი“ ხელისუფლების საგანგებო პოლიტიკა, მისი, პირველ ყოვლის, იმავე „სამეცნიერო-საგანმანათლებლო რეფორმებით“... და ამისდა მიხედვით მიმდინარეობს კიდეც განსაკუთრებით სატელევიზიო ეკრანებზე იმპორტირებული იდეოლოგიური კულინარიის რეცეპტებით პრიაპიზმის შხამიანი სანელებლებით შეზავებული „კულტურკამპფი“, რომელიც, გასაგებია, რაღაც მართლა კულტურისთვის ბრძოლა კი არაა, არამედ ბრძოლა ერის მადეჰუმანიზებელი და ასე თვით მისი, პიროვნულად, მადეპერსონალიზებელი ანტიკულტურისთვის).

სწორედ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ამავე რიგის ერთი, ასევე საგულისხმო, ფენომენი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები „თავისი“, ე. ი. თავისი ერის, ისტორიის შემადგენელ სხვადასხვა „ჩადენილ საქმესთან“ საკუთარი თავის ერთგვარ იდენტიფიკაციას ახდენენ, როგორც, მაგალითად: მცხეთის ჯვარი „ჩვენ“ (მათ შორის, „მეც“), ე. ი. ქართველებმა, ავაგეთ; და ვამბობთ ამას, ცხადია, იმის სრული შეგნებით, რომ ფაქტობრივად „ჩვენ“ ამ საქმის არანაირი მონაწილენი ინდივიდუალურად არ ვყოფილვართ. ამაში არაფერია „მისტიკური“, არამედ ესაა ზოგადზნეობრივი ცნობიერების ფაქტი მშობელი ერის ისტორიასთან ჩვენი ორგანული კულტურული (და, მაშასადამე, უპირველესად ზნეობრივი) ზიარებულობის, ისეთივე ფაქტური ძალის მქონე, როგორისაც ნებისმიერი სხვა, ფაქტად პატივსადები, რაკიღა აქ არავითარ „ილუზიაზე“ არაა საუბარი. ხოლო ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც წესი, ასეთს იდენტიფიკაციას ვეწე-

ვით ხოლმე (არა მარტო ქართველები...) ჩვენი ისტორიის სასახელო საქმეებთან, მაშინ როდესაც, ყველას მოგვეხსენება, არ არსებობს და არც არსებულა ერი, ეს „დიდი ადამიანი“, რომელსაც თავის ცხოვრებაში, რასაც ვუწოდებთ კიდეც „ისტორიას“, სასახელო საქმეებთან ერთად არ ჩაედინოს რაიმე საძაგლობაც: მისთვის, ისევე როგორც ცალკეული „პატარა“ ადამიანისთვის, არაფერი „ადამიანური“, კარგიც და ცუდიც, უცხო არაა. „წმიდანი ერი“ ისტორიამ არ იცის.

თავისთავად, ჩვენი, საერთოდ ადამიანთა, ზემოაღნიშნული „ზნე“ იმავე „ადამიანური სისუსტით“ აიხსნება, რაც, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ზნეობრივად, თანახმად „ეთიკის ლოგიკისა“, ჩვენი გამამართლებელია, როგორც გვჩვევია, თანამედროვე ქართველებს, სხვებზე „ისინიც ხომ“ მითითებით ფლიდური თავისმართლება (ეთიკაცა და ლოგიკაც, საზოგადოდ, მხოლოდ თავისუფალი, ანუ ზნეობრივად და გონებრივად სუვერენული, ადამიანის ბუნებრივი „პრივილეგიაა“, ვისთვისაც მაიმუნური „ყველგან ასეა“, თან „მოწინავე“ ერების სამაგალითო დამოწმებით, იმის გაურკვევლად, ამ მათს „მოწინავეობას“, მოცემულ შემთხვევაში, საითკენ მიჰყავს თვით ისინი, არგუმენტი არაა; სამაგიეროდ ჩვენი ხელისუფლება დემაგოგიურად ყოველთვის იშველიებს ასეთს ფრაზებს, ქვეყნის „ბატონ-პატრონ“ ხალხის გასაბრიყვებლად, როდესაც მას „არგუმენტი“ სჭირდება თავისი, რაც ნიშნავს, არა საქვეყნო, ინტერესისთვის). მეტიც, ამგვარ საქმეებში ულოგიკობას ადამიანები ხშირად აშკარა უზნეობამდე მიჰყავს ხოლმე. ამ ყაიდის ვინმე ქართველს რომ ვჰკითხოთ, ნუ გაგვიკვირდება, თუ მისი „ლოგიკით“, დიდგორის ბრძოლაში 1121 წელს „ჩვენ“ გაგვიმარჯვია, მაგრამ 1907 წელს ილია ჭავჭავაძე „ჩვენ“ არ მოგვიკლავს (თუმცა იმ ჭეშმარიტად საბედისწერო დღეებში მაინც ითქვა, საერთოეროვნული დანაშაულის ჯეროვანი შეგნებით: ჩვენ მოვკალითო). ხოლო გვახსოვს ალბათ, უკვე მაშინ ვაჟა-ფშაველამ წინასწარმეტყველურად რომ თქვა, ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავენო, მაშინვე მიხეილ წერეთელმაც, საქართველოს მომავალი მეეჭვებაო... გამოხდა ხანი და საქართველოს მართლაც მოევლინენ, ქართველ ბოლშევიკთა სახით, მისი მკვლელი შვილები ჩრდილოეთის ვერა და ვერ „გაევროპელებულ“ ბარბაროსთა ურდოს წინამძღოლებად 1921 წელს, რისი შედეგიც ცნობილია: ერის კულტუ-

რული „ჯიშის“, როგორც მოგვიანებით იგივე მიხეილ წერეთელი წერდა, შერჩევითი განადგურება, ფიზიკურიც და ფსიქიკურიც, რომლის ნაყოფს დღესაც ვხედავთ, საკუთარი თავის შემყურენი. მაგრამ ამით ერის მკვლელობის, „უკეთ“, თვითმკვლელობის, მცდელობა არ დამთავრებულა. ეს კი არა, მოხდა, რაც შეეხება ამ „თვით“-ს, უარესი: 2003 წელს თვით ერმა იკისრა იმ გადამთიელთა ურდოს როლი და, მოდი, ნუ გაგეცინება, თვითონვე დაიპყრო თავისი საკუთარი თავი, ოღონდ ახლა „ლიბერალური დემოკრატიის“ სახელს ამოფარებულ, სამათო „გლობალური“ დროის მოთხოვნისამებრ, „ენჯეოების“ (და ქუჩის) მედროვე გოგო-ბიჭების ხელმძღვანელობით.

მე მგონია, ის, რაც ვიხილეთ 2003 წლის, მივანიშნებ წინასწარ, „საწითელოქტომბრო“ ნოემბერში, – ვიხილეთ კი ტრაგედიულ პროტოტიპს მოკლებული პოლიტიკური პორნოფარსი, რომლის აბსოლუტურად უპრინციპო და უიდეალო კონტექსტში ავთენტიკურობა ყველაფერს აქვს დაკარგული, ამიტომაც წარმოდგენილს თავისი მხოლოდ ფსევდო- ან, უკეთეს შემთხვევაში, ერზაცფორმებით, – არსებითად, თავისი შინაგანი სოციოკულტურული ფსიქოლოგიური წამომავლობით, იყო ერის „შიდა კულტურული (გონითი, გონებრივი, საერთოდ შემოქმედებითი... – საამისო შემძლეობის თვალსაზრისით) პროლეტარიატის“ თავისებურად „კლასობრივი“, ხოლო თავისი, ასე ვთქვათ, ზნეობრივ-გონებრივი ჰაბიტუსით „ბოლშევიკური“ კონტრ-„რევოლუცია“ (თუ მაინცდამაინც სიტყვა „რევოლუცია“ გვინდა); ამასთან, განვმარტავ სავინიცობოდ, ვლაპარაკობ რა „პროლეტარიატზე“, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ მასში შემავალ ინდივიდუუმთა არა ფორმალურ ე. წ. სოციალურ სტატუსს, არამედ, ამისგან სრულიად განყენებით, მათს „ანთროპოლოგიურ ტიპს“. —

ასე ჩაენაცვლა ძველ რომაულ „ხმა ხალხის – ხმა ღმრთისა“-ს ახალქართული „ხმა ბრბოსი (წინასწარ დაყმევებულის) – ხმა ღმრთისა“, რასაც ემსახურებასავით კიდეც „დემოკრატიული“ პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება, მის მიერ მეცნიერებისა და განათლების სისტემაში ჩატარებული სწორედაც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე „საპროლეტკულტო რეფორმების“ საფუძველზე, ერის საბოლოო დეკულტურალიზაციის, ანუ (ვიმეორებ), რაც იგივეა, დენაციონალიზაციის, თავისთვის ერთადერთი საარსებო მიმართულებით.

ამით აიხსნება, და სხვა არაფრით, ის, რასაც ყველანი ვხედავთ: გონებრივად (მორალურ თვისებებზე ხომ საერთოდ არც ღირს ლაპარაკი) არასრულფასოვანი ელემენტების, „კონსტიტუციურად მშიერთა“ (რამდენიც გინდა აჭამო, მაინც რომ ვერ გაძღებიან), ნამდვილი „მკალივით შემოსევა“ ქვეყნის არა მარტო სახელისუფლებო სტრუქტურებში (ეს თავისთავად იგულისხმება), არამედ სხვა დანარჩენ სფეროებშიც (მათ შორის, „რასაკვირველია“, სამეცნიერო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, თბილისის უნივერსიტეტით დაწყებული თუ დამთავრებული, – ნაკლებად „საპრესტიჟო“ (მოდური სიტყვა) დაწესებულებებზე რომ არაფერი ვთქვათ). მივამატოთ ამას ხელისუფლების კარის მოხარკე (ქრთამი დღეს „კანონგარეშე ოფიციალურ“ ხარკადაა „რეფორმირებული“...) უახლესი გენერაციის „ბიზნესმენები“, – ყოფიერების კლოაკიდან ამომძვრალი მტაცებლები, ვისთვისაც რიგით მოქალაქეთა საკუთრება უბრალოდ არ არსებობს, რასაც ასაღებს კიდევაც, „სტატისტიკური“ მონაცემებით ხელში, მათი პროტექტორ-ექსპლუატატორი ხელისუფლება (— „არსენა ყაჩაღი“, ერთი „ლიბერალ“-დეგენერატის სამთავრობო თვითდახასიათებისამებრ) „ლიბერალური ეკონომიკის“ „უპრეცედენტო“ (წარამარა ხმარებული სიტყვა) წარმატებად თავისვე სასახელოდ, – და სურათი, თუმც არასრული, ასე თუ ისე ნათელი შეიქმნება.

ყველა ესენი იმ ტიპის ინდივიდუუმები გახლავან, რომლებიც, რამდენიც უნდა „თალო“, მაინც „გაუთლელი“ რჩებიან, გინდა, „ოქსფორდში“ ასწავლეთ, გინდა, „სორბონაში“, მათზე ვერაფერი გაჭრის, მათ ვერაფერი ეშველება, რაკიღა კულტურისთვის ბუნებითად შეუვალნი არიან, – თავისმონებად შექმნილნი, თავისუფლების „ნიჭს“ მოკლებულნი. ნათქვამია, „კაცი არყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“, რისი ჭეშმარიტების აღიარებაც სულაც არ ნიშნავს ჰუმანურობის პრინციპის შელახვას (გავიხსენოთ, სხვა არა იყოს, თუნდაც ტოკვილის ჩემ მიერ ციტირებული გამონათქვამის „... მონადაა შექმნილი“). საპირისპიროს მტკიცება სისულელეა, ან სიცრუე, თუ ვინმე ამ სისულელეს შეგნებულად კისრულობს (არიან ასეთი ცრუ „ჰუმანური“ ცრუ „ეგალიტარისტები“, თავისი ნათქვამის თვითონ რომ არ სჯერათ). მთავარია, ყველა დავსჯერდეთ იმ „ტალანტს“, რომელიც ღმერთს ჩვენთვის „ნატურალურად“ მოუმადლებია, ვიზრუნოთ, მეტზე უპრეტენზიოდ, შეძლებისამებრ მხოლოდ მისი, თავს ვერ გადავახტებით,

„გამრავლებისთვის“; და, თუ ამას ვიქმთ, ეს იქნება კიდევაც უტ-ყუარი ნიშანი, რომ ჩვენც, სხვაზე, ვინც უნდა იყოს, დიახაც, არანაკლებ, ვართ თავისუფალნი, არ აყოლილნი, თავისმონურად, ჩვენს „ხარბ და გაუძღომელ... ვერაფრის ვერ გამზომელ“, ამ შემ-თხვევაში, ამაო პატივმოყვრულ გულისთქმას. მაგრამ ამასთან რეალურ ცხოვრებაში იმასაც ვხედავთ, ბრმები ხომ არ ვართ, რომ ზოგს, თანაც არამცირედს, ამის უნარიც არ გააჩნია და რომ სწორედ ესენი არიან, ამის გამოც „რევოლუციონერები“, სწორედ ასეთი უძლურებიდან წარმომდგარი თავისი „არასრულფასოვნე-ბის კომპლექსით“ ამ ხელისუფლების თვით არსების განმსაზ-ღვრელნი; და რომ სწორედ ამით აიხსნება არსებითად, მეტი არაფრით, ის ერთგვარი „რევანშისტული“ დევნა-დამცირებაც, სიტყვითა თუ საქმით, რასაც განიცდიდნენ და განიცდიან ხელი-სუფლებისგან ინტელიგენციის წარმომადგენელნი, მის წინაშე კა-პიტულაციით თავისი ნიჭის, სათანადო განათლებითურთ, ამ გა-ხელისუფლებულ საერთოდ „ადამიანობაში უნიჭოთა“ ლამის „რა-სობრივი“ შურის აღმძვრელის, ამათ საამებლად და დასაშოშმი-ნებლად ბოლომდე მაინც არ თუ ვერ გამაუპატიურებელნი. – მაგრამ ამათაც რა ქნან, რა ამათი ბრალია, თუ ასეთად გააჩინა ესენი გამჩენმა? ამიტომაც არ გვმართებს, განსაკუთრებით ამათს ყოფილ თავდაჯერებულ, შეუპოვარ მომხრეებს, ამათზე გაჯავრე-ბა: განა გონივრულია, კაცი ჯავრობდეს, ვთქვათ, ვირთხაზე, ვირთხა რატომაა? ესენი, თავისთავად, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ ზიზღს იმსახურებენ, ხოლო, თუ ღვთისნიერნიც ვიქნე-ბით, რაც ნამდვილად არ გვაწყენს, ამათ მიმართ, სხვათა შორის, ერთგვარად დამნაშავეებსაც, ამათი „იმ“ წელს ჩვენი მხარდაჭე-რით წაქეზებისთვის, ჩვენგან ესენი უნდა მოელოდნენ სიბრა-ლულსა და, წარმოიდგინეთ, შეწყალებასაც, თითოეულისთვის მი-სი კუთვნილი ადგილის მისაჩენად ცხოვრებაში, რომლის სარბიე-ლიც ფართოა და ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სასიკე-თო უნარის, თუნდაც სულ მცირესი, გამოვლენისა მის, აი ამ უნა-რის, ფარგლებში, ადამიანურად მოწყობილი ცხოვრების წესისა-მებრ (ასე რომ, ბალზაკის, ასე მახსოვს, გილიოტინაზე მეოცნებე იაკობინელმა მეპედიკიურემ, მისთვისვე ჯობს, მეპედიკიურედვე იმუშაოს).

ნამდვილად გასაჯავრებელი კი, რაც მართლაცდა გვაქვს, აქ სხვა რამე და ვინმეა. როგორ აღმოჩნდნენ ეს ადამიანისებურნი

(ასეთნი – მაინცდამაინც ამ თავის სახელისუფლო როლში), ან, უფრო ზუსტად, ამათი მთელი „კლასი“, ქვეყნის სათავეში? თავისით მოვიდნენ? – ცხადია, არა, ესენი, ხელისგულზე დასხმულნი, მოყვანილ იქმნენ. და ეს ჭკვათამყოფელისგან არსაქმნელი საქმე, ვიყოთ ერთხელ მაინც გულმართალნი, მოვიმოქმედეთ „ჩვენ“, ქართველებმა, ბევრმა ჩვენი აქტიურობით და კიდევ უფრო ბევრმა ჩვენი პასიურობით (რასაც, თუ გნებავთ, დაარქვით ისტორიაში კარგად ცნობილი „აქტიური უმცირესობის მიერ პასიური უმრავლესობის დაპყრობა“). ამნაირად ვჭამეთ სირცხვილი ყველამ, უკლებლივ, და დღემდე ყველანი ამ „ჭამაში“ ვართ. ვიძახეთ, დემოკრატიაო, ვითომ გვესმოდა, რას ნიშნავს ეს სიტყვა, და მივიღეთ არისტოტელესთვის ალბათ ნიმუშად საოცნებო ოქლოკრატია, მისი „ელიტითურთ“ – ხელისუფლებაში. „დავსტირი საქართველოს სირცხვილს“, – წერდა ილიას მკვლელობის გამო კიტა აბაშიძე, და დღესაც, ვისაც პიროვნული ღირსების გრძნობის ნატამალი შეგვრჩენია, უნდა დავსტიროდეთ ამავე „სირცხვილს“, ადამიანად სახსენებელი კაცისთვის ამ ყველაზე დიდ უბედურებას. უარესიც, ჩვენ, აწ მარადსამახსოვრო 2003 წლის ქართველები, იმ ატრუებულ, პირზე „ჩემს ქალიშვილობას გეფიცები“, დიაცს დავემსგავსენით, გულში რომ ნატრობს, ნეტავი, ვინმემ შემაცდინოსო, და მერე, უკვე „შეცდენილი“ და რატომღაც იმედგაცრუებული, თავს იმართლებს, გაბახებული, „შემცდენელზე“ გადაბრალებით, გულუბრყვილო ვიყავი, იმ ოხერმა შემაცდინაო. ჩვენც ასე აღმოვჩნდით, „სოფელ-ქვეყანას“ ვინ ჩივის, დღედაღამ განუშორებლად ჩვენს საკუთარ თვალშივე გაბახებულები. ყოველ შემთხვევაში მე, როგორც ქართველი, სირცხვილით ვიწვი, სასკაბრეზულანეკდოტოდ რომ გავიხადეთ თავი და რომ „ამათზე“, ამიტომ, გვიწევს საერთოდ ლაპარაკი (სასაუბრო საგანი, ადამიანის პირის ღრუსთვის მორალურად არაჰიგიენური).

არის შიშის ერთი, უკეთილშობილესი სახე, რომლის უქონლობაც კაცისთვის, მისი ადამიანური ღირსებისთვის, უდიდესი სირცხვილია: ესაა სირცხვილის შიში, თანაც, უწინარეს ყოვლის, სხვის კი არა, საკუთარი თავის მიმართ სირცხვილის, – ერთი უპირველესი ზნეობრივი ატრიბუტისა სწორედ თავისუფალი ადამიანის, რადგან მხოლოდ ასეთს ვისმე ხელეწიფება, შინაგანად გაშიშვლებული, თავისმამართლებელი ყოველგვარი ფანდისგან ნებაყოფლობით განიარაღებული, წარუდგეს პირისპირ თავის პი-

რუთვნელ სინდისს, როგორც მაინცდამაინც ამის, სააქაოდ ღმრთის „ადგილმონაცვლე“ ამ უმაღლესი ინსტანციის, წინაშე უშუალოდ პასუხისმგებელი. სირცხვილის შიში, ასე მგონია, ღმრთისმოშიშობის ყველაზე ადეკვატური გამოხატულებაა ადამიანის სულში, სულერთია, მორწმუნეა იგი თავისი შეგნებით, თუ – არა, რადგან ეს გრძნობა, ბუნებითად რელიგიური, ისევე როგორც ყოველივე ზნეობრივი, ამავ ბუნებითად, და ამაშია მისი „საიდანღაც“ ჩვენი სათავისუფლოდ მაიძულებელი ძალაც, სპონტანურად იღვიძებს და მოქმედებს ჩვენში. ამიტომაც ითქმის, რომ ურცხვნი, ანუ ისინი, ვისაც საკუთარი ღირსების და ამის გამო სირცხვილის, მისი შიშის გრძნობა წართმევია, არც თავისუფლების მადლის და, მაშასადამე, ერად ყოფნისაც ღირსნი არ არიან, უღირსნი ერთისაც და მეორისაც, განუყოფლად (და მართლაც, როგორი წარმოსადგენია ურცხვთა „თავისუფლება“ და მათი „ერი“?). ხოლო ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია არა რაღაც „ბოსიაკურ-კლიკუშურ“ ვითომც საერთოეროვნულ თვითგვემაზე, „ვაი, სირცხვილო!“-ს პამპულური ძახილით, არამედ ჩვენსავე საკუთარ გულში განსაწმენდელის სირცხვილის ცეცხლში გავლაზე, რათა მივექცეთ, მასში გამომწვარ-გამოწრთობილნი, ნამდვილ ადამიანურ, რაც ჩვენთვის ნიშნავს, ამ სიტყვას გავუფრთხილდეთ, – ქართველურ ცხოვრებას, და არა, ცხადია, შევრჩეთ ისევ ახლანდელ ურცხვ მაიმუნურ, სასირცხოდ კუდამოძუებულთა უკუდო კუდაბზიკურ მხოლოდ „არსებობას“, პლებსის საცირკე ესტრადაზე „ეროვნულად“ ფეხების მოპარტყუნე და ხელების მპარჭყველი კეკე-კიკოებით.

მაინც ვიკითხოთ, გულის გასატეხად კი არა, აწმყოზე სამომავლოდ თვალის ასახელად: შევძლებთ კი ამას? მოვიკრებთ კი საამისო ზნეობრივ ძალას? ამიტომაც, რაკიღა ასე ისმის კითხვა, განა დამაფიქრებელი არაა, სწორედ ზნეობრივი თვალსაზრისით, რომ 2007 წელს, იმ ჩვენი საერთოეროვნული, ლამის წყევლად მოვლინებული, სირცხვილის – ისტორიული „მამისმკვლელობის“ ამ საიუბილეო ასი წლისთავს, ეს თარიღი არც გაგვხსენებია? ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომელმაც, დიდად მოყვარულმა „უპურო სანახაობათა“ მასობრივი ღონისძიებების, ამ თავისი „ფეხებზე მკიდია“ ვითომც-არცვითომც გულმავიწყობით (ესეც ხომ ერთგვარი პოლიტიკაა) ნება-უნებლიედ კიდევ ერთხელ ამხილა თავისი ნამდვილი, არაქაური სადაურობა;

არამედ მხედველობაში მყავს ჩვენი ხალხი, ჩვენი, ასე ვთქვათ, საზოგადოება, „თვით“ ჩვენი ოპოზიცია, რომელსაც, ჩანს, გართულს ხელისუფლებასთან ბრძოლით, თავისთვის ჩვეული მიტინგიც კი არ მიუძღვნია ერის – რომელიც, ესეცაა, სადაა? – ამ სამგლოვიარო, სულის განსაწმენდად და განსამტკიცებლად, თარიღისთვის (რაც შეეხება ხსენებულ „სადაა“-ს, მკითხველს ვურჩევდი, კვლავ წაიკითხოს (იმედია, მას ადრეც წაუკითხავს), ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში მუტატის მუტანდის ტრანსპონირებით, ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ და მისივე, ვიტყოდი, სანიმუშო ისტორიოგრაფიული, ზემოდან სატირული ზნეობრივი დამზერით, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით...“). აღარას ვამბობ, ამასთან დაკავშირებით, ერის „მაჯაშისა შემტყვებარ“ ჩვენებურ ჟურნალისტებზე („მეოთხე ხელისუფლება“!), რომლებიც „სამაგიეროდ“ (ამ სიტყვის სანუგეშო მნიშვნელობით) სხვა მხრივ ზრუნავენ მის გათვითცნობიერებაზე, რაშიც, რასაკვირველია, ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის, სხვები ნუ გვიწყენენ, ტელევიზიას, – თანამედროვე „სოციალური ინჟინერიის“ ფსიქოიდეოლოგიურ საფუძველ „სულთა ინჟინერიის“ (ცნობილი სტალინური ფორმულით) ამ, კაცმა რომ თქვას, საერთოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე ინდუსტრიულ (იგულისხმება „სტანდარტული“ ადამიანის(?) საფაბრიკაციო „მასობრივი ცნობიერების ინდუსტრია“) ფლაგმან ქალბატონს, რომლის მიმზიდველ გულმკერდ ეკრანს მიშტერებულნი, რას არ იხილავენ და მოისმენენ, „სულის სარგოდ“ (შიგადაშიგ მართლადაც, საჭირო მრავალფეროვნებისთვის...), მისი კლიენტები.

ჩამორჩენილ ერებს ის უპირატესობა აქვთ, თუ ამით ისინი ისარგებლებენ, ჩამორჩენილობის დაძლევის ნებით აღძრულნი, რომ მათ ეძლევათ შესაძლებლობა, კრიტიკულად შეისწავლონ მოწინავე ერთა გამოცდილება და, შემოქმედებითად მის გამომყენებელთ, თავისი კულტურულ-ისტორიული ინდივიდუალობის, იქნება ეს ქვეყნის ცხოვრების პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სხვა რამგვარი მოწყობის საქმე, თითოეულ შემთხვევაში კომპლექსური („მთლიანპიროვნული“) გათვალისწინებით, არ გაიმეორონ იმათი შეცდომები. ჩვენ კი რა ვქენით? – ნაცვლად იმისა, რომ დასავლეთისგან გვესწავლა, რაც მართლა სასწავლი გვაქვს, შევუდექით მის – ჩვენს „ულტრამედასავლეთე“ ხელისუფლებასაც ხომ ეს უნდა – მაიმუნურ მიმბაძველობას, იმი-

სიც დამვიწყებელნი, რაც აქამდე ვიცოდით; და სწორედ ამ, დიახაც, პოლიტიკური მნიშვნელობის და დანიშნულებისაც მქონე „ინსტრუმენტული“ (ხელისუფლებისთვის) მაიმუნური მიმბაძველობის წყალობითაა, რომ თანამედროვე დასავლური მსოფლიოს ზოგადკულტურული გონით-ზნეობრივი კრიზისი, მისი ორგანული ისტორიული განვითარების შედეგად წარმომდგარი ეს მისი სპეციფიკური სატკივარი, გავიხადეთ ჩვენ ეროვნულ სატკივრად, თითქოს საკუთარი გვაკლდეს. ასე აღმოვჩნდით თანამედროვე „გაგანია“ ცივილიზაციის შიგ ფრიად პიკანტურ კრიზისულ შუაგულში, ჩართულნი ადამიანის ცივილიზაციური ანიმალიზაციის „განმათავისუფლებელ“, იგულისხმება, ადამიანისა – მისი სულის „ბორკილ“ ე. წ. ტაბუებისგან (სანაცვლოდ „ლიბერალისტული“ ინკვიზიციის „პოლიტკორექტულობის“ კონტრტაბუების შემოღებით), კულტურრევოლუციურ პროცესში, ვექტორით – ადამიანის გარდაქმნისა თავისი ცხოველური არსების, მისი ამიერიდან „ემანსიპირებული“ ინსტინქტების (თავისუფლებაც ამას ჰქვიაო), „ცივილიზებულ“ (— ისევ სტალინის ფორმულით: სახელმწიფოს „ჭანჭიკ“ მოქალაქე) მონად. შედეგმაც არ დააყოვნა.

მართლაც, სხვა რა გზაა, უნდა ვაღიაროთ, რომ ერის, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობის გარყვნის „რევოლუციურ“ საქმეში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია საამისოდ მოწოდებულმა კიდევაც, თავისი საკუთარი „კლასობრივი“, გნებავთ, „რასობრივი“ გარყვნილებით, ახლანდელმა ხელისუფლებამ, რაშიც, ესეც აღსანიშნავია, მას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენი საზოგადოების, ასე ვთქვათ, კულტურული, უკეთ, ზნეობრივი „იმუნიტეტის“ გვარიანად დაქვეითებულობამ, მეტიც, გეგონება, ერთგვარმა მომლოდინე მზაობამაც კი ხელისუფლების ასეთი გამხრწნელი გავლენის შესაწყნარებლად. სხვანაირად ვერ ამიხსნია ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე მიმდინარე დებატებში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხზე დუმილი (შესაძლოა, აქა-იქ ვინმემ რამე თქვა, ან დაწერა, მაგრამ ეს, ურეზონანსოდ შთენილი, „საზოგადოებრივი აზრის“ ანგარიშში ჩასარიცხი არაა). ჩანს, ჩვენს საზოგადოებას, თუ იგი რამენაირად, იმედია, მაინც არსებობს, ხეირიანად ვერ გაუცნობიერებია, რომ, როგორც წესი, ადამიანები თავისუფლებას, მის ზნეობრივ ძალ მადლს, თანდათან, უჩინრად კარგავენ, რადგან ეს პროცესი, სანამ რაღაც მომენტში საჯარო, გარეგანი ცხოვრების სააშკარაოზე გამოვიდო-

დეს, თითოეული ჩვენგანის გულში მიმდინარეობს და ამიტომაც ვლინდება ხოლმე ჯერ მხოლოდ ჩვენს კერძო, შინაგან ცხოვრებაში, რომელიც ჩვენი ზნეობრივი საკუთრებაა, გარეშეთათვის ხელშეუვალი; და სადაც, აი, ამ ჩვენს საკუთარ „პირად სამფლობელოში“, რომლის სრულუფლებიანნი ბატონ-პატრონნი ვართ, ხშირად (მუდმივი საფრთხეც ამაშია) საამისო ზნეობრივი პასუხისმგებლობის, ჩვენივე თავის მიმართ, „გულის ჭიის“ გასახარებლად დამვიწყებელნი, ეთხრება კიდეც სამარე, თუ იქ მანკიერებამ სარბიელი ნახა და ფრთები გაშალა, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს – თითოეულისა ცალკე და, უკვე როგორც ერის, ყველასი ერთადაც.

ასე რომ, ეს ჩვენი ცხოვრების „ინტიმური“ სფერო სრულებითაც არაა, ერისთვის თავისი საბოლოო (სოციალურად ჯამური) მნიშვნელობით, „არაპოლიტიკური“. ამიტომაცაა, რომ, თუ მტერს სურს ერის წარწყმედა, საკმარისად ვერაგს ამ საქმისთვის, იგი მის შვილთა გარყვნას შეეცდება მათი გარკვეული ინსტინქტების ფსიქოიდეოლოგიური „ემანსიპაციით“ მათს სწორედ პირად, კერძო ცხოვრებაში, რისი, თუ მტერმა იმარჯვა, უახლოესი შედეგიც, ერის აღსასრულის მომასწავებელი, წინასწარვე ცნობილია: ოჯახის მოშლა. ერთმა ქართველმა კაცმა, მოხევემ, ლელთ ღუნიას ჯიშისამ, დღევანდელი საქართველოს საერთო მდგომარეობა ასე დაახასიათა: ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ როგორმე გახრწნან დედა, – რითაც ყველაფერი ითქვა: არ არის „ქართვლის დედა“ – არ არის ქართველი ერი. და ამიტომ მეც, ამის მერე რაღა დამრჩენია, აქ დავუსვამ წერტილს ამ, ცოტა არ იყოს, ფიზიკურადაც კი, მორალურად ისედაც, მყრალ თემაზე საუბარს, ერთისღა სამომავლო კონსტატაციით: როდესაც, და ეს, დრო არ ითმენს, რაც შეიძლება მალე მოსახდენია, საქართველოს ეღირსება არსებული ხელისუფლების, რაკიღა უმსგავსის, ამიტომ, უნდა დავასკვნათ, არამსგავსი ახალი ხელისუფლება (თუმცა ვინ იცის?.. მაინც ვიქონიოთ ფრთხილი იმედი), სწორედ მაშინ დავინახავთ და ვიგრძნობთ, სრული სიცხადითა და სიმწვავით, იმ მორალური პრობლემის პოლიტიკურ სიმძიმესა და სირთულეს, რომელსაც გვიტოვებს თავსატეხად ერის ტოტალური გარყვნის მიმდინარე „კულტურული პოლიტიკა“; და ვამბობ ამას იმიტომ, რომ სწორედ მაშინ დადგება, უკვე პრაქტიკულად, დღის წესრიგში საქართველოს, ამჟამად ნაძირალათა ხროვის მიერ პრივატიზებუ-

ლის, ამ სიტყვის ლამის ტერმინოლოგიური მნიშვნელობით (არ-კვიონ ახლა იურისტებმა, მმართველობის რა ფორმაა, რეალურად, ჩვენს ქვეყანაში), ხელახლა სახელმწიფოდ, რომელიც რაა? – ერის, როგორც კულტურის (შესაბამისად, ისტორიისაც) სუბიექტის, ასეთად სათავისუფლო პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, თითქმის თავიდან შექმნის საკითხი, რაც მოითხოვს, პირველ ყოვლის, ერის ზნეობრივი ძალების, მანამდე, თავს ნუ მოვიტყუებთ, ხელისუფლების ფრიად ეფექტიანი გამხრწნელი ზემოქმედების ქვეშ მყოფის, მაქსიმალურ მობილიზაციას, საქვეყნო საქმისადმი ადამიანების პატრიოტული, ოღონდ „ენთუზიაზმს“ თავი დავანებოთ, საყოველდღიურო კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, რადგან...

რადგან ასეთია, საერთოდ, ჩვეულებრივ ისტორიის კრიზისულ მომენტში ფენომენურად თავჩენილი, ყველასთვის თვალსაჩინოდ, გონითსუბსტანციური ისტორიული „ხვედრი“ პოლიტიკისა, როგორც მაინცდამაინც სეკულარიზებული ღმრთისმსახურების, ამიტომ აზრებადის კიდევაც სწორედ საამისო ილიასეული იდეოლოგემის „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული (რაც ნიშნავს: პერსონალურად – ერი, მის შვილთათვის)“ კონტექსტში. სახელდობრ, ვლაპარაკობ რა პოლიტიკის „ხვედრზე“, მხედველობაში მაქვს პოლიტიკის ის, განსხვავებით კულტურის ყველა დანარჩენი სფეროსგან, ჭეშმარიტად ტრაგიკული „ნამდვილი სინამდვილე“, რაზეც ზედგამოჭრილია ჰანს ფრაიერის მრავლისმეტყველი, პოლიტიკურ ეთოსზე, ასე მგონია, ფრიად საგულისხმო მინიშნებით, გამონათქვამი: „თავისი ხასიათით პოლიტიკური მოქმედება გოლგოთის გზაა“, რომლითაც სვლა, სათანადო პოლიტიკური იდეისა და შესატყვისი ზნეობრივი ძალის გარეშე, ამიტომაც ტყუილი საქმეა ცალკეული კაცისთვისაც და, მით უფრო, მთელი ერისთვის. დღეიდან სახვალიოდ კი ჩვენც ხომ, თუ გადარჩენა გვსურს (საკითხი აკი ასე დგას), წინ ეს გზა გვიძევს სავალად თავისი ულმობელი სიაშკარავით.

ის, რომ სახელმწიფო, თავის სპეციფიკურ ატრიბუტ ხელისუფლებითურთ, თავისთავად, როგორც ასეთი, ღირებულება, პირდაპირი გაგებით, არაა, ამით ოდნავადაც არ კნინდება მისი უდიდესი, წარუვალი მნიშვნელობა ერის და აქედან, რაც იგივეა, მის შვილთა თავისუფლებისთვის, – მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს, როგორც ერის, ვითარცა, ვიმეორებ, კულტურის სუბიექ-

ტის, სწორედ სა-ხელმწიფოს (სუვერენულად „საშემძლეოს“) საკუთარი ისტორიული „სათავისუფლო (იმავე, მაინცდამაინც ამ აზრით, „სასიცოცხლო“) სივრცის“, მის სამშობლოდ (“მამულად“) ცნობილის, საზღვრებში: სახელმწიფო სუვერენიტეტი ერის სრულფასოვანი კულტურული სუვერენულობის უზრუნველმყოფი, როგორც მისივე კომპონენტი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ფორმაა. ამის გამოა კიდეც, რომ ებრძვიან, „თავისუფლების“ სახელით პირზე და დროშით ხელში, ეროვნულ სახელმწიფოს, ერის ამ სახლ ციხე-სიმაგრეს, „ლიბერალ“-გლობალისტები, დაუძინებელი მტრები ერისა და, მაშასადამე, თვით თავისუფლების. მაინც რატომ თავისუფლების? – იმიტომ, რომ თავისუფლების ნამდვილი, სუბსტანციური სუბიექტი, ასე ვთქვათ, „ისტორიულ განმავლობაში“, იგივე მის შინაარს კულტურის, ურომლოდაც თავისუფლების ღირებულებითი ცნება „ფუყე“ იქნებოდა, სუბიექტი ერია, ისტორიულად თაობიდან თაობაში აქტუალურად წარმოდგენილი თავისი კულტურულ სისხლ-ხორც შვილებით, რომლებიც, დავაზუსტოთ აქვე, ვინ-რანი არიან ამგვარად? – თავისუფლების, რამეთუ, ვიტყვი ერთხელაც, მის ღირებულებით შინაარს კულტურის, სუბიექტის (რომელიც ერია) თავით თვისით მაინდივიდუალიზებელი და ასე, უკვე არა კინკილა ინდივიდუუმები, არამედ ახლა თავად სუბიექტ, რისთვისაც, პიროვნებებად (პერსონებად) ქმნადი ინდივიდუუმები, და ეს იმიტომ, რომ ინდივიდუუმი თავისუფალ, ანუ კულტურულ, არსებად არაა „დაბადებული“, არამედ ასეთად იქმნება იგი სწავლა-აღზრდით ერის კულტურულ წიაღში, მის ორგანულ, ისტორიულად ევოლურებად ტრადიციულ გონითისტორიულ, ნატურალურის ჩათვლით, „ლანდშაფტში“, ამნაირად მშობელი ერისგან პიროვნულად, როგორც იტყვიან, „ყველაფრით დავალებულიც“... და აი დღეს ჩვენ, ქართველებს, სამშობლო კი გვაქვს, ქვეყანა უმშვენიერესი, მაგრამ არ გვაქვს სახელმწიფო, როგორც „მართლა სახელმწიფო“ ღირსსახსენებელი, რომლის მონატრულნიც ვოცნებობთ ამიტომ მასზე, საქართველოს პოლიტიკურად ლამის უსახლკარო „აბორიგენები“, მისი, რათა ერი ერობდეს, სასიკეთო დანიშნულების, ჩვენი ერად საარსებო მისი მნიშვნელობის მწარე გამოცდილებით და მწვავე სინანულით შემგნებნი. სახელმწიფო ჩემთვის, ცალკე ინდივიდუალურად, როდი არსებობს, არამედ მაინცდამაინც ჩვენ, როგორც სწორედ ერს, შორის ერთ ერისაგან ჩემთვისაც, ამ სახით, შესაბამისად,

უკვე რეპრეზენტაციულ პიროვნულად, – რის, ამ მარტივი მოქალაქეობრივი ჭეშმარიტების, უმეცართა თუ დამვიწყებელთ, ავუხდინეთ კიდევაც საკუთარ „სახელმწიფო“ თავს, თანაც როგორ, რუსთველის სიტყვები: „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს“. გვეგონა, „ვარდებს“ ვთესდით, აღმოჩნდა კი, „ბოროტების ყვავილები“ გვითესია, და ერთადერთმა, ვინც ამით იხეირა და იხარა, ეს ჩვენმა „ერთმორწმუნე“ (“ქრისტეს სახელით ქრიტეს რჯულს წვალება შემოერია“ აკაკიმ მასზე თქვა) მტერმა, ყველაზე შურიანმა და ღვარძლიანმა, როგორიც ოდესმე ჰყოლია ქართველობას: წაგვგლიჯა ძირძველი ქართული (ის სხვები მაშინ იქ და კარგა ხანს მერეც სად იყვნენ, ან რა „ეროვნული“ შემოქმედების კვალი დატოვეს?) ტერიტორიები და გადამთიელთა, ასეთად თვითონვე სეპარატისტობით ჩვენს თვალში თავის შემახსენებელ-მამხილებელთა, „სუვერენულ სახელმწიფოებად“ გამოაცხადა (მაგრამ ამაზე – არა აქ: ეს მეტისმეტად სერიოზული საკითხია, რომელზეც ცალკეა სალაპარაკო; შევნიშნავ მხოლოდ, რომ მდგომარეობა ამ მხრივ უიმედოდ სრულებითაც არ მესახება, მაგრამ, ცხადია, არა მტრის „გულისვარდ“ „ამათ“ ხელში: თუ ვისმე მართლა აწყობს „ამათი“ პარპაში საქართველოში, მხოლოდ და მხოლოდ მათ, აკაკისვე თქმით, „სკვითებს“, „სკვით მართლმადიდებლებს“...).

ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენი თავისუფლების და, მაშასადამე, მის პოლიტიკურ-სამართლებრივ ინსტიტუტ სახელმწიფოსიც მთავარი მტერი, ყველაზე საშიში, თუ, უპატრონომ, თავი აიშვა, ჩვენივე ერთობლივი, რაკი აქ ერზეა საუბარი, ცხოველი თავია (პლატონის „ჭრელი“ „მრავალთავა მხეცის“ არ იყოს, მისვე „დიდ ადამიანში“ მბუდარესი), რომლის ჩვენდა უვნებელყოფაც, მისთვისაც სასიკეთოდ (ეს ცხოველი ხომ ჩვენვე ვართ), მხოლოდ იმავ თავისუფლებით ძალგვიძს, ამ ჩვენი ცხოველ თავის ჩვენმიერივე ზნეობრივი და მასთან სახელმწიფოებრივ-სამართლებრივიც (და)უფლებით. ლიბერალური დემოკრატია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კულტურულად ორგანული, თუ „დემოსი“, რომლის ერთობლივი „კრებით პერსონალური“ ლიბერალური „კრატია“ (პოლიტიკური ხელმწიფება) გვაქვს მხედველობაში, არის სახელდობრ ერი (ხალხ თავის უფალი ერი), ამისი ძირეული ავთენტიკური, მაინცდამაინც „კულტურნაციონის“ გაგებით, – „კულტურ“-ისა, როგორც, ისევ გავიხსენოთ, თავისუფლების შინაარსის.

ლიბერალიზმი, როგორც კულტურის (ზოგნი იტყვიან, ცივილიზაციისო) იდეოლოგიური პრინციპი, და, კერძოდ, მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ფორმა დემოკრატიული ლიბერალიზმი, რომლის მამამთავარიც საქართველოში, მოვაგონებ ჩვენებურ „მემარჯვენე“ ობსკურანტებს (“მემარცხენე“ ობსკურანტები ხელისუფლებაში ბრძანდებიან...), ჩვენი ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილი მედასავლეთე ილია ჭავჭავაძეა, ერთი უდიდეს ლიბერალთაგანი (ვტრაბახობთ კი, ისიც „ფორმისთვის“, მაგრამ ვიცით?) ისეთთა გვერდით, როგორნიც არიან ედმუნდ ბერკი, ელიგზანდერ ჰემილთონი, ვილჰელმ ჰუმბოლდტი, ალექსის დე ტოკვილი, „ახალი ქართლის“ ერთადერთი ჭეშმარიტად ეროვნული იდეოლოგიაა, ასეთად შექმნილი ქართული კულტურის, მისი სათანადოდ გააზრებული ტრადიციების საფუძველზე და ამ სახით უკვე ფსიქოიდეოლოგიურად დამაკავშირებელი ქართველობისა დასავლურ მსოფლიოსთან, ჯერჯერობით „თეორიულად“ მაინც. ხოლო ამგვარი საერთოდ ახლანდელი ქართველობის „თეორიული არსებობა“ გასტანს მანამდე, სანამ ეს ჩვენი „იდეოლოგიური ქართველობა“, დღეს სადღაც მტვერწაყრილ წიგნის თაროზე შემოდებული, პრაქტიკულად განაღდდებოდეს ნამდვილი ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს აშენებით, ტერიტორიული მოწყობით – უნიტარულის, მმართველობის ფორმით – პრეზიდენციალურის. ამისდა მიხედვით თავისთავად გარკვეულია ისიც, თუ „სად“ შეიძლება და უნდა იყოს საქართველო, რომელი „მსოფლიოს“ ერთა ოჯახში, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით პოლიტიკურადაც, წინააღმდეგ ჩვენი ზემოხსენებული ობსკურანტებისა, აგვისტოს შემდეგაც კი ჩრდილოეთისკენ რომ „გვეპატიჟებიან“, რადგან, ჩანს, ვერ განურჩევიათ „ვოდკისა“ და „სელიოდკის“ სუნი მართლმადიდებლობის სულისგან. ის დაპირისპირება, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს არსებობს ამ ჩვენს „მემარცხენე“ („რევოლუციურ“) და „მემარჯვენე“ („კონტრრევოლუციურ“) ობსკურანტებს შორის, სინამდვილეში, ობიექტურად, თანამშრომლობის ერთგვარი ფორმაა, როლების განაწილებით, საქართველოში ლიბერალიზმისა და მასთან დასავლური მსოფლიოს დისკრედიტაციისთვის, შესაბამისად, „მემარცხენე“ გამყალბებელი საქმითა და „მემარჯვენე“ განმაქიქებელი სიტყვით. ამაზე ითქმის, ხელი ხელს ბანსო, მაგრამ ვაი, რომ ეს მათი

ნაბანი ზინზლი თავს ესხმება ლაფივით ლიბერალ, მედასავლეთე (და არა „მეჩრდილოეთე“) ილია მართლის საქართველოს.

პოლიტიკური აზროვნება და საქმიანობა, როგორც მაინცდამაინც შემოქმედებითი პროცესი, ერისთვის თავისი საარსებო მნიშვნელობით თვით სახელოვნო (პოეტურ) შემოქმედებასთან შესადარი (როგორც, ვთქვათ, XIX საუკუნის გერმანიაში: რიხარდ ვაგნერი და ოტო ფონ ბისმარკი), მხოლოდ ფართო კულტურულ-ისტორიულ გონითს კონტექსტშია შესაძლებელი, რის გარეშეც პოლიტიკა, „პლუტოკრატიის მსახურის“ როლში ფსევდოსციენტისტურად „პოლიტიკური თეოლოგიიდან“ „პოლიტიკურ ტექნოლოგიამდე“ ჩამოქვეითებული (ნათქვამია: არ არის „თეოლოგია“ – არ არის მორალი – არ არის პოლიტიკა) და ტექნიცისტური კალკულაციის, ასე გაგებული „რაციონალიზმის“, ამარა შთენილი, ბოლოს და ბოლოს, სრულიად ბუნებრივად, ჩვეულებრივი „ბუნებრივი შერჩევის“ გზით, „ზეეროვნულ“ მედროვე, ყველაზე არალიბერალ „პრაგმატიკოს ლიბერალთა“ მეტ-ნაკლებად ეფექტიან იარაღად იქცევა მათი კონკურენტულ-კორპორაციული (ძალა მაინც ერთობაშია), ერთდროულად კონსპირაციული და ლეგიტიმური, განსაზღვრისამებრ (არა ბანალურ „სალანძღავ“ სიტყვად) კორუმპირებული „პოლიტიკური ბიზნესისთვის“; სახელმწიფოს კი რა აქედან? – მხოლოდ ერთი, თუ რამე, თანაც რადიკალურად, დროზე არ ეშველა და ასე გაგრძელდა: გახრწნა და გამოფიტვა, ლოგიკურ ფინალად, ჯვარი „იქაურობასაც“ და „აქაურობასაც“, – სიკვდილით. ასე რომ, ილუზიებსაც ნუ მივეცემით და ესეც კარგად გავითვალისწინოთ. პოლიტიკა „მენეჯმენტი“ არაა და პოლიტიკოსი, სახელმწიფო კაცი, – „მენეჯერი“, ისევე როგორც სახელმწიფო – „დიდი საწარმო“, დამოუკიდებლად იმისგან, „დღეს“ რა როგორაა ამ მხრივ ჩვენ „იდეოლოგიურ სამშობლო“ დასავლურ მსოფლიოში, სადაც ამიტომ, რაკი სწორედ ასეთს „სამშობლოზეა“, თავისუფლების თვით იდეის სამშობლოზე, ლაპარაკი, რაგინდ განსაცდელიანი, იმავ თავისუფლების იდეისთვისვე, „დღეის“ მიუხედავად უნდა დავმკვიდრდეთ კიდევაც მომავლის რწმენითა და წარსულის ხსოვნით.

ამით, ვერ ვიტყვი, ვამთავრებ-მეთქი, უფრო „ვწყვეტ“ ჩემს ისედაც გრძელ სიტყვას „პოლიტიკაზე“ მისი „გაღმიდან“, რადგან სწორედ იქაა საგულვებელი პოლიტიკის ნამდვილი სინამდვილე, მისი გონი, რომელიც მისი ბედიცაა და თავისუფლება, რომლის

არსება არის, ისევე როგორც საერთოდ გონის და მით, რაც თავისთავადაც იგულიხმება, თავის შინაარს ერთობ კულტურის. რაც შეეხება კი წინამდებარე წერილის მიზეზ უშვერ კარიკატურულ „ანტიპოლიტიკურ პოლიტიკას“ საქართველოს ისტორიის ამჟამინდელი „უისტორიო პერიოდის“ „შემოქმედი“ ხელისუფლების, ზნეობრივად (და, მაშასადამე, პოლიტიკურადაც) აბსოლუტურად შეურაცხადის, მისი კრიტიკული, ამ სიტყვის სერიოზული გაგებით, განხილვა-შეფასება უბრალოდ არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია, გარდა მისი სასატირო, ოღონდ „გულის მოსაფხანად“ კი არა, სააზრებლად და სამოქმედოდ, მამხილებელი დახასიათების.

ერი და სახელმწიფო

(ზოგიერთი შენიშვნა)

ერთიანი, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში, საერთოეროვნული სახელმწიფოს როლი ერის კონსოლიდაციის საქმეში იმდენად დიდია, რომ ზოგიერთ მკვლევარს ამგვარი სახელმწიფოს არსებობა თვითონ ერის, როგორც ასეთის, არსებობის, ვიტყოდი, უპირობო პირობად მიაჩნია. ამ თეორიით ერი სხვა არაფერია, თუ არა ერთ სახელმწიფოდ ორგანიზებული ხალხი..., საიდანაც გამოდის, რომ, მაგალითად, პლატონის დროინდელი ელინები ერთი ერი არ ყოფილან.

მაგრამ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პრობლემისადმი ასეთ მიდგომას ის ლოგიკური სიძნელე ახლავს, რომ იგი გარკვეულ პასუხს ვერ გვაძლევს კითხვაზე, არის თუ არა ერი ის ხალხი, რომელსაც არ ჰქონია საკუთარი სახელმწიფო და იღვწის მის შესაქმნელად; ანუ საკითხი ეხება იმას, არის თუ არა ერი, როგორც ასეთი, შემქმნელი თავისი სახელმწიფოსი, თუ სახელმწიფოს ქმნის „ხალხი“, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ იმსახურებს „ერის“ საპატიო სახელს.

შევხედოთ ამავე კითხვის ნიშნით ასეთ, ყველა ჩვენგანისთვის ცნობილ ფაქტს. XVIII საუკუნეში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა იყო, რომელმაც XIX საუკუნის დამდეგს, 1801-10 წლებში, საერთოდ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, აღმოჩნდა რა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. და, აი, კითხვაც: არსებობდა თუ არა ქართველი ერი ან ერთ ან მეორე შემთხვევაში, თუ მას ამ დროს, როგორც ერს „შეწყვეტილი“ ჰქონდა არსებობა?

თანადროულ ევროპულ-დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომ ეროვნული სახელმწიფოს იდეამ თავისი დრო მოჭამა და, მეტიც, რომ ეს იდეა არც არასდროს ყოფილა რეალიზებული თავისი სწორედ პრაქტიკული შეუძლებლობის გამო. და საბუთად ამ იდეის იმთავითვე არარეალურობისა უთითებენ ხოლმე, სხვათა შოროს, იმ გარემოებას, რომ ეს „ვითომც“- ეროვნული სახელმწიფოები სინამდვილეში არასდროს არ მოიცავდნენ მთელ ერს, რომლის ესა თუ ის ნაწილი, შესაბამისი ეროვნული ტერიტორიითურთ, თითქმის როგორც წესი, სხვა ერის სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდნენ

(და ახლაც იმყოფებიან). მე აქ ვერ შევუდგები ამ შეხედულების კრიტიკას, რომელსაც იგი, ჩემი აზრით, უთუოდ საჭიროებს, და ამჯერად თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ მართლაც უდავო ფაქტს, რომ, ეროვნული სახელმწიფო, სულაც არაა აუცილებელი, მოიცავდეს მთელ ერს (უკეთ: მის შესატყვის ეთნოსს), ანუ მოცემული ე.წ. Staatsnation-ი მთლიანად ფარავდეს შესაბამის ე.წ. Kulturnation-ს, და თუკი პრობლემის გაგების ამ პოზიციიდან მივმართავთ ჩვენს, ასე ვთქვათ, რეტროსპექტულ ისტორიულ მზერას საქართველოს წარსულისაკენ, შემდგომ შედეგთა გათვალისწინებით, დავინახავთ, რომ **ეროვნული**, ამ სიტყვის პრინციპული მნიშვნელობით, სახელმწიფო, ეროვნული – თავისი კულტურულ-პოლიტიკური პოტენციალით, ბაგრატ III-ის ხანამდე გაცილებით ადრე შექმნილა, სახელდობრ, ქართლის (იბერიის) სამეფოს სახით, რომლის დაარსებასაც ტრადიცია ფარნავაზის სახელს უკავშირებს და რომელიც ჯერ არ მოიცავდა „მთელ“ საქართველოს, მისი „მთელი“ ერით (ასეთი საქართველო, შევნიშნავ აქვე, საერთოდ არც არსებულა). ნება მიბოძეთ, მცირედი განმარტება დავურთო ზემორე თქმულს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულების თანახმად, ქართველი ერის ცხოვრებაში, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა ქართლის სამეფო, სახელმწიფოებრიობის შექმნის რამდენიმე მცდელობას ჰქონია ადგილი, რომელთაგან უადრესი, ცნობილი ჰიპოთეზით, ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის მიწურულსა და I-ის დასაწყისს განეკუთვენება. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, არქაული (ვუწოდოთ ასე) კოლხეთის სამეფო, რომლის განადგურების შემდეგ, მოგვიანებით, იმავე დასავლეთ საქართველოში ჩნდება კიდევ ერთი, ამჯერად უკვე ანტიკური კოლხეთის სახით, ახალი სახელმწიფო წარმონაქმნი („ანტიკური კოლხური სამეფო“). ცხადია, აქ ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, არსებითად ისტორიული ჰიპოთეზების სფეროში ვიმყოფებით, მაგრამ ამას ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, უეჭველი გვგონია: ის **საქართველო**, რომელსაც ისტორია იცნობს, ჩამოყალიბდა სწორედ ქართლის სამეფოს კულტურულ-პოლიტიკური ჰეგემონობით და საქართველოს ისტორიაც, როგორც ერთი უწყვეტი პროცესი გარკვეული კულტურული, კერძოდ – პოლიტიკური, ინდივიდუალობის მქონე ერის ცხოვრებისა, მაინცდამაინც ამ სამეფოს შექმნით იღებს თავის საკუთ-

რივს დასაბამს, რამაც თავისი ასახვა პოვა, სხვათა შორის, თვით ქვეყნის (და ერის) სათანადო სახელწოდებაშიც. ამიტომაც, დღემდე მოღწეული საქართველოს გადასახედიდან თუ განვიხილავთ ჩვენი ერის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ ქართველი ერი, ამ სახისა და სახელის მატარებელი, როგორც Staatsnation-ი ჩამოყალიბებულა სწორედ მაშინ, როდესაც შექმნილა პოლიტიკური ქართლი (ქართლის სამეფო), დროთა განმავლობაში მოიცვა რა ამ უკანასკნელმა ის მთელი ტერიტორია, მისი მოსახლე Kulturnation-თურთ, რომელსაც ვიცნობთ კიდეც, როგორც საქართველოს. ქვეყნის ე.წ. „ქართიზაცია“ ამ შემთხვევაში უნდა გვესმოდეს, როგორც, აი, ეს **პოლიტიკური ნაციონალიზაციის,** ანუ ქართველობის, ვითარცა Kulturnation-ის Staatsnation-ად ჩამოყალიბების პროცესი. ამგვარად, აღნიშნული პროცესის გზითა და ძალით განხორციელდა იბერიულ-კოლხური კულტურული სინთეზი, რის შედეგადაც საბოლოოდ გაფორმდა ერთიანი ეროვნული კულტურა, **ქართულის** სახითა და სახელით. რა თქმა უნდა, ეს კულტურული კონსოლიდაცია, შესაბამისი პოლიტიკური შესაძლებლობებითურთ, სხვაგვარადაც შეიძლება მომხდარიყო, თუკი, მაგალითად, ზემოხსენებული კოლხური კულტურულ-პოლიტიკური წარმონაქმნები უფრო დღეგრძელნი აღმოჩნდებოდნენ. ასე რომ, ის ყველა მცდელობა, გნებავთ, „ექსპერიმენტი“, რომელთაც ჰქონდა ადგილი ქართულ სინამდვილეში იბერიის სამეფოს შექმნამდე, ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც თავისებური პრეისტორია აღნიშნული ფუნდამენტური ფაქტისა, ანუ პერიოდი იმ შემოქმედებითი ძიებებისა, რომელნიც შეადგენენ კიდეც ისტორიის, როგორც სწორედ შემოქმედებითი პროცესის, ნამდვილ კულტურულ შინაარსს.

ზემორე თქმულთან დაკავშირებით, ვიდრე საუბარს განვაგრძობდე, ერთ საკითხს შევეხები. არა მარტო ყოველდღიურ მეტყველებაში, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ხშირად ვხვდებით ხოლმე ასეთ ოპოზიციებს: „ეკონომიკა და კულტურა“, „პოლიტიკა და კულტურა“ და სხვ. ამგვ. ალბათ გსმენიათ ასეთი დაპირისპირებაც: „მეციერება და კულტურა“, თითქოს, ეკონომიკასა და პოლიტიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეცნიერება მაინც არ ყოფილიყოს კულტურა, მისი ერთ-ერთი დარგი. აქ არ გვაქვს საშუალება ამ საკითხზე ვრცელი საუბრისათვის, ამიტომ მოკლედ ვიტყვით: ეკონომიკაც, პოლიტიკაც, ისე როგორც სოციალობაც

თავისი ნორმებითა და ინსტიტუტებით, კულტურის ისეთივე სფეროებია, როგორიცაა ხელოვნება, ან, თუნდაც, იგივე მეცნიერება. და როდესაც ვიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა Kulturnation-ი და Staatsnation-ი, ჩვენ უნდა ჯეროვნად ვითვალისწინებდეთ იმას, რომ სახელმწიფო კულტურული წარმონაქმნია, მისი ფენომენი, და რომ, საერთოდ, ერის პოლიტიკური ვითარება გამომხატველია და შემადგენელი მისი (ამ ერის) ზოგადი და მთლიანი კულტურული მდგომარეობისა. კერძოდ, ის გარემოება, რომ ესა თუ ის ერი თავისი არსებობის ამა თუ იმ პერიოდში არ ცხოვრობს ერთი სახელმწიფოს ჭერქვეშ, არამედ დანაწევრებულია სხვადასხვა პოლიტიკურ (სახელმწიფო) ერთეულად, ჩვენ უნდა გვესმოდეს (თუკი ამ სიტუაციას „გარეშე ფაქტორები“ არ განსაზღვრავენ), როგორც დამახასიათებელი ამ ერის კულტურული ევოლუციისათვის (მის ამ ეტაპზე) და არა როგორც იმის ნიშანი, რომ მისი (ამ ერის) სახით სინამდვილეში ჯერ კიდევ ერთან არ გვაქვს საქმე [შევნიშნავთ: ამა თუ იმ მოდგმის ხალხის, ჩვეულებრივ მონათესავე ტომთა გარკვეული სიმრავლისაგან შემდგარის, ერად შექმნა მოითხოვს სათანადო დონეს კულტურისა, საამისოდ საკმარისად მაღალს, რომლის განმსაზღვრელი კრიტერიუმის დადგენა მეტად ძნელია (თუ არა, საერთოდ, შეუძლებელი), მაგრამ რომლის არსებობის აუცილებლობა სადაო არ უნდა იყოს; ამიტომაც ჩვენს ეპოქაში, მისთვის დამახასიათებელი სიმწვავით ეროვნული საკითხისა პოსტკოლონიურ სამყაროში (თუმცა ერთგვარ სიმწვავეს აღნიშნული პრობლემისა თვით დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებშიც ვხედავთ), არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც ნაციონალიზმის დროშით სინამდვილეში „ტრაიბალიზმი“ მოქმედებს ხოლმე, სათანადო პოლიტიკური (თუ სხვა) ინტერესებით სტიმულირებული]. მე მგონია, ასეთი მიდგომა ბევრ რამეს ნათელყოფს და აგვაცილებს ზოგიერთ გაუგებრობას, რომელიც თან ახლავს ზემოხსენებულ წარმოდგენას ერზე, მის რაობაზე. და, თუკი დავუბრუნდებით, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, მაგალითად, საქართველოს ისტორიას, ის მისი სტადიები, როდესაც ერი ჯერ, ანუ უკვე, არ იყო პოლიტიკურად კონსოლიდირებული, ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც ამ ერის კულტურული მდგომარეობის გამომხატველი, – მდგომარეობისა, რომელიც შეიძლება მოწმობდეს ან სათანადო მოუმწიფებლობას, ან რაიმე სიტუაციურ კრიზისსა თუ სპეციფიკას მისი (ამ ერის) კულტურული

ყოფისა, ამ შემთხვევაში – საკუთრივ პოლიტიკური კულტურის სფეროში.

არის რა ერის შემოქმედების (ცხადია, კულტურულის, რადგან სხვაგვარი შემოქმედება არც შეიძლება იყოს) პროდუქტი, სახელდობრ – პროდუქტი თავის, როგორც ხალხის, სუბიექტ ერის პოლიტიკური (კულტურის ამ დარგის) შემოქმედებისა, სახელმწიფო თავისი ეროვნული მასშტაბით, სტრუქტურით, საარსებო პრინციპებითა და სამოქმედო ნორმებით, პოლიტიკური ტრადიციებით, რომელთაც იგი (ერი) დროთა განმავლობაში შეიმუშავებს, წარმოადგენს უმძლავრეს ფაქტორს ერის კულტურული რაობისა და ვინაობის დაცვისა და განვითარების საქმეში, უნივერსალურ დაწესებულებას, ვიმეორებთ – თვითონ ერის ნაშემოქმედარს, სადაც ეს ერი, როგორც თავის სამკვიდრო სახლში, ეწევა კიდეც თავისუფალ და, მაშასადამე, შემოქმედებითს ცხოვრებას. საერთოეროვნული სახელმწიფოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ერის **საბოლოო** ჩამოყალიბების, თავის კულტურულ-ისტორიულ რაობა-ვინაობაში **საბოლოო** განმტკიცების საქმეში ისაა, რომ მის ჭერქვეშ ერი, მოქმედი ერთი საერთო ცხოვრებისა, სრულ კოჰეზიას აღწევს და, ილიას ცნობილი თქმისა არ იყოს, იქმნება ერთხორც და ერთსულ არსებად. ხოლო მანამდე, ვიდრე ასეთი სახელმწიფო შეიქმნებოდეს, ერის ცალკეულ ნაწილთა მეტნაკებ იზოლირებული ცხოვრება შეიცავს შესაძლებლობას ისეთი განვითარებისა, რომელსაც შედეგად აქვს ხოლმე, არაიშვიათად, ამ ნაწილში საკუთარი ეროვნული თვითცნობიერების შემუშავება, რისი შემთხვევაც არაერთი იცის ისტორიამ.

და ის ისტორიული ფაქტი, რომლის ათასწლეულსაც აღვნიშნავთ დღეს ამ ჩვენი შეკრებით, სწორედ იმითაა ღირსსახსოვარი, რომ საერთოეროვნული სახელმწიფოსთვის, საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა გაერთიანების გზით, საფუძვლის ჩაყრით სათავე დაედო ქართველობის კულტურული კონსოლიდაციის უმაღლეს – პოლიტიკურ ეტაპს, რითაც ქართველობა „ტიპობრივი“ ერთობიდან ინდივიდუალურ ერთობამდე ამაღლდა, საამისოდ ორგანიზაციულადაც ერთ პოლიტიკურ სხეულად შესისხლხორცებული. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არც უნდა გაგვიკვირდეს ის აღორძინება, თვისობრივად სრულიად ახალი ძალითა და სახით, ეროვნული თვითშემეცნებისა, რომელსაც მე ვუწოდებდი შუა საუკუნეთა ქართულ ნაციონალიზმს და რომლის ერთი

ყველაზე დამახასიათებელი გამომსახველიცაა, მრავალთა შორის, გიორგი მთაწმინდელი. ასე მიეცა დასაბამი ქართული მონარქიის, ხოლო მისი სახით – ქართული სახელმწიფოებრიობის კლასიკურ ხანას და მით სათავე დაედო კიდეც ქართული სახელმწიფოებრიობის, შესაბამისად, კლასიკურ ტრადიციებს, რომელნიც საოცრად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ თავისი კულტურული პოტენციალით და რომელნიც შემდეგ თაობათა ძალისხმევით დაცულნი და განგრძობილ-განვითარებულნი დღესაც ცოცხლობენ ჩვენი ეროვნული ცნობიერების სიღრმეში, სამწუხაროდ, ჩვენ, ამჟამინდელ ქართველთა სულიერი უღონობით – ჯერ კიდევ გამოუტანელნი ერის სა-ხელმწიფო — სა-თავისუფლო ცხოვრების სამზეოზე.

ფრიად საგულისხმოა, რომ ამ შესანიშნავ თარიღს ვიგონებთ იმ დროს, როდესაც საქართველო, ჩვენდა გადმოცემული ნაღვაწი ჩვენი წინაპრებისა თაობიდან თაობაში, დგას ისეთი დიდი პრობლემის წინაშე, რომლის მსგავსიც კულტურული მასშტაბით, ვფიქრობ, იშვიათად თუ ახსოვს ჩვენი ერის ისტორიას. ეს გარემოება უთუოდ ანიჭებს იოანე მარუშისძის, გიორგი ჭყონდიდელის ამ, შეიძლება ითქვას, წინამორბედის, დავით III დიდისა და ბაგრატ III-ის საქმეს საგანგებო აქტუალობას ჩვენთვის, მიუხედავად იმ კულტურულ-ისტორიული დისტანციისა, რომელიც გვაშორებს ამ ამბებიდან დღევანდელ ქართველებს. ამიტომაც სავსებით გამართლებულად მიმაჩნია, რომ სწორედ ამ ჩვენს თავყრილობაზე შევეხო ერთ საკითხს, რომელსაც თემატურად პირდაპირი კავშირი აქვს ზემოხსენებულ პოლიტიკოსთა სამოღვაწეო საგანთან, მაგრამ რომელსაც, თავისი სპეციფიკით, საგანგებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი თანამედროვეობისათვის.

ერის, როგორც სოციალური სუპერ-(გნებავთ, ჰიპერ) ორგანიზმის, დახასიათებას აზრი აქვს, პირველ ყოვლისა, ალბათ იმ გაგებით, რომ ერი არის სოციუმ-ორგანიზმი, რომელსაც შეადგენენ პიროვნებანი, ე.ი. თავად გარკვეული ორგანიზმები, საორგანიზმო თავისთავადობის ყველა ნიშნით აღბეჭდილნი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერი წარმოადგენს იმ განსაკუთრებულ, თავისი სირთულით უმაღლესი რიგის ორგანიზმს, რომელსაც ქმნიან ასევე ორგანიზმები, როგორც ასეთნი – ასევე სუვერენულნი. და მისი სუპერ–, გინა, ჰიპერ–, ორგანიზმობაც სწორედ ამ გარემოებითაა გაპირობებული. საგულისხმო აქ ისაა, რომ საზოგადოება,

რომელიც არის კიდეც ერი, სხვა არა არის, თუ არა საზოგადოება პიროვნებებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება არის ბუნებით თავისუფალ არსებათა გარკვეული გაერთიანება, თავის მხრივ – სათანადო სტრუქტურული მთლიანობის მქონე, რამდენადაც თვითონ პიროვნების იდეა თავისთავშივე შეიცავს პრინციპს თავისუფლებისა, რომლის გარეშეც ადამიანი მოკლებულია შესაბამის პიროვნულ ნამდვილობას თავის სოციალურ გამოხატულებაში. თანადროული, ე.ი. ლიბერალური, დემოკრატიები სწორედ ამ გაგებას ემყარებიან და ჩვენც, რომლებიც მომავალ თავისუფალ საქართველოს, როგორც ასეთს, დემოკრატიად წარმოვიდგენთ, კარგად უნდა გვქონდეს შეგნებული და გათვალისწინებული ხსენებული დემოკრატიის ეს კონსტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმადაც ერი თავისუფალი შეიძლება იყოს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალია მისი თვითეული შვილი, როგორც ცალკეული ინდივიდი. ეს კი, სხვათა შორის, გულისხმობს, რომ ადამიანი, როგორც თავისუფალი არსება, უპირობოდ უფლებამოსილია, თავი მიაკუთვნოს იმ ერს, იმ საზოგადოებას, რომლის წევრობაც მას სურს. აქედან გამომდინარე, ამგვარი მიდგომის შუქზე, ცალკეული ადამიანის ყოფნა ამა თუ იმ ერის საზოგადოებაში მის თავისუფალი ნების საქმეა, რაც ნიშნავს, თუკი განვაზოგადებთ, რომ თვითონ ერი, როგორც საზოგადოება პიროვნებათა დამყარებულია ამ უკანასკნელთა თავისუფალ ნებაზე, იყვნენ ამ საზოგადოების წევრები, შესაბამისი უფლება-მოვალეობებით. რა თქმა უნდა, ყოველი ნორმალურად მოაზრე და მგრძნობელი ადამიანი ბუნებითად მიბმულია თავის მშობელ ერს, ისევე როგორც თავის ოჯახს, რომლის განზოგადებულ სახედაც წარმოგვიდგება ერი – ეს, თუკი ასე ითქმის, ჩვენი დიდი საგვარეულო. მაგრამ არსებობენ ვითარებანი, რომლებიც აიძულებან ადამიანს, გაწყვიტოს კავშირი თავის ერთან, მსგავსად იმისა, როგორც ხდება ხოლმე იგივე ოჯახის მიმართაც. რა თქმა უნდა, საკუთარ ერთან კავშირის გაწყვეტა მარტო ასეთი მაიძულებელი გარემოებებით არ აიხსნება ყველა შემთხვევაში, არა იშვიათად ესა თუ ის პიროვნება წმინდა სუბიექტური მოსაზრებებით, რომლებიც მოკლებული არიან დრამატულ მოტივებს, ტოვებს თავის სამშობლოს და საცხოვრებლად მიდის სხვა ქვეყანაში, სადაც დროთა განმავლობაში ერთვება იქაურ ცხოვრებაში და თანდათან ეგუება ახალ პირობებს, განიცდის რა შესაბამის კულტურულ

ასიმილაციას. აქ მე არ ვეხები იმ პიროვნული თავისუფლების მორალს, რომლის შეთვისებაც ჯერ კიდევ მომავლის საქმეა ჩვენთვის, მე ამჯერად სხვა რამ მსურს, ვთქვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს ერთი უმთავრესი მოვალეობაა, შექმნას პირობები ერის კულტურულად სრულფასოვანი და სისხლსავსე ცხოვრებისათვის, „შექმნას“, ცხადია, იმ ფარგლებში, რომელსაც უხაზავს მას თანამედროვე დემოკრატია, როგორც მეთოდი ადამიანის პიროვნული თავისუფლების პრინციპის განხორციელებისა მთელი ერის მასშტაბით, დამოუკიდებლად ამა თუ იმ ინდივიდის ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით ერის კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობის დაქვეითების საშიშროების წინაშე. და თუკი ასეთი საშიშროება რეალობად იქცა, მაშინ მოხდება ის, რისი მოწმენიც, სამწუხაროდ, უკვე ვართ: ერის ყველაზე ენერგიული, აქტიური ძალების გადენა უცხო ქვეყნებში, საითკენაც მათ მიიზიდავს პიროვნულ შესაძლებლობათა რეალიზაციის უკეთესი პირობები. და ნუ დავგმობთ მათ, ნუ ვუწოდებთ „რენეგატებს“ და „დეზერტირებს“, რადგანაც, ჯერ ერთი, ყველას ვერ მოეთხოვება გმირისა თუ მოწამის ზნე და, მეორეც, რამდენად რაციონალური იქნება მათთვის ასეთი პრეტენზიის წაყენება, თუკი სამშობლოში დარჩენით მხოლოდ საკუთარ ნიჭსა და ცოდნას დამარხავენ, ქვეყანას კი, კულტურულად პარალიზებულს, ვერაფრით წაადგებიან. ამიტომაც ჩვენი თავი და თავი საქმე უნდა იყოს ისეთი საქართველოს აშენება, ისეთი ქართული სახელმწიფოსი, რომელიც თავის შვილ – მოქალაქეებს მართლაც სამშობლოდ შეექმნება, თავისი ჭირითაც და ლხინითაც, და არა ისეთ ადგილად, სადაც იბადებიან მხოლოდ იმისთვის, რომ მერე მოკვდნენ – ქვეყნისთვის უკვალოდ და უნაყოფოდ.

მე ამ გარემოებაზე გავამახვილე ყურადღება არა მარტო მისი აქტუალურობის გამო ჩვენთვის, არამედ წმინდა თეორიული მოსაზრებითაც: წინააღმდეგ ზოგიერთის მტკიცებისა, ეროვნული და პიროვნული პრინციპები, ნაციონალიზმი და ინდივიდუალიზმი, სულაც არ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ერთი მეორეს გულისხმობს; გარდა ამისა, თანადროული დემოკრატიზმი, ინდივიდუალური თავისუფლების ერის ცხოვრების პრინციპად გამოცხადებით, არა მარტო გზას უხსნის ერის ინდივიდუალურ ძალებს

თავისუფალი შემოქმედებისათვის, რაც ზღვარდაუდებელ შესაძ-ლებლობებს უქმნის თვითონ ერს, როგორც ჭეშმარიტ სუბიექტს ისტორიისა და კულტურისა, არამედ ეგევე დემოკრატია, ამავ-დროულად, ეროვნული ცხოვრების ასეთი გართულებითა და გა-ფაქიზებით საგანგებო პასუხისმგებლობას აკისრებს ყველას, ვის-თვისაც ძვირფასია სამშობლო ერის სიცოცხლე და სიმრთელე, რადგან აღნიშნული დემოკრატიული პრინციპი რამდენადაც აძ-ლიერებს, ამდენადვე მოწყვლადად ყოფს ერის კულტურულ-სო-ციალურ ორგანიზმს, მოითხოვს რა მისგან, წარსულ ეპოქებთან შედარებით, გაცილებით მეტ კულტურულ აქტივობასა და, შესა-ბამისად, ძალისხმევას.

ის ფართო კულტურული საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი წინაპრები და რომელმაც შეამზადა კიდეც ქართული საერ-თოეროვნული სახელმწიფოს შექმნა, ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ჩვენი ცხოვრების მის სულ სხვა საჭიროება-თა და სულ სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხოლო მორალი ამ მაგალითისა ასეთია: ვიდგეთ ჩვენი დრო-ის კულტურულ საჭიროებათა და მოთხოვნათა დონეზე ისევე, როგორც იდგნენ ჩვენი წინაპრები — თავისი დროისთვის!

პუბლიცისტიკა

გაზეთი „ერი და თავისუფლება“ – ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მესიტყვე

ასეთია ჩვენი გაზეთის, როგორც **ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის** ორგანოს, უპირველესი დანიშნულება: იყოს მესიტყვე **ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმისა**, რომელიც ამ პარტიის იდეოლოგიაა, მისი მთელი მოღვაწეობის, მოაზრესიც და მოსაქმესიც, მაფუძნებელი და წარმმართველი, და რომლის საყოველთაო აღორძინებასა და დამკვიდრებას ქართველი ერის როგორც სულიერ, ასევე ნივთიერ ცხოვრებაში, ვითარცა თვით ამ ცხოვრების მაორგანიზებელი და მარეგულირებელი „კონსტიტუციური იდეოლოგიისა“, **ლდეპ** თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს.

სწორედ ამან განაპირობა გაზეთის სახელწოდებაც – „ერი და თავისუფლება“, როგორც იმის მაუწყებელი, რომ **თავი-და-თავი** ჩვენი ზრუნვისა, მისი თავი-**მიზეზიცა** და თავი-**მიზანიც**, არის **ერი**, სახელდობრ – **ქართველი ერი**, რაც ცხადყოფს კიდეც ჩვენს იდეოლოგიურ ვინაობას, როგორც მაინცა და მაინც **ნაციონალისტებისა**, სახელდობრ: **ქართველი ნაციონალისტების**; ხოლო, რამდენადაც ერზე (ისევე როგორც სხვა ვინმესა თუ რამეზე) ზრუნვა სხვა არა არის რა, თუ არა ზრუნვა მის სიკეთეზე, – ამდენად, გვესახება რა ერის, მისი ადამიანობის, თავ-და-თავ (ზემოხსენებული აზრით) სიკეთედ **თავისუფლება**, რომლის გარეშეც ერი ვერ ერობს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვენი ნაციონალისტური ზრუნვის უმთავრეს საგნად ირკვევა **ერის თავისუფლება**, ამ უკანასკნელის **ლიბერალურ-დემოკრატიული** გაგებით, და, შესაბამისად, ჩვენი ნაციონალიზმიც კონკრეტდება თავის თავშივე (ასე ვთქვათ, იმანენტურბუნებითად), როგორც **ნაციონალიზმი ლიბერალურ-დემოკრატიული**. ამგვარად, გაზეთის სახელწოდება „ერი და თავისუფლება“, ამცნობს რა მკითხველს რაობას ჩვენი პარტიის ზრუნვის საგნისა, იმავე დროს, თავისი სახელწოდებით, გამოხატავს ჩვენი პარტიის იმ იდეოლოგიურ პრინციპს, რომლის თანახმადაც **ერზე ზრუნვა პირველ ყოვლისა მის თავისუფლებაზე ზრუნვაა**. ლდეპ-ს მიაჩნია, რომ მას (ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პარტიას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე მოქმედს), გარდა საკუთვრივ პოლიტიკური ფუნქციისა, აღსასრულებელი აქვს **კულტურტრეგერული** მისიაც, რამდენადაც

პოლიტიკა კულტურის ერთ-ერთი დარგია და, როგორც ასეთი, მისი ერთ-ერთი სახე (ისევე როგორც, სხვათა შორის, ეკონომიკაც). ქართველი ერის ისტორიული ბედი ისე მოეწყო, რომ საქართველოში მოქმედი პარტიები დღეს ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორშიც იყვნენ ქართული პარტიები ამ საუკუნის დასაწყისში: როგორც ვიცით, ეს უკანასკნელნი წმინდა პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად ეწეოდნენ სათანადო კულტურ-ტრეგერულ მოღვაწეობასაც, რომლის მიზანიც ქართველი ხალხის პოლიტიკური კულტურის ამაღლება იყო არა მარტო საკუთვრივ პოლიტიკურ, არამედ მისგან განუყოფელ სოციალურ-ეკონომიკურ, იურიდიულ და საერთოდ, ზოგადჰუმანიტარულ იდეათა ერის რაც შეიძლება ფართო მასებში შეტანა-გავრცელების გზით. ხსენებულ პარტიათა ამგვარი მოღვაწეობა გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ ღონისძიებათა გარეშე ფრიად გაძნელდებოდა (მეტი რომ არ ვთქვათ) ერის „აღდგენა-გამოხსნის“ საქმე და, მეორე მხრივ, იმის შეგნებით, რომ ჩვენი ხალხი, თავის დიდ უმრავლესობაში, ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ აღჭურვილი თავისთვის ესოდენ საჭირო მთელი ამ კულტურული ავლა-დიდებით. ის უდაო მიღწევები, რითაც აღინიშნა თავის დროზე ქართული პარტიების ეს საქმიანობა, სამწუხაროდ, ამჟამინდელი ქართველობის **მასობრივი** ცნობიერების კულტურულ აქტივს არ შეადგენს იმ ტრაგედიის გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ერს 1921 წლის თებერვალში და აქამდე გრძელდება. ამიტომაც დღეს ყველა პარტიის წინაშე კვლავაც დგას ძველი **პოლიტიკური** ამოცანა, რომელიც ჩვენი ხალხის **კულტურულ**-პოლიტიკური დონის ამაღლებას გულისხმობს და რომელსაც ქართველი ერის **ფსიქო-იდეოლოგიურ აღორძინებას** ვუწოდებდით. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი (და ჩვენი პარტიის შექმნაც ამ რწმენამ განაპირობა), რომ ეს ზოგადკულტურული აღორძინება ერისა სწორედ **ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის** საფუძველზე შეიძლება (ხოლო ამდენად **უნდა** კიდეც) მოხდეს, ე.ი. სწორედ იმ იდეოლოგიისა, რომელიც არსებითად საზღვრავდა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართველობის მთელ კულტურულ-ისტორიულ ევოლუციას ქვეყნის „გასაბჭოების“ ეპოქამდე. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ გაკვრით, რომ თვით ქართული სოციალ-დემოკრატიაც, რაგინდ უცნაურადაც მოეჩვენოს ეს ვისმე, სხვა არაფერია სინამდვილეში, თუ არა

ამ იდეოლოგიის „**უძღები შვილი**“, რომელზეც სხვა დროს გვექნება ცალკე საუბარი და მაშინ შევეცდებით ამ „მეტაფორის“ განმარტებასაც.

ამიტომაც, ვუსახავთ რა გაზეთს მის უპირველეს დანიშნულებად, გააცნოს და განუმარტოს მკითხველს ჩვენი პარტიის იდეოლოგია, რედაქციას განზრახული აქვს, რეგულარულად გამოაქვეყნოს სპეციალური წერილები, სადაც წარმოჩენილი იქნება ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის რაობა, მისი თეორიულ-ფილოსოფიური, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, იურიდიული და, რა თქმა უნდა, საკუთრივ პოლიტიკური ასპექტები. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენი განზრახვის შესრულებას ვუდგებით გაზეთის პირველივე ნომრიდანვე, სადაც ვაქვეყნებთ პარტიის საპროგრამო-იდეოლოგიური ხასიათის დოკუმენტს („დეკლარაციის“ სახით) და, ამის გარდა, აქვე ვიწყებთ **მიხეილ (მიხაკო) წერეთლის**, ილია ჭავჭავაძის სკოლის უთუოდ ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენლის, ნაშრომის ბეჭდვას, ნაშრომისა, რომელიც ნაციონალიზმის იდეისადმია მიძღვნილი, ჩვენ საჭიროდ ვცნობთ, მცირე განმარტება მივცეთ ტერმინ „ნაციონალიზმს“.

საბჭოთა პროპაგანდის ზეგავლენით არამარტო ხალხის ფართო ფენებში, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორისაც გავრცელებულია აზრი, თითქოს ნაციონალიზმი ანტიჰუმანური პრინციპი იყოს, შინაგანად უარმყოფელი ინტერნაციონალიზმისა და, როგორც ასეთი, ერთა შორის შუღლისა და მტრობის მთესველი. ამ შეხედულების მქონენი ერთმანეთს უპირისპირებენ პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს (თითქოს „პატრია“ – მამულსა და „ნაცია“ – ერს შორის რაიმე შეუთავსებლობა არსებობდეს), აიგივებენ რა ამ უკანასკნელს ქსენოფობიასთან, შოვინიზმთან, იმპერიალიზმთან და, ბოლოს, ფაშიზმთანაც კი. რა თქმა უნდა, იმათ, ვინც ნაციონალიზმში ფაშიზმს ხედავს, მიახლოებითი წარმოდგენაც არა აქვთ არც ერთზე და არც, ცხადია, მეორეზე. ეს ადამიანები თავისდაუნებურად ერთგვარნი „იდეოლოგიურნი მსხვერპლნი“ ზემოხსენებული პროპაგანდისა (რომელსაც, ვიტყვით აქვე, ფრიად „ნაციონალისტური“, უფრო ზუსტად კი – იმპერიალისტური, მიზნები ასულდგმულებთ), სიტყვა ფაშიზმის ასეთი „ჟარგონული“ ხმარებით გვახსენებენ იმ დროს, როდესაც ყველა ხელოვანს, ვინც კი ე.წ. „სოციალისტური რეა-

ლიზმის“ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა „ბურჟუაზიულ დეკადენტად“ ნათლავდნენ. ამ თემაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ იმათ, ვისაც სურს გაიგოს, თუ სად ძევს, სინამდვილეში, ბოროტების ძირი გერმანული ნაციონალ-სოციალიზმისა (ისევე როგორც იტალიური ფაშიზმის თუ რუსული ბელშევიზმის), ბევრს მისცემს ცნობილი სოციოლოგ-ეკონომისტის ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის კლასიკური წიგნი „გზა მონობისაკენ“, სადაც, სხვათა შორის, მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს „ფაშიზმის“ საკითხებში ისეთი ავტორიტეტული პირის, როგორიც ადოლფ ჰიტლერი იყო, განცხადება, რომ „თავის საფუძველში ნაციონალ-სოციალიზმი და მარქსიზმი ერთი და იგივეა“.

ხოლო, რაც შეეხება თვითონ ნაციონალიზმს, მის მიმართებაში ინტერნაციონლიზმთან, კოსმოპოლიტიზმთან და იმპერიალიზმთან, აი, რას წერს მის შესახებ გამოჩენილი ეკონომისტ-სოციოლოგი ლიბერალური მიმართულებისა ჯონ ა. ჰოფსონი თავის საქვეყნოდ განთქმულ „იმპერიალიზმ“-ში:

„ნამდვილი თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი, თავისი შინაგანი ფორმითა და შინაგანი სულით, გულისხმობს მძლავრ და თავისი ღირსების შემგნებ ეროვნებათა არსებობას, რომლებიც ისწრაფვიან გაერთიანებისაკენ საერთო საჭიროებათა და ინტერესთა საფუძველზე. ისტორიული განვითარება ამ მიმართულებით გაცილებით მეტად ესატყვისება სოციალური პროგრესის კანონებს, ვიდრე განვითარება ანარქიული კოსმოპოლიტიზმისა, ინდივიდუალურ ერთეულთა გამაერთიანებლის, მაგრამ ეროვნული ცხოვრების დამანგრეველის“.

ეროვნების განმტკიცება – ეს პირდაპირი გზაა ინტერნაციონალიზმისაკენ და, თუკი მათ შორის თავს იჩენს დაშორება, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ შერყვნა ხდება ერის ბუნებისა და ინტერესების. ეროვნული გრძნობის ასეთ მერყეობას წარმოადგენს იმპერიალიზმი. მისი წყალობით ერები აბიჯებენ ბუნებრივი ურთიერთმოქმედების საზღვრებს და სხვადასხვა ეროვნული ტიპების შემოქმედებას მტრულ იმპერიათა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილად აქცევენ. სწორედ ამ გადაბიჯებაში „ერის ბუნებრივი საზღვრებისა“ ხედავს ჰოფსონი „ჭეშმარიტი ნაციონალიზმის“ პრინციპის იმ დარღვევას, რომლითაც „აღინიშნება ეროვნული თვითგამორკვევის გადაცემა ბინძურ კოლონიურ პოლიტიკაზე, ერთი

მხრივ, და იმპერიალიზმზე, მეორე მხრივ“. მაგრამ დავანებოთ თავი უცხოელ ავტორებს, მათ კიდევ ბევრჯერ მივმართავთ ხოლმე მომავალში, და გადავხედოთ ჩვენს ლიდერებს.

ვინ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა?... ვინ იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, დავით კაკაბაძე?... ყველა უკლებლივ – ნაციონალისტები. მიუხედავად „ფრაქციული“ სხვადასხვაობისა, რომელიც, ბუნებრივია, ამ მოღვაწეთა შორის არსებობდა, ერთი რამ არსებითად ნიშნეულია ყველა მათგანისათვის, და ეს არსებითი, მათი იდეოლოგიური ვინაობის პრინციპულად განმსაზღვრელი, არის ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენში, რა თქმა უნდა, მანამდეც არსებობდა, მაგრამ რომლის ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც სარბიელზე გამოდის **ილია ჭავჭავაძე – ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მამამთავარი**. სწორედ ილია ჭავჭავაძიდან იწყება ნაციონალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიური გააზრება ჩვენში, რომელიც თავის შემდგომ თეორიულ (სოციოლოგიური თუ ფილოსოფიური თვალსაზრისით) განვითარებას ჰპოვებს ისეთ ავტორთა შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, სერგი დანელია და სხვ. აი, რას ამბობს ერთი ამ ავტორთაგანი თავის წერილში, რომლის სათაურიცაა „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“:

„ინტერნაციონალისტური სულისკვეთება მხოლოდ მანამდე არის შესაძლებელი, სანამ ეს ნაციონალური ერთეულის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება; მაგრამ როგორც კი იჩენს თავს ასეთი წინააღმდეგობა, იმწამსვე ინტერნაციონალური ანაზდად ქრება და სინამდვილის სარბიელზე განუყოფლად იწყებს ბატონობას ნაციონალური...

მართლაც, ვინ ჰქმნის, ვინ ამოძრავებს საკაცობრიო კულტურის წინსვლას? ჩვენ არ ვიცით არცერთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც მთელ კაცობრიობას შეექმნას, არცერთი სოციალური და ეკონომიკური წყობილების სახე, არცერთი სამეცნიერო ან ფილოსოფიური სისტემა, არცერთი ლიტერატურული მიმ-

დინარეობა, არცერთი ხელოვნური ქმნილება; ერთი სიტყვით, არცერთი კულტურული განვითარების ფორმა არ ვიცით ჩვენ, რომ იგი კაცობრიობის შემოქმედების ნაყოფი იყოს... პირიქით, ჩვენ ყველგან პიროვნებას ვხვდებით, რომელიც თავისი ერის სულიერი ცხოვრების საფუძველზე ჰქმნის და მოქმედებს და რომელიც ამიტომ უფრო განსახიერება არის ერის თავისებურებისა, ვიდრე თავისი პირადი განსაკუთრებულობისა: რაგინდ დიდი არ უნდა იყოს პიროვნება, მისი შემონაქმედი, მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩება და გავლენას სტოვებს, როდესაც იგი ერის ცხოვრების მოთხოვნილებებს შეეფერება და ერის უმრავლესობის ცნობიერებისათვის მისაღები და გასაგებია.

ამ თვალსაზრისით, მთელი კულტურული ცხოვრება ერის შემონაქმედია. „ერი ერთადერთი ორგანოა კულტურული ცხოვრების შემოქმედებისა, იგი ერთადერთი სუბიექტია კულტურული განვითარებისა“.

ეს სიტყვები ეკუთვნის დიმიტრი უზნაძეს, რომელიც, როგორც ვხედავთ, ერს მიიჩნევს კულტურისა და ისტორიის ერთადერთ ნამდვილ სუბიექტად და, ამგვარად, იძლევა ნაციონალიზმის, როგორც კულტურულ-ისტორიული იდეის, შესაბამისად კულტურ-და ისტორიოსოფიულ დაფუძნებას.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები, ზემოხსენებულნი და აგრეთვე სხვებიც, ვინც არ დაგვისახელებია, თავის თავს ნაციონალისტებად მიიჩნევდნენ და ამაყად ატარებდნენ ნაციონალისტის სახელს. ამიტომაც ჩვენც, თუკი ვცნობთ ჩვენს თავს მათ ღირსეულ მემკვიდრეებად, არ უნდა დავუთმოთ ეს ძვირფასი სახელი საბჭოურ პროპაგანდას და, სხვათა შორის, დასავლურ იაფფასიან პუბლიცისტიკასაც, დაშინებულს სიტყვა „ნაციონალიზმით“, აქაო და ნაციონალ-სოციალიზმი ნაციონალიზმის დროშის ქვეშ გამოდიოდაო (თითქოს ეს დროშა სოციალიზმისაც არ ყოფილიყოს); მითუმეტეს, რომ „ნაციონალიზმს“ ვერ შეცვლის „პატრიოტიზმი“, რომელიც არსებითად ზნეობრივი გრძნობის აღმნიშვნელია, მაშინ როდესაც „ნაციონლიზმი“ ფილოსოფიურ-იდეოლოგიური ტერმინია, სათანადო კონცეპტუალური შინაარსის მქონე... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს გაზეთს, მის ამოცანებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთი მარტო იდეოლოგიური პრინციპების პროპაგანდით ვერ შემოიფარგლება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა არა პოლიტიკურად ქმედითი პარტიის,

არამედ რომელიღაც აკადემიური ჯგუფის ორგანო. სპეციფიკური ნიშანი პოლიტიკური პარტიისა კონკრეტული ცხოვრებისეული პროგრამაა, რომლითაც გამოდის პარტია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე, როგორც მატარებელი, ამ პროგრამის სახით, თვით ამ ცხოვრებაში სარეალიზაციო პრაქტიკული იდეებისა. ამიტომაც პარტიის საპროგრამო პრინციპების განმარტება, მათი გავრცელება ერის მასაში ჩვენი გაზეთის კიდევ ერთ საგანგებო დანიშნულებას შეადგენს.

ხოლო ცხადია ისიც, რომ პროგრამა, თავისი წმინდა იდეური ასპექტით გამომხატველი განსაზღვრული იდეოლოგიისა, უნდა იძლეოდეს გარკვეულ პასუხს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ ერის ცხოვრებაში. აქედან – ჩვენი ორგანოს წმინდა „საგაზეთო“ დანიშნულებაც, მოგვცეს ქვეყნის პოლიტიკური (და მისგან განუყოფელი: სოციალური, ეკონომიკური, უფლებრივი და ა.შ.) ვითარების რეალურ-ანალიტიკური სურათი, რომელმაც ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტები და პრობლემები უნდა გააშუქოს სათანადო ობიექტურობითა და პრინციპულობით. ამასთან, ბუნებრივია, თვითონ **გაგება** ცხოვრების ცალკეულ მოვლენათა და საკითხთა განსაზღვრული იქნება იმ თეორიულ-ფილოსოფიური თვალთახედვით, რომელიც შეადგენს ჩვენი იდეოლოგიის ზოგადთეორიულ შინაარსს.

ამგვარად, გაზეთის საგნობრივი წრე ძირითადად სამი ელემენტით ისაზღვრება, როგორიცაა: პარტიის **იდეოლოგია**, პარტიის **პროგრამა** და თვითონ **ცხოვრება** ერისა, მისი ფაქტობრივი ვითარება შესაბამისი პრობლემატიკითურთ. გაზეთმა, კრიტიკულმა მეთვალყურემ ქვეყნის ცხოვრებისამ მკითხველს უნდა მიაწოდოს, რამდენადაც მას ამაზე ხელი მიუწვდება, ზუსტი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული თავისი საკუთარი თვალსაზრისი. გასაგებია, ჩვენი გაზეთი ჯეროვან ყურადღებას დაუთმობს საქართველოს ფარგლებსგარეთ მიმდინარე იმ პროცესებსაც, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. აქ მხედველობაში გვაქვს, როგორც სსრკ-ში მიმდინარე პროცესები, ასევე ის პროცესებიც, რომლებიც მიმდინარეობენ საერთოდ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებში. ცხადია, გაზეთის ინტერესი ამ მიმართულებით განსაზღვრული იქნება ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის რეალური საჭიროებებით.

თუ რამდენად შეძლებს ამ საქმის გაძღოლას გაზეთი, ეს დამოკიდებული იქნება არა მარტო გაზეთის თანამშრომელთა უნარიანობაზე, არამედ იმ ობიექტურ პირობებზეც, რომლებიც ჩვენს ნებას არ ექვემდებარებიან. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი წარმატება (თუ წარუმატებლობა) ამ გზაზე, ყოველ შემთხვევაში ერთს მაინც გულდაჯერებით შევპირდებით მკითხველს:

გაზეთი „ერი და თავისუფლება“ ერთგული იქნება თავისი უზენაესი მიზნისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ერის დახსნა რუსული „ხალხთა საყრობილი“-დან და **სუვერენული** (ამ სიტყვის უპირობო მნიშვნელობით) **ლიბერალურ-დემოკრატიული საქართველოს აღორძინება**.

24 ივნისის გამო

ა.წ. 24 ივნისს ორი ამბავი მოხდა, ერთი – ეროვნული მასშტაბისა და მეორე საერთაშორისოსი: ოპოზიციის (ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა) შეიარაღებული გამოსვლა არსებული ხელისუფლების (ოპოზიციონერთა გაგებით „არაკანონიერის“) დამხობისა და ძველის (მათივე გაგებით „კანონიერის“) აღდგენის მიზნით, და საქართველო-რუსეთის სამთავრობო მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე დაგომისში. წინამდებარე წერილში, მსურს, შევეხო ზემოხსენებულ ორივე ფაქტს, რომლებიც არა მარტო თარიღით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

I

ოპოზიციის ამ **მცდელობას შეიარაღებული ძალით სახელმწიფო გადატრიალებისა,** რომ მაინც და მაინც 24 ივნისს ჰქონდა ადგილი, – ამის მიზეზი ყველასთვის თვალსაჩინოა: ამ დღეს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო დაგომისს და ოპოზიციამაც სწორედ ეს „პოლიტიკური მომენტი“ შეარჩია თავისი აქციისათვის. ამ არჩევანის მიზანიც ასევე აშკარაა: ჩაეშალათ დაგომისის მოლაპარაკება, რომელსაც, მისი წარმატების შემთხვევაში, უნდა მოჰყოლოდა ახალი ხელისუფლების მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტის განმტკიცება ქვეყნის მოსახლეობაში, და ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის, რომ ამ ხელისუფლების მდგომარეობა საქართველოში თუ უიმედო არა, „ფრიად“ სათუოა, რომ იგი ვერ აკონტროლებს სიტუაციას რესპუბლიკაში, რომელიც, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომის პირობებში იმყოფება, და რომ მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დაჭერა, როგორც ამბობენ ხოლმე პოლიტიკოსები ასეთ შემთხვევაში, „არარეალისტური“-ა, ხოლო, რაც შეეხება ამ „ოპერაციის“ წმინდა „სამხედრო“ ასპექტს, ოპოზიცია თავის იმედს, ჩანს, ამყარებდა დედაქალაქის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით მის „მშვენიერ ნახევარ“-ზე (ექსპრეზიდენტის „ამორძალთა“ სახით), რომელიც „ბრძოლის ველ“-ზე, ტელერადიო დეპარტამენტის შენობასთან, ხელცარიელი, ალბათ, არ უნდა გამოცხადებულიყო, არამედ „ხელდამშვენებული“ ისეთი მრისხანე „ცოცხალი იარაღით“, როგორიც არიან ბავშვები, რითაც ოპოზიცია „გამაგრებული“ დე-

პარტამენტის შენობაში, „საიმედოდ“ იქნებოდა დაცული მთავრობის შეიარაღებული ძალების პირდაპირი შეტევისაგან მორალურად გადაულახავი „ხორცის ცოცხალი კედლით“; ამით ოპოზიცია ფიქრობდა, ალბათ, დროის მოგებას, მიაჩნდა რა, რომ დრო იმუშავებდა: დაიწყებოდა საყოველთაო დესტაბილიზაცია, სხვადასხვა „აქციის“ სახით და ბოლოს... მთავრობა, თავისი წინამორბედის მსგავსად გაიქცეოდა. აი, ყველაფერი რისი მოფიქრებაც შეეძლო ოპოზიციას...

ხოლო რა მოხდა სინამდვილეში? მართალი მოგახსენოთ, მე, პირადად, ექსპრეზიდენტის **ასეთ** სამარცხვინო მარცხს არ მოველოდი, თუმცა თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ამბავი ოპოზიციისთვის სწორედ **სამარცხვინო მარცხით** დამთავრდებოდა. მართლაც, მიუხედავად მოწოდებებისა, „ამნისტიებისა“, იმ დილით თითქმის მთელმა თბილისმა რომ მოისმინა რადიოში, ტელერადიოცენტრის შენობასთან მხოლოდ **რამდენიმე ასეულმა** კაცმა მოიყარა თავი, თანაც დიდ უმრავლესობაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო კიდეც, მდედრობითი სქესისა. ბედის მწარე ირონიით, ოპოზიციამ ამ სახით ერთგვარი **რეფერენდუმი** მოაწყო დედაქალაქში, რითაც ცალსახად დამტკიცდა, რომ დედაქალაქის მოსახლეობა (ყოველ შემთხვევაში) არ ცნობს ექსპრეზიდენტის პრეტენზიას ქვეყნის მესვეურობაზე და რომ იგი მთლიანად მხარს უჭერს ახალ ხელისუფლებას. ამგვარად, ამ დღეს თბილისის მოსახლეობამ, ასე ვთქვათ, „უშუალო დემოკრატიული“ წესით, „**ნდობის ვოტუმი**“ გამოუტანა საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას, ყოფილს კი, შესაბამისად, – „**უნდობლობის ვოტუმი**“, რითაც ჯერ კიდევ არჩევნებამდე დააკანონა და გააკანონიერა არსებული ხელისუფლება და მით ყოველგვარი „კანონიერება“ აღხადა ძველს, დამხობილსა და განდევნილს. ასეთია მთავარი, თუ საკუთრივ იურიდიული არა, ყოველ შემთხვევაში მორალურ-პოლიტიკური შედეგი იმ სტიქიური, ვიმეორებ, „რეფერენდუმისა“, რომელიც გამოუვიდა, მისდაუნებურად, ოპოზიციას, მისი უგუნურების მიზეზით.

დარწმუნებული ვარ, რომ ზემოხსენებული შედეგი, მეტნაკლებობით, მთელი საქართველოს დღევანდელი განწყობის გამომხატველია, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის გამოკლებით, სადაც ამ ამბის შემდეგ ასევე უნდა მოხდეს ხალხის გამოფხიზლება და პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზაცია, თუკი

ჩვენი ხელისუფლება ენერგიულად იმოქმედებს, ჯეროვანი სისტემურობითა და მეთოდურობით. კერძოდ, ჩვენ, დღევანდელმა ქართველებმა, მათ შორის განსაკუთრებით იმათ, ვინც ხელისუფლებაშია, კარგად უნდა შევიგნოთ ის ჭეშმარიტება, რომელიც ასე გამოხატა უდიდესმა ინგლისელმა იურისტმა ამ სამნახევარი საუკუნის წინ მეფესთან საუბარში: ქვეყნის მმართველნიც უნდა ემორჩილებოდნენ ღმერთს და **კანონს**; რითაც მან თვით მეფეს ამცნო კანონის უპირობო უზენაესობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ერის სახელმწიფო ცხოვრებაში. ხოლო რაა კანონი, ამ სიტყვის იურიდიული გაგებით? – „ნორმა, რომელსაც იცავს სასამართლო“, რაც ნიშნავს, რომ, ვინც არღვევს კანონს, მან უნდა **პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე**. ნათქვამია, შიში შეიქმს სიყვარულსაო, და დღევანდელი ცივილიზებული (“ევროპელი“) კაცის, არა თუ პატივისცემა, არამედ, დიახაც, სიყვარული კანონებისადმი დაფუძნებულია იმ შიშზე, კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის მოსალოდნელი სასამართლო სანქციის მიმართ, რომელიც ანიჭებს კიდეც კანონს მის სავალდებულო ძალას ადამიანის ცნობიერებაში. ამ ტრივიალური ჭეშმარიტების სრულმა უგულებელყოფამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს საქართველოში გამეფებულია სრული დაუსჯელობის გრძნობა, რამაც მიგვიყვანა, კერძოდ, 24 ივნისის სისხლიან, მოყვრისთვის სატირელ და მტრისთვის საცინელ, **ტრაგიკომედიამდე**.

უარვყოფთ რა ყოველგვარ შურისძიებას 24 ივნისის შეიარაღებული გამოსვლის მონაწილეთა მიმართ როგორც ზნეობრივი, ასევე უფლებრივი მოსაზრებით, ჩვენ მტკიცედ ვადგავართ იმ აზრს, რომ უკლებლივ ყველა დამნაშავემ ამ საქმეში უნდა აგოს პასუხი **კანონის** წინაშე სასამართლო წესით. ამისათვის კი საჭიროა, სხვათა შორის, ზუსტი იურიდიული კვალიფიკაცია მიეცეს პასუხისგებაში მისაცემი თვითეული პირის დანაშაულებრივ ქმედებას, რათა სასამართლო არ ვაქციოთ ადამიანის ღირსების დამამცირებელი შურისძიების სარბიელად. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ ხსენებულ დამნაშავეთათვის სამშობლოს ღალატის მუხლის მიყენება (ამის საშიშროება კი არის...) ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან იმისათვის, რათა ეს პირნი ასეთ ბოროტმოქმედებაში იქნენ დადანაშაულებული, ჯერ უნდა დამტკიცდეს, ყოველგვარი ეჭვისთვის შეუვალი ფაქტებით, რომ ისინი შეგნებულად ემსახურებოდნენ უცხო სახელმწიფოს ეროვ-

ნულ ინტერესებს თავისი ქვეყნის ასეთივე ინტერესების საზიანოდ.

ის გარემოება, რომ ოპოზიციის ბრძოლა ახლანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ წყალს ასხამს რუსეთის იმპერიალისტური წრეების წისქვილზე და რომ, კერძოდ, ოპოზიციის მცდელობა, ჩაეშალა დაგომისის მოლაპარაკება, ასევე ეთანხმება ამავე წრეების ზრახვებს, – თავისთავად ჯერ კიდევ არაფერს ამბობს ზემოხსენებული ბრალდების სასარგებლოდ, არამედ უბრალოდ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მიხეილ წერეთლის თქმისა არ იყოს, „ შინაური იდიოტები“ ყოველგვარი „მოღალატური“ განზრახვის გარეშე (ამიტომაც არიან ისინი „იდიოტები“, ე.ი. **უმეცარნი**, დავძენდი **პათოლოგიურად** უმეცარნი) ხშირად აკეთებენ ხოლმე, ენითა თუ ხელით, იმ საქმეს, რომელიც აწყობს „ გარეშე სატანას“ (ე.ი. გარეშე **მტერს**). ამგვარად, მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში მოხდა ის, რაც ისტორიაში არა ერთგზის მომხდარა: „იდიოტიზმისა“ და „სატანიზმის“ ინტერესთა სრულიად ბუნებრივი თანხვედრა, სხვა, ვფიქრობ, არაფერი.

მთავარი პოლიტიკური შედეგი 24 ივნისის „აქციისა“, იმის გარდა, რომ მან, თავის ორგანიზატორთა იმედებისა და ზრახვების წინააღმდეგ, გამოავლინა არსებული ხელისუფლების, შეიძლება ითქვას, საერთო-სახალხო ავტორიტეტი და მით საქვეყნოდ ცხადყო ამ ფორმალურ-იურიდიულად ჯერ კიდევ „არაკანონიერი“ ხელისუფლების სრული მორალურ-პოლიტიკური „კანონიერება“, – ისიცაა (და აქ სწორედ ამ გარემოებას, მსურს, გავუსვა ხაზი), რომ ამ დღეს ექსპრეზიდენტმა საბოლოო დისკრედიტაცია განიცადა მოქალაქეთა თვალში და ამ თვალსაზრისით ეს დღე მართლაც მისალოცია ჩვენი ერისათვის. მაგრამ იგივე 24 ივნისი **სამძიმრის** დღეცაა ჩემთვის და ეს – არა მარტო იმიტომ, რომ მან ადამიანთა სიცოცხლე შეინწირა „ბარიკადების“ ორივე მხარეს.

რაგინდ არასასურველად მიგვაჩნდეს პოლიტიკური პრობლემების მოგვარება „იარაღის“ მეშვეობით, იქნება ეს „რევოლუცია“ (თუ „პუტჩი“), ან კიდევ, უარესი, სამოქალაქო ომი, ფაქტია, რომ ასეთ მოვლენებს ერთა ცხოვრებაში ჰქონია ადგილი და მათ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჰქონია „რაღაც“ ისეთი გამამართლებელი მიზეზი, რომელიც ამ მთელ „სისხლიან ხარჯს“ ერისას გარკვეულ „ისტორიულ სიდიადეს“ ანიჭებს. ხოლო რა ჰგვრის ამ „სისხლის წვიმების“ „დროებს“ ასეთ სიდიადეს, რა ყოფს მათ

მართლაც რომ ტრაგედიად, მისი ერის ამამაღლებელი და გამწმენდი ძალით? – ის, რომ ისინი წარმოადგენენ **ბრძოლას პრინციპებისას**, რომელსაც ეწოდნენ გარკვეული იდეოლოგიის, სოფლხედვის მატარებელი საზოგადოებრივი დაჯგუფებანი. და აქ, ჩვენი პოლიტიკური სინამდვილის შემხედვარეთ, ბუნებრივად წამოგვეჭრება კითხვა: ნუთუ პოლიტიკური „იდიოტიზმი“ (ამ სიტყვის ზემოხსენებული გაგებით) არის ის პრინციპი, რომლისთვისაც ან რომელთანაც ბრძოლას უნდა ეწირებოდეს ამდენი ადამიანის სიცოცხლე და მთელი ერის ფიზიკური და ფსიქიკური ენერგია? ან კიდევ თვითონ ჩვენ, ვინც ვებრძვით ამ „პრინციპს“, მასთან დაპირისპირებაში რომელი პრინციპების დამცველებად ვჩანვართ? – მგონია, იმ პრინციპის, რომელსაც ყველაზე უკეთ სახელად „ანტიიდიოტიზმი“ მოერგებოდა, რადგან ის, რასაც ვიცავთ, თავისთავად, იმდენად ტრივიალურია ყოველი ცივილიზებული საზოგადოებისათვის, რომ მისი არდაცვა ჩვენ ასევე „იდიოტებად“ წარმოგვაჩენდა, ოღონდ, განსხვავებით პრეზიდენტის მომხრე „აქტიური იდიოტებისა“-გან, „პასიურ იდიოტებად“: აი რა საერთო ეროვნულ „იდიოტიზმ“-ში ვართ ჩაცვენილნი ყველანი განურჩევლად, „იდიოტები“-ცა და „ანტიიდიოტები“-ც.

თავს ნუ ვიტყუებთ და ქვეყნის სასაცილოდ ნუ ვაცხადებთ, თითქოს ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეების სახით ჩვენ ვებრძვით ფაშიზმს (რომლის სახელქვეშაც ჩვეულებრივ ნაციონალ-სოციალიზმს გულისხმობენ ხოლმე). ფაშიზმი, ისევე როგორც ნაციონალ-სოციალიზმი, გარკვეული იდეოლოგიაა, გარკვეული სოფლმხედველობის გამომხატველი, მაშინ როდესაც ექსპრეზიდენტს და, მით უმეტეს, არც მის მიმდევრებს არანაირი იდეოლოგია, ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით, არ გააჩნიათ, თუკი იდეოლოგიად არ მივიჩნევთ იმ ფსიქოლოგიას, რომელიც სოციალური ფსიქოპათოლოგიის სფეროს ეკუთვნის და რომ ეს ასეა, ამის **დოკუმენტურ** საბუთს წარმოადგენს ექსპრეზიდენტის „საქართველოს მისია“, რომელიც ზოგიერთს, ჩანს, ქართულ „მაინ კამპფად“ მოსჩვენებია... მართლა ფაშიზმთან (ან ნაციონალ-სოციალიზმთან) რომ გვქონოდა საქმე, – რა გვიჭირდა: ის მაინც გვექნებოდა სათქმელად, რომ იდეოლოგიურ სატანიზმს ვებრძვით, ამისთვის ვღვრით სისხლს, თორემ რა გამოდის? – თურმე ვებრძვით იდიოტიზმს, რომელსაც, სხვისი არ ვიცი, და მე, პირა-

დად, ვერანაირ იდეოლოგიად ვერ მივიჩნევ, ფართო „ტირაჟის“ მიუხედავად.

ეს – ერთი, საქმე სასირცხო და, ამის გამო, სასამძიმრო. მაგრამ იქნებ იმით შეგვიძლია „პრინციპულად“ ვინუგეშოთ თავი, რომ ვებრძვით „სახელისუფლო ნების“ მქონე კაცს, ასე ვთქვათ, დაბადებით **დიქტატორს**, რომლის მთელი იდეოლოგიაც ცნობილი ფორმულით ამოიწურება: „სახელმწიფო – ეს მე ვარ“ (აკი შეიქმნა სიმღერაც, სადაც ნათქვამია, რომ ექსპრეზიდენტი „საქართველოა“)? იქნებ პრეზიდენტის სახით, თავი დავანებოთ ჰიტლერს და მუსოლინს, საქართველოს თუნდაც სადამ ჰუსეინი მოევლინა? –

ვაი, რომ არა: ამაშიც არ გვქონია ბედი, ღმერთმა ხეირიანი დიქტატორიც არ გვაღირსა, რომ ის მაინც გვეთქვა, ნამდვილ **დიქტატორს** ვებრძვითო. მაინც ვინაა ეს ადამიანი, ვისთვისაც და ვისთანაც ბრძოლა ლამის „ეპოქალურ“ ამბად იქცეს ქართველი ერის უახლეს ისტორიაში? – **გადიქტატორებული ტარტიუფი**: აი, ვინ ვაქციეთ ისტორიულ ფიგურად, ვისი სახელიც სამუდამოდ ჩაიწერა „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელსაც „ქართლის ჭირი“ ეწოდება, როგორც **საქართველოს პირველი პრეზიდენტისა**, აი, რა ქართველი, „ვაშინგტონი“ მოვუვლინეთ ჩვენს სამშობლოს, დღევანდელმა ქართველებმა, შთამომავლობის წინაშე „სასიქადულოდ“! და აი, ვის შეეწირა, კერძოდ 24 ივნისს ქართველი კაცის სიცოცხლე „ფრონტის ხაზის“ გაღმაც და გამოღმაც! ასე რომ, ამ დღეს, გარდა მილოცვის სიტყვისა, სამძიმრის სიტყვაც გვმართებს ერთმანეთისადმი არა მარტო იმის გამო, რომ ადამიანთა სისხლი დაიღვარა, არამედ იმიტომაც რომ სირცხვილია, ჭეშმარიტად საისტორიო სირცხვილი, ასეთ რამესთან და ასეთ ვინმესთან ბრძოლას სწირავდეს ამ ხნის ერი თავისი შვილების სიცოცხლეს, თავის ამდენ, გნებავთ ხორციელ და გნებავთ სულიერ, ძალ-ღონეს. და მეც, ყოველივე ზემორეთქმულის გათვალისწინებით, ამიტომ ასე დავამთავრებ ამ წერილს: გილოცავთ და გისამძიმრებთ!

II

მას შემდეგ, რაც ექსპრეზიდენტის მომხრეთა ეს გამოხდომა ხელისუფლების მიერ ლიკვიდირებულ იქნა „სულ რამდენიმე სა-

ათში“, საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, თავისი პოლიტიკური ღირსების სრული დაცვით, ვითომც „არაფერი“ მოხდარიყოს, გაემგზავრა დაგომისს დათქმულ მოლაპარაკებაზე, რომლის შედეგებიც მკითხველთათვის ცნობილია: რუსეთმა არა თუ აღიარა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა (შესაბამისი განცხადება, „პოლიტიკური რიტორიკის“ დონეზე, რუსეთის მთავრობას ადრეც ჰქონდა გაკეთებული), არამედ ამ მიმართულებით გადადგა კიდეც სავსებით რეალური ნაბიჯი, ოფიციალურად გამოხატა რა მზადყოფნა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის, აქედან გამომდინარე, ყველა **საერთაშორისო უფლებრივი** შედეგით. ეს, რა თქმა უნდა, დიდ მიღწევად უნდა ჩავუთვალოთ ჩვენს სამთავრობო დელეგაციას, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მეთაურობით.

როგორც ვიცით, ამ მოლაპარაკების ერთი საგანგებო თემა იყო ქართულ-ოსური კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, რადგან ეს კონფლიქტი არა მარტო თავისი წარმოშობით, არამედ შედეგითაც სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და უშუალოდ უკავშირდება რუსეთს, მასში შემავალი „სუვერენული“ (“ჩრდილო“) ოსეთის სახით: საქმე ისაა, რომ ყოფილი ავტონომიური ოლქიდან ლტოლვილმა ოსებმა თავი შეაფარეს თავის სამშობლო ოსეთს, სადაც ისინი ძირითადად დაასახლეს ტერიტორიაზე, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ ინგუშები. ამგვარად, გარდა წმინდა სოციალური დაძაბულობისა, რაც საერთოდ ნიშანდობლივია ასეთი მოვლენებისათვის, რუსეთის ხელისუფლებას ორი პრობლემა გაუჩნდა, ორივე – ეროვნული ხასიათისა და, როგორც ასეთი, მისთვის განსაკუთრებით არასასურველი: ერთი – ოსური (ოსურ-ქართული კონფლიქტის სახით) და მეორე – ინგუშური (ინგუშურ-ოსური კონფლიქტის სახით). ასე რომ, „ოსური“ თემა დაგომისის საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებაში, ისევე როგორც გადაწყვეტილება, მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით მოაგვარონ ეს საკითხი, თავისთავად სავსებით ბუნებრივი ჩანს. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რა საჭირო იყო ამისათვის რუსული ჯარის მოხმობა ცხინვალის რეგიონში? და კიდევ: რა საჭირო იყო, ამასთან, ოსური სამხედრო ფორმირებების „მოპატიჟება“-ც? – განა არ აჯობებდა ამ რეგიონის საქმეთა მოგვარება მისსავე პატრონს – საქართველოს დაჰკისრებოდა მთლიანად? ან მოეწვიათ ნამდვილად ნეიტრალური ძალა, მაგალითად, გაერო-ს ჯარის სახით?

ნათქვამია, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო, და ჩვენც, ქართველებს, აწ უკვე „პოლიტიკურად განსვენებული“ ექ-სპრეზიდენტისა და მისი პარლამენტურ-ადმინისტრაციული ხრო-ვის „პოლიტიკის“ წყალობით, ის დაგვემართა, რომ შიდა ქარ-თლის ამ ქართულ-ოსურ კონფლიქტში ჩვენმა მართალმა საქმემ მორალური დისკრედიტაცია განიცადა მსოფლიოს საზოგადოები-სა და მთავრობათა თვალში. ხოლო ასეთ ვითარებაში პირდაპირი განცხადება პრეტენზიისა, რომ ამ საქმეს ჩვენ თვითონ მოვუვ-ლით, დღეს მეტისმეტად „პრეტენზიული“ იქნებოდა ჩვენ მხრივ, თუნდაც „მეთვალყურეები“ მოგვეწვია, მსოფლიოს სანუგეშოდ, იმავე გაერო-დან, ან რომელიმე სხვა კომპეტენტური საერთაშო-რისო ორგანიზაციიდან. გაერო-ს ჯარებს კი რაც შეეხება, მათი მოწვევა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგს ჰგონია, ყოველ შემთხვევაში, ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, მაშინ, როდე-საც „ჩვენი დრო“ აღარ ითმენს – დღეს არა, ხვალ შეიძლება ამოგვეწუროს... ამიტომაც ის პოლიტიკური **კომპრომისი**, რომელ-ზეც წავიდა ჩვენი დელეგაცია, სავსებით გამართლებული ჩანს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რუსეთმა ოფიციალურად ცნო სა-ქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და რომ ნამდვილი მიზე-ზი ამ ცნობისა, ისევე როგორც მისი დაურღვევლობის გარანტია, მოსკოვის ჩვენდამი „კეთილგანწყობა“-ში კი არაა საძიებელი, არამედ ვაშინგტონისა და მის მოკავშირეთა პოლიტიკურ ნებაში, რომლის ერთ დოკუმენტურ გამოხატულებას წარმოადგენს, სხვა-თა შორის, 1988 წელს გამოცემული, აშშ-ის ახალი ადმინისტრა-ციისათვის საპროგრამოდ განკუთვნილი „მანდატი“ „ხელმძღვანე-ლობისთვის“, 900-ზე მეტგვერდიანი ნაშრომი, ამერიკის ნეოკონ-სერვატორთა მთავარი „ტვინის ცენტრის“ – „მემკვიდრეობის ფონდის“ მიერ დამზადებული, სადაც წარმოდგენილია ე.წ. „გან-თავისუფლების დოქტრინა“, სპეციალურად მიძღვნილი სსრკ-ის დაშლისა და მის შემადგენლობაში მყოფ „მოკავშირე რესპუბლი-კათა“ დამოუკიდებლობის საკითხისადმი...

ყველას გვახსოვს, ალბათ, ტელეინტერვიუ, რომელიც მისცა აშშ-დან დაბრუნებულმა ბ–ნმა ელცინმა, ბ–ნ ხასბულატოვისა და რუცკოის ცნობილი განცხადების სულ რამდენიმე დღის შემდეგ: კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ ესახება მას რუსეთის პოლიტიკა მოლდავეთისა და საქართველოს მიმართ, ამ რესპუბ-ლიკებში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, რუსეთის

პრეზიდენტმა მოლდავეთზე ილაპარაკა რუცკოი-ხასბულატოვის ხსენებულ გამოსვლათა სულიკვეთებასთან სრულ თანხმობაში, ვიტყოდი გაცილებით „მრისხანედა“-ც, მაშინ, როდესაც საქართველოზე, როგორც იტყვიან, „პირში წყალი დაიგუბა“, კრინტიც არ დაუძრავს. რატომ? – ჩვენთვის უცნობია, თუ რა მოხდა ვაშინგტონში, ბ-ნ ელცინის აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრისას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბ-ნ ბუშისაგან საქართველოს თაობაზე შთამბეჭდავი „შეგონება“ მოისმინა, მაშინ, როდესაც მოლდავეთზე, ჩანს, საუბარი არ ყოფილა, რამაც, ალბათ, შეცდომაში შეიყვანა ბ-ნი ელცინი, აქაოდა, მოლდავეთის მიმართ „კარტ-ბლაში“ გვაქვს მოცემული ვაშინგტონისგანო. მაგრამ მოტყუვდა რუსეთის პრეზიდენტი, რადგან ამ მისი მოლდავეთის საწინააღმდეგო გამოსვლის მეორე დღეს თეთრმა სახლმა გააკეთა განცხადება, რომლითაც „მოუწოდა“ რუსეთს წესრიგისაკენ და მოსთხოვა მოლდავეთიდან არმიის გაყვანა, მოაგონა რა, რომ მოლდავეთში არსებული კონფლიქტი თვით ამ რესპუბლიკის საშინაო საქმეა, რომელშიც ჩარევის უფლება რუსეთს არ აქვს. ხოლო შეიძლება იკითხონ, რატომ ამგვარად არ დაისვა საკითხი საქართველოს მიმართაც? განა დნეპრისპირეთში ნაკლები სისხლი დაიღვარა, ვიდრე შიდა ქართლში?

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს განაგებდა ისეთი მთავრობა, რომლის ფონზეც მოლდავეთის ხელისუფლება ლამის „ყველა ტალანტის მთავრობად“ მოგვეჩვენოს: განა ვინმესთვის საიდუმლოს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ, თავი დავანებოთ ექსპრეზიდენტსა და მის ექსადმინისტრაციას, საქართველოს ექსპარლამენტმა, საპარლამენტო ოპოზიციის ჩათვლით „ოსურ“ საკითხში ყველა რეკორდი მოხსნა პოლიტიკური უგუნურებისა და უმეცრების? დაფიქრდა განა ვინმე იმ ჩვენი „კანონიერი“ პარლამენტის (ყოვლად უკანონოსი პოლიტიკური გონიერების ყველა განზომილებით) რომელიმე წევრი, რამდენად იყო გამართლებული არსებულ ვითარებაში, გნებავთ პოლიტიკური, გნებავთ, იურიდიული თვალსაზრისით, ამ თავისთავად სამართლიან საქმეზე (ვგულისხმობ „ავტონომიის“ გაუქმებას) წასვლა? შევნიშნავ, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია იყო ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის, რომელსაც თავის **პროგრამაში** ჰქონდა დაფიქსირებული „სამხრეთ ოსეთის“,

როგორც ტერიტორიულ-ავტონომიური წარმონაქმნის, სრული უკანონობა და, შესაბამისად, მისი გაუქმების სრული კანონიერება. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნდა (და ახლაც მიგვაჩნია), რომ ეს „მართალი სამართალი“ უნდა აღსრულებულიყო სულ სხვა პოლიტიკურ პირობებში და სულ სხვა იურიდიულ საფუძველზე, განსხვავებით იმისგან, რაც გვქონდა მაშინ, როდესაც ექსპრეზიდენტმა მთელი პარლამენტის ტაშის გრიალში გამოაცხადა ხსენებული „ავტონომიის“ ლიკვიდაცია. დაამატეთ ამას პოლიტიკური ობსკურანტიზმის ზოგადი ფონი და ამ ფონზე – მისი შესატყვისი „ანტიოსური“ რიტორიკა, აქედან გამომდინარე საქმეებითურთ, და გასაგები გახდება ის შთაბეჭდილება, რომელიც შეიქმნა დასავლეთში ამ ჩვენი ლამის საერთო-სახალხო „ფაშიზმად“ ქცეული „პოლიტიკური ფოლკლორის“ გამო. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ თუკი მოლდავურ შემთხვევაში საუბარი ეხება „პატარა“ მოლდავეთის კონფლიქტს „დიდ“ რუსეთთან, ჩვენ შემთხვევაში ლაპარაკია „დიდი“ საქართველოს კონფლიქტზე „პატარა“ ოსეთთან, რასაც ასევე პრინციპულად განსხვავებულ (თავისი მორალურ-პოლიტიკური წამგებიანობით) მდგომარეობაში გვაჩვენებს მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ასეთ პირობებში, როდესაც საერთაშორისო სარბიელზე მიეცა გასავალი ბრალდებას „ოსთა გენოციდ“-ში არა მარტო საქართველოს ყოფილი ხელისუფლების, არამედ მთელი ქართველი ერის მიმართ, რაშიც თავისი „წვლილი“ შეიტანა, აშკარად –ექსპრეზიდენტისადმი ბრმა სიძულვილის კარნახით, ახალმა ხელისუფლებამაც (“სამხედრო დიქტატურის“ ხანაში) ერთი თავისი უპასუხისმგებლო განცხადებით, და, რაც მთავარია, ჩვენმა სუტ-დემოკრატებმაც, აწ უკვე „ყოფილი“ ოპოზიციის რიგებიდან, – მოთხოვნა იმისა, რომ ჩვენ დაგვანებონ ცხინვალის საქმის მოგვარება, მორალურად (ხოლო ამდენად პოლიტიკურადაც), ცოტა არ იყოს უხერხული ჩანს, მით უმეტეს, რომ ეს „მოგვარება“, შექმნილ სიტუაციაში, გულისხმობს სისხლისღვრის გაგრძელებას, რაშიც ცივილიზებული მსოფლიო, რომლის იმედიც გვაქვს, თანაგრძნობასა და მხარდაჭერას არ აღმოგვიჩვენს.

ერთი სიტყვით, საკითხი ეხება არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას აღნიშნულ რეგიონში, ან ყოფილი ავტონომიის აღდგენას იქ, – არამედ მხოლოდ და მხოლოდ მეთოდს ხსენებული კონფლიქტის მოგვარებისა ქართველი ერის სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად: დღეს ჩვენი უპირველესი

ამოცანაა, ეს კონფლიქტი გადატანილ იქნას პოლიტიკურ სფეროში, სადაც იგი უნდა მოგვარდეს კიდეც პოლიტიკური მეთოდებით, ე.ი. მშვიდობიანი წესით, სისხლისღვრისა და კაცისკვლის გარეშე, ხოლო რაც შეეხება ავტონომიის აღდგენას ("ჩრდილო" ოსეთთან, ე.ი. რუსეთთან, ამ რეგიონის შეერთებაზე რომ არაფერი ვთქვათ), ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია: ეს ავტონომია ისევე აღმოიფხვრა საქართველოში, როგორც თვითონ „რუსობა" (მსგავსად ადრინდელი „ყიზილბაშობისა" თუ „ოსმალობისა"), რომლის უშუალო „ქმნილება"-ც იყო იგი, მასავით მახინჯი და მანკიერი ჩვენს სინამდვილეში. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს საქართველოს ოსური მოსახლეობის იმ ეროვნული უფლებების უგულვებელყოფას, რომელთა დაცვაც გარანტირებულია რიგი საერთაშორისო უფლებრივი აქტებით და გულისხმობს ყოველი ეროვნული უმცირესობისათვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უზრუნველყოფას... მაგრამ დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ დაგომისის „კომპრომისს".

საერთოდ, პოლიტიკური კომპრომისი, თუკი ის ჯეროვნად აწონილ-დაწონილია, ყოველთვის მომგებიანია იმ მხარისათვის, რომელიც ასეთ ნაბიჯზე მიდის. ჩვენს შემთხვევაში კი „სტრუქტურა" ხსენებული კომპრომისისა ასე გამოიყურება: საქართველო თავის ტერიტორიაზე, სადაც ადგილი აქვს კონფლიქტს, ამ უკანასკნელის მოსაგვარებლად, თანამშრომლობის წესით იწვევს რუსეთს (მისი შეიარაღებული ძალების სახით), როგორც სახელმწიფოს, რომელსაც კონფლიქტი ასევე ეხება. ხოლო, რამდენადაც ხსენებული კონფლიქტი კონკრეტულად ქართულ-ოსურია, საქართველოს მთავრობა, მდგომი ფართო პოლიტიკური კონფლიქტის პოზიციაზე, პრობლემის „უსისხლოდ" მოგვარების მიზნით, ამ პოლიტიკური (უფრო ზუსტად კი სამხედრო-პოლიტიკური) ღონისძიებიდან არ გამორიცხავს კონფლიქტში უშუალოდ მონაწილე მეორე – ოსურ მხარესაც, რაც, თავისთავად, გარკვეული კომპრომისია, ვიტყოდით – დიდი კომპრომისიც, მაგრამ კომპრომისი (თანაც სწორედ ამ თავის „სიდიდით") საქართველოსთვის პოლიტიკურად მომგებიანი მსოფლიოს წინაშე, როგორც ცხადი მოწმობა საქართველოს მთავრობის კეთილი ნებისა და წრფელი სურვილისა, ბოლო მოუღოს ამ სისხლისღვრას. სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა სამშვიდობო პოლიტიკაში ჩართვა იმ ძალებისა (რუსულისა და ოსურის), რომლებმაც არსებითად გამოიწვიეს

კიდეც ეს კონფლიქტი შიდა ქართლში. ამით საქართველოს მთავრობამ, სათანადო ხელშეკრულების ძალით, პოლიტიკურად ხელი შეუკრა როგორც ამ კონფლიქტის ინსპირატორ და ორგანიზატორ რუსეთს, ასევე მისი პოლიტიკის „ცოცხალ ისტრუმენტ“ – ოს ექსტრემისტებსა და მათ ამყოლ ოსობას, დააკისრა რა ორივეს (რუსეთსაც და ოსურ მხარესაც) მათ მიერვე გაჩაღებული ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობა, რაც, კაცმა რომ თქვას, მოკლებული არაა თავისებურ „პოლიტიკურ ირონიასა“-ც. ხოლო ისმის კითხვა: შეასრულებს კი რუსეთი (ოსეთითურთ) ამ პირობას? – ან ჰო, ან არა. თუ ჰო, ხომ კარგი, და, თუ არა, მაშინ საქართველოს მთავრობას უკვე პირნათლად ექნება სათქმელი, ვისთვისაც ჯერ არს, ე.ი. „დიდი დემოკრატიებისთვის“, ხომ ხედავთ, ყველაფერი ვიღონეთ, თვით რუსებიცა და ოსებიც კი მოვიწვიეთ ერთობლივი თანამშრომლობისათვის, შეგვეწყვიტა სისხლისღვრა, მაგრამ ესენი მაინც თავისას არ იშლიან და თავისას აკეთებენო. და, თუკი ასე წარიმართა ეს წამოწყება, მაშინ საქართველოს მთავრობას, „სხვა გზის“ უქონლობის გამო, შეუვალი საბუთი ექნება, მიჰმართოს დახმარებისათვის **თვით** გაერო-ს უშუალოდ და ეს უკანასკნელიც „იძულებული“ შეიქმნება, ასეთ ვითარებაში, სათანადო ზომები მიიღოს. რაგინდ თანაუგრძნობდეს დემოკრატიული მსოფლიო „პატარა“ ოსეთს „დიდი“ საქართველოს (ამ „პატარა იმპერიის“, ერთი ჭეშმარიტად რუსი ლიბერალის თქმით) პირისპირ, ფაქტია, რომ ამ მსოფლიოს მესვეურ მთავრობებს, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოეხსენებათ, რომ აქ საუბარია, სინამდვილეში, არა ოსეთზე, არამედ რუსეთზე, მის რამდენადაც გაკოტრებულ, ამდენადვე გაწუწკებულ იმპერიალიზმზე, თუნდაც ეს „მიწის ნაგლეჯი“ წაჰგლიჯოს „უმადურ“ საქართველოს. —

გვახსოვდეს, ისტორიამ, მსოფლიოს მესვეურ დემოკრატიულ სახელმწიფოთა სახით, სიკვდილის განაჩენი გამოუტანა რუსულ იმპერიალიზმს, – განაჩენი, რომელიც არავითარ „გასაჩივრებას“ არ ექვემდებარება, და საქართველოში, რომლის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ბრმისთვისაც თვალსაჩინოა, რუსეთს ამიერიდან არავინ აბოგინებს, თუკი თვითონ ჩვენ, ქართველებმა, ამ ბოლო ხანს ჩვენთვის „ჩვეულად“ ქცეული პოლიტიკური უგუნურებით, საკუთარ თავს არ მოვუვლენთ ღმრთის რისხვას.

ამიტომ, დავანებოთ თავი იმაზე საუბარს, თითქოს ამ ხელშეკრულებით საქართველოში შემოგვეყვანოს რუსეთის „საოკუპა-

ციო“ ჯარები (მაშინ, როდესაც ეს ჯარები **საერთაშორისო ხელ-შეკრულების** საფუძველზე იქნებიან აქ) და ვიფიქროთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ვისარგებლოთ იმ შესაძლებლობებით, რომლებიც მოგვეცა ჩვენ საქართველო-რუსეთის ამ ხელშეკრულების ძალით. მოდით, თავს ნუ დავკარგავთ, თუკი მართლა გვსურს, „ჩვენი თავი“ ჩვენვე „გვეყუდნოდეს“!

ასეთია, ჩემი ფიქრით, „**24 ივნისის**“ ორი პოლიტიკური შედეგი, ერთი – საშინაო, მეორე – საგარეო.

ზოგიერთი რამ

(ერთი დოკუმენტის გამო)

ჩემს ამასწინდელ წერილში (იხ. „მამულის“ ა.წ. №13) გაკვრით მოვიხსენიე „მემკვიდრეობის ფონდის“ მიერ გამოქვეყნებული „მანდატი ხელმძღვანელობისათვის“ – საპროგრამო დოკუმენტი, განკუთვნილი ხელისუფლების სათავეში მოსული პრეზიდენტ ბუშისა და მისი ადმინისტრაციისათვის. ეს უზარმაზარი ნაშრომი, შემცველი 900-ზე მეტი გვერდისა და მომზადებული 400 (!) ავტორის მიერ (დააკვირდით საავტორო პასუხისმგებლობას, ჩვენთვის საოცნებოს, თუკი ამგვარ რამეებზე ოცნების უნარი კიდევ შეგვრჩენია, ამ ჩვენს ლამის საყოველთაო უპასუხისმგებლობის პირობებში: თითო ავტორზე საშუალოდ 2 გვერდზე ოდნავ მეტი მოდის!), გამოიცა აშშ-ში 1988 წელს, ბ-ნ ბუშის არჩევნებში გამარჯვებისთანავე. წინამდებარე წერილში სწორედ ამ დოკუმენტზე მსურს ვისაუბრო, სახელდობრ, მის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება ამერიკის სამომავლო პოლიტიკას სსრკ-ის მიმართ და სადაც მოცემულია კიდეც ჩვენთვის დღესაც საგულისხმო ე.წ. „განთავისუფლების დოქტრინა“. მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა – თვით „მემკვიდრეობის ფონდ“-ზე: რას წარმოადგენს იგი?

მემკვიდრეობის ფონდი არის ერთი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება რესპუბლიკურ პარტიას, როგორც მედროშეს ამერიკული ნეოკონსერვატიზმისა, საერთო პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებაში, და როგორც ასეთი, წარმოადგენს ამ პარტიის „ტვინის ცენტრს“, მის, ასეც უწოდებენ ხოლმე, „აზრის ფაბრიკას“, ამგვარი „ცენტრები“ თუ „ფაბრიკები“ რესპუბლიკელებს სხვაც აქვთ (მათ შორის ცნობილი „ჰუვერის ინსტიტუტი“), მაგრამ ამერიკელ ნეოკონსერვატორ-რესპუბლიკელთა მთავარი „ინტელექტუალური შტაბ-ბინა“ „მემკვიდრეობის ფონდი“-ა, რომელმაც, როგორც ამბობენ, „ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა“ ჯერ კიდევ 1980 წლის არჩევნებისათვის პრეზიდენტ რეიგანის პლატფორმის შემუშავების საქმეში. მართალია „ფონდი“ ითვლება კერძო ორგანიზაციად და მის მიერ მომზადებული ეს დოკუმენტიც („მანდატი...“) ოფიციალურად არ მიიჩნევა სავალდებულოდ თავისი ადრესატისათვის, მაგრამ „ფონდისა“ და მისეული „მანდატის“ ასეთი სტატუსიდან სულაც არ გამომდინარეობს ის, თითქოს „მანდატ“-ში მოცემული რეკომენდაციები სი-

ნამდვილეში მოკლებულნი იყვნენ პრაქტიკულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, რადგან, ცნობილია, „იქ“ ფულს არავინ ფანტავს ტყუილაუბრალოდ, ხოლო „ფონდის“ ამგვარი „სარეკომენდაციო“ სამუშაოებისათვის 1984 წლის მონაცემებით გამოყოფილი იყო 3,5 მილიონ დოლარამდე თანხა (რაც შეეხება ამ „რეკომენდაციათა“ არასავალდებულოობას, ეს ადვილად ასახსნელია, თუნდაც იმავე პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ...).

მე, პირადად, იმთავითვე, როდესაც პრესიდან შევიტყვე „მანდატის“ შესახებ (ეს კი მოხდა იმავე 1988 წელს) და გავეცანი მის „განთავისუფლების დოქტრინას“, ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ, ყოველ შემთხვევაში ამ „დოქტრინის“ სახით, ჩვენ საქმე გვაქვს რეალურ პროგრამასთან, რომლითაც იხელმძღვანელებდა ახალი ადმინისტრაცია, რადგან ნათელი იყო, რომ პრეზიდენტი ბუში, ცხადია – „თავისებურად“, მაგრამ „მაინც“ გააგრძელებდა თავისი „კონსერვატორი“ წინამორბედის პოლიტიკას სსრკ-ის მიმართ. ხოლო როგორი იყო ეს პოლიტიკა ყველას კარგად გვახსოვს: ჯერ იყო და, თავისი პირველი პრეზიდენტობის დასაწყისშივე ბ-ნმა რეიგანმა სსრკ საქვეყნოდ გამოაცხადა „ბოროტების იმპერიად“ და მით იდეოლოგიური ფორმულა მისცა დასავლეთს ამ „იმპერიის“ დასამხობად გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლისათვის, ხოლო პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემდეგ პირდაპირ აუწყა მსოფლიოს, 1989 წლისთვის საბჭოთა სისტემა აღარ იარსებებსო (რაც მოხდა კიდეც, სიზუსტით – თითქმის „წუთი-წუთზე“). ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, რომ ახალი პრეზიდენტი სწორედ ამ „რეიგანული“ სულისკვეთებით იმოქმედებდა (ვიმეორებ, გარკვეული „ინდივიდუალური მოდიფიკაციის“ ფარგლებში), რომლის საპროგრამო გამოხატულებაცაა ზემოხსენებული „განთავისუფლების დოქტრინა“. მაგრამ პირველ რიგში ეს „დოქტრინა“ ჩემთვის საგულისხმო იყო, როგორც მჭევრმეტყველური ფაქტი იმ საერთო განწყობისა, რომელიც სუფევს აშშ-ის პოლიტიკის განმსაზღვრელ მაღალ „ინტელექტუალურ სფეროებ“-ში და რომელიც, ჩანს არც ამ ქვეყნის დემოკრატებისთვისაა „მთლად უცხო“ (ვგულისხმობ რესპუბლიკელთა ოპონენტ და კონკურენტ დემოკრატებს). ახლა – რაც შეეხება თვითონ „დოქტრინას“.

ამ „დოქტრინით“, რუსეთის ბატონობისა თუ „პატრონობისა“-გან გასათავისუფლებელი ქვეყნები დაყოფილია ოთხ ჯგუფად, რომელებიც გლობუსზე განლაგებულნი არიან, შესაბამისად, ოთხ კონცენტრულ წრედ. ამათგან პირველ ორ, გარე და მის მომდევნო წრეს შეადგენენ აღმოსავლეთ ევროპის „სოციალისტური“ ქვეყნები, კუბა, ინდოჩინეთის კომუნისტური („პროსაბჭოთა“) ქვეყნები, აგრეთვე საბჭოთა კავშირისადმი „მეგობრულად“ განწყობილი განვითარებადი ქვეყნები (არაა დავიწყებული კურილიის კუნძულებიც), ხოლო ბოლო ორს, ე.ი. მესამეს და მეოთხეს, – საკუთრივ „საბჭოთა რესპუბლიკები“, სახელდობრ: ბალტიის რესპუბლიკები და მოლდავეთი (მესამე წრე) და უკრაინა, საქართველო და სომხეთი (მეოთხე –ყველაზე „მცირე“ წრე). ასე რომ, საქართველო, როგორც ხედავთ, დავიწყებული არ ჰყოლია „ცივილიზებულ მსოფლიოს“ და მისი გათავისუფლება „ხალხთა საპყრობილი“-დან, ყოველ შემთხვევაში – ამ მსოფლიოს მესვეური ქვეყნის „პროგრესისტების“-თვის, ერთ-ერთი „საპროგრამო პუნქტი“ ყოფილა (ეს, ასე ვთქვათ, „გულის დასამშვიდებლად“).

ასეთ „დოკუმენტურ“ ფონზე, ცხადია, სულ სხვანაირად უნდა გაგვეგო (და ზოგმა გავიგეთ კიდეც), მაგალითად, პრეზიდენტ ბუშის „მოწოდება“ უკრაინელებისადმი, კიევში მისი ვიზიტის დროს, არ გასულიყვნენ საბჭოთა კავშირიდან (რამაც ამერიკის პრეზიდენტს უმალ მოუპოვა „სუკ-ის აგენტის“ სახელი ჩვენს „მომიტინგე“ და „მოაქციე“ პოლიტიკოსთა „ელიტაში“, ანდა აშშ-ის ადმინისტრაციის „დაბნეულობა“ იმპერიის „მოულოდნელი“ დაშლის გამო (“მოულოდნელი“ აქ მხოლოდ ამ თავისთავად სავსებით მოსალოდნელი, რამეთუ, როგორც ზემოთ ვნახეთ, წინასწარ დაგეგმილი, მოვლენის განვითარების ტემპი თუ შეიძლება ყოფილიყო). ხსენებული „მოწოდებები“-ცა და „დაბნეულობები“-ც, დარწმუნებული ვარ, გაანგარიშებული იყო იმპერიის „მპყრობელ ერზე“, ე.ი. რუს ხალხზე, რომლის „პატრიოტები“-ც პირდაპირ სდებდნენ ბრალს პრეზიდენტ გორბაჩოვსა და მის „გუნდს“ ვაშინგტონის „აგენტობა“–ში, რომ ბ-ნი გორბაჩოვი და კამპანია, თეთრი სახლის სამსახურში ჩამდგარი, ასრულებენ რუსეთის მტრების დავალებას და ანგრევენ საუკუნეებით ნაშენებ „დერჟავას“ (გავიხსენოთ, თუნდაც, ქართული გვარის მქონე რუსი „პატრიოტი“, რომელმაც საჯაროდ წარუყენა ბ-ნ გორბაჩოვს სწორედ ასეთი ბრალდება...). ამ ხერხით, მე ასე მჯერა, ამერიკის მთავ-

რობას სურდა, დაერწმუნებინა რუსეთი, რომ იგი სულაც არაა დაინტერესებული „კავშირის“ დაშლით და რომ, მაშასადამე, საბჭოთა მთავრობაც, პრეზიდენტ გორბაჩოვის სახით, არაა მის მიერ „მოსყიდული“ ასეთი საქმისათვის; რითაც აშშ-ის ადმინისტრაცია უთუოდ ცდილობდა დაეზღვია თავისთვის ესოდენ სასურველი ბ-ნი გორბაჩოვი ამგვარი განწყობის ფონზე სავსებით მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალებისგან (რაც მოხდა კიდეც შარშან აგვისტოში). მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს დოკუმენტს.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ „თავისუფლების დოქტრინის“ გარეთ დარჩენილია ყველა მუსლიმური „საბჭოთა“ რესპუბლიკა და აგრეთვე ბელორუსია. ასეთი უგულებელყოფა ამ „სავსებით ქრისტიანული“ რესპუბლიკისა, ვფიქრობ, აიხსნება იმ პესიმიზმით, რომელიც შეიძლება ჰქონოდათ დოკუმენტის ავტორებს ბელორუსული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ: მართლაც, ბელორუსია, სხვებთან შედარებით ფრიად „მშვიდობიანი“ ჩანდა ამ მხრივ, თითქოს, თავის რუსულ-საბჭოურ ბედს შერიგებული. მაგრამ შემდგომმა ამბებმა ცხადყვეს, საქმე სულაც არ ყოფილა ასე ცუდად და ბელორუსმა ერმა თავისი სიტყვა თქვა, როდესაც ჩაეჭიდა რუსულ-უკრაინულ „ტანდემს“ და, ასე ვთქვათ, ამოიზიდა მათ შორის, როგრც ამ სლავური კონფედერაციული ალიანსის მესამე „სრულუფლებიანი“ წევრი, შეადგინა, ამგვარად, ამ ორ სლავ ერთან ერთად თავისებური „რუსული“ (ველიკო-, მალო-, და ბელორუსული) „ტრიუმვირატი“. მაგრამ ეს „რუსული“ სახე „ტრიუმვირატისა“ უკანასკნელის დღეგრძელობისთვის არაფრის მომასწავებელია, რადგან დღეს არა, ხვალ ეს „საძმო“ უთუოდ დაიშლება და უკრაინელებიცა და ბელორუსებიც, თავისი კულტურულ-ისტორიული მიზიდულობის ძალით, ისევე როგორც რეალური ეროვნული ინტერესების კარნახით, სულ სხვა კომბინაციაში მიიღებენ მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, რომ მოხდება იმ კულტურულ-ისტორიულ კავშირთა აღორძინება, რომლებიც არსებობდა, კერძოდ უკრაინასა და პოლონეთს, ბელორუსიასა და ლიტვას, ლიტვასა და პოლონეთს შორის (აქ არას ვამბობთ ბალტიის ქვეყნების ასევე ტრადიციულ ურთიერთკავშირებზე), რის შედეგადაც, ადრე თუ გვიან, უნდა ჩამოყალიბდეს ერთგვარი ბალტურ-სლავური ალიანსი პოლონეთის, ბალტიის რესპუბლიკების, ბელორუსიისა და უკრაინის მონაწილეობით, შეიქმნება რა, ამ სახით „ნამდვილი“ ევ-

როპის უკიდურესი აღმოსავლეთის გეოგრაფიულად უწყვეტი რეგიონი, რომელიც იქცევა კიდეც თავისებურ საზღვრად, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ამ „ნამდვილი“ ევროპისა და „ნახევრადაზიურ“ (მისსავე „ევროპულ“, ურალისგამოღმა ნაწილში) რუსეთს შორის. საუბარი „ურალამდე ევროპა“-ზე არარეალურად მესახება და ვფიქრობ, სწორედ ეს სლავურ-ბალტური „მასივი“ შეიქმნება ევროპის ჭეშმარიტ „აღმოსავლურ“ მიჯნად, მის, ასე ვთქვათ, „შორეულ აღმოსავლეთად“ (რაც შეეხება მოლდავეთს, იგი რა თქმა უნდა თავის დედა-რუმინეთს შეუერთდება და მით შევა კიდეც, უკვე მთლიანი რუმინეთის სახით ევროპის რომანულ ერთა დიდ ოჯახში)...

ხოლო იმისათვის, რათა „ამერიკულმა დოქტრინამ“ ხორცი შეისხას სომხეთის მიმართ, ამ ქვეყნისათვის აუცილებელია მოაგვაროს ურთიერთობა საქართველოსთან, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (გავიხსენოთ, თუ ვინაა მისი მეზობლები საქართველოს გარდა: თურქეთი, სპარსეთი, აზერბაიჯანი – ნამდვილი „მუსლიმური ალყა“!). თუ რას ვგულისხმობ ამ „მოგვარებაში“, ყველამ ვიცით და ამიტომ მეც ამ მიმართებით არას ვიტყვი. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხეთი იძულებული შეიქმნება, შეინარჩუნოს თავისი „რუსოფილური“ორიენტაცია, რაც ბევრ უსიამოვნებას უქადის მას, ასეთ, მისდამი აშკარად „არამეგობრულად“ განწყობილ „სამეზობლო“-ში მყოფს, არას ვამბობ იმაზე, რომ აღნიშნული „რუსოფილობა“ ამ ხალხისათვის ვერაფერი თამასუქი იქნება ევროპასთან სრულფასოვანი ურთიერთობის საქმეში.

საგულისხმოა, რომ მუსლიმურმა „საბჭოთა“ რესპუბლიკებმა არსებითად შეიწყნარეს დსთ-ის (სნგ) იდეა და მით თავისებურად დაადასტურეს „განთავისუფლების დოქტრინის“ პოლიტიკური ჩანაფიქრი. ყაზახეთის მიერ ამ იდეის აქტიური მხარდაჭერა სავსებით გასაგებია, თუკი გავითვალისწინებთ ამ რესპუბლიკის მძიმე დემოგრაფილ მდგომარეობას: ყაზახები თავის სამშობლოში არ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. და სანამ არ იქნება გამოსწორებული ეს მდგომარეობა, ამ რესპუბლიკას არ აწყობს, ახლავე განაცხადოს პრეტენზია სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, მით უმეტეს, რომ ახალ პოლიტიკურ პირობებში რუსეთი ვეღარ განაახორციელებს ტრადიციულ დემოგრაფიულ ექსპანსიას ხსენებული რესპუბლიკის მიმართ. ხოლო სხვა მუსლი-

მურ რესპუბლიკებს, მუსლიმთათვის ნიშანდობლივი მაღალი შობადობის წყალობით, ამ მხრივ ადრეც კარგად ჰქონდათ საქმე, მეტიც, თავად ახორციელებდნენ ამგვარ ექსპანსიას, კერძოდ, რუსეთის მიმართულებით. გარდა ამისა, მუსლიმური სარწმუნოება, ამჟამად სავსებით ლეგალიზებული, გაუვალ ბარიერს უქმნის რუსეთს მისთვის ასევე ტრადიციული კულტურული ექსპანსიისათვის, რომელსაც მანამდე არ ჰქონდა მისთვის სასურველი ნაყოფი მუსლიმურ რეგიონებში.

თუკი ყოველივე ზემოთქმულს დავამატებთ იმასაც, რომ თვითონ რუსეთში მკვიდრობენ „ავტონომიური“, ამჟამად კი უკვე „სუვერენული“ მუსლიმი ხალხები, რომელთა ბედზე ზრუნვაც არ ავიწყდებათ მათ ერთმორწმუნე ყოფილ „საბჭოთა“ რესპუბლიკებში (როგორც ეს განაცხადა კიდეც შუა აზიის ერთი ასეთი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა), – გასაგები გახდება ჩვენთვის ეს „მუსლიმური ლოიალობა“ რუსეთთან „თანამეგობრობის“ იდეისადმი, ამ „ლოიალობის“ რეალური მოტივები.

დაბოლოს – ორიოდ სიტყვა „თვითონ“ რუსეთის შესახებაც, იმავე „დოქტრინის“ შუქზე. რატომ შეატოვეს რუსეთი და ზემოხსენებული მუსლიმური რსპუბლიკები ერთმანეთს „დოქტრინის“ ავტორებმა? მე მგონია, რომ ამ „დოქტრინის“ სახით თავისებური აღორძინება ჰპოვა ე.წ. „ევრაზიული რუსეთის“ კონცეფციამ, ანუ იდეამ რუსეთის, როგორც არა საკუთრივ ევროპული, არამედ სწორედ „ევრაზიული“ ტიპის ქვეყნისა (გავიხსენოთ ევროპელთა შორის გავრცელებული შეხედულება რუს ადამიანზე, რომ გადაფხიკო, ხელში თათარი შეგრჩებაო და სხვა ამგვ.). ვფიქრობ, ამ კონცეფციას წმინდა პრაქტიკულ-პოლიტიკური ღირებულებაც აქვს „დოქტრინის“ ავტორთა თვალში, სახელდობრ ის, რომ ამგვარი გადაბმა ერთმანეთთან რუსობისა და მუსლიმობისა გულისხმობს მხარეთა ეროვნულ ძალთა დაბანდებას მათს ურთიერთდაპირისპირებაში და მით ერთისაც და მეორისაც, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ „ურთიერთპარალიზებას“. ასეთი ურთიერთდაკავშირება და შეკავება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს დასავლეთს და მის „მეგობრებს“ აღმოსავლეთში (მაგ. იაპონიას), საუბარია რა ამ შემთხვევაში არა მარტო იმ „შიშ“-ზე, რომელიც აქვს დასავლეთს მუსლიმური ფუნდამენტალიზმის მიმართ (რისი ნიშნებიც „ნასაბჭოვარ“ მუსლიმურ რესპუბლიკებში მართლაც არსებობს), არამედ ის ისტორიული უნდობლობა და, ერთი ამერიკელი პოლიტიკოსის

თქმის არ იყოს, „კულტურული შეუთავსებლობა“, რასაც ყოველთვის გრძნობდა დასავლეთი რუსეთის „როგორც ასეთის“ მიმართ. როგორ გაამართლებენ ამ „დოქტრინას“ მხარეები, რუსები და მათი „კონფედერატი“ მუსლიმები, – ეს სხვა საკითხია და ამაზე სხვა დროს. ეს კია, რომ ამ ბოლო ხანს თვით რუსთა შორის გაისმა შეშფოთების ხმა, თუ უკრაინა და ბელორუსია ჩვენთან არ იქნებიან, „აზიურ“ (ე.ი. მუსლიმურ) რესპუბლიკებთან „თანამეგობრობა“ არ გვინდაო. მაგრამ რას უპირებენ ეს „ევროპელი“ რუსები იმ მუსლიმ ხალხებს, რომლებიც „ჩამორიგებული“ არიან თავად დედა მდინარე ვოლგაზე, ვთქვათ, „სუვერენულ თათარისტანს“?... თუმცა ამაზე (ისევე, როგორც ბევრ სხვაზეც, მაგალითად, როგორ აითვისონ ეკონომიკურად და დემოგრაფიულად ციმბირი, რადგან ცნობილია: ბუნება სიცარიელეს არ ითმენს; რუსეთს კი აღნიშნულ რეგიონებში ამ სიცარიელის შესავსებად ბევრი მეტოქე ჰყავს, მარტო „მილიარდიანი“ ჩინეთი რად ღირს, თავისი, მართლაც რომ, ყოველმხრივ დაუშრეტელი პოტენციით) დე, თვითონ რუსებმა იფიქრონ, ჩვენ ჩვენი „თავსატეხი“-ც გვყოფნის.

მცირე შენიშვნა

(ეროვნული და პარტიული ინტერესების შესახებ)

დღევანდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობის შემყურე ჩვენს საზოგადოებაში, კერძოდ, მის იმ ნაწილში, რომელიც სახელმწიფო საბჭოშია წარმოდგენილი, ხშირად გაისმის მოწოდება პარტიებისადმი (სახელმწიფო საბჭოში, როგორც წესი, მის „უპარტიო“ წევრთაგან), „დაივიწყონ“ (დროებით!) თავიანთი „პარტიული ინტერესები“, „ამაღლდნენ“ მათზე, რათა შეთანხმებულად იმოქმედონ ე.წ. „ზეპარტიულ“ დონეზე მხოლოდ და მხოლოდ „საერთო ეროვნული ინტერესების“ გათვალისწინებით. სავსებით ვიზიარებ რა ამ, ასე ვთქვათ, „პარტიული თავდავიწყების“-კენ მოწოდების მამულიშვილურ პათოსსა და მოტივს, მიმაჩნია, რომ იგი შეიცავს ერთ გაუგებრობას, რომელზეც, ჩემი აზრით, უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა მაინც, თუნდაც იმავე „საერთო-ეროვნული ინტერესების“ გამო. სათანადო განმარტება საკითხისა მით უფრო საჭიროა, რომ ამავე გაუგებრობას ემყარება ის „ანტიპარტიული“ განწყობაც, რომელიც აშკარად იგრძნობა არა მარტო ხალხის ფართო ფენებში, არამედ თვით სახელმწიფო საბჭოს წევრთა (ამ შემთხვევაშიც, გასაგებია, „უპარტიოთა“) შორისაც და რომლის „ობიექტური“ მიზეზიც თვითონ პარტიებშია საძიებელი, მათს, რბილად რომ ვთქვათ, „კორპორაციულ ეგოიზმ“-ში; ზოგნი, ამ „ეგოიზმით“ აღშფოთებულნი, იქამდეც მიდიან, რომ პარტიათა არსებობას ჩვენს სინამდვილეში ლამის „ქვეყნის უბედურებად“ მიიჩნევენ და მათი „მოსპობის“ საჭიროებაზეც კი ლაპარაკობენ. ჩემთვის ეს განწყობაც გასაგებია ფსიქოლოგიურად, რაც სულაც არ ამცირებს მის პოლიტიკურ მანკიერებას, რომლის „თეორიული“ სათავეც ისევ ის, ზემოხსენებული გაუგებრობაა.

რაა პარტია? ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხი არსებობს, რომელთაგან მოვიყვან ერთს, ედმუნდ ზერკისას: პარტია, – წერს იგი – არის პირთა ერთობლიობა, შეკავშირებულთა ერის სიკეთისათვის საერთო ძალებით სამოღვაწეოდ შესაბამისად გარკვეული პრინციპისა, რომლის თაობაზეც ისინი შეთანხმებულნი არიან. დასკვნა? შევნიშნავ, რომ ქვემოთ, პარტიის ცნების ამ განსაზღვრაზე საუბრისას, მხედველობაში მეყოლებიან ნამდვილი პარტიები, როგორნიც, თუკი არსებობენ ჩვენში, ჯერ კიდევ მხოლოდ – პოტენციურად. უპირველესი დასკვნა, რომელიც გამომდინარე-

ობს ზემორე განსაზღვრიდან, ისაა, რომ ყველა პარტიას ერთი „ზრუნვის საგანი“ აქვს: ესაა ერი, მისი ცხოვრება. მართლაც, რას ნიშნავს „ერზე ზრუნვა“? – ზრუნვას იმაზე, რომ ეს ზრუნვის საგანი ერი „კარგად იყოს“, ე.ი. მან, ამ ერმა, კარგად იცხოვროს. ამიტომაც ვიტყვით, რომ ერზე ზრუნვა მის ცხოვრებაზე ზრუნვაა, ზუსტდება რა, ამგვარად, თვითონ ეს ზრუნვის საგანი: ერის ცხოვრება. ხოლო ვისზეც, ან რაზეც, უნდა ვზრუნავდეთ, იგულისხმება, რომ ჩვენი ზრუნვის საგანი, შემდგომი დაზუსტებით, ამ საზრუნავი „ვინმე“-ს ან „რამე“-ს სიკეთეა. და აკი „წამოგვცდა“ კიდეც, ზემოთ, „კარგად იყოს“-ო. ამგვარად, მოღვაწეობა „ერის სიკეთისთვის“გულისხმობს „ღვწას“ (ე.ი. ზრუნვა-შრომასა და ზრუნვა-ბრძოლას) ერისთვის – მისი ცხოვრებისთვის – ამ უკანასკნელის სიკეთისთვის. ხოლო აქედან – თვითონ ამ ცხოვრების, მისი სიკეთის გაგებაც, როგორც იმ საერთო საქმისა, რომლის მოქმედადაც გვევლინება, „თანახმად განსაზღვრისა“, ყველა პარტია, დამოუკიდებლად და განურჩევლად მათი პოლიტიკური ვინაობისა. ასეთია ის საყოველთაო საერო პოზიცია, საიდანაც სათავეს იღებს თითოეული პარტიის პოლიტიკური ინდივიდუალობა და სადაც, მაშასადამე, ერთმანეთს ხვდებიან, ემთხვევიან კიდეც ეს „პარტიული“ ინდივიდუალობანი, თავიანთი პოლიტიკური მრწამსითა და მისი შესაბამისი ინტერესებითურთ. ნათქვამია, ყველა გზას რომისკენ მივყავართო, რაც ამ შემთხვევაში გამართლებულია იმ აზრით, რომ ყოველ პარტიას, თავისი გზით მავალს, სწამს (სუბიექტურად), რომ სწორედ მის მიერ არჩეული გზა მიიყვანს ერს იმ „რომ“-ში, რომლის სახელიც „ერის სიკეთე“-ა, ან, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე, მისი „კეთილდღეობა“. ხოლო „გზა“, რომელსაც ადგას ესა თუ ის პარტია ამ თავის ერის საკეთილდღეო მოღვაწეობაში, გულისხმობს არა მარტო მეთოდს, არამედ, პირველ ყოვლისა, პრინციპს, მისი სარეალიზაციო ადექვატური მეთოდითურთ, – პრინციპს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაში ხედავს მოცემული პარტია საქვეყნო სიკეთეს, ერის ცხოვრების „მაკონსტიტუირებელ“ და „მარეგულირებელ“ რომელ პრინციპში. აღნიშნული პრინციპი და შესაბამისი იდეოლოგია, ამ პრინციპის „სინონიმური“, რომლებიც, როგორც წესი, ასახულნი არიან მათი „აღმსარებელი“ პარტიის სახელწოდებაში, შეადგენენ კიდევ პოლიტიკურ ინდივიდუალობას პარტიისა და განსაზღვრა-

ვენ ამ უკანასკნელის ზემოხსენებულ „პარტიულ ინტერესებსა“-ც, როგორც იტყვიან, „თავიდან ბოლომდე“.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი – ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია. რა წარმოადგენს ამ პარტიის ამ საარსებო პრინციპს? – ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი, რომლის სახელითაც აღინიშნება, ამავე დროს, შესაბამისი იდეოლოგიაც და რომელსაც ლდეპ მიიჩნევს იმ პრინციპად, რომელზეც უნდა აიგოს ქვეყნის ცხოვრება (რათა ვინმეს გულს არ შემოეყაროს „ნაციონალიზმის“ გაგონებაზე, სასწრაფოდ განვმარტავ, რომ ეს „ის“ ნაციონალიზმია, რომლის მიმდევრებადაც მიიჩნევდნენ თავს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა..., ხოლო მოგვიანებით: არჩილ ჯორჯაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ წერეთელი, დიმიტრი უზნაძე, ზურაბ ავალიშვილი... ერთი სიტყვით, მაშინდელი მთელი, არსებითად, ქართველი ინტელიგენცია). ამგვარად, ეს იდოლოგიური პრინციპი, სისტემურად და მეთოდურად გაშლილი სათანადო იდეოლოგიად, ამ პარტიისათვის ღირებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, მისი აზრით, იგი წარმოადგენს სწორედ იმ პრინციპს, რომლის დამკვიდრებაც ერის ცხოვრებაში უზრუნველყოფს ამ ერის კეთილდღეობას მისი ცხოვრების როგორც ნივთიერ, ასევე სულიერ სფეროებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი ჩვენი პარტიისათვის არის ის პრინციპი საერო სიკეთისა, გნებავთ, პრინციპული სიკეთე, რომლისგანაც, როგორც დედა-სიკეთისაგან, წარმოდგება ყველა სხვა ცხოვრებისეული სიკეთე ჩვენი ერისათვის (რომელშიც, შევნიშნავ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იგულისხმება საქართველოს ყველა არაქართველი მოქალაქეც, როგორც თავისი მოქალაქეობით – პოლიტიკურად „ქართველი“...). და ჩვენი მთელი „პარტიული ინტერესი“-ც სწორედ და მხოლოდ ამ ჩვენს „პარტიულ“ პრინციპს უკავშირდება, როგორც ერისთვის, ასე ვთქვათ, პრინციპულად სასიკეთო პრინციპს, რომლისადმი ერთგულებაც ამიტომ, ჩვენს პარტიულ, ანუ მამულიშვილურ მოვალეობად მიგვაჩნია, ისევე როგორც, მაგალითად, სოციალისტებს თავის ასეთსავე საერთგულო პრინციპად სულ სხვა პრინციპი ეგულებათ, სახელდობრ – სოციალიზმი.

ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა პარტიას, თუკი ის მართლა პარტიაა, თავისი პრინციპის მქონე და მისი ერთგული, „ამაღ-

ლდეს“ თავის „პარტიულ ინტერესებ“-ზე, რომლებიც მისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრინციპული მნიშვნელობის არიან, ვითარცა ორგანულად დაკავშირებულნი ამ პარტიის თვითონ არსებობის მაფუძნებელ და გამამართლებელ, გონებრივადაც და ზნეობრივადაც, პრინციპთან? ზოგს „პარტიულ ინტერესად“ მიაჩნია პარტიისთვის ფულის შოვნა, თავისი წევრების თანამდებობებზე მოწყობა და სხვ. ამგვ., მაგრამ ყოველივე ამას ნამდვილ პარტიული ინტერესთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური შეიძლება იყოს, საერთო არაფერი აქვს. სულ სხვაა, როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენი პარტიული ინტერესები მოითხოვენ, ვთქვათ, ფინანსური წყაროს გამონახვას პარტიისათვის, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ „წყაროთა“ ძიება თვითონ ამ ინტერესს შეადგენდნენ, მის შინაარსს. იგივე ითქმის პარტიის წევრთა „ხელისუფლების სტრუქტურებ“-ში ჩვენებური „გაყვანის“ შესახებაც, რომელსაც ასევე არაფერი აქვს საერთო ყოველი პარტიისათვის აუცილებელ „სახელისუფლო ნებას“-თან (ცხადია, არა „ნიცშეანური“ გაგებით) და რომელიც, თვითმიზნად ქცეული, ცხადი მოწმობაა იმისა, რომ ამ „სპორტის“ მიმდევარი „პარტიის“ სახით საქმე გვაქვს ფრიად საეჭვო ღირსების მქონე „რაღაც სხვა“ ორგანიზაციასთან, სულ ერთია, რას ვუწოდებთ მას, „პარტიის“ სახელით მოქმედ „კასტას“, „მაფიას“ თუ კიდევ სხვა რომელიმე ასეთს სახელს... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ნამდვილ „პარტიულ ინტერესს“ და გავიხსენოთ ზემორე კითხვა. აშკარაა, რომ ხსენებული „ამაღლება პარტიულ ინტერესებ“-ზე ამგვარად „ამაღლებულ“ პარტიას უთუოდ ჩაეთვლებოდა ღალატად მისი პარტიული, ანუ, მისივე მრწამსის თანახმად, საერო, ინტერესისა, რასაც, რა თქმა უნდა, არცერთი პარტია არ მოიმოქმედებს, თუკი რაღაც სასწაულით, თავისი მთელი შემადგენლობით არ დაკარგავს, რაიმე მომენტში, ჭკუასა და სინდისს (თანაც აუცილებლად – ორივეს ერთად).

მე მგონია, „პარტიულ ინტერესებზე ამაღლებისა“-კენ მომწოდებელნი ამ „ინტერესებ“-ში გულისხმობენ ამბიციებს (საუკეთესო შემთხვევაში), რომლითაც განსაკუთრებით შეპყრობილნი არიან ჩვენში მოქმედი პარტიების ლიდერები და სუბლიდერები. მაგრამ, საკითხავია, ამ ამბიციებს რა აქვთ საერთო ჭეშმარიტ პარტიულ, ე.ი. პოლიტიკურ ინტერესებთან? ყოფილან დიდი პოლიტიკოსები, ცნობილნი თავიანთი ამბიციურობით, მაგრამ ისინი

იმით განსხვავდებოდნენ ჩვენი „პოლიტიკოსებისა“-გან, რომ თავის ამბიციებს უკავშირებდნენ ერის ინტერესებს და ამგვარად, თვით ერის „ამბიციების“ თუკი ასე ითქმის, გამომხატველნი ხდებოდნენ. ვხედავთ თუ არა რაიმე მსგავსს ჩვენს სინამდვილეში? – ცხადია, არა. უბედურება, კაცმა რომ თქვას, თვითონ ამ ამბიციებში კი არაა, როგორც ასეთში, არამედ იმაში, რომ ჩვენ, ყველას, ამბიციებით გატენილთ, პოლიტიკური ამბიციები არ გვაქვს, ან საიდან გვექნება, როდესაც არა ვართ პოლიტიკოსები. თორემ პოლიტიკური ამბიციები რომ გვქონოდა, განა დავიწყებდით ჩარჩულ ვაჭრობას იმაზე, თუ, ვთქვათ, ბლოკის შედგენისას რომელ პარტიას რამდენი გამსვლელი კანდიდატი ეყოლებოდა საარჩევნო სიაში?

დღევანდელი დღე კი უთუოდ მოითხოვდა ჩვენგან პარტიულ ძალთა გაერთიანებას მაქსიმალურად ფართო პოლიტიკურ საფუძველზე, რაც სულაც არ გულისხმობდა „პარტიულ ინტერესებ“-ზე ამაღლებას, არამედ მოცემულ მომენტში ეროვნული ინტერესის სიმაღლეზე დგომას. მიმაჩნია, რომ პარტია, რომელსაც სჭირდება საერთო ეროვნული ინტერესების სიმაღლეზე დასადგომად თავის „პარტიული ინტერესებ“-ზე ამაღლება, არაა პარტია, რადგან ნამდვილი პარტია ყოველთვის დგას, სწორედ თავისი „პარტიული ინტერესებით“, ამ საერთოეროვნულ ინტერესთა სიმაღლეზე, რის გამოც იცის მან, რას მოითხოვს ამ მომენტში მისგან მისივე „პარტიული“, ანუ მისი საერო ინტერესი, და შესაბამისად იქცევა კიდეც. დღეს ჩვენი ქვეყანა ნამდვილი ომის მდგომარეობაშია, რომლის დროსაც პარტიები (ცხადია, ცივილიზებულ ქვეყნებში), კოალიციურ მთავრობებს ქმნიან, რითაც ხელს კი არ იღებენ თავიანთ „პარტიულ ინტერესებ“-ზე, არამედ საგანგებოდ ცხადყოფენ, რომ ისინი, ერთგულნი თავიანთი „პარტიული ინტერესებისა“, ყოველთვის და, მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, დგანან თავისი, დიახაც, პარტიული მოწოდების სიმაღლეზე.

ერთი უმთავრესი ნაკლი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისა ისაა, რომ საქართველოში არ არსებობენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო რომლებიც ასე თუ ისე „მაინც“ არსებობენ, ისინიც, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ პოტენციურად, ასე ვთქვათ სამომავლოდ, იმის იმედით, რომ მომავალში მაინც შეიქმნებიან ნამდვილ პარტიებად. ესაა და ეს. და ამ პირობებში ძახილი, პარტიე-

ბი უნდა მოისპოსო, ჯერ ერთი, აბსურდულად გამოიყურება, რადგან არარსებულის მოსპობა შეუძლებელია, და, მეორეც, პარტიათა მოსპობისკენ კი არ უნდა მოვუწოდებდეთ, არამედ მათი შექმნისაკენ, რადგან ქვეყნის სისხლსავსე და სრულფასოვანი პოლიტიკური ცხოვრება წარმოუდგენელია, ახლანდელ მსოფლიოში, განვითარებული მრავალპარტიული სისტემის გარეშე. ასეთი ძახილით იმ „პარტიებს“, რომლებსაც რაგინდ იხმაურონ, ნამდვილი პარტიისა არაფერი სცხიათ, ვერავინ მოსპობს, პირიქით, სიცოცხლეს გავუხანგრძლივებთ, როგორც „დევნილთ“, და ერთადერთი წამალი მათგან ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების განწმენდისა ისევ და ისევ პარტიები არიან, ოღონდ იმ „პარტიათა“-გან განსხვავებით, ნამდვილნი, რომელნიც შექმნიან კიდეც იმ ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებას, სადაც „პარტიები“ დიდხანს ვერ იბოგინებენ, როგორც ამ ნორმალური პოლიტიკური პირობებისათვის შეუფერებელნი და უვარგისნი, პოლიტიკურად უფუნქციონი.

გამარჯვებას იმსახურებს მხოლოდ ის, ვინც მზადაა ბოლომდე იბრძოლოს

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: გუდაუთის დაჯგუფებამ და რუსეთმა, რომელმაც საქვეყოდ იკისრა სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების გარანტის როლი, დაარღვიეს ეს შეთანხმება რა უკვე რამდენიმე დღეა, კვლავ იღვრება სისხლი აფხაზეთში. საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ხელი მოაწერა ზემოხსენებულ შეთანხმებას, რითაც მან კიდევ ერთხელ ცხადყო მსოფლიოს წინაშე თავისი მზადყოფნა, კონფლიქტი გადაეყვანა პოლიტიკური დარეგულირების კალაპოტში, ამ აქტით უთუოდ დაიკავა პოლიტიკურად მომგებიანი პოზიცია მოწინააღმდეგის პირისპირ, რაც, ბუნებრივია, გუდაუთის დაჯგუფებისა და მის რუსეთელ მფარველთათვის, თუკი გავითვალისწინებთ მათ ნამდვილ ზრახვებს, მხოლოდ ერთ გზას ტოვებდა: გზას შეთანხმების დაუფარავი დარღვევისა.

ის, რომ ეს შეთანხმება შეიცავდა პუნქტებს, რომლებსაც გუდაუთის მხარე, რუსეთის მიერ დაიმედებული და წაქეზებული, არ შეასრულებდა, ჩვენთვის იმთავითვე აშკარა იყო, რაც თავის დროს, როდესაც ვიცავდით შეთანხმებაზე ხელის მოწერის მიზანშეწონილობის აზრს, ჩვენ მიერ გარკვევით აღინიშნა კიდეც, მივუთითებდით რა იქვე, რომ სწორედ ეს „აღუსრულებელი პუნქტები“ შეიცავდნენ რეალურ შესაძლებლობებს პოლიტიკური ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. მაგრამ ამისთვის, გარდა ყოველივესი, საჭირო იყო უდიდესი სიფხიზლე და სიფრთხილე, რათა მტერს თავისი ვერაგული განზრახვის აღსასრულებლად, ეფექტიანი დარტყმის მომენტი არ შეერჩია. სამწუხაროდ, ქვეყნის შინაურმა მოუწესრიგებლობამ და, მის ფონზე, ექს-პრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებულმა გამოსვლამ დასავლეთ საქართველოში, გუდაუთელთ შეუქმნა ფრიად ხელსაყრელი პირობები მათი გულისნადების სისრულეში მოსაყვანად. ამჟამად ჩვენ არ შევალთ იმის განხილვაში, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული ამ ბნელი ძალების (ვგულისხმობთ, ექს-პრეზიდენტის) მიმართ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეროვნული სხეულის გამთლიანების პოლიტიკა არ შეიძლება ემყარებოდეს ერის მთლიანობის მტრებთან შერიგებასა და მორიგებას...

და მაინც, მიუხედავად იმ მძიმე საბრძოლო მდგომარეობისა, რომელიც ჯერ კიდევ გვაქვს აფხაზეთში, დარწმუნებული ვართ, რომ მტერმა უხეში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, – შეცდომა, რომელიც მას, ჩვენი საპასუხო პოლიტიკის წყალობით (რა თქმა უნდა, თუკი ამ პოლიტიკას გონივრულად წარვმართავთ) ძვირად უნდა დაუჯდეს. მთავარია აქ, გასაგებია, ისევ და ისევ ე.წ. „რუსული ფაქტორი“-ა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, საბოლოოდ გამოაშკარავდა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, როგორც ფაქტორი რუსული იმპერიალიზმის რეანიმაციისა, ამ შემთხვევაში – საქართველოს მიმართ დაუფარავი აგრესიის სახით. საქართველოს ხელისუფლებამ თავისი შორს გამიზნული პოლიტიკით რუსეთთან ურთიერთობის საკითხში, ყოველ შემთხვევაში იმდენად შორს გამიზნულით, რომ იგი ჩვენი ბევრი „პოლიტიკოსის“ გონებრივი ჰორიზონტის მიღმა აღმოჩნდა და, ამდენად, მათთვის გაუგებარიც, რუსეთის მთავრობას ყველა შანსი მისცა, დაემტკიცებინა მსოფლიოსთვის, რომ იგი, ეს ქვეყანა, დემოკრატიული განვითარების გზას ადგება, მაგრამ რუსეთმა ვერც ერთი ეს შანსი ვერ გამოიყენა და ახლა, არსებითად, პოლიტიკურად გაკოტრებული აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო რუსული დემოკრატიის საცდელ პოლიგონად იქცა, სადაც ამ დემოკრატიამ, თავისდა და ჩვენდა სავალალოდ, ნამდვილი ფიასკო განიცადა. ასეთი შედეგი, რომელიც გვიჩვენებს, რომ არსებობს რეალური საშიშროება რუსული იმპერიის აღორძინებისა, რა თქმა უნდა, საგულისხმო ფაქტია დასავლეთის დიდი დემოკრატიებისთვის, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, არ დაუშვებენ საბედისწერო შეცდომას და ამ საშიშროების წინაშე თავისი პასიურობით წყალში არ გადაყრიან რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავის თითქმის ნახევარსაუკუნოვან ბრძოლის ყველა ნაყოფს, რადგან დარწმუნებული შეიძლება ვიყოთ, რომ, თუკი რუსეთმა რომელიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას წაჰგლიჯა მისი ეროვნული ტერიტორიის თუნდაც ერთი კვადრატული კილომეტრი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ რუსული იმპერიის მეტასტაზი ცოცხლობს და, მაშასადამე, მისი შემდგომი განვითარების რეალური საშიშროებაც არსებობს.

დღეს ჩვენი სამშობლო ისეთ განსაცდელში იმყოფება, რომ საქართველოს შვილთ, განურჩევლად საქმიანობისა, ყველას გვმართებს ვიყოთ პოლიტიკოსები, რაც ნიშნავს იმას, რომ

გრძნობა ნათელ გონებასა და მტკიცე ნებას უნდა დავუმორჩილოთ და არ უნდა ავყვეთ გონების ამამღვრეველ და ნების დამადამბლავებელ ემოციებს, რომლებიც თვითეული ჩვენგანის გულში მღელვარებენ. სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, მიუხედავად თავისი დრამატიზმისა, საფუძველს გვაძლევს რწმენისათვის, რომ დიდი დემოკრატიები, მათი მთავრობები შეისმენენ ამ მიმართვას, რომელიც ნამდვილი პოლიტიკური გაფრთხილებაა მსოფლიო საზოგადოებრიობისა რუსეთის იმპერიალისტური ძალების რევანშის პირისპირ.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ ერთ მეტად სამწუხარო ფაქტს. მხედველობაში გვაქვს ის ხმები, რომლებსაც ავრცელებენ მავანნი, თითქოს ხელისუფლებას და პირადად სახელმწიფოს მეთაურს საქართველო მიჰყავთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (რუსული აბრევიატურით, სნგ-ში). ჩვენ აქ არ შევუედგებით, დროის უკმარისობის გამო, ამ აბსურდული მიმოთქმის უსაფუძვლობის ნათელყოფას. სხვა არა იყოს რა, თუნდაც ზემოხსენებული მიმართვა სახელმწიფოს მეთაურისა სრულიად საკმარისია იმათთვის, ვისაც მოსმენისა და მოსმენილის გაგების უნარი შერჩენია, რათა დარწმუნდნენ, რომ ამ მიმართვის ავტორი, რომელიც აფრთხილებს მსოფლიოს რუსული იმპერიალიზმის აღორძინების გამო, ამ იმპერიალისტური საშიშროების მატარებელი ქვეყნის „თანამეგობრობა“-ში მიეზიდებოდეს თავის სამშობლოს. ამ მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილე ჰმართებს იმ პოლიტიკოსთ, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერნი და რომელთა ისტერიული ძახილი, ვიღუპებით და ჯობს, ისევ „თანამეგობრობას“ შევაფაროთ თავიო, ძალიან ცუდ სამსახურს უწევენ სახელმწიფოს მეთაურს, მის პოლიტიკურ ავტორიტეტს საზოგადოებაში. იცოდეს ყველამ (ყველამ – უკლებლივ, დიდმაც და პატარამაც), რომ „სნგ“-იზმი, თუკი მართლაც არსებობს ჩვენში ასეთი „პოლიტიკური კურსი“, ზემოაღნიშნული გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა „კურსი“ პირდაპირი პოლიტიკური თვითმკვლელობისა, პირველ ყოვლისა – თვითონ ამ პოლიტიკოსთათვის, ვინც ამ „კურსს“ ადგას ან დაადგება. ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის ხსენებულ მომხრეთ, როგორ არ გაგვახსენდეს კანტის სიტყვები

ნათქვამი ანალოგიური შემთხვევის გამო: „ღმერთო, დამიფარე ასეთი მიმდევრებისგან, მტერს მე, თვითონ გავუმკლავდები“-ო.

პანიკისა და სასოწარკვეთის უფლება, ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაში მყოფთ, არავის არ გვაქვს და, რაც მეტად მძიმეა ეს მდგომარეობა, მით უფრო. გვახსოვდეს, რომ გამარჯვებას იმ-სახურებს მხოლოდ ის, ვინც მზადაა ბოლომდე იბრძოლოს.

„პარლამენტის სპიკერის „პირადი აზრის“ გამო“

გუშინ ჩემს სატელევიზიო გამოსვლაში აღვნიშნე, რომ ამ ბოლო ხანს საზოგადოებაში ვრცელდება ხმები, თითქოს არსებობს განზრახვა, საქართველო შეიყვანონ „სნგ“-ში და რომ ამ განზრახვას, გარკვეული ლოგიკის ძალით, უკავშირებენ სახელმწიფოს მეთაურის სახელს. აქვე ისიც ვთქვი, რომ ასეთი ხმების გავრცელებაში გარკვეული წილი უძევთ პოლიტიკოსთ (უფრო ზუსტად: პარლამენტის წევრთ), რომლებიც ცნობილი არიან, როგორც სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერნი. გასაგებია (და ამაშია სწორედ ზემოხსენებული „ლოგიკა“-ც), რომ მოქალაქენი აკეთებენ ბუნებრივ დასკვნას, რომ ეს პირები (სახელმწიფოს მეთაურის ვითომც „პოლიტიკური თანამოაზრენი“) წარმოადგენენ სახელმწიფოს მეთაურის ერთგვარ რუპორს, საზოგადოებაში სათანადო „ნიადაგის“ მოსამზადებლად თუ მოსასინჯად.

როდესაც ამ საკითხს ვეხებოდი, მე, არსებითად, მხედველობაში მყავდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი, რომლის წერილსაც ღამე (ე.ი. გუშინწინ ღამით) გავეცანი. მე თავს ნება არ მივეცი ბ-ნი სპიკერი მომეხსენებინა სახელდებით ელემენტური ტაქტის გამო, მინდოდა მხოლოდ, ჩემი, ასე ვთქვათ დამსწრები განცხადებით ერთგვარად გამენელებინა საზოგადოებაში ამ წერილის მოსალოდნელი ეფექტი (რა თქმა უნდა, მეტად უარყოფითი), რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს წერილი ელვისებურად მოედებოდა დედაქალაქსაც და ქვეყანასაც.

მაგრამ ბატონმა სპიკერმა „დაასწრო მოვლენებს“ და დღეს პირადად გამოვიდა „ოსტანკინოს“ ტელეარხით, სადაც მან გამოთქვა „პირადი“ (ეს მისი კვალიფიკაციაა) აზრი, „სნგ“-ში საქართველოს შესვლის სასურველობაზე.

ძალიან სამწუხაროა, სამწუხარო კი არა, ვიტყოდი – ძალიან სასირცხო, რომ საქართველოს პარლამენტმა აირჩია სპიკერის თანამდებობაზე პირი, რომელსაც ელემენტური წარმოდგენა არ ჰქონია სპიკერის უფლება-მოვალეობებზე. მეტიც, ბატონი სპიკერი მოკლებული ყოფილა არსებული პოლიტიკური სიტუაციის ასევე ელემენტურ გაგებას, რომ არაფერი ვთქვათ ელემენტური (ისევ ეს სიტყვა) ფსიქოლოგიური ალღოს უქონლობაზე. მიმაჩნია, რომ ბატონმა სპიკერმა, საფიქრებელია უნებლიედ, ამ თავისი „საოსტანკინო“ გამოსვლით პარლამენტისა და ერთობ სახელმწიფოს პრესტიჟს მძიმე მორალურ-პოლიტიკური დარტყმა მიაყენა,

რითაც უთუოდ ძალიან გაახარა საქართველოს მტრები. რატომ არ დაუფიქირდა ბატონი სპიკერი თუნდაც იმას, თუ რა იყო მიზეზი „ოსტანკინოს“ ასეთი საინფორმაციო ოპერატიულობისა, როგორიც გამოიჩინა ამ დაწესებულებამ ბატონ სპიკერისათვის თავისი ეკრანის დათმობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც ბატონი სპიკერის ამ „პირადმა“ აზრმა გაახარა ჩვენი მტრები, ასევე გაუგებრობა გამოიწვია ჩვენს მეგობრებში: ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დასავლეთში საქართველოსთვის მეტად არასასურველი (ვიტყოდი, დამამცირებელიც) რეაქცია გამოიწვია ბატონ სპიკერის ამ „პირადმა“ (და ფრიად მოუაზრებელმა) ინიციატივამ. მართალია, ბატონმა სპიკერმა ახლანდელი პარლამენტის მუშაობის დასაწყისშივე განაცხადა, სახელმწიფოს მეთაურის უახლოესი „პოლიტიკური თანამოაზრე“ ვარო, მაგრამ ეს განცხადება ნურავის შეიყვანს შეცდომაში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სახელმწიფოს მეთაურის თუნდაც უკანასკნელი მიმართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი ცხადზე უცხადესად ნათელყოფს, რომ „თანამოაზრენი“ ერთმანეთს გვარიანად დაშორებიან. სახელმწიფოს მეთაური ამ მიმართვაში პირდაპირ ლაპარაკობს რუსეთში აღზევებულ იმპერიალისტურ ძალებზე, ბატონი სპიკერი კი ამ რუსეთის „თანამეგობრობაში“ შესვლას გვირჩევს...

მიმაჩნია, ბატონი სპიკერი პოლიტიკურად ცოტა გათვითცნობიერებული კაცი რომ ყოფილიყო, იგი ჯერ გადადგებოდა თავისი თანამდებობიდან, რომელიც საკმაოდ ზღუდავს ამგვარ „პირად“ ინიციატივებს (თუკი მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთის პარლამენტის სპიკერის მაგალითს) და მერე გამოთქვამდა ამ თავის „პირად“ აზრს. მაგრამ გამოსავალი კიდევ არსებობს: ბატონ სპიკერს ამ განცხადების შემდეგაც შეუძლია ეს გააკეთოს, ე.ი. თანამდებობიდან ნებით გადადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ჩვენ თვითონ დავსვათ საკითხი ბატონ სპიკერის **გადაყენების** შესახებ. სხვა გზა არ არის, რადგან ბატონმა სპიკერმა თავისი განცხადებით მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე დისკრედიტაცია გაუკეთა საქართველოს პარლამენტსაც და, მისი სახით, მთელ ერსაც.

ვინმემ შეიძლება თქვას, როგორი პარლამენტიც, ისეთი სპიკერიცო, ერთი ცნობილი ანდაზის არ იყოს. მაგრამ, რაგინდ ოდიოზურადაც გამოვიყურებოდეთ საზოგადოების თვალში, დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში მაინც პარლამენტი მაღლა დადგება თავის სპიკერად „რჩეულზე“ და ჯეროვნად ირეაგირებს ბატონ სპიკერის „პირად“ აზრზეც და მის „სახელმწიფო“ სტატუსზეც.

ისტორიული სირცხვილის გრძნობა საკუთარი ნამოქმედარის გამო

(საქართველოს „სნგ“-ში გაწევრიანების მიზანშეწონილობის გამო)

ა.წ. 18 სექტემბერს, ღამით, ჩემმა კოლეგამ „ლიბერალების“ ფრაქციიდან, მომიტანა პარლამენტის სპიკერის წერილი, ვითომდა განკუთვნილი პარლამენტის წევრებისადმი (“ვითომდა“ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ეს წერილი გამიზნული იყო საზოგადოებაში გასავრცელებლად). მეორე დღეს 19 სექტემბერს მე გამოვედი ტელევიზიით და ბატონ სპიკერის მოუხსენებლად შევეხე აღნიშნული წერილის თემას, გამოვხატე რა საქართველოს „სნგ“-ში შესვლისადმი ჩემი პრინციპულად უარყოფითი დამოკიდებულება. ეს, რამდენადაც ვიცი, იყო პირველი საჯარო რეაგირება აღნიშნულ საკითხზე. 20 სექტემბერს თავად ბატონი სპიკერი გამობრძანდა „ოსტანკინოს“ ტელეარხით და მეც იმავე დღეს კვლავ გამოვედი, უკვე პერსონალური მისამართით, ჩვენი ტელევიზიით ამავე საკითხზე. ეს ჩემი ორივე გამოსვლა დაიბეჭდა გაზეთ „მამულ“-ში.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ჰიპოთეზას შორის, რომლებიც შეიძლებოდა წარმომშობოდა ბატონ სპიკერის წერილისა და მისი სატელევიზიო გამოსვლის გამო, ერთ-ერთი, ბუნებრივია, იქნებოდა ვარაუდი, რომ ეს „სნგ“-ისტური კამპანია შეიძლებოდა დაწყებულიყო თვითონ სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივით. ვიჩქარი, განვმარტო, რომ თავისთავად ასეთ მეთოდში საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვისა თუ მომზადებისა, საძრახისს ვერაფერს ვხედავ. მიუხედავად ასეთი ეჭვისა (სხვა ვარაუდებს შორის), მაინც გადავწყვიტე ორივე გამოსვლა ისე ამეგო, რომ სახელმწიფოს მეთაურის პერსონა გამემიჯნა ბატონ სპიკერის განცხადებებისგან. ბუნებრივია, ეს გავაკეთე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ვითვალისწინებთ რა, შესაძლებლობას, რომ ეს ჩემი პრევენციული (დამსწრები) გამოსვლა უნაყოფო გამოდგებოდა იმ აზრით, რომ სახელმწიფოს მეთაურიც, ერთ მშვენიერ დღეს, განაცხადებდა თავის თანხმობას საქართველოს „სნგ“-ში შესვლასა თუ შეყვანაზე. უნდა მოგახსენოთ, დღესაც ჩემთვის ნათელი არ არის, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რადგან ზოგიერთი ფაქტი, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურის წერილი სოხუმის დაცემასთან დაკავშირებით (აგრეთვე მისი პრესკონფერენცია აფხაზეთიდან დაბ-

რუნების შემდეგ), აშკარა წინააღმდეგობაში მოდის იმავე სახელმწიფოს მეთაურის მტკიცებასთან, თითქოს მას „სნგ“-ში საქართველოს შესვლის იდეა თავიდანვე უტრიალებდა თავში. მე არ შევეხები იმას, თუ რამდენად გამართლებულია სახელმწიფოს მეთაურის განცხადება, რომ იგი აქამდე თავს იკავებდა ამ იდეის საჯარო დეკლარაციისაგან იმ მოსაზრებით, თითქოს ეს იდეა საზოგადოებაში ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო. აქ გარკვეულ უხერხულობასთან, მეტი რომ არ ვთქვა, გვაქვს საქმე. ნუთუ იმისათვის, რათა საქართველო „მომწიფებულიყო“ „სნგ“-ში შესასვლელად, საჭირო იყო ამდენი სისხლისღვრა და უბედურება, რომ ხალხი, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნებულიყო „სხვა გამოსავლის უქონლობაში“? ჩემთვის ასევე გაუგებარია ის არგუმენტი სახელმწიფო მეთაურისა, რომ ახლა, როდესაც დამარცხდნენ რუსეთში „რეაქციული ძალები“, საქართველოს შესვლა „სნგ“-ში არა თუ ტრაგედიას არ წარმოადგენს, არამედ იმდენად გამართლებულია, რომ ლამის უნდა მივესალმოთ ამ ამბავს. ყოველ შემთხვევაში, ის პროპაგანდისტული კამპანია, რომელიც ამ ბოლო ხანს გაიმართა სახელმწიფოს მეთაურის ამ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, ასეთ ტენდენციასაც შეიცავს. მაგრამ დავუბრუნდეთ რუსეთის „რეაქციული ძალების“ დამარცხების საკითხს. ჯერ ერთი, ბრძოლა რუსეთში ჯერ კიდევ დამთავრებული არაა და მეორეც, ის „პროგრესული ძალა“, რომელმაც გაიმარჯვა, არის კი ნამდვილად პროგრესული იმ გაგებით, რომ იგი თავისუფალი იყოს რუსეთისათვის ტრადიციული იმპერიალისტური ზრახვებისაგან, ამ შემთხვევაში საქართველოს მიმართ? თუკი ელცინის მთავრობა ნამდვილად დემოკრატიულია, დემოკრატიული – თანამედროვე გაგებით, რატომ გვაიძულებს იგი, შევიდეთ „თანამეგობრობაში“? რატომ სვამს იგი ასეთ პირობას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩვენ, ამავე „პროგრესული ძალებისაგან“ უნდა მოველოდეთ შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარებისა (ეკონომიკურზე რომ არაფერი ვთქვათ)? რატომაა მიუღებელი „პროგრესული რუსეთისათვის“ დამოუკიდებელი საქართველო, „სნგ“-ს გარეშე მდგომი, მაგრამ მასთან, კერძოდ, რუსეთთან ცივილიზებულ ურთიერთობაში მყოფი? აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: თუკი ასეთი უხეში ზეწოლით, სისხლიანი ფაქტებით უკვე შემაგრებული ულტიმატუ-

მების ენით გვაიძულებენ შევიდეთ „სნგ“-ში, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ამ გაერთიანებაში შესვლის შემდეგ?

სხვათა შორის, საქართველოს „სნგ“-ში გაწევრიანების მომხრენი თავიანთ ოპონენტებს უსაყვედურებენ არგუმენტების უქონლობას და ეკითხებიან მათ: სხვა რა გამოსავალს ხედავთო? აქ ერთ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: „ესენგისტებს“ წინასწარ პოსტულირებული აქვთ, რომ „სნგ“-ში შესვლა საქართველოსთვის გამოსავალია. მე შევეკითხებოდი ამ ადამიანებს: რა საბუთები აქვთ თვითონ იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს შესვლა „სნგ“-ში ჩვენთვის სასურველ პერსპექტივას უსახავს ქვეყანას? მე ასეთი არგუმენტი, ამ სიტყვის სერიოზული გაგებით, არ მსმენია, კერძოდ, არც სახელმწიფოს მეთაურისაგან. რასაც „სნგ“-ისტები „ერთადერთ გამოსავალს“ უწოდებენ, ჩემს ენაზე ეს უბრალოდ კაპიტულაციაა, როდესაც მეტოქე შამათს გვიკეთებს, სხვა რა გვრჩება, თუ არა მეფის ფიგურის წაქცევა, ნიშნად დანებებისა, და განა გვეთქმის ასეთ შემთხვევაში, რომ „სხვა გამოსავალის უქონელთ“, მხოლოდ ეს გამოსავალიღა დაგვრჩა? მოდით, ვიხმაროთ სიტყვები მათი ზუსტი მნიშვნელობით, თორემ იქამდეც შეიძლება მივიდეთ, რომ უკურნებელი სნეულებით შეპყრობილზეც ვთქვათ, გარდაიცვალა, რადგან „სხვა გამოსავალი“ არ ჰქონდაო. რასაკვირველია, „სნგ“-ში შესვლას ასე „აპოკალიფსურად“ არ ვუყურებ, საქართველო, ცარისტული და კომუნისტური რუსეთის ბატონობის გადამტანი, როგორმე „სნგ“-სტური რუსეთის „თანამეგობრობასაც“ გაუძლებს და თავისას, ე.ი. ნამდვილ – სრულ სახელმწიფო დამოუკიდებლობას მაინც მიაღწევს, რადგან ეს ახალი, ვითომდა „კონფედერაციული“ ნაყოფი რუსეთის იმპერიალისტური ნოსტალგიისა და დასავლეთის ტრიუმფატორული ევფორიისა, ისტორიულად უდღეურია, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ამ „უდღეურს“ არ შეეძლოს, ვიდრე საბოლოოდ განისვენებდეს და მოგვასვენებდეს, სიცოცხლე გაუმწაროს ჩვენსავით „ძალად კონფედერატებს“.

მე, მაგალითად, ვერ ვხედავ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ისე რომ, ძველი ნაღმები (ჯერ ცარისტული, ხოლო შემდეგ ბოლშევიკური რუსეთის ჩადებული) საქართველოს სხეულში განეიტრალებულ იქნენ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, სამწუხაროდ, რომ „სნგ“-ში შესულ საქართველოზე რუსეთი მოახდენს დიდ ზეწოლას იმ მი-

მართულებით, რომ აფხაზური და ოსური ნაღმები (თანამედროვე პოლიტიკური ხერხებით მოდერნიზებული) ჩვენივე ხელით ჩაგვადებინოს, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობითი და ყველა სამართლებრივი წესის დაცვით, საკუთარ სხეულში. დავაზუსტებ: რუსეთი უთუოდ შეეცდება, როგორც მინიმუმი, ოსური ავტონომიური ოლქის აღდგენას; ხოლო, რაც შეეხება აფხაზეთს, იგი უთუოდ იმუშავებს იმისათვის, რომ აფხაზეთთან საქართველომ დადოს ფედერაციული კავშირი; და, საერთოდ, შეეცდება იგი ჩვენი ქვეყნის იმგვარ „ფედერალიზაციას“, რომელიც სამომავლოდ დიდ საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და იქნება ძლიერი იარაღი რუსეთის ხელში იმ შემთხვევისათვის, თუკი საქართველო მოინდომებს „სნგ“-დან გამოსვლას.

დიდი ადგილი უკავია „სნგ“-ისტთა არგუმენტაციაში ეკონომიკურ თემას. და მეც შედარებით ვრცლად შევჩერდები მასზე. ლაპარაკი იმაზე, რომ „სნგ“-ში შესვლით საქართველო დაადგება ეკონომიკური აღორძინების გზას, მე არასერიოზულად მიმაჩნია. როგორ წარიმართება მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პროცესი თვითონ რუსეთში, ეს კიდევ საკითხავია, მე, პირადად, ეჭვი არ მეპარება ერთ რამეში: საქართველოს მეურნეობის რეფორმა „სნგ“-ს პირობებში სულაც არ წარიმართება ისე, როგორც ჩვენ გვსურს, რადგან იგი (ეს რეფორმა) მეტისმეტად დამძიმებული იქნება გარეშე პოლიტიკური ზეწოლით და მოკლებული იქნება იმ ელემენტურ თავისუფლებას ეკონომიკური განვითარებისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის არა მარტო შედეგი, არამედ პირობაც ხსენებული რეფორმებისა.

საქმე ისაა, რომ რუსეთს თავისი „თანამეგობრობის“ ფარგლებში აქვს რეალური შესაძლებლობა, აწარმოოს დიფერენცირებული პოლიტიკა, ორმხრივ ურთიერთობათა სახით, ამ გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებთან. და რომ ეს ასეა, ჩანს იმ ხელშეკრულებებიდანაც, რომელთა დადებაზეც ასევე დიდი მითქმა-მოთქმაა ჩვენს საზოგადოებაში: მხედველობაში მაქვს ე.წ. პაკეტი ხელშეკრულებებისა, რომლებიც მომზადებულია და ზოგი მათგანი ხელმოწერილიც საქართველოსა და რუსეთს შორის. კაცი ამ ხელშეკრულებებს რომც არ იცნობდეს, მისთვის ისედაც ცხადი უნდა იყოს, როგორც იტყვიან „აპრიორულად“, რომ ისინი არ წარმოადგენენ თანასწორუფლებიან მხარეთა ურთიერთობების მარეგულირებელ დოკუმენტებს, არამედ ესაა ხელშეკრულებები,

რომლებიც ხელს უკრავს, შეძლებისდაგვარად, მხოლოდ ერთ მხარეს და რომელთაც სათანადო ძალის „მიყენებით“ თავის სასარგებლოდ ამოქმედებს (ყოველ შემთხვევაში, იქნება საამისო მცდელობა) მეორე მხარე, ამავე ხელშეკრულებით სულაც არ არის ხელშეკრული. პირველი, რასაც ეცდება რუსეთი, ეს, რა თქმა უნდა, იქნება „ისტორიულად ჩამოყალიბებული“ კავშირების აღდგენა და მათი „შემდგომი განვითარება“, კერძოდ ეკონომიკის სფეროში, ე.ი. აღდგენა-განვითარება სწორედ იმ კავშირებისა, რომელთა წყალობითაც ესოდენ „სასიცოცხლოდ მიბმულნი“ ვიყავით ადრე ამ ქვეყანასთან და რომელთა დარღვევითაც, სხვა კავშირთა უქონლობის პირობებში, ასეთ სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავცვივდით. მთავარი მიზეზი კი აღნიშნული მდგომარეობისა ისაა, რომ ამ „საკავშირო კავშირმა“ ყოველგვარი ეკონომიკური თვითმყოფობისა და თვითკმარობის ნიშანწყალიც მოუსპეს საქართველოს, რომელიც მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა სხვაზე და რომელიც, ამ დამოკიდებულებიდან გამოსული, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა კიდეც დამოუკიდებელი ეკონომიკური ცხოვრებისათვის. განა აშკარა არაა, რუსეთი ყველაფერს იღონებს, რომ ეს ძველი ვითარება აღადგინოს და ამ მიზნით იგი გამოიყენებს არა მარტო „წმინდა ეკონომიკურ“, არამედ სხვა, სახელდობრ, პოლიტიკურ ბერკეტებს, „ტერიტორიულად ბაზირებულს“ სამხედრო ძალაზე სათანადო „სამსახურებითურთ“. უეჭველია, რომ რუსეთი შეეცდება გაატაროს თავისი იმპერიალისტური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება რუსული კაპიტალისა და ბიზნესის პოლიტიკურად მიზანდასახულ ექსპანსიაში საქართველოს მიმართ, რაც არაფერ კარგს არ უქადის ჩვენებურ „კაპიტალისტ-ბიზნესმენებს“. განსხვავებით ევროპული ერებისაგან, რუსი ერის ცხოვრება ისტორიულად ხასიათდება იმით, რომ ეკონომიკა (ეკონომიკური ინტერესი) ყოველთვის ექვემდებარებოდა პოლიტიკას (პოლიტიკურ ინტერესს) და არა პირუკუ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა (და აქვს) ევროპულ-დასავლურ სინამდვილეში. ეს ისტორიული ტრადიცია (თუ ინერცია), სხვათა შორის, ვერ დაძლია თვით „მარქსისტმა“ ლენინმაც, რომელმაც განაცხადა კიდეც ერთ მშვენიერ დღეს „ეკონომიკას პოლიტიკა განსაზღვრავსო“. ასე რომ, ჩვენს საქმოსანთ საქმე ექნებათ ტრადიციულად „პოლიტიზირებულ“ რუსულ კაპიტალთან და ბიზნესთან, რომელთაც ძლიერი პოლიტიკური პროტექტორი ეყო-

ლება რუსეთის მთავრობის სახით და რომელსაც, თან წმინდა ეკონომიკურადაც ფრიად ძლიერს ჩვენთან შედარებით ვერავითარ სერიოზულ ეკონომიკურ (პოლიტიკურზე აქ არას ვამბობ) წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ადგილობრივი კაპიტალი და ბიზნესი. მეტად საეჭვოა, რომ ამ ციმბირის ნავთობზე და ალმასებზე გამდიდრებული ძალების პირისპირ ჯეროვანი პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკა აწარმოოს ჩვენმა მთავრობამ, ქართული ბიზნესის დასაცავად. საბჭოთა პერიოდში ჩვენში ჩამოყალიბდა სრულიად გარკვეული სოციალური ფენა, რომელიც დღეს, საქართველოს ამჟამინდელ სინამდვილეში, „კომპრადორული ბურჟუაზიის“ როლს თამაშობს, – „ბურჟუაზიისა“, რომელსაც თავისი ინტელიგენციაც ჰყავს („კომპრადორული ბურჟუაზიული ინტელიგენცია“), მეცნიერებისა თუ ხელოვნების წარმომადგენელთა სახით. ვინ არიან, მაინც, ეს ადამიანები? – ყოფილი, ასე ვთქვათ, „ნასაბჭოვარი“ სამეურნეო მუშაკები – ქარხნების, კომბინატების, ტრესტების და ა.შ. „იმდროინდელი“ დირექტორები, რომლებიც თავისი სამეურნეო გამოცდილებითაც და ჩვევებითაც, ფსიქოლოგიურადაც და იდეოლოგიურადაც, „გენეტიკურად“ არიან დაკავშირებულნი რუსეთთან, თავიანთ იქაურ კოლეგებთან, ვისთანაც ისინი ადვილად ნახულობენ „საერთო ენას“ და, საზოგადოდ, თავს „კაცად“ გრძნობენ მაშინ, როდესაც ევროპელი ბიზნესმენი, თავისი მთელი სამეურნეო კულტურით, მათთვის უცხოა და, რიგ საქმოსნურ უპირატესობათა გამო, საშიშიც. (წმინდა რუსულ-საბჭოური „არასრულფასოვნების კომპლექსის“ ფაქტორი, თავისი ფორმით „ქართულ“ გამოხატულებაში). ნამდვილი, ე.ი. ევროპულ-დასავლური, კაპიტალიზმის დამყარება ამ ჩვენი სამეურნეო „დირექტორატის“ ინტერესებში არ შედის. მათი იდეალი „სახელმწიფო კაპიტალიზმი“-ა, სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებით, რომელთა „ეკონომიკურ სივრცე“-შიც ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. სწორედ ესენი არიან ქართული კაპიტალიზმის უპირველესი „კლასობრივი მტრები“, არა იმიტომ, რომ „ცუდი ადამიანები“ არიან, არამედ ზემოხსენებულ ჩვევათა გამო, რომლებიც გამოუმუშავდნენ მათ და „მეორე ნატურად“ შეექმნენ აღნიშნულ რუსულ-საბჭოთა ცხოვრებისეულ პირობებში. და სწორედ ეს „ბურჟუაზია“ და მისი პოლიტიკური თანამოძმე ყოფილი პარტოკრატია და ბიუროკრატია, ისევე, როგორც მათი „ცხოვრების თანამგზავრი“ ინტელიგენცია, წარმოად-

გენენ იმ სოციალურ ძალას, რომელსაც შეუძლია, დაეყრდნოს, ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე, რუსეთი, რა თქმა უნდა, განსაზღვრულ ფარგლებში. საყურადღებოა, რომ ამ ძალამ უკვე მოიპოვა (უკეთ ვთქვათ: გარკვეული, დროის შესაფერისი სახეცვლილებით – აღიდგინა) პოზიციები სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელთა პერსონალური დაკომპლექტებაც უმთავრესად ამ ძველ „დირექტორთა“ და ყოფილ ფუნქციონერთა წრიდან ხდება, რაც მეტად არასასურველ „ადმინისტრაციულ“ გარემოს უქმნის ჩვენთვის ესოდენ საჭირო რეფორმებს, ამ შემთხვევაში – ეკონომიკურს. ბუნებრივია, რუსეთი შეეცდება ამ გარემოს ჩვენში განმტკიცებასაც და გამოყენებასაც, რადგან ამგვარ პირობებში იგი უფრო ადვიალდ განახორციელებს როგორც კაპიტალის, ასევე მუშახელის (საკითხის, გარდა ეკონომიკურისა, დემოგრაფიული ასპექტი!) თავისუფალი მოძრაობის „პოლიტიკას“, სავსებით „ლიბერალურს“, რომელიც, რა თქმა უნდა, ორმხრივი იქნება და ორივე მხრივ ჩვენთვის მეტად წამგებიანი. ერთი სიტყვით, ძლიერი ქართული კაპიტალი და ბიზნესი, ძლიერი, რამეთუ კაპიტალისტურად თავისუფალი, ქართული ეკონომიკა რუსეთს ხელს არ აძლევს, რადგან ეროვნული კაპიტალიზმი თავის თავშივე ატარებს ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკურ იდეას, ქმნის რა ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის აუცილებელ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს. რა თქმა უნდა, ქართული კაპიტალიზმისა და, მაშასადამე, ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის მეტად სასურველი იქნებოდა დასავლეთის „ცივილიზებული“ კაპიტალის და ბიზნესის მოზიდვა, რაც, სხვათა შორის, იმითაც იქნებოდა ჩვენთვის სასარგებლო, რომ ამ კაპიტალსა და ბიზნესს რუსეთი ვერ გაუწევდა კონკურენციას და ამით დაცული ვიქნებოდით ამ ქვეყნის იმპერიალისტური ეკონომიკური ექსპანსიისაგან, აქედან გამომდინარე პოლიტიკური შედეგებით. მაგრამ ამისათვის საჭიროა გარკვეული „პროტექციონიზმი“ საქართველოს მთავრობის მხრიდან დასავლური ინვესტიციების მიმართ, ხოლო საკითხავია, შეძლებს თუ არა ჩვენი მთავრობა, რუსეთთან ნაირნაირი ხელშეკრულებებით ხელშეკრული, ასეთ „ანტირუსული“ და „პროდასავლური“ პოლიტიკის ეფექტიანად გატარებას? ან ისურვებს კი ამას ეს მთავრობა, ზემოხსენებული დირექტორებითა და ფუნქციონერებით დაკომპლექტებული? ან, ამავე მთავრობის წყალობით, რა პირობები იქნება ამ ინვესტიციებისათვის

თვითონ ჩვენს ეკონომიკურ სინამდვილეში?... (რაკიღა ვახსენე „დირექტორები“ და „ფუნქციონერები“, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია, აღვნიშნო, რომ მათ შორის, რა თქმა უნდა, არსებობენ ქვეყნისათვის მეტად საჭირო „სამთავრობო“ ადამიანები. მე ამა თუ იმ „დირექტორის“ თუ „ფუნქციონერის“ **ინდივიდუალურ** „გამინისტრებას“ კი არ ვეწინააღმდეგები, არამედ მათს, როგორც „კლასის“ **მასობრივ** დაბრუნებას ხელისუფლებაში, მისი სტრუქტურის სხვადასხვა რგოლში). ამით შეგვეძლო დაგვემთავრებინა საკითხის ეკონომიკურ ასპექტზე საუბარი, მაგრამ, რამდენადაც ჩვენი „სნგ“-ისტების არგუმენტაციაში გარკვევით ფიგურირებს ე.წ. რესურსების (მათ შორის, გასაგებია, პირველ რიგში ენერგორესურსების) თემა, გაკვრით ამ პრობლემასაც შევეხები. განა აშკარა არაა, რომ ეს ეკონომიკური პრობლემა, თავისი მთელი სიმწვავით საქართველოს „სნგ“-ში „ყოფნა-არყოფნის“ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში დაყენებული, სხვა არა არის რა, თუ არა პროპაგანდისტული სატყუარა, რათა თავი გაგვაყოფინონ ჩვენთვის ესოდენ არასასურველ, ერის ხელფეხის შემბოჭველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებში? ბუნებრივად ისმის კითხვა: განა იმისათვის, რათა ჩვეულებრივი ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე შევძლოთ, რუსეთისა თუ „სნგ“-ს სხვა წევრი ქვეყნებიდან მივიღოთ საჭირო რესურსები, აუცილებელია, რომ შევიდეთ ამ პოლიტიკურ (უფრო ზუსტად კი – სამხედრო-პოლიტიკურ) გაერთიანებაში?

სწორედ ეს სარესურსო ბლოკადა, რომელსაც ახორციელებს რუსეთი საქართველოს მიმართ, თავისთავად კიდევ ერთი საბუთია (მოვახსენებ იმათ, ვინც „საბუთებს“ ითხოვს) იმისა, რომ შესაძლოა „გაესენგებულ“ ქართველობას მეტი პური და შაქარი გაუჩნდეს, მაგრამ, რაც შეეხება ქვეყნის რეალურ გამოყვანას ეკონომიკური კრიზისიდან, ასეთი პერსპექტივა რუსეთთან „თანამეგობრობის“ პირობებში მეტად და მეტად საეჭვოა. სხვისი არ ვიცი და ჩემთვის, პირადად, ცხადზე ცხადია, რომ ეს სარესურსო ზეწოლა არის პოლიტიკური ხერხი, რათა საქართველო ძალით შეიყვანონ „სნგ“-ში, ხოლო რა მოხდება იქ, ამაზე ზემოთ, მართალია, ზოგადად, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ნათლად ითქვა.

ასეა თუ ისე, მე მიმაჩნია, რომ თუკი მოხდა ის, რაც ჩვენი აზრით, არ უნდა მომხდარიყო და საქართველო აღმოჩნდა „სნგ“-ს შემადგენლობაში, ეს იქნება საქართველოს პოლიტიკური მარცხი

და იმის ნიშანი, რომ ერთი ეტაპი ჩვენი ერის ბრძოლისა პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარუმატებლად დამთავრდა და იწყება მეორე ეტაპი, რომლის მიზანიც უნდა იყოს ახლა უკვე (განსხვავებით ძველი სსრკ-სი) „სნგ“-ს შემადგენლობიდან თავის დაღწევა.

არ შემიძლია ყურადღება არ მივაპყრო კიდევ ერთ, მართალია, ამ შემთხვევაში, არა მატერიალურ, მაგრამ არანაკლებ რეალურ გარემოებას: მხედველობაში მაქვს ერის ფსიქო-მორალური მდგომარეობა, რაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ ნაბიჯს. დღეს ქართველი ერი უკიდურესად მძიმე სულიერ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც დამარცხებული ერი. ეს არის მდგომარეობა უმძიმესი ფსიქოლოგიური და მორალური დეპრესიისა, როდესაც ადამიანს ლამის ყველაფერზე აქვს ხელი ჩაქნეული, რადგან თვითონაც ვერ ხედავს გამოსავალს და, რაც მთავარია, სხვებიც შთააგონებენ, რომ მის დამოუკიდებელ არსებობას (დამოუკიდებელს, ცხადია, არა „ესენგისტური“ გაგებით) არავითარი პერსპექტივა არა აქვს და ამდენი სისხლი, ამდენი ნგრევა და რბევა დასრულდა იმით, რომ უნდა შევიდეთ იმ ქვეყნის „თანამეგობრობაში“, ვისგანაც ყოველივე ეს მოგვევლინა. ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ერის ისეთი სულიერი მდგომარეობისა, როდესაც ადამიანები, ცხოვრებაზე გულგატეხილნი, ყველაფერზე ხელჩაქნეულნი, თანხმდებიან ისეთ პირობებს, რომლებსაც ისინი ელემენტურად ნორმალურ გარემოებაში კატეგორიულად უარყოფდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი ერი ამ თავის, როგორც ვთქვი, უმძიმეს დეპრესიულ მდგომარეობაში პოლიტიკურად „გამოჭერილი“ აღმოჩნდა და ის 70 პროცენტიანი ან იქნებ უფრო მეტ პროცენტიანი „მხარდაჭერა“, რომელიც შეიძლება დღევანდელმა ქართველობამ გამოუცხადოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებას, სინამდვილეში არაფერია, თუ არა გამოვლენა უღრმესი პესიმიზმისა (და არა, როგორც სურთ, დაგვიმტკიცონ „პოლიტიკური რეალიზმისა“) დამამცირებელი კაპიტულაციის ფაქტით გამოწვეული. საგულისხმოა, რომ ჩვენს საზოგადოებაში, სანამ ეს „ესენგისტური“ პროპაგანდისტული კამპანია დაიწყებოდა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მეთაური დაუჭერდა ამ იდეას მხარს, ხალხში არ შეიმჩნეოდა, ყოველ შემთხვევაში, აშკარა ფორმით, რაიმე სწრაფვა ასეთი კაპიტულაციისაკენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც თვით სახელმწიფოს მეთაურმა გამოაცხადა ეს თავისი გადაწყვეტილება, რო-

გორც ერთადერთი გზა არსებულ „გამოუვალ“ პირობებში, მე მგონია, სწორედ ამ ფაქტმა მოახდინა, პირველ ყოვლისა, ის ფსიქოლოგიური ეფექტი ადამიანებზე, რომ მათ ირწმუნეს თავისი მდგომარეობის მართლაც უპერსპექტივობა და და, აი ამ სასოწარკვეთილების ფონზე უცხადებენ კიდეც ისინი ახლა „მხარდაჭერას“ ხელისუფლების ამ ნაბიჯს, ე.ი. ჯერ მოხდა იმედის გადაწურვა ზემოხსენებული გადაწყვეტილების შედეგად, რასაც მოჰყვა კიდეც შემდეგ თვითონ ეს უიმედობის ჟესტი.

მაგრამ ეს ფსიქიკური მდგომარეობა მაინც წარმავალია და, თუკი წარმომადგენლობითი დემოკრატიის (პარლამენტის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაცია), ან უშუალო დემოკრატიის (რეფერენდუმი) გზით მოხდა საქართველოს გაწევრიანება „სნგ“-ში, გავა ხანი, გაივლის ეს ზემოხსენებული მძიმე სულიერი მდგომარეობა და დადგება უფრო მძიმე ფსიქოლოგიური და მორალური მომენტი. ხალხი გაიცნობიერებს, თუ რაზე წავიდა იგი (ან რაზე წაიყვანეს იგი) და მაშინ დაეუფლება ის გაცილებით მძიმე სულიერი განცდა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული სირცხვილის გრძნობა საკუთარი ნამოქმედარის გამო. აი, მთავარი, რისიც მე განსაკუთრებით მეშინია, რადგან ასეთი შედეგი გაცილებით ძნელი დასაძლევი იქნება ყოველი ჩვენგანისათვის ფსიქოლოგიურადაც და მორალურადაც.

და ბოლოს კიდევ ერთი გარემოება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა სრულიად გარკვეული წრე ადამიანებისა, შეიძლება ითქვას, გარკვეული „კლასი“, რომელიც სოციალურად დაინტერესებულია საქართველოს რუსეთთან რაც შეიძლება მჭიდრო კავშირით (რა თქმა უნდა, „სუვერენიტეტის“ ატრიბუტიკის ჯეროვანი დაცვით). ეს ფრიად სერიოზული ძალაა, რომელმაც შეძლო კიდეც, ესეც ითქვა, სათანადო პოზიციების მოპოვება ხელისუფლების სტრუქტურებში. დღეს წარმოებს ამ ძალის მიერ ინტენსიური იდეოლოგიური მუშაობა ევროპაზე და საერთოდ, დასავლეთზე ორიენტაციის ე.წ. „ევროპეისტული იდეის“ დისკრედიტაციის მიმართულებით. ისინი (მე მათ ვუწოდებდი „რუსოფილებს“) არწმუნებენ ხალხს, რომ დასავლეთისაგან ჩვენ არავითარ რეალურ დახმარებას არ უნდა ველოდეთ. მეტიც, რომ თითქოს დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებობს გარიგება, რომლის ძალითაც საქართველო დატოვებულია რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში და ამ გზით

უნერგავენ ადამიანებს, რომ ერთადერთი გამოსავალი, ისევ და ისევ, რუსეთის მიმართ დათმობაშია. მე აქ საკითხის სერიოზულობის გამო არ შევუდგები იმის განხილვას, თუ რამდენად შეესაბამება ეს ანტიდასავლური, გნებავთ, ანტიევროპული პროპაგანდა სინამდვილეს. ვიტყვი მხოლოდ ერთს: რა თქმა უნდა, არავითარ ასეთ გარიგებას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს იქნებოდა გარკვეული კომპრომისი რუსული იმპერიალიზმის მიმართ, რაც უთუოდ შეიქმნებოდა გარკვეულ პირობად რუსული იმპერიალიზმის ამა თუ იმ ფორმით აღორძინებისა. რაგინდ სკეპტიკურად ვიყოთ განწყობილნი დასავლეთის დღევანდელი პოლიტიკოსების მიმართ, ისინი არც ისე გულუბრყვილონი არიან, რომ თავიანთი მომავალი ისევ და ისევ რუსული იმპერიალიზმის ჩრდილქვეშ დააყენონ. მაგრამ დასაშვებია სხვა ვერსია: შესაძლებელია, რომ დასავლეთის დიდმა დემოკრატიებმა, ჩვენი საშინაო პოლიტიკის შემყურეთ, კი არ „გაგვყიდეს“ ჩვენ, არამედ „ხელი ჩაიქნიეს“. ძახილი, რომ ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპასთან და ევროპაში, დასავლეთთან და დასავლეთში, არ კმარა. საჭიროა ვუჩვენოთ დასავლეთს და, კერძოდ, ევროპას, რომ ჩვენ ვიღვწით მათ საზოგადოებაში შესასვლელად. ასეთი ღვწა კი კონკრეტულად გულისხმობს ბრძოლას და შრომას რეფორმების გატარებისათვის, პირველ ყოვლისა, ეკონომიკურ სფეროში. ის გარემოება, რომ საქართველო დღეს იმყოფება მძიმე მდგომარეობაში, სულაც არ ამართლებს იმ სრულ უმოქმედობას, რომელსაც დღემდე იჩენს ქვეყნის ადმინისტრაცია. დასავლეთში ბრმები არ განაგებენ პოლიტიკას და ისინი მშვენივრად ხედავენ, თუ რა გონებრივი წყობის, რა ინტერესების ადამიანებისაგან კომპლექტება ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაცია. ისეთი მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი), როგორიც ჩვენ გვყავს, ქვეყანაში რეფორმებს ვერ გაატარებს. ერთადერთი, რაც შეუძლია მას (და რასაც აკეთებს კიდეც იგი), ესაა ის, რომ თავისი ლიბერალური ფრაზებით შეზავებული სოციალისტური პოლიტიკით ქვეყანა მიიყვანოს იმ „გამოუვალ მდგომარეობამდე“, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ „სნგ“-შია. ამიტომაც ვამტკიცებ, თუკი საქართველო აღმოჩნდება ხსენებულ „თანამეგობრობაში“, ეს იქნება ბუნებრივი შედეგი იმ საშინაო პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მთავრობა დღემდე, ვიმეორებ – ამ მთავრობას სხვა პოლიტიკის წარმოება **არც შეეძლო**, რის გამოც მის ასეთ „ესენგისტურ“ აღ-

სასრულს ჩვენი არსებობის ამ ეტაპისა მას „ღალატად“ ვერ ჩავუთვლით.

რაც შეეხება ჩვენს პარტიას, „სნგ“-ში საქართველოს შესვლის საკითხში, ჩვენ არსებითი უთანხმოება გვაქვს დღევანდელ ხელისუფლებასთან და, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურთან. აქ ჩვენი გზები, როგორც იტყვიან, ერთმანეთს დიამეტრალურად გაშორდნენ და, რამდენადაც ეს უთახმოება პრინციპული ხასიათისაა, თანაც, უაღრესად პრინციპულის, გასაგებია, რომ ამჟამად გვსურს თუ არა გვსურს, ოპოზიციაში ვიმყოფებით სახელმწიფოს მეთაურის მიმართ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ, ე.ი. ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, თუნდაც 1 მმ-ით დავუახლოვდით იმ ოპოზიციას, რომელიც აქამდე მოქმედებდა პარლამენტსა თუ მის გარეთ. გარეგნული თანხვედრა ნურავის შეიყვანს შეცდომაში. ჩვენს ოპოზიციასა და იმ ოპოზიციას შორის არსებული „ხრამი“ სრულიადაც არ შემცირებულა, პირიქით, შექმნილ ვითარებაში იგი უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად ლდეპ პარადოქსულ (ზოგიერთთა თვალში, შესაძლოა, ტრაგიკომიკურ) მდგომარეობაში იმყოფება და ამას ვაღიარებთ. დავაზუსტებ: თავისთავად, ჩვენი ოპოზიცია, როგორც ვთქვი, იმდენად პრინციპული ხასიათისაა, რომ იგი თითქოს უნდა გულისხმობდეს, სხვათა შორის, სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის მოთხოვნასაც. მაგრამ ცხოვრებაში ხშირადაა ისეთი სიტუაციები, როდესაც ჩვეულებრივი ლოგიკა არ მუშაობს, და ასეთს სიტუაციებს ყველაზე ხშირად, ალბათ, პოლიტიკაში აქვს ადგილი, და აი, ჩვენც, მიუხედავად ასეთი ოპოზიციური პოზიციისა, დღესაც მტკიცედ ვადგავართ იმ აზრს, რომ სახელმწიფოს მეთაურს ალტერნატივა არ მოეპოვება და ამიტომაც ჩვენს ოპოზიციას განვიხილავთ, როგორც ახალ (ძველისგან განსხვავებით) ფორმას სახელმწიფოს მეთაურთან თანამშრომლობისა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, ოპოზიციიდანაც ვიმუშავებთ სახელმწიფოს მეთაურზე პოლიტიკური ლოიალობის მაქსიმალური დაცვით.

ვიყოთ პოლიტიკურად სულგრძელნი!

(25 მაისს, ზურაბ ავალიშვილის სამშობლოში
გადმოსვენებისას წარმოთქმული სიტყვა)

ძვირფასო თანამემამულენო! დღეს მშობლიურ მიწას ვაბარებთ XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქართველის, გამოჩენილი იურისტის, ქართული ისტორიისა და კულტურის ბრწყინვალე მკვლევარის, შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწის – ზურაბ ავალიშვილის ნეშტს.

ზურაბ ავალიშვილი ეკუთვნოდა იმ დიდებულ თაობას, დიდებულს თავისი მაღალი ნიჭიერებითა და ღრმა მეცნიერებით, რომელსაც ამშვენებენ, სხვათა და სხვათა შორის, არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილის, მიხეილ წერეთლის, დიმიტრი უზნაძის სახელები. და ზურაბ ავალიშვილის სახეც XX საუკუნის სწორედ ამ ინტელექტუალური ელიტის თანავარსკვლავედში კიაფობს თავისი განუმეორებელი შემოქმედებითი ინდივიდუალობით.

როდესაც ვიგონებთ ამ ადამიანებს, ისევე როგორც სხვებს, მათ ღირსეულ თანამედროვეთ, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ ქართველი ერი, რომელმაც საუკუნის მიწურულს კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, თავისუფალ ერთა მსოფლიო საზოგადოებაში სულაც არ შედის იდეურად ხელცარიელი, რადგან ჩვენმა ზემოხსენებულმა წინაპრებმა დაგვიტოვეს უზარმაზარი გონებრივი მემკვიდრეობა, რომელიც დაამშვენებდა XX საუკუნის ნებისმიერი მოწინავე ერის კულტურას და რომელიც ჩვენგან მოელის პრაქტიკულ განაღდებას **ახალი საქართველოს მშენებლობაში**. მე ამას შეგახსენებთ, ცხადია, არა უქმი, და ამიტომაც ყალბი, ეროვნული თავმომწონეობისათვის, არამედ იმედისა და რწმენისათვის, რათა მხნედ ვიაროთ იმ ძნელად სავალ გზაზე, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს – და მიგვიყვანს კიდეც! – „აღთქმულ ქვეყანაში“, რომლის სახელიც ახალი დემოკრატიული საქართველოა. ზურაბ ავალიშვილი სწორედ ის მოღვაწე გახლდათ, ვისი ცხოვრების იდეალიც ასეთი საქართველო იყო – **დემოკრატიული**, ამ სიტყვის თანადროული გაგებით.

ამ მრავალმხრივი პიროვნების სამეცნიერო მემკვიდრეობა ჯერ კიდევ მოელის თავის მკვლევარს. მე შევეხები ზურაბ ავალიშვილის მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს – პოლიტიკურს,

რომელიც ჩვენთან, არსებულ სიტუაციაში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ზურაბ ავალიშვილი იყო დიდი სტილის პოლიტიკოსი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ ღირსახსოვარ პერიოდში საქართველოს მოევლინა, როგორც მისი საგარეო პოლიტიკის ჭეშმარიტი შემოქმედი, ახალი ქართული დიპლომატიის ფუძემდებელი და სულისჩამდგმელი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი საქართველოს მმართველი პარტიის იდეოლოგია მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო, ზურაბ ავალიშვილი, როგორც ეს შეეფერება ფართო პოლიტიკური კულტურის მქონე დიდ პატრიოტს, ერთგულად ემსახურა თავისი სამშობლოს მთავრობას, საგარეო პოლიტიკის დარგში ექსპერტის (ფაქტობრივად კი ამ პოლიტიკის ნამდვილი კონსტრუქტორის) თანამდებობაზე. ვფიქრობ, ეს მაგალითი, რომელიც მოგვცა ზურაბ ავალიშვილმა, სანიმუშო უნდა იყოს ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გვავიწყდება ხოლმე, სხვადასხვა „პარტიულ“ უთანხმოებათა გამო, მთავარ – განსაცდელში მყოფი ერის სასიცოცხლო ინტერესები. მაგრამ ზურაბ ავალიშვილი სხვა მხრივაც საგულისხმო პიროვნებაა თანამედროვე ქართველობისათვის, განსაკუთრებით – ქართველ პოლიტიკოსთათვის. დაჯილდოებული ისტორიკოსისთვის უიშვიათესი უნარით, რომელსაც „ისტორიის პოეტური სურნელის“ შეგრძნება ჰქვია, ზურაბ ავალიშვილი პოლიტიკაში ყოველგვარი რომანტიკული ილუზიებისაგან თავისუფალი ადამიანი იყო, თავისუფალი პოლიტიკოსთათვის იმ მეტად სახიფათო სენისგან, რომელსაც „პოლიტიკური რომანტიზმი“ ეწოდება. ამ მხრივ იგი იყო პოლიტიკური პრაგმატიზმისა და რაციონალიზმის კლასიკური წარმომადგენელი, რომელიც თავის პოლიტიკურ ანგარიშს ყოველთვის აგებდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა შორის არსებულ რეალურ, სავსებით მატერიალურ და პრაქტიკულ ინტერესებზე. მას მიაჩნდა, რომ სწორედ ამგვარ (და, ვიმეორებ, მხოლოდ ამგვარ) ინტერესთა ბალანსი ქმნის მყარ ნიადაგს საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოთა პროდუქტიული თანამშრომლობისათვის. ამიტომაც, ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, ქვეყნის ინტერესებს მუდამ განიხილავდა მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში, ამ პოლიტიკის შემადგენელ და მამოძრავებელ ინტერესებთან სისტემურ მიმართებაში. ბათუმის ცნობილ კონფერენციაზე შექმნილ თითქმის გამოუვალ პირობებში ქართულმა

დელეგაციამ სწორედ ზურაბ ავალიშვილის დიპლომატიური ხელოვნების წყალობით შეძლო გერმანიის დელეგაციის გადამწყვეტი მხარდაჭერის მიღება, რასაც მოჰყვა კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, და ის, აწ უკვე ისტორიად ქცეული, ქართულ-გერმანული თანამშრომლობა, გნებავთ პოლიტიკური მეგობრობა, რომლის ერთი უმთავრესი სულის ჩამდგმელიც, დიპლომატიურ სარბიელზე ზურაბ ავალიშვილი იყო. ხოლო ამ პოლიტიკურ მეგობრობას გერმანიის დიდ იმპერიასა და საქართველოს პატარა რესპუბლიკას შორის საფუძვლად ედო სრულიად გარკვეული ორმხრივი ინტერესები, ჯეროვნად გათვალისწინებული და შეთანხმებული. ვფიქრობ, ზურაბ ავალიშვილის პოლიტიკური აზროვნების ეს დამახასიათებელი თვისებები და ღირსებები, მჭევრმეტყველურად ასახული, სხვათა შორის, მის შესანიშნავ ნაშრომებში „საქართველოს შეერთება რუსებთთან“ და „საქართველოს დამოუკიდებლობა“, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკოსთათვის საგულისხმო უნდა იყოს.

დაბოლოს, კიდევ ერთი თვისება ჩვენი დიდი თანამემამულისა. ეს გახლავთ ის, რასაც მე პოლიტიკურ სულგრძელობას, ან, როგორც ჩვენი ილია იტყოდა, „დიდხასიათობას“ ვუწოდებდი. საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობიდან სულ სამიოდე წლის შემდეგ, როდესაც ბევრნი, მათ შორის პოლიტიკოსნიც, სასოწარკვეთილებით იყვნენ შეპყრობილნი, აი, რა სიტყვებით ამთავრებს ზურაბ ავალიშვილი თავის „საქართველოს დამოუკიდებლობას“: „სიცოცხლის წყლით ნასხურები აღდგა ძველი საქართველო და მისი ჩაკვლა შეუძლია მხოლოდ მისი შვილების სულმოკლეობას“. ჩავუკვირდეთ ყველანი ამ სიტყვებს და იმ განსაცდელის წინაშე, რომელიც უდგას დღეს ჩვენ სამშობლოს, ნუ ვიქნებით სულმოკლენი, ვიყოთ **პოლიტიკურად სულგრძელნი**!

ძვირფასო თანამემამულენო, გილოცავთ ამ საზეიმო დღეს, დიახ, საზეიმოს, რადგან ზურაბ ავალიშვილი სიცოცხლეში დამარცხებული, სიკვდილის შემდეგ გამარჯვებული უბრუნდება საყვარელ ქვეყანას, თავის მშობლიურ მიწას! ნება მიბოძეთ, ვისარგებლო იმ უფლებით, რომელიც ამ ამაღლებულ წუთს აქვს ყოველ ჩვენგანს, და ქართველი ერის – ზურაბ ავალიშვილის ამ მთავარი ჭირისუფლის – სახელით ასე მივმართო ამ დიდი მამულიშვილის ნათელ სულს, რომელიც, მწამს, ახლა დაგვყურებს ზეციური საქართველოდან ამ ძვირფასი ნეშტის წინაშე მდგომთ: გა-

ნისვენე, ჩვენო დიდო ზურაბ, შენთვის ესოდენ საყვარელი ქართული მიწის წიაღში, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ!

გიხაროდენ, შენი საოცნებო „ძველი საქართველო, სიცოცხლის წყლით ნაპკურები“ უკვე წამოდგა და შორს არაა ის დღე, როდესაც ჭეშმარიტად აღდგება იგი, თავისუფლების მზით გასხივოსნებული!

სიტყვა – პარლამენტში წარმოსათქმელი და წარმოუთქმელი

მას შემდეგ, რაც ვერ მოგვიხერხდა ამ „სიტყვის“ პარლამენტში წარმოთქმა (პარლამენტს იმ დღეებში გაცილებით უფრო სერიოზული საკითხები ჰქონდა განსახილველი), ვიფიქრეთ, საერთოდ რეაგირების გარეშე დაგვეტოვებინა ჩვენი „სამთავრობო ინტელიგენციის“ იმ „სავარდო და სამაისო“ თავყრილობის ამბავი. მაგრამ ჩვენი დუმილი საზოგადოების მიერ არაერთგვაროვნად იქნა გაგებული, თანაც პოლიტიკური მოვლენები ისე განვითარდა, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ, ეს დოკუმენტი პრესაში გამოგვექვეყნებინა. სამწუხაროდ, გაზეთის რედაქციამ, რომელსაც ჯერ კიდევ მაისის თვეში გადავეცით ტექსტი, დაპირების მიუხედავად იგი არ დაბეჭდა. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, „სიტყვა“ გადავეცით „კავკასიონს“ და გვგონია, არც ახლა უნდა იყოს ეს ჩვენი განცხადება აქტუალობას მოკლებული. ილუზიები განსაკუთრებით სახიფათოა პოლიტიკაში და ამ პუბლიკაციით, ვიმედოვნებთ, ჩვენს ზოგიერთ (ყველაზე არაფერს ვამბობთ) ოპონენტს ასეთი სახიფათო ილუზიებისაგან გათავისუფლებაში დავეხმარებით.

მ.ნ.

ა.წ. 5 მაისს ჩემს მიერ წაკითხული ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის საპარლამენტო ჯგუფის განცხადების გამო გამართულ პატარა, მაგრამ ფრიად სიმპტომატურ კამპანიასთან დაკავშირებით, მსურს, პარლამენტს, კერძოდ და განსაკუთრებით კი პარლამენტის თავმჯდომარეს, მისი საპარლამენტო უმრავლესობითურთ, მოვახსენო შემდეგი.

ზემოხსენებული განცხადება, როგორც ეს ნათლად იყო აღნიშნული თვითონ ამ დოკუმენტში, გაკეთებულ იქნა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის საპარლამენტო ჯგუფის და არა ე.წ. „ინტელიგენციის“, გნებავთ, მისი რომელიმე ნაწილის, რომ არაფერი ვთქვათ მთელ ქართველ „ხალხ“-ზე, სახელით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მეთაურმა, იმავე პარლამენტის თავმჯდომარემ, რატომღაც წარმოიდგინა და წარმოადგინა საქმე ისე, რომ თითქოს მე მქონდეს პრეტენზია პარლამენტში „ინტელიგენციის“ საგანგებო წარმომადგენლობაზე, რაც ხსენე-

ბული კამპანიის ზოგიერთმა მონაწილემ, სახელმწიფოს მეთაურის, ასე ვთქვათ, „ინტელიგენტმა“ კამპანიონმა, თავისებურად „განაზოგადა“ და ლამის საერთოდ „ხალხის“ წარმომადგენლობაზე პრეტენზია მომაწერა.

რაგინდ თავმდაბალნი ვიყოთ, იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ, რაკიღა აგვირჩიეს პარლამენტში, ე.ი. ხალხის წარმომადგელობითს ორგანოში, ჩვენ – ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის საპარლამენტო ჯგუფი – მოსწონს ეს ვისმე თუ არა, მართლაც ვართ ხალხის და, **მაშასადამე**, ინტელიგენციის ერთი გარკვეული ნაწილის, თუნდაც მცირის (მაგრამ ნუ დავივიწყებთ, ბ-ნო „ინტელიგენტებო“, უმცირესობის დემოკრატიულ უფლებებს), სრულიად კანონიერი, მორალურადაც და იურიდიულადაც, წარმომადგენლებია, მიგვაჩნია რა, რომ განურჩევლად იმისა თუ ვინ მოგვცა ხმა, ვინმე „აკადემიკოსმა“, ვინმე „მუშამ“ თუ ვინმე „გლეხმა“ – ყველანი ინტელიგენტები იყვნენ ამ სიტყვის ნამდვილი (ანუ არა ჩვენებურ-„ინტელიგენტური“) მნიშვნელობით, რადაგან ასეთია ინტელიგენტურობის ჩვენეული გაგება, ინტელიგენტობა არც ამა თუ იმ სოციალური და არც ამა თუ იმ პროფესიული ფენის პრივილეგიაა, არამედ ნიშანია ყოველი ადამიანისა, ვინც კი თავისი ცხოვრების წესით სათანადო კრიტერიუმებს უპასუხებს (განა ცოტა შეგვხვედრია ცხოვრებაში, ვთქვათ, მწერალი – არაინტელიგენტი და მძღოლი – ინტელიგენტი?).

რაც შეეხება იმ „პლენარულ“ თავყრილობას „ინტელიგენციისა“, რომელიც შედგა, ხელისუფლების ინიციატივით, 6 მაისს, უმალ უნდა განვაცხადოთ, რომ ერთი-ორი იქ დამსწრე თუ გამოსული ადამიანის გარდა (ამას ხაზგასმით აღვნიშნავთ), ჩვენ ამ „ინტელიგენციას“ თავს არ ვაკუთვნებთ და, ამგვარად, მის წარმომადგენლობაზეც რაიმე პრეტენზია არც შეიძლება გვქონდეს, ჩვენდა სასიხარულოდ და სასიქადულოდ, და რომ იმ კრიტერიუმის მიხედვით, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ამ რამდენიმეათეულკაციანი „პლენუმის“ ორგანიზატორ-სელექციონერები მასში მონაწილეობისათვის „ინტელიგენტთა“ შერჩევისას, ჩვენ „ინტელიგენტები“, რა თქმა უნდა, არ ვართ, რასაც კიდევ ერთხელ ვადასტურებთ უდიდესი სიამოვნებითა და სიამაყით, ხოლო ჩვენ ისიც ვიცით, რომ ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, რომლებიც ასევე მიიპატიჟეს იმ „მინი პლენუმ“-ზე, საერთოდ არც ისურვა მასზე დასწრება, როდესაც აუწყეს მათ, თუ რაზე

იქნებოდა იქ ლაპარაკი. ასე რომ, ამ ჩვენი გაჭირვებული ყოფის შემყურეთ მაინც შეგვიძლია, ვინუგეშოთ თავი, რომ ქართველი ინტელიგენცია, თავის დიახაც მნიშვნელოვან (თვისობრივადაც და, ასე წარმოიდგინეთ, რაოდენობრივადაც), ნაწილში, სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორც ჰგონებია და ჰსურვებია ჩვენს ხელისუფლებას.

რეაგირება იმაზე, რაც ითქვა ამ „პლენუმ"-ზე სახელმწიფოს მეთაურის „აქტივისტების" მიერ, მეტისმეტი პატივი იქნებოდა მათთვის და შეუფერებელი – ჩვენი საკუთარი ღირსებისათვის. პასუხს ადამიანი უნდა იმსახურებდეს, იგი ღირსი უნდა იყოს მისი, და ჩვენც პასუხის უღირსთ, რა თქმა უნდა, პასუხს არ ვაღირსებთ, როგორც არც არასდროს გვიღირსებია იგი მათთვის. შევნიშნავ მხოლოდ, რომ ერთმა აქტივისტმა, ეტყობა, თავისი მტკიცებებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, აშკარა ცილი დამწამა, განაცხადა რა, მიხეილ ნანეიშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყოო. გაუწყებთ, რომ ასეთი „მეგობარი", ხსენებული ინდივიდუუმის სახით, **არასდროს არ მყოლია** არც ბავშვობაში და არც შემდგომ, რაშიც, სხვათა შორის, დამემოწმებიან ჩემი მრავალრიცხოვანი ნაცნობ-მეგობრები, ბავშვობისა თუ შემდეგდროინდელნი. ასე რომ, ამგვარი ლაქა ჩემს ბიოგრაფიაში ნამდვილად არ არსებობს.

პარლამენტის თავმჯდომარეს – სახელმწიფოს მეთაურს, სამწუხაროდ, როგორც ველოდით კიდეც, დიდად მოსწონებია ეს „პლენუმი", რომლის მონაწილეთა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მცირერიცხოვნებას მავანნი, ალბათ, მისი „ელიტურობით" ახსნიან, და უბრძანებია მის გამო, ჩვენი ინტელიგენცია პოლიტიკურ სიმწიფეში შედისო. ნათქვამია, გემოვნებაზე არ კამათობენო, და მეც ამ საკითხზე დავიდუმებ. ფრიად დასანანი კია, რომ მთავრობის კონტროლქვეშ მყოფმა ჩვენი მასობრივი დეზინფორმაციისა (და დეზორიენტაციის) ისეთმა მძლავრმა საშულებამ, როგორიცაა ტელევიზია, ამჯერადაც არ უღალატა თავის ზნეს და რეპორტაჟი ამ „პლენუმის" შესახებ მაინცდამაინც პარლამენტის პლენარული სხდომის დროს გადასცა, რის გამოც პარლამენტის წევრებმა ვერ ნახეს და ვერ მოისმინეს იგი (და ვერც, სხვათა შორის ჩვენმა სხვა ბევრმა მოქალაქემაც), ისევე როგორც, მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურის მუქარისებური განცხადებისა, ნანეიშვილის გამოსვლა დაიბეჭდოს, რათა თვითონ ხალხმა განსაჯოს იგიო,

რატომღაც არ იქნა შესმენილი სამთავრობო „საქართველოს რეს-პუბლიკის“ მიერ, რომელსაც ტექსტი ამ გამოსვლისა უმალ გა-ვუგზავნეთ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პარლამენტის ყურადღებას არ შევაჩე-რებდით ყოველივე ზემოაღნიშნულზე, რომ ეს, როგორც უკვე ვთქვით, სიმპტომატური არ იყოს ხელისუფლების პოლიტიკისათ-ვის, რომელიც, ჩვენი აზრით, მორალური გაკოტრების აშკარა ნიშნებს ამჟღავნებს, სხვა, ასევე საგანგაშო, ნიშნებთან ერთად, თითქოს განგებ, მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ ერთი საბუთი მიეცათ ამ პოლიტიკის რეაქციული ხასიათისა და მიმართულების დასამტკიცებლად, მოაწყეს ეს ვისთვის – სასაცილო, ვისთვის – სატირელი „პლენუმი“ ბოლშევიკური რეჟიმის „საუკეთესო“ ტრა-დიციების სულისკვეთებით, როდესაც სხვაგვარადმოაზრეთ ოფი-ციალური ინტელიგენცია სწორედ ასეთ „პლენუმებ“-ზე აცხადებ-და ხოლმე სულით დაავადებულად, გონებით ნაკლულად, უნი-ჭოდ, უმეცრად და... ქვეყნის მოღალატედ. განა საგულისხმო არაა, ამ თვალსაზრისით, ერთი „მოტარტიუფო“ დეპუტატ-მანდი-ლოსნის გამოსვლა „პლენუმ“-ზე ვითომდა „პოლიტიკური ანალი-ზით“, აქაოდა იმის ნათელსაყოფად, თითქოს ნანეიშვილის გან-ცხადება სპეციალურად მისადაგებული ყოფილიყოს „მომენტისა“-თვის და ლამის კოორდინირებული ყოფილიყოს ცნობილ ოდიო-ზურ პირთა ქვეყნის მართლაც სამტრო საქმიანობასთან. საკით-ხავია, სხვას რას აკეთებდნენ ამგვარი „პოლიტიკურად მომწიფე-ბული ინტელიგენტები“ 1937-38 და შემდგომ (და მანამდეც) წლებში?... ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და უსარგებლოდ არც ამ „ჭირიან“ შემთხვევაში დავრჩენილვართ ჩვენ, ყველანი: კიდევ ერთხელ გამოჩნდა, ვინ ვინაა; და ეს არა იმისთვის, რომ ჩვენც მოვუწყოთ მათ ასეთივე „პლენუმები“, არამედ, უბრალოდ, ცნობისთვის, გნებავთ – სიფრთხილისათვის...

დაბოლოს. ერთი მეგობრული რჩევა უმრავლესობის **ზოგი-ერთ** წარმომადგენელს: თავს ნუ მისცემთ „საუმრავლესო“ გატა-ცებას, რათა ერთ მშვენიერ დღეს მართლაც არ იქცეთ „მეუმრავ-ლესეებად“, როგორც უწოდებდნენ ჩვენში ქართულად ბოლშევი-კებს.

ბოროტების იმპერია და საქართველოს სატელიტური „ამბიციები“

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებამ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების 25-წლიანი ვადით განლაგების შესახებ სათანადო გამოხმაურება ჰპოვა ქვეყნის პარლამენტში, ხოლო აქედან – ჩვენს მთელ საზოგადოებაში. ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნულ პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამ დოკუმენტისადმი და, საერთოდ რესპუბლიკის ხელისუფლების იმ პოლიტიკისადმი, რომლის მჭევრმეტყველური გამოხატულებაცაა ეს ხელშეკრულება.

როგორც ამგვარ ყველა დოკუმენტს, ზემოხსენებულ ხელშეკრულებასაც ორი მხარე აქვს, იურიდიული და პოლიტიკური, და ჩვენი შეფასებაც ამ ხელშეკრულებისა, შესაბამისად ორმხრივი იქნება. ბუნებრივია, ეს განცხადება ვერ ასახავს მთელი სისრულით ჩვენს კრიტიკულ დამოკიდებულებას დადებული ხელშეკრულებისადმი და დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი, ჩვენი აზრით, არსებითი შენიშვნით.

I

დავიწყოთ ხელშეკრულების იურიდიული მხარით, სახელდობრ, იმ საკითხით, რომელიც აღძრა, ამ დოკუმენტის ირგვლივ პარლამენტში გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებით, თვითონ სახელმწიფოს მეთაურმა და რომელიც, ჩვენი ფიქრით, გარკვევას საჭიროებს.

თავის ამასწინანდელ ტელეინტერვიუში, რომელიც მიძღვნილი იყო ამ ხელშეკრულებისადმი, სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ იგი უფლებამოსილია პარლამენტისგან დამოუკიდებლად (მის, ასე ვთქვათ „დაუკითხავად“) აწარმოოს ქვეყნის პოლიტიკა, და რომ პარლამენტს არ აქვს უფლება, ჩაერიოს მასში, ვიდრე არ დადგება საკითხი ამ პოლიტიკის შედეგთა კანონმდებლობითი გაფორმებისა, მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის სახით. რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს მეთაურის ასეთი წარმოდგენა პარლამენტთან მის ურთიერთობაზე ქვეყნის ძირითად კანონს (იხ. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ხელისუფლების შესახებ)?

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მეთაური, ამ კანონის ძალით, არჩეულია პარლამენტის მიერ, რომელსაც, თანახმად ამა-

ვე კანონისა, უფლება აქვს, გამომდინარე პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინიციპიდან, აღძრას სახელმწიფოს მეთაურისადმი ნდობის საკითხი და, უნდობლობის ვოტუმის შემთხვევაში, თანამდებობიდან გადააყენოს კიდეც იგი. ეს იურიდიული გარემოება გარკვეულად გვითითებს, რომ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება რეგლამენტირებულია საპარლამენტო რესპუბლიკის რეჟიმით, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანიც სწორედ ისაა, რომ პარლამენტი მუდმივ კონტროლს ახორციელებს მთავრობის პოლიტიკაზე და მისი უფლებაცაა და მოვალეობაც, თუკი ის, თავისი შეხედულებისამებრ, ამას საჭიროდ მიიჩნევს, ეს პოლიტიკა, მისი წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თავისი მსჯელობის საგნად აქციოს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღოს. ამიტომ სახელმწიფოს მეთაურის პრეტენზია იმ პრეროგატივაზე, რომელიც აქვს პრეზიდენტს საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, არ ეთანხმება ჩვენში ამჟამად მოქმედ ძირითად (საკონსტიტუციო) კანონს, რადგან, ვიმეორებთ, ამ კანონის მიხედვით, იგი, სახელმწიფოს მეთაური არ არის პრეზიდენტი ზემორე აღნიშნული გაგებით. თავის დროს, ამ ფრიად „საინტერესო“ კანონის მიღებისას, ჩვენ იგი დავახასიათეთ, როგორც „ორმაგი აბსურდი“, ვგულისხმობდით რა, რომ მასში ერთი იურიდიული აბსურდი – პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა საერთოსახალხო არჩევნების გზით „გაწონასწორებულ“ იქნა (ასე ვთქვათ, „აბსურდთა სიმეტრია“ დაამყარეს!) მეორე იურიდიული აბსურდით – სახელმწიფოს მეთაურის (ანუ „პრეზიდენტის“, ამ სიტყვის „ამერიკული“ მნიშვნელობით) პარლამენტის მიერ არჩევით. მაგრამ ეს ჩვენი კრიტიკული შენიშვნა მაშინ ყურად არ იღეს. მათ შორის პარლანეტის თავმჯდომარემაც, რომელმაც მოგვიანებით, უკვე სახელმწიფოს მეთაურის როლში, ამ კანონს „ორიგინალური ექსპერიმენტი“ უწოდა. ასეა თუ ისე, სახელმწიფოს მეთაური, როგორც პერსონალური გარანტი „კანონის უზენაესობის“ კონსტიტუციური პრინციპის შეუვალობისა, ყველაზე მეტადაა მოვალე, დაიცვას ეს „ორიგინალური“ კანონი, მის მიერვე მოწონებული, და „შეურიგდეს“ პარლამენტის კანონიერ უფლებას, სისტემატურად გაუწიოს მას, სახელმწიფოს მეთაურს, საპარლამენტო პოლიტიკური კონტროლი.

მაგრამ სახელმწიფოს მეთაური არა მარტო ედავება პარლამენტს მის ზემოხსენებულ კონსტიტუციურ უფლებას, არამედ

უმართებულოდ მიიჩნევს საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ახლახან დადებული ხელშეკრულების, როგორც კანონსაწინააღმდეგოს, შეფასებასაც: იგულისხმება ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ამ ხელშეკრულებასა და საქართველოს, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ სტატუსს შორის. ამის საპირისპიროდ სახელმწიფოს მეთაური ამტკიცებს, რომ არავითარ ასეთ წინააღმდეგობას აქ არ აქვს ადგილი, უთითებს რა ამ ხელშეკრულების იურიდიულ შესაბამისობას ადრე რატიფიცირებულ ხელშეკრულებასთან საქართველოს „ესენგე"-ში გაწევრიანების შესახებ, რითაც სახელმწიფოს მეთაური ძალაუნებურად აღიარებს ამ ხელშეკრულების (რატიფიცირებულის) ორგანულ ხასიათს (რაც აგრეთვე აღნიშნულ იქნა თავის დროს, ჩვენ მიერ, მაგრამ ასევე ამაოდ)..., მაშინ, როდესაც იგი (ეს ხელშეკრულება) სახელმწიფოს მეთაურის მცდელობით პარლამენტს მიაღებინეს, როგორც არმქონე კონსტიტუციური (სახელდობრ, ორგანული კანონის) მნიშვნელობისა, ხმათა უბრალო უმრავლესობით (და არა ხმათა კვალიფიციური, ანუ მათი 2/3-ის, უმრავლესობით, რასაც მოითხოვდა ეს ხელშეკრულება სინამდვილეში, ამ თავისი, როგორც ითქვა, ორგანულობის გამო). ამგვარად ეს „ესენგე"-ს ხელშეკრულება მოკლებული აღმოჩნდა ორგანული კანონის ძალას (რომლის მინიჭებასაც მისთვის ახლა ცდილობს სახელმწიფოს მეთაური), იმყოფება რა თვითონ ეს ხელშეკრულება წინააღმდეგობაში ქვეყნის ძირითად კანონთან. ჩვენში რომ კანონი კანონობდეს და სასამართლო ხელისუფლება ახორციელებდეს საკონსტიტუციო ზედამხედველობას, პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ეს საქართველოს „ესენგე"-ში გამწევრიანებელი ხელშეკრულება, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო, მაშინვე იქნებოდა გაუქმებული, მაგრამ ეს ყველასთვისაა ცნობილი, დღევანდელ საქართველოში თუკი რამეა პატივ-და ღირსებაყრილი, პირველყოვლისა, სწორედ კანონი, რომელსაც არავინ იცავს (ხელისუფლების ჩათვლით) და, რომელიც, ამიტომ, არავის იცავს. ასე რომ, პარაფირებული ხელშეკრულება, წინააღმდეგ სახელმწიფოს მეთაურის მტკიცებისა, არაკონსტიტუციურია, ისევე, როგორც ის ხელშეკრულებაც, ადრე რატიფიცირებული, რომლის მოშველიებითაც ლამობს სახელმწიფოს მეთაური ამ ახალი ხელშეკრულების იურიდიულად „გაპატიოსნებას" (მკვდარი მკვდარს აჰკიდესო, – სწორედ ამ ხელშეკრულებაზე ითქმის).

II

ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების პოლიტიკურ მხარეს, იგი, ასევე, ჩვენი აზრით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

სახელმწიფოს მეთაური „რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის“ პოლიტიკური კურსისა და, კერძოდ, ამ კურსის გამომხატველი ახალი ხელშეკრულების გასამართლებლად ამტკიცებს, თითქოს რუსეთის ეროვნულ ინტერესებში იყოს ძლიერი და ერთიანი საქართველოს არსებობა, მაინც რას ემყარება, რა ფაქტებს, გნებავთ – სიმპტომებს, სახელმწიფოს მეთაურის ეს მტკიცება? მიუხედავად დიდი სურვილისა, დავინახოთ რაიმე საიმედო რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, გარდა აშკარად გამოხატული ტენდენციისა იმპერიის, ამ ქვეყნის ისტორიაში უკვე რიგით მესამის აღდგენის მიმართულებით. და აქ ვერ დაგვამშვიდებს ის, რომ დღევანდელ რუსეთში ბოლშევიკები აღარ არიან ხელისუფლების სათავეში, რადგან „ბოროტების იმპერია“, სულაც არაა აუცილებელი იყოს მაინცდამაინც „წითელი“ ფერის. ამიტომაც მიგვაჩნია სახელმწიფოს მეთაურისაგან განსხვავებით, რომ რუსეთის (რეალურად არსებულის და არა ვინმეს, თუნდაც „დიდი პოლიტიკოსის“, – ფანტაზიაში) ეროვნულ ინტერესს, რომელიც ტრადიციულად რჩება ამ ქვეყნის საიმპერიო ინეტერესად, სწორედ პოლიტიკურად დაუძლურებული და ტერიტორიულად დანაწევრებული საქართველოს არსებობა უნდა შეადგენდეს, რადგან მხოლოდ ასეთი საქართველოს მიმართ შეეძლება რუსეთს, ეფექტიანად განახორციელოს თავისი საიმპერიო მიზნები. და განა ასეთ პოლიტიკას არ ეწეოდა (და ახლაც არ ეწევა) მოსკოვი აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში? რუსეთის საქართველოში მოემართება არა მარტო თავისი „ბაზებით“, არამედ თავისი „კანონპროექტებით“-აც. დარწმუნებული ვართ, ეს ბაზები, თუკი ისინი მაინც გამართეს ჩვენს მიწა-წყალზე, 25 წელიწადს აქ ვერ იარსებებენ, გაცილებით ადრე განვთავისუფლდებით მათგან, მაგრამ ვშიშობთ, რომ რუსული „კანონპროექტები“, მაგალითად საქართველოს „ფედერალიზაციისა“ ჩვენი ცხოვრების „კონსტიტუციურ“ რეალობად არ იქცეს: აკი განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სახელმწიფოს მეთაურთან შევთანხმდით საქართველოს „ფედერაციულ მოწყობაზე“-ო, რაც გაკვრით დაადასტურა კიდეც თვითონ სახელმწიფოს მეთაურმა (რომელსაც იმ თავის ღირსახსოვარ ტელეინტერვიუში „სამხრეთი ოსეთი“-ც

თითქოს „წასცდა“...)! ნუთუ ვინმემ შეიძლება სერიოზულად ირწმუნოს, რომ რუსული ბაზები გუდაუთაში, ბათუმსა და ახალქალაქში (“სომხური ანკლავი“, რუსეთის თავდაცვის მინისტრის პოლიტიკური კვალიფიკაციით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორად შეიქმნებიან? ან რომ რუსეთი მის მიერ ამგვარად რეოკუპირებულ საქართველოს დაეხმარება საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნაში? სახელმწიფოს მეთაური ამ თავისი „ახალი კურსის“ (თუმცა თვით იგი, უკვე კარგა ხანია გვიმტკიცებს, ეს ჩემი პოლიტიკა „არახალია, ძველია“-ო) კრიტიკოსებს მოუწოდებს პოლიტიკური რეალიზმისა და პოლიტიკური რაციონალიზმისაკენ, ხოლო საკითხავია, რომელ რეალიზმსა და რაციონალიზმს გამოხატავს თავად მისი პოლიტიკა, რომელიც აგრესიისგან ქვეყნის დაცვას აგრესორისგან მოელის?

ჩვენ ვერ გავიზიარებთ სახელმწიფოს მეთაურის აღფრთოვანებას, თითქოს ჩეჩნეთის ამბებით ამხდარიყოს მისი წინასწარმეტყველება, რომ რუსეთს მისი „აფხაზური“ (და, საერთოდ, ანტიქართული) პოლიტიკა ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა, რადგან ვერავითარ კონკრეტულ კავშირს, ვერც კონკრეტულ-გენეტიკურს, ვერც კონკრეტულ-ფუნქციურს, ამ ორ მოვლენას შორის ვერ ვხედავთ. ამიტომაც სახელმწიფოს მეთაურის მტკიცება, ვითომც „ჩეჩნურ გაკვეთილ“-ში რუსეთს თავისი „აფხაზური შეცდომები“ ამოეკითხოს, დამაჯერებლობასაა მოკლებული. კიდეც რომ იყოს რაიმე რეალურ-ლოგიკური კავშირი „აფხაზეთსა“ და „ჩეჩნეთს“ შორის, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ამ პრობლემებს ერთი სტანდარტით მიუდგება, პირიქით, თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ იგი ამ შემთხვევაშიც ორმაგი პოლიტიკური სტანდარტით იმოქმედებს, რისი უამრავი მაგალითიც იცის ისტორიამ.

სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკის პროპაგანდისტები არ ერიდებიან ნამდვილ პოლიტიკურ მკრეხელობასაც, ავლებენ რა ანალოგიას საქართველოში რუსულ სამხედრო ბაზებსა და აშშ-ის ასეთსავე საზღვარგარეთულ ბაზებს შორის, მიგვაჩნია რა აშშ-ის ეს შედარება რუსეთთან, რომელიც დღესაც რჩება პრობლემად თავისუფალი მსოფლიოსთვის, პოლიტიკურად შეურაცხმყოფელად ამერიკელი ერის მიმართ, ვისი უპირატესი დამსახურებაცაა,

რომ ამ მსოფლიომ შეინარჩუნა თავისუფლება პირველ ყოვლისა, სწორედ რუსეთის პირისპირ.

სახელმწიფოს მეთაურმა თავის „რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის“ პოლიტიკას თავისებურად ახადა ფარდა, როდესაც გამოგვიცხადა, „ინტერესთა ბალანსის“ თეორიის მოშველიებით, თუ მეგობრობა გვინდა რუსეთთან, ბაზები უნდა მივცეთ, ხოლო თუ მტრობა გვინდა, ნუ მივცემთ და... ვეომოთო. „მეგობრობის“ ამ ლოგიკით, მეზობელი თურქეთი, ჩვენი ასევე მეგობარი (მასთან დადებული „სამეგობრო ხელშეკრულების“ ძალით), განაწყენებული უნდა იყოს, რომ მას, „მეგობრობის“ ნიშნად, აგრეთვე არ დავუთმეთ საქართველოს ტერიტორია სამხედრო ბაზებისთვის; თუ... რუსეთის ბაზები სწორედ ამ მეგობარი სახელმწიფოსგან საქართველოს „დასაცავად“ არიან მოწოდებული? ამ ბოლო ხანს ოფიციალური პროპაგანდისტები, მართლაც, თითქოს გვანიშნებენ, ჩვეული „მინიშნებით“, რომ საქმე არც მთლად „უამისოდა“-ა.

და, მართლაც, თავი რომ დავანებოთ რუსეთის „მეგობრულ“ ზრახვებს ჩვენდამი, გავიხსენოთ, რომელ ქვეყნებს ესაზღვრება საქართველო და აქ გასამართავი რუსული ბაზები რომელთა საპირისპიროდაა დაგეგმილი? გარდა რუსეთისა, საქართველოს ესაზღვრებიან აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, რომელიც, როგორც ცნობილია, არის ნატო-ს წევრი და, რუსეთიც, აშკარაა, თავისი „ქართული“ ბაზებით, სწორედ ამ ქვეყანას უპირისპირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, იქცევა რუსეთის სამხედრო პლაცდარმად ნატო-სა და, მისი სახით, საერთოდ დასავლეთთან „თავდაცვითს“ დაპირისპირებაში. თუ რამდენად „პროგრესული“-ა ასეთ პლაცდარმად ყოფნა საქართველოსთვის, ამის განსაზღვრა, ვფიქრობთ, ძნელი არაა და ამიტომაც ვაფასებთ ახლახან პარაფირებულ ქართულ-რუსულ ხელშეკრულებას, როგორც კიდევ ერთ დოკუმენტურ გამოხატულებას საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების რეაქციული პოლიტიკისა, რომლის სახელიცაა „რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა“ და რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველი ერის 500-წლოვან ბრძოლასთან ევროპაში, ამ სიტყვის არა გეოგრაფიული, არამედ გეოკულტურული გაგებით, დაბრუნება-დამკვიდრებისთვის. სწორედ ამაზე ითქმის, „კვლავ შეფერხდა ისტორია, განახლების შედგნენ ძალ-

ნი“-ო, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ „განახლების ძალთ“ არც აქამდე გამოუჩენიათ დიდად თავი, ჩვენდა სამწუხაროდ და სასირცხოდ.

ხოლო დარწმუნებული ვართ, ეს გრძნობა მწუხარებისა და სირცხვილისა, თუ დღეს არა, ხვალ მაინც გადაიქცევა იმ განმწმენდ ძალად, რომელიც დაგვაყენებს ჭეშმარიტი განახლების გზაზე. ესაა გზა ნამდვილი ევროპული საქართველოს აღმშენებლობისა, საქართველოსი – როგორც ევროპის კულტურულ-პოლიტიკურად განუყოფელი ნაწილის.

ჩვენ 26 მაისის შვილები ვართ

ძვირფასო თანამემამულენო!

ყოველი ერის ისტორიაში არსებობს თარიღები, რომლებსაც ადამიანები, შვილნი ერისა, განსაკუთრებული გულის სითბოთი იხსენიებენ და აღნიშნავენ, როგორც თავის პირად დღესასწაულს, საგანგებოდ ლამაზსა და მშვენიერს. ქართველი ერისათვის 26 მაისი სწორედ ასეთი სადღესასწაულო თარიღია უთუოდ, რადგან 78 წლის წინათ, აი ამ გაზაფხულის მიწურულს, ვარდობისთვის მზიან დღეს აღდგა ძველი საქართველო, „ფენიქსებრ განახლებული“, პოლიტიკური არმყოფობიდან, აღდგა მკვდრეთით... როგორც სახელმწიფო ევროპული, ე.ი. ეროვნული და პიროვნული თავისუფლების, სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის, სამოქალაქო სოლიდარობის პრინციპზე დამყარებული სახელმწიფო. ქართველობა ამიერიდან არა მარტო დამოუკიდებელ, პოლიტიკურად სუვერენულ ერად შეიქმნა, არამედ თან გამოსახა ისეთ საზოგადოებად, რომელმაც დაანახა მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ მისი სახით თავისუფალ დემოკრატიულ მსოფლიოს შეემატა თანადროული ცივილიზაციის უმაღლეს ღირებულებათა და მისწრაფებათა რაინდულად ერთგული ხალხი. და დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაც, რომლის ამოქმედებაც ცნობილ მიზეზთა გამო ჩვენს ერს არ დასცალდა, ამის დოკუმენტური ფაქტია: ეს იყო კონსტიტუცია, საყოველთაო აღიარებით, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე თავისი დროისათვის, – მჭევრმეტყველური განაცხადი „ახალი ქართლისა“ ახალ, ანუ თანადროულ ევროპულ ცხოვრებაზე, რაზეც ოცნებობდნენ და რისთვისაც იღვწოდნენ კიდეც უდიდესნი და უწარჩინებულესნი აზრისა და საქმის კაცნი XIX საუკუნისა და XX ს-ისპირველ ათწლეულთა საქართველოსი, – 26 მაისის „სულიერი მამა-პაპანი“: ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მოგვიანებითით – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი და სხვანი და ბოლოს: ნოე ჟორდანია, არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი... – ყველას ვერ ჩამოვთვლით, რადგან მოსაგონებელი ბევრი ძვირფასი სახელია, ამ ჩვენი ფრიად „უსახელო“ დღევანდელობისგან განსხვავებით... მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, ასე არ კი არა, ვერ გაგრძელდება დიდხანს, საქართველოში „სახელები“-ც გამოჩნდებიან და ქარ-

თველობაც თავის სახელსა და სახეს კვლავაც აღიდგენს, მთავარია, ვიყოთ ერთპირ, ერთსულ და ერთგულ!

და 26 მაისი ჩვენთვის ამ მხრივაც ღირსსახსოვარია: მიუხედავად იმ სავსებით ბუნებრივი პოლიტიკური დაპირისპირებისა, რომელიც მაშინ არსებობდა პარტიებსა თუ სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ყველანი, ცხადია, თვითეული – თავისი მრწამსისა და შეხედულებისამებრ, სწორედ ამ ერის „სავარდო და სამაისო“ დღისთვის იღვწოდნენ და კიდეც შეერთდნენ ერთ ჭერქვეშ, რათა ჭეშმარიტად ერთპირ, ერთსულ და ერთგულ – ეს „ერთი“ კი მათი ქართველობა იყო – ეუწყებინათ ქვეყნიერებისათვის საქართველოს და ქართველობის მაცხოვრისებრი „პოლიტიკური მკვდრეთით“ აღდგომა. – ამენ!

ხოლო ეს იყო ნამდვილი სასწაული, როგორც თქვა იმ დროს ერთმა დიდმა ქართველმა, რომ ჩვენმა „ყარიბმა“, ერთა სანათესავოში ფაქტობრივად „უთვისტომო“ ერმა ამ დღემდე მოაღწია, გაუძლო რა იმ ათასგვარ განსაცდელს, რომლითაც აღსავსე იყო მისი ცხოვრება მთელი წარსული 117 წლის მანძილზე და რომლებიც ემუქრებოდნენ მის კულტურულ ვინაობას, მის, როგორც სწორედ ერის, თვითონ არსებობას. ჩვენდა საუბედუროდ და, რაც კიდევ უარესია, ჩვენდა სასირცხოდ, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ცნობილი პოლიტიკის წყალობით, აშკარად ვხედავთ მცდელობას ცარისტულ-ბოლშევიკური „ლეგენდის“ აღორძინებისა, რუსეთის ვითომც რაღაც „პროგრესული როლის“ შესახებ ქართველი ერის ისტორიაში, თანაც, უფრო ხშირად, გვახსენებენ ხოლმე ამ ისტორიის „ცარისტულ“ პერიოდს (თუმცა არც „ბოლშევიკურს“ ტოვებენ უყურადღებოდ). ამასთან დაკავშირებით, ნება მიბოძეთ, მოვიყვანო ორი მოკლე გამონათქვამი, ჩემ მიერ რამდენჯერმე უკვე ციტირებული პრესიის ფურცლებზე. როგორც კი დაემხო რუსეთის ბატონობა საქართველოში და მით საშუალება მიეცა ქართველ ერისკაცთ დაუფარავად გამოეთქვათ თავისი აზრი რუსეთის ნამდვილ როლზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აი, რა თქვა ამ საგანზე ორმა ადამიანმა, ვის კომპეტენტურობასაც ამგვარ საკითხებში თვით ჩვენი ხელისუფლება და მისი „ინტელექტუალური ელიტა“ ვერ დააყენებს ეჭვქვეშ (ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათგან უკვე ესეცაა მოსალოდნელი). ერთი მათგანი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი – უდიდესი ქართველი ისტორიკოსი, მეორე – ნიკო ნიკო-

ლაძე, ადრე ზოგიერთთაგან „რუსოფილადა“-ც კი მონათლული. ივანე ჯავახიშვილი წერს: „არასოდეს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელი ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით მე-19 საუკუნეში თავს დაატყდა“; და ნიკო ნიკოლაძე თითქმის სიტყვასიტყვით (ესეც, თავისთავად, ფაქტი საგულისხმო) ამბობს ამასვე: რუსეთმა ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში“. ასეთია ამ ორი დიდი მოღვაწის „განაჩენი“ და ამიტომაც, ვიდრე რუსეთის „პროგრესულ როლ“-ზე შეუდგებოდნენ მავანნი საუბარს, ჯერ განგვიმარტონ, რა „პროგრესული როლი“ შეასრულეს ჩვენში ზემოხსენებულმა „აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა“.

ხოლო საკითხავი ესაა: რამ შეაძლებინა ამ „სასწაულის“ მოხდენა და ასეთი განსაცდელისგან თავის გადარჩენა და დაღწევა ჩვენს ერს? – უთუოდ იმან, რომ იმ კულტურულ ბრძოლაში, უკეთ „ომ“-ში, რომელიც გაგვიმართა რუსეთმა ჩვენი კულტურული და მით ეროვნული გადაგვარების, ანუ გარუსების, მიზნით, ქართველობამ დაამარცხა მტერი, მასზე კულტურული გამარჯვება მოიპოვა. და 26 მაისი სწორედ ძლევამოსილი ქართული კულტურის ზეიმის დღე იყო და ასეთად დარჩება იგი კიდეც სამარადჟამოდ ქართველი ერის ისტორიაში. მე მგონია, მთავარი გაკვეთილიც 26 მაისისა ესაა: გავუძელით უბოროტესი და უსაშინლესი მტრისგან მოვლენილ ყველა წარმოსადგენ და წარმოუდგენელ განსაცდელს, რადგან კულტურულად ძლიერნი აღმოვჩნდით; ჩვენ, უკეთ – ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა შეძლეს კულტურის, რომლის სახელიც ქართველობაა, დაცვა, კულტურისა, რომელიც ერის სულია და რომლის სიციცხლისუნარიანობაზეცაა დამოკიდებული ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი: კულტურულად სუსტნი ერნი იღუპებიან, ძლიერნი – იმარჯვებენ არსებობისათვის კულტურულ ბრძოლაში, რომელიც წარმოებს ერთა შორის ამჟამადაც, იმარჯვებენ და ამიტომაც განაგრძობენ სიცოცხლეს. და თუკი დღეს ძლევამოსილად ვერ გამოვიყურებით იმ მრავალგვარ, გარედან თუ შიგნიდან მოვლენილ, განსაცდელთა პირისპირ, რომლებიც თავს გვახვევიან და სულიერადაც და ხორციელადაც გვჩაგრავენ, ამის მიზეზი სწორედ ისაა, რომ ამჯერად ვერ აღმოვჩნდით კულტურულად ისე ძალმოსილნი, როგორც ამას მოითხოვდნენ ჩვენგან ერის ცხოვრების გარე თუ შინა გარემოებანი,

არ აღმოგვაჩნდა სათანადო პოლიტიკური კულტურა, რათა პოლიტიკურ პრობლემებს ჯეროვნად გავძღოლოდით, არ აღმოგვაჩნდა სათანადო ეკონომიკური კულტურა, რათა ეკონომიკურ პრობლემებს ჯეროვნად გავძღოლოდით, ასევე სოციალური კულტურა, სამართლებრივი კულტურა, გნებავთ – სამხედრო კულტურა და ა.შ. აქედან – ჩვენი ყველა მარცხიც კულტურის, ანუ ცხოვრების, თითქმის ყველა სფეროში.

26 მაისი ახალი საქართველოს დაბადების დღეა,– იმ ახალი საქართველოსი, რომლის აღორძინებაც დააკისრა ისტორიამ დღევანდელ ქართველობას. 1924 წელს, როდესაც პოლიტიკურად აღარ არსებობდა 26 მაისის საქართველო, ზურაბ ავალიშვილი წერდა: ცოცხალი წყლით ნასხურები აღდგა ძველი საქართველო და მისი ჩაკვლა შეუძლია მხოლოდ მისი შვილების სულმოკლეობას“-ო. დიახ, ჩვენ ამ 26 მაისის საქართველოს შვილები ვართ და ნუ ვათქმევინებთ ჩვენზე მომავალ თაობებს, თავისი სულმოკლეობით ჩაკლეს საქართველო, მისი თავისუფლებაო, – ღმერთმა გვაშოროს ასეთი საუკუნო სირცხვილი! – ამიტომაც ვიყოთ სულგრძელნი, თანამემამულენი, რომელთაც გილოცავთ ჩვენი საერთო დაბადების დღეს – 26 მაისს!

დღევანდელ საქართველოში კანონს არავინ იცავს

ერთი წლის წინათ საქართველოს პარლამენტმა დებატების, კომპრომისების და კომბინაციების შედეგად მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია – ერის ცხოვრების სამართლებრივად მაკონსტრუირებელი და მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტი. ბუნებრივია, ასეთ მოვლენას საგანგებო მნიშვნელობა აქვს ყოველი საზოგადოებისთვის, რომელსაც აქვს პრეტენზია იწოდებოდეს „ცივილიზებულად“, და მეც ამგვარ მნიშვნელობას ხსენებული ისტორიული ფაქტისას ზოგადად, რა თქმა უნდა, არ უარვყოფ. „ზოგადად“-მეთქი, ვამბობ, რადგან მესმის, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს კონსტიტუციურად მოუწყობელი და რომ იმისთვის, რათა მან სრულფასოვნად იფუნქციოს, როგორც ასეთმა, იგი საჭიროებს სათანადო იურიდიულ დოკუმენტს, ჯეროვნად შემუშავებულსა და დაკანონებულს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კონსტიტუცია, ისევე როგორც ბევრი რამ ჩვენს ცხოვრებაში, ისეთ პირობებში შემუშავდა და ისეთი ხერხებით დაკანონდა, რომ, სხვისი არ ვიცი და მე, პირადად, ვერაფერს დიდად სასიხარულოსა და საამაყოს ვერ ვხედავ აღნიშნულ ფაქტში. ნათქვამია, ყველაფრის შებილწვა შეიძლებაო, და ჩვენმა ხელისუფლებამაც, რომლის ეგიდითაც მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტის მომზადება-განხილვა-მიღება, ყველაფერი იღონა, რათა ეს ყოველი ერისთვის წმიდათაწმიდა საქმეც ჩვეულებისამებრ შეებილწა უწესოებათა მთელი სერიით, რომელიც წითელ ზოლად გასდევდა ამ საკონსტიტუციო პროცესს. რამდენადაც ვიყავი წევრი ეგრეთ წოდებული საკონსტიტუციო კომისიისა, რომლის ერთი ჯგუფის ხელმძღვანელობა მევალებოდა, ბევრი რამის თქმა შემეძლო (და თავის დროს უთუოდ მოვიცლი საამისოდ), თუ როგორ მოხდა კონსტიტუციის პროექტის ჯერ მომზადება, მერე კომისიის მიერ მისი განხილვა-მოწონება და ბოლოს მისი გატანა პარლამენტის სამსჯავროზე. ამჯერად დავკმაყოფილდები მხოლოდ ერთი ფაქტის კონსტატაციით: კონსტიტუციის პროექტი საკონსტიტუციო კომისიას არ შეუქმნია, იგი მთლიანად არის პროდუქტი ერთი პატარა ჯგუფისა, რომელიც კომისიის წესდების დარღვევით შეიქმნა, ასე ვთქვათ, არალეგალურად მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურის (ახლანდელი პრეზიდენტის) მიერ კომისიის ზურგს უკან. მაგრამ ხომ შეიძლებოდა,

რომ ასეთი წესის დარღვევის მიუხედავად თვითონ პროექტი კარგი ყოფილიყო?

ამ პროექტის ავტორთა იურიდიული აზროვნების დასახასიათებლად მოვიყვან ერთ მაგალითს. როგორც ცნობილია, პროექტით საქართველო უნდა შექმნილიყო ფედერაციულ რესპუბლიკად, რომლის სუბიექტებადაც განსაზღვრული იყვნენ ქვეყნის ისტორიული პროვინციები. და, აი, აღნიშნული პროექტის თანახმად ამ „სუბიექტებს“ ადმინისტრატორს უნიშნავდა პრეზიდენტი: როგორ მოგწონთ „ფედერაცია“, სადაც „შტატის“ (ვითომც „ფედერაციის სუბიექტის“) „გუბერნატორი“ ქვეყნის პრეზიდენტის მიერაა დანიშნული? საერთოდ, ეს პროექტი თავის „ორიგინალურ“ ნაწილში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს საქართველოს „საპრეზიდენტო სატრაპიების“ „ფედერაციად“ გადაქცევას უპირებდნენ, სადაც ადგილობრივი ცხოვრების მბრძანებლებად პრეზიდენტის სატრაპები მოგვევლინებოდნენ, ამ შემთხვევაში – „გუბერნატორებად“ წოდებულნი. მაგრამ მაშინ ეს ფრიად დამახასიათებელი თავი, ამ ვისთვის – სატირელი, ვისთვის – სასაცილო პროექტისა პარლამენტში არ გავიდა, ისევე როგორც თვით ეს „ფედერალიზაციის“ იდეაც. თუმცა პროექტი, ზოგიერთი შესწორებით მიღებული იქნა პარლამენტის მიერ, მიღებული – ერთი თავის გამოკლებით, სადაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა.

მე აქ არ შევეხები იმას, თუ რამდენად „ამერიკულია“ ამ კონსტიტუციაში წარმოდგენილი საპრეზიდენტო სისტემა, როგორც ამას ამტკიცებენ ჩვენებური ოფიციალური თუ არაოფიციალური უმეცრები. არც იმ თავზე შევჩერდები, სადაც ლაპარაკია ადამიანისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებებზე, რადგან ეს საკითხი რამდენადაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ყოველი კონსტიტუციისათვის, ამდენადვე კარგად დამუშავებულიც მსოფლიო იურისპრუდენციაში, და მთავარი სამუშაოც, ამ მხრივ, ცნობილი დოკუმენტებიდან ცნობილი დებულებების „გადაწერაზე“ უნდა მოსულიყო. ვიტყვი ორიოდ სიტყვას მხოლოდ იმ თავზე, ზემოთ რომ ვახსენე და რომლის თემაც საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი იყო.

„საიდუმლო“ იმისა, თუ რატომ გადაწყვიტა საქართველოს მეთაურმა საკონსტიტუციო კომისიის გვერდის ავლით შეექმნა ჯგუფი, რომელმაც მოგვიძღვნა კიდეც ზემოხსენებული პროექტი,

სწორედ აქ იმალება, სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხში: ერთ დღეს (ან ღამეს) გადაწყდა საქართველოს „ფედერალურ საწყისებზე“ მოწყობა და, რათა წინასწარ აურზაური არ ატეხილიყო, ეს მთელი სამუშაო ჩუმად ჩაატარეს, თვით საკონსტიტუციო კომისიისგან დაფარულად, რის შემდეგაც, როდესაც პროექტი მოამზადეს, კომისია „ფაქტის“ წინაშე დააყენეს, რომელსაც მერე (მას შემდეგ, რაც ამ კომისიის „სამთავრობო უმრავლესობამ“ იგი „მოიწონა“) მართლაც მოჰყვა პატარა აურზაური პარლამენტში, ბოლოს პატარა „გარიგებაც“ და პროექტიც მიღებულ იქნა „კონსტიტუციის“ და არა „ძირითადი კანონის“ სახელით, გარეშე, როგორც ვთქვი, იმ სადაო თავისა.

კონსტიტუციური სამართლის ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ცალკეულ საკონსტიტუციო აქტებს, სხვადასხვა დროს მიღებულს, შეუდგენიათ ერთი მთლიანი კონსტიტუცია, ხოლო არ მახსენდება ფაქტი, რომ თავნაკლული კონსტიტუცია, როგორც რამ ერთიანი დოკუმენტი, მიეღოთ. მაინც რატომ იბრძოდა ხელისუფლება იმისათვის, რათა ეს პროექტი პარლამენტს, გინდა თუ არა, როგორც კონსტიტუცია მიეღო, სწორედ ამ სახელით, და არა – როგორც ძირითადი კანონი, ვთქვათ, გერმანიის მსგავსად? ხელისუფლების ასეთი „კონსტიტუციონალისტური“ დაინტერესებულობის მიზეზი ძალიან მარტივია და იგი იმთავითვე ნათელი იყო ყველასთვის, ვინც ბრმად არ შობილა, ან ვისაც განგებ არ დაუბრმავებია თავი. საქმე ისაა, თუკი პარლამენტი ძირითად კანონს მიიღებდა, იმისთვის, რათა ეს „კანონი“ კონსტიტუციად გარდაქმნილიყო, საჭირო იქნებოდა დოკუმენტის თავიდან განხილვა-მიღება ნაწილ-ნაწილ და ბოლოს მთლიანობაში. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ერთი თავის გამოკლებით კონსტიტუცია უკვე მიღებულია, ხელისუფლებას ეძლევა საშუალება, თავისი მთელი ძალების მობილიზაცია და კონცენტრაცია მოახდინოს ამ, ჯერჯერობით მიუღებელი თავის მიმართ და მით მიაღწიოს თავისას – პარლამენტს დაამტკიცებინოს საქართველოს ფედერალიზაციის პროექტი. როდესაც წინა პარლამენტის ერთი ნაწილი, მათ შორის ჩვენც – ლიბერალ-დემოკრატები, ვეწინააღმდეგებოდით პროექტის კონსტიტუციის სახით მიღებას, სწორედ ეს გარემოება გვქონდა მხედველობაში ანუ, სხვანაირად რომ ვთქვა, გვინდოდა ხელისუფლების მცდელობისთვის, დღეს თუ არა, ხვალ მაინც კონსტიტუციურად გაეფორმებინა საქარ-

თველოს ფედერალიზაციის საქმე, ერთგვარი პროცედურული სიძნელეები შეგვექმნა მომავალში. ამიტომაცაა, რომ ეს კონსტიტუცია, რომელიც გვაქვს, იურიდიული აზრის შედეგრიც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი არანაირ სიხარულს თუ სიამაყეს არ მომგვრიდა, რადგან ვხედავ და მესმის, რომ ჩვენს ხელისუფლებას სულაც არ უთქვამს უარი ქვეყნის ფედერალიზაციაზე და, ვშიშობ, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა ამჟამინდელმა „უბადლო პარლამენტმა“ არ გაგვაბედნიეროს არსებულ კონსტიტუციაში სათანადო თავის შეტანით.

ამგვარად, ჩემთვის საკითხი ასე დგას: ბოლოს და ბოლოს, რად შეიქმნება ეს კონსტიტუცია ჩვენი ქვეყნისთვის, მას შემდეგ, რაც შევსებული იქნება მისი ნაკლული თავი, – საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის დამცველად თუ მომშლელად? მეტი პრეტენზია ამ კონსტიტუციის მიმართ არც შეიძლება მქონდეს, ვითვალისწინებ რა სამართლებრივი აზროვნების იმ სავალალო მდგომარეობას, რომელსაც ვხედავ ჩვენში.

ხოლო, რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად იცავს ხელისუფლება კონსტიტუციას, ჩემი პასუხი თავისთავად გამომდინარეობს ყოველივე ზემოთქმულიდან: დღევანდელ საქართველოში კანონს არავინ იცავს და, ამიტომაც, კანონი არავის იცავს; და ამ მთელი უკანონობის უპირველესი სათავე თვითონ ჩვენი ხელისუფლებაა, შემდგარი ადამიანებისგან, ვისთვისაც კანონის უზენაესობის პრინციპი უბრალოდ ფსიქოლოგიურადაა გაუგებარი, თუმცა ვნახოთ: ეს-ესაა შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო და დრო გვიჩვენებს, მისი სახით რა მოსარჩლე ეყოლება კონსტიტუციურ კანონიერებას საქართველოში და მაშინ უკვე საბოლოოდ გამოჩნდება, გვაქვს თუ არა კონსტიტუცია სინამდვილეში და, საერთოდ, არის თუ არა საქართველო ნამდვილად სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც მართავენ კანონები და არა პიროვნებანი, რადგან ერთი დიდი იურისტის თქმისა არ იყოს, იურიდიული კანონი არის ნორმა, რომელსაც იცავს სასამართლო. ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე კითხვაზე პასუხს ცხოვრება სულ მალე გაგვცემს.

ომი რუსეთთან წავაგეთ

მიმაჩნია, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა **მხოლოდ და მხოლოდ ძალის გამოყენებით** შეიძლებოდა და შეიძლება, სხვა გზა არც მაშინ მეგულებოდა, მაშინდელ ვითარებაში, და არც ახლა მეგულება, ახლანდელ ვითარებაში. ამ „სხვა გზა“-ში, ცხადია, იგულისხმება გზა **იურიდიულად კანონზომიერი ოფიციალური მოლაპარაკებებისა** (ამ შემთხვევაში – აფხაზ სეპარატისტებთან, პრობლემის ვითომდაც „პოლიტიკური მეთოდებით“ დარეგულირების მიზნით), რომელთა გამართვაც, თანაც „საერთაშორისო“ დონეზე, არანაირად არ იყო პოლიტიკურად გამართლებული. მართლაც, **რაზე** უნდა გვეწარმოებინა მოლაპარაკება სეპარატისტებთან?

თუკი **ვინმესთან** საჭირო იყო მოლაპარაკების გამართვა აფხაზეთის პრობლემაზე, ეს სწორედ ამ კონფლიქტის მონაწილე მთავარ მოქმედ პირთან – **რუსეთთან**, და ეს მოლაპარაკება იმაზე კი არ უნდა ყოფილიყო, რა სტატუსი მიენიჭოს აფხაზეთს (ან საქართველოს სხვა რომელიმე მხარესა თუ კუთხეს), არამედ იმაზე, რომ რუსეთი თავისი სამხედრო ბაზებით გასულიყო ჩვენ ქვეყნიდან და მის საშინაო საქმეებში არ ჩარეულიყო. ცხადია, ასეთი მოლაპარაკება უნდა ყოფილიყო მართლაც საერთაშორისო, სათანადო **საერთაშორისო** ორგანიზაციების (პირველ ყოვლისა, იმავე გაერო-ს) მონაწილეობით და იგი, ესეც აღსანიშნავია ხაზგასმით, სულ სხვა **პოლიტიკურ პირობებში** უნდა წარმართულიყო...

ხოლო, რაც შეეხება მაინცდამაინც „ომს“, არ მგონია, თუკი რუსეთი „უვნებელყოფილი“ იქნებოდა, იგი (ეს „ომი“) ამტყდარიყო: გავიხსენოთ სამთავრობო ჯარების აფხაზეთში შესვლის პირველი დღეები, იქაური სეპარატისტები თავქუდმოგლეჯილები რომ გარბოდნენ გუდაუთისკენ, სადაც რუსული სამხედრო ბაზა ეგულებოდათ. ვინ არ იცის, რომ აფხაზეთში **ომი** რუსეთთან გვქონდა და **მასთან** წავაგეთ კიდეც იგი.

ერთადერთი „საერთაშორისო“ ამ პრობლემაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობაა, მაგრამ სწორედ იგი არ გვიქცევია საერთაშორისო განსჯის ობიექტად, მაშინ, როდესაც აფხაზი სეპარატისტები „დე ფაქტო“ მაინც გამოვიყვანეთ საერთაშორისო სარბიელზე, როგორც ჩვენი მოპირისპირე გარკვეული „მხარე“.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა „აფხაზეთის ომ“-ზე, რომელიც გადაგვხდა ჩვენდა საუბედუროდ და სასირცხვოდ. რა თქმა უნდა, სავსებით ვიზიარებ მოსაზრებას, რომ აფხაზეთის ომი, საიდანაც სულაც არ გამოვსულვართ „ღირსეულად“, წინააღმდეგ ცნობილი დაპირებისა (ახლაც გვეუბნებიან, მას შემდეგ, რაც ეს ომი, კარგა ხანია დამთავრდა: ომიდან ღირსეულად გამოვალთო... „მოლაპარაკების“? გზით!), – აი ეს ომი „დაწყების დღიდან განწირული იყო“, რადგან აღმოჩნდა, რომ იგი არც **სამხედრო**, არც (რაც, ალბათ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია) პოლიტიკური თვალსაზრისით არ ყოფილა მინიმალურადაც კი უზრუნველყოფილი.

დღეს ხელისუფლება ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ჯარის შეყვანას აფხაზეთში მხოლოდ რკინიგზის დაცვა ჰქონია მიზნად და, რომ არა თვითნებობა ერთი მაშინდელი „არხისტრატეგისა“, რომელმაც ამ მითითების გვერდის ავლით, ჯარი შიგ სოხუმში შეიყვანა (რაც თურმე „სტრატეგიულად“ გათვალისწინებული არ ყოფილა), ომი არ დაიწყებოდა. არ ვიცი, ბატონ „ხელისუფლებას“ ჩვენ ვგონივართ სულელები თუ თვითონაა... ასე გულუბრყვილო, რომ ჰგონია, „სარდლობას“ სიტყვასიტყვითაც რომ შეესრულებინა დავალება და „მძივივით“ გამწკრივებულიყო ზედ კრინიგზის ხაზზე, რუსეთი თუნდაც ამას „გვაპატიებდა“ და რაიმე პროვოკაციის გზით **ომს** არ მოგვახვევდა თავზე? ესეც არ იყოს, თუკი ბრძანების ასეთს ჭეშმარიტად „სატრიბუნალო“ შეუსრულებლობას მართლაც ჰქონდა ადგილი, რატომ არ ირიეაგირა მასზე ხელისუფლებამ? რატომ არ გაკეთდა მასზე მის მიერ სათანადო ოფიციალური განცხადება, რაც **დიდად მომგებიანი** იქნებოდა ქვეყნისთვისაც და მთავრობისთვისაც? ალბათ, კარგად გვახსოვს, ყველას, ბატონ პრეზიდენტის (მაშინ იგი სახელმწიფოს მეთაური ბრძანდებოდა) „დემარში“, როდესაც მან **პარლამენტის დასათრგუნავად** თავისი გადადგომა გამოაცხადა, – რა დატრიალდა თბილისში: ხალხი მოაწყდა პარლამენტს, „ერმა“ დაუჩოქა, დარჩით, ბატონო მეთაურო, ნუ გაგვწირავთ, მაგ პარლამენტს, თუ საჭირო იქნება, კისრისტეხვით გავყრითო! ხოლო მე ისიც მახსოვს, თუ, ხალხის ასეთი „ამბოხის“ მხედველი, ორი მაშინდელი პრეტენდენტი „პინოჩეტობაზე“ (ერთი მათგანი სწორედ სოხუმის „ამღები“ გახლდათ) შიშისაგან ფერწასული როგორ ცახცადებდა ვერხვის ფოთოლივით. **მაშინ** რომ განეცხადებინა სახელმწიფოს მეთაურს ამ ორი „დევგმირისთვის“, გაეცალეთ ხელისუფლებასო,

რომელი შეეწინააღმდეგებოდა? დარწმუნებული ვარ, ესეთივე ეფექტი ექნებოდა ქვეყნის ხელმძღვანელის ადექვატურ რეაგირებას აფხაზეთის, როგორც თვით იგი გვარწმუნებს **დაუგეგმავ „**ოკუპაცია“-ზეც, რასაც უნდა მოჰყოლოდა კიდეც ურჩი „გენერლის“ გადაყენება და კიდევ ბევრი სხვა შედეგი. მართალია, ამგვარი ნაბიჯი გარკვეულ **რისკს** შეიცავდა, მაგრამ რა უნდა მომხდარიყო იმაზე უარესი, რაც მოჰყვა ამ **ურისკო პოლიტიკას**? ამ საკითხზე მრავლის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ აქ მასზე სიტყვას ვერ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ განმეორებით: ეს „აფხაზური ექპედიცია“, პირველ ყოვლისა – პოლიტიკურად მოუმზადებელი (სამხედროზე რომ არაფერი ვთქვა), უკეთეს შემთხვევაში **დანაშაულებრივი შეცდომა** იყო, კიდევ უფრო დამძიმებული იმით, რომ მის გამოსასწორებლად დროზე არ იქნა, მაშინვე, ოპერატიული და რადიკალური ზომები მიღებული. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ზემოხსენებულ თვითნებობას მაშინდელი „სარდლისა“ ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს სულაც არ ამსუბუქებს, პირიქით, კიდევ უფრო ამძიმებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს პირველი პირისა, ვისი იდეითაც და სანქციითაც მოხდა **ასეთ პირობებში** ჯარის შეყვანა აფხაზეთში, **ასეთი „სარდლობის“ ხელმძღვანელობით,** შედეგიც სახეზეა: გამოგვაპანღურეს აფხაზეთიდან და შეგვაპანღურეს „ესენგე“-ში. მაგრამ იმედია (ცხადია არა ჩვენი ახლანდელი ხელისუფლების „იმედი“), რომ ერთიცა და მეორეც, დროებითია, აფხაზეთის ყოფნაც საქართველოს გარეთ და საქართველოს ყოფნაც რუსეთის მშენებარე „მესამე იმპერიის“ შიგნით.

მამას ეპატიება

არ მგონია, ვისთვისმე მოულოდნელი ყოფილიყოს აფხაზი და ოსი სეპარატისტების გადაწყვეტილება აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ „არჩევნების“ ჩატარების შესახებ, რითაც, ცხადია, მათ სურთ, ერთგვარი ლეგიტიმურობის მირონი სცხონ ამ თავიანთ „სუვერენულ სახელმწიფოებსა“ და მათს „ხელისუფლებებს“. თავისთავად, ეს ღონისძიება, რომლის კანონიერებას, გარდა მისი ინიციატორებისა, ოფიციალურად სხვა არავინ სცნობს, არ უნდა იწვევდეს იმ პანიკას, რომელმაც აშკარად იჩინა თავი ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში და ზოგს ისე აუბნია გზა-კვალი, რომ, როგორც ამბობენ, „მაღალ სფეროებში“ თითქოს გადაუწყვეტიათ ამ „არჩევნების“ დღეს მოაწყონ საერთოეროვნული გლოვა საეკლესიო ზარების რეკვითა და წირვა-ლოცვით.

საგანგაშო მთელ ამ საქმეში სხვა რამეა, სახელდობრ კი, ის, რომ იმ პოლიტიკას, რომელსაც დღემდე ეწევა საქართველოს მთავრობა სეპარატისტების მიმართ, სხვა შედეგი არც შეიძლებოდა ჰქონოდა. რა თქმა უნდა, სწორი პოლიტიკა რომ ეწარმოებინა, მაშინაც შეიძლებოდა ამგვარი „არჩევნები“ მოეწყოთ სეპარატისტებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა აქტი ამ პოლიტიკის „მიუხედავად“ და არა მის „თანახმად“, რაც, ბუნებრივია, სულ სხვა რეაქციას გამოიწვევდა ხალხშიც და მის მთავრობაშიც, რაკიღა ვერავინ იტყოდა, რომ თვით ამ მთავრობის პოლიტიკამ გაამხნევა და წაახალისა სეპარატისტები, გადაედგათ მათ ეს ნაბიჯი. სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ძალიან ჩამოგავს იმ „ინტელექტუალურ“ თამაშს, რუსები „პოდავკის“ რომ უწოდებენ, და, რასაკვირველია, რომ ასეთი თამაშის შემყურე სეპარატისტებსა და მათ რუს მფარველებს, ჩვენი დათმობებით მადაგახსნილთა და გულმოცემულთ, გაეკეთებინათ ეს სვლაც, ამ „პოდავკის“ თამაშის წესისამებრ, ახალი დათმობების (ცხადია, ჩვენი მხრივ) მოლოდინში. ამიტომაც, თავისთავად, როგორც ვთქვი, სეპარატისტთა ამ „საარჩევნო“ პოლიტიკურ დემარშს, მართალია, არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს (დღესდღეობით), როგორც ძირშივე უკანონოს, მაგრამ იგი **შეიძლება პერსპექტიული აღმოჩნდეს** ჩვენივე ხელისუფლების წყალობით, თუკი ეს პოლიტიკა შემდგომშიც ხსენებული „რუსული თამაშის“

წესით წარიმართა, – თამაშისა, რომელსაც **მარტო ჩვენ** ვეთამაშებით მოწინააღმდეგეს, მაშინ, როდესაც თვით იგი ჩვეულებრივ პოლიტიკურ თამაშს ეწევა ამ ჩვენი უჩვეულო თამაშის საპასუხოდ. ასე რომ, ამ „არჩევნებთან“ დაკავშირებით თუკი რამეა მართლა სათქმელი, ეს თვით ამ „არჩევნებზე“ კი არა, არამედ საქართველოს მთავრობის იმ პოლიტიკაზე, რომელმაც „მოისხა“ ნაყოფად ისინი.

არ ვიცი, ჩვენს ხელისუფლებას ჩვენ ვგონივართ ასე გონებასუსტნი, თუ თვითონ სჭირს რამე, მაგრამ მისი ერთი „ზნე“, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ლამის წესად ქცეული, ფრიად დამაფიქრებელია. დანიშნავენ, ვთქვათ, ვისმე საყოველთაოდ ცნობილ ქურდბაცაცას მინისტრად და, თუკი მაშინ ვინმემ ამ მინისტრის სამხილებლად ხმა დასძრა, მამხილებელს უმალ გამოაცხადებენ ცილისმწამებლად და ქვეყნის მტრად. გადის დრო და ერთ მშვენიერ დღეს მთავრობის მაღალი ტრიბუნიდან გვაუწყებენ, რომ ეს მინისტრი უწესო ვინმე, დიახაც ქურდი და ბაცაცა ყოფილა, თანაც, ამ „სიახლეს“ გვამცნობენ ისეთი საყვედურის ტონით, თითქოს ჩვენ, რიგითი მოქალაქენი, ვიყოთ დამნაშავენი, რომ ხელისუფლებაში ასეთი ვინმე აღმოჩნდა. „ნორმალურ“ ქვეყანაში პასუხს ასეთი დანიშვნისათვის, როგორც წესი, დამნიშველი აგებს და შეიძლება იგი ამ თავის შეცდომას თუ დანაშაულს კანონისამებრ „გადაჰყვეს“ კიდეც, მაგრამ საქართველო ასეთ „ნორმებში“ აშკარად არ თავსდება. ამგვარ საქმეებში პასუხისმგებელი ჩვენებური სამართლითა და მორალით ყველაა და, მაშასადამე, არავინ. ახლა ავიღოთ ეგრეთ წოდებული ჟენევის მოლაპარაკებები: ვინ არ იცოდა, რისი მაქნისი შეიძლება ყოფილიყვნენ ჩვენი „ლეგაციის“ წევრები, ან ვინ არ იცოდა, რა ხდებოდა თვითონ ამ მოლაპარაკებებზე? – ერთადერთი, ვისაც არ სცოდნია ეს, ყოფილა თვით ჩვენი ხელისუფლება, პირადად ბატონი პრეზიდენტი, ვის მიერაც დაკომპლექტებული იყო კიდეც ეს „ლეგაცია“. და აი, რამდენიმე თვის წინათ უცებ გვეუწყა, რომ ჟენევის მოლაპარაკებები ცუდად უწარმოებიათ პრეზიდენტის მიერ დანიშნულ პირებს, ისეთ რამეებზე მოუწერიათ ხელი, რაზეც არ უნდა მოეწერათ და სხვ. ამგვ. საკითხავია, ბატონი პრეზიდენტი არ იყო ამ მოლაპარაკებების კურსში და არ იცოდა, რას წარმოადგენდნენ ეს მისი ნდობით აღჭურვილი ადამიანები? მახსოვს, აფხაზეთთანვე დაკავშირებით ბატონმა პრეზიდენტმა (მაშინ – სა-

ხელმწიფოს მეთაურმა) ბრძანა პარლამენტში: შევცდი და მოდით ახლა, მომკალითო! ასე მამა ლაპარაკობს ხოლმე ოჯახში და, ცხადია, შეცდომისთვის არ ხდება „ოჯახის მამის“ გადაყენება „მამობის თანამდებობიდან“. მაინც, მმართველობის რა ფორმაა დღევანდელ საქართველოში: იქნებ „საპრეზიდენტო მონარქია?“ – მაგრამ კონსტიტუციურ მონარქიაში, პარლამენტურზე რომ არაფერი ვთქვათ, მონარქიის ხელისუფლება კანონითაა რეგლამენტირებული და სათანადო ინსტიტუციური მექანიზმებიც არსებობენ მონარქის პირადი პასუხისმგებლობის პოლიტიკურად უვნებელყოფისათვის. ამიტომაც მგონია, რომ ჩვენში ადგილი აქვს „საპრეზიდენტო აბსოლუტიზმის“ იმ ფორმას, რომელსაც „პატრიარქალურს“ ვუწოდებთ: სახელმწიფო ოჯახია, პრეზიდენტი მისი მამა, რომელსაც, თუ შეცდა, მართლა ხომ არ „მოვკლავთ“, რაც უნდა იყოს, მამა მამაა!

მაგრამ მოვეშვათ ამ საკითხს, რადგან ვშიშობთ, ისეთ იურიდიულ ბარდებში გავები, რომ ჩვენებური იურისტები, მათი ამბავი რომ ვიცი, თუ მოიცალეს საამისოდ, ბდღვირს ამადენენ, – ის იურისტები, რომელთა ავტორობით თუ არა, ექსპერტობითა და რედაქტორობით შემუშავებული ამა წლის 17 აპრილის „ისტორიული“ დადგენილებიდან შევიტყვეთ იურისპრუდენციისათვის მართლაც საისტორიო რამ, სახელდობრ, რომ აფხაზი სეპარატისტები **აგრესორები და ოკუპანტები** ყოფილან, რომელთაც აგრესია განუხორციელებიათ საქართველოს მიმართ, რის შედეგადაც მოუხდენიათ კიდეც საქართველოს ტერიტორიის ნაწილის – აფხაზეთის ოკუპაცია. აქამდე ვიცოდით, რომ აგრესიის და ოკუპაციის სუბიექტიცა და ობიექტიც მხოლოდ **სახელმწიფო** შეიძლება იყოს, მაგრამ იქნებ ამ აღმოჩენის ავტორებს მიაჩნიათ, რომ საქართველო და აფხაზეთი ორი სხვადასხვა სახელმწიფოა, რომელთაგან პირველი შეიქმნა მეორის აგრესიის მსხვერპლი, თუმცა, ამ შემთხვევაშიც გაუგებარია, როგორ მოახერხეს აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის „ოკუპაცია“ და მით „ოკუპანტის“ ტიტულის დამსახურება? – საინტერესოა, ძალიან საინტერესო! ეტყობა, პრობლემის ამგვარი სამართლებრივი გაგებით ხელმძღვანელობს ჩვენი ხელისუფლება თავის მოლაპარაკებებშიც რუსეთთან, ცდილობს რა ამ უკანასკნელთან გარიგებას თანახმად ფორმულისა: დამიბრუნე აფხაზეთი და „სამხრეთი ოსეთი“ – გაგამართვინებ სამხედრო ბაზებს საქართველოში. რას ნიშნავს იურიდიულად ეს

ფორმულა? – იმას, რომ საქართველოს მთავრობა ცნობს რუსეთის **რაღაც უფლებებს** ამ რეგიონის მიმართ, – უფლებებს, რომელთა დათმობის **საფასურადაც** ჰპირდება იგი (საქართველოს მთავრობა) მოსკოვს თავის მხრივ ტერიტორიის დათმობას სამხედრო ბაზებისათვის. სხვათა შორის, რუსეთის ეს „უფლებები“ კერძოდ, აფხაზეთის მიმართ ოფიციალურად დადასტურებულია ზემოხსენებულ „ისტორიულ დადგენილებაში“, სადაც რუსეთის უფლება, იყოს აფხაზეთის პრობლემის ერთ-ერთი დამარეგულირებელი სუბიექტი საქართველოსთან და თუნდაც იმავე გაეროსთან ერთად, მოტივირებულია რუსეთის ინტერესებით, უნდა ვიფიქროთ – **კანონიერი ინტერესებით**, ამ რეგიონში. თვითონ ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობა აფხაზეთის საკითხის დარეგულირების სუბიექტად აცხადებს უცხო სახელმწიფოს – რუსეთს და ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორიცაა გაერო, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზური მხარის, ყოველ შემთხვევაში, „დე ფაქტო“ აღიარება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საქართველოს მიმართ. და ამ კონტექსტში ინტერესს მოკლებული არაა ისიც, რომ აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც რამდენიმე სტრიქონით ზემოთ დადანაშაულებული არიან საქართველოს მოსახლეობის გენოციდში, ამავე დადგენილების ძალით, ნაცვლად მათი საბრალდებო სკამზე დასხმისა, ასევე მოწვეული არიან მოლაპარაკების მაგიდასთან აფხაზეთის პრობლემების დამარეგულირებელი კანონიერი სუბიექტის სტატუსით. დაბოლოს, რაკიღა „სუბიექტებზე“ მიდგა საუბარი, გაუგებარია, აფხაზეთის „ლეგიტიმური“ ხელისუფლების, ამჟამად თბილისში რომ იმყოფება, ასევე „გასუბიექტება“: ხომ კარგადაა ცნობილი, რომ აფხაზი სეპარატისტები ამ ხელისუფლებას კი არ დაუპირისპირდნენ, როგორც ასეთს, არამედ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, რომლის ადგილობრივ წარმომადგენლადაც განიხილებოდა (და დღესაც განიხილება) ეს „ლეგიტიმური“ ხელისუფლება სეპარატისტების მიერ და, რომელსაც, თავისთავად, ამ უკანასკნელთა თვალში არავითარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ჰქონდა (და არც ახლა აქვს). ამგვარად, ერთადერთ ნამდვილ სუბიექტად, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, რჩება საქართველო, მისი ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ევალება კიდეც, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის ერთადერთ კანონიერ

მატარებელს, დაერეგულირებინა ეს თავისი **საშინაო** პრობლემა. ვიმეორებ, ასე უნდა ყოფილიყო, თუკი ჩვენი ხელისუფლება მტკიცედ იდგებოდა ამ პრობლემის სამართლებრივ ნიადაგზე და მაშინ ცხადად გამოიკვეთებოდა ხსენებული პრობლემის ის საერთაშორისო ასპექტიც, რომელიც მდგომარეობს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში და რომლის დარეგულირებაც უნდა წარმოებულიყო, შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთი მიზნით – აღკვეთილიყო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთის ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში. მაგრამ ამაზე ალბათ გვეტყვიან „ჩვენებური“ პოლიტიკოსები, განა არ იცით, ძალა აღმართს ხნავს და პრობლემას მარტო სამართლებრივი მიდგომით არ ეშველება, ეს, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური პრობლემაა, – რაზეც, რამდენადაც აქ არც დროა და არც ადგილი პრობლემის პოლიტიკურ ასპექტზე ვრცლად და წვრილად საუბრისათვის, ამჯერად ასე ვუპასუხებდი: მე ვაკრიტიკებ საქართველოს ხელისუფლებას არა იმიტომ, რომ იგი პოლიტიკურ მხარეს საკითხისას დიდ ყურადღებას უთმობს (სრულიად სამართლიანად), არამედ იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების ეს პოლიტიკა **პოლიტიკურადაა გაუმართლებელი,** როგორც საქართველოსთვის **სამართლებრივად წამგებიანი.** და არა მარტო სამართლებრივად, არამედ მორალურადაც, რადგანაც აღნიშნული პოლიტიკა, სხვათა შორის, წვრილმანი „პოლიტიკური ცუღლუტობითაც“ ხასიათდება, თავის სხვა „მსხვილმან სიკეთეებთან“ ერთად, რის მაგალითადაც კმარა თუნდაც ვითომც დიდად „დიპლომატიური“ დაკანონება ამ პოლიტიკის ლექსიკონში გამოთქმისა „აფხაზეთის სეპარატისტები“ ნაცვლად მანამდელი „აფხაზი სეპარატისტებისა“: გაუგებარია, მაინც ვის უხვევს თვალს ჩვენი მთავრობა, განა ფაქტი არაა, რომ ამ „აფხაზეთის სეპარატისტების“ სახით და ზურგს უკან, აფხაზი მოსახლეობა დგას, მისი აბსოლუტური უმრავლესობა? ვინ დაიჯერებს ჩვენს პრინციპულობას და **პოლიტიკურ გულწრფელობას** ამის შემდეგ? მაინც რაში სურთ ამ ფორმულის „ეშმაკუნა“ ავტორებს დაარწმუნონ მსოფლიო, იმაში ხომ არა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში აფხაზი მოსახლეობა არაფერ შუაშია, რომ არსებობენ ვიღაც ეროვნულად გაურკვეველი „სეპარატისტები“, რომლებიც წყალს ამღვრევენ, თვითონ აფხაზი ხალხი კი, უარეს შემთხვევაში, მარტოოდენ „ბრმა იარაღია“, მეტი და სხვა არაფერი? ნუთუ ამგვარი ყალბი პოზიციიდან გვსურს ვუმკურნალოთ, როცა

საამისო დრო დადგება, იმ, დიახაც, ეროვნულ სენს, რომელიც დაუფლებია აფხაზთა დიდზე დიდ უმრავლესობას და არა გულწრფელი, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეზე დამყარებული პოზიციიდან. უნდა გვახსოვდეს, ამ სენის წარმოშობაში არა და მის გაღვივებაში კი უთუოდ დიდი როლი ითამაშა სწორედ ჩვენმა „პოლიტიკანობამ“, არაგულწრფელობამ და იმ **კულტურულმა უტაქტობამ,** რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გაუცნობიერებელი... მაგრამ ამაზე – სხვა დროს, სიტყვა ისედაც გამიგრძელდა.

საერთოდ, საქართველოს მთავრობის ამ რუსულ-აფხაზურ, გნებავთ, რუსულ-ოსურ პოლიტიკაზე კიდევ ბევრის, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, რის საშუალებასაც მცირე საგაზეთო წერილი, ცხადია, არ იძლევა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენმა მთავრობამ იმდენი **დაპირებაც** გასცა, პრობლემის „ოღონდაც“ **რამენაირად** მოსაგვარებლად, რომ, თუკი ეს მოგვარება ამ დაპირებების საფუძველზე მოხდა, შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის წირვა გამოსულია, ყოველ შემთხვევაში, ორი რეგიონის – აფხაზეთის და ცხინვალის საკითხში, ამიტომაც კარს მომდგარი „არჩევნების“ თემაზე საუბრისას ჩვენ გვმართებს კიდევ ერთხელ გავიაზროთ ის გზა, რომლითაც სიარულმა ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ეს საჭიროა იმისათვის, რათა ერთ მშვენიერ დღეს კვლავ არ მოგვესმას „მამობრივი“ სიტყვები, ან უკვე საფინალო: რა ვქნა, მეტი ვერ შევძელი და თუ შევცდი, მოდით და მომკალითო! ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არ ვიზამთ და ბედს შევურიგდებით დანაშთი „სრულიად საქართველოს“ საეკლესიო ზარების სამგლოვიარო გუგუნში...

მცირე შენიშვნა კორუფციაზე

დღევანდელ საქართველოში, ალბათ, არ არსებობს უფრო ხშირად ხმარებული სიტყვა, ვიდრე „კორუფცია“. და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც კორუფცია ჩვენი ცხოვრების ერთ ყველაზე დამახასიათებელ მოვლენად იქცა, რომლითაც მოცული და გამსჭვალულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა თითქმის ყველა სფერო.

ბუნებრივია, ადამიანები, შემყურენი შექმნილი მდგომარეობის, ფიქრობენ გამოსავალ გზებზე და ხელისუფლებაც კორუფციასთან ბრძოლას თავის პრიორიტეტულ ამოცანად აცხადებს. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით სასიკეთო ძვრები არ შეიმჩნევა და საზოგადოებაშიც ღრმავდება უნდობლობა ხელისუფლებისადმი.

ნათქვამია, თევზი თავიდან ყარსო, და ხალხის უკმაყოფილებას ხელისუფლების სამივე შტოს – საკანონმდებლოს, აღმასრულებლის, სასამართლოს – მიმართ თავისი რეალური საფუძველი აქვს. არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი „მე-4 ხელისუფლება“-ც – მასმედია, პირველ სამზე არანაკლებ ცოდვილი. რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი ადამიანები ოთხგანვე მოიპოვებიან, მაგრამ ისინი წარმოადგენენ იმ გამონაკლისს წესიდან, რომელიც ამ წესს ადასტურებს.

სამწუხაროდ, თვითონ ეს „ბრძოლა კორუფციასთან“ ერთგვარ „მოდად“ იქცა და აქედან – პოლიტიკური სპეკულაციის საგნადაც. „კორუფციასთან ბრძოლა“ თავად აღმოჩნდა კორუფციის სენისგან დაუცველი, იგი თვით შეიქმნა პოლიტიკური (და „შესაბამისი“ ეკონომიკური) დივიდენდების საეჭვო წყაროდ.

იქ, სადაც კანონს არავის იცავს და კანონიც ამიტომ არავის იცავს, კორუმპირებულად ცალკეული პირები და ჯგუფები კი არ გვევლინებიან, არამედ – მთელი საზოგადოება. თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ კორუმპირებულია როგორც ქრთამის ამღები, ასევე ქრთამის მიმცემი, მოსახლეობის რა პროცენტი აღმოჩნდება არაკორუმპირებული? ესეც არ იყოს, ჩვენგან რამდენს აუვლია კანონისთვის გვერდი უქრთამოდაც, ვთქვათ, „კარგი ნაცნობობით“, თუნდაც სულ „პატარა“ საქმეში? ან კიდევ, ის ადამიანი, რომელიც „უანგაროდ“ აკეთებს უკანონო საქმეს თავისი მეგობრისთვის, გნებავთ, ვინმე „კაი კაცის“–თვის, რით არაა კორუმპი-

რებული, ისევე როგორც ისიც, ვინც ასეთს „საჩუქარს“ იღებს? რაც შეეხება „კაიკაცობას“, ის, ვინც ასეთი რეპუტაციის („მარტოოდენ“!) მოსაპოვებლად ჩადის რაიმე უკანონობას, განა არაა კორუმპირებული? – „კაი კაცის“ სახელიც ხომ გარკვეული კაპიტალია, რომელსაც ასევე აქვს თავისი ბაზარი. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენ, ყველანი, მეტ-ნაკლებ ჩართული ვართ კორუფციის სისტემაში, როგორიც მისი, ერთდროულად, მოქმედნიცა და მსხვერპლიც.

აღშფოთებული სხვათა კორუმპირებულობით, ვერ ვამჩნევთ, რომ ჩვენც ვართ, იქნებ „არც ისე“, როგორც „სხვები“, მაგრამ მაინც კორუმპირებულნი. ამის მიზეზი კი, მრავალთა შორის ისიცაა, რომ თვითონ ეს სიტყვა „კორუფცია“ მეტად ვიწრო (და ამიტომაც არასრული) მნიშვნელობით გვესმის. ამიტომ ზედმეტი არ იქნებოდა, ამ სიტყვის მნიშვნელობაზე შევჩერებულიყავით.

ზმნა კორრუმპო (კორრუმპერე), ლათინური სიტყვა, შემდგომ სხვა ენებში გადასული, ერთმანეთთან საზრისობრივად მონათესავე სხვადასხვა მნიშვნელობას შეიცავს, როგორიცაა: გაფუჭება, წახდენა; დამახინჯება; გახრწნა; შერყვნა, გარყვნა; გაყალბება (ფალსიფიცირება); ცდუნება, შეცდენა; მოსყიდვა. არსებობს კიდევ რამდენიმე მნიშვნელობა, მაგრამ დავკმაყოფილდეთ ამით. საკმარისია, დავაკვირდეთ ჩამოთვლილ მნიშვნელობებს, რათა ნათელი შეიქმნეს, რა უნდა ვიგულისხმოთ კორუმპირებულისა და კორუფციის სახელქვეშ. ჩვეულებრივ, „კორუმპირებულს“ ვუწოდებთ ხოლმე მექრთამესა და ე.წ. ხაზინის ქურდს, მაშინ როდესაც მისი შინაარსი უფრო ფართეა და გულისხმობს (ოქსფორდის ლექსიკონის განმარტებით) საერთოდ **იმმორალურს, არაკეთილსინდისიერს (უპატიოსნოს).** ასე რომ, როდესაც ვამბობთ ვისმეზე კორუმპირებულიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მიგვაჩნია მორალურად გაფუჭებულ, წამხდარ, გახრწნილ ადამიანად, დამახინჯებული, გაყალბებული ზნეობრივი ცნობიერების მქონედ. რასაკვირველია, კორუმპირებულობის სხვადასხვა გრადაცია არსებობს, რის გამოც ყველას მიმართ იქნებ არც იყოს მთლად მართებული ისეთი მწვავე გამოთქმები, როგორიცაა „გაფუჭებული“, „წამხდარი“, „გახრწნილი“, მაგრამ ფაქტია, რომ კორუმპირებული ადამიანი, რამდენადაც იგი ასეთია, ამდენად დახასიათებადია, შესაბამისი „დოზით“, ამგვარი სიტყვებით.

შესაძლოა, ადამიანი არც ქრთამს იღებდეს, არც ხაზინას ძარცვავდეს და, მიუხედავად ამისა, მაინც იყოს კორუმპირებული. ასეთი კორუმპირებულობის მაგალითი ზემოთ მოვიყვანე, რამდენიმეს კი ახლა დავუმატებ.

არსებობენ ადამიანები, ხელისუფლებაში ყოფნის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილნი, რომლებიც ამ თავისი სურვილის აღსასრულებლად მზად არიან, ნებისმიერ მორალურ კომპრომისზე წავიდნენ. პატივმოყვარეობის ასეთი სენი საკმაოდ გავრცელებულია ჩვენში, შენიღბული პოლიტიკური პრინციპებისა და იდეალების მაღალი ფრაზეოლოგიით. ეს ადამიანები პარლამენტში მოსახვედრად, რათა „აქედან“ ებრძოლონ კორუფციას, არ ერიდებიან ხმების გაყალბებას უახლესი „ტექნოლოგიების“ მოხმობით, ხოლო, თუ ჰკითხავთ, არის თუ არა ეს კორუფცია, გიპასუხებენ, არა, ეს პოლიტიკური ბრძოლაა. აღარას ვამბობ კორუმპირებული „ფულიანი“ ადამიანების საარჩევნო სიებში შეყვანის პრაქტიკაზე, რის გამოც პარლამენტარობა აუქციონის – ვინ გადაიხდის მეტს? – საქმედ იქცა; და ესეც „წმინდა პოლიტიკური“ მოსაზრებით: არჩევნებისთვის ფული გვჭირდება. ხოლო თვით პარლამენტში რას ვხედავთ? – პარლამენტარები, კორუფციასთან თითქოს მებრძოლნი, ხმას აძლევენ ქვეყნის ისედაც გაძვალტყავებული ბიუჯეტისთვის აშკარად პარაზიტულ კანონ-პროექტს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ფრაქციის ერთ-ერთი წევრი („პოლიტიკურად საჭირო“) პირადად დაინტერესებულია ამ კანონ-პროექტის მიღებით. რა ჰქვია ამას? – ჩემი აზრით, ხმის ქრთამად გაღება. ან ავიღოთ ასეთი მაგალითი. შემოდის კანონ-პროექტი, ამჯერად უკვე შუასაუკუნეობრივი ობსკურანტიზმით გაჟღენთილი, და მთელი პარლამენტი, გამოუკლისად (იშვიათი ერთსულოვნება!), ამტკიცებს მას. რატომ? – იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მოსახლეობის ერთი ბნელი ნაწილი, რომლის ხმებიც, თანახმად „პოლიტიკური გაანგარიშების“, იმათ მიუვა მომავალ არჩევნებში, ვინც უფრო გამოიდებს თავს ამ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. ამას, სხვისი არ ვიცი და, ჩემს ენაზე ელექტორატის მოქრთამვა ჰქვია, ანუ იგივე კორუფცია (პოლიტიკური), აღებ-მიცემობის ყველა წესის დაცვით: გაძლევ კანონს – მომცემ ხმას. და ამ „ისტორიულ“ (ოფიციალური შეფასებით) საქმეშიც, რაგინდ სამწუხაროც იყოს, ყველაზე მეტად სწორედ „კორუფციასთან

მებრძოლებმა“ გამოიჩინეს თავი. მერე რა, რომ ამით ერს საქვეყნოდ თავი მოსჭრეს, სამაგიეროდ ხომ „დაიბევეს“ ხმები!

ამიტომაც ვამბობ: სანამ კორუფციას შევეჭიდებოდეთ, ჯერ კარგად გავიაზროთ, თვითონ ამ სიტყვის – „კორუფცია“ – მნიშვნელობა, რადგან, ერთი ბრძენი კაცის არ იყოს, „როდესაც სიტყვები კარგავენ მნიშვნელობას, ადამიანები თავისუფლებას კარგავენ“. და კიდევ, ასევე დიდი მოაზროვნის ნათქვამი: „ერთი კაცი, მრწამსის მქონე, სოციალური ძალაა, ტოლი ოთხმოცდაცხრამეტი კაცის, მხოლოდ ინტერესების მქონესი“.

„გარეშე სატანა“ და მისი მეხუთე კოლონა: „შინაური იდიოტები“

ის, რომ ჩვენი საზოგადოება თხემით ტერფამდე კორუმპირებულია, კორუფციით ჩაგრულთა ჩათვლით (გამონაკლისს, ცხადია, არ ვგულისხმობ), ამაზე უკვე ითქვა ჩემს ამასწინდელ წერილში. ხოლო ფაქტია ისიც, რომ ამ ბოროტების სათავე ჩვენს ხელისუფლებაშია საძიებელი, – ხელისუფლებაში, სადაც „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, კორუფციის ყველაზე „ქმედითუნარიანმა“ ძალებმა მოიყარეს თავი. ამასთან, ვლაპარაკობ რა ხელისუფლებაზე, მხედველობაში მაქვს არა მარტო მისი სამი შტო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო (როგორც ირწმუნებიან, „რეფორმირებული“...), არამედ მათზე სრულებითაც არა ნაკლებ კორუმპირებული „მეოთხე ხელისუფლება“-ც, როგორც უხმობენ ხოლმე მასმედიას. მაგრამ ხელისუფლების „შტოთა რეესტრი“, ჩვენს სინამდვილეში მაინც, ამ ოთხეულით არ ამოიწურება, რადგან არსებობს კიდევ ერთი შტოც – ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელის მიუხედავად, აშკარა „სამთავრობო“ ამბიციების მქონენი და, შესაბამისად, ასევე გამორჩეულნი სწორედ ხელისუფლებისთვის ნიშნეული ამგვარივე კორუმპირებულობით. მე ამ „მეხუთე შტოს“ არ გავიხსენებდი, რომ არა ბოლო ხანს გათამაშებული პოლიტიკური ამბები, რომელთა ერთ-ერთი „ძალოვანი“ ფაქტორი იგიც გახლდათ.

მაგრამ ჯერ მივხედოთ ჩვენს „ჩვეულებრივ“, ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში, აღმასრულებელს, სახელდობრ კი, იმ მის ორგანოს, რომელსაც საქართველოს უშიშროების სამინისტრო ჰქვია (აბრევიატურით სუს-ი, „ნეტარხსენებული“ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის – სუკ-ის – ნაცვლად). ბუნებრივად იბადება კითხვა: რაღა ამ „რუსთავი 2“-ს მიადგნენ, როგორც ამტკიცებენ, მისი ფინანსური დარღვევების გამოსაძიებლად, ეს ჩვენი „სუსისტები“? განა სხვა ამავე პროფილის კორპორაციებს ამ მხრივ ყველაფერი აქვთ რიგზე? და პასუხიც ასევე ბუნებრივად ადგება კაცს ენაზე: იმიტომ, რომ ეს ტელეკორპორაცია ხელისუფლებას აღიზიანებს თავისი „ოპოზიციური“ (მეტი რომ არ ვთქვათ) გადაცემებით. საერთოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს ხელისუფალთ აწყობთ კიდევაც კორუფციის არსებობა თუნდაც იმავე მასმედიაში, რათა იგი მორჩილებაში იყოლიონ ამ-

გვარი რევიზიების შიშით: ჭკვიანად თუ არ იქნები, მოვალ და შეგამოწმებ (და, მე თქვენ გეტყვით, შემმოწმებელიც „გაწბილებული“ დარჩება). ყოველ შემთხვევაში, მე პირადად, სხვაგვარი დასკვნის გამოტანა ძალიან მიჭირს, შემყურეს კორუფციასთან ხელისუფლების ასეთი „შერჩევითი ბრძოლის“. რა თქმა უნდა, ამგვარი პრაქტიკა მხოლოდ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, თანაც ისე, – ნურც ამას დავივიწყებთ, – რომ იგი ამ თავისი ტერორის თვითონ „ობიექტს“ არანაირ თავის გამამართლებელ საბუთს არ აძლევს: მართლაც ხომ ვერ იტყვის, ვთქვათ ვინმე ქურდი, რაღა მაინცდამაინც მე დამიჭირე, სხვა რა, ჩემზე ნაკლები ქურდიაო. მაგრამ ეს – „სხვათა შორის“.

მე ამ შემთხვევაში სხვა რამე უფრო მაინტერესებს: რას ფიქრობენ ეს ჩვენი უშიშროების მცველნი, როდესაც ასეთ საშიშ „ლაშქრობას“ გეგმავენ ჩვენი მასმედიის ამ ერთ-ერთი „ბურჯის“ წინააღმდეგ? ნუთუ არ იცოდნენ მათ, რომ ამ აქციით ისინი **სიტყვის თავისუფლების** მეტად ფაქიზ და გრძნობიერ სფეროში ყოფდნენ თავის ფაფუკ თათებს? ნუთუ ის მაინც ვერ გაითვალისწინეს, რომ ამით ხელყოფდნენ ხელისუფლებაზე ისედაც გულამღვრეული ხალხის, სხვა არა იყოს, „გულის მოსაფხან“ ტელეარხს? და რომ ამას, შეიძლებოდა, მოჰყოლოდა მოსახლეობის გულში დაგროვილი უკმაყოფილების აფეთქება? საერთოდ, საინტერესოა, აქვთ თუ არა მათ წარმოდგენა ქვეყანაში არსებულ ფეთქებად სოციალურ მდგომარეობაზე, რომლის „დეტონატორადა“-ც მოგვევლინენ თვითონვე, ამ თავისი აშკარად პროვოკაციული გამოხდომით? ვის ევალება, თუ არა სწორედ ამ უწყებას, იმის ცოდნა, რომ რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობს თავისი სპეცსამსახურებით, რომლებიც, ესეცაა, თავს ისე გრძნობენ საქართველოში, როგორც თევზი წყალში, დესტაბილიზაციის გამოწვევას ქვეყანაში და შემდეგ, შექმნილ პოლიტიკურ ქაოსში, აქ სარუსო „წესრიგის“ დამყარებას? ეს ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რაზეც წერენ და ლაპარაკობენ კიდეც უცხოეთის მასმედიაში, და როგორ დავიჯერო, რომ ქვეყნის უშიშროების სამსახურისთვის ეგე ყოველივე უცნობია! რაღაც „მთლად სუფთად“ არ უნდა იყოს აქ საქმე, რის გამოც სულაც არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს წავიკითხო ან მოვისმინო რუსეთის სპეცსამსახურების „კარგ“ მუშაობაზე ჩვენი უშიშროების მუშაკთა რიგებში (ისევე, როგორც, დავძენ აქვე, ჩვენი მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების

და, რაღა თქმა უნდა, იმ ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური „ისტემ-ბლიშმენტის“ რიგებში, რომლის, თუნდაც მხოლოდ მისი, ლუს-ტრაციაც „რატომღაც“ ვერა და ვერ მოხერხდა დღემდე, თუმცა, ესეც უნდა ითქვას, თვითლუსტრაციას ბევრი მათგანი ისედაც ეწევა „პოლიტიკური ორიენტაციის“ გამჭვირვალე სახელქვეშ).

ახლა კი, მას შემდეგ, რაც „მოკლედ გავუსწორდით ამ ჩვენს „სიმპათიურ“ უწყებას „სახელმწიფო საშიშროებისა“, ვთქვათ ზო-გიერთი რამ ჩვენს მასმედიაზეც, რომლის ერთ-ერთი წარმომად-გენლის მიმართ განხორციელებული „რეიდი“-ც, ზემოხსენებული უწყების მიერ, კვალიფიცირებულ იქნა, როგორც დანაშაულებრი-ვი ქმედება სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. და ამასთან და-კავშირებით, მაინც ვიკითხოთ: არის თუ არა ჩვენში **სიტყვის თა-ვისუფლება?** – რაზეც მე ვუპასუხებდი: არა, არ არის. და, აი, რა-ტომ. იმისთვის, რათა საზოგადოებაში იყოს სიტყვის თავისუფ-ლება, ჯერ აუცილებელია, არსებობდეს **სიტყვის პატივისცემა,** პირველ ყოვლისა, თვითონ მასმედიის მხრივ. ჩვენში კი სწორედ **სიტყვის გაყალბება** იქცა ჩვეულებრივ მოვლენად მასმედიისთვის, რაც აიხსნება არა მარტო ჟურნალისტთა დიდი უმრავლესობის ელემენტური გაუნათლებლობით და, საერთოდ, უკულტურობით, არამედ ბევრი მათგანის აშკარა არაკეთილსინდისიერებითაც. მე აქ არ შევუდგები საამისო „ტექნოლოგიების“ ჩამოთვლას, რო-მელთა ყველაზე მდარე, ვულგარულ ფორმებს აქვს ჩვენს ჟურნა-ლისტიკაში გასავალი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ მდგომარეობაშია, საერთოდ, საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების მთელი სფერო, რის გამოცაა, რომ ეს ჩვენი „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“ არაიშვიათად გვევლინებიან ხოლმე მასობრივი დე-ზინფორმაციის წყაროებად. ცხადია, ამგვარი პრაქტიკა ვიღაცას უნდა აწყობდეს, ვის დაკვეთასაც ეს „საშუალებანი“ ასრულებენ კიდეც, სათანადოდ კორუმპირებულნი და ამიტომაც ანგაჟირე-ბულნი სხვადასხვა საეჭვო „ინტერესთა ჯგუფის“ მიერ. საქარ-თველოში სიტყვის თავისუფლება კი არ არსებობს, არამედ მისი **უფლება,** როგორც სიტყვის თავისუფლების **უფლებრივი შესაძ-ლებლობა,** რომლითაც ჯეროვანი სარგებლობა მხოლოდ მას ძა-ლუძს, ვისაც გაეგება, რაა თავისუფლება, და აქვს, ამდენად, თა-ვისუფლების კულტურაც. გარეშე **ზნეობრივი პასუხისმგებლობის** შეგნებისა არანაირი თავისუფლება არაა შესაძლებელი და, სამწუ-ხაროდ, სწორედ ამ შეგნების მწვავე დეფიციტს განიცდის ეს ჩვე-

ნი „მეოთხე ხელისუფლება“, პირველ სამთან ერთად, ისევე როგორც, საზოგადოდ, ჩვენ, ყველანი.

ქართული მასმედიის ამ ზნეობრივი უპასუხისმგებლობის გამოხატულებაა, ზემოაღნიშნულის გარდა, ერთი მოვლენაც, რომელსაც საგანგებოდ, მსურს, შევეხო. მხედველობაში მაქვს, სახელდობრ, ის როლი, რომელიც რატომღაც იკისრა ჩვენი მასმედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ისედაც დემორალიზებული საზოგადოების კიდევ უფრო დემორალიზებისთვის. მართლაც, როგორ ავხსნათ ის თვალშისაცემი ტენდენციურობა, რომელსაც ამჟღავნებენ ეს საინფორმაციო საშუალებები ქვეყნის ცხოვრების გაშუქების საქმეში. ჩვენი ცხოვრება რომ აღსავსეა ნაირგვარი მანკიერებითა და საგანგაშო მოვლენებით, ყველას კარგად მოგვეხსენება და კეთილსინდისიერმა მასმედიამაც უნდა აღნუსხოს სათანადო ობიექტურობით მისი თითოეული ფაქტი, რაგინდ არასასიამოვნოც იყოს ეს. მაგრამ მასმედია ძალიან ხშირად არ იცავს ჟურნალისტიკისთვის ამ სავალდებულო ობიექტურობის მოთხოვნას და, მეტიც, ფაქტების ერთგვარ სააგიტაციო „გადამუშავებას“ ეწევა, მათი თავისებური „გამძაფრებით“ საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების თითქოს კიდევ უფრო გასამწვავებლად. ოღონდაც სადმე ცუდი ამბავი მოხდეს და ლამის სიხარულით მირბიან სასკანდალო „ჟურნალისტური სახრავის“ საშოვარზე, მაშინ როდესაც კარგი ამბავი, რომელსაც აქა-იქ მაინც აქვს ხოლმე ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში, მათს ინტერესს მაინცდამაინც არ იმსახურებს. საზოგადოება მასმედიის ფსიქომორალური „დივერსიისა“ და პოლიტიკური პროვოკაციის ობიექტად იქცა და ამ ნიადაგზე მხარეთა შორის ერთგვარი სადომაზოხისტური ურთიერთობაც კი ჩამოყალიბდა. ერთადერთი, რითაც შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, ისაა, რომ ამ პათოლოგიურ სიტუაციაში, საბედნიეროდ, არაა ჩართული მთელი საზოგადოება და მთელი მასმედია, არამედ მხოლოდ მათი ნაწილი, თავისთავად არცთუ უმნიშვნელო. გავიხსენოთ ზოგიერთი ეპიზოდი ამ ჩვენი მასმედიის საქმიანობისა ქვეყნის ისედაც არასტაბილური მდგომარეობის შემდგომი დესტაბილიზაციის მიმართულებით.

მოკლეს ახალგაზრდა ტელეჟურნალისტი და ეს შემზარავი ფაქტი „კოლეგებმა“ უმალ აქციეს ყოვლად უხამსი და უსირცხო პოლიტიკური სპეკულაციის საგნად, პრეზიდენტმა ამ ამბის გამო გადადო თავისი ვიზიტი აზერბაიჯანში, რაც ერთ-ერთმა „კოლე-

გამ“ ასე შეაფასა: პრეზიდენტმა ვერ გაბედა(!) გამგზავრება, რადგან იცოდა, საქართველოში ვეღარ დაბრუნდებოდაო. საქმე ისაა, რომ მავანთ მაშინვე დაიწყეს თავისი „ვერსიის“ პროპაგანდირება, რომ მკვლელობა განხორციელებულია ხელისუფლების მიერ, რომლის ზურგსუკან პრეზიდენტი იგულისხმებოდა. აშკარა იყო, რომ ეს „მასპროვოკატორები“ ცდილობენ პრეზიდენტის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლების პროვოცირებას (აგორებას), რასაც არც მალავდნენ, და ზემოხსენებული განცხადებაც სწორედ ამ ჩანაფიქრის მაუწყებელი „ძალის დემონსტრაცია“ იყო. საინტერესოა თვითონ ეს „ძალა“, რომლითაც იქადოდნენ და იმუქრებოდნენ, მაინც რა ძალა იყო: „თავისუფალი სიტყვისა“ თუ „ანგაჟირებულის“? და კიდევ: დავუშვათ, მათი ოცნება ასრულებულიყო და „მკვლელი“ პრეზიდენტი გადამდგარიყო, ხელისუფლებაში რა „ძალის“ მოსვლას გეგმავდნენ ისინი: ჩვენი „რეფორმატორების“? – რომლებსაც, მეტი რომ არაფერი ვთქვა, თუ საქმე აქამდე მივიდოდა, მეორე დღესვე ხმელი ფოთოლივით გადააგდებდა რუსეთი, შექმნილი ანარქიით ხელგახსნილი. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია ის „სტილი და ტონი“, რომლებითაც აშუქებდნენ ისინი პრეზიდენტის ამასწინანდელ ვიზიტს აშშ-ში; და რომელთა გამოც ჩემს ერთ ახლობელს სურვილი გაუჩნდა, წერილი გაეგზავნა მათთვის, გისამძიმრებთ პრეზიდენტის წარმატებულ ვიზიტს ამერიკაშიო.

გნებავთ, ავიღოთ „ჩეჩნური ეპოპეა“ აფხაზეთში. მე აქ არ ვეხები იმ უსუსურობას, რომელიც გამოამჟღავნა ხელისუფლებამ ამ საქმეში, ხან რას ამბობდნენ, ხან – რას. ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს. როგორ მოიქცა ამ სიტუაციაში ჩვენი „სიმართლისმოყვარე“ მასმედია? – რასაკვირველია, შეუდგნენ „სიმართლის“ საჯარო გამოძიებას ისეთი გულმოდგინებით, რომ მტრის სპეცსამსახურებისგან ნამდვილი უმადურობა იქნებოდა, მათი ასეთი თავგამოდება არ აღენიშნათ რაიმე „პრიზით“. შეიძლება მითხრან, რუსებს ჩვენი უდღეური ჟურნალისტების დახმარება რაში სჭირდებოდათ, ისედაც ყველაფერი კარგად იცოდნენო. არა, არც მთლად ასეა საქმე, რადგან ასეთ დროს, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თითოეულ წვრილმანს აქვს ხოლმე მნიშვნელობა, რომელთაგან ზოგიერთი „თვით“ რუსის დაზვერვამაც შეიძლება არ იცოდეს; და ჩვენი ტელევიზიის, ვთქვათ, თუნდაც იგივე რეპორტაჟები კოდორის ხეობიდან, აფხაზეთში ჩეჩენ-

თა გადაადგილების მარშრუტის დასადგენად, რუსებისთვის, არ მგონია, ინტერესს მოკლებული ყოფილიყო. მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა, არამედ ის საპროპაგანდო „სამხილი“, რომელიც ხონჩით მიართვა ჩვენმა მასმედიამ თავის რუსეთელ „კოლეგებს“: ნახეთ, თვითონ ქართველი ჟურნალისტები გვიდასტურებენ „ჩეჩენი ტერორისტების“ მხარდაჭერას საქართველოს ხელისუფლებისგანო. საგულისხმოა, ამასთან, ის პანიკაც, რომელსაც აღვივებდა ეგევე მასმედია ხალხში და რომელსაც დასაწყისში ვერც ჩვენი პარლამენტი გადაურჩა, თითქოს მიზნად ჰქონოდეთ, ეჩვენებინათ იმავე რუსეთისათვის ქართველების „პანიკური შიში“ მის მიმართ. და ამითაც ხომ გარკვეული საინფორმაციო დემონსტრაცია მოუწყეს რუსეთს, მისთვის ერთსა და იმავე დროს სასარგებლოცა და სასიამოვნოც.

საერთოდ, ვაკვირდები რა ჩვენს ცხოვრებას ამ თორმეტიოდე წლის განმავლობაში, ხშირად მახსენდება მიხეილ წერეთლის სიტყვები: „გარეშე სატანა“ „შინაური იდიოტების“ მეშვეობით მოქმედებსო. თუ ვინაა ეს „გარეშე სატანა“, ყველამ ვიცით: რუსეთი, ეს საქართველოს არათუ თავისუფლების, თვით მისი არსებობის დაუძინებელი ისტორიული მტერი. ხოლო, რაც შეეხება „შინაურ იდიოტებს“, ასევე გასაგებია, ვინ იგულისხმება ამ სახელქვეშ: ის ქართველები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ წყალს ასხამენ, თავისი სიტყვით თუ საქმით, ამ „გარეშე სატანის“ წისქვილზე. და ამ კონტექსტში დავუბრუნდეთ 30 ოქტომბრის ამბავს და გავიხსენოთ, რა მოხდა იმის შემდეგ, რაც ჩვენმა „ეროვნულმა“ სუკ-მა... უკაცრავად, სუს-მა მოიმოქმედა ეს მტრის გულის გასახარებელი საქმე...

როგორც მოსალოდნელიც იყო (დაწყებულ საქმეს გაგრძელება ხომ სჭირდებოდა, სატანის „საბოლოო მიზნის“ მისაღწევად), ოპერატიულად და ორგანიზებულად შეიკრიბა ხალხი, ძირითადად ახალგაზრდობა, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ, მთავარი მოთხოვნით: გადააგდეს პრეზიდენტი, თავიდანვე აშკარა იყო, რომ ასეთი ოპერატიულობა და ორგანიზებულობა ხალხის სტიქიური „თვითშემოქმედებით“ ვერ აიხსნებოდა და რომ მიტინგს, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა, გარკვეული ძალები ხელმძღვანელობდნენ, არასამთავრობო ორგანიზაციისა და მასმედიის წარმომადგენლების და, რა თქმა უნდა, „რეფორმატორ“ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფის სახით. ყველა საფუძველი

გვაქვს მტკიცებისათვის, რომ ეს „სახალხო“ მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომისა უშუალოდ ამ პოლიტიკური ძალების მიერ იყო ინიცირებული და სამიტინგო დღის წესრიგში დაყენებული, აქედან – პარლამენტზე ზემოქმედების მიზნით.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნებოდა, ამ მოთხოვნის პოლიტიკური მნიშვნელობის უკეთ შესაფასებლად, იმ სიტუაციის გათვალისწინება, რომლის ფონზეც და კონტექსტში დაიწყო და განვითარდა ეს მთელი ამბავი. საქართველოს პრეზიდენტი ჩადის აშშ-ში, სადაც მას ხაზგასმული პატივისცემით იღებენ. ვაშინგტონის ადმინისტრაცია გარკვევით ადასტურებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში საქართველოს პრეზიდენტი აფიქსირებს თავის პროდასავლურ ორიენტაციას და მკვეთრად აკრიტიკებს რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ. ამერიკიდან დაბრუნებული (და, ჩანს, დაიმედებული), იგი მოითხოვს აფხაზეთიდან რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარების და სამხედრო ბაზის გაყვანას. რუსეთის პრეზიდენტი უმალ(!) თანხმდება საქართველოს პრეზიდენტის ამ მოთხოვნას, ოფიციალურად აღიარებს რა, ამასთან, რომ აფხაზეთის პრობლემა საქართველოს საშინაო საქმეა. მიუხედავად ამისა (მე კი ვიტყოდი, სწორედ ამიტომაც) აქტიურდებიან რუსეთის დუმა, სამხედროები, სპეცსამსახურები, მასმედია, იწყება ფართო ანტიქართული კამპანია სიტყვით და საქმით (კოდორის ხეობის დაბომბვები), რუსეთის მთავარ მტრად გამოცხადებულია საქართველოს პრეზიდენტი, რომლის ხელისუფლებისგან ჩამოშორების სასურველობაზე დაუფარავად ლაპარაკობენ. ხოლო ამისთვის რაა საჭირო? – რაიმე დიდი პროვოკაციის მოწყობა, ანუ ისეთი დესტაბილიზაციის გამოწვევა, რომელიც აიძულებს პრეზიდენტს, ვადაზე ადრე გადადგეს. და, მართლაც, გაჩნდა შანსი: მოხდა „რუსთავი 2“-ის სკანდალი. „გარეშე სატანა“ გახარებულია, დღედღეზე მოელის საქართველოს მიმართ თავისი ნომერ პირველი ამოცანის, ეს კი პრეზიდენტის გადადგომაა, გადაწყვეტას ჩვენივე „შინაური იდიოტების“ მეოხებით. ხოლო ასეთი თანხვედრა ინტერესებისა ჩვენს „რეფორმატორებს“ სულაც არ აღელვებს, ავრცელებენ რა ხმებს, ამერიკელები მხარს გვიჭერენო. თუ როგორ უჭერენ ამერიკელები მათ მხარს, ეს კარგად ჩანს იმ დოკუმენტიდან, რომელსაც ზეპირ პროპაგანდირებას თვითონვე უწევენ და

რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება: „აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გაბედული ნაბიჯის მნიშვნელობა, რომელმაც დააჩქარა კორუმპირებული მინისტრების ჩამოშორება, რაც აღინიშნა კიდეც პრეზიდენტ შევარდნაძის ინტერვიუში. ამავე დროს ჩვენ (ამერიკული მხარე – საელჩო) ვაცნობიერებთ, რომ დემაგოგიური ხასიათისა და თვითრეკლამის კამპანია, რომელსაც გარკვეული პიროვნებები აწარმოებენ, დესტრუქციული ხასიათისაა და აფერხებს იმ რეფორმების მხარდაჭერასა და გატარებას, რომლებიც საქართველოს ესოდენ ესაჭიროება. უნდა შეიქმნას „საქმის გამკეთებელი“ თანამოაზრეებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც მხარში ამოუდგება პრეზიდენტ შევარდნაძეს ქვეყნისათვის ამ უმწვავეს მომენტში“. ვგონებ, ყველაფერი გარკვეულია, მათ შორის, იმ „გარკვეული პიროვნებების“ ვინაობაც, რომლებიც „დემაგოგიური ხასიათისა და თვითრეკლამის კამპანიას“ ეწევიან. და კიდევ: დოკუმენტში გარკვევითაა ლაპარაკი პრეზიდენტის „გვერდში ამოდგომა“-ზე და არა მის გადაყენებაზე.

მაგრამ ეს ჩვენი პოლიტიკოსები, ხელისუფლებისკენ სწრაფვის მანიაკალური ვნებით შეპყრობილნი, არა და არ ცხრებიან, აშკარად ცდილობენ რა პოლიტიკური დაძაბულობის ესკალაციას, სანამ არ მიაღწევენ სასურველს: „ლეგიტიმურ“ სახელმწიფო გადატრიალებას, კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანით. საუბარი ეხება, სახელდობრ, ვადამდელი საპარლამენტო და, რაც მთავარია, საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პარლამენტი და პრეზიდენტი არ დასთანხმდებიან მათს მოთხოვნებს, ისინი იმუქრებიან ახალი მასობრივი მიტინგებითა და დემონსტრაციებით. დააკვირდით ამ მათს „პოლიტიკურ“ მეთოდებს, ტერორისტულსა და შანტაჟისტურს, და წარმოიდგინეთ ისინი ხელისუფლებაში, რა დღეს დაათევენ ქვეყანას, რადგან ასე ყოფილა ყოველთვის: საქმე, რომელიც დემაგოგიით იწყება, მთავრდება ტირანიით. ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ ამ ადამიანების თვითრეკლამას, როგორც „პატრიოტებისა“ და „ევროპელების“, ჩემთვის, პირადად, რაღაც აზეფიზმის მაგვარი „რუსული“ სუნი უდის. წინააღმდეგ, საიდან ეს მათი „სიყრუე“ „გარეშე სატანის“ ამ ჟივილ-ხივილში, „გიხაროდენ“ (ერთი პარტიული სიმღერისა არ იყოს), საქართველოს პრეზიდენტის დღეები დათვლილიაო. რა, მართლა იდიოტები არიან? – დაე, ეს კითხვა ღიად დარჩეს, სავინიცობოდ.

ხოლო არ შემიძლია, აქვე არ შევეხო, რაკიღა დემაგოგებსა და დემაგოგიაზე ჩამოვარდა საუბარი, იმ დემაგოგიურ სპეკულაციებს „ხალხის“ თემაზე, რომლებსაც პარლამენტის იმ ღირსახსოვარ სხდომაზე ჰქონდა ადგილი. გაისმა მოწოდება, გარეთ „ბავშვები, ახალგაზრდები“ გველოდებიან (იგულისხმებოდნენ მიტინგზე შეკრებილები) და ჩვენგან პასუხს ელიან თავის მოთხოვნებზეო. ეს „ბავშვები“ როგორ მოგწონთ? – თუ ბავშვები იყვნენ, მათ მშობლებიც უნდა ჰყავდეთ, რომელთა მოვალეობაცაა, ამ თავის ბავშვებს მიჰხედონ, და, თუ საჭირო იქნება, კუთხეშიც დააყენონ, პოლიტიკაში ნუ ეჩრები, შენი საქმე სწავლააო. ვის ჰსმენია, ბავშვები წყვეტდნენ საქმეს, ესა თუ ის მინისტრი უნდა დარჩეს თანამდებობაზე თუ არა? მაინც რას ნიშნავს ეს „ბავშვების“ არგუმენტი: დემოკრატიის ინფანტილიზაციას? ხოლო, რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ უნდა შევაგნებინოთ, რომ საქართველოში წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, სხვა თანამედროვე სახელმწიფოთა მსგავსად, და არა უშუალო დემოკრატია, როგორც ეს ძველად იყო, როდესაც მთელი მოსახლეობა, სადმე მინდორზე შეკრებილი, წყვეტდა სახელმწიფო საქმეებს; და რომ თვით ისინი, ასეც რომ იყოს, სულაც არ წარმოადგენენ, რაოდენობრივად, საქართველოს მთელ მოსახლეობას, არამედ შეადგენენ მის მხოლოდ ერთ უმნიშვნელო ნაწილს. ასევე ზედმეტი არ იქნებოდა, განგვემარტა ამ ახალგაზრდებისათვის (და ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარისთვისაც), რომ კონსტიტუციური დემოკრატია გულისხმობს კონსტიტუციისადმი მორჩილებას არა მარტო ცალკეული მოქალაქის, არამედ მთელი ხალხისაც, რომელიც თავის სუვერენიტეტს ახორციელებს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებში; და, ბოლოს, ისიც გვერჩია მათთვის, რომ საერთოდ, ამგვარ საქმეებში ფრთხილად იყვნენ და არ აჰყვნენ დემაგოგიებს. რამდენადაც ვიცი, ბევრმა ახალგაზრდამ თავად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას და დემაგოგებს ზურგი შეაქცია.

დასასრულ, ისღა დამრჩენია, რომ მკითხველის ყურადღება მივაპყრო ჩვენს **მთავარ** პრობლემას: საქართველოს **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის** საქმეს. მე, ცხადია, არ ვიცი, კონკრეტულად რაში გამოიხატა რუსეთის სპეცსამსახურების საკუთრივი წვლილი ამ არეულობის ორგანიზებაში (არეულობასაც ორგანიზება სჭირდება), მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ის, რომ ჩვენ, ხალხსაც და ხელისუფლებასაც, მოგვიხდა აფხაზეთიდან ყურადღების

გადატანა სულ სხვა რამეზე, ნამდვილ პოლტიკურ **მარცხად,** თუნდაც დროებითად, მაგრამ მაინც, უნდა ჩაგვეთვალოს ყველას, დიდსაც და პატარასაც, მარცხად – რუსეთის პირისპირ. ამიტომაც, ვისაც ჭკუა და სინდისი კიდევ შეგვრჩენია, ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რაც შეიძლება მალე ჩავაყენოთ ჩვენი ქვეყანა შედარებითი სტაბილურობის (გნებავთ, ჩვენთვის „ჩვეულებრივად“ ქცეული „ნორმალური არასტაბილურობის“) პირობებში, რათა მთელი ძალ-ღონე მივმართოთ დღევანდელი საქართველოსთვის იმ უმთავრესი და გადაუდებელი საქმის მოგვარებაზე, რომელსაც, ვიმეორებ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. ხოლო, ვინც არსებული კრიზისიდან გამოსავალს რიგგარეშე არჩევნებში ხედავს (როგორც ამას გვირჩევენ ჩვენი „შინაური იდიოტები“, ალბათ, „გარეშე სატანის“ „ტელეპათიური“ თვალის ჩაპაჭუნებით), მას გავახსენებ სულ ახლახან ჩატარებულ ვაკის არჩევნებს, რომელიც მონაგონი იქნება **იმ** არჩევნებთან, თანაც **მთელი საქართველოს** მასშტაბით. და მაშინ რა სტაბილურობა ეღირსება ჩვენს ქვეყანას და რა ტერიტორიული მთლიანობა, – ეს ღმერთმა ნუ გვანახოს.

რაა ეს: უმეცრება, უჭკუობა თუ შეგნებული პროვოკაცია?

მხედველობაში მაქვს ის აურზაური, რომელიც ატეხილია ჩვენში მავანთა „პატრიოტული“ თავგამოდებით, მოქალაქეთა პირადობის მოწმობებში **ეროვნების** აღნიშვნა-არაღნიშვნის საკითხის გამო. მოსალოდნელია, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება – მოქალაქის პირადობის მოწმობაში არ აღინიშნოს მისი ეროვნება, შეცვლილი იქნება „საზოგადოებრივი აზრის“ ზეგავლენით. ამიტომაც, ასეთი პერსპექტივის გათვალისწინებით, საჭიროდ მივიჩნიე კიდეც ამ წერილის გამოქვეყნება.

სიტყვა „ერს“, როგორც ცნობილია, ორგვარი მნიშვნელობით ხმარობენ ხოლმე: ერის, როგორც ასეთის, მნიშვნელობით და ერისა, ვითარცა **სახელმწიფოსი**. მაგალითად, გაეროს სახელწოდებაში („გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“) წარმოდგენილი „ერი“ გულისხმობს ერს არა იმ მისი პირველი გაგებით (ე.წ. Kulturnation-ს) არამედ მაინცდამაინც სახელმწიფოს (ანუ, შესაბამისად, Staatsnation-ის) სახით.

ახლა ეს ვიკითხოთ: **მოქალაქეობის** ცნებას ერის მაინც რომელი გაგება მიესადაგება? – აშკარაა, მეორე, რამდენადაც ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ **სახელმწიფოს** მოქალაქე შეიძლება იყოს და სხვა არაფერი, რის გამოც ითქმის კიდევაც, რომ ცნება მოქალაქეობისა **პოლიტიკური** ცნებაა, ან უკეთ, **უფლებრივ**-პოლიტიკური. ხოლო აქედან – „ეროვნების“ შესატყვისი მნიშვნელობაც, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის აღმნიშვნელის. მართლაც, როცა ვკითხულობთ, ვთქვათ, საფრანგეთის მოქალაქე ვინმე ქართველის პირადობის მოწმობაში, ეროვნებით ფრანგიო, ამით ამ ადამიანის სწორედ ეს მოქალაქეობაა მითითებული, რომელსაც ამდენად არაფერი აქვს საერთო იმ მის ეროვნებასთან, ჩვეულებრივ რომ გვაქვს ხოლმე მხედველობაში. ასე რომ, ჩავწერეთ ჩვენს სამოქალაქო მოწმობებში „ეროვნებით ქართველი“ თუ „საქართველოს მოქალაქე“, ამას თავისთავად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან „ეროვნება“ და „მოქალაქეობა“ ამ შემთხვევაში სინონიმურნი არიან: მოცემული სახელმწიფოს ყველა მოქალაქე **პოლიტიკურად**, ე.ი. თავისი **მოქალაქეობრივი** ვინაობით, **ერთი** ეროვნებისაა, **დამოუკიდებლად და მიუხედავად** იმისა, თუ რა ეროვნებისაა ცალკეული მათგანი თავისი **კულტურული** ვინაობით.

ჩვენებური „პატრიოტები“, ამხედრებულნი, ვითომც მის დასაცავად, ქართული ეროვნებისათვის, რომლის სახელქვეშაც ისინი, ალბათ(?), ამ კულტურულ ვინაობას გულისხმობენ, ამ შემთხვევაში ორ რასმე ივიწყებენ: ჯერ ერთი, იმას, რომ ეს მათი „ზრუნვის საგანი“ ეროვნება ჯეროვნად წარმოდგენილია თვით ქვეყნის სახელით („საქართველო“), და მეორეც, რომ ამ სახელით არსებულ **სახელმწიფოში** სხვა ეროვნების ადამიანებიც ირიცხებიან მოქალაქეებად, რომლებიც, აგრეთვე ქართველები არიან, ოღონდ უკვე ამ სიტყვის წმინდა **პოლიტიკური** გაგებით, სულ ერთია, ეს მათი „ქართველობა“ ჩაწერილი იქნება მათს პირადობის მოწმობაში, თუ – არა.

გარდა ამისა, ჩვენი ეროვნების ეს „ქომაგნი“ არ უფიქრდებიან (თუ პირიქით, „ძალიანაც“ უფიქრდებიან?), რომ წარმოშობით არაქართველ მოქალაქეთა ეროვნების ამგვარი დაფიქსირებით ისინი საქართველოს ვითომდაც „მრავალეროვნების“ პოლიტიზებას უწყობენ ხელს, ამ სხვადასხვა ეროვნებისთვის **პოლიტიკური სტატუსის** მინიჭებით, რასაც არც ერთ ნამდვილ ცივილიზებულ სახელმწიფოში არ აქვს ადგილი იმ შემთხვევათა გარდა, როცა სხვა რომელიმე **ერი** ცხოვრობს კიდევ ამ ქვეყანაში (როგორსაც ჩვენში მხოლოდ აფხაზები წარმოადგენენ). იმ გარემოებას, რომ საქართველოს ესა თუ ის მოქალაქე ებრაელია, ან სომეხი, ან აზერბაიჯანელი, სახელმწიფოსთვის არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს, მაშინ, როდესაც ეროვნებათა „საპასპორტო“ გაფორმებით მათ სწორედ ასეთი მნიშვნელობა მიენიჭება. ვიმეორებ, საქართველოს მოქალაქეობა ადამიანს უნდა ჰქონდეს არა იმის საფუძველზე, რომ იგი ებრაელია, სომეხია, აზერბაიჯანელი, არამედ – დამოუკიდებლად, მიუხედავად ამისა. „პატრიოტები“ კი ამ დროს გვეუბნებიან, არა, დაე ებრაელს, **როგორც** ებრაელს, სომეხს, **როგორც** სომეხს, აზერბაიჯანელს, **როგორც** აზერბაიჯანელს, დაუკანონდეს (პირადობის მოწმობაში შეტანით!) ქვეყნის მოქალაქეობა, ოღონდაც ასევე აღინიშნოს ჩვენი ეროვნებაც, რომელსაც უამისოდ დავკარგავთო! მაინც, როგორ მოგწონთ „ეროვნების დაკარგვის“ ეს საფრთხე და მისგან უზრუნველმყოფი საშუალება – „ეროვნების პასპორტიზაცია“? ხოლო, თუკი ეს „მტრის ჯინაზე“ მაინც მოხდა და მით ქვეყნის არაქართველ მოსახლეობას დაუმოწმდა კიდეც საქართველოს მოქალაქეობა მის ეროვნებასთან დაკავშირებით, რატომ არ უნდა მოველო-

დეთ, რომ იმ რაიონებიდან, სადაც ამგვარი მოსახლეობა კომპაქტურად მკვიდრობს, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს მთავრობას მოესმას ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა, ჯეროვნად „არგუმენტირებული“ მოქალაქეობის უკვე ამ „ნაციონალიზებული“ უფლებით.

ამ საკითხზე, ცხადია, კიდევ ბევრი რისმე თქმა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია. ხოლო დასასრულს, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი გარემოება, ეს „პატრიოტები“ გვარიანად **დემაგოგებიც** ბრძანდებიან, რაც, სხვათა შორის, თავს იჩენს იმ „ქუჩის კამპანიაში“, რასაც „ხალხის“ გამოკითხვას უწოდებენ ხოლმე. საკითხი კი იმდენად **სპეციფიკურია**, რომ მასზე პასუხს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთაგან ჭკუადამჯდარი კაცი არ უნდა მოელოდეს. მაგრამ ამ კამპანიას, ჩემი აზრით, სხვა მიზანიც აქვს, – ხელისუფლების **შანტაჟირება** შექმნილი მითქმა-მოთქმის პროვოკაციული ქვეტექსტით: ხედავთ, მამულიშვილნო, „კრემლის აგენტები“ ეროვნებასაც გვართმევენო! ნუთუ ამჯერადაც დემაგოგებს დარჩებათ ბურთი და მოედანი? ნუთუ პარლამენტი და პრეზიდენტი პროვოკაციის ამ ანკეესს წამოეგებიან? ნუთუ, ერთი დიდი ქართველის ნათქვამისა არ იყოს, „შინაური იდიოტების“ პირით მეტყველი და ხელით მოქმედი „გარეშე სატანის“ გულის გასახარელს ჩავიდენთ ახლაც?

წერილები
ლიტერატურაზე

ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობისათვის

ამა თუ იმ მოაზრეზე, მის ნააზრევზე, ცხადია, ვერ შევიქმნით საჭირო წარმოდგენას, თუკი ზუსტად და ნათლად არ გვექნება გათვალისწინებული, თუ **რისი** მოაზრეა ეს ადამიანი, ანუ რაა მისი სააზროვნო საგანი. თავდაპირველი კითხვა ამგვარ კვლევა-ძიებისას სწორედ სააზროვნო ობიექტის **რაობას** ეხება.

ჩვეულებრივ ეს კითხვა საგანგებო განხილვის საგანი არაა ხოლმე, რამდენადაც უმრავლეს შემთხვევაში წინასწარ ცნობილია შესასწავლი ავტორის დარგობრივი ვინაობა, და, შესაბამისად, რაობაც იმ საქმისა, რომელიც მოცემულ დარგში იგულისხმება და რომლის ზოგადდარგობრივ კონტექსტშიც ბუნებრივად ისაზღვრება თვითონ ამ მოაზრის სპეციალური ინტერესის საგანიც. მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და სხვა მისდაგვარ მოაზრეთა (ე.წ. პუბლიცისტ ლიტერატორთა) შემთხვევაში ზემოხსენებული საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ თავისი თემატიკით ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერები (ამ წერილში არსებითად საკუთრივ მათზე მაქვს საუბარი) მეცნიერების (ფილოსოფიის ჩათვლით) სხვადასხვა დარგს ეკუთვნიან, თუმცა მათი ავტორი არც ერთი ამ დარგის, როგორც ასეთის (ამ აზრით „ნამდვილი“) წარმომადგენელი არაა. ხოლო თუკი ეს ასეა, მაშინ რაღა ანიჭებს ილიას აზრს იმ ავტორიტეტს, რომელიც დღესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრების ცოცხალი ისტორიული ფაქტია და მისი რეალური კულტურული ფაქტორი? როგორც ვხედავთ, აქ კითხვა ეხება ილიას, როგორც მოაზროვნის, კომპეტენციის სფეროს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სფერო მისი სააზროვნო საქმისა: თავისთავად იგულისხმება, რომ ილიას კომპეტენციის საგანი ამ შემთხვევაში მისი სააზროვნო საგანია, რომლის რაობის გარკვევაც მოგვცემს პირდაპირ პასუხს კითხვაზე, თუ რაშია, კონკრეტულად ილია ჭავჭავაძე ნამდვილად კომპეტენტური (ამ სიტყვის სპეციალური მნიშვნელობით), როგორც მოაზრე. ეგევე პასუხი იქნება საკმარისი იმის გასათვალისწინებლადაც, თუ რა ანიჭებს ილიას აზრს, ვთქვათ – რაიმე ეკონომიკურ საკითხზე გამოთქმულს, იმ ავტორიტეტს („მიუხედავად“ სათანადო კრიტიციზმისა), რომელზეც ზემოთ ითქვა. უეჭველია, ილია ჭავჭავაძის თვით სააზროვნო საგანი არის დარგობრივ სხვადასხვა საკითხთა შემცველი და ილიაც თავის

უშუალო საგანზე სავსებით სუვერენულად მწერალი, შესატყვისი კომპეტენტურობით განიხილავს ამ საკითხებსაც ხსენებული საგნის კონტექსტში, მის სისტემაში. ვნახოთ, რა მიაჩნია თვითონ ილიას თავისი აზრის საგნად: რის მოაზრედ თვლის იგი თავის თავს? ამ საკითხზე მწერალს არაერთი გამონათქვამი აქვს, რომელთაგან აქ მხოლოდ ორს მოვიყვან.

საპროგრამო დანიშნულების წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ (1863) ილია ჭავჭავაძე ასე საზღვრავს თავის სამოღვაწეო, შესაბამისად – სააზროვნო, საგნის რაობას: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ [4, ტ. III, გვ. 66]. ხოლო „ივერიის“ წინასიტყვაობაში“ (1877), ეხება რა საერთოდ ლიტერატურის, კერძოდ, პრესის საგანს, ილია წერს: „როგორც მთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს“ [4, ტ. III, გვ. 256]. ამგვარად, საგანი ლიტერატურისა (ხოლო ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, სწორედ **ლიტერატურის** წარმომადგენელია მთელი თავისი შემოქმედებით, ვითარცა კულტურის გარკვეული დარგისა, განსხვავებულის, როგორც საკუთრივ მეცნიერებისაგან, ასევე ფილოსოფიისაგან), თვითონ ილიასავე თქმით, **ცხოვრება** ყოფილა, ადამიანის ცხოვრება, რაშიც ავტორი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ცხოვრებას იმ „კოლექტიური ადამიანისა“, რომელიცაა **ერი**, და ასე გაგებული ცხოვრების კონტექსტში – ცხოვრებას ცალკეული კაცისას, ვითარცა **ერის-შვილ** ინდივიდთა. ილიას მიერ „ადამიანის ცხოვრება“ რომ სწორედ ასეა გაგებული, ეს კარგად ჩანს, სხვათა შორის, უკვე ციტირებული ადგილიდანაც, სადაც საუბარია „საქართველოს ხალხის ცხოვრება“-ზე (და სწორედ ამ ცხოვრების სისტემაში – ინდივიდისაზეც).

ხოლო ერთ ცნობილ ლექსში („ჩემო კარგო ქვეყანავ...“) ილია ჭავჭავაძე უკვე „ქვეყანა“-ზე ლაპარაკობს, როგორც ასეთსავე „ზრუნვის საგან“-ზე. მაგრამ, თუკი ზუსტნი ვიქნებით, ილიას სააზროვნო საგნის განსაზღვრაში, ამ შემთხვევაშიც უნდა ვთქვათ, რომ ზრუნვის საგანი ამ მოაზრისა და ამ სახით მისი აზროვნების საგანიც (ზრუნვა – აზროვნება), მისივე ფორმულის თანახმად, „**საქართველოს ხალხის ცხოვრება**“-ა, რითაც ხაზგასმულია ხსენებული საგნის იდეაში **ეროვნულ-ტერიტორიული** (“სა-

ქართველოს“) და **დემოკრატიული** („ხალხის“) მომენტები, გვაქვს რა ამგვარად, ეროვნულ-დემოკრატიული ფორმულა საგნისა, მასში ტერიტორიული მომენტის (ეროვნული საცხოვრისის, რომლის გარეშეც ერის ცხოვრებას მართლაც რომ „ადგილი“ არ აქვს) სპეციალური აღნიშვნით. „საქართველო“ (ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ეს ტერმინი გვაინტერესებს) გარკვეული ქვეყნის სახელია, ქვეყნის – როგორც კულტურულ-ისტორიული ერთეულის აღმნიშვნელი. იგი ქვეყნის, ვითარცა გარკვეული **ერის სოფლის** (სახელ-დობრ: ქართველი ერის...), როგორც ამ ერის **სასუფევლის**, მისი „**საუფელი**“ [I, გვ. 78-79] **სახლ** ქვეყნის („სახლი“ – სამფლობელო [3, გვ. 452]), სახელი არის. ფორმულა, რომელიც ზრუნვის საგნად საზღვრავს „საქართველოს ხალხის ცხოვრებას“, გულისხმობს თავის თავში ქვეყნის (რომელიც სოფელია, ჩვენს შემთხვევაში – საქართველო), როგორც ზრუნვის საგნის, იდეას: ქვეყანა ზრუნვის საგანია იმ აზრით, რომ ამ ქვეყნის ხალხის (რომელიც არის კიდეც ერი, უკანასკნელის დემოკრატიული გაგებით: „საქართველოს ხალხი“ – ქართველი ერი, ხსენებული სოფელ-ქვეყნის, როგორც მაინც და მაინც „საქართველოს“, ერთადერთი **მკვიდრი**) ცხოვრებაა ეს ზრუნვის საგანი. ამ „ქვეყანა“-ში იგულისხმება სოფელი, რომლადაც ყოფნა (ქვეყნის სოფლ-ობა) არის კიდეც თვითონ ცხოვრება, ქვეყნის ამ სოფლობის (სოფლად ყოფნის) ნამდვილი შინაარსი. ასე რომ, ქვეყანაზე ზრუნვაში იგულისხმება ზრუნვა ქვეყანაზე, როგორც სოფელზე, რომლადაც ჰიპოსტასირებულია ქვეყნის მასოფლებელი („მათავისოფლებელი“, თუკი ასე ითქმის) ერის სათანადო ცხოვრება – შემოქმედება. ქვეყანაზე ზრუნვა არის ზრუნვა ერზე, რომელიც მკვიდრია გარკვეული ქვეყნისა, და, როგორც ასეთი, ყოფს ამ ქვეყანას თავის სოფლად. ხოლო ერზე ზრუნვა, თავის მხრივ, არის ზრუნვა ამ ერის ცხოვრებაზე, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, არის შინაარსი ქვეყნის სოფლობისა, მაგალითად: გარკვეული ქვეყნის, სადაც მკვიდრობს ქართველი ერი, ამ ქვეყნის მასოფლებელი, საქართველოობის (ასეთი სოფლად-ყოფნის) შინაარსი. ერთი სიტყვით, ლაპარაკობს რა, ზოგჯერ, ქვეყანაზე, როგორც ზრუნვის საგანზე, ილია ამ საგანში გულისხმობს „ქვეყნის ცხოვრებას“, ე.ი. ცხოვრებას ამ ქვეყნის მკვიდრი ერისა, რომელიც ხსენებული ქვეყნის, ვითარცა თავისი სოფლის, სუბიექტია. ილია ჭავჭავაძის მთელი ნააზრევის ანალიზიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება ჩვენს

საკითხთან დაკავშირებით: მწერალს თავის სამწერლო (სააზროვნო) საგნად ცხოვრება მიაჩნია, სახელდობრ – ერის ცხოვრება, რომელიც, ლოკალიზებულ-გაფორმებული ტერიტორიულად, ქვეყნის სახელადაც გვევლინება.

თვითონ „ცხოვრება“-ში რომ ილია ყოფიერებას, ანუ უფრო მარტივი სიტყვით, ყოფნას, გულისხმობს, ეს ცხადია და ამაზე აღარას ვიტყვი. ხოლო საკითხი ეხება იმას, თუ კონკრეტულად როგორ წარმოუდგენია ამ მოაზროვნეს ეს ზრუნვის საგანი ცხოვრება, რას აზრობს იგი მასში.

ამ საკითხზე ილიას არ დაუწერია საგანგებო ნაშრომი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა შეგვექმნა თეორიულად მწყობრი და თანმიმდევრული წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ესმის თვითონ მწერალს თავისი სამწერლო საგნის რაობა, რას გულისხმობს იგი მის ცნებაში. ასეთი ნაშრომის შექმნა არც შედიოდა ილიას სამოღვაწეო ამოცანაში, რადგან მას, ავტორს, საქმე ჰქონდა არა რომელიმე ვიწრო აკადემიურ წრესთან, არამედ მთელ ერთან, რომელსაც იგი, ცხადია, ვერ დაელაპარაკებოდა აკადემიური ენით, არამედ რომლის ცნობიერებაზეც მას გავლენა უნდა მოეხდინა თვით ცხოვრებასავით ბუნებრივი, ყოველგვარი აკადემიური პირობითობისაგან თავისუფალი ცოცხალი სიტყვის მეშვეობით: ილია ჭავჭავაძე ფილოსოფოსი, ან მეცნიერების რომელიმე დარგის კაცი კი არაა, არამედ ერის მოძღვარია, რომელიც თავის „აუდიტორიას“ ესაუბრება ცხოვრების ცოცხალ ენაზე და არა მეცნიერების მიერ ხელოვნურად შემუშავებული აბსტრაქტული ტერმინებითა და ფორმულებით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თვითონ ილიას მოაზრებული არ ჰქონდეს, მოაზრებული – სისტემურად და მეთოდურად, ცხოვრების გარკვეული კონცეპცია: ილია ჭავჭავაძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ნათელყოფს სწორედ იმას, რომ მწერალს იდეა ცხოვრებისა გარკვეულ მეცნიერულ-ფილოსოფიურ საწყისებსა და მონაცემებზე აქვს შემუშავებული, ოღონდ მას გადმოგვცემს, რამდენადაც ამას თვით საგნის ინტერესი მოითხოვს, ცხოვრების თავისუფალ, ბუნებრივ ენაზე, როგორც ეს შეეფერება კიდეც ნამდვილ „ცხოვრების მოძღვარს“.

ახასიათებს რა ე.წ. „უარმყოფლობის“ წარმომადგენელთ, იმ დროს რომ გამოჩნდნენ ჩვენში, ილია წერს: „კაცი, მაგალითებრ, მოგითხრობთ, რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვ-

რია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია, არც ჭკუა და გონება უმოქმედებია და არც გული და გრძნობა გამოუ-ჩენიაო, არც წესი და რიგი ცხოვრებისა გამოურკვევია, არც არაფრის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთი სიტყვით, ისტორია არ ჰქონიაო“ [4, ტ. III, გვ. 298]. რამდენადაც ისტორია ილიას გაგებით, იგივე ცხოვრებაა („ცნობიერი ცხოვრება“), რომელსაც ერი აწარმოებს (ჩვენ კი სწორედ ერის ცხოვრება გვაინტერესებს, ე.ი., ილიას მიხედვით, ცხოვრება, როგორც ისტორია). ციტირებული სიტყვებიდან პირდაპირ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, თუ ცხოვრება-ში კონკრეტულად რას აზრობს, რას გულისხმობს მწერალი. თუკი განვაზოგადებთ ყოველივე იმას, რასაც აქ ჩამოთვლის ავტორი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრება ილიას გაგებით, არსებითად **შემოქმედება** ყოფილა, შემოქმედება როგორც აზრის, ასევე საქ-მის სარბიელზე, და, საერთოდ, ყოველივე ის, რაც შეადგენს კა-ცის **ადამიან-ობას**, მის ასეთს (ე.ი. ადამიანად) ყოფნას. ასეთი გა-გება ცხოვრებისა, მისი შინაარსისა, თავიდან ბოლომდე გასდევს ილიას აზროვნებას, თუმცა, ვიმეორებ, ცალკე, სპეციალურად, ავტორს არსად ჩამოუყალიბებია იგი, ისევე როგორც თავისი სხვა დებულებანიც ამავე თემაზე... ხოლო რა დასკვნის გაკეთება შე-იძლება იქიდან, რაც ზემოთ ითქვა ცხოვრების ამ ილიასეული გა-გების გამო?

ცხოვრების უმარტივესი იდეა **ყოფნის** იდეაა, რომელსაც განვიხილავ, როგორც Sein-ტერმინის ზუსტ შესატყვისს. ხოლო ამ ყოფნას ორი ასპექტი აქვს, რომელთა მიხედვითაც იგი (ეს ყოფნა) წარმოგვიდგება, ვითარცა **სადმე-რადმე-ყოფნა**. ვლაპარაკობთ რა კაცის ყოფნაზე, გასაგებია, თუ **რად**-ყოფნა იგულისხმება მასში: ესაა კაცის (ერის) ადამიანად ყოფნა, ამ აზრით ადამიან-ობა („ობა“||„-ება“ – ყოფნა). ხოლო ასევე ცხადია ისიც, თუ სად-ყოფნა იგულისხმება ამავე ყოფნაში: სოფლად-ყოფნა. თუკი ყოფ-ნის ამ ორ ასპექტს ერთდროულად წარმოვადგენთ, მივიღებთ ცხოვრების, ვითარცა კაცის სოფლად ადამიანობის, ე.ი. მისი სოფლად ადამიანად-ყოფნის (გინა ადამიანად სოფლად-ყოფნის...) იდეას. ხოლო ყოფნის სინონიმად შეგვიძლია ვიხმაროთ „გება“, რომლის შემოტანითაც სათანადო გამოთქმაში იგივე იდეა მიი-ღებს ასეთს სიტყვიერ-საზრისობრივ გამოხატულებას: სოფლად-გება (ცხოვრება) – სოფლად ადამიანად-გება (ამ უკანასკნელის სახით – ზუსტად: სოფლად-ადამიანობა). ჩვეულებრივ, ცხოვრება

იაზრება როგორც სოფლად-გება („კაცის ცხოვრება“ – კაცის სოფლად-გება), მაშინ როდესაც ზემოხსენებული იდეა ცხოვრებისა განმარტავს ამ „სოფლად-გებას“ ვითარცა ისევ სოფლად-გებას – რად? – ადამიანად („ყოფნის“ იდეის ანალოგიურიად „გების“ იდეის ორმაგი ასპექტი: სადმე-რადმე-გება). „გების“ შემოტანა საშუალებას გვაძლევს, ცხოვრების ვითარცა სოფლად-ადამიანობის იდეას ასეთი განმარტება მივცეთ: ცხოვრება, ანუ სოფლად-ადამიანობა, სხვა არაფერია, თუ არა **სოფლად-გება, ვითარცა სოფლის გაგება-აგება**. ცხოვრების ეს იდეა სრულ შესატყვისობაშია ცხოვრების იმ გაგებასთან, რომელიც ილიას სათანადო ნააზრევშია წარმოდგენილი. ეს იდეა გამოხატავს ცხოვრების, ვითარცა **შემოქმედების** „სოფლის მაშენებლობის“ როგორც იდეალურ, ასევე პრაქტიკულ სფეროში) და „**სოფლისთვის ზრუნვის**“ (ზემოხსენებულ შემოქმედებაში საქმიანად გაცხადებულის) გაგებას, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ფილოსოფიის დედააზრია. რა თქმა უნდა (და ეს უკვე აღინიშნა ზემოთ), სოფელზე ზრუნვა (და შესაბამისი შემოქმედება) არის ზრუნვა თვით იმ ყოფიერებაზე (ცხოვრებაზე), რომელიც, როგორც ვთქვი, სხვა არაფერია თუ არა ადამიანობა, და რომელიც არის შინაარსი ქვეყნის სოფლობისა, ანუ სოფლის, როგორც ასეთის, ყოფნისა: სოფელი არის ქვეყანა, რომლის უპირველესი მახასიათებელი საზოგადოებაა, საზოგადოებრივი ყოფიერება [1. გვ. 99] (გავიხსენოთ „სოფლის“, ამ აზრით, „ქვეყნისა“-ც, ვითარცა საზოგადოების (ერის, ხალხის...) და შესაბამისად, ყოფიერების (ცხოვრების, ყოფის...) მნიშვნელობა, დამახასიათებელი არა მარტო ჩვენი ენისათვის). სოფლის (იმავე „ქვეყნის“, ვითარცა „მამულის“, „სამშობლოს“, ხოლო საკუთრივი სახელდებით, ჩვენს შემთხვევაში, „საქართველოს“), როგორც „ზრუნვის საგნის“ იდეა ილია ჭავჭავაძის სოფლხედვის შუაგული იდეაა, რომლის პოეტური გამოთქმის ნიმუშებია „ჩემო კარგო ქვეყანა“, უკვე მოხსენიებული, და „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული...“, რომელთა ანალიზისათვის აღნიშნული აზრის დასამტკიცებლად, სამწუხაროდ, აქ ადგილი არაა. ამავე ლექსებში ნათლადაა გამოხატული გაგებაც ზრუნვისა, რომელიც ცხოვრების შინაარსია, ვითარცა – შემოქმედების, აზროვნებისა თუ საქმიანობის სახით.

„ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორი დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ

ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერის მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი, უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა“ [4, ტ. V, გვ. 342]. აზრი ნათელია: ილია ცხოვრებაში სიცოცხლის წარმოებას ხედავს, როდესაც ერი (ადამიანი), ცხოვრების სუბიექტი, ამ გაგებით, თავისი მაცხოვარი (მაცოცხლებელი) გამოდის და, მაშასადამე, თვითონ ცხოვრებაც, შესაბამისად, ვითარცა თავის-მაცხოვარება გვევლინება (ცხოვრება – თავის მაცხოვარება). ციტირებული სიტყვები უეჭველად მოწმობენ, რომ ილიას ცხოვრება, თანახმად მისი ჭეშმარიტი, ანუ კულტურული საზრისისა, სწორედ როგორც აი ეს თავის-მაცხოვარება[1] ესმის, ე.ი. **თავის-მაცხოვრად** ყოფნა (ამ აზრით – ადამიანობა) ერისა (და ერის-შვილ – ინდივიდ კაცთა). ადამიანობა თავის-მაცხოვარებაა და ცხოვრებაც, როგორც სოფლად-ადამიანობა, შესაბამისად, ვითარცა სოფლად-თავისმაცხოვარება ისაზღვრება. ხოლო თავის-მაცხოვარი მხოლოდ **თავის-უფალი**[2] შეიძლება იყოს, საიდანაც გვაქვს კიდეც **ცხოვრების ვითარცა თავის-უფლების, ანუ სოფლად თავის-უფლად ყოფნის**, იდეა. ამგვარად, ცხოვრება, განსაზღვრული როგორც თავის-მაცხოვარება, შესაბამისად იაზრება, ვითარცა თავის-უფლება (ადამიანი – თავის-უფალი არსება, რომლის არსებობაც, ანუ ასეთ არსებად ყოფნა სოფლად, იგივე სოფლად-ადამიანობა, როგორც თავისუფლებაა (||თავისუფლობა) შესაძლებელი), რომლის გარეშეც, ცხადია, შეუძლებელია ცხოვრების ვითარცა შემოქმედების გაგებაც. ილია, როგორც ცხოვრების მოაზრე (საა-ზროვნო საგანი – ცხოვრება), ამ საგნის შესატყვისად წარმოგვიდგება, ვითარცა მოაზრე თავისუფლებისა, იგულისხმება რა ამ უკანასკნელის სახით თვითონ ცხოვრება თავისი ჭეშმარიტი ანუ შემოქმედებითი (კულტურული), გაგებით.

ცხოვრების, როგორც თავისუფლების, რომელიც შემოქმედებაში გამოიხატება, იდეა, ილიას გამოთქმული აქვს, სხვათა შორის, ქართველებისადმი მიმართულ ამ სიტყვებში: „...ვიძახოთ წარამარა „დრონი მეფობენო“ მაშინ, როდესაც დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს“ [4, ტ. III, გვ. 378]. იგივე აზრი მწერალს

[1] აქ არ ვეხები ამ სიტყვის საკუთრივ სოტეროლოგიურ გაგებას, რომელიც გამოხატავს სიკვდილისაგან ხსნას და, ამგვარად, ამავე მაცოცხლებლობის (ცხოველმყოფლობის) იდეას.

[2] პირდაპირი ასოციაცია ქრისტოლოგიურ „უფალ – მაცხოვარ“-თან.

ასეც აქვს გამოთქმული: „ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი სხვა მიჰმადლებია, რომლითაც იგი **ადამიანობს ვით კერძო ღვთისა**[1]. ის ერთი – სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა“ [4, ტ. III, გვ. 374]. ადამიანი თავის-უფალი და —მაცხოვარია, რადგანაც იგი „ხატებაა ღვთაებისა“ და მისი წინსვლა მის ამ ღმერთის-ხატობა – ადამიანობაში სხვა არაფერია, თუ არა პროგრესი სწორედ თავისუფლების გზაზე, რომელიც არის კიდეც გზა შემოქმედებისა (შემოქმედება – თავის-უფლება).

„სახორციელო საზრდოს“ თავი რომ დავანებოთ, „სასულიერო საზრდოს“ წარმოება ხომ უთუოდ გულისხმობს შემოქმედებას, რადგან ამ საზრდოში ლიტერატურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის, ხელოვნების... პროდუქცია იგულისხმება. ხოლო რაც შეეხება მაინც და მაინც „სახორციელო საზრდოს“, აქაც აგრეთვე შემოქმედებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ამ საზრდოს წარმოებაც დაკავშირებულია სათანადო შემოქმედებითს ძალისხმევასთან, ამ შემთხვევაში, ეკონომიკის სარბიელზე. ცხოვრების როგორც შემოქმედების იდეა ილიას პირდაპირ აქვს გამოთქმული უკვე ციტირებულ „ივერიის“ წინასიტყვაობა“-ში, სადაც იგი წერს: „...ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა, ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული“ [4, ტ. III, გვ. 259]. ილია გვეუბნება, რომ ადამიანები „მაყურებელნი“ არიან ცხოვრების იმ ფაქტებისა, რომლებიც ადამიანებისვე ნამოქმედარნი არიან წარსულში, ახლა კი მათი ცხოვრების რეალურ ვითარებას შეადგენენ. ხოლო თვითონ შემოქმედება, რომლის ნაყოფიცაა ცხოვრების ეს ფაქტები, ცხოვრების, როგორც კულტურული პროცესის, შინაარსია. ადამიანი ზრუნავს თავის ცხოვრებაზე, როგორც თავის ადამიანობაზე, რაშიც იგი აზრობს იმ ყოფნას, რომელიც შემოქმედებაა: კულტურული ზრუნვა ცხოვრებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ეს „ზრუნვის საგანი“ ცხოვრება მისი მზრუნველი სუბიექტის მიერ გაგებულია, როგორც შემოქმედება. და როდესაც ამბობს ილია, რომ ადამიანი შემოქმედია თავისი ცხოვრებისა, იგი ამ უკანასკნელში გულისხმობს იმ კულტურულ-ზნეობრი-

[1] ხაზგასმა ჩემია, – მ.ნ.

ვად ღირსეულ ყოფნას, ე.ი. ჭეშმარიტ სოფლად-ადამიანობას, რომელიც იმავე შემოქმედებაში მდგომარეობს: ადამიანი „მკეთებელი“-ა თავისი თავისა, ვითარცა შემოქმედი არსების, რამდენადაც სხვა რამის „კეთებას“ ამ შემთხვევაში უბრალოდ აზრიც არ აქვს (ამის თაობაზე იხ. ილიას ნარკვევი „პედაგოგიის საფუძვლები“, სადაც ავტორს მოჰყავს პიკო დელა მირანდოლას სიტყვები, რომლებსაც ილია ფრიად საგულისხმო შეფასებას აძლევს [4, ტ. IV, გვ. 302]).

ხოლო დავუბრუნდეთ ახლა ცხოვრების ვითარცა ადამიანობის (სოფლად-ადამიანობის) იდეას. აქ კიდევ ერთხელ გავხაზავ იმ გარემოებას, რომ სუბიექტად იმ ცხოვრებისა, რომელზეც ლაპარაკობს ილია, იგულისხმება **ერი**, აი ეს „კოლექტიური ადამიანი“ („...**ადამიანი**, ცალკე, როგორც კერძო პირი და ერთად – **როგორც საზოგადოება**“ [III, გვ. 259-260], რომელიც არის კიდევაც ერი). ასე რომ, ცხოვრება, რომელიც ერის ცხოვრებაა, ჩვენ უნდა ვიაზროთ, როგორც სწორედ **ერის სოფლად-ადამიანობა**.

ერთი უთვალსაჩინოესი ნიშანი ადამიანობისა ისაა, რომ იგი პერსონალობისა და სოციალობის განუყოფელ ერთიანობაში მდგომარეობს: ადამიანობა პერსონალობა და სოციალობაა ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე ხარისხით, რამდენადაც თვითონ პერსონალობა და სოციალობა გულისხმობენ ერთმანეთს თავის თავში და ადამიანობის იდეაც ამ „ურთიერთობის“ გამოხატულებაა: ადამიანობა პერსონალობაა, რომელიც თავის თავშივე გულისხმობს სოციალობას (ასოციალური პერსონალობა შეუძლებელია), და იგივე ადამიანობა სოციალობაა, რომელიც ასევე გულისხმობს თავის თავში პერსონალობას (იმპერსონალური სოციალობა შეუძლებელია). ერთი სიტყვით, იდეა ადამიანობისა გულისხმობს პერსონალურ და სოციალურ ყოფნას, რომლის განუყოფელი მხარეებიცაა მისი ეს ფორმები, მხარეები – ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთმაფუძნებელი. და აი ისმის კითხვა, თუ კონკრეტულად რა სახითაა შესაძლებელი ადამიანობა, როგორც ასეთი განუყოფლობა პერსონალობის და სოციალობისა, როდესაც ერთიცა და მეორეც ნათლადაა გამოსახული თავის ბუნებრივობასა და ორგანულობაში? რამდენადაც ილიას მხედველობაში აქვს **ერის** ცხოვრება – ადამიანობა, გასაგებია, რომ ეს ადამიანობა უნდა იყოს ეროვნული, ე.ი. გარკვეული კულტურულ-ისტორიული ვინაობის სახისა. ადამიანობა, როგორც ჭეშმარიტი პერსო-

ნალობა (და ამდენად – სოციალობაც), შეიძლება იყოს მხოლოდ კულტურულ-ისტორიული, იგულისხმება რა, თავის მხრივ, რომ კულტურა (და ისტორია, მისგან განუყოფელი) წარმოუდგენელია პერსონალობის გარეშე: „უპიროვნო კულტურა“ (და მისი შესატყვისი „ისტორია“-ც) აშკარა ნონსენსია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანობაში, რომლის სუბიექტიც ერია, ამ უკანასკნელის პიროვნება იგულისხმება, ხოლო ეს პიროვნება სხვა არაფერია, თუ არა **ეროვნება**, რომელიც ქართველი ერის შემთხვევაში არის **ქართველობა**, ისევე როგორც, ვთქვათ ინგლისელი ერის შემთხვევაში – ინგლისელობა და ა.შ. ამგვარად ქართველობა ჩვენი, როგორც ერის, ის კულტურულ-ისტორიული ვინაობაა (პერსონალობა), რომელიც, ამავე დროს და სწორედ ამდენად, ჩვენი სოციალობაცაა (ამ აზრით – ჩვენი საზოგადო-ება). „ქართველობა“ გარკვეული სოციალობის (და, შესაბამისად, პერსონალობის, იმავე პიროვნების) აღმნიშვნელი სახელია. მასში იგულისხმება ერის პიროვნების გამომხატველი სოციალობა, რომელიც თავის რეალობაში გვეძლევა, როგორც კულტურულ-ისტორიული ყოფიერება (ცხოვრება), ამ უკანასკნელის პერსონალური (ეროვნული აზრით) სისტემა. ქართულ ისტორიულ აზროვნებაში შემუშავებული ცნება „ქართველობისა“ (ისევე როგორც „ოსმალობისა“, „ყიზილბაშობისა“... – ვითარცა ქართველობისადმი კულტურულ-პოლიტიკურად „ოპოზიციურ“ ყოფიერებათა) ამ სახელის ქვეშ გულისხმობს პერსონალურად გარკვეული ტიპის სოციალობას, როგორც კულტურულ-ისტორიულ სისტემას ეროვნული ყოფიერებისა, ერის პიროვნული ცხოვრებისა. „ქართველობა“, ისევე როგორც სხვა მისდაგვარი სახელი, გარკვეულ ყოფიერებას აღნიშნავს, იგულისხმება რა მასში, ვითარცა მაინც და მაინც ყოფიერების აღმნიშვნელში, სოფლად-**ქართველობა**, ე.ი. ეროვნულ-პერსონალურად განსაზღვრული სოფლად ადამიანობა გარკვეული ერისა. ცხოვრება, რომლის სუბიექტიც ქართველი ერია, ვითარცა ამ უკანასკნელის სოფლად-ადამიანობა – ერის ის სოფლად-პიროვნებაა, რომელიც სოფლად-ქართველობის, ასეთი სოფლად-საზოგადოება – -პიროვნების, სახით წარმოგვიდგება.[1] და, მართლაც, „ქართველობა“-

[1] „ერი ცხოვრობს“ ნიშნავს, რომ ერი სოფლად – ადამიანობს, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ერი სოფლად **პიროვნებს**, ანუ, თუკი ეს ერი ქართველია, სოფლად – ქართველობს (ქართველობა – ადამიანობა, როგორც გარკვეული პიროვნება). გასაგებია, რომ ქართველი ერისათვის მისი საადა-

ში გამოითქმის არა მარტო პიროვნების იდეა (რომლის თანახმადაც თითოეული ჩვენგანი იცავს „თავის (პირად!) ქართველობას“ როგორც საკუთარ პიროვნებას), არამედ იდეა საზოგადოებისაც: „ქართველობა“ გარკვეული საზოგადოების, რომელიც, ვითარცა ერი, გარკვეული პიროვნებაა, აღმნიშვნელი სახელიცაა.

როდესაც ამბობდნენ წარსული ისტორიული ძნელბედობის ხანაში, ამა და ამ ადგილას „ქართველობა მოიშალა“-ო, ცხადია, ამ თქმაში იგულისხმებოდა ერთსა და იმავე დროს მოშლა ქართველობისა, როგორც საზოგადოებრივი ყოფიერებისაც და ვინაობისაც (ამ სიტყვათა საკუთრივი მნიშვნელობით), რამდენადაც ქართველობის ცნება სხვა არა იყო რა (და არის), თუ არა ცნება ვინაობა – ყოფიერებისა (გინა ყოფიერება – ვინაობისა). ანუ ამ ცნებაში იგულისხმება ეროვნული ცხოვრების, როგორც ერის პიროვნების იდეა (მე, ადამიანი, ვცხოვრობ ე.ი. ვპიროვნებ: ჩემი ცხოვრება ჩემი პიროვნებაა, პიროვნების სწორედ როგორც სოფლად-მეობის, ასეთი გამომეტყველების მქონე მე-ყოფიერების, გაგებით). ამ იდეის თანახმად, ერის ეკონომიკური ცხოვრება („მაღალსულიერ“ სფეროებს თავი რომ დავანებოთ) უნდა განვიხილოთ, როგორც მისი ეკონომიკური სოფლად-ადამიანობა, **მისი ასეთი პიროვნება**, რომელიც ქართველი ერის შემთხვევაში ქართველობაა, სოფლად-ქართველობა (აქედან – ჩვენი ეკონომიკის როგორც ჩვენი აი ამ სოფლად-ქართველობის გარკვეული დარგის გაგებაც...). ასევე განიხილება დანარჩენი ცხოვრებაც თავის თითოეულ დარგობრივ ფორმაციაში. ჭეშმარიტად **კულტურული** სურათი ერის, ვთქვათ, იმავე ეკონომიკური ცხოვრებისა, ისაა, რაც გვიჩვენებს ამ ერს როგორც ეკონომიკურ **ადამიანს**, წარმოგვისახავს რა თვითონ ამ ცხოვრებას, ვითარცა ამ ადამიანის ცხოვრება-პიროვნებას. „ჩვეულებრივი“ გამოკვლევა ამ სფეროში, ეკონომისტ-ისტორიკოსის ხელიდან გამოსული, ერის ეკონომიკური ცხოვრების, ასე ვთქვათ, „ანატომია“-ზე გვაძლევს წარმოდგენას მაშინ, როდესაც ზემოხსენებული სურათი ამავე ცხოვრების კულტურულ-კაცობრივ ფიზიონომიას გვიხატავს, ამ შემთხვევაში, კერძოდ, ეკონომიკურს. ილია ჭავჭავაძის ნაწერები ჩვენი ერის ეკონომიკური ცხოვრების საკითხებზე სწორედ ქართველობის,

---

მიანო სოფელი საქართველოა, ე.ი. ქვეყანა, რომელიც ისაზღვრება, როგორც ჩვენი სა-ქართველო, ამ სახით, სა-ადამიანო (ასეთი კულტურული ფუნქციის მქონე), მიწა-წყალი.

ასეთი კულტურულ-ისტორიული ყოფიერების (რომელიც, ვიმეორებ, ერის ცხოვრება – პიროვნებაა), ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ. ასე რომ, რაკი კითხვა ეხება იმას, თუ რა კომპეტენციის საფუძველზე იძენენ ილიას ნაწერები, ვთქვათ, ეკონომიკურ თემაზე, იმ ავტორიტეტს, რომელიც მათ უთუოდ აქვთ, ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ: იმ კომპეტენციის საფუძველზე, რომელიც ილიას აქვს, როგორც **ქართველობის**, ასეთი კულტურულ-ისტორიული სისტემის, მოაზრეს. ცხადია, აქ ლაპარაკია იმ სისტემაზე, რომელშიც **ერის** ზემოხსენებული **ყოფიერება-პიროვნება** იგულისხმება, ყოფიერება-პიროვნება, როგორც სისტემა (ვიმეორებ: კულტურულ-ისტორიული).

სწორედ ამ კონტექსტში უნდა ვიაზროთ ილიას საპროგრამო განცხადება 1881 წლის მაისის „შინაურ მიმოხილვა“-ში, სადაც „ბრძოლის (– ზრუნვის) საგნად“ ავტორი ასახელებს ჩვენს **ვინაობას**, მისი, ქართული პოლიტიკის ტრადიციული ფორმულის თანახმად, „გამოხსნა-აღდგენის“ გაგებით. რა იგულისხმება ამ „ჩვენს დაცემულ ვინაობა“-ში? – ცხადია, ქართველობა, ეს ჩვენი, თითოეულისა ცალკე და ყველასი ერთად კულტურულ-ისტორიული პიროვნება. აშკარაა, რომ ხსენებული ვინაობის აღდგენაში ილია გულისხმობს ჩვენი სოფლად-ქართველობის, ვითარცა ჩვენი კულტურულ-ისტორიული პიროვნება – ყოფიერების აღორძინებას. „კაცურ-კაცად იცხოვროს“, ასეთი თქმა ილიასი ნიშნავს: კაცურ-კაცად იყოს – სოფლად, ასე სოფლად – ეგოს. ხოლო ასეთი ყოფნა – ცხოვრების, მხოლოდ ამ სახით ღირსეულისა და ღირებულის (როდესაც „ამ ქვეყნად ყოფნა“, ე.ი. სიცოცხლე როგორც ყოფიერება, რაცაა კიდეც ცხოვრება, მართლაც „ღირს“), თავიდა-თავი, თავი – მიზეზიცა და თავი – მიზანიც, ჩვენს შემთხვევაში ქართველობაა, ანუ ქართველად (ამ ჩვენთვის კულტურულად ერთადერთი სახით შესაძლებელ „კაცურ კაცად“) ყოფნა – ცხოვრება, ჩვენი ასეთი სოფლად-პიროვნება. ანალოგიური ეპიზოდი გვაქვს „წერილებ-შიც ქართულ ლიტერატურაზე“, სადაც, ახასიათებს რა XIX საუკუნის 60-იან წლებში გამართულ ე.წ. თაობათა ბრძოლას, ილია აღნიშნავს, რომ ეს უცხო ნიადაგიდან გადმონერგილი ბრძოლა გვიქმნიდა საფრთხეს, „ჩვენ **ჩვენობა** აღარ დაგვტყობოდა“ [4, ტ. III, გვ. 202]. რას ნიშნავს ეს „ჩვენობა“? – იმავე ვინაობას, რომელიც ამ სიტყვის („ჩვენობა“) კონტექსტში ირკვევა, როგორც პერსონალობა და სოციალობა ერთსა და იმავე

დროს. ეს „ჩვენობა“ ქართველობის, რამდენადაც ილიასთან სწორედ ამ ვინაობაზეა ლაპარაკი, ზემოხსენებულ ორსავე ასპექტს გამოსახავს, გვაძლევს რა ცხად სიტყვიერ გამოხატულებას ქართველობის (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ეროვნული „-ობის“) ვითარცა იმ ყოფიერების იდეას, რომელშიც იგულისხმება **ეროვნება**, ანუ ჩვენი, როგორც ერის, და თითოეული ჩვენ-განის როგორც ერისა-განის, კულტურულ-ისტორიული **პიროვნება**, ვითარცა ზემოთ არაერთგზის აღნიშნული პერსონალობა – სოციალობა. ქართველობის ვითარცა ჩვენობის გაგება, ქართველობის როგორც იმ კოლექტიური პიროვნების იდეას გამოხატავს, რომელიც პიროვნებაა არა მარტო ჩვენ-საზოგადოებისა, არამედ თითოეული ჩვენგანისაც, ვითარცა ინდივიდ მე-პიროვნებისა. სწორედ ჩვენობის, როგორც ცალკე ჩვენ-განის შინაპიროვნების, გამოხატულებაა ისეთი ღრმა პიროვნული კითხვა, როგორიცაა: რანი ვიყავით (ჩვენ!) ასი წლის წინათ? და რანი ვიქნებით (ჩვენ!) ასი წლის შემდეგ? რა თქმა უნდა, პირადად მე არც ასი წლის წინათ ვყოფილვარ და არც ასი წლის შემდეგ ვიქნები, მაგრამ ჩვენ და ამ კოლექტიური სახით მეც, კიდეც ვყოფილვარ და კიდეც ვიქნები. ეს „ჩვენ“ ჩემი ტრანსისტორიული პიროვნების აღმნიშვნელია და იგი გულისხმობს ჩემს ყოფნას არა მარტო ჩემი თანამედროვეების, არამედ ჩემ შორეულ წინაპართა და შორეულ შთამომავალთა შორისაც, მათს – წინაპართა, თანამედროვეთა, შთამომავალთა – ერთიან ტრანსისტორიულ საზოგადოებაში. სწორედ ამ საყოველთაო და სათვითეულო ჩვენ-პიროვნების ცნობიერება განსაზღვრავს იმ ვითარებას, როდესაც „ყველაში თითო... არის და თითოში – ყველა“ [4, ტ. III, გვ. 76] და როცა „ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი – ერთ რთულ დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზე მტკიცედ გადაბმულად“ [4, ტ. V, გვ. 151]. ამგვარად, ქართველობა, ვითარცა ჩვენი, ყველასი ერთად და თითოეულისა ცალკე, ჩვენობა, ჩვენი არა მარტო აქტუალური სოციალობაა, არამედ სოციალობა, ტრანსისტორიულიც, არის რა ეს სოციალობა ჩვენი ასეთივე (კერძოდ ტრანსისტორიული) პერსონალობა, რომელსაც ეს სოციალობა შეადგენს და რომელიც ამ სოციალობაში მდგომარეობს. ქართველობა, ისევე როგორც, ვთქვათ, ინგლისელობა, გინდ

ძველთუძველესი შუმერობა, ასეთი კულტურულ-ისტორიული სისტემა პიროვნება – ყოფიერებაა, ყოფიერება – სოციალობა. რამდენი ერიცაა, იმდენივე ისტორიაა, რომელთაგან თითოეული არის ისტორია ერთი გარკვეული ერისა, ვითარცა ერთი გარკვეული სისტემის, თვითონ ამ ერად გასხეულებულის (როგორც, მაგალითად, ქართველი ერი – ქართველობის, ვითარცა გარკვეული კულტურულ-ისტორიული ყოფიერების, მასხეულებელი ერთი **განუკვეთელი**[1] გვამი, რის საფუძველზე გვაქვს კიდეც „ქართველობა“, როგორც სახელი თვითონ ერისა). ასე რომ, ერის ისტორია (ხოლო სხვა ისტორია, ვიმეორებ, არც არსებობს კონკრეტულად) არის ისტორია იმ კულტურულ-ისტორიული სისტემისა, რომელსაც თვითონ ეს ერი წარმოადგენს, ვითარცა **არსი** – სათანადო **ყოფნას**, და რომელიც წარმოებს თავად, როგორც თვითონ ეს ისტორია.

ზემოთ ითქვა, რომ „ქართველობა“-ში ასევე თვით საზოგადოება იგულისხმება, როგორც გარკვეული ორგანიზმი, რომელიც წარმოდგენილ იქნა, ვითარცა კოლექტიური პიროვნება, ამ უკანასკნელის, როგორც აგრეთვე ორგანიზმის (გვამის) გაგებით. ხოლო საზოგადოების და პიროვნების ჩვეულებრივი დაპირისპირებისას „პიროვნება“ ნიშნავს ინდივიდს, პიროვნების, როგორც ასეთი ყოფნის მასხეულებელს, ანუ იგი, ამ შემთხვევაშიც, ხსენებული ინდივიდის სახით გარკვეულ გვამს გულისხმობს. მაგრამ ქართველობაში ჩვენ ვაზრობთ სწორედ საზოგადოებას და მხოლოდ იმ **პიროვნებას**, რომელიც თვითონ ეს საზოგადოებაა, როგორც კოლექტიური პიროვნება, პიროვნება – საზოგადოება, არ აღვნიშნავთ რა ამ სახელით („ქართველობა“) ერთ რომელიმე ინდივიდ პიროვნებას, ცალკე კაცს, რამდენადაც „ქართველობა“ ამ შემთხვევაში ე.წ. კრებითი სახელია. მეორე მხრივ კი, ამავე „ქართველობა“-ში იგულისხმება ზემოხსენებული ორგანიზმ საზოგადოე-

[1] ამ აზრით ინ-დივიდურ – მონადური, ა-ტომურ – მონადური. ხოლო რამდენადაც თვით ეს ყოფიერება წარმოებს როგორც **ისტორია და კულტურა**, მისი მასხეულებელი ერი წარმოგვიდგება კიდეც, შესაბამისად, ვითარცა ისტორიისა და კულტურის (რომელიც შინაარსია ისტორიისა, როგორც: სოფლის გაგება-აგება – შინაარსი საკუთრივ სოფლად-გების), მაჰიპოსტასირებელ-მაპერსონიფიცირებელი გვამი. ხოლო ვლაპარაკობ რა მაინც და მაინც ამ ყოფიერებ-ის ისტორიაზე, ამ უკანასკნელში ვგულისხმობ ხსენებული ყოფიერების სიუჟეტს, რომელიც შეადგენს კიდეც **თვითონ** ამ ყოფიერებას, **როგორც** ისტორიას.

ბის **შინაგანი** პიროვნება – საზოგადო-ება, რომელიც გვეაზრება აგრეთვე, როგორც ინდივიდ პიროვნების ასეთივე შინაგანი პიროვნება[1]. გასაგებია, რომ ქართველობა, როგორც ის შინაგანი პიროვნება, რომელიც საზოგადო-ება არის (იგივე სოციალობა), გვამობრივ სწორედ საზოგადოებაში წარმოგვიდგება „პირადად", რომელიც ატარებს კიდეც თავისი ამ შინაგანი პიროვნების, ე.ი. საზოგადოების, სახელს. ხოლო ცალკეულ პიროვნებას, როგორც სწორედ პიროვნებას, ეგევე პიროვნება – საზოგადო-ება ახასიათებს, ვითარცა მისი შინაგანი პიროვნება იმდენად, რამდენადაც ეს ინდივიდი პიროვნება მართლაც პიროვნებაა, როგორც ასეთი – საზოგადოების, ვითარცა პიროვნების, შემადგენელი და წარმომადგენელი. საქმე ისაა, რომ პიროვნება მხოლოდ პიროვნებას ეპიროვნება, მხოლოდ პიროვნების მიმართ პიროვნებს (ანუ რამდენადაც ამ პიროვნებაში სწორედ ადამიანი იგულისხმება, თავის იდეაში განსაზღვრადი, როგორც ის კაცი, რომელიც პიროვნებაა[2], ვიტყვით: ადამიანი მხოლოდ ადამიანს ეადამიანება, მხოლოდ ადამიანის მიმართ ადამიანობს...). ხოლო ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნებანი, როგორც იტყვიან, „ერთმანეთის საზოგადოებაში" იმყოფებიან, ამგვარად ერთ საზოგადოებას ქმნიან, არის რა თვით იგი **ურთიერთპიროვნება** ამ **პიროვნებათა, ამათი მაპიროვნებელი, ამათი – საზოგადოება**: საზოგადოება პიროვნებათა საზოგადოებაა, როგორც ამ პიროვნებათა მათს პიროვნებაში მდგენი ურთიერთპიროვნება. არა „ვპიროვნებ", არამედ „ვპიროვნებთ", რამდენადაც მე შემიძლია ვიპიროვნო მხოლოდ სხვა პიროვნების მიმართ, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ იგი პიროვნებაც ასევე ჩემს მიმართ პიროვნებდეს: თითოეული პიროვნების პიროვნ-ება-ში სწორედ ეს ურთიერთპიროვნება იგულისხმება, რომელიც არის კიდეც ამ ურთიერთმოპიროვნე პიროვნებათა იგი ერთობლივი პიროვნება – საზოგადოება, მათი მაპიროვნებელი. საზოგადოება პიროვნებათა

[1] ცხადია, მე, როგორც ინდივიდი პიროვნება, არ ვიწოდები „ქართველობად", თუმცა ითქმის, რომ ქართველობა ჩემი, როგორც ინდივიდის პიროვნებაა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩემი შინაგანი პიროვნება – სოციალობაა, ამ აზრით ჩემი შინაგანი საზოგადო-ება (ე.ი. სიტყვა „საზოგადო-ების", როგორც ე.წ. აბსტრაქტული სახელის, რაიმე თვისების და, საერთოდ, შინაგანი ბუნებისა თუ არსების აღმნიშვნელის, გაგებით).

[2] ამგვარად, კაცის გაადამიანება ჩვენ შეგვიძლია ვიაზროთ, როგორც: კაცის, ვითარცა პიროვნების შექმნა, მისი ამ აზრით გაპიროვნება.

ურთიერთპიროვნებაა, ამ პიროვნებათა, როგორც ვთქვი, მაპიროვნებელი არის რა იგი კოლექტიური პიროვნება, ინდივიდური პიროვნების სოციალურად მაფუძნებელი. ჩვენი ურთიერთპიროვნება ჩვენი საზოგადოებაა (ურთიერთვპიროვნებთ, ანუ – ვსაზოგადოებთ), რომელიც **ჩვენი**, ყველასი ერთად პიროვნებაა, თითოეული ჩვენ-განის საკუთარ პიროვნებაში მაპიროვნებელი... თქმულის „მორალი" ისაა, რომ არავითარი „წინააღმდეგობა" არ არსებობს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდური პიროვნების (როგორშიაც გულისხმობენ ხოლმე პიროვნებას საკუთრივი გაგებით) მაფუძნებელი კოლექტიური (სოციალური) პიროვნება, რომელსაც ეს ინდივიდური პიროვნებანი შეადგენენ და წარმოადგენენ; რომ გარეშე ამ სოციალური პიროვნებისა, როგორიცაა ჩვენს შემთხვევაში ქართველობა, შეუძლებელია ინდივიდუალური პიროვნება, რამდენადაც ეს უკანასკნელი სხვა არაფერია თუ არა ინდივიდის საზოგადო-ება, რომელიც ინდივიდ პიროვნების სხვა პიროვნებათადმი მის (ამ ინდივიდის) მაპიროვნებელ პიროვნებაში მდგომარეობს; და რომ ინდივიდი მხოლოდ როგორც **ჩვენ-განი** არის შესაძლებელი, ვითარცა პიროვნება, რამდენადაც პიროვნების ზემოხსენებული პიროვნება (ურთიერთპიროვნება) სწორედ **ჩვენ-შორის** წარმოებს, როგორც თითოეული მოპიროვნე ინდივიდის ჩვენ-განად მოქმედი.

რაც შეეხება თვითონ საზოგადოებას, როგორც ორგანიზმს, იგი წარმოგვიდგება, ვითარცა პიროვნებათა საზოგადოება, რომელშიც პიროვნებათა-შორისი **კავშირი** იგულისხმება. ხოლო ეს კავშირი სხვა არა არის რა, თუ არა ის ურთიერთობა პიროვნებათა შორის, რომელიც ზემოთ როგორც ამ პიროვნებათა მასაზრდოებელ-მაპიროვნებელი ურთიერთპიროვნება დავახასიათე, საიდანაც თავისთავად ირკვევა სურათი საზოგადოებისა (ორგანიზმად წარმოდგენილის), ვითარცა ურთიერთობისა, რომელიც ურთიერთპიროვნებაა, ასეთი პიროვნება – ყოფიერება. და ილია ჭავჭავაძის ზრუნვაც ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს, როგორც ერის ყოფიერებაზე, შესაბამისად წარმოგვიდგება, როგორც ზრუნვა ერის ამ ყოფიერება – პიროვნებაზე, რომელიც არის კიდეც ერის

(და თვითეული ჩვენგანის, ვითარცა ერისაგანის) საზოგადოება[1]. მეტიც, რამდენადაც თვითონ „ერის“ ქვეშ ჩვენ ვაზრობთ საზოგადოებას, ზემოთქმულის კონტექსტში სათანადო ზრუნვაც, ერზე მიმართული, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ზრუნვა იმ ყოფიერებაზე, რომელიც საზოგადოების სახით თვით ერის იდეის შინაარსად იგულისხმება. ქართველობა გარკვეული ერის პიროვნება – საზოგადოებაა, ფაქტობრივ რეალიზებადი, როგორც ამ ერის შვილთა (ვითარცა ერის, რომელსაც „ერთი სული, ერთი გული აქვთ, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია“ [4, ტ. III, გვ. 375], აი ამ ემპირიულ „ხორცთა“ და ამათ შესატყვის ინდივიდუალურ „სულთა“) პიროვნება – საზოგადოება. ვლაპარაკობთ რა ერზე, როგორც საზოგადოებაზე, კონკრეტულად იგულისხმება, რომ ესაა ჩვენი, ვითარცა ერის-შვილთა საზოგადოება[2], რომელთაც ერთმანეთთან გვაკავშირებს სათანადო ძმობა-ნათესაობა იმავე ქართველობის (რამდენადაც ქართველობაზეა აქ საუბარი) სახით. საზოგადოების, როგორც ძმობის, გაგება ერთი დამახასიათებელ ნიშანთაგანია ილია ჭავჭავაძის აზროვნებისა, რის მაგალითადაც შეიძლება დავასახელოთ თუნდაც „ზოგიერთი რამ“. სხვათა შორის, **ძმობის** (რაცაა, მაგალითად, ქართველობა) იდეაზეა დამყარებული ის განსაზღვრაც ერის ცნებისა, რომელიც მოცემულია ილიას წერილში „ოსმალოს საქართველო“... ამგვარად გვაქვს **ქართველობის,** როგორც გარკვეული **ერის-შვილობის (ნათესაობის)** იდეა, რომელიც თვითონ ერის-შვილთა შორის ხორციელდება, ვითარცა **ძმობა** და რომელიც ცხადყოფს, ამ სახით **სიყვარულის,** როგორც ხსენებული ყოფიერება – პიროვნების **პრინ-**

[1] კარგად მესმის, რომ პიროვნების და საზოგადოების ეს ორმაგი გაგება (როგორც ორგანიზმისა, ინდივიდისა თუ კოლექტივის სახით, მეორე მხრივ, როგორც ყოფიერებისა) სიტყვათხმარებაში გარკვეულ უხერხულობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მგონია, რომ ასეთი გაგება თვითონ საგნის ბუნებას შეესაბამება და თანაც, რაც შეეხება თვით ამ სიტყვებს, კონტექსტიდან გასაგები იქნება, თუ რა მნიშვნელობით არის მოყვნილი რომელიმე მათგანი ამ შემთხვევაში.

[2] ამით, სახელდობრ, იმის თქმა მსურს, რომ საკუთრივ ერი, როგორც ასეთი, საზოგადოების სუბიექტია, რომლის მოვლენანი (გინა წარმონაქმნი, აი ამ აზრით „შვილნი“) ვართ ჩვენ, როგორც ინდივიდები, ვისშიც თვით ერი ლაპარაკობს, ვითარცა იმ ცხოვრების, რომლის მოქმედნი პირნიც ვართ, სუბსტანციური პირი, სწორედ ამ გაგებით სუბიექტი. ანუ ჩვენში ლაპარაკობს ერი, როგორც **ერთპიროვნული** საზოგადოება, არის რა ეს ერთი პირი თვითონ ერი.

ციპის იდეას. მართლაც, რა შეიძლება ედოს საფუძვლად საზოგადოებას, როგორც ერთი ერის-შვილობის გამომხატველ ძმობას, თუ არა სიყვარული? ეს მეტად მნიშვნელოვანი და ვრცლად სალაპარაკო თემაა, რომელსაც აქ, ცხადია, ჯეროვნად ვერ შევეხები, მაგრამ ერთ გარემოებაზე ამ იდეასთან დაკავშირებით მაინც შევჩერდები.

ეფრემ მცირეს იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში ნახმარი აქვს სიტყვა „**შემოყვსება**“ „შეერთების“ მნიშვნელობით (ასეა განმარტებული ეს სიტყვა ამ ნაშრომის გამოცემისადმი დართულ ლექსიკონშიც [2, გვ. 284]). როგორც ჩანს, ხსენებული სიტყვა ეფრემ მცირის შემოქმედების ნაყოფია, რომელშიც გამოხატულია შეერთების, როგორც არსთა შექმნა-შედგენის წესის, საგულისხმო გაგება. ამ გაგების თანახმად, ყოველგვარი არსი, აღმოცენებული გარკვეული ელემენტების შეერთების გზით, არის ნაყოფი ერთგვარი მეტაფიზიკური სიყვარულისა, რომლის საფუძველზეც წარმოებს კიდეც ეს შეერთება, ვითარცა სწორედ „შემოყვსება“. აქ თითქოს ემპედოკლესებური იდეის ანალოგია უნდა გვქონდეს, ამ შემთხვევაში ტერმინოლოგიურად გაფორმებული. სავსებით ბუნებრივი იქნება, თუკი ამ ტერმინიდან გამოვიყვანთ ტერმინ „მოყვსობას“, როგორც **ერთობის** აღმნიშვნელსა და მისი ვითარცა სიყვარულის (ამ ერთობაში მონაწილე ელემენტ არსთა შორის) განმმარტებელს (სხვათა შორის, ქრისტიანულ მწერლობაში „ერთობა“, ცხადია, კაცთაშორისი (და ჩვენც ხომ სწორედ ეს გვაინტერესებს აქ), ასევე, როგორც სიყვარულია გაგებული და, შესაძლოა, ეფრემის შემონაქმედი ტერმინი ამ ვითარების შემოქმედებითი ასახვა იყოს). რამდენადაც ეს „ერთობა“ – „მოყვსობა“ ჩვენ გვაინტერესებს კაცობრივ დამოკიდებულებათა კონტექსტში, გასაგებია, რომ მათში სახელდობრ ნაგულისხმევი იქნება იდეა **საზოგადოებისა, ვითარცა ძმობის** (ზემოხსენებული ქრისტიანული „ერთობა“ სწორედ ამ ძმობას გულისხმობს თავის თავში და ადამიანთა კორპორაცია, დამყარებული ასეთ ერთობაზე, შესაბამისად ტერმინ „ძმობით“ აღინიშნება კიდეც)[1]. ხოლო საქმე ისაა, რომ თვით სიტყვა „საზოგადოება“-ც ამავე ერთობის იდეას გამოხატავს.

[1] სოციალობის, როგორც ძმობის (საზოგადოება – ძმობა) იდეის მეტად საგულისხმო გამოხატულებაა ქართულ სასულიერო ლიტერატურაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

მართლაც, „საზოგადო“ საერთოს ნიშნავს და „საზოგადოება“-ც ამის შესატყვისად, იაზრება, როგორც რაღაც სა-ერთოდ, ანუ ისეთ რადმე ყოფნა, რომლის დანიშნულებაც ჩვენი რამ ერთად ყოფნაა და რომელიც, მაშასადამე, ამ თავის დანიშნულებისამებრ, ჩვენი მაერთებელი არის (ჩვენი იმ რაღაც ერთად მყოფელი). ხოლო რამდენადაც ეს ჩვენი სა-ერთოდ (სა-ერთო რადმე) ყოფნა თვითაა ჩვენი სა-ერთო ყოფნა და, როგორც ასეთი, ჩვენი მაერთებელი, საზოგადოებაც, თავის ამ სიტყვიერ გამოხატულებაში, იაზრება, შესაბამისად, თავის ამ მაერთებელ (ამ აზრით სა-ერთო) ყოფნად, ვიტყვით რა ასეთ გაგებულ საზოგადოებაზე, რომ ესაა სა-იმ-ერთო ყოფნა, რომელიც ერია, საიდანაც გვაქვს კიდეც საზოგადოების, როგორც სა-ერო (აი, ამ აზრით, „სა-ერთო“, რომლის „ერთ“-შიც სწორედ ერი იგულისხმება) ყოფნის იდეა. ამგვარად, საზოგადოება, ვითარცა იმ ერთად ყოფნა, რომელიც ერია, არის ერად ყოფნა, სწორედ ამ აზრით: ერთ-ობა – ერ-ობა. ასე რომ, ვახორციელებთ რა ამ საზოგადოებას, ჩვენ რეალიზაციას ვუკეთებთ იმ ჩვენს ერთობას, რომელიც ჩვენი ერობაა, – ჩვენი ერად, სწორედ ამ ერთად, ყოფნა (საზოგადოებრივი „ერთად ყოფნა“ როგორც იმ ერთ-ად ყოფნა, რომელიც ერია და რომელიც არის კიდეც ჩვენი მასაზოგადოებელი (მასოციალებელი და მასოციუმებელი) სიყვარულის იგი საგანი **ერთი**...). მაშასადამე, ჩვენ ერად გვყოფს საზოგადოება, ვითარცა ჩვენი ძმობა – მოყვსობა, რომელიც არის კიდეც, თვითონ, იგი ერთობა – ერობა. სიყვარულია იგი სა-ერთო – საერო ძალა, რომელიც ერად გვყოფს და რომელიც ჩვენი ერობის, ერად ყოფნა – **ცხოვრების** წესი არის. სიყვარული, როგორც ძმობა – მოყვსობა, თვითონ საზოგადოებაა, ასეთი ყოფნა, რომლის იდეაც ხსენებული ერთობა – ერობაა. ერთი სიტყვით, ერად, ამას გვასწავლიდა და გვასწავლის ილია ჭავჭავაძე და, საერთოდ, მთელი XIX საუკუნის (უფრო შორს რომ არ წავიდეთ, დროთა სიღრმეში) ქართული მწერლობა, გვყოფს ურთიერთშორისი სიყვარული, რომელიც ჩვენ საერთო ყოფიერებას, როგორიცაა საზოგადოება, ჩვენი ასეთი (გავიხსენოთ) პიროვნება, აგვარებს, ვითარცა ჩვენს ერობა – ძმობას, ერობა – მოყვსობას და რამდენადაც საზოგადოება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, იგივე ადამიანობაა (ურთიერთადამიანობა, ურთიერთპიროვნების იდენტური), გასაგებია, რომ ჩვენი ეს ადამიანობა (სოფლად-ადამიანობა, ანუ ცხოვრება, რომელიც, ვითარცა

სოფლად-გება, როგორც ამ სოფლის გაგება-აგება, ანუ **კულტურა** წარმოებს) კაცთა-შორისი ძმობა – მოყვსობის სახითაა შესაძლებელი, ე.ი. ვითარცა სიყვარულის – ამ უდიდესი კულტურულ-სოციალური პრინციპის – სინამდვილე. ვამბობ რა, რომ სიყვარული, როგორც ეს ესმის ილიას, არის პრინციპი ყოფიერებისა, ამ უკანასკნელში ვგულისხმობ საზოგადოებას, ვითარცა ერთადერთ ნამდვილ ადამიანობას, რომლის სუბიექტიც ერია. სიყვარულის, როგორც ცხოვრების, ერის (კაცის) სოფლად ადამიანობის პრინციპის იდეა ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე ქართულმა მწერლობამ საკუთრივ შეიმუშავა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ამ იდეის სრულყოფილი გამოხატულებაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ეს იდეოლოგიური ხაზი ამის შემდეგ არ წყდება ქართულ კულტურაში და სათანადო განვითარებას ჰპოვებს, ისტორიული პირობებისა და ამოცანების შესატყვისად, ქართულ ლიტერატურასა და საერთოდ აზროვნებაში. ილია ჭავჭავაძე თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში სწორედ ამ ხაზს აგრძელებს და ავითარებს, აჰყავს რა იდეა სიყვარულისა გააზრების ახალ საფეხურზე. ამ საქმეში მწერალი მარტო არაა, მას გვერდში უდგას მთელი დასი ეროვნული ცხოვრების იდეოლოგ მოაზრეთა, რომელნიც სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიან 60-იან წლებსა და მომდევნო ხანაში.

ხოლო რაც შეეხება იდეას საზოგადოებისა, როგორც გამოხატულია იგი თვითონ ამ სიტყვაში, აქ, გარდა ზემოთქმულისა, ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აგრეთვე უნდა აღინიშნოს. მხედველობაში მაქვს, ხსენებული სიტყვის ძირი „**ზოგი**“, საიდანაც თანმიმდევრობით ნაწარმოებია: „ზოგად“ – „საზოგადო“ – „საზოგადოება“. ძველ ქართულად ეს სიტყვა, გარდა თვითონ ზოგისა (ამ სიტყვის ახლანდელი გაგებით), აგრეთვე ნიშნავდა: ნაწილს და, კერძოდ, ნახევარს. ამ სამი მნიშვნელობიდან უზოგადესი, ცხადია, „ნაწილის“ მნიშვნელობაა, რამდენადაც „ზოგი“ (ახლანდელი გაგებით), იაზრება, როგორც სიმრავლის რაღაც ნაწილის აღმნიშვნელი („ნაწილისა“ და „ნახევრის“ ურთიერთმიმართება ამ მხრივ ისედაც ნათელია). ხოლო „ზოგად“ ძველქართულადვე „ერთად“-ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარებოდა („ზოგად ვართ“ – ერთად ვართ), საიდანაც მიღებულ იქნა კიდეც „საზოგადო“, რომელიც სიტყვასიტყვით უნდა გვესმოდეს, როგორც „სა-ერთადო“, „საერთადმყოფოს“ („საერთადარსოს“)

მნიშვნელობით. რაა ყოველივე ამაში ჩვენთვის საგულისხმო? – პირველ ყოვლისა ის, რომ იდეა საზოგადოებისა **ზოგის** იდეაზეა დამყარებული: ამ იდეის თანახმად, თვითეული საზოგადოება მხოლოდ **ზოგის ერთობად** იაზრება, რასაც თავისი ბუნებრივი გამართლება აქვს. ამგვარად, კაცობრიობის დაყოფა საზოგადოებად, ადამიანთა მთელი მასის ასეთი „დაზოგზოგება“ (ამ აზრით, „დასაზოგადოება“), თვით სიტყვა „საზოგადოება“-შია პოსტულირებული. საზოგადოების ასეთი გაგების ბუნებრივობა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ერთდებიან ცალკეულ პერსონალურ ჯგუფებად არა გარეშე ბუნების მიმართ, რომლის მიმართ მათ, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ სრულფასოვნად იადამიანონ (იპიროვნონ)[1], არამედ სწორედ ერთმანეთის მიმართ ურთიერთშორის. საზოგადოება პიროვნებათა საზოგადოებაა, რომელიც, როგორც ასეთი, არ შეიძლება იყოს თავად უპიროვნო: საზოგადოებაში გაერთიანებული ადამიანები კოლექტიურად პიროვნებენ (**ერთ**-პიროვნებენ, ვითარცა **ერი**...), რასაც მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი არსებობს სხვა ასეთივე საზოგადოება, ასევე მოპიროვნე. საზოგადოებას თავისი ჭეშმარიტი სახე როგორც კოლექტიურ პიროვნებას აქვს, ხოლო ასეთ პიროვნებად ყოფნა საზოგადოებას მხოლოდ სხვა საზოგადოების მიმართ შეუძლია. საზოგადოება საზოგადოებს მხოლოდ როგორც სხვა საზოგადოების მიმართ მოპიროვნე საზოგადოება. საზოგადოება მხოლოდ საზოგადოებათა შორის შეიძლება არსებობდეს, რომელთა საზოგადოების სუბიექტიც ყველა ეს საზოგადოებაა. კაცობრიობის, ვითარცა ერთა საზოგადოების მოქმედნი თვით ეს ერები არიან, რომლებიც საზოგადოებენ კაცობრიობად, როგორც თავთავიანთი საზოგადოების სრულმყოფნი: საერთაშორისო ცხოვრება, რომელსაც უწოდებენ კიდეც „საკაცობრიო ცხოვრებას“, ამ ცხოვრების მოქმედ ერთა **ეროვნული** ცხოვრების ერთი გარკვეული მხარეა, ერთი გარკვეული ასპექტი. ერისა და კაცობრიობის ეს ურთიერთმიმართება ქართულ ლიტერატურაში გაშუქებული აქვს ილია ჭავჭავაძის სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს მიხეილ წერეთელს თავის მონუმენტურ ნაშრომში, ნიშანდობლივი სათაურით: „ერი და კაცობრიობა“ (1910)... საზოგადოება ზემოხსენებული „ზოგი“-დან რომ არ იყოს აღმოცენებული და მას რომ არ გა-

[1] თუმცა, თავისი სოციალობით მომცველნი, თვით ამ ბუნებასთანაც „შედიან საზოგადოებაში“, ამგვარად აპიროვნებენ რა მას.

მოსახავდეს თავისი არსებით, არ ექნებოდა საფუძველი საზოგადოების, როგორც „ჩვენობის“ იდეასაც, რამდენადაც „ჩვენ“-ს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუკი არსებობს სხვა „ჩვენ“, რომელთა მართლაც რომ და-**პირისპირ**-ებაშიც („ჩვენ – თქვენ“) იგი „ჩვენ“ ირკვევა კიდეც თავის ამ კოლექტიურ პერსონალობაში. ანალოგიური მოსაზრებები უდევს საფუძვლად საზოგადოების, როგორც ძმობა – მოყვსობის გაგებასაც. მართლაც ძმობა მხოლოდ მაშინ იქცევა სოციალურ ფაქტად, როდესაც მოძმენი გამოიყოფიან ადამიანთა საერთო მასიდან და განსაკუთრებულ კოლექტივს ქმნიან, სადაც შეერთებულნი არიან პირნი, რომლებიც დანარჩენთაგან განსხვავებით სწორედ ძმებად და მოძმეებად ისახებიან. ძმობას, როგორც ასეთს, აზრი მხოლოდ სხვათა ძმობაში მიმართებით აქვს, რამდენადაც იგულისხმება, რომ ძმები არიან არა ყველანი ერთად, არამედ ზოგნი: ძმობა სწორედ იმითაა ძმობა, რომ იგი ზოგთაშორისი ერთობაა. ეს ვითარება პირდაპირ კავშირშია ნათესაობასთან, რომლის საფუძველზედაც აღმოცენებულ მოყვსობად განიხილება კიდევაც ხსენებული ძმობა. ნათესაობას, როგორც სოციალურ ფაქტს, ასევე მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამავე „ზოგის“ ფარგალში. ის მოიაზრება, რომ ყველა ადამიანი, როგორც ასეთი, ერთი მოდგმისაა და, შესაბამისად, ერთი ნათესაობის შემადგენელი, სრულიადაც არ მოდის წინააღმდეგობაში ამ ზოგადი ნათესაობის დაყოფასთან კონკრეტულ ნათესაობებად, რამდენადაც ამ უკანასკნელთ ძალა აქვთ სწორედ ზოგადი ნათესაობის ფონზე, – ნათესაობისა, რომლის შესატყვისიცაა ასევე ზოგადი კაცთმოყვარეობა, თავისთავად ჯერ კიდევ არასაკმარისი კონკრეტული საზოგადოების (კონკრეტული ძმობის) შესაქმნელად.

აქ შეგვიძლია ერთგვარად შევაჯამოთ ზემოთქმული და მოკლედ დავახასიათოთ ცხოვრების იდეა, რომლის წარმოებაცაა ილია ჭავჭავაძის აზროვნება. ამ იდეის თანახმად, ცხოვრება, რომლის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტიც ერია, არის ამ უკანასკნელის სოფლად-ადამიანობა, რომელიც, თავის მხრივ, ხასიათდება ვითარცა ერის სოფლად პიროვნება – საზოგადოება, იგულისხმება რა, რომ ეს პიროვნება – საზოგადოება არის კიდეც ამ თავის სუბიექტ ერის ყოფიერება. ეს უკანასკნელი, რამდენადაც იგი იაზრება, ვითარცა ადამიანობა და, როგორც ასეთი, პიროვნება, ამ თავის პიროვნულ კონკრეტობა-რეალობაში გვეძლე-

ვა გარკვეული ეროვნული ვინაობის სახით, როგორიცაა ამ შემთხვევაში ქართველობა, ასეთი პიროვნულ-საზოგადოებრივი ყოფიერება. იგულისხმება, რომ ქართველობა ქართველი ერის პიროვნულად გარკვეული ადამიანობაა, რომელიც, ვითარცა ყოფიერება (ქართველი ერის სოფლად-ადამიანობა – მისი სოფლად-ქართველობა), გარკვეული კულტურულ-ისტორიული (კერძოდ: **ფსიქოიდეოლოგიური**...) სისტემაა. ქართველობა (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ეროვნული ვინაობა, ვითარცა „სადაურობა" – ცხოვრების, როგორც სოფლად-გების იდეაში უშუალოდ გულებადი) არის ერის პიროვნება, რომელსაც შეადგენს ამ ერის შვილთა საზოგადოება, როგორც მათი მოყვსობა, გამომხატველი მათი სათანადო ნათესაობისა (საზოგადოება ვითარცა მოყვსობა – ნათესაობა), მოყვსობის სახით – **ძმობად** არსის, და ამ ნათესაობის იდეისაგან „ტერიტორიულად" განუყოფელი გარკვეული ქვეყნის (სოფლის) მკვიდრობისა. უკანასკნელი გარემოება ნათლად მიგვითითებს, რომ ხსენებულ ეროვნულ პიროვნებაში, მაგალითად ქართველობაში, იმანენტურად მოცემულია იდეა სოფლისა, ვითარცა ეროვნული პიროვნების ორგანული ელემენტისა, იგულისხმება რა, სახელდობრ, რომ ქართველობის შემთხვევაში ეს სოფელი საქართველოა. აქედან – „მამულ"-ზე, ე.ი. ერის განსაზღვრულ სოფელ-ქვეყანაზე (ტერიტორიაზე), ზრუნვაც, როგორც ორგანული ელემენტი „ვინაობა"-ზე ზრუნვისა. მართლაც, თვითონ ადამიანობის იდეაც, ზოგადად აღებული, თავის თავშივე გულისხმობს ადამიანის, როგორც სახელდობრ სოფლად-ადამიანობის გაგებას: ადამიანობა სოფლად-ადამიანობაა, რომელიც წარმოებს კიდეც ვითარცა „სოფლისთვის ზრუნვა", ამ სოფლის სათანადო გაგება-აგების სახით. შესაბამისად, საქართველოს, ვითარცა ქართველი ერის სოფელ-ქვეყნის, კულტურულ-ისტორიული ლანდშაფტი განიხილება, როგორც ლანდშაფტი თვითონ ამ ერის სოფლად-ადამიანობისა, რომელიც ამ შემთხვევაში ქართველობაა (სოფლად-ქართველობა) და რომელიც არის კიდევაც ხსენებული ქვეყნის სოფლობის, მისი სოფლად ყოფნის, შინაარსი. და ბოლოს, ქართველობა, ასეთი კულტურულ-ისტორიულად, ე.ი. კაცობრივ-პიროვნულად, კონკრეტული სოფლად-ადამიანობა, წარმოებადი, როგორც სოფლის გაგება-აგება, შესატყვისი ყოფიერება – აზროვნებისა და ყოფიერება – საქმიანობის სახით, შესაბამისად იაზრება, ვითარცა კულტურა, დროში მიმდინარე – რო-

გორც ისტორია (ქართველობის როგორც კულტურისა და ისტორიის, ამ გაგებით, კულტურულ-ისტორიული სისტემის იდეა). ასე რომ, საბოლოოდ, ცხოვრების იდეა, ვითარცა ილიას კონკრეტული „ზრუნვის საგნისა“, დგინდება, როგორც იდეა **ქართველობისა,** რომელშიც ვაზრობთ ქართველი ერის ყოფიერებას, რომელიც ისტორია და კულტურაა, ისტორია – როგორც სოფლად-გება, კულტურა – როგორც ამ სოფლად-გების შინაარსი სოფლის გაგებაგება, წარმოებადი გარკვეული შემოქმედების სახით გონით-იდეალური თუ მატერიალურ-პრაქტიკული ცხოვრების სარბიელზე.

ამის შემდეგ შეგვიძლია მეტნაკლები სიცხადით გავითვალისწინოთ ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის (ობიექტის) რაობა. თავში ვთქვი, რომ ამ მოაზროვნის საგანი, მისვე სათანადო გამოთქმათა თანახმად, არის ერის ცხოვრება, – ცხოვრება ეროვნული, რომელსაც თვითონ ილია „საზოგადო ცხოვრების“ სახელით აღნიშნავს ხოლმე. გარკვეულ მსჯელობათა გზით, თვითონ ილიას ნაწერების გათვალისწინებით, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი მწერალი ამ „ამ ცხოვრება“-ში გულისხმობს ჩვენს ე.წ. ვინაობას, რომელიც ტერმინ „ქართველობის“ სახით გააზრებულია, როგორც გარკვეული კულტურულ-ისტორიული სისტემა. ხოლო თუკი ვიკითხავთ ახლა ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზრე, აზროვნების რომელი დარგის წარმომადგენელია, აქაც სურათი, თვითონ სააზროვნო საგნის რაობის შუქზე, საბოლოოდ სინათლეს იძენს: ილია ჭავჭავაძე ქართველობის, როგორც ეროვნულად, აი, ამ აზრით, პიროვნულად გარკვეული ყოფიერების, ვითარცა გარკვეული კულტურულ-ისტორიული სისტემის, **იდეოლოგი** არის. ილია ჭავჭავაძე იკვლევს ჩვენს ცხოვრება – ვინაობას, შეისწავლის მის სხვადასხვა ასპექტს: სოციოლოგიურს, ეკონომიკურს, იურიდიულს, ისტორიულს, საერთოდ, ფილოსოფიურს, – როგორც ამ სისტემის იდეოლოგი. ილია ჭავჭავაძე ჩვენი, როგორც ერის, ცხოვრების ვითარცა ჩვენი სოფლად-ადამიანობის, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ქართველობაა (სოფლად-ქართველობა, სოფლად-ადამიანობის ეს კულტურულ-ისტორიული სახე), იდეოლოგი არის, რომელიც განიხილავს თავის საგანს მეცნიერულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით, რამდენადაც ამას ეს მისი იდეოლოგიური შემოქმედება მოითხოვს და მის, როგორც იდეოლოგის, კომპეტენციაში შედის, ამ კომპეტენციას გამოხატავს. სწორედ იდეოლოგიაა აზრის ის სფერო, სადაც გვევლინება ილია,

როგორც თავისი სააზროვნო საგნის სრული ბატონ-პატრონი და სადაც კომპეტენტურად მოქმედი დიახაც უნდა იყოს, ამ თავისი დიდი კომპეტენციის შესატყვისად, სოციოლოგიც, ეკონომისტიც, იურისტიც, ისტორიკოსიც... და, გასაგებია, ფილოსოფოსიც, რამდენადაც, ვიმეორებ, ამას საჭიროებს ცხოვრების იდეოლოგობის ეს მეტად რთული და განსაკუთრებული სააზროვნო უნარის მომთხოვნი საქმე. ამგვარად, ვსაზღვრავ რა ამ ჩვენი მოაზრის დარგობრივ-საგნობრივ ვინაობას, ვიტყვი, რომ:

ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზრე, არის ქართველობის, ასეთი ყოფიერების, ვითარცა გარკვეული კულტურულ-ისტორიული სისტემის, იდეოლოგი და, რამდენადაც ეს იდეოლოგი ცხოვრების, მისი ყველა დარგისა თუ მხარის, მეცნიერი და ერთობ ფილოსოფოსი უნდა იყოს, ილია ჭავჭავაძეც, ვითარცა იდეოლოგი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, ამ ცხოვრების სათანადო მეცნიერი და ფილოსოფოსი არის, **ქართველობის ფილოსოფოს** და **მეცნიერ-იდეოლოგი.**

ახლა, რამდენადაც საჭიროა ილიას სააზროვნო საგნის სტრუქტურის გათვალისწინება, მე მომიხდება შეჩერება საკითხზე, თუ როგორ წარმოუდგენია თვითონ ილიას ცხოვრება მისი ბუნებითი აღნაგობის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი ადგილი „წერილები-დან ქართულ ლიტერატურაზე“: „... ცხოვრება, – წერს ილია, – ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი მოაზრე ცხოვრებაა, მეორე – მოსაქმე, რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. თვით აზრიც სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც – აზრია, უკვე განხორციელებული [1, ტ. III, გვ. 204]. რა თქმა უნდა, ცხოვრების ერთიან ნაკადში გარჩევა ზემოხსენებული „ორი ტოტისა“, ავტორის მხრივ, არაფერს ორიგინალურს არ წარმოადგენს, მაგრამ ილიას აზროვნების ზოგად კონტექსტში (და, საერთოდ, ჩვენი მწერლობის ისტორიული ევოლუციის საერთო ფონზე) გარკვეულ გააზრებას მოითხოვს. მართლაც, როგორაა შესაძლებელი „მოაზრე ცხოვრება“? – ცხადია, როგორც აზროვნება, საიდანაც გვაქვს, შესაბამისად, **ცხოვრების, ვითარცა აზროვნების** იდეა. ასევე, თუ ვიკითხავთ, როგორაა შესაძლებელი „მოსაქმე ცხოვრება“, აქაც ანალოგიური პასუხი გვექნება: როგორც საქმიანობა; საიდანაც გვაქვს უკვე, შესაბამისად,

ცხოვრების, ვითარცა საქმიანობის იდეა. ასეთი გაგება ცხოვრებისა, მისი ასეთი წარმოდგენა, ვითარცა ყოფიერება – აზროვნებისა და საქმიანობის, სავსებით ესაბამება ცხოვრების, როგორც სოფლად-ადამიანობის იდეას: ცხოვრება სოფლად-ადამიანობაა, რომლის წესიცაა აზროვნება-საქმიანობა და რომელიც, თავის ამ წესისაებრ წარმოგვიდგება კიდეც თავად, ვითარცა თვით ეს აზროვნება და საქმიანობა, აზროვნება – როგორც სოფლად-გება, ვითარცა სოფლ-გაგება და საქმიანობა – როგორც სოფლად-გება ვითარცა სოფლ-აგება. ხოლო ცხოვრების, როგორც აზროვნება-საქმიანობის, საგნად ილია ამავე ცხოვრებას მიიჩნევს, იგულისხმება რა, რომ აზრი ცხოვრებისა მის, როგორც ერის სოფლად-ადამიანობის, შემდგომ წარმატებაში ან, როგორც ილია იტყვის, „განკარგებაში“-ში, გინა „გამჯობინება“-ში, ერთი სიტყვით, პროგრესში მდგომარეობს, რამდენადაც ადამიანობა, ილიასავე თქმით, ღმრთის ხატობა და მსგავსობაა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტობდეს მარტო ამ ხატობა-მსგავსობაში განუწყვეტელი, შეუნელებელი წინსვლის, ანუ ხსენებული პროგრესის, გზით. ცხოვრების, როგორც იმ შემოქმედების განსაზღვრა, რომლის საგანიც იგივე ცხოვრებაა, ანუ ცხოვრების, ვითარცა ცხოვრებისავე შემოქმედების (წარმოების) იდეა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ერთგვარ განმარტებას მოითხოვს.

თუ რა მიაჩნია ილიას ცხოვრების შინაარსად, ამაზე უკვე ითქვა: ყოველივე, რისი მოქმედიცაა ერი, თავის შვილთა ინდივიდუალური თუ კოლექტიური ძალისხმევის სახით, აზროვნებისა და საქმიანობის სარბიელზე, შეადგენს კიდეც ერის ცხოვრებას. მეორე მხრივ, ილია ცხოვრებას განიხილავს, როგორც **ზრუნვას** (ნიკ. ბარათაშვილის ფორმულით, „სოფლისთვის ზრუნვას“), რომელსაც თავისი გარკვეული საგანი აქვს. საგულისხმოა, რომ ილია, თუ ერთგან ლაპარაკობს „ზრუნვის საგან“-ზე, სხვაგან ამავე საგანს განსაზღვრავს, როგორც საგანს ცხოვრებისას („ცხოვრების საგანი“), რაც თვალსაჩინოდ მიგვითითებს, რომ ავტორი ცხოვრებაში ზრუნვას აზრობს, რომ ცხოვრების, „მოაზრესი“-ც და „მოსაქმესი“-ც, რაობას იგი სწორედ ზრუნვაში ხედავს: ცხოვრება, ილიას აზრით, ზრუნვაა, რომელსაც სათანადო საგანიც უნდა ჰქონდეს. და აი, აქ ისმის კიდეც კითხვა, თუ რა შეიძლება იყოს ეს საგანი, რაზეც ილიას გარკვეული პასუხი აქვს: ასეთი საგანი მხოლოდ ცხოვრებავე შეიძლება იყოს. რა აზრით? წერილის

ფარგლები საშუალებას არ მაძლევს ეს საკითხი დაწვრილებით განვმარტო, მაგრამ ერთ ადგილს მოვიყვან ილიას ნაწერიდან, რომელიც თვითონ მოჰფენს გარკვეულ ნათელს დასმულ კითხვას: „ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმელები რომ გაუსინჯოთ, მთელს კაცობრიობის ახოვანს პროგრესს თავიდან ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის-რა, თუ არ ძლევამოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა, გრძნობის აღსამატებლად მიმართული: რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერი“. და ცოტა ქვემოთ: „როგორც სხივნი მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი და ხორციელი, ამ გრძნობიდან წარმომდინარეობს და ყოველივე ისევ უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს“ [1, ტ. III, გვ. 265]. აქ საუბარია გრძნობაზე, რომელსაც „ღირსების გრძნობას“ ეძახიან და რომელიც, როგორც ახლახან ვნახეთ, ჩვენს მწერალს წარმოდგენილი აქვს, ვითარცა თავი-და-თავი ცხოვრებისა, მისი თავი – მიზეზიცა და თავი – მიზანიც. ხოლო ვნახოთ, თვითონ ეს გრძნობა რას ემყარება, რა ასულდგმულებს მას. ამაზეც ილიას გარკვეული პასუხი აქვს მოცემული თავის სხვა წერილში („შინაური მიმოხილვა“, 1882 წელი, აპრილი-მაისი), სადაც იგი, ეხება რა „შემოქმედებითს ძალს ცხოვრებისა“, წერს: „ეს შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველი წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და სწამლავს გარეშემო ჰაერსა. ადამიანიც, ამ ჰაერში სულის მბრუნავი, ცოცხალ-მკვდარსავით ზლაზვნით და ხანხალით დატანტალებს უგულოდ და უსულოდ **ცხოვრების მოედანზედ, როგორც სასაფლაოზედ**, თითქოს მარტო იმისთვისაო, რომ ერთი პატარა ადგილი იშოვოს, საფლავი გაითხაროს და შიგ ჩაწვეს. საკვირველიც არ არის, იქ მაცხოვარი სიო განახლებისა არ დაჰბერს ცხოვრებას და ამის გამო დღევანდელი დღე მკვდარია ხვალისათვის, როგორც გუშინდელი დღევანდელისათვის იყო. ამიტომაც ადამიანს აღარც გუშინდელი ახსოვს, აღარც დღევანდელი სწამს და აღარც ხვალინდელს ეტანება. ყოველსფერზედ გულაყრილია და **ცხოვრობს მარტო იმისათ-**

ვის, რომ მოკვდეს, როგორც მეტხორცი რამ, როგორც შემთხვევით მოსული და შემთხვევითვე წასასვლელი. ერთი სიტყვით, ადამიანი გამოფუყებულია, გამოცარიელებული, და ამიტომაც **თვითონ მისი ცხოვრებაც სიკვდილია და არა სიცოცხლე**.

გარნა იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა, წარსული, აწმყო და მომავალი – ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. **მაშინ ადამიანი თავს მართლა-და ადამიანად სცნობს, ეგ ცნობა საკუთარი თავისა ღირსებას უღვიძებს**, საკუთარი თავის ღირსება ჩაგრულყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად[1]. გმირებს, სახელოვან კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას – ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს“[2] (1, ტ.V, გვ. 150-151). ეს მრავალმხრივ საგულისხმო ადგილი განგებ ამოვწერე მთლიანად, რათა მკითხველს მიეცეს საშუალება, თვითონ დარწმუნდეს, თუ რამდენად სამართლიანია მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძე ცხოვრების სიკეთეს, რომელიც ამ ცხოვრებას ჭეშმარიტ სიცოცხლედა ყოფს ადამიანისათვის, სწორედ შემოქმედებაში ხედავს, ცხოვრების როგორც შემოქმედების პროცესში. ილია ნათლად და გარკვევით გვეუბნება, რომ კაცი თავს მხოლოდ მაშინ გრძნობს ადამიანად, როდესაც ცნობს იგი თავის თავს, როგორც ზიარს ცხოვრების შემოქმედ ძალთა, ანუ როდესაც თავის ცხოვრებას იგი განიცდის, ვითარცა ნაწილს ერის ერთიანი ცხოვრება – შემოქმედებისა. აქედან გასაგები უნდა იყოს ერის ზრუნვაც ცხოვრებაზე, მისთვის ჯეროვანი შემოქმედებითი სახის შესანარჩუნებლად: ცხოვრებას, ამ გაგების თანახმად, შეადგენს არა მარტო, ვთქვათ, ეკონომიკური ცხოვრება, წარმოებადი სათანადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ ზრუნვა თვითონ ამ ცხოვრებაზე, როგორც ცხოვრება – შემოქმედების ერთ-ერთ ფორმაზე, რომელშიც ისახება ერის ყოფიერება, როგორც მისი ჭეშმარიტი, კულტურულ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ადამიანობა. ერის ცხოვრება, ილიას აზრით, მდგომარეობს

[1] სწორედ აქ მოდის ღირსების გრძნობა ზემოხსენებულ როლში მიზეზისაც და მიზნისაც ცხოვრების ყოველგვარი წარმატების საქმეში.
[2] დაყოფა ყველგან ჩემია. – მ.ნ.

ერის სწორედ ამ ზრუნვაში მის ცხოვრებაზე ვითარცა მის ადამიანობაზე.

ახლა დავუბრუნდეთ ყოფიერების (ცხოვრების) ვითარცა აზროვნებისა და საქმიანობის იდეას. ციტირებული ადგილი ილიას „წერილებ-იდან ქართულ ლიტერატურაზე“ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ ავტორს როგორ ესმის ცხოვრების ამ ორი „ტოტის“, „მოაზრესი“ და „მოსაქმესი“, ურთიერთმიმართება და ამ მიმართების შუქზე როგორ ესახვის მას თვითონ ყოფიერების რაობა. ამჯერად მხედველობაში მაქვს ილიას სიტყვები აზრის, როგორც „ჯერ განუხორციელებელი“ საქმისა და საქმის როგორც „უკვე განხორციელებული“, აზრის თაობაზე. ციტირებული ფრაგმენტიდან ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ის **ყოფნა**, რომელიც **აქვს** ერს, ვითარცა **ყოფ-იერ-ს**, ილიას ესმის როგორც **სა-ქმე**, ამ სიტყვის ვითარცა **ქმნად-ჯერარსის**[1] გაგებით: ყოფიერი ყოფნის (ამ აზრით, „ყოფის“) ვითარცა სა-ქმის მქონებელია, რომელსაც ეს სა-ქმე – ყოფნა აქვს, ვითარცა მის, როგორც სწორედ სა-ქმის მოქმედს. ადამიანობის, ვითარცა ყოფიერების (ყოფიერად ყოფნის) იდეა ირკვევა, როგორც იდეა ამ ადამიანობისა ვითარცა საქმიანობის (საქმნიანად ყოფნის), გვაქვს რა ამგვარად **ყოფიერების, ვითარცა საქმიანობის**[2] იდეა.

ცხოვრება ილიას აზრით, ერთი რთული საქმეთა სისტემა საქმეა და ერიც, ვითარცა ცხოვრების სუბიექტი[3], ამ ცხოვრების სწორედ როგორც სა-ქმის იდეური და პრაქტიკული მოქმედია. კერძოდ, აზროვნება ამ **სა-ქმე ცხოვრების,** ვითარცა **აზრის** წარმოებაა. და თვითონ ილია ჭავჭავაძეც, როგორც ცხოვრების მოაზრე, ცხოვრების ვითარცა საქმის მოაზრე არის, რომელიც იკვლევს, თუ რა საქმეები შეადგენენ ჩვენს ცხოვრებას მოცემულ ისტორიულ ეპოქაში და, საერთოდ, რა საქმეს წარმოადგენს თვით ეს ცხოვრება, თავისი განვითარების ამ საფეხურზე, თავის მთლიანობაში. და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დადგენილია ცხოვ-

---

[1] რა თქმა უნდა, ქმნად-ჯერარსისა – ზოგადეროვნული, ე.ი. კულტურულ-ისტორიული (როგორიც მხოლოდ და სწორედ ეროვნული შეიძლება იყოს, – ზოგადეროვნული), თვალსაზრისით.

[2] ყოფ(ნ)ა – საქმე; საიდანაც გვაქვს: ყოფ-იერი – საქმ-იანი, ხოლო აქედან: ყოფიერება, საქმიანობა.

[3] ითქმის, რომ საზოგადოება (ერი) თავისი თავის სუბიექტია, რაც ნიშნავს, რომ ხსენებული საზოგადოება თავისი თავის, ვითარცა თავისი ყოფიერების (გავიხსენოთ: საზოგადოება – ყოფიერება) სუბიექტი არსი.

რების საქმის რაობა, ანუ, ის, თუ მოცემულ მომენტში რაა მისაჩ-ნევი ცხოვრებაში ჭეშმარიტ სა-ქმედ, გამოდის იგივე ილია უკვე საკუთრივ მოსაქმის როლში და ხელს კიდებს აი ამ სა-ქმედ მიჩ-ნეულის რეალიზაციას.

საგულისხმოა, რომ თვითონ სიტყვები „აზროვნება“ და „საქ-მიანობა“ სიტყვა „ყოფიერებას“-სთან მიმართებაში გვაძლევენ ენობრივ მოდელს ზემოხსენებული იდეისა. ავიღოთ „აზროვნება“. რას გამოხატავს იგი თავისი მორფოლოგიით? – იდეას აზროვნე-ბისა, როგორც იმ ყოფნის, რომელიც აზრის ქონებაში მდგომარე-ობს და, რომელიც, რამდენადაც იგი, თვით სიტყვა „აზროვნების“ თანახმად, თავის თავში გულისხმობს აზრის წარმოებას, ზემოთ-ქმული ქონების იდეას წარმოადგენს კიდეც როგორც იდეას აი ამ წარმოებისა: მაქვს ის, რასაც ვაწარმოებ, ანუ ქონება წარმოებაა. ცხადია, ასეთივე გაგებაა ჩადებული სიტყვა „საქმიანობა“-შიც, ოღონდ აქ აზრის ნაცვლად აღნიშნული ქონება – წარმოების საგ-ნად საქმეა დასახელებული, ხოლო ადამიანი (ერი) თავისი ყოფა – ცხოვრების მოქმედია (იგივე მწარმოებელი), როგორც ამ ყოფის მოაზრე და მოსაქმე. ეს ყოფა მას, როგორც მოაზრეს, ე-აზრება რა, ე.ი. როგორც აზრი ეძლევა (**ყოფა, ვითარცა აზრი**), ხოლო, როგორც მოსაქმეს, ე-საქმება რა, ე.ი. როგორც საქმე ეძლევა (**ყოფა ვითარცა საქმე**). ამგვარად, ყოფის წარმოება მიმდინარე-ობს, როგორც ამ ყოფა – ცხოვრების, ვითარცა აზრისა და საქ-მის წარმოება, რომელიც აზრის შემთხვევაში აზროვნებაა, ხოლო საქმის შემთხვევაში – საქმიანობა. როგორც „აზროვნება“-ში გვაქვს აზრის ქონების, ვითარცა აზრის წარმოების იდეა, „საქმი-ანობა“-ში კი იდეა საქმის ქონებისა, ვითარცა ამ საქმის წარმოე-ბის, ასევე წარმოგვიდგება, ყოფიერების, ვითარცა აზროვნების და საქმიანობის კონტექსტში, თვით სიტყვა „ყოფიერება“-ც, თა-ვისი აღნაგობით სავსებით შესატყვისი „აზროვნებისა“ და „საქმი-ანობისა“, როგორც გამომხატველი ყოფის ქონების, ვითარცა ამ ყოფის წარმოების იდეისა. ამგვარად, ყოფიერების, ვითარცა აზ-როვნების იდეაში იგულისხმება იმ ყოფნის იდეა, რომელიც ყო-ფის, როგორც აზრის ქონება – წარმოებაში მდგომარეობს, ხოლო ყოფიერების, ვითარცა საქმიანობის იდეაში იგულისხმება იმ ყოფ-ნის იდეა, რომელიც ყოფის, როგორც საქმის ქონება – წარმოება-ში მდგომარეობს; ცხადია, ეს ორგვარი ყოფნა იგივეა, რაც ილიას მიერ ხსენებული „ორი ტოტი“ იმ ერთიანი ყოფნისა, რომელსაც

„ცხოვრება“ ეწოდება და რომელშიც, ვიმეორებ, იგულისხმება ყოფიერება – აზროვნება, „მოაზრე ცხოვრების“ სახით, და ყოფიერება – საქმიანობა, „მოსაქმე ცხოვრების“ სახით. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ „ყოფა“, „ყოფიერება“-ში წარმოდგენილი, არა მარტო ყოფნას გულისხმობს, არამედ ქმნასაც, რომელიც, რამდენადაც საქმეში სწორედ ის იაზრება, რაც თავისთავად ქმნაა, ამ შემთხვევაში გაიგება კიდეც, როგორც სა-ქმე[1]. ხოლო ზემოთ აღინიშნა, რომ ილიას ჩვენი ყოფა (– ცხოვრება) ესმის როგორც საქმე, რომლის იდეალური მოქმედნი ვართ, ვითარცა ამ სა-ქმე ცხოვრების მოაზრენი, და პრაქტიკულნი მოქმედნი – ვითარცა მისნი საკუთრივ მოსაქმენი. ამგვარად, აზროვნება და საქმიანობა განიხილება, როგორც ფორმები ყოფიერებისა, რომელიც ორივე შემთხვევაში საქმიანობაა და რომელიც თავდაპირველად წარმოგვიდგება აზროვნების სახით, როგორც „ჯერ განუხორციელებელი“, ხოლო შემდეგ, საკუთრივ საქმიანობის სახით, როგორც „უკვე განხორციელებული“. ასე რომ, „ყოფიერება“ გვიცხადებს ყოფიერების ვითარცა საქმიანობის, აზროვნებისა თუ საკუთრივ საქმიანობის სახით წარმოებადის, იდეას, რომელსაც მტკიცედ და გარკვევით ადგას ილია ჭავჭავაძე თავის აზროვნებაშიც და ამ აზროვნების პრაქტიკაში „მახორციელებელ“ თავის საქმიანობაში.

ხოლო ცხოვრებაში ამ აზროვნებასაც და საქმიანობასაც საფუძვლად უდევს, როგორც ეს უკვე გაკვრით აღვნიშნე, **ზრუნვა**, რომელიც ილიასთან სხვაგვარად სიტყვა „ღვაწლით“ (გინა „მოღვაწეობით“...) აღინიშნება ხოლმე. რამდენადაც „მოღვაწეობა“ (გინა „ღვაწლი“...) უკეთ გამოხატავს იმ იდეას, რომელსაც ახლა უნდა შევეხო, ამდენად შევჩერდები სიტყვა „ღვწა“-ზე, საიდანაც გვაქვს „მოღვაწე“, ხოლო აქედან – „მოღვაწეობა“-ც (ვგულისხმობ რა ამ უკანასკნელში ყოფნას („მოღვაწე-ობა“ – მოღვაწედ ყოფნა), რომლის წესიც ღვწაა და რომელიც თავის ამ წესისამებრ ფორმდება კიდეც თავის რაობაში, როგორც თვითონ ეს ღვწა;

[1] შენება, მაგალითად, თავისთავად აღებული, არის ქმნა (ამ აზრით იგივე ყოფა), რომელიც საქმეა თავისი მოქმედი სუბიექტისათვის: ვიქმთ – საქმეს და, რამდენადაც შენებას მისი სუბიექტი „იქმს“, ამდენად ეს ქმნა, რომელიც ამ შემთხვევაში შენებაა, შესაბამისად ისაზღვრება კიდეც სახელდობრ სა-ქმედ.

რის გამოც ითქმის კიდევაც, რომ: მოღვაწე-ობა ის ყოფნაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ღვწა...).

ხსენებული ზმნა („ღვწა“) პოლისემიური სიტყვაა, რომლის მნიშვნელობათაგან (რომლებიც, ვიტყვი აქვე, ერთმანეთთან ლოგიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთ გარკვეულ საზრისობრივ სისტემას ქმნიან) ამჯერად გამოვყოფ შემდეგს: 1. **ზრუნვა** და 2. **შრომა** და **ბრძოლა**. ამ მნიშვნელობათა საზრისობრივი ერთიანობა აშკარაა, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ძირითადი აქ ზრუნვის იდეაა, საიდანაც გამომდინარეობენ კიდეც იდეები შრომისა და ბრძოლისა, იგულისხმება, რომ, თუკი ზრუნვა ნამდვილია, ე.ი. საქმიანია, მას შრომისა და ბრძოლის სახე უნდა ჰქონდეს, და რომ შრომა და ბრძოლა, თავის მხრივ, სხვა არაფერი არიან, თუ არა ზრუნვის წესნი, მისნი რეალური გამოხატულებანი. „ვიღწვი“ ნიშნავს: ვზრუნავ, ე.ი. ვშრომობ და ვიბრძვი. ამგვარად „ღვაწლში“, რომელზეც ლაპარაკობს ილია (გინა „ღვწა“-ში, იმავე „მოღვაწეობა“-ში), ჩვენ უნდა ვიაზროთ ზრუნვა მისი ნამდვილი, საქმიანი სახით, ანუ: ზრუნვა – შრომა, ზრუნვა – ბრძოლა. და ერის ცხოვრება, ე.ი. მისი სოფლად – ადამიანობა, ილიას აზრით, სწორედ ეს ღვწა – ზრუნვაა, აი ამ ზრუნვა – შრომისა და ზრუნვა – ბრძოლის გაგებით. ასეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი, ილიას თანახმად, მოაზრე და მოსაქმე არსებაა (ანუ ერთი სიტყვით: მოსაქმე არსება, რამდენადაც „თვით აზრიც... საქმე(ა)“ და, მაშასადამე, მოაზრეც – მოსაქმე) როგორც მოღვაწე არსება, რომლის აზროვნებაცა და საქმიანობაც წესია მისი სოფლად მოღვაწეობისა, მისი ამგვარი სოფლად-ყოფნისა, და, როგორც ასეთი, ერთიცა და მეორეც გარკვეული ფორმაა იმ ზრუნვისა, რომელსაც, მისი „საგნის“ შესატყვისად „სოფლისათვის ზრუნვა“ უწოდა ნიკ. ბარათაშვილმა და რომელიც შეადგენს კიდეც ერის ცხოვრებას, მის სოფლად-ადამიანობას. სოფელი ქვეყანაა, რომლის მასოფლებელი ელემენტი, თვითონ ამ სოფელ – ქვეყნის სტრუქტურაში შემავალი, მისი სოფლობის სუბიექტი ერია და რომელიც თავისი ამ კულტურულ-სოციალური (ადამიანური) რაობის განმსაზღვრელი ელემენტის საფუძველზე ისაზღვრება კიდეც, როგორც პირველ ყოვლისა – თვითონ ეს ერი; ხოლო რამდენადაც ერი, ვითარცა თავის-სუბიექტი (ამ აზრით თავის-უფალი), თავის როგორც ყოფიერების სუბიექტია, ამდენად ითქმის კიდევაც, რომ სოფელი სხვა არაფერია, თუ არა თვითონ ის ყოფიერება, რომ-

ლის, ვითარცა „თავის“, ანუ საზოგადოების, როგორც ყოფიერე-ბის, სუბიექტიცაა ერი. ამგვარად, ცხოვრების, როგორც სოფლი-სათვის ზრუნვის, იდეა იგივეა, რაც იდეა თვითონ ცხოვრებისათ-ვის ზრუნვისა, – ცხოვრებისათვის, რომელიც, ვითარცა სოფ-ლად-ადამიანობა, ერის სოფლად-პიროვნებაა, თავის თავში შემ-ცველი თვითონ ქვეყნისაც, რამდენადაც მისი, ვითარცა სოფლის შენება შეადგენს კიდეც ერის ამ სოფლად ადამიანობა – პიროვ-ნებას.

ხოლო ვზრუნავთ იმისათვის, რაც გვიყვარს: ზრუნვის საგა-ნი **სიყვარულის** საგანია. ცხოვრებისათვის, იმავე „სოფლისათვის“, ზრუნვა სხვა არაფერია, თუ არა **ცხოვრების-, იმავე „სოფლის“-, მოყვარეობა**. ამგვარად, ცხოვრების პრინციპი (და ეს ნათლადაა გამოხატული ილიასთან) არის სიყვარული, რომლის საგანიც თვი-თონ ცხოვრებაა და რომლის საქმიანი სახებაცაა ზრუნვა. ცხოვ-რების, როგორც მაცხოვარების იდეა, სწორედ სიცოცხლის-მოყ-ვარეობას ემყარება, რომელიც სიცოცხლის წარმოებაში მდგომა-რეობს აზროვნებისა და საქმიანობის სახით. ცხადია, ხსენებულ „სიცოცხლე“-ში იგულისხმება ის „სულიერება“ (ცოცხალი – სუ-ლიერი), რომელიც გონიერებაა და რომელიც, ვითარცა ყოფიერე-ბა, სხვა არაფერია, თუ არა სოფლად-ადამიანობა, ქართველი ერის პერსონალურ შემთხვევაში – სოფლად-ქართველობის სა-ხით. ამგვარად გვაქვს ცხოვრების, ანუ ერის სოფლად-ადამიანო-ბის, როგორც სიყვარულის იდეა, რომლის ასპექტებიცაა იდეები სიცოცხლისა (ონტოლოგიური), სიბრძნისა (გნოსეოლოგიური) და სიკეთისა (აქსიოლოგიური), და რომლის რეალური (საქმიანი) ფორმაცაა ზრუნვა, თავად – აზროვნებისა და საქმიანობის სახით რეალიზებადი. სხვანაირად რომ ვთქვა, ცხოვრება, ვითარცა სოფლად-ადამიანობა, არის სოფლისთვის ზრუნვა, რომელიც სხვა სიტყვით აღინიშნება როგორც სოფლისთვის-**მოღვაწეობა**, აი, ამ აზრით, მართლაც რომ ადამიანობა: ადამიანობა, როგორც კულ-ტურა, სხვა არაფერია, თუ არა მოღვაწე-ობა, ასეთი ყოფნა, რო-მელიც ამ სახით წარმოგვიდგება კიდეც, ვითარცა ცხოვრების ანუ სოფლად-ადამიანობის, როგორც კულტურის სინამდვილე. იგულისხმება, რომ ცხოვრება, რომელიც, ვითარცა სოფლად-გე-ბა, სოფლის გაგება-აგებაა, გარკვეული **ხელოვნება** არის, რაც გვააზრებინებს კიდეც ამ ცხოვრებას, როგორც კულტურას: ცხოვრება კულტურაა, როგორც სოფლ-მშენებლობის ხელოვნება,

ამ სოფლის გაგება-აგების სახით. ესმის რა ცხოვრება, ვითარცა მოღვაწეობა, ილია ჭავჭავაძე ამ თავისი გაგებით გვაძლევს ცხოვრების როგორც კულტურის იდეას. ვიმეორებ: ცხოვრების, როგორც მოღვაწეობის, ე.ი. ზრუნვა – შრომისა და ზრუნვა – ბრძოლის, გაგება ცხოვრების ვითარცა კულტურის გაგება არის და ილია ჭავჭავაძის იდეაც ცხოვრებისა ცხოვრების (ყოფიერების, ექსისტენციის...), ვითარცა კულტურის გაგებას გამოხატავს, რომლის თანახმადაც ერი მოქმედია თავისი ცხოვრება – **ისტორიისა** ვითარცა კულტურის. ამიტომაც, ვამბობ რა, რომ ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზრისა და მოსაქმის „ზრუნვის საგანი“ ცხოვრებაა, ამით ილიას ამ ზრუნვის საგნად ვსაზღვრავ ცხოვრებას როგორც **კულტურას**, რომელიც სოფლად **ისტორიის** სახით წარმოებს, ანუ ილია ჭავჭავაძე, თანახმად ამ განსაზღვრისა, წარმოგვიდგება მოღვაწედ, ვისი „**ზრუნვის საგანი“-ც არის ცხოვრება, როგორც ისტორია და კულტურა**.

არც ერთი დარგი მეცნიერებისა, რომელსაც საგნად აქვს ცხოვრება, ამ უკანასკნელის მიმართ ზრუნვის დარგად არ ისაზღვრება. ასე, მაგალითად, სოციოლოგი ისეთსავე „მზრუნველად“ შეიძლება მივიჩნიოთ მისი სამეცნიერო საგნის მიმართ, როგორც ვთქვათ, ენტომოლოგი ან იქტიოლოგი – მზრუნველად სათანადო სამეცნიერო საგნისა. ხოლო ადამიანისათვის მის ცხოვრებას ჭეშმარიტი სახე აქვს მხოლოდ როგორც ზრუნვის საგანს, რომლის მოაზრებაც, შესაბამისად, ამ ზრუნვის ხედვითი ფორმა უნდა იყოს (ხედვა – ზრუნვა)[1]. ილია ჭავჭავაძის განსხვავება ვინმე მეცნიერისაგან (გინდ ფილოსოფოსისაგან, ერთი სიტყვით: საკუთრივ თეორიული მოაზრისაგან) ისაა, რომ იგი სწორედ იმისი მოაზრეა, რისი მოღვაწეცაა (ე.ი. რისი მზრუნველიც, როგორც ამ საზრუნავისათვის მშრომელი და მებრძოლი, აი ამ ჭეშმარიტი სახით მზრუნველი), და რომ მისი აზროვნება, მიმართული გარკვეულ საგანზე, ამ უკანასკნელისათვის, მის სასიკეთოდ, მოღვაწეობის წესია. გასაგებია, რომ ესაა, განსხვავებით წმინდა თეორიულისაგან, განსაკუთრებული ტიპის აზროვნება, გამომხატველი იმ ზრუნვისა, რომელიც, თავის მხრივ, საგნისადმი ამ ზრუნვის მა-

[1] „ხედვას“ ზრუნვის მნიშვნელობაც აქვს. ცხოვრების ჭეშმარიტი, ე.ი. თვითონ ამ ცხოვრების მისი სუბიექტისათვის რაგვარობის ადექვატური, ხედვა ცხოვრების ხედვა – ზრუნვის სახითაა შესაძლებელი, როგორც **ხედვა ცხოვრებისა, ვითარცა ზრუნვის საგნის.**

სულდგმულებელი **სიყვარულის** გამოხატულება არის და რომელიც, ამგვარად, აფუძნებს აზროვნებას, როგორც სიყვარულის გონით-ხედვითს რეალიზაციას (რამდენადაც ხედვა ტრფობაა, რომელიც თავის სრულყოფას თვით ამ ხედვაში ჰპოვებს)[1] არც ფილოსოფიურნი და არც პოზიტიურნი მეცნიერებანი, რამდენადაც ისინი თავიანთი საგნისადმი წმინდა **თეორიული** ინტერესით სულდგმულობენ, არ წარმოებენ ზემოხსენებული **ზრუნვა** – აზროვნების, სათანადო გონითხედვითი ტრფობის (ასეთი დინამიკური სიყვარულის) გამომხატველის, სახით. და ის ერთადერთი დარგი, სადაც ადგილი აქვს ასეთ აზროვნებას, წარმოებადს ბუნებრივ ენაზე, არის ლიტერატურა, რომელსაც „საქმე მთელ ერთანა აქვს“ (განსხვავებით საკუთრივ მეცნიერებისაგან). ცხოვრება ზრუნვის საგანია თავისი სუბიექტისათვის, რომელიც ერია, და ლიტერატურაც, როგორც ამ ზრუნვის გამომეტყველი, ცხადია, ასეთი შეიძლება იყოს, მხოლოდ ვითარცა გამომთქმელი თვითონ ერის, პირადად რომლის ზრუნვაცაა იგი „სოფლისთვის ზრუნვა“, გულისნადებისა, მისი ცხოვრებისეული გულისთქმისა და გულისსიტყვისა. ლიტერატურაში ილია თვითონ ერის, როგორც ასეთის, წარმომადგენლობას ხედავს მის (ერის) გულისმესაიდუმლე შვილთა, ნამდვილ ერის-კაცთა სახით, როდესაც საბოლოო კულტურული ვერდიქტი, ისტორიული განაჩენი ამ ლიტერატურის მიმართ, ისევ და ისევ ამ ერს ეკუთვნის, რომელსაც, რა თქმა უნდა, ასეთი ინტელექტუალური უფლებამოსილება არ გააჩნია საკუთრივ თეორიული, წმინდამეცნიერული იდეების მიმართ. მაგრამ იმისათვის, რათა ერს შეეძლოს, ჯეროვნად გაუძღვეს ამ თავის უფლება-მოვალეობას საკუთარი თავის, საკუთარი ყოფა-ცხოვრების წინაშე, საჭიროა, რომ იგი კულტურული განვითარების სათანადო დონეზე იდგეს, რასაც ემსახურება კიდეც განათლების სისტემა და იგივე ლიტერატურა, თავისი ამ შემთხვევაშიც ყველაზე მოქმედი ნაწილის – პრესის ჩათვლით. მეცნიერების მონაპოვარნი კულტურის ფაქტებად მხოლოდ მაშინ ფორმდებიან საბოლოოდ,

[1] „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ – „ქვეყანა“ თავის შვილთა „ზრუნვის საგანი“-ა, რადგან „გული“ ამ მამულიშვილთა მშობელი ქვეყნისადმი „ტრფობის ბუდეა“. ხოლო ეს მამულიშვილური ზრუნვა, ცხადია, გამოიხატება იმ აზროვნებასა და საქმიანობაში, რომლებიც შეადგენს „საზოგადო ცხოვრებას“, წარმოებადს „ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად“ [1, ტ. III, გვ. 198]

როდესაც ისინი ლიტერატურის შინაარსად იქცევიან, როგორც ჭეშმარიტად **საერო** ცნობიერების კუთვნილებანი... აქედან – ილიას ზრუნვაც სახალხო განათლებასა და ლიტერატურაზე, ვითარცა ერის, როგორც თავისი ცხოვრების ნამდვილი კულტურული სუვერენის, სათანადო შემოქმედებითი **თავის-უფლობის** საფუძველსა და საშუალებაზე.

ხოლო ილიას ზრუნვის საგნის რაობის გარკვევა ჩვენთვის იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ ხსენებული საგანი არის განმსაზღვრელი ილიას აზროვნების (ისევე როგორც საქმიანობის) მიმართულებისა; ილიას **სამოღვაწეო** საგნის დადგენით ჩვენ ვადგენთ თვითონ **მიმართულებას** ამ საგანზე სწორედ მიზნობრივ ორიენტირებული მოღვაწეობისაც, კერძოდ – აზროვნების სფეროში, რამდენადაც საგანი ამ შემთხვევაში მართლაცდა როგორც მასზე მიმართული მოღვაწეობის სა-განი, ე.ი. სა-მიზნე („განი“ – მიზანი) იაზრება. როდესაც ვამბობ, რომ ილია ჭავჭავაძე **ლიბერალიზმის**, ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის კაცია, პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ცხოვრების, როგორც თავისუფლების, ილიასეული გაგება, საიდანაც ირკვევა თავისუფლება, ვითარცა ნამდვილი ზრუნვის საგანი ამ მოღვაწისა, რომელიც ამგვარად წარმოგვიდგება კიდეც, ვითარცა **თავისუფლების მოღვაწე**. ხოლო ცხოვრების, ვითარცა სოფლად-ადამიანობის იდეას, კულტურულ-ზნეობრივად განუყოფელს ცხოვრების, როგორც თავისუფლების გაგებისაგან, უშუალოდ მივყავართ ცხოვრების, ვითარცა სოფლად-პიროვნების იდეამდე, რომელიც კონკრეტული ერის, ამ სოფლად-ადამიანობა-პიროვნების ერთადერთი ჭეშმარიტი სუბიექტის, შემთხვევაში გარკვეულ ვინაობად ისახება, როგორც, მაგალითად, ქართველი ერის შემთხვევაში – ვითარცა ამ ერის სოფლად-ქართველობა, მისი ასეთი პიროვნება – ყოფიერება; და მაშინ ილიას პრინციპული, **აბსოლუტური** ზრუნვის საგნად დგინდება ქართველობა, ე.ი. გარკვეული ეროვნული ვინაობა, რაც, რა თქმა უნდა, ასევე სრულიად კონკრეტულ მითითებას გვაძლევს ილიას კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე, მის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწის, სათანადო მიმართულებაზე: ადამიანი, რომლისთვისაც ერი უმაღლესი სოციალური არსია, და შესაბამისად, მასზე ზრუნვა – უზენაესი კულტურულ-ზნეობრივი იმპერატივი, ცხოვრების ყველა სხვა მოთხოვნათა თავისადმი მაქვემდებარებელი; ანუ ვის-

თვისაც „ქვეყანად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, – განა დღესავით არ არის ნათელი, თუ რომელ კულტურულ-პოლიტიკურ მიმართულებას ეკუთვნის? ამგვარად, ილიას სააზროვნო საგნის რაობა მის სათანადო მიმართულებას გვირკვევს, რომელიც ყველაზე ზუსტად როგორც **ეროვნული ლიბერალიზმი** ისაზღვრება. ხოლო თუკი ამ მიმართულებას იმ მეთოდის მიხედვით დავახასიათებთ, რომლითაც ხელმძღვანელობს ლიბერალიზმი და რომელიც, სახელდობრ, დემოკრატიზმია (დემოკრატიზმი – ლიბერალიზმის მეთოდი), მაშინ ვიტყვით, რომ ილიას სახით ჩვენ საქმე გვაქვს **ეროვნულ-დემოკრატიული** მიმართულების მოღვაწესთან.

... ამაზე ვწყვეტ. ცხადია, აქ მე ვერ შევძელი ილიას სააზროვნო საგნის ყოველმხრივი გაშუქება, მაგალითად, სრულიად არ შევხებივარ ეროვნული ყოფიერების, როგორც კულტურული რეალობის, დარგობრივ სტრუქტურას და, ამასთან დაკავშირებით, ერის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის (კერძოდ, მის დარგთა) ურთიერთდამოკიდებულებას თვითონ ამ ყოფიერების (ცხოვრების), ვითარცა მისი სუბიექტის სოფლად-ადამიანობის, წარმოების საქმეში; არ შევხებივარ აგრეთვე ენისა (რომელზეც წარმოებს „მოაზრე ცხოვრება“ და რომელიც, ამგვარად, წარმოგვიდგება კიდეც, ვითარცა ენა თვით ამ ყოფიერებისა, მის ასეთს („მოაზრე“) ფორმაციაში) და სარწმუნოების ადგილს ცხოვრების, როგორც „ზრუნვის საგნის“, სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, ზოგადად, ხსენებული საგნის ის მოდელი, რომლითაც ვხელმძღვანელობ ცხოვრების თემაზე ილიას ნააზრევის კვლევისას.

ლიტერატურა

1. **ჭავჭავაძე ი.**, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1951-61
2. **ბერძენიშვილი ნ.**, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975
3. **დამასკელი იოანე,** დიალექტიკა, თბ., 1976
4. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„კლასიკურს მე ვუწოდებ ჯანმრთელს,
რომანტიკულს კი – ავადმყოფურს“.
ი. ვ. გოეთე

ქართული ლიტერატურის არც ერთ კლასიკოსს, შოთა რუსთველის გარდა, არ რგებია ამ ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ისეთი ერთსულოვანი აღფრთოვანება, ფაქტი უთუოდ საგულისხმო, როგორიც წილად ხვდა ნიკოლოზ ბარათაშვილს: გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშველა... გალაკტიონ ტაბიძე – მისი პოეტური გენიის თაყვანისმცემლები. იგივე ითქმის ქართული ფილოსოფიური აზრის ინტერესზეც პოეტის შემოქმედებისადმი, რამაც თავისი ღირსსახსოვარი გამოხატულება ჰპოვა სწორედ ამ თემაზე გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო ფილოსოფიურ დისკუსიაში (1909 წ.) არჩილ ჯორჯაძისა და, საგანგებოდ აღვნიშნავ (ამაზე ცალკე), დიმიტრი უზნაძის მონაწილეობით.

რადგანაც ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებული შეხედულებისამებრ ბარათაშვილის პოეტური დიდება განუყოფელია მისი, როგორც ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის, აღიარებისგან, საჭიროდ მიმაჩნია, ამთავითვე მივაპყრო მკითხველის ყურადღება ერთ ფაქტს. ილია ჭავჭავაძეს, ბარათაშვილის „აღმომჩენს“ ქართველი საზოგადოებისთვის და მის დამამკვიდრებელს ქართული ლიტერატურის პანთეონში, ერთხელაც არ ჰყავს იგი რომანტიკოსად მოხსენიებული, და ასევე, ესეც გავითვალისწინოთ, არც – ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, აგრეთვე რომანტიკოსებად ცნობილნი, რაც, ცხადია, შემთხვევითი არაა. მართლაც, ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილ წერილში ილია აღნიშნავს: „[...] თ. ვახტანგ ორბელიანი ნამდვილი ლირიკოსია რომანტიულ სკოლისა, ეგრედ-წოდებულ „რომანტიზმს“[!] იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენელი. ერთად-ერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით აურეველია და აუჭრელებელი [ხოლო რომანტიკოსებად ცნობილი ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, გავიხსენოთ მათდამი ილიას პიეტეტი, „ამ მხრით“, მისივე შეფასებით, „არეული და აჭრელებული“?].

„რომანტიზმს“ ევროპის პოეზიაში იმ ხანებში დიდი ადგილი ეჭირა და მისი უდიდესი დედა-ბოძი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი, რომლის თხზულებათა კითხვა თ. ვახტანგ ორბელიანს, როგორც ჩანს მისი ლექსებიდან, ხშირად ჰყვარებია“. ესაა და ეს, რაც შეეხება ილიას აზრს, რამდენადაც ვიცი (და მესმის), „ქართულ რომანტიზმ“-ზე[1]. – მაგრამ სიტყვა ამ თემაზე აქ ისედაც გამიგრძელდა და თქმულს დავსძენ მოკლედ, რომ „ქართული რომანტიზმის“ იდეა თავისი წარმოშობით ქართული ევროპეიზმის (ეს უბრჭყალებოდ) იდეოლოგიასთანაა დაკავშირებული, სახელდობრ, ევროპეიზაციის გზაზე XIX საუკუნეში ავად თუ კარგად შემდგარი ქართული ლიტერატურის სათანა-

[1] მე მგონია, ამ ე. წ. ქართული რომანტიზმის, მისი იდეის, რაკი იგი ისტორიულად მაინც არსებობს, პრობლემის სიძნელე საკუთრივ რომანტიზმს („ქართული“ აქ არაფერ შუაშია) ეხება: მიზეზი თვით რომანტიზმის ვითომც კონცეპტუალურად დეფინირებადი იდეის სინამდვილეში რაღაც ქამელეონისებრი სახე-სახელცვალებადობაა; საიდანაც – ის „დადაისტური აბდა-უბდა“ (კარლ შმიტის მისებურ მოხდენილი მკვეთრი გამონათქვამი „რომანტიკის“, რომანტიზმის კოტექსტში, გაგებასთან დაკავშირებით), რომელიც მართლაც არსებობს ამ საკითხში. ხოლო ეს სულაც არ ნიშნავს, საერთოდ მოკლებული ვიყოთ ყოველგვარ, ზოგადს მაინც, წარმოდგენას რომანტიზმზე (ვთქვათ, „ჯერ კიდევ“ განმანათლებელ, კლასიცისტ ვოლტერთან ერთად, რუსოდან მოყოლებული თვით „არისტოკრატიულ რადიკალ“ ნიტცშემდე, თუმცა ეგევე ისტორია ახლაც გრძელდება... გოეთეს სიტყვები ეპიგრაფად ტყუილად არ დამიმოწმებია). ასე, მაგალითად, როდესაც ამბობენ ვინმე პოეტზე, რომანტიკოსი არ არისო, თავისთავად იგულისხმება, რომ იგი რომანტიზმის, ასეთი მიმდინარეობის, წარმომადგენელი არაა, და არა იმას, რა თქმა უნდა, თითქოს მისი პოეზია რომანტიკას (რომანტიკულობას) იყოს მოკლებული: ვინ იყო კლასიკოსთა კლასიკოს შექსპირის ბადალი რომანტიკოსი? ამიტომ არ უნდა გაგვიგკვირდეს რომანტიკოსთა გატაცება შექსპირით თუ სხვა კლასიკოსებით, ისევე როგორც ვინმე კლასიკოსისა – რომელიმე რომანტიკოსით. – ერთი სიტყვით, რომანტიკულობა, როგორც ასეთი, რომანტიზმის მაუწყებელი ნიშანი ჯერ კიდევ არაა (ასე უნდა გვესმოდეს ილიას ადრინდელი გამონათქვამი „ვეფხისტყაოსან“-ზეც მის „პასუხ“-ში). რომანტიზმი, მე ასე ვიტყოდი მისი ცნების განსაზღვრაზე რაიმე პრეტენზიის გარეშე, არის ჰიპერტროფირებული რომანტიკა, რომლის საგანიც, თეორიულად, ყველაფერი შეიძლება იყოს (რაღა შორს ვიაროთ, იგივე ტექნიკა, საამისო „ტექნიციზმით“-ურთ... „ანტირომანტიზმის რომანტიზმი“). და ამ თვალსაზრისით კლასიციზმიც, რომლის, მისი „დოგმატიზმითა“ და „ნორმატივიმიზმით“, უარყოფადაც ტრადიციულად განიხილება რომანტიზმი, შეგვეძლო წარმოგვესახა ანტიკური კლასიკით ასეთი რომანტიკული შემოქმედებითი გატაცების რომანტიზმისვე „პრეისტორიულ“ ფორმად.

დოდ გამართვის, თანადროულ ევროპულ ყაიდაზე, თავისთავად ფრიად საპატიო სურვილით.

ასე რომ, ინტერესს, რომელიც ბარათაშვილს უთუოდ ჰქონდა, თავისთვის, დიახაც, საარსებო, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედისთვის, მაშინდელი რომანტიკული პოეზიისადმი (კავშირი დროისგონთან...), ისევე არ შეუქმნია იგი რომანტიკოსად, როგორც გალაკტიონი მის ცნობილ გატაცებას ბოდლერითა და ვერლენით – სიმბოლისტად, რადგან ერთიცა და მეორეც იყო ამ თავის საარსებო, რამეთუ შემოქმედებითად სწორედაც საექსპლუატაციო, გავლენათა სუვერენული ბატონ-პატრონი. საერთოდ, რაკი ამაზე სიტყვა ჩამოვარდა, სასკოლო „იზმ“იზმი, პრინციპული, ასე ვთქვათ, დოგმატური, ქართულ პოეზიაში (– მხატვრულ ლიტერატურაში) შემოქმედებითად, მისი „კლასიკის“ შექმნის თვალსაზრისით, უნაყოფო აღმოჩნდა, – გასათვალისწინებელი ფაქტი.

ახლა – რაც შეეხება უშუალოდ წინამდებარე წერილის თემას. დავიწყებ, სანამ ჩემს აზრს ამავე საგანზე ერთგვარ რეზიუმესავით გამოვთქვამდე, **ილია ჭავჭავაძეთი**, ვისაც ეკუთვნის – მის შემდგომ კი, გავხაზავ აქვე, აგრეთვე **დიმიტრი უზნაძეს**, ვისზეც ილიას შემდეგ ასევე შევჩერდები... – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მასულდგმულებელი გონითი განწყობის (ვსარგებლობ უზნაძის ფილოსოფიური, ხოლო ფსიქოლოგიაში – პროეცირებული, ცნებით) ფუძემდებლური ზოგადკულტურული გააზრება.

ბარათაშვილი, წერს ილია (“წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1892), წერილი IV; ხაზგასმები ჩემია, მ.ნ.), „მით იყო უფრო ძლიერია ლირიკაში თ. ალ. ჭავჭავაძესა და თ. გრ. ორბელიანზედ [რომელთა შემოქმედებასაც, თავისთავად, ილია დიდად აფასებდა], რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა **კაცობრიობის** კვნესაა, მისი ჩივილი **კაცობრიობის** ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა **კაცობრიობის** უღონობაა. ჰხედავს ცას და შეჰკვნესის უღონობის სიმწვავითა: „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი აქამდისა მაქვს გულს დაჩნეული,/ აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,/ მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!“. განა მარტო მისნი ფიქრნი? მთელის კაცობრიობისა, რომლისთვისაც

ცა ჯერ კიდევ საიდუმლოთა საიდუმლოა: „მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,/ გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,/ ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება,/ მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!“.

„ფიქრმა ცხოვრების ამაოებისამ ადრე აიჩინა ბინა მის გულში და, გამოვედი თუ არა ყმაწვილობის ასაკიდამაო, მას აქეთ რაღაც „იდუმალი ხმა“ [საუბარია არა მისი „სულის ბიოგრაფია“-ზე, არამედ **მასში გონის**, ასე პერსონიფიცირებულის, **ისტორიაზე**] – „თან სდევს ყოველთა ჩემთა გრძნობათ და საწადელთა“. **ანგელოზი** ხარ, **მფარველი ჩემი**, თუ **მაცდური ეშმაკიო** [ეს – ერთგვარ კომენტარად ილიას ქვემორე პარალელისთვის, სულაც არ საიდენტიფიკაციოსი, ბაირონის კაინსა და „მერანის“ ბარათაშვილს შორის], შესძახის იმ „იდუმალ ხმას“. ბოლოს, როცა ეს „ხმა იდუმალი“ [რომლის, რაკი იდუმალის, მიმართ საფრთხილო სკეპსისი, ესეცაა, გონებაფხიზელ ბარათაშვილს მაინც ჰქონდა], პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთა სმენა მისი სრულად დაიმორჩილა, აკი გაიგო, რომ იგი ხმა – მისი მფარველი ანგელოზი კი არ არის, არამედ „ბოროტი სულია“[...]. ამისთანა „იდუმალი ხმა“ **ხვედრია მარტო მისი**, „ვისაც **ცეცხლი სული** აქვს **და ზღვა გული**“, როგორც თვით ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზე[!] ამბობს“.

„[...] მისი მშვენიერი „სულო ბოროტო“ სხვა არა არის-რა, გარდა ყოველ იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი“ ეჭვისა, რომელსაც ეჭვ-ქვეშ „მოჰკვდომია ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, რომელსაც „ველარც ღელვანი ვნებათანი უკვლენ წყურვილსა“, რომელსაც ბედი უქადდა თავისუფლებას ამ სოფლად და უმტყუნა, და რომელიც დარჩენილა „უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მსახვრალი“. სწორედ ამისთანა ყოფას მოსდევს ის საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება და თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა [...], რომელნიც მან თავის „მერანში“ გამოსთქვა. **განა არა**, მინამ „მერანს“ იტყოდა, მისი ჭკუა-გონება თავის მყუდროების ადგილიდამ **უკვე** დაძრული იყო და სასვენს ბინას ველარ პოულობდა დედამიწაზედ და ცას ეუბნება: „გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“, რადგან ქვეყანაზედ ბინა აღარსად ეგულებოდა, რომ ჭკუა-გონებისთვის ეთქვა: „აჰა, დასდეგ და შეისვენეო“ [– ბარათაშვილის შემოქმედების თავიდან – „შემოღამება მთაწმიდაზე“ ბოლომდე – „მერანი“, ასე ვიტყოდი,

დრამატურგიულად, როგორც თავად რამ ქმნილების, წრფივ გამ-ჭოლი **ერთი** უწყვეტი, განუხრელი **გონითი ხაზი**, – უტყუარი ნიშა-ნი ამ ადამიანის, ყოველ შემთხვევაში, ვითარცა საკუთრივ გონის-კაცის, ანუ, ეს შტრიხად, ფამილარულ სასიყვარულო „ტატოსი“ კი არა, არამედ „ნიკოლოზ ბარათაშვილის“, **მთლიანი – მტკიცე და ძლიერი**, რაც ნიშნავს, სხვათა შორის, არა პამპულური „ზეკაცუ-რი“, **პიროვნების** (ნაპოლეონზე მისი სიტყვების თვით მასზევე ილიასეული ზემორე მისადაგების მართებული, რაც შეეხება ამ ორი პიროვნების პრინციპულ ტიპობრივ სხვაობას (იხ. „ნაპოლე-ონ“ „ფიქრის მტკვრის პირას“ კოტექსტში), გაგებით)]“.

„მართალია, ცას იქით ვერ იპოვა სადგური, რადგან ადამია-ნის უძლურ გონებისათვის მიუწვდენელიაო, მაგრამ მაინც **თავის „მერანის“** [ესე იგი თავისივე თავის – **საკუთარი სულის**, როგორც ქვემოთ ვნახავთ] იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბინას ვერ მიწვდი, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო: „გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“. აშკარაა, საზღვარ-დადებუ-ლი სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სუ-ლის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს **საზღვარი ბედისა გაარ-ღვიოს** და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარი ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა – მეფისტო-ფელი და ჩვენმა პოეტმა [მათგან განსხვავებით, გარემოება უთუ-ოდ აღსანიშნავი, მთლიანად, სუვერენულ პიროვნულად, თავის თავზე დანდობილმა, დემონურ ძალასთან ყოველგვარი „თანამ-შრომლობის“ გარეშე, საპირისპიროდ მაშინდელი დროისგონის-თვის სიმპტომური სატანისტური გონითი ვითარების...] – თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა. ამ სახით, იგი ჰთაკი-ლობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის [და, მაშ, ნებისთვისაც ანუ ერთობ გონისთვის, ღმრთის მიერ, გვახსოვდეს, ბარათაშვილი ღრმად მორწმუნე იყო („ჩემი ლოცვა“ – „ჩემი“, როგორც იმავე „მერანის“ მხედრის), თავის „ხატად და მსგავსად“ ჩვენდა მომადლებულის; ბედი კი, თავისი „სიმუხ-თლით“, რა – სატანური?] საზღვარი დაუდვია და განაგრძობს: „დეე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი, ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი“, და ჰნუგეშობს, რომ ეს გაძალი-ანება, ეს თავგანწირულება, ეს „სულის კვეთება“, ეს **პირდაპირი**

ომი [სწორედაც „დოგმატურად“ ქრისტიანული, „ღმრთის ხატ და მსგავს“ ადამიანისა „საწუთროს“, გავიხსენოთ რუსთველი, სატანისეულ ატრიბუტ] **ბედთან**, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო, „და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

„[ფრაგმენტი, აქ – ბარათაშვილის „მერან“-თან და, საერთოდ, მის პოეტურ სოფლგანცდასთან დაკავშირებით, საგულისხმო იმავე **კულტურის დრამის** თვით ილიას ხედვისაც, მისებურ მჭევრმეტყველურის, გასათვალისწინებლად:] ეს მსუსხავი და მწვავი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი, განა საკმაო მიზეზი არ არის ასეთის თავგანწირულ სულის კვეთებისა და ეს სულის კვეთება განა ზოგად-კაცობრიული არ არის? მაშ, **მაშინ არც** ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი ყოფილა ზოგად-კაცობრიული. განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუა დღემუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმავე სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ ქცევა-შენებით დაღალული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდამ დღევანდლამდე, არ ეძებს მოსვენებისათვის სადგურს და მაგ სადგურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგად-კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხან-და-ხანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა. ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა განა ამისი მაგალითი არ არის? ჰამლეტის „ვიყო თუ არ ვიყო“ განა სულის უბინაობისაგან არ არის ამოკვნესილი? [...] აი **სწორედ ამ** თვალ-გადუწვდენელს სარბიელზედ მიუშვა სადავე ნ. ბარათაშვილმა თავის „მერანსა““.

„ამ სახით [ასკვნის ილია], ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს **ქართველიც** თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილს მოსაკლავ წყაროს **ქართველიც** დააწაფა. [...] თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, **ამაშია**; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავ-

ლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის, ვისთვის და საროდიოდ. ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის“. ილიას ამ სიტყვების წამკითხველთ, აქვე გავიხსენოთ დასტურად თვით ბარათაშვილის ყოვლისმომცველი და -მძლეველი **ეროვნული ოპტიმიზმით** აღბეჭდილი ეს მისი სიტყვებიც: „ცუდად ხომ მანც არ ჩაივლის ეს განწირულის [ოდენ ინდივიდუალურად, არა **პერსონალურ** ეროვნულად] სულის კვეთება,/ და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;/ და ჩემს შემდგომად მოძმესა[!] ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“.

დასასრულ, წერილის ბოლო აბზაცში, ერთგვარ „სასხვათაშორისოდ“, როგორც ისედაც გასაგებს, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ილია აღნიშნავს, მანამდე ნათქვამის „გარდა“ კი არა, **მასშივე** საგულისხმოდ: „არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა **ბედი** [რომელთანაც მებრძოლი იგი იყო] მის **მამულისა, „სად სულსა სული თვისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის“**. ის დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არანაკლებ[!] დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში“ იმ **განწირულების** დროს, როცა **საქართველოს ბედი სწყდებოდა** [აქ ხომ მთელი ერის, რომლის შვილიც, ერთი ერისაგანი, ბარათაშვილი იყო, ნამდვილ, არა „საფრაზო“, **ტრაგედიაზეა**, მისი **მეტაფიზიკითურთ**, საუბარი, თავისთავად უკვე აღმძვრელზე სა-**„მერან“**-ო კითხვისა: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი?“], ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართვლის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებს. იგიც შეჰნატრის წარსულს, თ. გ. ორბელიანივით[!], იგიც შეჰნატრის უწინდელებს, რომელთაც – „**არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ ჭერთ-ქვეშე თავისუფლება** [რომლის, ვითარცა თავის-ბედზე უფლობის, ჰიმნიცაა კიდეც „მერანი“]. [...] **თუმცა** ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული ნახა და მტერთაგან უშიშარი მის მიერ ეგრეთ-წოდებული „**ახალი ქართლი“** [ბარათაშვილისეული კულტურულ-ისტორიული და, შესაბამისად, იდეოლოგიური კონცეპტუალური ტერმინი, მისსავე „**ქართლის** [და, მაშასადამე, **პირად-ად** მისაც] **ბედ“**-თან ერთად, ყოველივე ამის ჯეროვნად გამთვალისწინებელთათვის მაცხადებელი, თუ ვინ იყო იგი სინამდვილეში, როგორც კულტურულ-ისტორიული

პერსონა (და არა უბრალოდ „ინდივიდუუმი“)...] და მის ყოფა-ცხოვრებას **თითქოს** შეურიგდა, **მაგრამ** [საგულისხმო „თუმც – მაგრამ“] ესეც-კი მისი ნათქვამია: **„რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?“**. ასე ამთავრებს ილია თავის წერილს „მერანის“ ავტორზე.

არჩილ ჯორჯაძე კრიტიკულ წერილში, სათაურით „პოეზიის სამფლობელოში“ („გრ. რობაქიძის ლექციის გამო“), ეხება რა ბარათაშვილის, როგორც პოეტის, „სულიერი დრამის საკითხს“, დაბეჯითებით აღნიშნავს (ვიმოწმებ მთლიანად, ხაზგასმები ჩემია): „საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მოგვცა მოკლე და საკვირველის ზომით[!] და ჩაფიქრებით[!] დაწერილი წერილი ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ, **პოლიტიკური ვითარების მნიშვნელობას პოეტის ჩანგის** [თვით ბარათაშვილის იმავე „ჩონგურის“ (ამ სათაურიან ლექსს პოეტისას სწორედ ამ კონტექსტში ქვემოთ შეეხები), ანუ მისი შემოქმედებითი პიროვნების, ასე ვიტყოდი, განწყობითად განმსაზღვრელი შთაგონების] **შემუშავებაში უკანასკნელ ადგილს აკუთვნებს**. იგი წერილის ბოლოში ამბობს: „არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდათ არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა“. ამის შესახებ პოეტი „ბევრს საგულისხმო რასმე გვეუბნება და ქართველის ამომშრალ გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებსო“. ბოლოს „ახალ ქართლის“ ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა პოეტი, მაგრამ ესეც კი მისი ნათქვამია: „რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“. როგორც ხედავთ, **ილია ჭავჭავაძე ხაზს არ უსვამს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის გარემოებას და აქედან არ გამოჰყავს პოეტის სულის კვეთების შინაარსი**. ილიას აზრით, ვაება კაცობრიობისა ის არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვნია. „აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა [და ა. შ. ამ წინადადების, ჩემ მიერ ზემოთ თავის ადგილას უკვე ციტირებულის, ბოლომდე]“. ესაა და ეს.

უნდა ითქვას, დავიწყებ ამით (და მერე განვაგრძობ), რომ, რაც შეეხება ციტირებულ ფრაგმენტში გახაზული პირველი წინადადების „უკანასკნელ ადგილს“ და მეორის – „არ გამოჰყავს“-ო, ჩანს, ავტორს, საერთოდ დაკვირვებულ, „მხვედრ“ მოაზროვნეს, ჯეროვნად არ გაუაზრებია, სხვათა შორის, ბარათაშვილის „ჩონგური“ (... „პოეტის ჩანგი“), ქრონოლოგიურად, ესეც გავითვალის-

წინოთ, უშუალოდ „ფიქრნი-ს მტკვრის პირას“ მომდევნო და, რაც მთავარია, თავისთავად მის კონტექსტში აზრებადი, რომელსაც ამიტომ მაინც შევახსენებ მკითხველს, სათანადო ხაზგასმით: „**შენნი** [„ჩონგურის“!] **მოთქმანი, კაეშნის ხმანი,/ ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,/ წარსულთა დროთა[!] მოგონებითა** [რამ „ინტიმურით“ ხომ არა?] **სულს** [შემოქმედებითს, პოეტისას] **აფიქრებენ!**// ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს/ ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,/ რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!// მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,/ სიხარულითა გამოჩენილი?/ მე შენგან მესმის **მოკლულის გულის** [– სულაც არ პესიმისტური, არამედ **ტრაგიკული** გაგებით, „სულის დამაფიქრებელი“ –] **ოდენ ჩივილი** [მაინც დავაზუსტოთ: „ჩივილი“ სახელდობრ რის გამო, რაზე? – განა რა საკითხავია: აშკარაა, „**ქართლის ბედის“** გამო, მასზე]**!**“. თუნდაც მარტო ეს ლექსი რომ ჰქონოდა ჯორჯაძეს, ბუნებითად „გრძნობიერი აზრის“ კაცს, მხედველობაში, არ მგონია, მას იმ ორ ტექსტობრივ ფაქტში („უკანასკნელ ადგილს“ და „არ გამოჰყავს“) ასეთი აზრი ამოეკითხა, შეუსაბამო წერილის კონცეფციურად მონოლითური შინაარსისა და, რა თქმა უნდა, პრინციპულად უცხო ქართული ნაციონალიზმის თაურ იდეოლოგემა „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“-ს ავტორ თვით ილია ჭავჭავაძისთვის. –

„ბედის ქართლისა“ ავტორის უდიდესი დამსახურება ილიამ იმაში დაინახა (და თავისი ყურადღებაც ამიტომ ძირითადად მასზე მიმართა), რომ მან ეს „ბედი“ მის, როგორც ასეთის, ანუ „საკაცობრიოსი“, რაც ნიშნავს, **ერთა** შინასი და შორისის, მათ მიერ თავ-თავისებურად **პერსონიფიცირებულის**, მეტაფიზიკურად აზრებად არეში ფილოსოფიურის წინმსწრებ **პოეტურად, ასე შემოქმედებითად**, განიცადა და მით ქართველობა **საკუთარი კულტურულ-ისტორიული ყოფნის უნივერსალურ გონითს სინამდვილეს** აზიარა (ე. წ. **ფაუსტური პრობლემის** დრამა, ილიას მიერ ასევე მისებურ მჭევრმეტყველურად აღნიშნული (და ჯორჯაძის მიერ მის წერილში უკვე ნათქვამის არსებითს კონტექსტში აგრეთვე დამოწმებული), „მერანის“ ავტორის ბედთან ჭიდილის თავისთავადი მოტივი არაა, თუმცა ერის იმავე ბედის ერთიანკულტურულ იდეაში „განსაზღვრისამებრ“ უთუოდაა საგულისხმებელი). და მთელი „საიდუმლოება“-ც **სახელ**-დობრ „ქართლის ბედის“ თემის „ბედისა“ ილიას ამ წერილში (კომპოზიციური „ნაბოლარობა“,

ჯორჯაძის „უკანასკნელი ადგილი“, და, ილიასვე თქმით, „არც უიმისობა“) მხოლოდ ესაა და სხვა – „მეტი“ არაფერი.

ამის გარდა, არჩილ ჯორჯაძე იმაშიც არ ეთანხმება გრიგოლ რობაქიძეს, ვისადმიც, როგორც მწერალ-მოაზროვნის მიმართ, ესეცაა, „მაინც“ დიდ სიმპათიას ამჟღავნებს (ამით უნებურ მახასიათებელი თავისი თავისაც, ვითარცა აზრის უმწიკვლო იდეალისტ კაცის), რომ: „ბარათაშვილის სულის-კვეთება მის სასოწარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თავის-მკვლელობის წინ იგი უხმობს თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვესკნელში გადაფრინდესო“, – და რის საპირისპიროდაც იგი იმოწმებს, ამჯერად სავსებით სამართლიანად, ილიას (ოღონდ მისთვის შეხედულების, რაც მას არ გამოუთქვამს, მიუწერლად, ვითომც „მერან“-ში რაღაც „ზეკაცობისადმი“ მისწრაფება“ ყოფილიყოს „ჩასახული“), რომლის წერილის სათანადო ფრაგმენტი, ავტორის მიერ მცირე კუპიურით ციტირებული, ზემოთ უკვე მაქვს მთლიანად („აშკარაა, საზღვარდადებული“-დან „მერანო ჩემო, მაინც დარჩება“-მდე) მოხმობილი. თან ჯორჯაძე არ ივიწყებს „ერთი ახალგაზრდა, ჭკვიან მწერლის“, გერონტი ქიქოძის წერილსაც „ტრაგიკული გრძნობა ქართულ პოეზიაში“, სადაც ამნაირადვეა განმარტებული ბარათაშვილის „მერანი“-ო: „ესაა ბრძოლა მისი თავის თავთან, ამბობს ქიქოძე, რომლის ახსნა და დაცხრობა ყოვლად შეუძლებელიაო“.

საპასუხოდ ჯორჯაძის კრიტიკისა იმასთან დაკავშირებით, რომ, კრიტიკოსის სიტყვით, „გრ. რობაქიძემ [...] მიზეზებრივის კავშირით დააკავშირა ისტორიული პირობები, საზოგადოებრივი გარემო და მგოსნის პოეზიის და სულიერ დრამის შინაარსი“, მაშინ, როდესაც „იმისი აღიარება, რომ სოციალ-პოლიტიკური წყობილება ლოღიკურად არის დაკავშირებული „მარადისობის“ პრობლემასთან, შეუძლებელია“, – გრიგოლ რობაქიძემ ნათლად და გარკვეულად, ოპონენტისვე აღიარებით, ჩამოაყალიბა ამ საგანზე თავისი პრინციპულად განსხვავებული აზრი, ჯეროვნად ციტირებული რობაქიძის პასუხზე საპასუხო ჯორჯაძის მეორე წერილში („პოეზიის სამფლობელოში“, წერილი მეორე) და ასევე პრინციპულად, როგორც **მეტაფიზიკური**, ავტორის მიერ თავისთვის მიუღებლად ცნობილი.

აი, რობაქიძის ეს სადისკუსიო ფრაგმენტიც: „მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანიულად არიან ერთი მეორესთან დაკავ-

შირებულნი. ყოველი მგოსანი ინდივიდუალობაა, და როგორც ამ-
გვარი, განუმეორებელია, განსაკუთრებული, განცალკევებული;
მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისაგან არ გამოიყვანება
და არც სხვად დაიყვანება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ
არის მოწყვეტილი: პირიქით, იგი შესხეულებულია მსოფლიოსთან
და უხდება თავის ბუნების გაშლა მსოფლიოს განსაზღვრულ
ფარგლებში. აქედან მისი შემოქმედება ორ თვალსაზრისით უნდა
იხილებოდეს: აბსოლუტიურით და ისტორიულით. აბსოლუტიური
თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსანის ბუნებას, მის ერ-
თხელ მოვლენილსა და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტო-
რიული თვალსაზრისი მიზეზობრივ ხსნის, თუ რომელ განსაზ-
ღვრულ წრეში მხილდებოდა (და არ იქმოდა) მისი ბუნება. ამნაი-
რადვე შეგვიძლია განვიხილოთ ბარათაშვილიც. იგი თავის გენია-
ლურ ბუნებით წინუსწრობდა მთელ მის თანადროულ ქართველო-
ბას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მთელი თავისი არსებით
ქართველობის, როგორც სულიერი ერთეულის, სხეულს ეკუთ-
ვნოდა. მისი ბუნება, რასაკვირველია, განსაკუთრებული, სხვით
გამოუყვანელი იყო, მაგრამ იგი ვითარდებოდა, მხილდებოდა
ეროვნულ საზღვრებში"; და შემდეგ (ჯორჯაძესთან ეს არ არის;
ხაზგასმა ციტატაში ავტორისაა): „უდიდესი ქმნილება ბარათაშ-
ვილისა „ბედი ქართლისა"[!] და მისი შესანიშნავი ლექსი „მეფე
ერეკლეს საფლავზე" მჭერმეტყველურ მოწმობენ, რომ მისი პოე-
ზია ეროვნულ საზღვრებშია **აღმოცენებული**; ხოლო იგი გარდა-
ლახავს ეროვნულ საზღვრებს [ამბობს ავტორი, ვისთვისაც ეროვ-
ნება, ხაზგასმა მისია, „**ონტოლოგიურ რეალობას** წარმოადგენს"
(„იდეა ერისა", 1909), რაც ამიტომ განმარტებას საჭიროებს,
„გარდალახავს" – რა აზრით?] და შემდგომ ხდება იგი ყოვლად –
კაცობრიულად. ყოველი დიდი ქმნილება ასე იბადებოდა" (წერი-
ლის დასასრულს რობაქიძე კვლავ ადასტურებს, რომ „მერანის"
ილიასეული განმარტება მას „ყალბათ" მიაჩნია და მის განხილვას,
ვრცელი შენიშვნის სახით, სამერმისოდ სდებს, როდესაც ჩემი
ლექცია დაიბეჭდებაო (სამწუხაროდ, რობაქიძის ლექციის ავთენ-
ტიკური ტექსტი, თუკი იგი არსებობდა, ვინ იცის, ჩემთვის უცნო-
ბია). – შევნიშნავ აქვე, საყურადღებოდ სწორედ ამ ორი ციტატის
მკითხველთათვის, მიუხედავად მათდამი მათი კონცეფციური და-
მოკიდებულებისა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის, ასე
ვიტყოდი, „სპეციფიკურ" **ადეკვატურად** შესაცნობად უთუოდ სა-

გულისხმოა ის **ფილოსოფიური** დისკუსია, რომელიც გამოიწვია გრიგოლ რობაქიძის, ეს – მისი ისტორიული დამსახურების აღსანიშნავად, ლექციამ ამ პოეზიით სერიოზულად დაინტერესებულ ქართველ საზოგადოებაში. მხედველობაში მაქვს, სახელდობრ, საერთოდ **კულტურის** პრობლემისადმი **ჭეშმარიტი, რამეთუ კულტურფილოსოფიური,** შესაბამისად, **მეტაფიზიკური ნაციონალიზმის** (როგორც ეს ესმოდა კიდეც დიმიტრი უზნაძეს, მისი **ფილოსოფიურად** ყველაზე გამართული სახით...) საფუძველზე მიდგომა.

ბოლოს დისკუსიაში ჩაერთო დიმიტრი უზნაძე, რომლის „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები“ იყო მისი, ერთგვარად სიმბოლური ფაქტი, პირველი ნაშრომი ქართულ ენაზე (მანამდე მას დაწერილი ჰქონდა გერმანიაში თავისი სადისერტაციო შრომა). წინასწარ შევნიშნავ, მოსალოდნელი გაუგებრობის ამთავითვე ასაცილებლად, რომ წერილს, მასში წარმოდგენილი ფილოსოფიური იდეისთვის ისედაც მეტისმეტად მცირე ზომისას, საგრძნობად ეტყობა თითქოს ნაჩქარეობით (ან იქნებ თან, მკითხველთა აუდიტორიის გათვალისწინებით, დებიუტანტ ოცდასამი წლის კაცის პუბლიცისტური გამოუცდელობითაც) გამოწვეული სამწერლო „სახელდახელოობა“. მაგრამ ამაზე არ შევჩერდებოდი, რომ არა ზოგიერთი წინადადება, დაკვირვებული მკითხველისთვის წერილის კონტექსტში გაუგებრობის აღმძვრელი. ეს გაფრთხილებასავით, კონკრეტულად – ქვემოთ, თავის ადგილას.

ხოლო, სანამ შევეხებოდე უზნაძის ჩვენთვის უშუალოდ საინტერესო წერილს, საჭიროდ მიმაჩნია, წინასწარ მივაპყრო მკითხველის ყურადღება ავტორის უფრო ადრე რუს ფილოსოფოს ვლადიმირ სოლოვიოვის „მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობა“-ზე იმავე 1909 წელს დაცული დისერტაციის „შესავალს“. მაგრამ, რადგან სათანადო ფრაგმენტი შედარებით დიდია, მიზანშეწონილად მივიჩნიე, რათა უზნაძის თავად ამ წერილის კომპოზიციური მთლიანობა არ დამერღვია, იგი სქოლიოში გადამეტანა, რაც საშუალებას მისცემს სერიოზულ მკითხველს, იქ მაინც გაეცნოს მას, ბარათაშვილზე უზნაძის წერილის უკეთ გასაგებად[1]. – ახლა

[1] ვიმოწმებ ქართულ ენაზე გამოცემას (ხაზგასმები ჩემია, „ფრ. ალბ. ლანგეს“ გარდა): „**მეტაფიზიკა თავისი უშინაგანესი არსით განუყოფელია მისი შემქმნელი მოაზროვნის პიროვნებისაგან**. რა ობიექტურიც არ უნდა იყოს **ხელოვნების ქმნილება**, იგი გადმოსცემს ხელოვანის თავისთავად უჩინარსა და ცნებით მიუწვდომელი თავისებურების მქონე ემოციურ სამყაროს, რომე-

კი, ამ აუცილებელი მითითების შემდეგ, უკვე – რაც შეეხება უზნაძის წერილს ბარათაშვილის პოეზიაზე.

ავტორი პრინციპულად არც რობაქიძეს და არც ჯორჯაძეს არ ეთანხმება, თუმცა მაინც აღნიშნავს, რომ პირველი, გასხვავებით მეორისგან, (ხაზგასმები ავტორისაა, ჩემსას ინიციალებით აღვნიშნავ) „უფრო მებრძოლი მოაზროვნეა და ილტვის ირაციონალურის რაციონალურად გარდაქმნას, განუჭვრეტელის გონების ბასრ მხედველობისთვის განსაჭვრეტად. ასეთი ლტოლვა მეტაფიზიკაა [...]“, მაშინ როდესაც ჯორჯაძე, მეტაფიზიკის უარმყოფე-

---

ლიც ყოველგვარ ზოგადობას უსხლტება; **სწორედ ასევე**, მეტაფიზიკაც, ვფიქრობთ, ჩვენი თვალისათვის დაფარული და განწყობილებათა პერმანენტული სამყაროს ცნებითი გამოსახვაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შერწყმულია ავტორის უშინაგანეს ხასიათთან. ალბათ, არ შევცდებით, თუ გავბედავთ და ვიტყვით, რომ მეტაფიზიკა სწორედ „**ცნებათა პოეზიაა**“, რომ იგი იმ სინადვილის შევსებაა, რომელიც ადამიანის შეზღუდულ ხედვას უთუოდ წარმოუდგება, როგორც დასაზღვრული და დისჰარმონიული. „ცნებითი პოეზიაო“, რომ ვამბობთ, ცხადია, სრულიად არ ვგულისხმობთ **ფრ. ალბ. ლანგეს** გაგებას, არამედ აქ უფრო ჩვენს წინაშეა ცნებათა ისეთი პოეზია, რომელსაც, გარდა ჩვენი მორალური, რელიგიური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, აკისრია შემეცნების ინტერესთა გათვალისწინებაც; ამ უკანასკნელ მოთხოვნას **მეტაფიზიკა** სწორედ იმით აკმაყოფილებს, რომ **ის არის პოეზია, მხატვრული შემოქმედება**. განა **მხატვრული** შემოქმედების ფსიქოლოგია არ გვიჩვენებს, რომ **მხოლოდ შემოქმედების პროცესში მყარდება უშუალო კავშირი ზოგადთან, მხოლოდ იქ შევერთვით უნივერსუმს**, მხოლოდ იქ ვწვდებით საგანთა თავისთავადობას, რეალობას და **გრძნობების** მეშვეობით მის **ობიექტივაციას** ვახდენთ. თუ მეტაფიზიკას ასე გავიაზრებთ [...], მაშინ გაქარწყლდება ყოველგარი ეჭვი იმის თაობაზე, რომ **სამყაროს მეტაფიზიკური სურათი, დიახაც, მხატვრული სურათია** და, როგორც ასეთი, გამომდინარეობს **ადამიანის უშინაგანესი არსიდან**, მისი **მთლიანი ბუნებიდან, ხასიათიდან**. თუ ამოცანად ვისახავთ, განვიხილოთ ადამიანის მიერ შექმნილი მეტაფიზიკა, რა უფლება გვაქვს ავუაროთ მის **პიროვნებას**? [...] **მთელ** რუსულ [არა „ნომინალურად“, არამედ, ახლავე ვნახავთ, **ეროვნულის** არსებითრეალური გაგებით] **ფილოსოფიას**, რომელიც ეს-ესაა იქმნება, რა თქმა უნდა, [ამთავითვე უკვე] რუსული[!] სულის, **მისი წარმომშობი** [ამ **ეროვნული**] **სულის ბეჭედი აზის**. და ჩვენი ფილოსოფოსის ნააზრევშიაც **სწორედ ეს** სულია თვალსაჩინოდ გამოკვეთილი“. – ასე იკითხება უზნაძის იმ ადრეული ნაშრომიდან ციტირებული ეს ვრცელი ფრაგმენტი, ჩემი აზრობრივ მააქცენტირებელი ხაზგასმებითურთ, ვფიქრობ, საკმარისი, რათა აქედანვე ვიცნოთ მასში ავტორი მოგვიანებით ნათქვამისა, რომ ხელოვნება (რომლის „ლოგოსი“-ც ხომ პოეზიაა) და ფილოსოფია, „ორივე ერთ ღმერთს უკმევს გუნდრუკს“ და რომ კულტურის ერთადერთი სუბიექტი ერია (რომლის, ვითარცა „დიდი ადამიანის“, მაპიროვნებელ **ერისაგან**, ზედგამოჭრილი სიტყვა, ინდივიდუუმებადაც იაზრებიან კიდეც ცალკეული ერისშვილი, რაკი განსაზღვრისამებრ კულტურული, ადამიანები).

ლი, „სიმხდალეს იცავს აზროვნებაში. [...] დღეს მეტაფიზიკა აზროვნებიდან თითქმის გაძევებულია, – ეს ადამიანის ფილოსოფიურ სულის დაქანცვის[!] ნიშანია“. და, ამის შემდეგ, უზნაძე, თავად მეტაფიზიკოსი, სწორედ საკუთარი თითქოს თანამოაზრის შეხედულებაზე მიმართავს თავის კრიტიკას. იგი უზნაძეს „შეუწყნარებლად“ მიაჩნია, რადგან „სავსებით ვერა ხსნის მას, რისი ახსნაც სწყურია. [...] რობაქიძის მოსაზრებით, არსებობს გენიალური ადამიანი; მისი პსიხიური სიმდიდრე ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია, ის თვით მისი პსიხიკაა. მაგრამ იგი არ აშკარავდება, არ ობიექტდება, თუ მასზე გარემოს თვისებანი არ მოქმედებს. იგი მკვდარია, უმნიშვნელო, არა რაის მთქმელი. არსად არიან გენიალური აზრები, დიადი გრძნობები, შეუდრეკელი ვნებანი, სანამ მასზე გარემო არ იმოქმედებს, სანამ მათ გარემო არ **გააღვიძებს** და, თუკი იგინი ჩვენთვის აშკარავდებიან, იღვიძებენ, ამას ჩვენ გარემოს უნდა ვუმადლოდეთ. ამგვარად, პრიორიტეტი აქ გარემოს რჩება, და გენიალური ინდივიდის ინდივიდუალობა მაშინ რაღასა იქმნს, რისი მაქნისია! სადაა იგი გენიალობა, თუკი იგი არარაობაა უგარემოდ? ნუთუ მხოლოდ იმაში, რომ იგი განსაკუთრებულ სახიერდება გარემოს ზეგავლენის ქვეშ? ნუთუ მხოლოდ ამ თავისებურ რეაქციაში? მაგრამ გარემოს პრიორიტეტობას განა აქრობს ეს?! გარემოს პრიორიტეტობა, პსიხიკის პასსივობა, – აი პირველყოფილი შეცოდება რობაქიძის აზრისა, მისი პროტოს ფსევდო. ეს კი პსიხიკის სუბსტანციონალურად გაგებიდან გამომდინარეობს (ისე, როგორც მე ეს თეორია მესმის). **პსიხიკა სუბსტანციონალურია და აქტუალური მხოლოდ რაიმეს ზეგავლენით ხდებაო** [მ.ნ.]. ასეთია ეს თეორია. ამიტომ იგი ვერრას არკვევს“. აქ მთავრდება წერილის კრიტიკული ნაწილი, აუცილებელი შემდგომის უკეთ გასაგებად, და ავტორი გადადის უკვე საკუთარი ხედვის გადმოცემაზე, რაც უდევს კიდევაც საფუძვლად მისეულ გაგებას ბარათაშვილის პოეზიის.

უზნაძე განაგრძობს (ნუ დავიზარებთ, მოვუსმინოთ მას ბოლომდე, როგორც ამას თვით ეს დიდი თემა მოითხოვს). „ნამდვილად კი **პსიხიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, რაიც მხოლოდ გარეშე ბუნებაა** [მ.ნ.], ვინაიდან ეს უკანასკნელი იგივეობის, ენერგიის იგივეობის პრინციპზეა დამყარებული. პსიხიკა კი **შემოქმედების** პრინციპით ხასიათდება. ამას მეხსიერების ფაქტი შეურყევლად ამტკიცებს. ესაა ჩვენი პრინციპი. [...] მაგრამ ყოვე-

ლი პსიხიკა ორმხრივია: იგი **განუსაზღვრელად** [მ.ნ.; რამეთუ განსაზღვრისამებრ თავისუფალი] **შემომქმედია**, მაგრამ იგი იმავე დროს **პასსივურიც** არის იმოდენად, რამოდენადაც იგი რეცეპტიულია, მიმღებია. იგი შემომქმედია, დაუსრულებელი[!] შემომქმედი **აზრთა** სფეროში, მაგრამ რაოდენადაც იგი **გარე ბუნებრივ ელემენტთაც** [მ.ნ.] – **გრძნებათა და გრძნეულ გრძნობათა** – მატარებელია, რაოდენადაც იგი თავის **გრძნებათა ორგანოების** საშუალებით მდიდრდება[! – ერთგვარი ანალოგია შემოქმედი „ფორმისა“ და საშემოქმედო „მატერიის“?], იგი პასსიურია. ადამიანის ფსიხიკა ამგვარად ორდება. იგი ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობის წარმომადგენელია: შემომქმედ გონების და პასსიურ გრძნებისა [საიდანაც: პასიური **თავის-** აქტიური, რამეთუ შემოქმედური, **-უფლება**? – უთუოდ]. ამიტომ ადამიანი, რაოდენადაც იგი შემომქმედია, – **აბსოლუტია**, მაგრამ რაოდენადაც იგი გრძნეულია და ამიტომ პასსიური, იმოდენადაა იგი **განსაზღვრული**, შემოფარგლული, შეზღუდული, ამიტომ უძლური და **დროული**. აი სწორედ ამიტომ იბადება ადამიანის შინაარსში **ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობის შორის** [მ.ნ.; აქედან ხაზგასმები ჩემია ინიციალებით ისევ აღნიშნულამდე]. ეს **ადამიანის ბუნების დრამაა, დრამა გარდაუვალი**, და ეს დრამა, ჩემი აზრით, **მსოფლიო ისტორიულ განვითარების შინაარსია**. **იგივე დრამა** მხილდება **ყოველ ადამიანის** ბუნებაში და იმოდენადაა იგი **ძლიერი**, რაოდენადაც **დიდია პირდაპირობა ამ ორ მიმდინარეობას შორის** ადამიანის პსიხიკაში. ეს პირდაპირობა კი **მით უფრო ღრმავდება, მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო შემომქმედია** რომელიმე ინდივიდის **გონება**, რაც უფრო **აქტიურია** იგი **და გრძნობა [–] გრძნეული**. ეს-კი **გენიალურ** ადამიანთა დამახასიათებელი თვისებაა, ვინაიდან **გენიალობა ძლიერი შემოქმედებაა და უღრმესი გრძნება**“. და სწორედ აქ, ამ კონტექსტში, შემოდის კიდეც ბარათაშვილის თემა, რაზეც ცალკე აბზაცად. –

„გენიალური ადამიანები ამგვარად უმაღლეს წერტილამდე წარმოადგენენ ამ დრამას, და **ბარათაშვილის სულიერი დრამაც ერთ-ერთი სახეა ასეთის დრამისა**. იგი გრძნობს მსოფლიურ არარაობას, რადგანაც იგი ღრმად იგრძნებს; მისი ძლიერი სულის შემოქმედებითი ელემენტი იბოჭვება მისი გრძნებითა და, ვინაიდან გრძნებანი გარე ბუნებრივ ელემენტს წარმოადგენენ ადამიანის ბუნებაში, მის შეზღუდულებას [ა]აშკარავებენ, მის მომქმედ თავისუფალ სულს გარე ბუნებას მიაჯაჭვებენ. **ამიტომ** იგი ძლიერად

გრძნობს წუთისოფლის ცხოვრების არარაობას, მის დაწყევლილობას. ყველა ეს იმიტომ, რომ, **ვიმეორებ** [მ.ნ.], იგი გრძნებანი გარე ბუნებრივი, მსოფლიური ელემენტები არიან ადამიანის შინაარსში და ამიტომ მის აბსოლუტურ ელემენტს, თავისუფლად შემომქმედ გონებას ბოჭვენ, ფარგლავენ. ეს მუდმივი დრამა ადამიანის არსისა, მისი შინაგანი ბუნებისა **შინაურია** და მას გარეშე მოვლენებთან არავითარი კავშირი არ აერთებს [მაგრამ ფრთხილად, რაც შეეხება ბოლო სამი წინადადების მართებულ გაგებას: გავიხსენოთ „ფიქრნი მტკვრის პირას“ მისი ყოვლის შემაჯამებელი ბოლო სტროფითურთ... – რაზეც თავის ადგილას].

ხოლო, სანამ განაგრძობდეს საუბარს ბარათაშვილზე, უზნაძე უბრუნდება თავის თეორიას და გვაძლევს მის რეზუმეს. „ჩემი მოსაზრება ნათელია: იმისდა მიხედვით, გრძნობა არარაობისა ან ამაოებისა და ლტოლვა მარადისობისაკენ ყოველ ადამიანის არსში მარხია, თუ ის ადამიანი არა უმთავრესად გრძნეული [როგორნიც ხომ ასევე არსებობენ], არამედ უწინარეს შემომქმედი, მოაზროვნე არის. მაგრამ არა მარტო შემომქმედი, უღრმესი მოაზროვნე უნდა იყოს ასეთი ადამიანი, არამედ ესევე ძლიერ უნდა მოქმედებდეს მასში გარე ბუნებრივი ელემენტი, გრძნება, იგი უნდა იყოს ღრმა, ამოუშლელი. ერთი სიტყვით, ძლიერი გრძნება და **შეუბოჭველი შემოქმედებითი და ამიტომ აბსოლუტური** [მ.ნ.] ელემენტი ადამიანში – **აზრი** [მ.ნ.], – აი ის ორი ძალა, რომელთა ურთიერთობა აუცილებლობით ჰქმნის ამაოების გრძნობის აღმოცენებას და მარადისობისაკენ ლტოლვას. გრძნება – გარე ბუნებრივი ელემენტი იწვევს ამაოების გრძნობას, რადგანაც იგი შებოჭავს, შემოფარგლავს აბსოლუტ ელემენტს, განუსაზღვრელ შემოქმედ გონებას, მაგრამ გონება მუდამ შემოქმედებს და, იხილავს რა ძლიერ გრძნებათა წინააღმდეგობას, **მით უფრო** ძლიერად, **მით უფრო** აშკარად, თავისთვის აშკარად, **შეუდრეკლად** [სამივეგან მ.ნ.] მიისწრაფვის მარადისობისაკენ“; და რაც, „ინტენსივობა“ ამ „ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობისა“, კიდევაც „წარმოშობს შეცნობილ, გრძნობილ ტრაგიზმს გენიალურ ადამიანში“. და საბუთად თავისი მოსაზრების უზნაძეს მაგალითად მოჰყავს შოპენჰაუერი – „ეს უდიდესი მოძღვარი ევროპის პესიმიზმის“ და აღნიშნავს, რომ იგი იყო „ძალზე გრძნეული ადამიანი“ და ამასთან „ძლიერი, შემოქმედი აზროვნების მატარებელი“, ასეთი მოულოდნელი განმარტების დართვით: „ამიტომაცაა, რომ შოპენჰაუერი

აუცილებლად პესიმისტი იყო“. მოულოდნელი-მეთქი, და მართლ-აც საკითხავია, რატომ „ამიტომაც“ და თან მისი გამაძლიერებე-ლი „აუცილებლად“-აც. გამოდის, რომ ყველა შემოქმედი, თან, რაც უფრო დიდი, როგორც ასეთი, მით უფრო დიდი პესიმისტი უნდა იყოს მაშინ, როდესაც ყოველი **ჯანსაღი**, მაინც ვიტყოდი ასე „სავინიცობოდ“, **შემოქმედება** (ხომ გვსმენია „ავადმყოფ(ურ)ი გენია“), **ბუნებითად, დიახაც, ტრაგიკული**, თვით **უზნაძისვე** მი-ხედვით, სწორედ ამიტომაც, რამდენადაც კი იგი ტრაგიკულია, **არ შეიძლება იყოს პესიმისტური**. ადამიანის სულის უზნაძისეული მეტაფიზიკური მოდელი პრინციპულად ტრაგიკულია, რაც ნიშ-ნავს კიდეც: პრინციპულად ოპტიმისტური; და „მერანის“ ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილიც, ვისზეც, დავსძენ წინასწარ აქვე, თავი-დანვე, „შემოღამება-თი მთაწმინდაზე“ (უზნაძის მიერ, ესეც ვი-ქონიოთ მხედველობაში, პოეტის საუკეთესო ლექსად მიჩნეულით) მოყოლებული, ზედგამოჭრილია ეს კულტურულ-ისტორიულად „ავტოქთონური“ მოდელი, უკვე ამდენადაა, „დამატებითი“ არგუ-მენტების გარეშეც, თხემით ტერფამდე ოპტიმისტი, შესაბამისად იმავ „ბედ-ით ქართლისა“ ჩვენ სწორედაც კულტურულ-ისტორი-ულ „ხვედრ“ ზნეობრივი იმპერატივის. ქვემოთ ვნახავთ, რომ თვით უზნაძეც ზუსტად ასე ფიქრობს. მივყვეთ ტექსტს.

ზემორე მცირე ინტერმედიის შემდეგ ავტორი განაგრძობს: „ავიღოთ ახლა ჩვენი მგოსანი ბარათაშვილი. იმის პოეზიისათვის [! – რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ, სხვათა შორის, „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1837), „ჩონგურს“ (1837) (თან ზედმიყოლებით), „ბედი ქართლისა“ (1839) (ერთადერთი პოემა), „სუმბული და მწი-რი“ (1842), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842) („მერანი“ (1842) ამათ შუაშია)] თავიდან ბოლომდე [– არც მეტი, არც ნაკლები –] უმნიშვნელოა ის სოციალურ-პოლიტიკური უკულმართობა [ამაზე კომენტარი – მოგვიანებით, უზნაძისავე შემწეობით], რომელსაც მის დროს საქართველო განიცდიდა. იმის სულიერ დრამის ახსნი-სათვის სრულიად გამოუსადეგარია საქართველოს ეს უკულმართი მდგომარეობა“. რომ არა ამ ციტატის პირველ წინადადებაში ასე-თი აშკარა, თითქოს ნაჩქარეობის, სხვას მე ვერაფერს ვიფიქრებ, „კალმის ლაფსუსი“, ყველაფერი, რამდენადაც კი ამგვარ მაღალ-საბრძნო საქმეში ეს საერთოდ შესაძლებელია, რიგზე იქნებოდა. ხოლო აქ რომ მართლა „ლაფსუსი“-ა, ჩანს ამავე წერილის ბოლო აბზაციდან, სადაც უკვე გარკვევით ზუსტად წერია: „მე, რასაკ-

ვირველია, არ მინდა ვთქვა, თითქოს ბარათაშვილის პოეზიის მოტივები მხოლოდ ნათქვამით ისაზღვრებოდნენ. მე აქ შევეხე მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს ბარათაშვილის პოეზიისას [...]".

ვაგრძელებ კითხვას. „იმის [პოეტის] სულიერ დრამას ფარდასა ჰხდის **მხოლოდ მისი სულის** [მ.ნ.] მიმდინარეობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის არსის **აბსოლუტური** [მ.ნ.] მხარე, **შემომქმედი გონება** [მ.ნ.] შეუდრეკელია, იგი სტიქიონურად ძლიერია, იგი ილტვის, რომ თვისი შემომქმედი სული, თავისი გონება **მქმნელ** აბსოლუტის მაგიერ **შექმნილ** აბსოლუტად აქციოს, მას სურს **გონებით საჭვრეტი გახადოს განუსაზღვრელი** [მ.ნ.]. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი იმავე დროს ძლიერ გრძნობათა მატარებელი ფენომენია, – მისი გრძნეული გრძნობანი ზღვის ტალღასავით შეუპოვარნი არიან. ისინი აკავშირებენ მას დროულთან, წარმავალთან, უცაბედთან, ნაცადთან და ამიტომ იმისი შემომქმედი სულის აბსოლუტად ქმნის ლტოლვას შემოზღუდვენ, შემოსაზღვრავენ. აქ იბადება ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობის შორის იმის **შინაგან არსში** [საიდანაც – „შემოქმედი სულის" იგი „თვითიზოლაცია"-ც გარესოფლისგან (მისი „ქართლის ბედით"-ურთ), რომელიც ხსენებულ „სულს" თავის „შინაგან არსში"-ვე ისედაც უკვე ჰყავს საბრძოლველად „დამარტოხელებული" მის, **გარესოფლის**, საამისოდ **წარმომადგენელ** თვით იმ „**გრძნეული გრძნობების**" სახით] და აი **სწორედ ეს ბრძოლაა შინაარსი მისის სულიერ დრამისა** [მ.ნ.]. იგი მხილდება **განსაკუთრებულის სიძლიერით** [მ.ნ.] შესანიშნავ „**მერან"-ში**, „**შემოღამებაში მთაწმინდაზე"** [მ.ნ.; საკუთრივ რომლითაც, „შემოღამებით მთაწმინდაზე", ქრონოლოგიურად იწყება კიდეც, თანაც სწორედ, არა მარტო უზნაძის შეფასებით, ასეთი შედევრით, ბარათაშვილის შემოქმედებითი მოწიფულობის პერიოდი, – ფაქტი, უტყუარად მაუწყებელი და უეჭველად მადასტურებელი „მერანის" იდეის პირველსაწყისურობისა ამ ჩვენი პოეტის შემოქმედებაში, თუნდაც საერთო კონტექსტუალურ „ატმოსფერულად" მომცველის, თუ არ მაინცდამაინც გამჭოლის, მისი არსებითად მთელი პოეზიის (განა ოდნავ მაინც გვიკვირს „რად ჰყვედრი კაცსას" მკითხველთ მისი დამწერის ავტორობა, ისიც დროში ზედმიყოლებით, „მერანისა"?]". ამას მოჰყვება „მერანის" ბრწყინვალე ანალიზი. გამოვყოფ ცალკე აბზაცად. –

„მერანი – ეს მისი [ლექსის „მხედარ“ პოეტის] შემომქმედი, აბსოლუტური სულია. მერანის რბენა – ამ სულის ლტოლვაა, დასრულებულ აბსოლუტად იქცეს. შავი ყორანი – ის გრძნებანია, რომელნიც **განუყრელად** [მ.ნ.; ციტატის ამ აბზაცში ხაზგასმები მხოლოდ ჩემია] შეკავშირებიან იმის სულს, რომელნიც წარმოადგენენ გარე ბუნებრივ და ამიტომ დროულსა და წარმავალს ელემენტს. ბარათაშვილის შემომქმედი სული ებრძვის ამ უკანაკნელთ და ბარათაშვილიც თავის სიმპათიით თავის აბსოლუტურ ელემენტს უერთდება, თავის შემომქმედ სულს, და სწყურის ამ ბრძოლაში მისი გამარჯვება. ამიტომ იგი ერთხელ და სამუდამოდ ეთხოვება თავის ძლიერ გრძნებათ და გრძნეულ გრძნობათ, თუმცა ჯავრობს[!], რომ ბრძოლის სხვაფერ გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება, და „**კვნესას გულისას**“ [საგულისხმო ასპექტი შემოქმედი სულის დრამის] შესწირავს იმ ძლიერ გრძნობათა გამომშვიდობებას. მას **სწყინს** თავის გრძნებათა დაკარგვა, **მაგრამ** არ შეუძლიან დაუმონავოს მათ თავისი აბსოლუტური სული: „თუ აქამომდე არ ემონა მას [“**ბედს**“, რომელსაც შეადგენენ კიდევაც ეს „**გრძნებანი და გრძნეული გრძნობანი**“, ამიტომაც, რომ იტყვიან, „საბედისწერონი“-ც; საიდანაც: **ბედთან ბრძოლა** – ამ ჩვენშივე **მეტაფიზიკურად** მბუდარ **გრძნება-გრძნეულ გრძნობებთან**, შესაბამისად, **იმანენტურ-მეტაფიზიკური ბრძოლა...** –], არც აწ ემონოს შენი მხედარი“, – ამბობს იგი და ამასთანავე მოგვითხრობს იმ ტკივილებს [! – ისევ და ისევ აღნიშვნა გულისტკივილისა ამ გრძნება-გრძნეულ გრძნობათა იძულებითი, ლამის „სამსხვერპლო“, გან(თუ შე-)წირვის გამო], რომლებიც გამოუწვევია იმის არსებაში ბრძოლის ასეთ გადაწყვეტას. აქ არ შემიძლიან არ მოვიყვანო ამ ლექსის ზოგი ნაწილი, რომ აშკარად დავინახოთ, თუ რაოდენ ნათელსა ჰფენს მას ჩემი გაგება. „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა; ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა... ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის...“ აქ მუდამ და ყველგან ჩვენ **მხოლოდ გრძნეულ გრძნობებს** ვპოვებთ და აი **სწორედ მათ** სტოვებს, მათ ემშვიდობება [რაზეც დაზუსტებით – აქვე, მომდევნო ჩემსავე ფრჩხილებში] ბარათაშვილი, როდესაც იგი თავის **შემომქმედ და აბსოლუტურ სულის** მხარეს იჭერს [დიახ, „სწორედ მათ“ და არა, ცხადია, – **ერს**, მის, მოწოდებით სოფლშემოქ-

მედის, ატრიბუტ მამულითურთ („ტერიტორიალიზებული ერი“), ვითარცა კულტურის, როგორც ასეთის, მეტაფიზიკურ სუბიექტს (ამას თვით უზნაძისგან მოვისმენთ მოგვიანებით, რეტროსპექციულად სავსებით კანონიერად ჩვენ მიერ წინამდებარე წერილში გასათვალისწინებლად, მანამდე კი იხ., ჯეროვანი დაკვირვებით, სქოლიო 2), რომლის ცალკეულინდივიდუურად მაპიროვნებელიცაა, მაგალითად, იგივე ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც, ამ შემთხვევაში, გენიალური შემოქმედი]. მას სწამს, თუ რამდენად **ძნელია სრული გამომშვიდობება ადამიანის სულის გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნებათაგან**, – მან **იცის**, რომ ყოველი ადამიანი **ვერ გადაიტანს** ამ გამომშვიდობებას, **მაგრამ საბოლოო გამარჯვება მას მაინც სწამს და სწყურია**: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება!“ ამიტომ **ბარათაშვილი ოპტიმისტია** [...]. **იმისთვის ადამიანის გააბსოლუტება, სულის ბატონობა, გრძნების აღკვეთა აშკარაა და სასურველი**“. ამ ენერგიული სიტყვების შემდეგ, ასეთივე გონითი ენერგიულობით ავტორი მიმართავს ბარათაშვილის ამ სულისკვეთების სათავე ქმნილებას. –

„შემოღამება მთაწმინდაზე“ **არანაკლების სიძლიერით** [მ.ნ.] გადმოგვცემს ბარათაშვილის **იმავე** [მ.ნ.] სულის კვეთებასა, ბარათაშვილის იმავე ოპტიმისტობას. ამ ლექსში, საუკეთესოში[!] მათ შორის, რაც ბარათაშვილს დაუწერია, დახატულია ნატურალურ-ესთეტიკური და მისი გავლენა ადამიანის სულიერ დისპოზიციაზე. ბარათაშვილს სწამს, რომ ესთეტიური დატკბობა ამაოების გრძნობას ასუსტებს, აქრობს, ისე, როგორც ეს შოპენჰაუერმა გამოსთქვა თავის ფილოსოფიურ სისტემაში. [“]ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება! გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო![“] თანამედროვე ესთეტიკაც იმ აზრისაა, რასაც აქ ბარათაშვილი ლამაზ ფორმებში ასხამს. ესთეტიური დატკბობა სწორედ მით არის ტკბობა, რომ აქ ადამიანი მაღლდება იმით, რომ სცილდება წუთისოფლის ჩვეულებრივ, ყოველ დღიურ ჭირ-ვარამს, ზოგად ყოფას, ამაოებას. იგი მაღლდება, უერთდება განუსაზღვრელს და ამგვარად აბსოლუტდება. ჩემის შეხედულობით ეს გააბსოლუტება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ესთეტიურ ტკბობის დროს მოქმედებს განსაკუთრებულის ძალით ადამიანის სულის შემოქმედებითი მხარე: ჩვენ უსულო მარმარილოდან გამოქანდაკებულ ტან-

სა **ვქმნით** ცხოველ არსებად, ხმათა გროვასა – მგრძნობიარე [აქ: არა პასიურის, არამედ აქტიურ – შემოქმედებითის გაგებით] სულის ვნებათა [ესეც ასევე] მხილებად. ესთეტიური ტკბობა იმით არის დატკბობა, რომ აქ ჩვენ შევმოქმედებთ და ამით მოკლე ხნით[!] ვთავისუფლდებით გრძნეულ გრძნობათა მღელვარებისაგან. ასეთია ჩვენი შეხედულება და სწორედ ასე[!] უნდა გვესმოდეს ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“. ბარათაშვილი ისწრაფის, თავისი შემომქმედი სული აბსოლუტად აქციოს. იგი ამიტომ სცდილობს, განშორდეს გრძნებათ და გრძნეულ გრძნობათ. მას სწყურიან სრული თავისუფლება სულისა, მისი **განმარტოება** გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნებათაგან. ამ თავისუფლებას თავის შემომქმედ სულისას, ამ განმარტოებას იგი ეძიებს თავის „მერანში“ მერანის ლტოლვაში, სულის შემოქმედების მის პასსივობასთან ბრძოლაში. თავის „შემოღამებაში მთაწმინდაზე“ იგი სხვა გზას ჰპოულობს: განთავისუფლებას სულისას გრძნეულ გრძნობათაგან ჰპოვებს იგი აქ **ესთეტიურ** [მ.ნ.; ასევე შემდეგიც, აბზაცის ბოლომდე] დატკბობაში. უკანასკნელი გზა უფრო მართალი[!] აღმოჩნდება, იგი ავლინებს მის „შვებას შავ ფიქრთა“, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთით; ეს შვება ძალიან დღე-მოკლე აღმოჩნდება. მაგრამ თუნდ დღე-მოკლე იყოს იგი, მნიშვნელობა მისი მაინც **დიადია**. იგი მოწამეა იმისა, რომ ასეთი განთავისუფლება, განმარტოება შემომქმედ სულისა ამაო გრძნებათაგან – **პრინციპიალურად შესაძლებელი** ყოფილა, და ამიტომ იგი **ოპტიმისტურ აღფრთოვანებით** მიმართავს საღამოს „ტურფას, საამოს“: [“]მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს[“]. ამიტომ [ასკვნის უზნაძე] **ბარათაშვილი, ამაოების მქადაგებელი და მარადისობისკენ მლტოლველი, ოპტიმისტურად ჰგრძნობს**, და ამით მისი **მსოფლმხედველობა** უფრო **კონსექვენტურია**, ვიდრე მსოფლმხედველობა შოპენჰაუერისა. შოპენჰაუერი ხშირად ეწინააღმდეგება თავის ფილოსოფიურ პრინციპებს, თუმცა იგი ამას ვერა ჰგრძნობს. ასეთი წინააღმდეგობაა მისი მოძღვრება ესთეტიურ ტკბობის გავლენით „სიცოცხლის ნების“ აღკვეცის შესახებ. ეს მოძღვრება ძირიანად ეწინააღმდეგება იმის უსაზღვრო პესსიმიზმს. ამგვარად, ბარათაშვილის სული ესთეტიურ ტკბობის დროს ჰპოვებს განმარტოებას გრძნეულ გრძნობათა ღელვისაგან, და სწორედ ასე უნდა გვესმოდეს განმარტოების

პრობლემა საზოგადოდ და კერძოდ ბარათაშვილის პოეზიაში და არა ისე, როგორც ეს გრ. რობაქიძემ დაგვიხატა თავის წარმტაც ლექციაში“.

ბოლოს, **ამავე**, „მერან“-„შემოღამებისა მთაწმინდაზე“, **კონტექსტში**, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, უზნაძე ეხება, მოკლედ, „ვპოვე ტაძარს“. „ბარათაშვილი ჰპოულობს „შვებას სულისას“ დროულ, სოფლიურ ელემენტთაგან, გრძნებათაგან და სწყურის შემომქმედ სულს, ნამდვილ [კორექტურა; ნაბეჭდში „ან ადვილ“, შემდგომ სამეცნიერო გამოცემებში (1984, 1986) გამეორებული] აბსოლუტად ქმნილს, გამოხატულება მისცეს, და აგებს [„ვპოვე“-ს ინტერპრეტაცია] ტაძარს, რომელიც მას თავისუფალი ჰგონია ყოველ სოფლიურიდან, დროულიდან, მაგრამ სოფლიური ელემენტი, გრძნება ადამიანის სულს მაინც ვერა სცილდება და იგი აქაც მძლავრად ლაპარაკობს. „შვება სულისა“ წუთი არი ან ამაო აღმოჩნდება, და ტაძარი ინგრევა, იმსხვრევა. თავშესაფარი სულისა გრძნებათაგან – შეუძლებელი აღმოჩნდა. „მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს“ [თუმცა, ამის მიუხედავად, გავიხსენოთ უზნაძის ზემონათქვამი, თვით ეს „შვება სულისა“, თუნდ როგორც „წუთი“, გინდ „ამაო“, თავისი მნიშვნელობით „დიადია“, ვითარცა ცხადმყოფი, რომ იგი სოფლად „პრინციპულად შესაძლებელი ყოფილა“]. – ასეთია ის მოტივები, რომელთაც წარმოშვეს ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი““.

წერილს უზნაძე შემდეგი რეზიუმეთი ამთავრებს. „მე აქ შევეხე მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს ბარათაშვილის პოეზიისას. იგი ძლიერად ამეტყველებს ბარათაშვილის მუზას. იგი ბრძოლაა შემოქმედ და ამიტომ უსაზღვრო სულის ელემენტის – გონებასა და გარე ბუნებრივ და ამიტომ შეზღუდულ, დროულ ელემენტის – გრძნებათა სამეფოს შორის. მაგრამ არა მარტო ბარათაშვილს ამეტყველებს ეს ბრძოლა. იგი ამოქმედებს მთელ კაცობრიობას, როგორც ერთეულს, და მთელი მსოფლიო ისტორია რაა, თუ არ მხილება ამ ბრძოლისა, ხოლო ფართოდ აღებულის, – ბრძოლისა კაცობრიობის სულსა და გარეშე ბუნებას შორის! რაა შინაარსი მსოფლიო კულტურის ისტორიისა, თუ არა ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ამ ბრძოლისა? რაა პროგრესსი, თუ არა თანდათანობითი გამარჯვება შემომქმედ სულისა, თუ არ მისი განმარტოება შემზღუდველ, შემბოჭავ გრძნებათაგან?!“. – მაგრამ ამით, ამ დასასრულით, მისი ისეთი სიტყვებითა და შესიტყვებე-

ბით, როგორიცაა „კაცობრიობა“ და „კაცობრიობა, როგორც ერთეული“, „კაცობრიობის სული“, „მსოფლიო“ და „მსოფლიო კულტურის ისტორია“ („კულტურისა“ და „ისტორიის“, როგორც ასეთთა, ურთიერთმიმართების საკითხითურთ), ჯერ კიდევ ვერ შევეშვებით ჩვენი სასაუბრო წერილის ტექსტს, ვითომც მისი შინაარსის კონცეფციურად სამერმისოდ უკვე შემრგებელნი. საქმე ისაა, რომ უზნაძემ შეძლო სწორედ მათი, „კაცობრიობისა“ და „მსოფლიოს“, ცნებითად ჩვეულებრივ განუყოფელთა, და მათთან, შესაბამისად, „კულტურისა“ და „ისტორიის“, რადიკალური ახლადგააზრებით, რასაც ძირები, ესეც გავითვალისწინოთ, მის აზროვნებაში იმთავითვე ჰქონდა, თავისი „სულის მეტაფიზიკის“, ჩვენთვის ამჯერად სახელდობრ ბარათაშვილის პოეზიასთან მიმართებაში საგულისხმოსი, შემდგომი გაღრმავება-დაზუსტება მომდევნო წლებში (თუმცა სისტემად ბოლომდე მისი მიყვანა მას არ დააცალა „ქართლისავე ბედმა“, „მერანის“ მიერ ჯერ გადაულახავმა, 1921 წლის მარცხით). მეც ამიტომ არ შემოვიზღუდები ბარათაშვილზე წერილის ტექსტით და წავიკითხავ მას ავტორის მოგვიანო ნააზრევის მის მაკორიგირებელ კონტექსტში.

მაგრამ, სანამ განვაგრძობდე, ერთი აუცილებელი განმარტება. შემოქმედება, თავისი კატეგორიალურად ზოგადი პოეტური გაგებით, მოკვდავი, რამდენადაც იგი ფიზიკური არსებაა, შემოქმედის მიერ დაბადებაა უკვდავი შემონაქმედისა, რომელიც, თავის მხრივ, სხვა არა არის, თუ არა შემოქმედის უკვდავი **მე**, თვით ამ შემონაქმედად რეალიზებული. ამიტომაც ვიტყვით, რომ შემოქმედი, როგორც ასეთი, თავის შემონაქმედში ამისივე სახით **თავად „ექსისტირებს“**, თუ, ვთქვათ, ლექსია (ჩვენდა აქ საგულისხმოდ), – **ტექსტობრივ**. ხოლო ამ სასწაულის მოქმედი ე. წ. შთაგონებაა, რომლის „მეცნიერული ახსნა“ პროფანებისთვის მიგვინდვია. ამით გასაგები უნდა იყოს, რომ, ჩვენს შემთხვევაში, ბარათაშვილის პოეზია, ავტორის ამ „ტრანს(– გამჭოლ)ისტორიული“ მე-თი ყოველ მომდევნო ეპოქაში მუდმივაქტუალურად „პირ“-მეტყველი, მხოლოდ შესაბამისი დროისგონის კონტექსტში შეიძლება ადეკვატურად იაზრებოდეს.

განვაგრძობ. შემოვიფარგლები სათქმელის აუცილებელი მინიმუმით. დავემყარები უზნაძის „ომის ფილოსოფიას“, 1914, სადაც ზემოხსენებულ საკითხზე ავტორის ხუთწლიანი, ბარათაშვილზე წერილის შემდგომ, ნააზრევი ყველაზე სრულადაა წარმოდგე-

ნილი. აი, დედააზრი უზნაძის ამ კულტურფილოსოფიური ნარკვევისა, თავისი სიცხადით არანაირი ხაზგასმის მსაჭიროებელი: „[...] არ არსებობს რეალურად ერთი კაცობრიობა, რომელსაც აუცილებლად გულისხმობს ერთი საკაცობრიო კულტურის ცნება. პირიქით, არსებობს სწორედ იმდენი კულტურული მიმდინარეობა, რამდენი ეროვნებაც ცოცხლობს. და ეს მიტომ, რომ [...] კულტურული შემოქმედების სუბიექტი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ეროვნული ერთეული იყოს. [...] როდესაც კულტურის განვითარების შესახებ ვლაპარაკობთ, აუცილებლად სახეში უნდა გვქონდეს ერთი რომელიმე განსაზღვრული ეროვნების კულტურული ცხოვრება“. ხოლო, როდესაც უზნაძე წერს, ომში ინდივიდუუმის მამულიშვილური თავგანწირულების მაგალითით, (ამას გავხაზავ): „[...] **ჩვენი არსებობის აზრი თვით ჩვენი სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ და მასზე მაღლა**“, – იგულისხმება, რომ ეს „ჩვენი არსებობის აზრი“ (იგივე „ცხოვრების აზრი“, რომელიც კულტურის, ისტორიითურთ, აზრია...) უნდა ვეძიოთ **ჩვენს**, **როგორც** არა უბრალოდ ინდივიდუუმთა, არამედ **პერსონათა, ვითარცა** ამნაირად უკვე **ერისაგანთა** (ჩემთვის – კულტურფილოსოფიური ტერმინი: ინდივიდუუმი – როგორც პერსონა, ერის რეპრეზენტანტი), შესაბამისად, **კულტურულ-ისტორიულ პიროვნება ეროვნება**-ში. ვფიქრობ, ესეც, რაც დავიმოწმე უზნაძის ნაშრომიდან, საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, როგორ ესმის მას „**კაცობრიობა**“: აშკარაა, როგორც **სიმრავლე მის შემდგენელ-შემადგენელ სუბიექტ ერთა, თავისთავად, ვითარცა რამ არსება, არარსებული**. აქედან კი **კულტურისა და ისტორიის**, რომელიც სხვა არა არის, თუ არა ისტორია კულტურის, **სუბიექტი**-ც – **ერი**. ამისდა მიხედვით, **სოფლის (მსოფლიოს)**, მისი საკუთრივი გაგებით, გააზრებაც, როგორც **მის (შე)მოქმედ ერთა შინა და შორისი** (ერი – სოფლშემოქმედი (ცხოველს „სოფელი“ არ აქვს)) **კულტურული რეალობის**. ერი – სოფლშემოქმედი-მეთქი, და, მართლაც, ახლა ამაზე დავუგდოთ ყური ჩვენს ავტორს. –

საკითხის საერთოდაც, წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით, და, კერძოდ, რაც ამჯერად მთავარია, ჩვენი თემისთვის პრინციპული მნიშვნელობის გამო, შესატყვის ფრაგმენტს შედარებით ვრცლად დავიმოწმებ (ხაზგასმები ჩემია, მ.ნ.). „დღევანდელი მეცნიერება [...] აშკარად გვეუბნება, ნივთიერების მოსპობა შეუძლებელიაო. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ მეცნიერების მოწმო-

ბით და ვაღიაროთ **ნივთიერების მოუსპობლობა**. მაშასადამე, **სული ანუ აქტიური** მომენტი მსოფლიოში **მუდამ** უნდა **ებრძოდეს ნივთიერებასა ანუ** მსოფლიოს **პასიურ** მომენტს, და სწორედ ამ მუდმივი ბრძოლის **აუცილებლობაა**, რომ **დაუსრულებელ განვითარებას შესაძლებლად** აქცევს. მაგრამ ეს ბრძოლა თუ მუდმივი უნდა იყოს და იგი პასიური მომენტის სრული მოსპობით ვერასდროს ვერ უნდა დასრულდეს, მაშინ ცხადია, ამ ბრძოლას მხოლოდ თანდათანი **შერიგება** უნდა ჰქონდეს მიზნად, შერიგება **აქტიური** მომენტისა მსოფლიოში **პასიურთან**. ეს უკანასკნელი თანდათან **გამჭვირვალე** უნდა გახდეს აქტიური მომენტისათვის, იგიც **დაემსგავსოს აქტიურ მომენტს**, ასე ვთქვათ, **განსულიერდეს**. ასეთი განსულიერებული ნივთიერების ნიმუშს **ადამიანის ორგანიზმი** წარმოადგენს: იქ სული თითოეულ უჯრედში არის შეჭრილი და ამ სახით თითოეული უჯრედი ცოცხალი, აქტიური არსებაა. **სწორედ ასეთივე ხასიათისაა მსოფლიო აქტიური მომენტის მისწრაფება; იგი უნდა შეიჭრას მთელ ნივთიერ, პასიურ სამყაროში და მთელი მსოფლიო ადამიანის ორგანიზმისებურ ცოცხალ არსებად უნდა გადააქციოს; ასეთია მთელი კულტურული შემოქმედება. ასეთია კულტურული განვითარების შინაარსი.** მართლაც, რა არის კულტურა, თუ არა პასიური მომენტების ასეთი განჭვრეტა, განსულიერება აქტიურის მეშვეობით? აიღეთ მეცნიერება! [...] აიღეთ ხელოვნება! [...] აიღეთ კულტურული ცხოვრების ყოველი სხვა სფერო, თქვენ ყველგან იქნებით აქტიური სულის პასიურ მომენტებთან ბრძოლის და პასიურის აქტიურთან შერიგების მოწმე. თქვენვე ყველგან დაინახავთ **მთელი მსოფლიოს განსულიერების** ცდას, **პასიური ნივთიერების ძარღვებში სულის შეჭრას, მის[ი] მაჯის სიცოცხლის ცემით ათამაშებას. ასეთია კულტურული შემოქმედების აზრი და ასეთია ადამიანის** [„დიდ ადამიან“ ერისა და მის შვილ ერისაგანთა] **ცხოვრების მიზანი და დანიშნულება**“. წერილის ამ თავს („ომის ფილოსოფია“, თავი 4: „ცხოვრების აზრი“) ავტორი ასე აჯამებს (გამოვყოფ ცალკე აბზაცად):

„დაბადების წარმოდგენით, ადამიანი შემოქმედების გვირგვინია. ღვთაებამ მით დაასრულა თავისი შემოქმედების პროცესი, რომ მან ადამიანის არსებაში საუკეთესოდ შეარიგა სული ხორცს, აქტიურობა პასიურობას. სამაგიეროდ მთელი დანარჩენი მსოფლიო ნივთიერებისა განუსულიერებელი დასტოვა და ამით თითქოს იმთავითვე განსაზღვრული დანიშნულება მისცა ადამია-

ნის არსებობას: სწორედ იმგვარივე შერიგება აქტიური მომენტისა პასიურთან, როგორიც მან ადამიანის ორგანიზმის შემოქმედებით გვიჩვენა. ამგვარად, **ჩვენი დანიშნულება განგრძობაა ღვთისგან დაწყებული საქმისა, დასრულებაა ღვთისაგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედებისა**. და თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ჩვენს გამუდმებულ ფუსფუსს, ჩვენს დაუღალავ შრომას მნიშვნელობა ჰქონია, **ჩვენს დროულ ცხოვრებას – ღრმა აზრი და ამ უკანასკნელს კიდევ რელიგიური ღირებულება**". შემდეგ (თავი 5: „პიროვნება და ცხოვრების აზრი") უზნაძე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას **ინდივიდუუმ** ადამიანის **მოკვდავობის** ფაქტს, როგორც პრინციპულად შეუსაბამოს მაინცდამაინც **კულტურის** (**და**, მაშ, **ისტორიისაც**) **სუბიექტის** „უდიდესი დანიშნულებისათვის", და ბოლოს, სხვა მოსაზრებითაც, რაზეც აქ აღარ შევჩერდები (თავი 6: „ერი, როგორც სუბიექტი ცხოვრების აზრისა"), იგი ასკვნის (თავი 7: „ომის პრობლემა"): „ცხოვრების აზრი ღვთისაგან დაწყებული საქმის განგრძობაა, იგი განსულიერებაა და გაცხოველება მთელი მსოფლიოსი. **ხოლო სუბიექტი, ანუ აგენტი**, რომელსაც მისი განხორციელების **ძალა** შესწევს ან ეს **დაკისრებული** აქვს, **ცალკე[!] ეროვნების სულია**. ეროვნული სული კი [– ერთგვარი „სადეფინიციო დესკრიფცია", ციტატის ბოლომდე:] ის საერთო ატმოსფეროა, რომელსაც ყნოსავს და ისისხლხორცებს ყოველი კერძო წევრი ეროვნებისა. იგი პირველი საერთო შთაბეჭდილებებით შექმნილი ერთნაირობაა ცნობიერების შინაარსისა; ეს ერთნაირობა საფუძველია ახალ შთაბეჭდილებათა ერთნაირი შეფასებისა და შეთვისებისა, იგი ამგვარად განვითარების ერთისა და იმავე გზის არჩევაა, და რადგანაც მთელი მომავალი ყოველთვის წარსულისა და მყოფადის წიაღთაგან გამომდინარეობს და ირკვევა, ამიტომ ეროვნული სული მთელი მომავალი კულტურის განსაზღვრული სახისადმი მისწრაფებაა. **ასეთია ეროვნული სული**". –

თვითონ უზნაძის მიერ თავისი მოძღვრების, ჩამოყალიბებულის „ომის ფილოსოფია"-ში, დახასიათება, „აქ თითქოს რელიგია ციდან მიწაზე ეშვება"-ო, სავსებით გამართლებულია ერის მისეული იდეის მიმართ, რომელსაც მე განვსაზღვრავდი, ვითარცა მეტაფიზიკური ნაციონალიზმის კულტურფილოსოფიურ თეოლოგიას (ამ სიტყვის თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით, სულაც არ უჩვეულოთი „სამეცნიერო" მეტყველებისთვის): **ზეციური მონოთეიზმი – ქვეყნიური პოლინაციონალიზმი, როგორც სეკულარიზებუ-**

ლი პოლითეიზმი [გავიხსენოთ ილიას „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“ („პოლი“ – ახალი „საერთიანკაცობრიო“ თეომაქიური „ბაბილონის გოდოლის“ თავიდან ასაცილებლად)].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, უზნაძის წერილს „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივები“, რომელსაც ვემყარები აქ, ისევე როგორც ილიასას „წერილები-დან ქართულ ლიტერატურაზე“, მე პრინციპულად ვიაზრებ მისი ფილოსოფიური საფუძვლის სწორედ ამ მოგვიანო რედაქციით[1]. ეს კი იმას ნიშნავს, პირველ ყოვლის, რომ ბარათაშვილის **„მერანის“ „მხედარ“ პოეტს** მე განვიხილავ სახელდობრ, როგორც **საამისოდ მანამდე, ფაქტობრივადაც და სიმბოლურადაც, ავტორს „ბედისა ქართლისა“**, რომელიც **თვით** მისი, ამ ავტორ – იმ პოეტის, **იმანენტურ პერსონალურად**, **„ბედი“** იყო (განვმარტავ ერთხელაც: სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან კაცი, საერთოდ, თუ არა მაინცდამაინც **ერისაგანი**, ე. ი. ერის თავის თავში ინდივიდუალურად მაპიროვნებელი, და ამიტომაც, რაკი არა, გარეშეც **კულტურისა**, არც **ადამიანი**, ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, იქნებოდა, არამედ ოდენ ცხოველი – არსება ბიოლოგიური).

ბარათაშვილის შემოქმედების, ასე ვთქვათ, „ოპერა“, თავისთავად შემცველი თავისი „უვერტურისა“-ც, მისი „ბულბულით ვარდზედ“ (1834) და „ქეთევანით“ (1835), საკუთრივ იწყება „შემოღამებით მთაწმინდაზე“ (1836). მაგრამ, სანამ თვით ოპერის

[1] ამიტომ, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სქოლიოში მაინც შევნიშნავ, რომ მეტად უცნაურად შემესმის, თანაც ვის? – „ნ. ბარათაშვილის ლირის მოტივების“ ავტორ დიმიტრი უზნაძისგან, მისი გვიანდელი (1922 წ.) „ისტორიულ-ფსიქოლოგიური“ ნარკვევი „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, დიამეტრალურად საპირისპირო მისივე იმ ადრინდელი, თემის ადეკვატური – **მეტაფიზიკური** (და არა „ფსიქოლოგიური“) ნაშრომისა, როდესაც ვკითხულობ, სხვათა შორის, რომ „მერანისა“ და „სულო ბოროტოს“ ავტორი“, რომელიც „ნამდვილი ბაირონი როდია [ოღონდაც!], მხოლოდ პოტენციალურად[!] არის ბაირონი[?]“, „ფსიქოლოგიური[!] აუცილებლობით[!] **„კაინისა“ და „მანფრედის“** [მ.ნ.] ცხოვრებით [რომ არა ნაადრევი სიკვდილი] დაინტერესდებოდა“; და ეს ვინ? – თხემით ტერფამდე ქრისტიანი ნოკოლოზ ბარათაშვილი?... საერთოდ, ხსენებული ნარკვევი „ამოვარდნილად“ მეჩვენება, „უწარსულოდ“ და „უმომავლოდ“, უზნაძის მთელი შემოქმედების კონტექსტიდან, რისი ახსნაც, თუ ეს მართალია, მე, ესეცაა, ვერ მიპოვია.

ფარდა აიწეოდეს, საჭიროდ მიმაჩნია, ჯერ მოვუსმინოთ მის ამ თუნდაც მასთან „მისადგომ“, თუ არ მასში „შემყვან“, უვერტურასაც. – სულ რამდენიმე სიტყვით. პირველ ლექსს, „ბულბულს ვარდზედ“, არაფერი აქვს საერთო ტრადიციულ საქალვაჟო „ვარდბულბულიან“-თან. მისი იდეა **ყოფნის ტრაგიზმის, არა პესიმიზმის, ირონიისა** („ონტოლოგიური ირონია“), რომ ყოფნის „გაშლას ვარდისა“ განუყრელად სდევს მისი „დაჭკნობა“ – სიკვდილი, კლასიკური სისადავით და მოხდენილობით ლექსის დასკვნითს ბოლო სტროფშია ფორმულირებული: „მქონდა მცირე [აქ: რადგან მორალურად თითქოს არა „საძნელო“-ო] წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას: **მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობდი დაჭკნობას**“. მეორე ლექსი, „ქეთევან“, სულწარმტაცი ბალადა ახლა უკვე თემაზე **სიყვარულის ამსოფლიური ტრაგედიის**, პოეტური გაცხადებაა სიყვარულის, როგორც ასეთის – ყოფნის რუსთველური პრინციპის („პირველისა და ტომის გვართა ზენათა“), თუ ამ სოფლად არა, **იმ** სოფლად ხომ **მაინც შესაძლებლობისა** და ამნაირად, სიცოცხლის ზღვარ სიკვდილის გადალახვით, მისი კაცის საადამიანო **უკვდავებისა**-ც. დავიმოწმებ, დაე, სიტყვა ცოტა გამიგრძელდეს, ბალადის გმირის – ქეთევანის, ქართულ პოეზიაში ქალის ერთი უმშვენიერესი სახის, მართლაც რუსთველურად მჭევრმეტყველურ მონოლოგს, ნებსითი სიკვდილის წინ ჩონგურზე დამღერებულს (საზეო არტისტიზმი): „ავ-ენანნო, ოდეს დასცხრეთ,/ მოასვენოთ ეზდენ სული?/ რა გარგოთ, რომ შეიშურეთ/ უბიწოო სიყვარული?// გულის-სწორო, ერთის ცილით/ აგრე როგორ შეიცვალე,/ რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით/ მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?// თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:/ მე შენი ვარ საუკუნოდ?/ სიყმაწვილეს რად მილხენდი,/ თუ მოჰკლავდი ასე უდროდ?// რად შემიპყარ მე გლახ გული,/ უმანკო და უზრუნველი?/ რად დამიჭკნე მე ყვავილი/ ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?“; და, აჰა, ბოლოს – ტრაგიზმის ასეთი ოპტიმისტური აპოგეაც, ლექსის დამაგვირგვინებელი: „**ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,/ რომე არის სხვა სოფელი;/ ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,/ მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!**“. ახლა კი – არსებითზე, რომელშიც, რაც ამ აბზაცში შემდგომ სათქმელის სისრულისთვის აღვნიშნე, უკვე თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ.

ასე მივადექით „შემოღამებას მთაწმინდაზედ“, თაურმდგენ შედევრს ბარათაშვილის დიდი შემოქმედების. „ჰოი, მთაწმინდავ,

მთაო წმიდავ [ლექსის გონითი დისპოზიციის განმსაზღვრელი მითითება ამ ნატურალური, თავისთავად, მთის რეალური, არა მარტო ნომინალური, საკრალურობის, მისი მისტერიის სამედიტაციო ესთეტიკურ ვლენაში –], ადგილნი შენნი,/ დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,/ ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,/ ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!// ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს!/ რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!/ ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,/ და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!“. ასეთია, ლექსის დასაწყისშივე, მთაწმინდის ბუნების, მისი ლანდშაფტის, სავსებით ობიექტური სურათი, შესაბამისად ტოლძალ სუბიექტურიც, რამეთუ ვიზიონერული, და ასევე, ბარემ დავსძენ აქვე, – ლექსის დასასრულისკენაც, ტრიუმფალურად ოპტიმისტურის, ეგევე ბუნება ახლა ამ სახით წარმოდგენილი: „სდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას./ მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას!/ გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?/ მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!“ (ორგანვე, ამგვარად, ობიექტურობისა და სუბიექტურობის, არა მარტო გნოსეოლოგიურად, ონტოლოგიურადაც განუყოფელთა, კლასიკური წონასწორობის, დინამიკურის, სრული დაცვით). და შემდეგ, მივყვები ტექსტს, – მოგონება, უკეთ, გამოცდილება, პოეტის ცნობიერების აქტუალურად მხლებელი, მისი ამიერ სასოფლმხედველოდ, **პოეტურ** – რელიგიურ-ფილოსოფიურად, მასულდგმულებელი (საიდანაც, რაკი პრინციპულად „პოეტურ“, – ესთეტიკურის, ე. ი. კატეგორიალურად **მშვენიერების**, როგორც ზემოხსენებული „სასოფლმხედველო“ **თაური** ღირებულების, **სიკეთისა და ჭეშმარიტების** თავის **თავშივე** მგულისხმებელის, სათანადო მნიშვნელობაც): „მახსოვს იგი დრო, **საამო** დრო, როს ნაღვლიანი,/ კლდევ ბუნდოვანო[!], შენს ბილიკად მიმოვიდოდი,/ და **წყნარს** საღამოს, **ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი**,/ რომ **ჩემებრ** იგიც იყო **მწუხარ და სევდიანი**!// ოჰ, ვით **ყოველი ბუნებაც** მაშინ იყო **ლამაზი, მინაზებული**!/ **ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!**/ აწცა რა თვალნი **ლაჟვარდს** გიხილვენ, მყის **ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,/ მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!// მე, შენსა მჭვრე-**

ტელს, მავიწყდების საწუთროება,/ გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,/ ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ [აი, თვით **მიზეზი**-ც პოეტის ამ „**მსოფლიო ჭმუნვის**“ და, როგორც ასეთი, **საგანი**-ც მისი „**დაშთენა**“ **დაძლევის მიზნით: სოფლის, სოფლიური ყოფნის, –**] **ამაოება** [შესატყვისი „**შავ ყორან**“ „**ბედით**“-ურთ]**...**/ მაგრამ **ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!**“ (მთლიანად გასახაზავში საგანგებოდ გასახაზავი). პოეტი განაგრძობს. „**დაფიქრებული** ვიდეგ სერზედა, და, **ცათა მიმართ** [თავად ქვეყნის დამმზერთა, – გავითვალისწინოთ, ბარათაშვილი, ავტორი თავისი „გამოსათხოვარი“ ლექსის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, „არ ამ ქვეყნიერი“ ამითაც **რუსთველურად** „მიწიერი“ სიყვარულის იდეალისტი“-ა... –] **მზირალს ტრფობითა**,/ შემომერტყმოდა **მაისის** [სწორედაც სატრფიალო „ვარდობისთვის“, სულაც არ საპესიმისტოსი] მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა [„დაფიქრებულის“-თვის კიდევაც სამედიტაციოთი];/ ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ/ და ზოგჯერ **ჩუმნი** შემოგარენი **ამით** ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!// მთაო **ცხოველო**, ხან **მცინარო**, ხან **ცრემლიანო**, ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა **ფიქრთ შვება** არა იპოვოს და არ **დახსნას გულსა ვაება**, გულ-დახურულთა [თავის გულში მხოლოდ სამედიტაციოდ, სულაც არ სოფლისგან განსადგომად, ჩაღრმავება-განმარტოებით] **მეგობარო**, მთავ [ვაჟას „მთების ფიქრ“ „ნისლის“ არ იყოს –] ღრუბლიანო!“. აქ ხელმეორედ აღარ დავიმოწმებ ამის მომდენო სტროფს, უკვე ციტირებულს, და გადავალ ლექსის დასკვნითს ნაწილზე. „ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება!/ ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი/ მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;/ მხოლოდ გული გრძნობს, თუ ვითარი სძღვენით მას შვება!// ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად! როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად! **მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!**“. ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის „**შემოღამება** მთაწმინდაზედ“: **განთიადის წინამორბედი – მაუწყებელი**. და შესაბამისად, ვიტყვი კიდევ, – პოეტის სწორედ **ტრაგიკული**, რაც ნიშნავს, **არა** პესიმისტური, სოფლგანწყობაც. – ახლა კი გავიხსენოთ ილიას ნათქვამი, რომ სა-„მერან“-ო სულისკვეთება „უკვე დაძრული იყო“ „შემოღამება-ში მთაწმინდა-

ზე“, და ჩვენც ვნახოთ ამთავითვე, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობდა თვით ეს სულისკვეთება, მისი დედააზრი.

როდესაც ვლაპარაკობთ ბუნების (ნატურის) მშვენიერებაზე (გინდ, სხვა სიტყვით, სილამაზეზე...), უნდა გვახსოვდეს, რომ **მშვენიერება** (ისევე როგორც სიკეთე და ჭეშმარიტება, ხოლო სამივე, ერთმანეთისგან განუყოფელი, – გვარეობითად სიკეთე), თავისთავად, **ღირებულება**-ა და, როგორც ასეთი, **კულტურული** და არა ნატურალური, ე. ი. საკუთრივ ბუნების, ატრიბუტი, რაც იმას ნიშნავს, თავის მხრივ, რომ ბუნება ამ, მისდა ამგვარად გაატრიბუტებული მშვენიერების, სახით უკვე კულტურის, მას ასე ღირებულებითად დაუფლებულის, კონტექსტშია ჩაწერილი თანახმად **თავისუფლების** პრინციპის: **ნატურისა და კულტურის ოპოზიციის დაძლევა მათი კულტურული კომპოზიციით**; საიდანაც – სათანადო ურთიერთმიმართება, რაც ნიშნავს კიდეც, **თავისუფლებითი**, ნატურისა და კულტურის, ვითარცა, პირდაპირ შესაბამისად თავის(-)უფლის იდეის ფორმულის, **ნატურა თავის** (და არა სხვის) **უფალ** (და არა მონა) **კულტურის** (იგულისხმება, მის სუბიექტ ღმრთის ხატ და მსგავს „დიდ ადამიან“ ერად პერსონიფიცირებულის). და ბარათაშვილის მთაწმინდაც სწორედ ამ, უზნაძის ტერმინოლოგიით, კულტურის, რამეთუ პრინციპულად, დავსძენ კვლავ ხაზგასმით, **თავისუფლების**, აქტიური და არა ნატურის პასიური სტატუსით არის კიდევაც წარმოდგენილი იმ თავის პოეტურ „საღამო“-ში (კულტურა – თავისუფლების შინაარსი, რომლის არსებაც თავისუფლებაა). **იდეა თავისუფლების** (როგორც ეს ცნება მესმის) – აი, ჩემი განსაზღვრით, დედააზრი „შემოღამების მთაწმინდაზე“ და, შემდგომი შემოქმედების გამჭოლ, საბოლოო სახით „მერანისა“-ც მასულდგმულებელი სულისკვეთების.

ხოლო... შემთხვევითობა? – ალბათ, და მაინც, გინდა – არ გინდა, თითქოს რაღაც განგებით, საგულისხმო ფაქტი: „შემოღამების მთაწმინდაზე“ ქრონოლოგიურად უშუალოდ მომდევნო თვით ბარათაშვილისთვის „მისტიკური“, რასაც ლექსის სათაურივე მჭევრმეტყველებს, „ხმა იდუმალი“-ა, რომლის ისტორიაც ლაიტმოტივად გასდევს ავტორის შემოქმედებითს დრამას ამ „ხმის“ მამხილებელ, – უკვე ნიშნად ტრიუმფისა პოეტის გენიის, კულტურულ-ისტორიულად „გენეტიკურად“ დაცულის ყოველგვარი, რაგინდ „პროგრესული“, „დემონიზმის“-გან, – შექსპირის კალმის ღირს „სულო ბოროტო“-მდე. სახელდობრ, საუბარი ეხება ამ უკა-

ნაკნელის იმ „საიდუმლოს“, რომელიც სინამდვილეში სხვა არა არის, თუ არა კაცის ადამიანად სათავისუფლო პერსონალიზმის მტერი **ინდივიდუალიზმი**, რადგან ადამიანი, ვითარცა კულტურული, ე. ი. თავისუფალი, არსება ერისაგანი, კულტურის ანუ თავისუფლების ერთადერთ სუბიექტ ერის საზოგადოების, როგორც ინდივიდუუმთა საპიროვნო (– სათავისუფლო) ურთიერთიერთპიროვნების (– ურთიერთთავისუფლების), გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გავიხსენოთ ილია (ხაზგასმები ჩემია): „**ამისთანა** „იდუმალი ხმა“ ხვედრია **მარტო** მისი, ვისაც „ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით ბარათაშვილი ამბობს ნაპოლეონზე“; და მეც ამიტომ მგონია, რომ ეს „სული ბოროტი“ სწორედ ამ თავისი „უბედობით“ ბარათაშვილის მიმართ იგივე ღმრთის უზესთაესი ნების უნებური აღმასრულებელი მეფისტოფელია გოეთესი თანახმად მისი პასუხისა, თუ ვინაა იგი: „ნაწილი იმ ძალის, რომელსაც მუდამ ბოროტება სურს და რომელიც მუდამ სიკეთეს იქმს [ნიშანი, ხვედრი ბოროტების, მომავლის განჭვრეტის უუნარობით შემოქმედებითი უძლურებისა]“. განხვავება იმაშია მხოლოდ, არცთუ უმნიშვნელო, რომ ბარათაშვილს თავის „მეფისტოფელ“-თან „კონტრაქტი“ არ დაუდვია. შინაპიროვნული მიზეზი, გონითიმანენტურ დრამატურგიულად („გონის დრამა“) სავსებით ლოგიკურად (გნებავთ, „ლოგოსურად“) თავჩენილი, „მერანად“ ბარათაშვილის შემოქმედებითი „აფეთქებისა“ (– აქ რა „ინდივიდუალიზმ“-ზე, თუ არ ადამიანის ღმრთის სახატმსგავსო პერსონალიზმზე, შეიძლება ლაპარაკი –) ხომ მაინცდამაინც „სულის ბოროტის“, მისი უარმყოფლობით სამი სათავისუფლო – რწმენა, იმედი, სიყვარული – სათნოებისა, პოეტის მიერ თავის თავშივე მხილება იყო, სათანადოდ ასახული კიდეც „მერანის“ (1842) პოსტ სკრიპტუმ **შესავალ** „სულო ბოროტო“-ში (1843)[1].

[1] ილია წერს: „ჩვენის აზრით, „მერანი“ **წინასიტყვაობაა** [მ.ნ.] „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“, და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავე ეჭვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა-კი „თავისუფლება ამ წუთის-სოფლად““. მაგრამ „მერან“-ში არსებითი მაინც ეს არაა, რაც ილიამაც მშვენივრად იცის, არამედ ის სულისკვეთება, რომელიც ათქმევინებს ბარათაშვილს: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,/ თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!“; და, ერთი სტროფის, ასევე

დავუბრუნდეთ „შემოღამების მთაწმინდაზე“ ღერძულ ხაზს, რომლის გაყოლებით მომდევნო ლექსი, თემატურად უშუალოდ გამაგრძელებელი და შემდგომ განმავითარებელი „შემოღამებისა[...]“, პოეტის მორიგი შედევრი „ფიქრნი მტკვრის პირასა“-ა (1837). ავტორი აქ იგონებს თავის ერთგვარ, „მისებურად“, იდილიურ ყოფნას მტკვრის მიდამოში (ლექსის ამ, არსებითად შესავალ, ნაწილს, თავისთავად ფრიად საგულისხმოს „შემოღამების მთაწმინდაზე“ კონტექსტში ბუნებასთან სოფლხედვითინტიმური ურთიერთობის თვალსაზრისით, ამჯერად არ ვეხები, მთავარზე „ვიწროდ“ კონცენტრირებული...) და, თითქოს თვისდა მოულოდნელადო, შემდეგ ამბობს: „არ ვიცი [რიტორიკული გაკვირვება, ქვეტექსტურ დასტურად არაფერ საკვირველის], ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?...“. და ამ მრავალწერტილის დრამატულ პაუზას მოჰყვება კიდეც კარდინალური კითხვა, კულტურფილოსოფიურ – ონტოლოგიური, ბარათაშვილისთვის გონითექსისტენციურად აქტუალური ყველგან და ყოველთვის, თვით „იდილიურ“ სიტუაციაშიც: „**მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,/ თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?/ ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,/ და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?**“. – კითხვა, სანიმუშოდ ფორმულირებული, მათთვის, ვინც აზრის და სიტყვის, ერთად, ფასი იცის, – ზუსტად, ნათლად, შთამბეჭდავად. საგულისხმოა, რომ ბარათაშვილი წუთისოფელზე ამ თავისი წარმოდგენის საილუსტრაციოდ და საარგუმენტაციოდ **პოლიტიკურ** სინამდვილეს მიმართავს, – ვამბობ, საგულიხმოა-მეთქი, არა იმიტომ, რომ პოლიტიკა, გავრცელებული შეხედულებით, „ბინძურ“ საქმედაა მიჩნეული, არამედ მისი იმ განსაკუთრებული კულტურული, პოლიტიკურის სახით, როლის გამო, რომელსაც ის ასრულებს კულტურის, მის ფორმა პოლიტიკითურთ, სუბიექტ ერის, როგორც

ენერგიულის, ამჯერად გამოტოვებით, „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“ და ა. შ. ჭეშმარიტად საპროგრამო სტროფი („მერან“-ზე, ცხადია, ცალკე გვექნება საუბარი). ილიასაც უთუოდ ეს უნდა ჰქონდეს, აბა, სხვა რა, მხედველობაში, როდესაც ამბობს: ბარათაშვილმა „მართალი სთქვა, რომ მის მიერ გათელილი გზა ჩვენში ჯერ კიდევ უვალი იყო, და მან თავის მერანს გაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ?“. და ჩემი ზემორე შენიშვნის აქცენტიც, ძირითადი ტექსტის ბოლო წინადადებაში, „მერანის“ სწორედ ამ საზრისობრივ არსებითს მომენტზე არის კიდევაც მიმართული.

ასეთის, ცხოვრებაში. „თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს/ არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,/ რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,/ შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,/ ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან/ იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!... [ეს – რაც შეეხება იმპერიალისტ მეფეებს; ხოლო ახლა ვნახოთ, ბარათაშვილის შეფასებით, უკვე „**კეთილი**“, რამეთუ, იმპერიალისტთაგან განსხვავებით, ნაციონალისტი, ვთქვათ, ბარათაშვილის სათაყვანებელ ერეკლესავით, მეფე:] თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?/ მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;/ მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს/ არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!... **მაგრამ** [– ცხოვრების საზრისის საკვანძო კითხვა:] **თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,/ მაშინ ვიღამ სთქვას მათი** [გინდ, იმპერიალიტთა, გინდ, ნაციონალიტთა, სულ ერთია] **საქმე, ვინ სადღა იყოს?...**“. და, აი, ამ აპოკალიფსური ჭეშმარიტების, როგორადაც პოეტს იგი უთუოდ სწამს, „**მაგრამ**“-ის შემდეგ მისი მრავალწერტილის დრამატულად ხმოვანი პაუზის ზედმიყოლებით გაისმის კიდეც, ჩვენდა მოსალოდნელ მოულოდნელად, რუსთველურად „მიწიერ“ იდეალისტ, რამეთუ თხემით ტერფამდე კულტურნაციონალისტ, ბარათაშვილის საპასუხო **მორალური ნების** გამომხატველი **კონტრ„მაგრამ“**-ის, თავისი გონითენერგეტიკული ვექტორით უკვე სა-„მერან“-ოსი, ეს ჩვენთვის მარად სამახსოვრო: „**მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,/ უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა./ არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,/ იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!**“[1].

[1] სოფელი, ე. ი. „საუფელი“ (– სოფელი) ქვეყანა, მხოლოდ ღმრთის ხატ და მსგავს არსება ადამიანს, ვითარცა თავის(-)უფალს, შეიძლება ჰქონდეს, როგორც (“მშობელ“) **სოფლად**-(„შვილ“) თავის და, შესაბამისად, თავის-**სოფლის** („მზრუნველ“) **უფალს**. რუსთველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის პირველსავე სტროფში გაცხადებული, რომ ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, სწორედ ეს ადამიანის, ვიმეორებ, ვითარცა ღმრთის ხატისა და მსგავსის, სათავისუფლო, და ამიტომაც „**სოფელი**“, ქვეყანა იგულისხმება. ამასთან უთუოდ ღირსსაცნობია, ესეც ვთქვათ, თვითონ ამ სიტყვა „თავისუფლის“ საზრისობრივი „ანთროპომორფულობა“, რადგან ღმერთს, თავად, როგორც აბსოლუტურად თავისუფალ უფალს, სა-

ახლა, იმავე ამაოების იდეის კონტექსტში, – „ნაპოლეონ“, 1838 წელს დაწერილი, „ფიქრნით [...]“ უკვე მინიშნებულ თემაზე: იმპერიალიზმის, როგორც ხელმწიფების ნების ექსტრემალური – პოლიტიკური სახების, „ამაოების გენია“, ნაპოლეონში, მისი ბედითურთ, პერსონიფიცირებული. „ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი **ფრანციას**,/ და თქვა: „აბაო **ხელმწიფებამ რა შემიძინა**?“/ და რა იხილა **თვის დიდების მსხვერპლი თვის წინა**, მისს მოღრუბლულ შუბლს **შუქი რაღაც** [„რაღაც“ – უცნაური?...] გარდაეფინა“. ასე იწყება, ამთავითვე, ეს ლექსი, გამგებისთვის ფრიად საგულისხმოდ მოულოდნელად, საპირისპიროდ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ნაპოლეონის საფრანგეთის მტერ ქვეყნებშიაც პოპულარული რომანტიკული „ნაპოლეონის ლეგენდისა“ (რომლის მაცდურ „ხიბლსა“-ც თვით კლასიკოსი გოეთე, სხვა შემთხვევაში რომანტიზმის „ბედშავ საფლობ“-ზე მოსაუბრე, ვერ გადაურჩა): საფრანგეთი – მსხვერპლი ნაპოლეონის დიდებისა, მის მიერ „ხელმწიფებით“ მოპოვებულის, – აი, ასეთია თვით ბარათაშვილის პასუხი ნაპოლეონის კითხვაზე საკუთარი თავისადმი, „ხელმწიფებამ რა შემიძინა“-ო. საქმე ისაა, რომ ნაპოლეონს, პირადად, საფრანგეთი თავისებურად, როგორც ამას შემდეგ სტროფში მისგანვე მოვისმენთ, „უყვარს“, როგორც იმპერატორს იმპერია, მისი „დიდების“, ვითარცა შემოქმედისა შემონაქმედი, ამიტომაც მოზიარე; და ის უცნაური „შუქი რაღაცა“-ც ამიტომ ასეთად ასევე იმავ ბარათაშვილს ესახება, რომელსაც მიაჩნია კიდეც საფრანგეთი, როგორც სახელდობრ იმპერია, „მსხვერპლად“ ნაპოლეონის სახელდობრ იმპერიალისტური ამბიციის. „ახლა კი კმარა, თქვა მან გულში, **სურვა აღმიხდა**:/ სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის სა-

---

კუთრივ სა-**თავის**-უფლო „პრობლემა“, ცხადია, არ აქვს თუგინდ პანთეისტური გაგებით (ფორმულით: ბუნება თავის ღმერთი უფალი). ამისდა მიხედვით, „**სოფლის ამაოება**“ ყველა შემთხვევაში არსებითად **თავისუფლების დრამის** (თავისუფლების „იდილია“ იდიოტების საოცნებოა), მისი, დიახაც, **ტრაგიზმის** კულტურულ-ისტორიულ კონტექსტშია სააზრებელი. უზნაძის კონცეფცია, პირველად სწორედ ბარათაშვილის პოეზიასთან დაკავშირებით მანიფესტირებული, ნატურისა და კულტურის, ვითარცა პასიურ და აქტიურ საწყისთა სფეროების, შესახებ, ისევე როგორც ნატურის კულტურით გასულიერების ფილოსოფიური „პროგრამა“, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, არსებითად სხვა არა არის, თუ არ ერთიანი იმანენტური „პროგრამა“ თავისუფლებისა, როგორც კულტურფილოსოფიის ფუნდამენტური ონტოლოგიური იდეის... „ფიქრნის მტკვრის პირას“ დამაგვირგვინებელი სტროფის დედააზრის, რაც შეეხება სახელდობრ იდეას სოფლისა, მეტ-ნაკლებ მართებული გაგებისთვის ნათქვამი, ალბათ, საკმარისია.

ოცრად,/ **შევმოსე ძალით** [საიმპერიოთი] [საამისოდ] **საყვარელი** ჩემი [საფრანგეთი] საშვენად [ხელმწიფების, არც ესაა დავიწყებული, „ესთეტიკური“ ასპექტი], და დავუმონე გულმტკიცენი მას [და მით ჩემდაც] **სადიდებლად**.// **მაგრამ** [აქედან – „ფიქრნის მტკვრის პირას“ თავად იმ „საწყაულის აღუვსებელის“ გონითი რეალობის წარმომსახველი დრამატული სამი სტროფი] მე სული გვამში ვერღა მომთავსებია!/ მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,/ ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;/ ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!// მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწყინდე,/ და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს!.../ არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:/ მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს!// ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!/ რა გინდ ძლიერად, მეცნიერად ვინ ხელმწიფებდეს,/ მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს, თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“ (საინტერესოა ნაპოლეონის ამ ბარათაშვილისეულ მონოლოგში ასეთი ხაზგასმული აქტიურობა ბედის მოტივის: პოლიტიკა ბედიაო, უთქვამს ნაპოლეონს გოეთესთვის, მაგრამ ბარათაშვილს ეს არ შეიძლება სცოდნოდა... ხოლო, დავსძენ აქვე, საგულისხმოა, წასაკითხად და სააზრებლად ჩვენი სწორედ ამ თემის კონტექსტში, ნაპოლეონის ხსენებულ გამონათქვამზე ჰაიდეგერის ეს პასუხიც: „არა, გონია ბედი და ბედი – გონი, რომლის არსებაც თავისუფლებაა“). დაბოლოს – ლექსის რეზუმედ პოეტის ასეთი „განაჩენი“: „ბევრი დრო გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!/ თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:/ დამქრალი [აქაოდა „პოსტ მორტემ“, ისტორიულად ცოცხალ „ინ მემორაიმ“ კი მაინც „მოგიზგიზე“] ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს მის ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!“. დიახ, გაკვირვება, გნებავთ, გაოცება, გნებავთ, განცვიფრება..., მაგრამ **არა სიმპათია** – ასეთია ბარათაშვილის დამოკიდებულება ნაპოლეონის, როგორც **მაინც და მაინც ხელმწიფების ნების** „გენიის“ მაპიროვნებელის, მიმართ: ბარათაშვილისთვის ნაპოლეონი, წუთისოფლის „საწყაულის აღუვსებელის“ იმპერიალისტური „ამაოების გენიის“ (აქ, გავხაზავ, **მხოლოდ ამ** ასპექტითაა მასზე საუბარი) ეს მართლაც „ფენომენი“, მამულიშვილური სიყვარულით სათაყვანო „კეთილ მეფე“, ვთქვათ, იმავე ერეკლესავით, აშკარად არ იყო. ბარათაშვილი, მუდმივ ვიქონიოთ ეს მხედველობაში, ჭეშ-

მარიტი **ანუ** ინტერ-ნაციონალისტი (და არა კულტურულად „უს-ქესო“ „კოსმოპოლიტი“) ნაციონალისტია, ისევე როგორც, საერ-თოდ, ყველა მეტ-ნაკლებ ღირსსახსენებელი მოღვაწე ქართული კულტურისა, ამ ტანჯული სიტყვის, „ნაციონალისტი“ (და, შესაბ-ამისად, „ნაციონალიზმი“), კატეგორიალურად ავთენტიკურ „კულ-ტურ“ ატრიბუტითურთ.

„**სიყვარული აღგვამაღლებს**“, ე. ი. რა? – **გვათავისუფლებს** ღმერთთან მიახლოვებით, ვისიც **ხატნი და მსგავსნი** ვართ, ვითარ-ცა სწორედ თავის-**უფალნი**. და ახლა დროა, სხვათა შორის, მისი შთაგონების შემდგომი ქრონოლოგიური მსვლელობის დომინან-ტური თემატური ტენდენციის მიხედვითაც, ბარათაშვილის პოე-ზიის ამ თემა-იდეას შევეხოთ გზად თავისუფლების ჰიმნ „მერა-ნი“-სკენ.

დავიწყებ სიყვარულის (როგორც საქალვაჟოსი, – „ტრფო-ბის“// „ტრფიალის“...) თემაზე ქართული პოეზიის შედევრ **ფილო-სოფიური** „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო“-თი (1843, უშუალოდ ამავე წლის „მერან“-ამდე), ბარათაშვილის პოეზიის ერთიან გო-ნითს კონტექსში ადეკვატურად სააზრებლად, დავსძენ აქვე, „მიჯნურობის [ვითარცა] პირველისა და ტომის გვართა ზენათა“ მეტაფიზიკურ იდეასთან მიმართებაში გასათვალისწინებელით. „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, **პირუმტკიცობას**?/ თუ ემდური შენ **ტრფიალისა** ცვალებადს გრძნობას,/ რომ არ გემსჭვალვის **სა-უკუნო** ტრფიალებითა?/ ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას **სულით მშვენიერითა**“. ასეთია ამ ლექსის გამომწვევი კითხვა და მასზე „თეზისური“ პასუხი, რომლის გაშლასაც ემსახურება კიდეც და-ნარჩენი ოთხი, ესაა და ეს, სტროფი. ამათგან პირველ ორში, შევ-ნიშნავ წინასწარ, პოეტი **კატეგორიალურად** გამიჯნავს ქართულ ენაზე არსებულ საამისოდ ზედგამოჭრილ სიტყვათა, „სილამაზე“ და „მშვენიერება“, სათანადო პოეტურ-ფილოსოფიური, განუყოფ-ლად, შემოქმედებითი გააზრებით, შესაბამისად, **სილამაზესა** და **მშვენიერებას**, საგულისხმოთი არა მარტო საკუთრივ **ესთეტიკუ-რი**, არამედ, აქედან განზოგადებით, როგორც ამას ვხედავთ თვით ამ ლექსში, **ზოგადფილოსოფიური** თვალსაზრისითაც (ერ-თგვარი პრეცედენტული ანალოგი ბარათაშვილის „მეცნიერ“ უზ-ნაძის მიერ სიცოცხლისა და ცხოვრების კატეგორიათა ახლა მათ ასეთად განმასხვავებელ უკვე ამ ქართულ „საიშვიათო“, „სილამა-ზესა“ და „მშვენიერებასა“-ვით, სიტყვათა, „სიცოცხლე“ და

„ცხოვრება“, მომარჯვებით შესატყვისი ტერმინოლოგიური გამიჯვნისა („ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი“, 1911)). „**სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების**/ და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად **დაჭკნების**,/ აგრეთვე **გულიც**, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,/ **ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები**!// **მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული**,/ რომლით ნათლდება ყოვლი[!] გრძნობა, სული და გული [საიდანაც, აქამდე ციტირებულის საფუძველზევე, მშვენიერების, სწორედ მის ჩვენდა საჩინოდ, იმავე სილამაზედ, ესეცაა, წმინდა ესთეტიკური გან-**უხრწნელ**-ხორციელების[!] იდეაც...],/ და [მაშ] **კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა**, რად გრწამს არ იყოს **საუკუნო მადლი ტრფობისა** [ხატად და მსგავსად თვით იმ „მიჯნურობისა [„უცნაურ და უთქმელ“ ერთ –] პირველისა და ტომის გვართა ზენათა“]?// **თვით უკდავება** [ვითარცა **სიცოცხლის** ზე, და არა კაცის საადამიანო მოკვდავი ნატურალური თავის კულტურულად „ზეგარდმო“ სა-უფლო **ცხოვრებისა**...] **მშვენიერსა სულში მდგომარებს**,/ მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს,/ **მხოლოდ[!] კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა**,/ [მისი ჭეშმარიტობის დასტურად] ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!// მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,/ რომ მის უტკბილეს არც თუ არის **სასუფეველი** [რომელთანაც, მაინც შევნიშნავ „სავინიცობოდ“, ე. წ. ლიბიდოს არაფერი ესაქმება, თუნდაც ოდენ „სიტკბოთი“ შესადარებლად]!/ **მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება**/ და **უკვდავებით** აგვირგვინებს **ჭეშმარიტება** [იდეა მშვენიერებისა და ჭეშმარიტების მეტაფიზიკური განუყოფლობის]!“. საგანგებოდ მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას ლექსის დედააზრს: **სიყვარული მხოლოდ მშვენიერ სულთა კავშირია**, რაც იმას ნიშნავს, რომ, სადაც სიყვარულის რომელიმე სუბიექტი, გინდ ერთი, არ უპასუხებს ამ პრინციპს სიყვარულის აბსოლუტისტური იდეალიზმისას, იქ არც თვით ეს სიყვარულია („ბრმა სიყვარული“ მკრეხელური აბსურდია). „სულის ობოლის“ დრამის, ბარემ დავსძენ აქვე, მართებული გააზრებისთვის „რად ჰყვედრი კაცსა“-ს სწორედ ხსენებული იდეის რეტროსპექციული გათვალისწინებაა აუცილებელი. – მე არ შევეხები ბარათაშვილის მაღალი სატრფიალო (სასიყვარულო) პოეზიის „სამკაულ“ ლექსებს, ადრესატიანს თუ უადრესატოს, და გავყვები განხილული ლექსის ზოგად თემატურ-იდეურ (სიყვარული – კულტურფილოსოფიური პრინციპი) ხაზს (რა თქმა

უნდა, კვლავ შევახსენებ მკითხველს თავისთავად გულისხმებადი თავისუფლების იდეის თავ-და-თავ, თავ – მიზეზ და თავ – მიზან, კონტექსტში).

ამ მხრივ საყურადღებოა ბარათაშვილის ორი ლექსი, ავტორის პოეტური სოფლგანცდისთვის ნიშანდობლივი: „არ უკიჟინო, სატრფოო“ (1841) და „ჩინარი“ (1844), თემატურ-იდეურად ურთიერთკომპლემენტარულნი, პირველი – ადამიანში სიყვარულის პანთეისტური იდეალისა და მეორე – ბუნებაში სიყვარულის პანთეისტური დრამის სახით, ორივე ისტორიულ რეტროსპექციულად თითქოს „საცაა“ ვაჟა-ფშაველას გენიის მომასწავებელი. ჩვენც ჯერ მოვუსმინოთ სიყვარულის საიდეალო პანთეისტურ ჰიმნ „არ უკიჟინო, სატრფოო“-ს და მერე მივმართოთ სიყვარულის პანთეისტურ დრამასაც „ჩინარს“.

„არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა:/ მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!// მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსამოვავლო,/ საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.// მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,/ რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.// მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,/ რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭკნარი,// რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს,/ და, ერთად შესხივებულნი, შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს!// არეს ავსებდენ სიამით, მცენარეთ განსაცხოვლებლად,/ იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!// ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?/ მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;// მაშინ ვარდიცა განთიადს ვერღარა გარდაიშალოს/ და ცისა ცვარმან მდელოი არღარა გააბიბინოს.// მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები!/ მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?...// მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,/ და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი!“. ასეთია სიყვარული თავისი პოეტური სოფლგანცდისთვის იმანენტური პანთეიზმის იდეალისტურ მართლაც ცადმყვან, თანაც რა ბუნებრივ ადამიანურად, ცხადებაში. პანთეისტური სახება მეტაფიზიკური მიჯნურობისა რუსთველურად „პირველისა და ტომის გვართა ზენათა“ სიყვარულის რელიგიურთაყვანებითი ჰიერარქიული ქვემოდან-ზემოთ-ვექტორის სქე-

მით: მოთაყვანე „მამრი“ – სათაყვანო „მდედრი“ – აი, ასე წარმომიდგება ბარათაშვილის, ახლა უკვე, „ჩინარი“, თანახმად თავისი პოეტურსაზრისობრივი სტრუქტურის. „განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,/ მრავალ-შტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი./ საამო არის მის ჩრდილში ოცვნა და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა,/ და წყალთ დუდუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა!// მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,/ და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!/ **მრწამს**, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთ და უსულოთ შორის, და **უცხოველეს** სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის [ეს ხომ უკვე თვით „გველისმჭამელი“ ვაჟაა, ბუნების, მისი ენის, „მეცნიერი პოეტი“... და ასე შემდეგიც, დასტურად თქმულის]!// ვითა მიჯნური სატრფოს [ვით სათაყვანოს] ამაყსა, მტკვარი მას მორჩსა [ვით მოთაყვანე] ფერხთა ევლების,/ და აღმოარხევს [თან მასვე, ვით მიჯნური, შმაგქმნილი] უფსკრულებიდამ და [თავადაც] აღელვილი კლდესა ეხლების!/ მაგრამ ჩინარი, [ვით სათაყვანო] მაღლად მჩინარი, დგას [სათაყვანოს ღირსებისამებრ] მედიდურად და სიამაყით/ და მხოლოდ თავსა [მოწყალედ] გარდმო-გარდიღებს სევდიანისა [ნიშნად ზეგარდმო თანაგრძნობის] შერხევის სახით.// რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს,/ თითქოს სიშურით შეშფოთებული, და კლდის პირებზე ზვირთთა შემუსრავს./ ესრედ იდუმალ, მაგრამ ძლიერად, დაიტანჯების მარად მიჯნური [რომელიც, მიჯნურობის აქტიურ სუბიექტური მასახიერებელი, ამ პანთეისტურ ლექსში პოეტურ სიმბოლურად, როგორც ვხედავთ, მტკვარია და არა მისი, ვითარცა მიჯნურის, სათაყვანო „ობიექტი“ ჩინარი],/ თუ მას ნადვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური [რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს: „ცეცხლი ციური“ – ანალოგიური ადამიანის ღმრთისადმი დაუცხრომელი, ხოლო ვერასდროს მიმწევნელი „მარად მტანჯველი“ „აღტრფობითი“ სწრაფვის, და ამიტომაც, აკაკის სიტყვისამებრ სწორედ ამდაგვარ სიყვარულზე, კიდეც დიდად სანეტაროსი მით ტანჯულისთვისვე, „ციური ცეცხლისა“ (როგორც ასეთის, ეს ჯეროვნად გავითვალისწინოთ, დანიშნულებისამებრ სა-ქვეყნოსი („მიწიერი იდეალიზმი“)]“. ასე რომ, ის „დათმენა“ ამაოებისა, რაზეც ლაპარაკობს ბარათაშვილი ლექსის შესავალ სტროფში, სულაც არ გულისხმობს „თურმე“ პასივისტურ ოდენ

„თავდაცვითს“ გაძლება-გამძლეობას საამისო პესიმისტური განწყობისადმი, არამედ, პირიქით, სწორედაც ამის დასაძლევად – ემპირიული სინამდვილის გონითშემეცნებითად განმრღვევ პანთეისტურ პოეტურმეტაფიზიკურ განჭვრეტას, სოფლხედვითად დიდად მოსაწონს, სხვისი არ ვიცი და, ვაჟასათვის (ხოლო აკაკისთვის მისი „ქებათა-ქებით“?...) კი ნამდვილად. „ჩინარის“ მკითხველთ (ისევე როგორც „არ უკიჟინო, სატრფოო“-სიც, რომ არა ანაქრონიზმი) შეგვეძლო გვეთქვა, რომ ბარათაშვილი თავის „მერანს“ მსოფლიო გონის სივრცეში უკვე მიაჭენებდა, მაგრამ მთავარი აქ მაინც „შემოღამება-ა [...]“, სადაც თავისუფლების, ვითარცა ნატურისა და კულტურის ოპოზიციის მათ კულტურულ კომპოზიციად დაძლევის, იდეის რადიკალიზაციით **თვით ბუნებაა**, ამ ლექსში მთაწმინდის სიმბოლური სახით, **გაპიროვნებული** (ისევ და ისევ შემდგომ „სავაჟაოდ“: გავიხსენოთ ვაჟას „პანკულტურისტორიული“ პანთეიზმის სასოფლხატო პეიზაჟის საკვირველი „ყვავილნი – თამარ დედოფლის თვალები“).

და, ბოლოს, სიყვარულისვე თემაზე კიდევ ერთი „წყვილი“ ლექსი: „აღმოხდა მნათი“ (1840) და „ვპოვე ტაძარი“ (1841), გზად „მერანის“-კენ, როგორც ეს ითქვა, ურთიერთშემავსებელნი.

„აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,/ მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,/ დიდ სამქუხარო, საავდარო, და მეც გლახ გული/ მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დაღამებული!“. შევნიშნავ აქვე, რაც შეეხება ლექსის პირველსავე სამ სიტყვას, რომ ეს ხდება გონითს ანუ თავისუფლებითს, ე. ი. არა ნატურის საპასივო, არამედ კულტურის სააქტივო, სივრცეში, სადაც „მნათი“, „მზეებრ[!] ცხოველი“, სხვა არა არის, თუ არა იგივე „მზე“ სიყვარული, ვითარცა „პირველი და ტომი გვართა ზენათა“ და, როგორც ასეთი, თავად უპირველესი „საგანი“ სიყვარულისა, რუსთველისვე – „მიჯნურსა [– მოყვარეს] მიჯნურობა [– სიყვარული] უყვარდეს“ – მოთხოვნისამებრ. ჩავიკითხოთ, ამ შენიშვნის გათვალისწინებით, ლექსი ბოლომდე. „ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად;/ ნუ თუ შენ ჰფინო შვების სხივი ჩემს გულსა კვალად;/ კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი მიყრუებულნი/ და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი?// მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი/ და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი!/ მეცა **ხელი ვჰყო** დაჟანგებულს [აქაოდა თითქოს უქმობით, მოძალებული ამაოების პირობებში] ჩემსა **სანთურსა**

[პირდაპირი მითითება თემის პოეტურ – გონითს რეგისტრზე]/ **და** [შესაბამისად] **შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!**// დავმღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი მშვენიერის ცით/ მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;/ მოვსთქვამდე, თუ ვით მიმეფარა იგი მსწრაფლ ღრუბელს,/ ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა შვების მომფენელს!// **ვფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ჰოი, მნათო ჩემო!/ ოდეს ვიხილო მცირე**[! – თუნდაც] **ბინდი შენს შუქს გარემო,/ მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება**/ და **შენთვის** დავთმო **ტრფობის** წინდად **ყოვლი დიდება**!“. ასეთია სიყვარულის, ვითარცა ადამიანის სოფლად სათავისუფლო მეტაფიზიკური პრინციპის, რელიგიური იდეალი. ხოლო ახლა ვნახოთ მისი რეალობის სოფლიური დრამაც. –

„ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ[! – აშკარა მინიშნება, რომ არა საზოგადოების, მისი ცხოვრების სივრცეში] მდგარი;/ მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი./ ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,/ და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი!// მწირი [ამ ტაძრის შესაფერისად] სოფლისა, დამაშვრალი მისითა [ამაო] ღელვით,/ მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;/ გულსა მოკლულსა [ამაოების „სულით“ გარყვნილ და არა, ცხადია, „საერთოდ“] კაცთ სიავით და **ბედის** [ეს დავიმახსოვროთ სა„მერან“ოდ] ბრუნვით,/ ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!// მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,/ რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;/ ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,/ მეგონა, ვხედავ სასუფეველს აქ დაშენებულს!// მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს[!] ახარებს?/ განქრა ტაძარი – და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;/ მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,/ მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!// მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!/ **განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი, –/ არა! მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!**/ დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!“. ხედავთ? ამ ტაძარს სიყვარულისას თვით ეს სოფელი (დრო – სოფლის ატრიბუტი...) კი არ მორევია, მას კი არ მოუსპია იგი საკუთარი ძალით, არა, თავად ტაძარს ან, იქნებ, მის შემქმნელ და მასულდგმულებელ გენიას სიყვარულისა თვითონ პოეტისას **მოსძაგებია** სოფელი და ამიტომაც თავისივე ნებით კიდეც გასცლია მას. ასეა თუ ისე, აი, ლექსის დასასრულიც: „ვერღა ამიგო სიყვა-

რულმა კვალად ტაძარი!/ ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!/ ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,/ და დავალ სოფლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“. ასეთია ყველაზე **კრიზისული** ლექსი, დაწერილი გზად **„მერანის“**-კენ, როგორც აღმოჩნდება, „თურმე“ უკვე მომასწავებელი თავისუფლების ამ „საქმიან სიტყვა“ ჰიმნად პოეტის, ყოველ შემთხვევაში, რეტროსპექციულად სავსებით „კანონზომიერი“, ვიმეორებ, შემოქმედებითი „აფეთქებისა“ („ნაღმად“ იმთავითვე, „შემოღამება-შივე მთაწმინდაზე“, თავისუფლების პრინციპის სახით გონითსუბსტანციურად სამერმისოდ ჩადებულის). „ვპოვე ტაძარი“ და „სულო ბოროტო“ ერთმანეთს მიემართებიან, როგორც ერთობლივ სრულად მაცხადებელნი სა„მერან“ო კრიზისის ობიექტურისაც („ვპოვე ტაძარი“) და სუბიექტურისაც („სულო ბოროტო“) ასპექტების.

თავშივე გავხაზავ: **„მერანი“ არის** ერეკლე მეორის, ბარათაშვილის ფორმულის თანახმად, „პირმშო შვილ“ („საფლავი მეფის ირაკლისა“; რუსეთი აქ ამდენად არაფერ შუაშია) **„ახალი ქართლის“ თაურმდგენი იდეოლოგიური ძეგლი, მაფუძნებელი მისი თავისუფლებისა**, ამ ქართული კონცეპტუალური სიტყვის – „თავისუფლება“ – ადეკვატური, ვითარცა ბარათაშვილისეულივე **„ქართლის ბედის“**, ჩემივე გაგებით, **განმსაზღვრელი კატეგორიის**, გაგებების შესაბამისად. –

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ [რამეთუ სათავისუფლო სივრცითს განუსაზღვრელობაში] ჩემი მერანი,/ უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი [ცხოველი სახება თავისუფლების სოფლიურად თანადი მდევარ მტერ „ბედისწერის“]!/ გასწი, მერანო, შენს ჭენებას **არ აქვს სამძღვარი** [რადგან მიზანი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სწორედ თავისუფლების, ვითარცა აბსოლუტური სიკეთის, უარმყოფლურად ზღვარმდები „ბედის“, ამ მისეული „სამძღვრის“, გადალახვაა, საიდანაც: თავისუფლება – მუდმივ სამიმსწრაფო მარადიული იდეალი... გავიხსენოთ, კვლავ და კვლავ, გოეთეს უკვდავი „ესაა სიბრძნის საბოლოო დასკვნა: მხოლოდ ის იმსახურებს თავისუფლებას, სიცოცხლესავით, ვინც ყოველდღიურად მოიღვაწებს [ქართულ ენაზე „თარგმანით“: ღვწა – ზრუნვა შრომით და ზრუნვა ბრძოლით] მას“]/ და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, [წინააღმდეგ სათავისუფლო ნათელი, მზიურ სხივმფენი ნებისა] შავად მღელვარი!// გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი [ქარი, წყალი, კლდენი, ღრენი,

ასევე შემდგომი სიცხე, ავდარი, თვით მხედრის დაქანცულობა – სულის სათავისუფლო აქტივობის შემაფერხებელი ნატურალური ფაქტორები]/, გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!/ ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,/ ნუ შემიბრალებ დაქანცულობით **თავგანწირულსა** შენსა მხედარსა!“. შევნიშნავ წინასწარ, მკითხველის მიერ ამთავითვე გასათვალისწინებლად, რომ მომდევნო ხუთი სტროფი არსებითად ცხადყოფაა ამ „თავგანწირულობის“ იდეის. საქმე ისაა, რომ „თავი“, რომელიც გაუწირავს მხედარს, სულაც არაა უბრალოდ „ინდივიდუუმი“, არამედ პიროვნება, თავის თავში მაპერსონიფიცირებელი, ვიცავ ავტორისეული ჩამონათვალის თანმიმდევრობას, „მამულის“, „სწორთა და მეგობრის“, „მშობელთა“ და „სატრფოსი“, ამასთან „მამული“, ბუნებრივად პირველ ადგილზე მოხსენიებული, დანარჩენის თავის სივრცეში შემცველადაა საგულისხმებელი. ამიტომაც ყოველივე ამის მიტოვება და, ბოლოს, უცხოობაში ობლად სიკვდილიც, გასაგებია, თვითონ ჩვენი მხედრის მიერ „თავის განწირვად“ პრინციპულად მაინცდამაინც ისევ იმ „მიტოვებული“ მამულისა და მის შვილთათვისვე, ესეც ხომ ვიცით, ვამბობ წინსწრებით, იაზრებოდეს. –

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,/ ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა;/ სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,/ მხოლოდ ვარსკვლავთა, [ზეციურ] თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!// კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე [სიმბოლო გონის „სტიქიონის“? –] ზღვის ღელვას და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!/ გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!// ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,/ ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;/ შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,/ და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მამაყრის!// სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან [რაკი სატრფოსი, ტრადიციულ რუსთველური „მიწიერი“ იდეალიზმით –] ციურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ [უკვე ცხოვრების „პროზისა“მებრ] გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!/ [და სწორედ ამ ფონზე, თითქოს უცებ, ეს მკვეთრი საფორმულო გაცხადება

თავისუფლების ურყევი ნების:] გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, **გარდამატარე ბედის სამძღვარი,/ თუ აქამომდე არ ემონა მას** [თვითდადასტურება ამ თავისუფლებითი სულისკვეთების იმთავითვეობის]**, არც აწ ემონოს შენი მხედარი!**// დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!/ ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე[!] მტერი!/ გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,/ და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!". ხოლო ცალკე სტროფად – „ახალი ქართლის", მის თითოეულ შვილ ერისაგანისთვის, ეს საპროგრამო, ერის სათავისუფლო „ბედის" განმსაზღვრელი კულტურიდეოლოგიური პასაჟი: „**ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,/ და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;/ და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,/ და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!**". რის შემდეგაც ლექსი კომპოზიციურად „იკვრება" კიდეც პირველი სტროფის, ახლა მთლიანკონტექსტუალურად უკვე ცხადქმნილის, ერთგვარ საზეიმო ფინალად, „ითქვა – იქმნა", გამეორებით. ბარათაშვილის „მერან"-ზე არსებითად ქართველი ერია, თავის რჩეულ ერისაგან თვით პოეტის სახით, ამხედრებული.

იდეა ერისა, როგორც კულტურის ერთადერთი ნამდვილი, ასეა უზნაძით, სუბიექტის, თავის თავშივე გულისხმობს, რომ ერი თავისუფლების, მისი უნივერსალურკატეგორიალური გაგებით (ნატურისა და კულტურის მონისტურმეტაფიზიკური ფუნდამენტური ურთიერთმიმართება სწორედ „თავის-უფლის", ვიტყოდი, „ვაჟაფშაველასეული" სქემით: თავ ნატურის უფალი კულტურა), სუბიექტია, – თავისუფლებისა, რომელიც არსებაა კულტურის, ვითარცა თავისი, საკუთრივ, შინაარსის. ამიტომაც ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება (სახელმწიფო, შევნიშნავ სახელდახელოდ, თავისი საგანგებო დანიშნულებით ერის სწორედ კულტურის, მის მთლიანობაში, ამავე სახელმწიფოთურთ, სუვერენულად სასუბიექტო პოლიტიკური (– ასეთი კულტურული) დაწესებულებაა...) ქართველი ერის, როგორც, რაკი სუბსტანციური მოწოდებით თავის-უფლის, ამ თავისი საუფლო თავის გონითად „მაინც სუვერენის", შინაგანი, და არა გარე „გარემოებითი", დრამა იყო, რომლადაც „გაიხსნა" კიდევაც მეტაფიზიკური სინამდვილე ერის ისტორიულ რეალობაში, და ერის „ბედი"-ც, ხსენებული დრამისგან განუყოფელი, ასევე იყო მისივე, ვითარცა თავის-სუ-

ბიექტის, ორგანული პრობლემა (აქ მე, ჩემი გზით მავალი, ვეხმიანები უზნაძეს მისი, შევახსენებ მკითხველს, შესაბამისი შეხედულების, ჩემთვის სახელმძღვანელოს, საამისო ევოლუციაში). ასე „მერანს“, თავისი მთელი გონითი ავლადიდებით, მივყავართ „ბედ-თან ქართლისა“, რომლის გამომწვევმა ისტორიულმა რეალობამაც, თავისი დრამატიზმით მეტაფიზიკურად დამუხტულმა, იმანენტურად აღძრა კიდეც ამ თავის სუბიექტ ერში ეს მისი სა„მერან“ო სულისკვეთება.

დავიწყებ „ბედი ქართლისა“-ს დასასრულით: „მაგრამ ამაო[!] იყო ყოველი [ქვეყნის აღორძინება მტრის შემოსევის შემდეგ]: დიდი ხანია გულს ირაკლისა გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!“. ცხადია, ეს „ბედი“, რომელიც „გარდუწყვეტია“ „გულს“[!] პოეტის სათაყვანო ერეკლესი და დადასტურებული იყო კიდევაც გეორგიევსკის ტრაქტატით, არაა ის ბედი, რომლის „მოსისხლე მტრად“ გვაცნობს თავს ბარათაშვილი „მერან“-ში და რომელიც პოლიტიკურად რუსეთის მიერ, ამ ტრაქტატის ცალმხრივი დარღვევით, იყო მაშინ საქართველოსთვის თავს მოხვეული. ერეკლესა და სოლომონის საუბარი წარმოგვიდგება, როგორც ერეკლეს შინაგანი „დიალექტიკური“ („პრო – კონტრა“) დიალოგი თავისვე საკუთარ, თავის „ალტერ ეგო“ სოლომონის სახით, თავთან, რითაც გასაგები ხდება აშკარად **განუყოფელი** სიმპათია თვითონ ავტორისა პოემაში გაშლილი დისკუსიის ორივე მონაწილის მიმართ. ის, რომ „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა/ არარას არგებს, ოდეს თვისება/ ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“ და რომ „[...] ქართველებს/ არად მიაჩნით უბედურება,/ თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“ – ეს, პოემის მიხედვით, ერეკლემაც მშვენივრად იცის („ჩემო სოლომონ, [...]/ არ ვიცი განა?“, „სულ მართალია, ჩემო სოლომონ“). მაგრამ: „ახლა კი დროა, [...] მშვიდობა ნახოს საქართველომა“, ეუბნება ერეკლე სოლომონს; და ბოლოს: „აი მივიღებ მე შენთ რჩევათა/ და დავიდუმებ ჩემსა გულისთქმას [გადაწყვეტილებას საქართველოს რუსეთის მფარველობაში შეყვანის];/ ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,/ რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება/ ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“. ერეკლეს ამ მარეზუმირებელი სიტყვებით ამთავრებს კიდეც ბარათაშვილი საუბარს მეფისა და სოლომონის. ამგვარადვე საგულისხმოა ერეკლესთან საუბრის შემდგომ თავის თავთან მარტო დარჩენილი სოლომონის დრამატული აზრთასვლის ასეთი „მაგრამ“ დასასრუ-

ლიც: „მაგრამ ვინ იცის! იგი [ერეკლე] იქნება/ უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება:/ ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის/ გონება ყმათა ვერა მიხვდების!“. ამიტომაც ითქმის თანახმად „ბედის ქართლისა“ და, მისგან განუყოფლად, „საფლავისა მეფის ირაკ-ლისა“, რომ საქართველო, რუსეთის „ხალხთა საპყრობილე“-ში მოხვედრილი, იქ „სუვერენულად“ იმყოფებოდა, თავს მოხვეული ბედის გარდა, საკუთარი, როგორც თავის-უფლებით განსაზღვ-რული, ბედისაც მქონე. და ბარათაშვილის „მერან“-ზე ამხედრე-ბული ქართველობაც **იმ ბედს** ებრძოდა, სივერაგით, დიახაც, უპ-რეცედენტოს თავის ისტორიაში, სწორედ **ამ ბედით** საბრძოლველ-ად – გავიხსენოთ „უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა“ – ძალმოსი-ლი.

აკაკი წერეთელი ანუ კულტურნაციონალიზმი, როგორც პოეზიის დედაიდეა

როდესაც ვფიქრობ ხოლმე **აკაკი წერეთლის** შემოქმედებისთვის ესოდენ დამახასიათებელ, ზუსტი სახელდებით, **სიმარტივეზე** (და არა, ვთქვათ, მის სინონიმურ, თან ვითომც „მაევფემიზებელ“, სისადავეზე), მახსენდება, სამწუხაროდ, არ მაგონდება, ვისი, გამონათქვამი, რომ საქმეს ვიქმთ ჯერ ცუდად და მარტივად, მერე – ცუდად და რთულად, შემდეგ – კარგად და რთულად და ბოლოს – კარგად და მარტივად. გასაგებია, ის მართლაც ღმრთაებრივი სიმარტივე (ხომ აზრებადია: ღმერთი – მარტივი არსება...), რომელიც აჯადოებს აკაკის მკითხველს, მაინცდამაინც ამ უმაღლეს „კარგად“ ქმნას გვაგულისხმებინებს.

აი, ეს მკითხველისთვის საფრთხილო (თუ რა აზრით, ამას ქვემორე ციტატაში ვნახავთ) თვისება აკაკის გენიისა არაჩვეულებრივი სახოვნებით აქვს წარმოჩენილი წერილში „იალბუზი ქართული პოეზიისა“ **იაკობ გოგებაშვილს**, ერთ-ერთ წარმომადგენელს **ილია ჭავჭავაძის** თაობის „დიდი სამეულის“ – ილია, აკაკი, იაკობი, თავად ზეგარდმოშთაგონებულ შემოქმედს „აი ია“-სი. –

„წარმოიდგინე, მკითხველო, მაღალის მთის წიაღიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც [...] აჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესის წყლისას. [...] ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად ჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიმჭვირვალეს, მოტყუებაში შეჰყევხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია, მაგრამ აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი და მან ძირის ნახევრამდინაც ვერ უწია. მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა. სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შექმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გვეჩვენება, რად? იმიტომ, რომ საარაკო კამკამი გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად ხედავ არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც, და ეს უფრო გატყუებს. მაგრამ აი მოიკრიბე გონება, ღრმად ჩააკვირდი აკაკის ქმნილებათა შინაარსს, შეუდარებელს ფორმას, და აღტაცებაში მოგიყვანა მისმა საოცარმა კაზმულობამ, მისთა აზრთა და გრძნობათა სიღრმემ, მისთა მისწრაფებათა სიმაღლემ“.

მე მგონია, ავტორი ზუსტად გვითითებს ზემოხსენებული სახელოვნო სიმარტივის, ამნაირად დასურათხატებულის, სახით თვით აკაკის შემოქმედებაში საგულებელ ერთგვარ, თუ ასე ითქმის, „მაცდუნებელ“ მიზეზს იმისა (რისი ნამდვილი მიზეზიც, ცხადია, სხვაა: სისუსტე სალიტერატურო კრიტიკის), რომ „ქებათა-ქების“ და „საქართველოს დღევანდელი სახის“ შემოქმედი ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შეცნობილი და შეფასებული, როგორც თავისი მაღალი პოეტური სულისკვეთების, ასევე „დასანახავის“, შესაფერისი ღრმად მოაზროვნე პოეტი (და საერთოდ ლიტერატორი). ვიმეორებ, სწორედ ეს მაცდუნებელი, წმინდა აკაკური ხალხურარისტოკრატულად არტისტული, „ირონიული“ სიმარტივეა იმის მიზეზი, რომ მკითხველს სჭირდება „გონების მოკრება, ღრმად ჩაკვირვება“ ასე ნახელოვნარ ტექსტში, მის შინაარსში, რათა სწვდეს მის ღრმა აზრს, თავსმოუხვევლად გამოთქმულს – მახე „გაინტელექტუალაზნაურებულ“ მდაბიოთათვის – ესოდენ მარტივი, „ტრივიალური“ ენით.

ხოლო, თუ მკითხავდნენ, ყოველივე ამის შემდეგ, რაა აკაკი წერეთლის შემოქმედების ცენტრალური თემა, მისი პოეტური „კოსმოსის“ შინაარსობრივ განმსაზღვრელი და მომწესრიგებელი, ვუპასუხებდი იმას, რაც ყველასთვის იმთავითვე იყო და არის კარგად ცნობილი: **ერი**, რომელიც თავის გარს შემოწერს სფეროს თემათა, პრინციპულად მათი მთელი მრავალფეროვნებით, როგორც ბუნებრივად შემავალთ მის კონტექსტუალურ სივრცეში. და მეც შევეცდები, ორიოდე სიტყვა ვთქვა, საორიენტაციოდ მაინც, ამ ურთულეს თემაზე, როგორც აზრობდა მას, რამდენადაც ეს მესმის, ჩვენი პოეტი.

დავიწყებ აკაკის „ქებათა-ქებით“. ხოლო, სანამ მის წაკითხვა-გააზრებას შევუდგებოდე, განვმარტავ აქვე, შემდგომ გასათვალისწინებლად: „ბუნების ქორწილი“ – აკაკისეული პოეტურფილოსოფიური ტერმინმეტაფორა, აღმნიშვნელი ბუნების (– სოფლის) ზეციურ და ქვეყნიურ ძალთა სასიყვარულო მისტერიის, ზეცის და ქვეყნის, აკაკისვე თქმით, „შემამყარებლის“, „შემხორცებლის“. ახლა კი გავადევნოთ თვალი ხსენებული ლექსის ტექსტს, შესავალი სტროფის მომდევნო მის პირველ ნაწილს, სადაც სწორედ „ბუნების ქორწილ“-ზეა საუბარი. –

„ვიშ, ამ საღამოს, მშვიდსა, საამოს, ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა!.. **რა უცნაურად, მაღლით ციურად, სამოთხისაკენ იტა-**

ცებს გულსა, რომ საიდუმლო სასიქადულო კაცსაც ბუნების შეატ-ყობინოს და, სადაც ჭკუა სცდება და სტყუა, იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს! აჰა, ვგრძნობ მეცა, რომ არის ზეცა, აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით და ეს ქვეყანა, ყოვლგნით ყველგანა თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობით!" ამას მოჰყვება ბუნების ზეციურ-ქვეყნიური საქორწილო (– სასიყვარულო) მისტერიის აღ-წერა „ბუნების სასიქადულო საიდუმლოს" უკვე ზიარებული პოე-ტის მიერ. „დახეთ ამ მთვარეს, სხივ-მომფინარეს, თითქოს ტკბილ-სევდით ივსებსო გულსა!.. მოკაშკაშენი, მოთამაშენი ვარ-სკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა. **ძალთა დიდება, შექმნათა ქე-ბა არს საიდუმლო მათი ვედრება. ქვეყნით ბუნება ბანს ეუბნება და ეს ბანია „ქებათა-ქება".** ყვავილთა ენა – სუნნელთა ფშვენა, საგა-ლობელად აღმა-კმეული, წყალთა ჩქრიალი, ფოთოლთ შრიალი, ბალახთ ბიბინი, რაღაც გრძნეული, **ბუნების მაყრულს, საქორწი-ლოდ სრულს,** ეკავშირება, ზე ემატება, **და ახლა მეც ვგრძნობ**, **სა-იდუმლოდ ვცნობ**, **რომ არის კაცში ღვთისა ხატება!..**" ასე მთავ-რდება ლექსის პირველი ნაწილი (თითქოს ჩვენდა საგულისხმოდ, განსხვავებული, თან უფრო ინტენსიურად გარითმული, სტროფი-კით შესრულებული), თავისი ბოლო წინადადებით მეორე ნაწილის თემის განმსაზღვრელი კითხვის აღმძვრელი: მაინც რამ „აგრძნო-ბინა", „საიდუმლოდ შეაცნობინა" პოეტს „ახლა", „რომ კაცში არის ღვთისა ხატება"? ვიტყვი წინასწარ: ერთგვარ „პანთეისტურ-ად" შეფერილი „ბუნების ქორწილის" შთამაგონებელი სანახაობით გაღვიძებულმა თვითცნობიერებამ პოეტისა, რომ ადამიანი „ღვთისა ხატება"-ა, როგორც სიყვარულის ნიჭით (გავიხსენოთ: ღმერთი სიყვარული არს) ყველა სხვა არსებისგან გამორჩეულად ღმრთივმიმადლებული. „ქებათა-ქების" მეორე ნაწილში სწორედ ამ ადამიანის მაღმრთისხატებელ ნიჭზეა საუბარი. ჩვენც მივმარ-თოთ მას, ერთი შენიშვნის წამძღვარებით.

მის პირველ და მესამე სტროფებში სიყვარული „ვინ"-ნაც-ვალსახელითაა აღნიშნული, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს და ალბათ გულისხმობს სიყვარულის, ვითარცა ადამიანში „ღმრთის ხატის", ღმრთივ პერსონალურ ასპექტს ანუ, უფრო ზუსტად (და რადიკალურად), „ღმერთს ადამიანში", როგორც ეს არის კიდეც აკაკის ერთ **სატრფიალო** ლექსში („რჩევა"), სადაც სიყვარული თვით **ქრისტესაა** გაიგივებული: „სიყვარული კავშირია ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა [ზეცის], იგივეა მაცხოვარი……„მადლი" კაცთა გა-

მოხსნისა“ (ლოგოსი – ეროსი). ერთგვარად ნიშანდობლივია აქ ისიც, რომ სიყვარულის, „თანაც“ სამიჯნუროს, ეს პერსონიფიკაცია (სიყვარული – ქრისტე) ციტირებულ ლექსში უშუალოდ მოსდევს ამ „იგივეა“-თი სიყვარულის, ვითარცა ზეცის და ქვეყნის კავშირის, იდეას, ასევე გამოთქმულს „ქებათა-ქების“ იმავე მეორე ნაწილის მეორე სტროფში („ვინ“-იან სტროფებს შორის). ის, რომ აკაკი სიყვარულს „შენ“-ობით მიმართავს, ამაში უცნაური არაფერია: ასეთი რიტორიკულად მაპერსონიფიცირებელი მიმართვა საერთოდ საგნებისადმი, მოვლენებისადმი, განყენებული იდეებისადმიც კი ჩვეულებრივი ამბავია, მაშინ როდესაც „ვინ“-ნაცვალსახელს მსგავსი რიტორიკული დანიშნულება არ აქვს, და მეც ამიტომ მივაქციე ყურადღება მის ამ თავისთავად უცნაურ მისადაგებას სიყვარულისადმი, თუნდაც „შენ“-ნაცვალსახელთან ბმაში („შენ, ვისაც“). მე მგონია, ამნაირ, ერთი შეხედვით „წვრილმანურ“, ჩაძიებას აზრი აქვს საერთოდაც და განსაკუთრებით ისეთი „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი“ ირონისტ ავტორის შემთხვევაში, როგორიც აკაკი წერეთელია. რითაც ვამთავრებ კიდეც ამ ჩემს, რას იზამ, გაჭიანურებულ შენიშვნას. ხოლო წავიკითხოთ ახლა, „ქებათა-ქების“ პირველი ნაწილის დარად, ეს მისი მეორე ნაწილიც. –

„რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა [„ღვთისა ხატება“ ადამიანში]**?.. ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება ძლევამოსილად გარდამიცვალა! შენ, სიყვარულო! ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო!** შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს, მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!.. **შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა ვერ გიგრძნობს, ვერ გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს და შენ მაგიერ შენის სახელით ის აღიარებს პირუტყვულ წამებს!** შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო, გამოუთქმელო კაცთა ენითა!.. შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ და მონავარდე აღმაფრენითა [...]**.** მე მას ვუგალობ**,** ვისაც განგებამ მშვენიერება უსხივცისკარა!.. [...] სიყვარული რომ ტახტად უდგია, ეგვირგვინება პატიოსნება. როცა ჭაბუკი გამოუცდელი მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად, ვხედავდი **ნინოს, თამარს, ქეთევანს იმაში შენათხზ-შეერთებულად**; და, საამქვეყნოდ გულგრილ მოხუცი, დღესაც თაყვანს ვცემ, როგორც პირველად, თითქოს ჭაბუკი ვიყო მე ახლა და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!..“

სიყვარულის, როგორც ადამიანის ამამაღლებელი გრძნობის, სოფლგანცდა, ჩვენ შეგვიძლია, ვიაზროთ, როგორც სიყვარულის, ვთქვათ, სამიჯნუროს (აკაკის სწორედ ეს სიყვარული აქვს მხედველობაში), „სუბსტანციური“ შინაგრძნობა სოფლის ზეცის და ქვეყნის კავშირ სიყვარულის. წინააღმდეგ მისი „ვერმგრძნობელი“ და „ვერმცნობელი“ „უგნურთ უმეტესობის“ შეხედულებისა, სიყვარული ინსტინქტი, თუნდაც „სუბლიმირებული“, არაა, იგი ბიოლოგიურის (აკაკის თქმით „პირუტყვულის“) ზეითი კულტურული ფენომენია. ასევე, ქალს რაც შეეხება, – სიყვარულის სრულმყოფი ცოლობა და დედობა, რომელთა კავშირი ბიოლოგიურთან ზოგადად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ თავისუფლების ქართულენობრივი მოდელით („თავის-უფალი“): ნატურალური თავის, ამ შემთხვევაში მისი სქესობრივი ინსტინქტის, სიყვარულის პრინციპით ზეგარდმო კულტურული (და)უფლება. ამიტომაცაა, რომ კულტურულ „გვირგვინს“ ცოლობისა და დედობის, როგორც ამბობს კიდეც აკაკი (ლექსი „ტუჩმარჯანა“), ვერ იტვირთავს ის, „ვინც უარჰყო მისი ქვეყნის ბიბლიური ანაბანა“ ანუ მშობლიური კულტურა და მით თავისი კულტურულ-ისტორიული პიროვნება – ეროვნებაც (იგულისხმება: დეკულტურალიზაცია – დენაციონალიზაცია, გინდ პირუკუ). სიყვარულის სწორედ ეს ეროვნულ-კულტურული (ეროვნული, რამეთუ კულტურული, კულტურული, რამეთუ ეროვნული) იდეაა მანიფესტირებული „ქებათა-ქების“ მეორე ნაწილის კულმინაციურ ბოლო ორ სტროფში, სადაც სატრფოს იდეალად წარმოსახულია ერთ არსებად „შენათხზ-შეერთებული“ „წმინდა სამება“ ქართველი ერის ისტორიის უდიადესი ქალების: **ნინოს, თამარის, ქეთევანის.** ამნაირად პოეტმა შექმნა უკვდავი სახე **ერის „მარადი სატრფოსი“** (ქართული ვერსია „მარადქალურის“) – სიყვარულის ასეთი ეროვნულ-კულტურული იდეალი; და რითაც, სიყვარულის აი ამ იდეალით, აიხსნება კიდეც „ქებათა-ქების“ დასკვნითი სტროფის ეს სოფლისმოყვარეობითი „სხვებმა სვან ღვინო!.. მე უღვინოდაც მთვრალი ვარ მეტის სიხარულითა!.. **ემატა სოფელს მშვენიერება ჩემს თვალში მისის სიყვარულითა**!..“. სოფელი, რომელზეც ლაპარაკობს აკაკი, სრულებითაც არაა კულტურულად (და, მაშასადამე, ეროვნულ პერსონალურადაც) უსახო-უპიროვნო „საერთოდ“ სოფელი, არამედ, აკაკის სწორედ ამ ერთარსება სამპიროვანი „იდეალური სატრფოს“

კონკრეტულ ეროვნულ-კულტურულ კონტექსტში, ნინოს-თამარ-ის-ქეთევანის „პირადად ხვედრი“ სოფელი საქართველო.

ასე, სიყვარულის ეს მთელი აკაკისეული „კოსმოლოგია“ და „ფსიქოლოგია“ ბოლოს და ბოლოს იკვანძება **ერის**, როგორც სოფლის არსება შემოქმედის, თავდათავ იდეაში, რითაც იგულისხმება, რომ სოფლის არსებობა მის სუბიექტ ერის სოფლად არსებობაა; და ამიტომაც სოფლის ნატურალური პეიზაჟიც „ქება-თა-ქების“ პირველ ნაწილში იაზრება თავის თავშივე, როგორც ნატურალური სოფლხატი ამ სოფლის სუბიექტ ერის.

ერის თემის გონითსუბსტანციური, ასეც ითქმის, მნიშვნელობა აკაკის შემოქმედებისთვის მისი მთელი თემატიკური მოცულობით, თავისთავად თვალსაჩინო ყოველი მეტ-ნაკლებ გულისხმიერი მკითხველისთვისაც, პრინციპულად გასაგები გახდება, თუ სათანადოდ გავიაზრებთ ჩემ მიერ უკვე ხსენებული **„საქართველოს დღევანდელი სახის“** ერთ ადგილს, სადაც მოცემულია, შესატყვისი მეტაფორული ტერმინოლიგიით, ერის იდეის, არსებითად რელიგიურის, პოეტურფილოსოფიური ფორმულა, ლექსის მთლიანი კონცეფციისგან, როგორც საკვანძო, არა მარტო ლოგიკურად, გონითდრამატურგიულადაც განუყოფელი და ამიტომ მის, ამ ლექსის, ერთიან კონტექსტში უშუალოდ ტექსტობრივ განსახილველიც. მაგრამ მანამდე წინასწარი განმარტება, შეძლებისამებრ მოკლედ.

ეროვნების სახელქვეშ, განსხვავებით მისი გავრცელებული გაგებისგან, მე ვაზრობ კულტურულ-ისტორიულ პიროვნებას კულტურისა და ისტორიის, ურთიერთგანუყოფელთა (ისტორია – კულტურის ისტორია), სუბიექტ ერისა და მისი საზოგადოების შემადგენელ ერისაგანთა (მშვენიერი სახელი ერის შვილ ინდივიდუუმთათვის). ხოლო აღმოჩენაზე პრეტენზიად, ალბათ, არ ჩამეთვლება, თუ აქვე ვიტყვი, რომ აკაკისთვის ერი პიროვნებაა (ასე ვთქვათ, „დიდი პიროვნება“), რომელიც, როგორც ასეთი, სწორედ ერის სახით, არის კიდეც, აკაკის თქმით, „ღვთის ნიჭი“ ანუ სახელდობრ რა? (ლექსიკონები აქ ვერ გვიშველიან) – იგივე ჩვენი, ესეც აკაკია, „ეროვნება“; და რომლის, თვით ამ სიტყვა „ეროვნების“, ზემოხსენებული „ჩემეული“ გააზრებაც, ამ შემთხვევაში აკაკი წერეთელთან რეტროსპექციული მიმართებით, სხვა არა არის, თუ არ ამჯერად აკაკის ტექსტში იმპლიცირებული იდეის ინტერპრეტირებული ექსპლიკაცია, მეტი, ტექსტის გუ-

ლდადებით წაკითხვის გარდა, არაფერი. ამით იმის თქმა მსურს, სხვათა შორის, რომ ეროვნების შემოთავაზებულ იდეას ჩვენ წინაპართა ნააზრევში აქვს ძირები (თვით ენის ფორმალურსაზრისობრივი „ლოგოსით“-აც: ერი – პირი, ეროვნება – პიროვნება).

და ერთიც. როგორ უნდა გვესმოდეს, ვთქვათ, ჩვენს შემთხვევაში, სიტყვა „საქართველო“? – როგორც სახელი გარკვეული სოფელ ქვეყნისა, რომლის სუბსტანციურად „ქვე-მდებარე“ კულტურულ-ისტორიული სუბიექტი, ამგვარად მაპერსონიფიცირებელიც, ქართველი ერია, თავად ამ სოფლისთვის მისი კულტურულ-ისტორიული რაობისამებრ თავისი „საავტორო“ სახელის მიმცემი (საიდანაც – ეს ერის კულტურულ-ისტორიულად პირადკუთვნილებითი „სა-ქართველო“-ც). ხოლო ერი, სოფლის შემოქმედი, ამნაირად თავისი სამშობლოს, ანუ იმავე სოფლის, შემოქმედია, – სა-მშობლოსი, რომელშიც მის გონით არსებად გულებადი „მშობელი“ (ანალოგიურად, სინონიმურ „მამ(ე)ულ“-ში „მამა“...) თვითონაა, როგორც სოფლის და ამ სოფლად საკუთარი თავისაც დამბადებელი (სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და, აკაკის „ღვთის ნიჭი“ „ეროვნება“ რაღაც ამდაგვარს მაგულისხმებინებს, მაგრამ ამაზე თავის ადგილას)... ასე რომ, „(სოფელ) ქვეყნის“ (სახელდობრ, ჩვენთვის, „საქართველოს“) ხმარებას „ერის“ (შესაბამისად, „ქართველის“) მნიშვნელობით, რასაც ვხვდებით ხოლმე აკაკისთანაც, თავისთავად ღირსსაცნობი კონცეპტუალური საფუძველი ჰქონია. როდესაც აკაკი, ჩვენი, ქართველთა, საერო მითოლოგიის ეს ჭეშმარიტი პოეტი შემოქმედი, საქართველოს წარმოგვისახავს კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანად ან ქაჯეთის ციხეში დატყვევებულ ნესტან-დარეჯანად და მასთან, განუყოფლად, მის სახსნელად „გაჭრილ“ ტარიელადაც, ავთანდილ-ფრიდონითურთ, განა აშკარა არაა, რომ აქ საქართველოს სახელით მისი მაასეთებელი არსება ქართველი ერი იგულისხმება, ბუნებითად, რაკი ერი, თავის-უფალი და ამიტომაც, ჟამთვითარებით თუ მტრისგან თავისუფლების უფლება აქვს დათრგუნვილი, ერთხელაც იქნება და, საკუთარი გარჯით ბედს მიწევნილი და „ნესტან-დარეჯან“-თავის მხსნელ „ტარიელ“-უფლად ასე „მისტერიულად“ „დაქორწილებული“. ბოლოს ნათქვამისთვის დავიმოწმოთ აკაკის ცნობილი „ნაძალადებ საქმროს“, სადაც მოძალადე „ცრუ მოყვარეს“ ასე მიმართავს მისი ტყვე: „შეგიპყრივარ, როგორც მთვარე გველეშაპსა, ძალადობით... [რუსთველური რემი-

ნისცენცია: „მთვარე“ – ნესტან-დარეჯანი, „გველეშაპი“ – ქაჯეთი]“; და მერე: „შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს ანუგეშებს ის იმედი, რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს მთლად დალეწავს ჩემი ბედი! დამხსნის შენსა მონებასა, ცბიერებას გაგიწბილებს, გამიმტკიცებს გონებასა [რათა სხვა მტრის ცბიერებამ ველარ შეაცდინოს], **თავის უფლად მაქორწილებს**!.. [„თავის უფლად“ – ეტიმოლოგიური დანაწევრება „თავისუფლის“ ცნებითი საზრისის გასახაზავად]“. ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერი, თუ დაპყრობილია, მხოლოდ თავისი, სიმბოლური წარმოდგენისამებრ, „მდედრი“ თავით, და რომ ერის ამ შემთხვევაში გათავისუფლება სხვა არა არის, თუ არ მისი თავის ამ „მდედრ“ თავთან თავის „მამრ“ უფლად, რომელიც თვითვეა, კვლავ „დაქორწილება“, ასე ვთქვათ, „რესტავრაციული“. ასეთია, ჩემი აზრით, იდეა, ავტორის მიერ ყოველგვარი „საკონცეფციო“ რეფლექსიის გარეშე ხსენებულ ლექსში პოეტურინტუიციურად „ჩაშიფრული“ და, როგორც ასეთი, მარტოდენ გულისხმიერი მკითხველისთვის შეძლებისდაგვარად ამოსაცნობი. ხოლო ამასთან აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „მიჯაჭვული ამირანი“, ასევე აკაკისეული სიმბოლო ქართველი ერის, ნესტან-დარეჯანთან წყვილში ქმნის ერის იმ „ორსახიანობას“, რომლის „პოეტური კაზუისტიკის“ თანახმადაც ტარიელი და ავთანდილი (ალბათ, ფრიდონიც), იმავე აკაკის მითოლოგემით, „ამირანის სისხლ-ცრემლებით გამოზრდილი“ არიან, როგორც ამას ვნახავთ კიდეც ქვემოთ, თავის ადგილას. მაგრამ სიტყვა ამ აბზაცში ისედაც გვარიანად გამიგრძელდა და ამით დავამთავრებ.

თითქოს პუბლიცისტური წერილისთვის უფრო შესაფერისი სათაურის – „საქართველოს დღევანდელი სახე“ – ფონზე ერთგვარი არტისტული მოულოდნელობით წარმოგვიდგება ლექსის დრამატურგიულად ეფექტური რიტორიკულპათეტიკური დასაწყისი – მიმართვა წინასწარმეტყველ იერემიასადმი, განმსაზღვრელი თემის შესატყვისი ამაღლებული რელიგიური („საბიბლიო“) ტონალობის, ტოლძალ სათანადოსი „საქართველოს დღევანდელი სახის“-თვისაცო: „ვის იგლოვ, იერემია? თავზე რად იყრი ნაცარსა? რად სტირი იერუსალიმს და სოლომონის ტაძარსა?“. ასეთია აკაკის მიერ ჩვეულებისამებრ ზუსტად ფორმულირებული კითხვა, თავის თავშივე ასევე ნათელი პასუხის შემცველი: „ვის იგლოვ“? – ცხადია, ებრაელ ერს და სახელდობრ („რად“-კითხვის პასუხად) იმ განსაცდელის გამო, რომელიც მომავალში მოელის ერის თვით

სახელმწიფოებრიობას („იერუსალიმი“) და მის პოლიტიკურ ჭერქვეშ ერის მასულდგმულებელი სარწმუნოების („სოლომონის ტაძარი“) დაცულობას. მაგრამ იერემიას ნაწინასწარმეტყველებ მომავალს საფუძველი სულიერად უკვე ხრწნამორეულ თვითონ მის თანამედროვე სინამდვილეში აქვს, სადაც მისი მამულიშვილური (ამიტომაც უყვარს იგი აკაკის) გოდება გაისმის ოდენ ხმად მღაღადებლისა უდაბნოში: „ვინ იგულისხმებს გოდებას, როცა **შენ ერთი სტიროდე**, თუ იმავე დროს **ილხენდეს ათი-ათასი იროდე**?“ (გონის გმირის ხვედრი). და აი, სწორედ აქ შემოდის ღმრთის მის მცნებათადმი ურჩობის საპასუხო „პედაგოგიკის“ თეოლოგიურ-ისტორიოსოფიული თემა, ფრიად საგულისხმო, განსაკუთრებით ციტირებული შესაბამისი პასაჟის პირველი სამი სტროფით: „**ძალა აღმართს ხნავს!“ ღვთის რისხვას ხელი არ შეეფარება! ძნელია, როცა მოყვრულად მტერი კაცს შეეპარება** [ღმრთის რისხვა შერისხულზე მტრის მიშვებით]. **უქმია მაშინ ტირილი და უნაყოფო – გოდება!.. იხრწნება ფარისევლობით თანასწორ ყველა წოდება** [„სოციალური ფარისევლობა“ – უდიდესი მორალური ბოროტება: ერის, როგორც სოციალური ორგანიზმის, სულითაც და ხორცითაც წარმწყმედი]: **თავადი აღარ თავადობს, არც სადმე აზნაურია! აღარც მღვდელია, არც ერი... ყველა ღვთის უმადურია** [ერად ღმრთივყოფნის მადლის ვერ შემშვნეველი; „ღვთის უმადურობა“ – ღმრთისადმი უმადურობაზე საპასუხო ღმრთისმიერი სასჯელი, „ღვთის უმადურობის“ კიდევ უფრო გამამძაფრებელი მისვე დასართგუნავად]! იუდიანი იროდე [„საერო თავადი“ (გადმოვდივართ ქრისტეს საუკუნეში)] ორწილად რომაელია [რომი – მპყრობელი მტერი]: მგელია მისის ქვეყნისთვის... სამშობლოს გამომხვრელია! თუმც კაიაფა და ანნა ებრაელთ მღვდელმთავარია [„სასულიერო თავადები“], მაგრამ-კი რომაელობა მათშიაც ნახევარია. ხალხიც შეჰყურებს თავადებს [მის საერო და სასულიერო წინამძღოლებად აკი მოწოდებულთ] და მათი მიმდევარია. რომი ხელს უწყობს ცალ-ცალკე, აბრიყვებს და უხარია! **მოტყუებული ქვეყანა ივიწყებს ძველსა დიდებას, წამოაყენებს იუდას და ჰყიდის ჭეშმარიტებას** [– **ქრისტეს**; ისტორიული მოვლენის ქრისტიანული ახსნა-შეფასება]. პონტოელი-კი პილატე ჰფიქრობს: „დაუდგათ თვალიო!“ განზე გამდგარი, ხელს იბანს, ამბობს: „მე არ მაქვს ბრალიო!“ [მოზეიმე ვერაგი მტრის, სინამდვილეში ებრაელთა ღმრთის რისხვის თვისდა უცნობლად აღმასრულებლის, ცინიკური „თავის მართლე-

ბა“]“. ამგვარად წარმოდგენილ იერემიადას, გადმოცემულს აკაკის „თანაავტორობით“, პოეტი ამთავრებს ასეთი შემაჯამებელ-დასკვნითი სიტყვებით: **„ეს ყველა ერთაშორისი ძალმომრეობის წესია: იქ ვარდს და იას ვინ მოჰკრეფს, სადაც ეკალი სთესია**?!“; და მანდვე, ზედმიყოლებით, მომდევნო სტროფში: **„აი, რას ჰხედავს და სტირის წინასწარ იერემია!..**“. იგულისხმება, რომ ერთაშორისი ძალმომრეობა, თუნდაც იმავე ქრისტიანული ისტორიოსოფიის თანახმად, ამსოფლიური სინადვილის სპეციფიკურად მახასიათებელია და ღმერთი მას, როგორც არსებულ „რესურსს“, მარტოოდენ იყენებს მის შემცოდე ერზე, ჩვენი ზემორე მაგალითისამებრ, მტრის მისაშვებად, რასაც „ჰხედავს და სტირის“ კიდეც „წინასწარ“, ნაციონალისტ აკაკის თუ ვკითხავდით, ასევე ნაციონალისტი – გლობალისტ ანტიქრისტესთვის ყველაზე სამტრო სიტყვა – იერემია. – ასე მთავრდება ეს „იერემიას გოდების“ აკაკისეული ვერსია და იწყება ამავე სტროფის მეორე ნახევრის **„ცრემლი მკვდარს თუმც ვერ აღადგენს, მაგრამ ნუგეშის მცემია!..**“-თი თვითონ აკაკის უკვე უშუალოდ „საქართველოს დღევანდელ სახე“-ზე „საკუთარი“ მონოლოგი (აწმყოში ერის მომავლის პირისპირ), „გოდების“ ფორმისგან, მიუხედავად მისადმი, იერემიას სახით, ღრმა გონითი ინტერესისა და თითქოს მიბაძვის სურვილისაც კი აღმძვრელის, მაინც, როგორც ვნახავთ კიდეც, იმავ პოეტისთვის სწორედ დამახასიათებლად განსხვავებული [შემოქმედის, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, კულტურული-ანუ-ეროვნული ინდივიდუალობის, გნებავთ, „მისტიკური“, გნებავთ, მე ეს მირჩევნია, კლასიკური (თანაც გოეთეს განმარტებით: ჯანმრთელი) ფენომენი].

ლექსის ამ მეორე, მთავარ ნაწილს წინ უძღვის პრელუდია, პირველიდან მასზე გარდამავალი, რომელსაც შეადგენს, ბოლოს ციტირებული აფორისტული ფრაგმენტის გარდა, მისი მომდევნო ეს სამი სტროფი: „იერემიას გოდებით რომ ვინუგეშო, მეც მინდა, თუ სევდა გადამეყარა და თვალზე ცრემლი მეწმინდა [შემდგომ გაირკვევა, რომ აკაკის საამისოდ ისევ მისი მშობლიური „ძველი საგალობელი“ ამირანზე, „საერო, მამაპაპური“ (თავად ამ ჩვენი მითოსისმოქმედი პოეტისვე ქმნილება), გამოადგება]. მაგრამ მე რა მრჯის მიბაძვას? სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი? სად ჩემი სტვირი, სად მისი იერიქონის საყვირი? ის მაღალ ჰანგზე ჰგოდებდა, მე ბლიაძურად გავყვირი, **თუმც-კი ორივეს საგლოვის ერ-**

თია სარჩულ-საპირი [ზრუნვის საგანთა, როგორც ასეთთა, ობიექ-ტურად (ორგანვე ერი) ღირებულებითი ტოლფარდობა]".

ეს მონოლოგი, ბოლომდე შინაგანად გამსჭვალული პირველ სამ სტროფში მანიფესტირებული მძაფრი დრამატიზმით, თავისი ოპტიმიზმით დამყარებულია იმედის, რწმენისა და სიყვარულის თეოლოგიურ სათნოებათაგან განუყოფელი ასეთივე სათნოების, რელიგიურ საფუძველზე, რასაც არაფერი აქვს საერთო, ამ შემ-თხვევაში, პოლიტიკურ გულუბრყვილობასთან, რის ცხადსაყოფა-დაც საკმარისია, რაც შეეხება პირადად აკაკის, მისი „არაბი-ფა-შა", ნამდვილი შედევრი, თანაც დღეს კიდევ უფრო აქტუალური, ცივილიზებულ მსოფლიოში საერთაშორისო სამართლის, შესაბა-მისი პოლიტიკითურთ, მდგომარეობაზე. –

„შემკრა-შემბოჭა შავ-ბედმა, ტანჯვები გამიზვიადა და მწუხა-რება შავ-კუპრი გულზე დამაწვა ტყვიადა. მეზარევ, ზარი აუშვი ამი-რან გმირის კვნესითა! ხმა გრძნობას შეუთანახმე ძველ ჩვეულება-წესითა [საგულისხმო შტრიხი: ცხოვრების რეალური დრამის სახე-ლოვნო ესთეტიკური ელემენტი]**. და ნაღველ-ქაფად გამილღვე ეს მძიმე ტვირთი გულისა, რომ ნიშნად გადმოვანთხიო მომავალ სიხა-რულისა!**". ციტირებული ფრაგმენტის აზრობრივადაც და ემოცი-ურადაც შთამბეჭდავი სახეიდეა: „ამირანის კვნესა"-ზარით „ნაღ-ველ-ქაფად გალღობა(!) გულს ტყვიად დაწოლილი შავ-კუპრი მწუხარების(!)", მის „გადმოსანთხევად(!) ნიშნად მომავალი სიხა-რულისა". ასე დრამატულად შემოდის აკაკის ოპტიმიზმის მასულ-დგმულებელი **იმედის** თემა: **„ვაი" და „უი" წარსულსა[!], „უი" და „ვაი" აწმყოსა[!], თუ მომავალმა[!] იმედი[!!] მალამოდ გულს არ აც-ხოსა! რომ ეს მალამო არ მქონდეს, რა გაუძლებდა ჩემ წყლულსა? და ჯოჯოხეთის სახნისით გადაბრუნებულ გლახ-გულსა? მაგრამ დიდება შემოქმედს! სძლევს ქვეყნის სავალალოსა: თანასწორ ამოა-ცენებს საწამლავ-სამკურნალოსა[!]** [სხვათა შორის, ერთაშორისი ურთიერთობის სფეროშიც, გოეთეს ნაბრძნობისამებრ: „ესაა სიბ-რძნის საბოლოო დასკვნა: მხოლოდ ის იმსახურებს თავისუფლე-ბას, სიცოცხლესავით, ვინც ყოველდღიურად მოიღვაწებს (რაც ნიშნავს: ზრუნვა-შრომა-ბრძოლით მოიპოვებს) მას"]**. მეც ცისარ-ტყელად მესახვის იმედი მომავალისა** [ერთხელაც შეხსენებით: საიმ„ზენა"სოფლოსი კი არა, საამ„ქვენა"სოფლოსი]**, წყნარი, შვიდფე-რი, შვიდძალი, ტკბილად ამხელი თვალისა** [ცხადია, არა ისტორიის „მეცნიერული" პროგნოზის, თავისთავად აბსურდულის, საფუძ-

ველზე, არამედ პოეტის, ილიასი არ იყოს, „ღმერთთან მოლაპარაკესი“, ზეგარდმომომადლებული ინტუიციის წყალობით]. იქ ვხედავ მეთაურებსა კანგამოცვლილად სუყველას, როგორც ყოფილსა მყრალ ჭიად აბრეშუმისა პეპელას. აღარ არიან მათ შორის კიკოლიკ-ტეტიკელები [ქართველი „ეროდეები“], რომ მოძმეთ გასაცარცვავად ააფათურონ ხელები. **შრომობენ მოციქულებრივ**, თავი არ მოაქვსთ დიდადა, და **კერძოს საზოგადოსთვის აგებენ გზად და ხიდადა**. ეს არის **მსხვერპლი საერო!** ეს არის **აღთქმა და შველა! და ერიც „აღთქმულ ქვეყანას“ უახლოვდება ნელ-ნელა**“. აქ აკაკი შეძახილით, გეგონება, სასაყვედუროთიც კი საკუთარი თავისადმი, „**მეყო მეც აწმყოს ყვედრება იერემიას ენითა!..**“ აღარ ეძებს ნუგეშს წინასწარმეტყველის გოდებაში, რის სანაცვლოდაც, უკვე სწორედ საიმედოდ, იგი მიმართავს თავისივე ერის, ასე ვიტყოდი, „სამომავლო“ წარსულს: „ოცნებავ, ისევ წარსულში გადამიყვანე ფრენითა, რომ ძველი საგალობელი, საერო, მამა-პაპური, გავიმეორო კიდევ დღეს და ყველამ დაუგდოს ყური [...]“. შემდეგ, ლექსის პირველი ნახევრის დაბალი, „მინორული“ შაირიდან მეორე ნახევრის მაღალ, „მაჟორულ“ შაირზე გადასვლით მოდის ეს „საგალობელი“, რომელიც ასე მთავრდება: „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები-კი – ყვავ-ყორანი. მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!.. სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი!..“. აკაკი განაგრძობს. –

„ეს კი, მაგრამ ვინ გმირია, რომ აუშვებს მიჯაჭვულსა? ან მალამოს ვინ უმზადებს? გაუკურნებს ვინღა წყლულსა? თუ რომ დავით, ღვთის რჩეული, მას ვეღარას მოეხმარა და თამარის [მითოსურად „აქიმ დედოფლის’] მალამომაც წყლული ვეღარ დაუწყნარა, – ამ ორ ძალზე უფრო დიდი არის კიდევ სადმე **ძალი**, რომ წარსულმა ვერ დაბადა და წარმოშობს მომავალი? არის!.. **ის, რაც შესაფერად თვით ბუნებამ განამტკიცა: ძლიერება – ეროვნებად** [უთუოდ ასე და არა, როგოც ტექსტშია, დეფისით] **შენახორცი ცა და მიწა!..**“ – **აი,** აკაკი წერეთლის **პოეტური, ფილოსოფიურის ინტუიციურად წინმსწრები, ფორმულა, თუ რაა ეროვნება.** მაგრამ, სანამ ამ აბზაცს გავაგრძელებდე, ერთი ცალკე განმარტება.

როგორ უნდა გვესმოდეს, ადრე ნათქვამის დაზუსტებით, ზემორე ფორმულაში აშკარად ნაგულისხმები „**ბუნების ქორწილი**“? – ჩანს, როგორც ზეცის და ქვეყნის, შესაბამისად, **ზენაბუ-**

ნებრივ და **ქვენაბუნებრივ** სფეროთა მაერთმთლიანებელი ურთიერთქმედება-შევსების პრინციპ **სიყვარულის** სრულმყოფი ღმრთაებრივბუნებრივი აქტი; საიდანაც – „**თვითონ**“ ბუნების, ზენაბუნებრივი ზეცის სახითაც და ქვენაბუნებრივი ქვეყნის სახითაც, ეს „ქორწილი“. ხოლო ზეცა („ცა“) და ქვეყანა („მიწა“) აქ უბრალოდ კი არ „**(შე)ეხორცებიან**“ ერთმანეთს მათი ღმრთაებრივ კავშირ სიყვარულის **განმახორციელებელი**, სიყვარულის ძალითვე, „ქორწილით“, თან, ამასაც მივაქციოთ ყურადღება, საკუთრივ **იმპერსონალურით** („ცა“-ცა და „მიწა“-ც თავისთავად ხომ **არა-ვინაა**), არამედ, საპირისპიროდ „ბუნების ქორწილის“ „ორდინარული“ ბუნებრივი მისტერიისა (გავიხსენოთ, „ქებათა-ქების“ გარდა, აკაკის ასევე ბუნების „მისტერიული პოეზიის“ ნიმუში „საღამო“, მისი „შეხორცების“ სინონიმური „შემყარებით“-ურთ), ეს მათი „შეხორცება“ **კულტურულად პროდუქტიულია** („ეროვნება-**დ შენახორცი** ცა და მიწა“), იგი, ბუნებაზე (ნატურაზე) ამაღლებული, მისი კაუზალობითურთ, გვევლინება, ამ სახით, როგორც **თავისუფლებითი თვითქმნა** სიყვარულის ღმრთაებრივი იდეის **თავის თავშივე შემცველ** (ტრანსცენდენტულისა ორგანულ იმანენტურად) **კულტურის სუბიექტ და**, მაშ, **პერსონა ერისა**. ამნაირად, სიყვარულის უნივერსალური თეოკოსმოანთროპოლოგიური პრინციპი, როგორც ასეთი, განისაზღვრა კიდევაც ღმრთის დიდ „ხატ და მსგავს“ „დიდ ადამიან“ ერის, სწორედ ამიტომ კულტურის სუბიექტისაც, მის ასეთად საარსებო პირად შინაგან პრინციპად. ასე მესმის ეს აკაკისებურად მარტივი პოეტური, რამდენადაც „წმინდა“, იმდენადვე „ღრმა“-ც და „მაღალი“-ც, გინდ პირუკუ, გამონათქვამი, ადეკვატურად მაფორმულებელი სათანადო მეტაფორულ ენაზე, ნილს ბორის არ იყოს, იმ „პოეტური[!], ანუ გონითი, ანუ კულტურული[!] ჭეშმარიტების“, რომელიც მიუწვდომელია სისტემური თეორიული, თუნდაც მეტაფიზიკური, საკუთრივ სამეცნიერო ზე რომ არაფერი ვთქვათ, აზროვნებისთვის (ბორისეული „ჩამონათვალის“, ალბათ, ამ გაგებით: პოეტური ანუ ზოგადგონით – მთლიანკულტურული ჭეშმარიტება). მოარული შეხედულება, რომ პოეზია „გრძნობის საქმეა“, მხოლოდ იმ პირობით იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას, თუ „გრძნობის“ სახელქვეშ იგულისხმება მაინცდამაინც გონითი გრძნობა და, შესაბამისად, მასში ატრიბუტულად აზრებადი მისეულივე წარმოსახვითი შემეცნება, საიდანაც – იდეაც მშვენიერების, როგორც ჭეშმარიტე-

ბის პრე-და-პოსტ ფორმის... მაგრამ კულტურის ფილოსოფიის ამ ერთ უმნიშვნელოვანეს თემაზე საუბარს აქ ვერ გავაგრძელებ და ამჯერად ჩვენ დიდ ფილოსოფოს (და როგორც ფილოსოფოს, ასევე ფსიქოლოგ...) დიმიტრი უზნაძის, რომელმაც ამ თემის, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, პირადად, ყველაზე სარწმუნო გაშუქება მოგვცა, მარტოოდენ ასეთი ლაპიდარული გამონათქვამით, ხელოვნება (პოეზიის „მეთაურობით“) და ფილოსოფია „ორივე ერთ ღმერთს უკმევს გუნდრუკს“-ო, დავკმაყოფილდები, რა თქმა უნდა, მისი მანდვე გააზრებით უზნაძისვე ფუნდამენტური კულტურფილოსოფემის – „არ არსებობს რეალურად ერთი კაცობრიობა, რომელსაც გულისხმობს ერთი საკაცობრიო კულტურის ცნება. პირიქით, არსებობს სწორედ იმდენი კულტურული მიმდინარეობა, რამდენი ეროვნებაც ცოცხლობს, და ეს იმიტომ, რომ [...] კულტურული შემოქმედების სუბიექტი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ეროვნული ერთეული იყოს“ – კონტექსტში. დასასრულ, ერის (ეროვნების) იდეის აკაკისეული პოეტური ფორმულის მართებული გაგებისთვის სავინიცობოდ ერთხელაც საგანგებოდ შევახსენებ მკითხველს, რომ ზეცის და ქვეყნის თეოკოსმოლოგიური კავშირი – სიყვარული, როგორც ასეთი, იგივე ერის, ვითარცა კულტურის სუბიექტის, საკუთრივ იმანენტურპერსონალურად, ხოლო აქედან – თვით კულტურისაც, თეოანთროპოლოგიური ანუ, ამ თავის განუყოფელ იგივეობაში, ერთობლივ თეოკოსმოანთროპოლოგიური პრინციპია. ასე შოთა რუსთველის უნივერსალისტურმა იდეამ სიყვარულისა, როგორც „პირველისა და ტომისა გვართა ზენათა“, სათანადო დედუქციური პროექციით ქვენა სოფელზე, თავისი ადეკვატური გამოხატულება ჰპოვა, გრიგოლ რობაქიძის ბედნიერი თქმით, „რუსთაველის პირმშო[!]“ აკაკი წერეთლის ამ, კვლავ და კვლავ გახაზვით, – „**ძლიერება – ეროვნებად შენახორცი ცა და მიწა**“ – სახეიდეაში. დავუბრუნდეთ ზემო აბზაცს.

აი, როგორ იკითხება აზრობრივ დამასრულებელი გაგრძელება წინა საკვანძო სტროფის: „**ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ, არც საპოვნი, ვერც სასყიდი, და მხოლოდ თვითარსებობა არის შენი გზა და ხიდი! და თუ ეს გზა და ეს ხიდი უშიშრად არ გაუვლია, დახმარება ამირანის** [– საქართველოსი] **თვით გმირსაც არ შეუძლია!**“. გავიხსენოთ: „ნიჭი“ – სულხან-საბა ორბელიანით „საბოძვარი“, ნიკო ჩუბინაშვილით (და შემდგომ დავით ჩუბინაშვილითაც) ასევე „მად-

ლი, ზეგარდმო მონიჭებული კაცისადმი ძალი, ანუ ტალანტი“. მართლაც, აკაკისთვის, აშკარაა, ეროვნება ღმრთისმიერი მადლია, ზეგარდმო **მონიჭებული** „ძალი“, იგივე, აკაკისავე, „ძლიერება“, რომელიც ქვეყნად, როგორც რამ „საპოვნი“, გინდ „სასყიდი“, არ მოიპოვება და რომლის, ამიტომ, წარმოშობა-არსებობაც მიზეზობრივობის სამეცნიერო ბუნებრივ საფუძველზე არ შეიცნობა. რაც შეეხება, კერძოდ, ერის (ეროვნების) იდეის ამ მეცნიერულად მოუხელთებლობას, ამაში უცნაური არაფერია, რადგან კულტურა, რომლის არსებაც თავისუფლებაა, საკუთრივ მეცნიერულ ახსნას, გინდა-არ გინდა, ასე თუ ისე კაუზალურს, არ ექვემდებარება და, ამდენად, – არც მისი ეს ერთადერთი ნამდვილი სუბიექტი ერიც. და სწორედ აქ წარმოგვიდგება კიდეც, თავისი ერთიანკულტურული მნიშვნელობით ჩვენდა საგანგებოდ საგულისხმოდ, **„ღვთის ნიჭი“ ეროვნება, როგორც** სახელდობრ **ძალა („ძლიერება“)**, კატეგორიალურად საკუთრივ **სახიერის** თეოლოგიური ატრიბუტით, შესაბამისად „სახიერების“ ამ სულხან-საბასეული განმარტებისა: „ჭეშმარიტი სახიერება იგი არს, რომელი სიმართლისა [– გულმართლობისა, უბიწოებისა, უმანკოებისა...] და სიბრძნისა [საბა: „სიბრძნე – კეთილ, ხოლო სივერაგე – არა“ (მართლაც, სატანის „სიბრძნე“-ზე ვინ ლაპარაკობს!)] და ძლიერებისა თანაშეწყობილ[!] იყოს, რამეთუ უსამართლოΩ და არაბრძენი და უძლური არა არს სახიერ“. ამგვარად, ამას მივაქციოთ ყურადღება, ეროვნება, როგორც ასეთი – „ღვთის ნიჭი“, ადამიანის ღმრთის ხატობა-მსგავსობის დარად, იაზრება, ვითარცა სახიერება, რაც ნიშნავს, რომ იგი, როგორც სახელდობრ ძლიერება, პრინციპულად განუყოფელია სიმართლისა და სიბრძნისგან ანუ, საერთოდ, სიკეთისგან (საბას ლექსიკონის სხვა ავთენტიკური ვერსიით: სახიერება – „**სიკეთის ქმნა**“; საიდანაც სახიერი – სიკეთის, როგორც საქმის, ანუ ქმნადჯერარსის, მოქმედი). ხოლო წამს ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ გამოიყურებიან ჩვენი ქვეყნიური არსებობის ისტორიულ სინამდვილეში ეს, ყველანი უკლებლივ, მათ შორის აწ გადაშენებულნიც, ერები, იგივე (ჩემი ჰიპოთეტურინტერპრეტაციული კონსტრუქციით:) „ზენა“ სა-ეროდ – ფორმაციულად „ზეგარდმო“ ეროვნებამომადლებული მატერიალურად „ქვენა“ ხალხები (რომლებიც თავისთავად ჯერ კიდევ, ყოველ შემთხვევაში, სრულფასოვან ფაქტობრივად, არ წარმოადგენენ პიროვნებათა (პერსონა ინდივიდუუმთა) და, ამდენად, თავადაც პიროვნება სა-

ზოგადოებებს)? – არსებითად იმნაირადვე, შესაბამისი მასშტაბების გათვალისწინებით, როგორც, ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამონათქვამის რემინისცენციით, „დიდ“ ინდივიდუუმ ერის ასევე „ღმრთის ხატი და მსგავსი“ ინდივიდუუმი ცალკეული ადამიანები („ერის (დედა- თუ მამა)-კაცნი“). ცხადია, ერის ზენა იდეალსა და ქვენა რეალობას შორის არსებულ, მეტი რომ არ ვთქვათ, დრამატულ, თუმც ქრისტიანული სარწმუნოებით კანონზომიერ („პირველი ცოდვა“ – ისტორიის დასაბამი...), წინააღმდეგობას, აკაკისვე „ერთაშორისი ძალმომრეობის“, ისევე როგორც ამისგან განუყოფელი ერთაშინა სხვადასხვა სოციალური მანკიერების, სახით, ბოლომდე აცნობიერებდა, ყოველგვარი ილუზიის გარეშე, ჩვენი ავტორი, როგორც ამავე დროს უმძიმესი ჭმუნვის მომეტშიც კი თავისი, ჭეშმარიტი პოეტის, „საქმიანი სიტყვით“ საკუთარი უზენაესპიროვნული ანუ – პირადეროვნული სა-იმედო ნების მყოფელი (მემკვიდრეობითს ბოროტებასთან მემკვიდრეობითი ბრძოლა, წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად, – მთელი ერის და ცალკეული კაცის ზნეობრივი მოვალეობა მაღლა ღმრთისა და დაბლა თავისივე თავის წინაშე და ამდენად... საიმედოც). მაგრამ ეროვნების იდეა ამით არ ამოიწურება, მას კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ღირებულებითად დამაგვირგვინებელი და თითქოს ამიტომაც – წინამდებარე ფრაგმენტის სწორედ ბოლოში წარმოჩენილი მახასიათებელი აქვს, უშუალოდ რომლისგანაც აკაკი შემდეგ გადადის კიდეც უკვე მთელი ლექსის შემაჯამებელ, ხოლო, თანახმად აზრის დრამატურგიისა, სულ სხვა, საზეიმო დრამატული ტონალობის პოეტურვიზიონერულ „იმედის ჰიმნ“-ზე. იგულისხმება, სახელდობრ, **თავისუფლების** კონცეპტუალურად **ასპექტი** – ლექსიკურად **სინონიმი თვითარსებობა**. რაზეც, ეროვნების (ერის) იდეისთვის მისი, ერთხელაც გავხაზავ, – **თავისუფლების**, აქ, კერძოდ, თვითარსებობის სახე – სახელით, ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, – ცალკე აბზაცად.

კვლავ დავიმოწმოთ ბოლო ორი სტროფი: „ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ, არც საპოვნი, ვერც სასყიდი, და [ამიტომაც] მხოლოდ[!] **თვითარსებობა ა**რის შენი [ქვეყნად სამკვიდრო (– „სამსვლელო“: ვარ – ვალ) შესაძლებლობა –] გზა და ხიდი. და [ამიტომაც] თუ ეს გზა და ეს ხიდი [განმათავისუფლებელი ბრძოლის შემამზადებელი და მით ერისაც ერად წარმომჩენი] უშიშრად[!] არ გაუვლია, დახმარება ამირანის [სინამდვილეში უმისამართო: ერი,

როგორც ასეთი, სადღაა?! – ოდენ კულტურულად უსახო, უპიროვნო „ხალხი“] თვით გმირსაც არ შეუძლია!“ [ქვემოთ ვნახავთ, რომ თვითონ ეს ერის სათვითარსებო „გზა და ხიდი“ ერისვე, ვისზეც შემდგომ ნათქვამია, „გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს“-ო, ქმნილებაა, როგორც ფაქტობრივი გამოხატულება მისი უკვე ამ სახით თვითარსებობის (ანუ კატეგორიალურად თავისუფლების)]. ეს „თვითარსებობა“, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა ჩვენს განსახილველ ლექსში, თუმცა აკაკის პოეტურ მემკვიდრეობაში სულ ოთხჯერაა მოხსენიებული, ხოლო ჩვენთვის საგულისხმოდ – ერთხელაც იმავე 1902 წლის, როდესაც შეიქმნა „საქართველოს დღევანდელი სახე“, ნოსტალგიურ იდილიაში, სათაურით „აღდგომა სოფელში“, რომლის მხოლოდ ერთ სტროფს, სადაც იკითხება „თვითარსებობა“ სათანადო კონტექსტში, დავიმოწმებ განუმარტავად. დაე, თვითონ მკითხველმა განიცადოს საკუთარი მორალურ-ესთეტიკური ინტუიციით სიტყვა „თვითარსებობის“ აკაკისეული საზრისობრივი „მუხტი“ ქვემოთ ციტირებული სტროფის ამ შთამბეჭდავ, ვისაც „გული“ აქვს, ზეცის და ქვეყნის „საქორწილო“ საღმრთო-საერო (– კულტურის საღერძო) კონტექსტში: **„ლოცვაა! – ლოცვა! ეს როკვა-მღერაც, ანდერძი წმინდა მამა-პაპების! წინდი მომავლის და ქვაკუთხედი თვითარსებობის და უკვდავების**“. თემის სერიოზულობის გამო მაინც შევნიშნავ, რომ ხსენებული „მომავალი“, „თვითარსებობა“ და „უკვდავება“ ერის, როგორც კულტურის სუბიექტის, იდეის მასშტაბითაა სააზრებელი და უკვე მასში, მის (ერის) საზოგადოებაში, – ცალკეული ადამიანის, ვითარცა სახელდობრ ერისაგანის, იდეის მასშტაბითაც. საქმე ისაა, რომ ამ სტროფს (ისევე როგორც მის საკონტექსტო მთელ ლექსსაც) აზრობრივი „დაუდევრობის“ ნიშანწყალიც არ ატყვია და, რაკი არც თვით ავტორის საამისო კომენტარი მოგვეპოვება, მას უნდა მივუდგეთ, როგორც ერთგვარ ობიექტურ მოცემულობას და შევეცადოთ, ამოვიკითხოთ მისი, „როგორც ასეთის“, დედააზრი, ცხადია, შესატყვისი კულტურულ-ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით. და მეც კვლავ მივმართავ ამიტომ აკაკისა და მისი დიდი კულტურულ-ისტორიული თაობის მემკვიდრე დიმიტრი უზნაძეს, როგორც „დროისგონის“-თვის ნიშანდობლივ მოაზრეს მაშინდელი (და შემდგომისაც...) საქართველოს სინამდვილეში. სახელდობრ, ვგულისხმობ ამ გამონათქვამს მისი „ომის ფილოსოფი“-იდან (1914): „[...] **ჩვენი არსებობის აზრი**

თვით ჩვენი სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ და მასზე მაღლა“, რადგან „ჩვენი დანიშნულება განგრძობაა ღვთისგან დაწყებული საქმისა, დასრულებაა ღვთისგან დაწყებული შემოქმედებისა [კულტურა, რომლის სუბიექტიც, უზნაძისვე თქმით, ერია, – ღმრთაებრივი შემოქმედების კაცობრივი განგრძობა-დასრულება]“, – ნიშანი, რომ „[ჩვენს] დროულ[!] ცხოვრებას [რომელიც მოიცავს სიცოცხლეს მის „მტერ“ სიკვდილითურთ, მაგრამ მას არ ემთხვევაო] ღრმა აზრი [ოღონდაც!] და ამ უკანასკნელს კიდევ რელიგიური[!] ღირებულება“ ჰქონია. სწორედ აქედან, დავსძენ აქვე, წარმოდგება, აი ამ, იმავე ფილოსოფოსის თანახმად, ოდენ „გულით“ ცნობადი მეტაფიზიკური რეალობიდან, ის ადამიანის ინდივიდუალური სიცოცხლის, ასე ვთქვათ, თავ-ბოლოზღვრისგაღმა (ნატურალურინდივიდუალურის ორმხრივ ტრანსცენდენტული) ფუნდამენტური ექსისტენციური კითხვაც თავისი მთლიანი კულტურპიროვნული ანუ უშუალო „თვით“ ეროვნული სახით, რომელიც მაგალითად „ჩვენს“, ქართველთა, შემთხვევაში ასე გამოითქმის: „რანი ვიყავით ჩვენ, ე. ი. მეც, ქართველნი, ორი საუკუნის წინათ? და რანი ვიქნებით ჩვენ, ე. ი. მეც, ქართველნი, ორი საუკუნის შემდეგ?“. და აკაკის ზემოხსენებული „თვითარსებობა და უკვდავება“, ერთმანეთისგან განუყოფელი, ამდენად სააზრებელია კიდეც თავის(-)უფლების, როგორც ნატურალური თავის- კულტურული -უფლების, ცნებითს კონტექსტში. რაც შეეხება თავისუფლების იდეას, ამაზე ჩემს სხვა ნაწერში მაქვს საკმარისად ნათქვამი, ამჯერად კი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ამ სტროფს აკაკის ლექსიდან „ირაკლის საფლავზე“: „**არც ბატონი ვარ** [! და არა: „მყავს“, – აშკარად კალმის შეცდომა]**, არც ყმა ვარ,** [ანუ ვარ თავისუფალი (შეად. აკაკისვე „ყარიბი“: „თავისუფლად დავდივარ: არც ბატონად, არც მონად!“) და სწორედ როგორც ასეთი –] **მონა ვარ მეუფისაო! მის ნება-სურვილს ვასრულებ, მორჩილი გულისთქმისაო**“. აი, ვინ ყოფილა თავისუფალი: კაცთა შორის არავის ბატონი, არავის ყმა (საიდანაც – თავისუფლებისვე იმანენტური ჰუმანური პრინციპიც თანასწორობის და, შესაბამისად, თავისუფლების ცნობილი ტრიადის თანახმად, ძმობისაც) და, ვიმეორებ, სწორედ ამიტომაც და ამისთვისაც – ღმრთის „მონა“, ე. ი. სიყვარულით მისი, ძველად იტყოდნენ, „საკუთარი“, მსახური, როგორც თავისივე პირადი „გულისთქმის“ პიროვნულ სუვერენულად „მორჩილი“, რადგან „გული“ (სიყვარულის – და, მაშ,

თავისუფლებისაც, „რუსთველელ“ აკაკისვე მიხედვით... – „ორგანო“) მას ხომ ღმრთისთვის, ანუ იმავე სიყვარულისთვის (ღმერთი – სიყვარული), „უთქვამს“ [**სიყვარულ – თავისუფლების**, ვამბობ ცოტა წინსწრებით, საღმრთო-სა(პირველ ყოვლის, ერ – „დიდ“)ადამიანო „დიალექტიკა“]. მართალია, აკაკი ციტირებულ სტროფში ლაპარაკობს თავის, როგორც პოეტის, თავისუფლებაზე, მაგრამ ამას ჩემთვის მით უმეტეს აქვს მნიშვნელობა შესაფასებლად მოხმობილი პასაჟისა, ვითარცა, ბორის მოხდენილი გამონათქვამის კვლავ გახსენებით, თვითონ ამ ქართული სიტყვის „თავისუფალი – თავისუფლება“ შემოქმედ ერის ღირსი „**პოეტური, ანუ** გონითი, **ანუ** კულტურული ჭეშმარიტების“. ხოლო, რაც შეეხება აკაკის „რუსთველელობას“ სიყვარულისა და თავისუფლების პრინციპული, არსებითად, როგორც ვნახავთ, მათი სავსებით ქრისტიანულად მაიდენტიფიცირებელი ურთიერთმიმართების საკითხში (თავისთავად იგულისხმება, კულტურის სუბიექტ ერის იდეის კონტექსტში), – ამაზე ქვემოთ, ამ აბზაცის თემის – ერი და თავისუფლება – დამასრულებელ აბზაცში.

ლექსში „ჩვენი აწმყო“ (1905) აკაკი გამოთქვამს რწმენას, რომ ქართველი ერი, მისი „გასკვითების“ (გარუსების) მოსურნეთა ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, აღიდგენს დამოუკიდებლობას და, სრული კულტურული თვითმყოფობის გზაზე დამდგარი, „**მოძღვრადაც მხოლოდ რუსთველს და სხვას არვის** [– ასე კატეგორიულად] **აღიარებს**“. მაინც რის მოძღვრად შეიძლება ეგულებოდეს აკაკის რუსთველი? – ცხადია, **სიყვარულის**, როგორც, რუსთველისვე განსაზღვრით, კვლავ გავიხსენოთ, „**პირველისა და ტომის გვართა ზენათა**“, საიდანაც ადამიანის (– ერის და ერისაგანის), ვითარცა ღმრთის ხატისა და მსგავსის, კიდევაც **მათავისუფლებელი – „სიყვარული აღგვამაღლებს“** (ადამიანი – თავისი ზეციერი უფლის, რომელიც „სიყვარული არს“, ხატი და მსგავსი თავის- ქვეყნიერი -უფალი). ხოლო რაა, ვთქვათ ესეც განმეორებით, ეროვნება, ანუ კულტურულ-ისტორიული **პიროვნება**, როგორც ასეთი – „განსაზღვრისამებრ“ თავისუფალი (საიდანაც **თავისუფლება – ეროვნების**, რამეთუ პიროვნების, **არსება**)? – ეროვნება-დ, ანუ პიროვნებად, „შენახორცი ცა და მიწა“, შენახორცი – მათ კავშირ სიყვარულით, თავად რომელიც იაზრება კიდეც შესაბამისად, ვითარცა ამავე ეროვნებად, ანუ პიროვნება-დ, ავთენტიკურ უშუალოდ „განხორციელებული“ და ამნაირად თვით **თავისუფლე-**

ბად, რაკი გაპიროვნებული (პერსონიფიცირებული), – სრულქმნილიც. დიახ, რუსთველელ (ვწერ უბრჭყალებოდ) აკაკი წერეთლისთვის სიყვარული, მისი სწორედ რუსთველური, რაც ნიშნავს, უმაღლესი ფილოსოფიურკატეგორიალური გაგებით, თავის, ყოველ შემთხვევაში, საამქვენო ჭეშმარიტ ადამიანურპიროვნულ სახებაში სხვა არა არის, თუ არ თავისუფლება, საასეთოდ მთელი ერისა და მასში ცალკეულ ერისაგანის ეროვნებად, თვით მის არსებად, გაპიროვნებული. აქედან – სიყვარულისა და თავისუფლების იდეათა ეკვივალენტურობა, აკაკისთან აშკარად გამოხატული სიტყვა „სიყვარულის“ გამოყენებისას „თავისუფლების“ (მის ტრადიციულ ტრიადაზეც: თავისუფლება, თანასწორობა (//ერთობა), ძმობა – ერთგვარად განზოგადებული...) სინონიმური მნიშვნელობით. – დაბოლოს, აქვე, პოეზიის „ემპირეი“დან ვითომც ცხოვრების „პროზა“-მდე „ჩამოქვეითებით“, ერის აკაკისეული იდეის სისრულისთვის კიდევ ერთი, დაე, თქვას ვინმემ ასე, ოდენ „შტრიხი“, და მაინც: იდეა **ერისა, როგორც** მაინცდამაინც **მუშის** (ცხადია, ერის, ვითარცა სწორედ კულტურის სუბიექტის, იდეის, როგორც ასეთის – „პროზაულის“ თავის თავშივე შემცველი პოეტურის, ერთიან კონტექსტში). ამასთან ამთავითვე გასათვალისწინებელია, რომ ერის ეს „მუშური“ სახეიდეა პირდაპირი განზოგადება-გადატანაა **გლეხკაცის**, როგორც სოფლის (სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით) მეურნე მუშის, ერის მართლაც რომ **ქვეყნის**-მოქმედის, **კულტურული** სახეიდეის, საიდანაც სოფლის თემაზე აკაკის შედევრების სულწარმტაცი პოეტური, რამეთუ კულტურული, „სურნელი“-ც (ტყუილად ხომ არ უწოდეს სიტყვა „კულტურით“ ჩვენმა გამამდიდრებელმა ლათინელებმა გლეხკაცს „აგრიკოლა“, ხოლო მის საქმეს – „აგრიკულტურა“)... მივყვეთ „საქართველოს დღევანდელი სახის“ ტექსტს.

ვკითხულობთ (ლექსის ბოლო ნაწილი, ჩემი დასათაურებით „იმედის ჰიმნი“): „მაგრამ ვხედავ, მომავალში გამოსულა **მუშად** [„კლასი“ კი არა, მთელი] **ერი**, ერთმანეთთან შეთანხმებით [სოციალურ ანტაგონიზმზე საერთოეროვნულ კულტურულად ამამაღლებლით] ძლიერი და ბედნიერი. გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს, სისხლითა [– ასეთს საქმეში მშვიდობიანი მუშისთვისაც კი, თითქოს „სამსხვერპლოდ“, აუცდენელით] და ოფლით რწყულსა, და, მომავლის მოიმედე, აღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა. გამარჯობა **ნამდვილ** [რამეთუ ერთიან ეროვნულკულტურულად, არა

ვიწრო კლასობრივად] **მუშებს**! ვაშა, ვაშა მომავალსა!!.. ის ასწორებს დღევანდლების[!] გამრუდებულ გზა და კვალსა. გაასწორებს და გზას მისცემს [იმავე მუშა ერის, თავად, იგულისხმება, ბუნებითად გმირის, შვილ გმირ] **ტარიელს და ავთანდილსა, ამირანის სისხლ-ცრემლებით ქართველებად გამოზრდილსა** [აკაკის მითოლოგემა, ზემოთ უკვე აღნიშნული]" (შეად., აკაკის სახელდობრ ამ „მუშა ერის", ჩანს, მყარ იდეას რაც შეეხება, ზემოხსენებული „რუსთველური" „ჩვენი აწმყოს"-ვე ეს, მაშინ დაუმოწმებელი, სტროფი: „ვხედავ ვარსკვლავს შორს, ცის კიდით... ის არს ჩვენი მომავალი! მივეგებოთ მას მუშებად! მოვუმზადოთ გზა და კვალი"). ერთხელაც დაზუსტება-ხაზგასმით: ვინ არიან, აკაკის პოეტურმითოსური სქემის თანახმად, ტარიელი და ავთანდილი (სრული შემადგენლობით, ფრიდონითურთ)? – დამონებული ერის, **რადგან**, მისი აკაკისეულივე იდეისამებრ, სუბსტანციურად თავისუფლის და მხოლოდ ისტორიულად გარეშე ძალის მიერ დაპყრობილის (აქედან ძველი ქართული ფილოსოფიურადაც საგულისხმო ფორმულა: „დამონებული თავისუფლება", აკაკისთან ამირანად და ნესტან-დარეჯანად ერთგვარ ურთიერთკომპლემენტარულად პერსონიფიცირებული), **ამიტომაც თვით**-გათავისუფლების სათავკაცო თვითონ ამ თავის-სუბიექტ „**მუშა ერის**"-ვე, როგორც ეს-ესაა ითქვა კიდეც, ღვიძლი „გმირი" შვილები, მის მიერ ასეთად ნაშობიცა და აღზრდილიც (ხოლო, ზემორე „თვით"-თან დაკავშირებით, ესეც ხომ აკაკის ნათქვამია: „სხვისი იმედი რას არგებს თავისუფლების მძებნელსა?"... მაგრამ ამაზე მოგვიანებით). – და აი, დასასრულ, აქვე, ამ საიმედო მომავლის არც „მეცნიერული", არც „წინასწარმეტყველური", ოდენ პოეტური, აკაკისვე გაგებით („სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემ გონება-გრძნობასა"...), ხილვის ეროვნულკულტურული დედაიდეის მაცხადებელი აპოთეოსი: „ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს! ზეზეულ [„ქვეყნად"] გრძნობს ცხონებასა [„ზეცისას"]: **არც ისურვებს ბატონობას და არც ვისმე მონებასა** [რაცაა კიდევაც თავისუფლება, ერის ქვეყნად ზეცას მაზიარებელი]. **აღიარებს მხოლოდ ძმობას, თანსწორობას, სიყვარულსა [თავისუფლებას]**, და საზღვარი არ ექნება მის **უმანკო** [რამეთუ თავის- ჭეშმარიტად ღმრთის „ხატ და მსგავს" -უფლის, ანუ სხვის არც ბატონისა და არც მონის] სიხარულსა!"; რის შემდეგაც, ლექსის „ანდერძ" ბოლოთქმასავით, ეს მთელი ერის სამომავლო განწყობა – პოეტის მიერ საკუთარი „მოკვდავი" თა-

ვის აწმყოში ჩვენდა საგულისხმოდ ასე „დედუცირებული“: „შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს, ამ ცუდ დროში დანაბადი, და **ანდერძად** მხოლოდ რჩება ჩემი გუდა და ნაბადი! დიახ!.. მხოლოდ ანდერძად-ღა! **მაგრამ მაინც იმედია: მომავალი სიხარულიც ნეტარება და ბედია!.. რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ! სიკვდილის-წინ ხომ მაინც ვგრძნობ მომავალ ბედს? და ამ გრძნობას სულთამბრძოლი თან ჩავიდნობ: არ მომკვდარა საქართველო! აყვავდება ერთხელ კიდე! და გაისმის ძველებურად იმისი ხმა კიდით-კიდე!**“

ვუბრუნდები ერის იდეას. ვიკითხოთ: რა არის ნაციონალიზმი? – რაზეც მე ასე ვუპასუხებ: ერის, როგორც კულტურის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტის, სიყვარული (სიტყვის აკაკისეულ „რუსთველური“ მნიშვნელობით), კონსტიტუციური მის შვილ ერისაგანთათვის (ერი, კულტურის სუბიექტი, – პერსონიფიცირებული კულტურის ეროსი...). ხოლო არსებობს ნაციონალიზმის სხვა გაგებაც, რომელიც საერთოდ უარყოფს ერის (ნაციის), როგორც კულტურის სუბიექტის, იდეას. ამიტომაც ნაციონალიზმის, იმანენტურად კულტურულის, ჭეშმარიტი იდეის ცხადყოფისთვის ზოგჯერ ვარჩევდი მის სწორედ **კულტურნაციონალიზმის** ამ სრული სახელითაც მოხსენიებას (თავისთავად იგულისხმება, რომ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „პოლიტიკური ნაციონალიზმი“, „ეკონომიკური ნაციონალიზმი“, მხოლოდ კულტურნაციონალიზმის კონტექსტში (პოლიტიკა, ეკონომიკა – კულტურის ფორმები...) შეიძლება ჰქონდეს კულტურულად ადეკვატური ცნებითი შინაარსი). მტკიცება, სავსებით მართებული, რომ აკაკის პოეზია თემატურად არის „**ერის პოეზია**“, ტოლფასია მტკიცების, რომ იგი არის, იმავთემატურად, „**კულტურის – რამეთუ მის სუბიექტ ერის – პოეზია**“. ასე მეაზრება აკაკის კულტურნაციონალიზმი, როგორც მისი პოეზიის დედაიდეა.

რაკი აკაკის ნაციონალიზმს, როგორც სიყვარულის რუსთველურ „მიწიერიდეალისტურ“ პრინციპს შევეხეთ (ზურაბ ავალიშვილი: რუსთველი – „მიწიერი სიყვარულის იდეალისტი“), შეუძლებელია გვერდი ავუაროთ „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“-ს, რუსთველელ აკაკის ამ ერთ სწორედ რუსთველურ შედევრს. „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა, სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა; მზემან სხივი მომაფინა მაშინა, სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა“. და აი, აქ, „მისტიკური“ აღმასვლის ამ სანეტარო მომენტში, ლამის, თუ სამოთხეში ან მის კარს არა, სად-

ღაც „შორიახლოს“ მაინც, – შინაგან აღძრული „დედა-მიწის ხმა“ (გავიხსენოთ ქართული ფილოსოფიური ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“), თითქოსდა პოეტის „სპირიტუალური ჰედონიზმის“ დამთრგუნველი: „შემიდუღდა მაშინ სული და გული; იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული. გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო, ჩანგმაც [თვით „მუზამ“?] თვისი მე სიმები დამიწყო. ხმა სიმართლის შეუპოვრად [ქვეყნით ზეცად] გაისმა, რომ დღეის-დღის ხმა ისმინოს გაისმა. **ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე, ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“** და ვიფიქრე: „ჩემი **სატრფო** [სასიყვარულო ანუ საპოეზიო საგანი] სად არი? ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი? გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა! გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა? მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!.. ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“ მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!.. ნუ ggონია იქ ია და ვარდები! შეიბრალე შენი თავი, იცოდე! მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“ არ მისმინა მწუხარებით დანაგულს და დამასო საუკუნოდ დანა გულს! **აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად, თუ მაღლობზე თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?** ჩემო თავო! ველარ გკურნვენ წამალით, დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით! იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით, ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით! დაივიწყე, ვინც გიყვარდა მარად, ის! ხელდაკრეფით განისვენე მარადის!“ (პესიმიზმი? – არა: ტრაგიზმი). ესაა აკაკი და ასეთია გზა რუსთველიდან აკაკიმდე და აკაკიდან გალაკტიონამდე (ვისმა, სავსებით რუსთველურ – აკაკურად, „სიმღერამ შეაერთა ორი სიმღერა [„ზეცის“ და „ქვეყნის“], რომ ძირითადად დარჩეს მიწის მქუხარე ჩანგი“): ნაციონალიზმი – ქვეყნად პლურალისტულად „სეკულარიზებული თეიზმი“ და ამიტომაც, დავძენ აქვე, ანტიიმპერიალიზმიც.

ხოლო, რამდენადაც საუბარი ეხება **ქართულ ტრადიციულ ნაციონალიზმს**, საჭიროა, ჯეროვნად შევაფასოთ ეს მისი აშკარად **ანტიიმპერიალისტური** ხასიათიც (სამართლებრივ-პოლიტიკურად, და, რაც მთავარია, ამდენად მორალურადაც, სრულებითაც არა ნიშანდობლივი მაშინდელი „ცივილიზებული“ მსოფლიოსთვის), როგორცაა ეს კიდეც გამოხატული აკაკის „ჩემს ჭმუნვა“-ში (1908): **„იმას არ ეთქმის „ადამიანი“, ვინც აღიარებს მარტო თავისს ერს, და სხვა ტომებს-კი ისე შეჰყურებს ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს. დეე სუყველამ იბედნიეროს თვის სამშობლო-**

ში... თავის მხარეში, რომ მოძმე იყონ ერთი-მეორის და არა მონა, ყმა და ფარეში! ვისაც არ ესმის ეს წმინდა მცნება და სხვის დაჩაგვრა გულში აქვს მარად, უნდა ავიღოთ მასზე მახვილი და მოვიხმაროთ... მაგრამ-კი ფარად [ძლევამოსილი გამათავისუფლებელი ბრძოლის დაპყრობითად გადაგვარების ცნობილი საშიშროების, არც ეს მოსალოდნელი ზნეობრივი პრობლემაა იგნორირებული (ამის გამოც „ფარად"), თავიდან ასაცილებლად]**!**". –

მაგრამ ნაციონალიზმის ნამდვილი იდეოლოგიური კანონიზაცია, როგორც ანტიიმპერიალისტური პრინციპის, მოხდა ადრე, „ახალი ქართლის" მედროშე ახალთაობის საისტორიო სარბიელზე გამოსვლის დასაწყისშივე, **ილია ჭავჭავაძის** უკვდავი ფორმულით, ამიერიდან ჩვენ, ქართველთათვის, მარადსახსოვრით, თუ გვსურს, ქართველებად ვიწოდებოდეთ: „**ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული**" (1859). ამნაირად ნათლად ჩამოყალიბდა იდეა **ყოველი ერის** („მამულად" ტერიტორიალიზებულის) **ღმრთაებრივი შეუვალობისა, როგორც თითოეულის – თვით ღმრთისა ქვეყნად**, რითაც განისაზღვრა კიდეც ერთა ასეთად საარსებო იმპერატივი, პატივი სცენ, თავის დარად, ერთმანეთისაც ასევე, მსგავსად საკუთარის, სრულ, უკლებლივ, თავისუფლებას, ამ ქვეყნად მათს ტოლძალ მაღმრთობელს. ჩანს, ასეთი იყო მაშინდელი ქართველობის „მფარველი" დროისგონი, თავისი რჩეული ერისკაცისთვის ამ იდეის ამიერ სამარადისოდ შთამაგონებელი. და თითქოს დასტურად იმისა, რომ იგი არათუ განაგრძობს სიცოცხლეს, არამედ თავისი ღმრთაებრივი მშვენიერების მატებაშია, ერთხელაც გაიელვა მან, ახლა უკვე – უამისოდ, გეგონება, არც შეიძლებოდა! – „რუსთველის პირმშო" აკაკის, ილიას ტყუპისცალის – ისტორიის განაჩენით, პოეზიაში („ხატის წინ", 1894). –

„**ჩემი ხატია სამშობლო, სახატე – მთელი ქვეყანა**". იდეა – ზოგადად იგივე, რაც ილიასთან: „ხატი" სამშობლო (ილიას სიტყვით „ღმერთი" მამული) ქვეყნად იმდენია, რამდენიცაა ერი. ხოლო იგულისხმება: თვით ამ „სახატეს", ანუ, აკაკის თქმით, „მთელ ქვეყანას", იგივე „ხატები" შეადგენენ (მათ გარეშე იგი, ასე ვთქვათ, „მატერიალურად" არც იარსებებდა), რომელთაგან თითოეულისთვის დანარჩენი ხატები (ყველა თავისთავად – აბსოლუტურად ტოლფას წმინდა) მის სწორედ ამ „შესანახ" სახატის (ზრუნვის მომენტი) სახელქვეშ იაზრებიან.

დაბოლოს, აკაკის ამავე ანტიიმპერიალიზმის თემაზე, – ახლა უკვე უშუალოდ ევროპულ, თანაც გლადსტონისეული „გაგანია ლიბერალიზმის“ ეპოქის, იმპერიალიზმთან მიმართებაში. დავაზუსტებ: აკაკის-მეთქი და მასთან მაშ – საერთოდ ქართველი ინტელიგენციისაც, ისტორიულად ლიბერალურის-**ანუ**-ნაციონალისტურის (და როგორც ასეთის, ვიმეორებ, კვლავ და კვლავ შესახსენებლად, სწორედ ამიტომაც პრინციპულად ანტიიმპერიალისტურის). მხედველობაში მაქვს, სახელდობრ, აკაკის „არაბი-ფაშა“ (1882; ქრონოლოგიისთვის: ეგვიპტელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა („ეგვიპტე ეგვიპტელებისთვის!“), რომელსაც არაბი-ფაშა ედგა სათავეში, ინგლისელებმა ჩაახშვეს, როგორც მაშინ, ალბათ, იტყოდნენ, „ცივილიზაციის“ დასაცავად, 1882 წლის სექტემბერში). აი, ეს საკვირველი, აზრის სიღრმით, სიფართოვით, სიმაღლით, ლექსიც, დღეს, თავისი შექმნიდან ას ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ, კიდევ უფრო აქტუალური, – ილუზიებისგან გონების განმწმენდი და მით სიკეთისადმი რწმენაში ნების განმამტკიცებელი: „გაბრიყვდა არაბი-ფაშა, უბედური და მზებნელი!.. ნეტავ, ვის ეურჩებოდა თავისუფლების მძებნელი? განა სიმართლე რომ ჰქონდა, მისთვის ჰყვიროდა „ალლასა“? **გინდა ცამდინაც სტყუოდეს, ვინ გაამტყუნებს ძალასა** [„ცივილიზებული“ ევროპის „მორალი“]**? კაცობრიობის** [„ევროპულის“] **სინიდისს აბა რა მოუმატია** [პოლემიკური შეკითხვა „ცივილიზაციური ოპტიმიზმის“ პანეგირისტ „პროგრესისტებს“]? **ადრინდელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიპლომატია** [ბარბაროსობის „ცივილიზაციური ნათლობა“]**!..** თუ ვაჟკაცურად კაცსა ჰკლავ [„არაცივილიზებულად“], მაშინ ხარ ჩინგის-ყაენი და ქვეყნის გმირი, თუ მოძმეს ჰღალატობ [„ცივილიზებულად“], როგორც კაენი! **უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა: სრული უფლება ეძლევა სხვადასხვა კონგრესებითა** [უსამართლობის „ცივილიზატორული“ ლეგალიზაცია]. **სჯულის ფიცარი გაფხიკეს, ზედ მცნება აღარ სწერია** [ქრისტიანობის, მისი „მცნებით“-ურთ, იგივ „ცივილიზაციური“ სეკულარიზაცია, არსებითად ათეისტური]; **და ისტორია** [„ცივილიზაციის“-ვე იდეოლოგიური მსახური] **ჩვენ დროში მეჭორე დედაბერია.** [რის დასტურადაც აქვე – ისევ ეს ერთადერთი სადღეისოდაც ისტორიული მაინც სიმართლე თუნდაც იმავე „მეჭორე დედაბრის“:] **ძალაა ქვეყნის დიდება! ჭეშმარიტება არს ძალა! წესები ისევ ძველია, მხოლოდ გზა გამოიცვალა!..** [და ბოლოს:] ეს არ სცოდნია არაბსა, იმ საბრალოს

და მზებნელსა!.. **სხვისი იმედი** [სხვისი „სინდისისა“ ხომ არა?] **რას არგებს თავისუფლების მძებნელსა?** [აკაკის ამ დასკვნითს კითხვას, არაბი-ფაშას მიმართ რიტორიკულს, რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ „თავისუფლების (ზუსტი ფორმულირებით, მისი უფლების...) მძებნელი“, თუ იგი მართლაც თავისუფლების ღირსია, როგორც ასეთი – საამისოდ სწორედ მისთვის, რისი „მძებნელი“-ცაა, უკვე თავისუფალი მებრძოლი უნდა იყოს, სუვერენულად მხოლოდ საკუთარი თავის, და სხვის არავის, მოიმედე, რასაც უთუოდ გულისხმობს კიდეც, ცხადია, მკითხველის საყურადღებოდ, თვითონ პოეტი: სხვისი იმედით (რაც არაბი-ფაშას, საფიქრებელია, არც ჰქონია) „ნაწყალობევი თავისუფლება“ თავისუფლება არაა, როგორც, თუ კარგად ჩავუკვირდებით, იმავე თავისუფლების ეთოსით – მის „ნამდვილ სინამდვილე“-ში მორალურად პარაზიტული]. ხოლო ამ ლექსის ინტიმურად მასულდგმულებელი კულტურული პირადეროვნული პათოსის ადეკვატურად გასაგებად აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის ტრანსისტორიული (ისტორიის შინაგანუწყვეტად გამჭოლი) ფუნდამენტური, გონითსუბსტანციური ფაქტი, რომ საქართველო, კულტურულ-ისტორიულად დასავლური (ევროპული) ქვეყანა (გავიხსენოთ ქართული მონარქიზმის, ფარნავაზით[!] მოყოლებული, და ფეოდალიზმის „ევროპული“ პარალელები) და როგორც მაინცდამაინც ასეთი – დასავლურ-აღმოსავლური სინთეზის შემოქმედებითი იდეის ინდივიდუალურტიპობრივ თავის თავშივე იმანენტურ ატრიბუტულად შემცველი (იგულისხმება დასავლურისა და აღმოსავლურის ოპოზიციის კლასიკური სპეციფიკურ ქართული „რუსთველური“ დაძლევა მათი დასავლური კომპოზიციით, „თავის-უფლის“ ჰიერარქიული სქემისამებრ: გეოკულტურულ ისტორიულად დასავლელ-აღმოსავლელი თავის- ინდივიდუალურ ეროვნულად დასავლელი კულტურული -უფალი), ბუნებრივად აღიქვამდა, შემგნები ევროპისგან თავისი ორგანული განუყოფლობისა, აღნიშნულ კრიზისს ევროპის პოლიტიკური კულტურის (და მასთან, მაშასადამე, სამართლებრივი და, ბოლოს და ბოლოს, ბოროტების ძირამდე ჩასვლით, – ერთიანად ზნეობრივი კულტურისაც), ვითარცა თავის საკუთარ, ვიმეორებ, ეროვნულ – პირადად, კულტურულად საარსებო პრობლემას (დავაზუსტებ: პრაქტიკულპოლიტიკურად ევროპის წინაშეც „კულტურული ობლობის“ მიუხედავად, მხოლოდ

საკუთარი ეროვნულკულტურული თვითშეგნების, „სიცოცხლის ინსტინქტი“-ვით ძალუმის, წყალობით).

ქართველმა ერმა აკაკი წერეთელი ისტორიაში დაამკვიდრა **„საქართველოს უგვირგვინო მეფის“** საგულისხმო სახელით. მართლაც, დავუკვირდეთ თვით ამ ტიტულს: რას გვეუბნება იგი? – იმას, რომ აკაკი პოეტების, ან პოეზიის, „მეფე“ კი არ ყოფილა, არამედ საქართველოსი, ხოლო ამ როლში არა როგორც პოლიტიკოსი (სახელმწიფო კაცი), არამედ „მხოლოდ და მხოლოდ“ პოეტი, რაც, ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს (ამაზე ქვემოთ). მაშინდელ საქართველოში სახელმწიფო კაცი, ამ სიტყვის სრული, უშელავათო მნიშვნელობით, ილია ჭავჭავაძე იყო, ვისთვისაც ამის გამო „მეფის“ შერქმევა უბრალოდ ტერმინოლოგიური უხამსობა იქნებოდა სწორედ პოლიტიკური თვალსაზრისით; და ერმაც ილიას, როგორც სახელმწიფო კაცს, ამიტომ მიაკუთვნა კიდეც „ერის მამის“ სახელი, მისთვის ყველაზე შესაფერისი ამ როლში. თუ ილიას პოეტური, ლექსითი თუ პროზითი, ქმნილებანი ამჟღავნებენ პოლიტიკოს პოეტს, პოლიტიკოსის კულტურულ იდეაშივე აზრებადს კულტურულსუბსტანციურად, აკაკისთან საქმე გვაქვს „წმინდა“ პოეტთან უშუალოდ, ვისი **წმინდა პოეტური** შთაგონებაც შეიცავს **საკუთრივ პოლიტიკურის** იდეას, ვითარცა თავის, როგორც ასეთის, კულტურულ-ანუ-პოეტურ(!) ატრიბუტს (რაკი სიტყვა ჩამოვარდა, მოკლედ მაინც შევნიშნავ: ილია და აკაკი, როგორც ისტორიული პიროვნებანი, ერთმანეთის თავისებური „მენახევრენი“ არიან, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთის კომპლემენტარულ კონტექსტში შეიცნობიან სრულფასოვნად თავიანთ შემოქმედებითს თვითმყოფობაში; საიდანაც, სხვათა შორის, – ცნობილი „ილიას და აკაკის“ თემაც).

ხოლო, სანამ განვაგრძობდე, ზემოთქმულს აქვე დავსძენ მცირე კულტურფილოსოფიურ კომენტარად, რომ პოეზიის სახელქვეშ იაზრება საერთოდ ხელოვნებაც, რომლის „პირმეტყველი“ სახებაცაა იგი, ამდენად ხელოვნების „ლოგოსად“ და მით ერის, როგორც კულტურის სუბიექტის, შემოქმედებითი (– „პოეტური“... ნუ უგულებელვყოფთ ეტიმოლოგიას) თვითცნობიერების თაურმდგენ ფორმად შეცნობადიც; და ერის სახელმწიფოდ სათავის-უფლო ასევე შემოქმედებითი თვითდაფუძნებაც იმავე თვითცნობიერების (შესაბამისად, თვით)განვითარების შედეგ უკვე საკუთრივ პოლიტიკურ საქმედ განიხილება (რის ერთ უმჭევ-

რმეტყველეს მაგალითადაც შეგვიძლია გავიხსენოთ რუსთველის გენიის ღირსი „ფარნავაზის სიზმარი“ – იდეოლოგიური ძეგლი (! – სამწინადადებიანი!) პოეტური შთაგონების პოლიტიკური ნაყოფიერების). ნათქვამის კონტექსტში დასარჩენად ცალკე აღვნიშნავ, რომ **პოლიტიკის** მართებული **ანუ კულტურული** გაგება კონცეპტუალურად აფიქსირებს პოლიტიკას, როგორც მაინცდამაინც **შემოქმედებას** (პოლიტიკა – სახელმწიფო შემოქმედება) და, შესაბამისად, ტრადიციული შეხედულებისამებრ, სათანადო **ხელოვნებასაც** (პოლიტიკა – სახელმწიფო შემოქმედების ხელოვნება). ამიტომაც პოლიტიკის, ამ შემთხვევაში მისი, დაყვანა ტექნოლოგიის, აქ – „პოლიტიკურის“, იდეამდე პოლიტიკის პრინციპულ დეკულტურალიზაციას (და ამდენად თვით მის, საკუთრივ, დეპოლიტიზაციასაც) ნიშნავს, რადგან ტექნიკა კულტურის, მისი ასეთად ატრიბუტულად შემცველის, იმ სპეციფიკურ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც ამავდროულად კულტურაში ანტიკულტურულის ანტიპერსონალისტური (საიდანაც კულტურის სუბიექტის, მის მიერ „პერსონალურად სულდგმული“ კულტურითურთ, „სიკვდილი“) იდეის გამომხატველია.

აი, რას წერს – გავხაზავ მთლიანად! – აკაკიზე თავის გამოუქვეყნებელ „ძვირფას საფლავებ“-ში **გალაკტიონი**, მისი ისეთივე **გენიით „პირმშო“**, როგორც აკაკი – შოთასი, ოღონდ ახლა ისტორიულად არა შვიდსაუკუნოვანი, არამედ მართლა „სამამაშვილო“ დახანებით (საგულისხმო პოეტური ტრიადა კლასიკური(!) ქართული გონის: შოთა-აკაკი-გალაკტონი): **„ჭეშმარიტად აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებაა. იგი თითქო განგებ ამოვიდა საფლავიდან, რომ კიდევ რამდენიმე სურათი დაეხატა; ეს იყო მხატვარი, რომელმაც თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან, მასთან დამარხულ და მასში გაგრძელებულ სიცოცხლის სიტყვის ძალით. აქვს აკაკის ისეთი ლექსები, რომელსაც უნდა ვუცქიროთ მეთორმეტე საუკუნის ქართველის თვალით“.** ასეთია გალაკტიონისეული პოეტურწარმოსახვითი ხედვა აკაკის შემოქმედებითი (– პოეტური) პიროვნების, სახელდობრ როგორც: **რუსთველური „ოქროს ხანის“ კლასიკური ქართული კულტურის, მისი გონის**, ასეთად XII საუკუნეში ხელმწიფურ დამაგვირგვინებლად „საბოლოოდ“ ჩამოყალიბებულის (ხოლო რისი, დავაზუსტებ, თვით იგივე საასეთო დაბადებაც – **მცხეთის ჯვრის** საუკუნეში...), **ისტორიული „ბედით“ სუბსტანციურად „შეურყვნელად“ ტრანსისტორიულუშუალოდ მაპერ-**

სონიფიცირებელის [„თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან, მასთან დამარხულ და მასში გაგრძელებულ სიცოცხლის სიტყვის (– „პოეტური ლოგოსის“ მკვდრეთით თვით(ანუ მისი, ვისთან ვის-ში-ცაა იგი ორგანულად „დამარხული“)აღმდგენი? –) ძალით“ (ფრიად შთამბეჭდავი პასაჟი თავისი სწორედ პოეტური დამაჯერებლობით)]. და თვითონ გალაკტიონიც ამ აკაკის, მასში აღორძინებული ამ რუსთველური კლასიკური გონის, გაგრძელებაა, ამ ერთი ხაზის შემდგომი შემოქმედებითი განვითარება, ეპოქალურად დაწყებული, გალაკტიონისვე დათარიღებით, 1908 წლიდან, როდესაც თავად გამოვიდა სამწერლო სარბიელზე [საიდანაც, სხვათა შორის, მისი მაშინდელი ცხოველი ინტერესიც სიმბოლიზმის მიმართ, დეკადანსისადმი – გალაკტიონთან მართლაც „ანკარასი“ („მზე ზღვაზე ჩადის – ეს ანკარა დეკადანსია“), რამეთუ იგი ასეთი უკვე კლასიკურია]. რაც შეეხება ამ ჩემს შენიშვნას ფრჩხილებში, კვლავაც დავსძენ აქვე ფრჩხილებგარეთ, მანამდე თქმულის გამეორებით, რომ გალაკტიონი სწორედ ასე უყურებდა, ესე იგი, როგორც აკაკის გონითსისხლხორცეული მემკვიდრე, თავის შემოქმედებითს აღფრთოვანებას ედგარ პოთი, შარლ ბოდლერით, პოლ ვერლენით და ასე აფასებდა აკაკიც მის, ამ პოეტებს „დამოწაფებულის“, შემოტანილ სიახლეებს, მკითხველის მიერაც იმთავითვე „კლასიკურად“ აღქმულთ, თავის „სამეუფო“ ქართულ პოეზიაში. და მაინც, აკაკის თემისთვის ამის მნიშვნელობის გამო, კიდევ ერთხელ ვიტყვი: გალაკტიონის, როგორც აკაკის სუვერენულ შემოქმედებითად ორგანული მემკვიდრის, კულტურულ-ისტორიულად კლასიკური სუბსტანციის ჯეროვნად გასათვალისწინებლად აუცილებელია იმ ფაქტის ნათელი შეგნება, რომ „ლურჯა ცხენების“ შემქმნელი სიმბოლისტი, „სკოლის“ მნიშვნელობით, სულაც არ იყო, არამედ იყო – სიმბოლიზმის მისი საამისოდ ღირებული მიღწევებით მაინტეგრირებელი და მაასიმილირებელი ქართული პოეზიის კლასიკურ და, როგორც ასეთ, კულტურულ-ისტორიულად კიდეც ევოლურებად გონში. თქმულის საილუსტრაციოდ და საარგუმენტაციოდ – ფრაგმენტი გალაკტიონის „საარქივო“ ჩანაწერიდან (ხაზგასმები ჩემია): „ორი მერანია: **მერანი ავთანდილის** [რუსთველური] **და მერანი ბარათაშვილის**, ისინი სხვადასხვანი არიან. საჭირო იყო **მათი შეერთება** [– სინთეზი]. [...] და ეს მოვახერხე მე. ჩემი მერანი შეთავსებაა ამ ორი სხვადასხვაობის: რუსთაველის რითმის[!] დაცვა, ბარათაშვილის

რიტმის[!] გამოყენება, აზრის[!] გაღრმავება, **აი ესაა „ლურჯა ცხენები“** [რითმა, რიტმი – აზრი, ასეა ოდენ „ჩემი“ წვდომით, როგორც: რითმა, რიტმი – აზრ „პოეტური ლოგოსის“, საკუთრივ მისი, ატრიბუტები]. [...] ეს ეხლა სქემაა, მაგრამ ყოველივე ამას [ალბათ, „რაღაც იმიტომაც“, ახლახან რომ ვთქვი] უნდა გაშლა, გაღრმავება“. როდესაც ამას წერდა (მიღებული დათარიღებით, 1945 წლის შემდეგ), გალაკტიონი, „ლურჯა ცხენებს“ (1915) თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მთელი ეპოქით დაშორებული, ავტორი იყო იმავე „მგზნებარ ხელით“ თავბრუდამხვევად „ჩართულ-გადართული“ „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“-სა (1942) და, თუ ჯერ არა, საცაა, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“-იც (1947).

არც ერთ ჩვენს პოეტს არ მიუძღვნია იმდენი ლექსი, წერილი კი არა, პოეზიისა და მის მოქმედ პოეტის თემისადმი, რამდენიც აკაკის, აღიარებულს ერთის – ერის თემის პოეტად (რისიც მჭევრმეტყველური გამოხატულებაა ნიკო ლორთქიფანიძის „მგოსანი მხოლოდ ერთის მისწრაფების“ (1908), ამ მხრივ საგულისხმო ასეთ ანალოგიითაც: აკაკის საქართველო – დანტეს „ბეატრიჩე“ იტალია...), – ერისა, როგორც კულტურის ერთადერთი ნამდვილი სუბიექტის, და სწორედ ამიტომაც, თუ რატომ, ამაზეც ითქვა, – საკუთრივ თვით პოეზიისაც: **ერის პოეტი – პოეზიის პოეტი**, აი, ვინაა აკაკი კულტურულ-ისტორიულად შემდგომ საპარადიგმო თავისი ინდივიდუალობით, საიდანაც, ამ საგანზე აქამდე თქმულის გათვალისწინებით, – **აკაკის მიერ ქართველობის „მხოლო მოძღვრად“ რუსთველის გამოცხადება**-ც [და აქვე, ამგვარი მიდგომის პრინციპულობის დამატებით დასტურად, იგივ გალაკტიონისეული – „**წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული** [იდეა **ერის**...], **ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის** [... და იდეა **პოეზიის**]“, ეს ხომ „აკაკის პირმშო“ გალაკტიონია – თავად აკაკის „კულტი"-ც (ასევე ეროვნულ – პოეტური)]. –

ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, და მეც ვიჩქარი, ცალკე განვმარტო, რომ ზემოხსენებულ „პოეზიის პოეტს“ (შესაბამისად, „პოეზიის პოეზიას“) არაფერი აქვს საერთო, ცნობილი „ხელოვნების ხელოვნებისთვის“ დარად, „პოეზიას-თან პოეზიისთვის“, რადგან ჩვენს შემთხვევაში „პოეზია“, ასე ვთქვათ, ონტოლოგიზებულია, ვითარცა ონტოპოეზია, როგორც ასეთი – ქმნადი მის იდეაშივე კულტურსუბსტანციურად აზრებადი სუბიექტის,

რომელიც არის კიდეც ერი, მიერ [თანახმად „თავის-უფლის“(!) უნივერსალური სქემის: ნატურალური თავის კულტურული უფალი, საიდანაც – „თავის-უფლება“, როგორც ნატურისა და კულტურის მათი ოპოზიციის „მოხსნა-შენახვით“ დამძლევი კულტურული კომპოზიცია (სხვათა შორის, ძველ ქართულ ხელოვნებაში – „ხელოვნებათა დედა“ ხუროთმოძღვრებით სანიმუშოდ, იგულისხმება, სახელდობრ, შენობისა და გარემო პეიზაჟის მხატვრული (– „პოეტური“) ერთობა, წარმოდგენილი)... რაზეც, აქ მარტოოდენ ტექსტის მეტ-ნაკლებ ნათელსაყოფად, სხვაგან საგანგებოდ მაქვს კიდევაც საუბარი]. – განვაგრძობ.

შევახსენებ მკითხველს, რომ თემას „ერი და პოეტი“ უფრო ადრე (1860) ილია შეეხო თავის ცნობილ „პოეტ“-ში: „მე (პოეტს) ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. რა თქმა უნდა, ასეთს შეხედულებას პოეტზე (პოეტი – ერის წინამძღოლი) არაფერი აქვს საერთო „პოლიტიკურ უტილიტარიზმ“-თან (გნებავთ, „... პრაგმატიზმ“-თან), რადგან ავტორი ჭეშმარიტი პოლიტიკოსი (სახელმწიფო კაცი) პოეტი იყო, ჭეშმარიტი, – თუ რა გაგებით, ეს თავის ადგილას განიმარტა, – როგორც ერთიცა და მეორეც. ხოლო „მარტოოდენ“ პოეტი აკაკი პოეტში, რუსთველის სახით, ერის მაინც და მაინც **მოძღვარს** ხედავს (პოეტური მასშტაბით აშკარად სხვა, ვიდრე „ვეფხისტყაოსან“-ზე ლექციების, კრიტერიუმით...) და, შესაბამისად, პოეზიაში – „მოძღვრებას“, როგორც ერის (თვით)ცნობიერების სწორედ იმ თაურმდგენ ფორმას, რომელზეც უკვე მაქვს ნათქვამი. და მეც ამ შემთხვევაში პოეზიის ეს ზოგადკულტურული ასპექტი მაინტერესებს. მაინც როგორ უნდა ვიაზროთ, აკაკისთან ერთად, ერის გონითად მაფორმებელი და ამნაირად თავად მისი, ერის, ასეთად მყოფელიც თვითონ ეს პოეზია? კარგი იქნებოდა, განგვეხილა პოეტისა და პოეზიის თემისადმი მიძღვნილი აკაკისავე ლექსები, მაგრამ ამას ეს წერილი თავის ფარგლებში ვერ აუვიდოდა. თუმცა უამისოდ ისედაც არსებობს გზა. მხედველობაში მაქვს, რაკი საუბარია ერის ცნობიერების (სავინიცობოდ ერთხელაც: „თვით“-ითურთ) პოეზიისეულ ფორმირებაზე, გააზრება, შესატყვისი შეფასებით (კრიტიკა), პოეზიის ამ ზემოქმედებისა მის ადრესატ მკითხველ სუბიექტ ჩვენ, ერისაგანთა, მიერვე საამისო საკუთარი გამოცდილების კონტექსტში. მართლაც, ვინაა თუნდაც იგივე ლიტერატურული კრიტიკოსი? –

პროფესიონალი მკითხველი (დანიშნულებით თანაშემწე ავტორისაც და მკითხველისაც...). და თვითონ პოეტიც, შემოქმედი, როგორ ამთავრებს თავის შემოქმედებითს აქტს? – როგორც თავისივე შემონაქმედის, სანამ ხელიდან, უკვე სანქციონირებულს, სოფლად გაუშვებდეს, საკონტროლოდ აგრეთვე მკითხველი. – ხოლო ჯერ თვით რუსთველს მივხედოთ, აკაკისგან ერის მოძღვრად გამოცხადებულს, თან, ეს გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „მხოლოდ“ – მათთან ერთად, ვისაც მისი ტრადიცია შემოქმედებითად განუვითარებია (როგორიცაა, ვთქვათ, დავით გურამიშვილი, აკაკის მიერ გამოკითხვისას თავის საყვარელ პოეტად დასახელებული, ან, მეორე მხრივ, დავსძენ ამასაც, აკაკის დაწუნებული, თუმცა „ძვირფასი“ გალაკტიონისთვის, „ლექსის დონ ჟუანი[!..]“ ბესიკი...) და ასევე, გასაგებია, – რუსთველის, გარდა მის თანამედროვეთა მემკვიდრეობის, წინამორბედი სასულიერო პოეზიისა და, ძირებში კიდევ უფრო ჩაღრმავებით, ერის დაბადებითვე თანმხლები ხალხური პოეზიის (რისი კლასიკური ნიმუშიცაა პოეტური და, პოეზიისთვისვე იმანენტურ რელიგიურად, შესაბამისად მითოსურიც იგივე „ფარნავაზის სიზმარი“) სათანადო გათვალისწინებით.

სიყვარული (– ასე მესმის „მიწიერი სიყვარულის იდეალისტი“ რუსთველი), გადმოსული ზემოდან ქვემოთ (აკაკის სიტყვით „საღამო“-ში: „ქვეყნიერად გადმოსულა სასუფევლით სიყვარული“) და ქვემოდან, ამიერ უკვე „მიწიერი“, ზევით აღმავალი, იწყება ამ სახით, ვითარცა საკუთრივ მიჯნურობა, გაგებით: ქალ-ვაჟის ერთმანეთით სამთლიანადამიანო საცოლქმრო, რამეთუ სადედა-მამა-კაცო, სიყვარული, როგორც უზენაესი გონითი ანუ, რაკი პრინციპულად საქვეყნო, კულტურული ძალა, შემოქმედი ერის (– რომელიც, ხომ გვახსოვს, ვინაა? – კულტურის სუბიექტი „დიდი ადამიანი“, თავის თავში მდედრულისა და მამრულის იმავე სიყვარულ მიჯნურობის ძალით, ოღონდ ახლა როგორც-ასეთ-კულტურულ რეგისტრში, სრულ ადამიანად მაერთმთლიანებელი) „უჯრედ“ ოჯახის, თავად – მის საკრალურ კერაში ღმრთაებრივ - ცეცხლად დანთებული. საგულისხმოა, რომ რუსთველი სიყვარულს, როგორც „პირველსა და ტომს გვართა ზენათა“, წარმოგვიდგენს ერთგვარი „სიტყვიერი სეკულარიზაციით“ (თითქოს თავისებურ დასტურად თავისი „მიწიერი სიყვარულის იდეალისტ“-ობის), მიჯნურობის, ჩანს, მისი, ვითარცა „მიწიერი სიყვარულის“,

ამ საწყისური მნიშვნელობის გამო, ახლა უკვე „ზეციური ეროსის“ სინონიმად განზოგადებული სახელით. ამიტომ სავსებით ბუნებრივად აღიქმება „ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმური მიჯნურობის „ვარდბულბულიანი“-ც: „მეფესა [როსტევანს, მშობლურად გამზრდელ პატრონს] [...] აქვს მიჯნურობა ამისი [ავთანდილის, შვილობით „განაზარდი“ ყმის], ვითა ბულბულსა ვარდისა“ (ესეც არ იყოს, თან უფრო კონკრეტულად, სხვა რაა, თავის „დედან“-ში, პატრონყმობის, მისი „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა“-დ იდეოლოგიზებული გამზრდელგაზრდილობით, თვით ეგ მშობლურშვილურობა, თუ არ ნაყოფი იმავე „ნატურალური“ მიჯნურობის). –

ანალოგიური (ამას ცალკე აღვნიშნავ) სურათი გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად თემა, საკუთრივ მიჯნურობასთან ერთად, მეგობრობის [შესაბამისად „ძმობის“, „დობის“, საამისო ფიცით (საიდანაც „ძმადფიცობა“, „დადფიცობა“) ინსტიტუციონალიზებულთა] შემთხვევაშიც, მეგობრობისა – ასევე ინტიმურის, ოღონდ, ამას მივაქციოთ ყურადღება, თავის სამეგობრო მიჯნურობაში (ტარიელი – ავთანდილს: „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი? გასაყრელად გენანები, იადონსა ვითა ვარდი“) „პროტოტიპ“ მიჯნურობის ღირსების შეულახავად მისი ღმრთაებრივი მადლითვე მისადმი ზნეობრივი უპირატესობის მქონებელი (ავთანდილი – ტარიელს: „ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ [თინათინმა] დაბინდა, დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა, **იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა** [ანუ, ვთქვათ ჩვენებურად, „სათავისო“ მიჯნურობას ასევე სჯობსო „სასხვისო“ მეგობრობა], შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“ – რაა ეს? ავთანდილისგან საკუთარი თავის, რომელიც მას თინათინის გარეშე ვერ წარმოედგინა, შეწირვა ტარიელისთვის; და ფატმანთან „ეპიზოდი“-ც ამგვარვე მსხვერპლის გაღებადაა, სხვა არანაირად, სააზრებელი). „მიწიერი სიყვარულის“ აღმავალი ხაზის აი ამ ინდივიდუალიზმის პერსონალისტურად მძლე სამოყვრო, მის სწორედ სამეგობრო სახებაში, იდეალის მომენტიდან, გაცხადებულის ამიერ ჭეშმარიტად საღმრთო-საეროდ თავის-უფალ, რამეთუ მე-თავის-ზე-მე-უფალ, ავთანდილის, ჩვენდა საიდეალოდ მაინც, საქმედ საგმირო საბრძნო სიტყვით: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ – იხსნება კი-

დეც საიმდროო საერთოეროვნული პერსპექტივა პატრონყმური სიყვარულის, სოციალურ-პოლიტიკური ჰიერარქიის მწვერვალზე – „მზე“, რამეთუ „დიდთა და წვრილთა“ მზეებრ „სწორად“ წყალობის მოუწყენლად მომფენი, მეფით (მაშინდელი „პოლიტიკური თეოლოგიით“: მონარქიზმი – ღმრთისმიერ მონარქად პერსონიფიცირებული ნაციონალიზმი, რის გამოც „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცად რბიან“).

ასე გვირგვინდება რუსთველური „მიწიერი სიყვარული“ **პოლიტიკური სიყვარულის** (გინდ „**მიჯნურობის**“, რუსთველურადვე შესაბამისად განზოგადებულის) ყოვლის უზენაესი იდეით, ნათლად გამოთქმულით თინათინის პირით ავთანდილის მიმართ: „[...] სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად: **პირველ**, [ჩემი, მეფე პატრონის] **ყმა ხარ**, [...] **მერმე**, ჩემი **მიჯნური ხარ** [...]“. მართლაც, ვინ არიან „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი გმირები: ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი? – მიჯნურები, მეგობრები და ყოველ ამის **ზე**, დაბადებითაც და მოწოდებითაც, – **სახელმწიფო** (დედა- და მამა)**კაცები** (პატრონ მიჯნურ ნესტან-დარეჯანის პოლიტიკური დავალების მიმცემი წერილიდან ყმა მიჯნურ ტარიელისადმი, საყურადღებოთი თავისი ერთგვარი მბრძანებლურ-დამრიგებლობითი და მწყალობლური ტონითაც: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი [ცხადია, სახელმწიფონი –] საგმირონია! [...] წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე; გიჯობს, ცუდად ნუღარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე? მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე!“). „სიყვარული აღგვამაღლებს“, ავთანდილის მიერ როსტევანისადმი წერილში მის წინაშე თავისი გაპარვის გასამართლებლად მეგობრობასთან დაკავშირებით მოხსენიებული, ხოლო თავისთავად, რა თქმა უნდა, სიყვარულის ნებისმიერი გამოვლენისთვის ჭეშმარიტი, – უეჭველია, თავის საბოლოო, ვიმეორებ, უზენაეს გამოხატულებას, რუსთველის აზრითვე (რაც ნიშნავს, მისი გმირებისაც), სწორედ „მეფისა და ერის“, და მით ამ სოფლად ღმრთისაც, სამსახურში ჰპოვებს.

„ვეფხისტყაოსნის“ მის თემატურ მთლიანობაში მართებულად აღსაქმელად საჭიროა იმ გარემოების ჯეროვანი გათვალისწინება, რომ პოემის სიუჟეტურ-იდეური ღერძი – ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ტყვეობიდან დახსნა (ავტორის კოსმომითოლოგიური წარმოდგენით: „გამოეშვა მთვარე

გველსა“) და თვით ამ, როგორც დღეს ვიტყოდით, „ბოროტების იმპერიის“ განადგურება (ავტორისავე ახლა უკვე თეოასტროლოგიური გააზრებით: „მაშინ ქაჯეთს მოაწია უსაზომო რისხვა ღმრთისა: კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა; მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა [...]“) კატეგორიალურად საკუთრივ პოლიტიკური, მისი კულტურულად უღრმესი, უფართოესი, უმაღლესი გაგებით, ამბავია, მაცხადებელ-მადასტურებელი პოემის მასულდგმულებელი პროვიდენციალისტური „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ ოპტიმიზმისა (როსტევან-ავთანდილის თითქოს ზეგარდმო მიშვებით ზღვარგადასული ნადირობის გამო გაკვრით თქმული „ცათა ღმერთი შეარისხეს“ და – „ნახეს ერთი მოყმე ვინმე“; დევთა ქვაბში კი – „ერთი კიდობანის დაბეჭდულის, არ-გახსნილის“, სადაც საგანგებოდ ინახებოდა „აბჯარი სამი[!] ტანი“, ზედწანაწერი, ვინც იხმაროს, თუ არა ქაჯთა წინააღმდეგ, „არის მეფეთა[!] მკლველიო“) და მასთან მის საფუძველ თეოლოგიურ-ფილოსოფიური რწმენის: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს, ავსა წამერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს, თავსა მისსა უკეთესსა უზადოჰყოფს, არ აზადებს“. ხოლო აქედან – „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამისი ესხატოლოგიაც, ასევე ნიშანდობლივ პოლიტიკური, მისი ორივე, სახელმწიფოთა-შორისი და სახელმწიფოსშინა (ამ თანამიმდევრობითაა ტექსტში), განზომილებით (და, დავსძენ სიტყვის გაუგრძელებლად, ადვილად „თარგმნადი“, ესეცაა, სადღეისო პოლიტიკური იდეალის ენაზე): „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს, ერთმანერთსა ჰნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს, ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყლულდეს, მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს. ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს; ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს; ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს, შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

დაბოლოს, ნურც ამას დავივიწყებთ, პირადად რუსთველი, როგორც ავტორი, თავის პოემაში ასეთად ტექსტობრივ რეალიზებული, ხომ ასევეა **მიჯნური**, სახელდობრ, **პოლიტიკური** მიჯნური **პოეტი**, საამისოდ, სხვა სიკეთეთა გარდა, ქალის მეფური მშვენებითაც მიმადლებული „ქართველთა ღმრთისა“ თამარის, სა-

მების მეოთხე პირად შერაცხილის, და „ვეფხისტყაოსან“-ში, რუსთველისვე სიტყვით, „შეფარვით მითქვამს, მიქია“-ო, ამნაირად აგრეთვე წარმოდგენილის. რუსთველის ამ მიჯნურობის ზნეობრივი ბუნების უკეთ გასაგებად შეგვიძლია გავიხსენოთ მის „პირმშო“ აკაკის საოცნებო სატრფო „ქებათა-ქები“-დან: „ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს იმაში შენათხზ-შეერთებულად“. ხოლო რუსთველის თამარისადმი მიჯნურობის, სუბსტანციურად პოეტურის, სპეციფიკურად პოლიტიკური იდეა **ერთხელმწიფებაა**, პერსონალურად განუყოფელი თამარისგან, რასაც დავით სოსლანთან (რომელიც ასევე ბაგრატიონი იყო, ოღონდ, სამეფო კარის ლეგიტიმისტთა განსაზღვრით, „ეფრემიანი“, დავითიანი, ანუ მეფედ ღმრთივმოწოდებული, თამარისგან განსხვავებით) მიმართებაში პოეტი ასე გამოხატავს: დავითსო „ჰშვენის ხმარება [არა მისი საკუთარი] შუბისა, ფარ-შიმშერისა [არამედ] მეფისა მზის თამარისა“, – და ამგვარად წარმოგვიდგენს მას მეფის, რომელიც მხოლოდ თამარია, „სამამაცო“ ფუნქციის ოდენ აღმასრულებლად (დავითი ერთხელაცაა მოხსენიებული, პოემის დასასრულში, მისი პოლიტიკური სტატუსის ანალოგიური შეფასებით: „ქართველთა ღმრთისა [თამარის], დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად [შემდეგ თამარზეა საუბარი]“). ასე რომ, შეიძლება ითქვას, და, ვგონებ, აკაკი ამაში დაგვეთანხმებოდა, „ვეფხისტყაოსანი“ თამარის პოლიტიკურ მიჯნურ რუსთველის პოეტური ქმნილებაა.

ასეთია, სიყვარულის, რომლის – „პირველისა და ტომის გვართა ზენათა“ – „მიწიერი იდეალისტი“ პოეტიცაა რუსთველი, იდეის ჩემი სქემატური წარმოსახვით, პოეზიის რუსთველური კოსმოსი, ერის კულტურულ-ისტორიულად შემოქმედებითად ევოლუციონირებადი პოეტური ცნობიერების პრინციპულად მომცველი მისი მთელი მრავალფეროვნებით. – ახლა კი დავუბრუნდები თვით აკაკის, თუმცა აქამდეც, როდესაც ვსაუბრობდი მისივე გამოისობით „მის“ „სულმნათ“ რუსთველზე, ამ უკანასკნელთან ერთად მის „ალტერ ეგო“-სავით ისიც სულ მედგა თვალწინ, ისევე როგორც, უშუალოდ აკაკიზე მიმართული, ასევე ვერ „გადავურჩებოდი“, თუნდაც „ქვეტექსტურ“, მასში „მკვდრეთით აღმდგარი“ (თავისთავად საგულისხმო გონითი ფენომენი! – გავიხსენოთ გალაკტიონის პოეტური ხილვა, „სერიოზული პროზით“ გამოთქმული) რუსთველის თემას.

ის „მითოლოგიზაცია“, რომელიც განიცადა აკაკის შემოქმედებაში „ვეფხისტყაოსანმა“, თავისი ძირებით თვით პოემაში მიდის; და აკაკის დამსახურებაც ისაა, რომ იგი პოეტური ინტუიციით წვდა პოემის ამ სამითოსო საზრისს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ აკაკიმ „ვეფხისტყაოსან“-ში დაინახა ნამდვილი მოძღვრება, რომლის სამარადისო იდეალებსაც უნდა დაეყრდნოსო ერის ცხოვრება, რითაც მან ცხადყო კიდეც თავად პოეზიის, როგორც ასეთის, ფუნდამენტური მნიშვნელობა ერის, ვითარცა კულტურის სუბიექტის, ცნობიერების ფორმირებისთვის. ხოლო, თუ ვიკითხავთ, როგორ წარმოგვიდგება ჩვენ, პოეტის სამოძღვრო მრევლ რიგით მკითხველთ, თვითონ აკაკი, თავისი საყოველთაოდ აღიარებული ისეთი, ერთი შეხედვით არაფერ „იდეოლოგიურის“ შემცველი, შედევრებით, როგორებიცაა „საიდუმლო ბარათი“ (რომლითაც მან შემოანათა კიდევაც პოეზიაში, როგორც „უკვე აკაკიმ“), „ხალხური“ („ალვის ხე აყვავებულა“), „ავადმყოფი მგოსანი“, „სულიკო“ (ამ „გიტარაზე დამღერებული“ ლექსის სახელდახელო განმარტებით: „სულიკო“ – ქალიც („ვარდი“), ვაჟიც („ბულბული“) და მათი სულიწმიდასავით მაერთიანებელი თვით სიყვარული, ქვეყნად სხივმფენ ზეციურ „ვარსკვლავად“ ჰიპოსტასირებული...), „რაც არ იწვის, არ ანათებს“... – პასუხს მათშივე ვპოვებთ, სადაც ყველაფერია: სიყვარული, მშვენიერება და მათი საუნჯე პოეზია, რომელშიც კულტურის სუბიექტ ერის იდეა თემატიზაციის გარეშეც თავისთავად სუფევს სუვერენულად თავისი შემოქმედებითი ძალმოსილებით, ვითარცა იდეა იმანენტურსუბსტანციურად „პოეტური, ანუ გონითი, ანუ კულტურული“. და სწორედ ამან შეაძლებინა აკაკის, შეექმნა **პოეტური აბსოლუტიზმის** შედევრი „განთიადი“, თითქოსდა წმინდა პოეტურადაც ერთგვარ სიმბოლურად მაცხადებელი კულტურ(– სხვა, როგორც ასეთი, არც არსებობს...)ნაციონალიზმის, ვითარცა პოეზიის დედაიდეის.

საგულისხმოა, და ამით ვამთავრებ, რომ „რატომღაც“ (შემთხვევის მისტიკა) **სწორედ აკაკის** დაკრძალვაზე, დავით კლდიაშვილის მოგონებით, ერთ არაქართველს უთქვამს (ასეთი რიტორიკის სიტუაციური პირობითობა გავითვალისწინოთ, და მაინც): თქვენ ხართ პატარა ხალხი, მაგრამ დიდი ხალხი; თქვენ ის ხალხი ხართ, რომელიც ამბობს, იცხოვრე და სხვასაც აცალე, იცხოვროსო. გავხაზე, სწორედ აკაკის-მეთქი, რადგან **სწორედ**

აკაკი იყო „**საკუთარი**“ პოეტი **ქართველობისა**, როგორც **სწორედ სახელმწიფო ერის**, და **საქართველოსი**, როგორც **სწორედ სახელ-მწიფოსი**, განკუთვნილის, თითქოს „ფარნავაზის სიზმრით“ შთა-გონებული გრიგოლ რობაქიძის ამ მისებურ ემფატიკური თქმის არ იყოს, „ქართველთა მზეოსანი ხელმწიფების“-თვის.

ალექსანდრე ყაზბეგი ანუ „კალამი, ნაწები სისხლის გუბეში“

„რა თქმა უნდა, იგი დაჯილდოვებული იყო დიდი გენიით და დიდით, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, ზეშთაგონებით, თუ ზეშთაგონებად მივიღებთ ენერგიას, ინტელექტუალურ ენტუზიაზმს, ნიჭიერებას. მას ისე უყვარდა მუშაობა, როგორც არავის სხვას.“

„არასდროს არ დაბადებულა უფრო მხურვალე წყურვილი ქალწულებრივი წმინდა ჰაერისა, უმწიკვლო მყინვარის თოვლზე უფრო სუფთა ჰაერის, სითეთრე, ბრწყინვალე სილაჟვარდის წყურვილი, როგორიც იბადება ყაზბეგის ნაწერების წაკითხვის შემდეგ.

მთელი უფსკრული წამებული სულის განათლდა ქვეყანასთან შემარიგებელი სინათლით. ეს სული ჰქონდა ალ. ყაზბეგს მწუხარე ფონად, რომელზედაც ისროდა თავის ჩაუქრობ სხივებს ზეციური სილამაზე. არცერთ მის თანამედროვეთაგანს არ განუცდია ის შემაშფოთებელი სიცოცხლის დრამა, რომელიც წილად ხვდა ალექსანდრე ყაზბეგს, ნახევრად შეშლილს, ნახევრად წმინდანს. არავის არ უტარებია ისე, როგორც მას, ეკლის გვირგვინი, რომლის წვეტები ჩხვლეტენ მის გაფითრებულს, გონიერ შუბლს.“

გალაკტიონ ტაბიძე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მთამ შვა შემოქმედებითი თავისებურებით მანამდე არნახული ორი ლიტერატურული ტყუპი გენია, ყველასგან განმასხვავებელ ერთმანეთთან მსგავსებაში ერთმანეთისგან განსხვავებულნი: ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ისტორიამ ცნობილ ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილის წყალობით შემოგვინახა ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას, ძმურად მხრებზე ხელგადახვეულთა, შთამბეჭდავი ფოტოსურათი, საიდანაც ალექსანდრე გვიყურებს სუვერენული პიროვნების არისტოკრატული ლმობიერებით აღბეჭდილი ოდნავ ირონიული, თითქოს ბავშვურად მოხარული ღიმილით, ხოლო ვაჟა – ასევე ბავშვური სერიოზულობით ჩვენკენ ნათელმხილველის მზერით მომართული („ბავშვურობა“ აქ, ორგანვე, – „ღმრთისშვილობის“ ატრიბუტი...).

ყველაზე მოკლედ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების თემას ასე განვსაზღვრავდი: **ქართველობის ტრაგედია XIX საუკუნეში**. მთელი თემატური მრავალფეროვნება, რასაც ვპოვებთ ყაზბეგის შემონაქმედში, ამ ტრაგედიის, როგორც ერის ცხოვრების ერთია-

ნად მომცველი და გამჭოლი ისტორიული ამბის, კონტექსტშია საა-ზრებელი.

ხოლო, შემთხვევა აშკარად არაორდინარული, სანამ ყაზბეგი დაიბადებოდა, როგორც მწერალი, მოხდა თითქმის ოცი წლით ადრე მისი „პროტოტიპის“ შობა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ფურცლებზე ასევე მოხევე უკვდავ ლელთ ღუნიას სახით. წაიკითხეთ, ამ თვალსაზრისით, ილიას ამ საპროგრამო თხზულების ის თავი, იდეურად დამაგვირგვინებელი, სადაც ავტორი თავის მოხევეს, მისდა ღმრთივმოვლენილს, ალაპარაკებს, და თავად დარწმუნდებით ალექსანდრე ყაზბეგის ერის ტრაგედიის დიახაც მოხევური კონცეფციური (და არა უბრალოდ „ფაქტობრივი“) ხედვის სწორედ ზოგადქართულ მასშტაბში მისი სიღრმითა და სიფართოვით[1].

ცნობილია, თუ რა დიდი ადგილი უკავია ბუნებას ყაზბეგის სოფლგანცდაში, რაც ძალაუნებურად იწვევს ინტერესს მისი თავისებურების ამ მხრივ გარკვევისადმი ვაჟა-ფშაველასთან მიმართებაში.

ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას ბუნებისადმი მე განვსაზღვრავდი, როგორც პოეტურ პანთეიზმს, საიდანაც მისი რელიგიური (ასევე პოეტური, ფილოსოფიურის წინმსწრები) ხასიათიც. ხოლო ყაზბეგი, განსხვავებით ვაჟასგან, საგანგებოდ, ასე ვთქვათ, სპეციალურად, ბუნებას განიცდის, როგორც უშუალოდ სულდგმულს მაინცდამაინც იმ „დიდი ადამიანის“ ცხოვრებით,

[1] „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავუულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთ-ურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტერობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა?“. როდესაც ვკითხულობ ლელთ ღუნიას ამ ტირადას, მეუფლება განცდა, რომ ესაა ალექსადრე ყაზბეგი, როგორც მომავალი, რომლის აჩრდილიც გადმოსროლილია „მგზავრის წერილების“ მოხევის აწმყოში.

რომლის სახელიც ერია და რომელიც, მივაქციოთ ამას ყურადღება, ვაჟასთანაც იგულისხმება, როგორც აგრეთვე ბუნების ორგანული სუბიექტი, ვითარცა „ღმრთის ხატი და მსგავსი“ იგივე „დიდი ადამიანი“ ერი. ამგვარად, ზოგადად ორივე ეს ჩვენი პოეტი „ბუნებისმეტყველი“ ემყარება მეტაფიზიკურ იდეას თავისუფლებისა, რომლის თანახმადაც, ბუნება (ნატურა) მიემართება კულტურას, როგორც მისი ნატურა თავი, შესაბამისად ფორმულის: თავისუფალი, ამ იდეის უნივერსალისტური, ვიმეორებ, მეტაფიზიკური გაგებით, – ნატურის, როგორც თავის, უფალი კულტურა. საბედნიეროდ, გვაქვს ყაზბეგის ჩანაწერები, სადაც მწერალი ეხება, სხვათა შორის, ბუნების თემას თავის შემოქმედებაში: „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს; ბრუნავს იმ სიტკბო და სიმწარე შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც აშუქებს ათას ყვავილებს, თუ იქავ გვერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს. გავლენა აქვს, ახარებს, თუ ჩაწყვდიადებულს გულს ნუგეშს აძლევს. მე არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მიუბრუნდებიან მკვდარს, მოქმედება-მოკლებულს საგანს...“.

ის „სიწმინდე“, რომელსაც ასე დაბეჯითებით აღნიშნავს გალაკტიონი ჩემ მიერ ეპიგრაფად ციტირებულ თავის შთამბეჭდავ გამონათქვამში ალექსანდრე ყაზბეგზე, განსაკუთრებული ინტენსივობით გვევლინება სიყვარულის (– მიჯნურობის) თემასთან დაკავშირებით. გავხაზავ აქვე, რომ ამ სიყვარულის, ასე ვთქვათ, საქალვაჟოსი, განსაზღვრა, როგორც სქესობრივის, საიდანაც საამისო გავრცელებული ტერმინიც „სქესობრივი სიყვარული“, მე არა მარტო არაადეკვატურად მიმაჩნია თეორიული თვალსაზრისით, არამედ ვულგარულადაც შემესმის. ე. წ. ლიბიდო ბიოლოგიური ფენომენია, რომლის სიყვარულად „სუბლიმაციის“ იდეა, რაც შეეხება მის პრეტენზიას „მეცნიერულობა“-ზე, სინამდვილეში იდეოლოგიზებული აბსურდია: ბიოლოგიურს, როგორც ასეთს, გონთან არაფერი აქვს საერთო და იგი, ამდენად, ბუნებითად მოკლებულია სიყვარულად „სასუბლიმაციო“ გონითს ძალას. სიყვარული, რომელიც ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს, საქალვაჟო, ნატურალური თავის გონითი (– კულტურული) უფლის განხორციელებაა ამ მის გონითად საუფლო ნატურალურ, იმავე ბიოლოგი-

ურ, თავში თავისუფლების იმანენტურ პრინციპ სიყვარულის სახით, ბიოლოგიური ლიბიდოს სათანადო, რაც ნიშნავს, სათავისუფლო, ზნეობრივი დაუფლებით. –

ხოლო, ამაზე ცალკე მომიწევს საუბარი, ქართულ ლიტერატურაში არც ერთ მწერალთან არაა სიყვარული ისეთი ტრაგიზმით აღბეჭდილი, ვითარცა ზენა ძალა, ჩვენდა ღმრთივმომადლებული, როგორც ეს ყაზბეგთანაა. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა სიყვარული, მისი ჭეშმარიტი გაგებით, იყოს მიზეზი დანაშაულის? – რა თქმა უნდა, არა, თუკი ვირწმუნებთ, რომ „სიყვარული აღგვამაღლებს“, რამეთუ „ღმერთი სიყვარული არს“ (საიდანაც ყაზბეგის თაყვანისმცემელ გრიგოლ ორბელიანის სიტყვებიც საკუთრივ საქალვაჟო სიყვარულზე, „რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება“), და იგი ამიტომ არ შეიძლება, ერთი ბრიყვული თქმით, „ბრმა“ იყოს. საქმე ისაა, რომ ყაზბეგთან ვხვდებით არაერთ შემთხვევას, როდესაც მისი გმირები, თითქოსდა სიყვარულის მიზეზით, წარმოგვიდგებიან, როგორც დანაშაულებრივი განზრახვით შეპყრობილნი ან საამისო მოქმედების ჩამდენნი, რაც სათანადო განმარტებას მოითხოვს.

დავიწყებ, მწერლის შემოქმედების (რომელსაც, ვგულისხმობ, მკითხველი იცნობს) ქრონოლოგიის დაცვით, „ელგუჯათი“. მათიას, ელგუჯას ძმადნაფიცს, შეუყვარდება, ამ სიტყვის გავრცელებული გაგებით, მზაღო. იგი განიცდის თავისი გრძნობის მანკიერებას, ებძვის მას, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იმსჭვალება ქალისადმი ვნებით. ბოლოს, ზნეობრივად განიარაღებული, მათია უცხადებს მზაღოს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ელგუჯას მოკვლა. მოულოდნელი შემთხვევა მათიას გადაარჩენს ცოდვის ჩადენისგან: ელგუჯა და მათია ერთად იღუპებიან მტერთან ბრძოლაში. ჩვენ არ ვიცით, აღასრულებდა თუ არა მათია თავის განზრახვას, მაგრამ მისი არსებობა ფაქტია, რაც თავისთავად ცხადყოფს, ჩემი აზრით, მათიას მორალურ უძლურებას სიყვარულის, მისი ჭეშმარიტი – გონითრელიგიური და, შესაბამისად, ფილოსოფიური, და არა ფსიქოლოგიური, გაგებით, იდეალის წინაშე. თითქოს საგანგებოდ, სიყვარულის მაღალი იდეალის მასახიერებლად, თავისი უიმედო სიყვარულით სწორედ მათიასადმი, გვევლინება ჯაჯალა, რომელიც (მან იცის, რომ მათიას „სხვა“ უყვარს...) „ასკეტურად“ ატარებს გულში ამ წმინდა გრძნობას, როგორც, ასე ვიტყოდი, სიყვარულის „მონაზონი“...

სიყვარული მეტად მაღალი, წმიდა გრძნობაა, რომლის ღირსი ადამიანიც მხოლოდ თავის გულისთქმათა უფალი შეიძლება იყოს, და სიყვარულის სიძნელე სწორედ ამაშია, რადგან, თუ სიყვარული ღირებულებაა, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, ანუ ცხოვრების აზრი, როგორც თავისუფლების შინაპრინციპი, მაშინ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თანახმად დიმიტრი უზნაძის ცნობილი გამონათქვამის, რომ ცხოვრების აზრი სიცოცხლის (ანუ ბიოლოგიურის) გარეთ და მაღლა არის საგულებელი. შევახსენებ მკითხველს, რომ სიყვარული, როგორც „პირველი და ტომი გვართა ზენათა“, რუსთველს აღნიშნული აქვს სიტყვით „მიჯნურობა“, ცხადია, მისი შინაარსის საამისო განზოგადებით, რაც მოწმობს საქალვაჟო სიყვარულის (– მიჯნურობის) რუსთველისეული გაგების სიღრმე-სიმაღლეს. და აკაკიც, რუსთველის გენიის „პირმშო“, ლექსში „რჩევა“ (სატრფოსადმი) აკი გვეუბნება: „სიყვარული კავშირია ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა; იგივეა მაცხოვარი... „მადლი“ კაცთა გამოხსნისა.“ ვინ უყვარდა ყაზბეგს თავისი შთაგონების შვილთა შორის ყველაზე მეტად? – ელგუჯა, მართლაც იდეალური მიჯნურიცა და მეგობარიც, ისევე როგორც, ეს უპირველესად, მამულიშვილი, უერთმანეთოდ წარმოუდგენელნი (ავტორის ერთი საპოლემიკო ჩანაწერიდან: „გამიშვით სხვაგან. იქნებ იქაც სადმე შევხვდე ელგუჯას, ან კიდევ მის პროტოტიპს, აწმყო სავაგლახ-სატირალის წარმომადგენელთ“).

„ელგუჯას“ დაწერიდან ორიოდე წლის შემდეგ (1883) ყაზბეგმა სწორედ სიყვარულის ეთიკურ პრობლემას უძღვნა ქართული ლიტერატურის მშვენება „ციცია“. როგორც იტყვიან, „ცდუნება“ მეტად დიდია, და მსურს, მკითხველს, ვისთვისაც მოთხრობის შინაარსი ცნობილია, მაინც აქ თვალწინ დავუდო „გონიერი გულით, ლბილით“ უშუალოდ განსაცდელად მისი ფრაგმენტი (შედევრი შედევრში), საციტატოდ თითქოს შეუფერებელი მოცულობის მიუხედავად.

„ქალს ძილმა დასძლია, წყნარად მიესვენა ხეს და თვალები დახუჭა. სულთიმ ვეღარ მოითმინა, ნელა მივიდა და ქალის თავთან დაჩოქილმა სიყვარულიანის თვალებით ჩაცივებით დაუწყო ცქერა.

ციცია წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა. გაცრეცილ სახეზედ ერთბაშად ფერმა შეითამაშა და თხელმა ტუჩებმა მომხიბლავად გაიღიმეს: ეტყობოდა ბურანში

წასულს ქალს რაღაცა სასიამოვნო სურათი ეხატებოდა. ამ წუთებში ციცია მეტად ლამაზი, მეტად მიმზიდველი იყო, და ძნელად დარჩებოდა ისეთი კაცი, რომელსაც ეს სურათი ენახა და ედემის სიამოვნება არ ეგრძნო, გონება არ არევოდა და დამთვრალსავით გაბრუებულს თავი არ დავიწყებოდა.

სულთი გიჟდებოდა, იბნეოდა და ანგარიშმიუცემლად, მოუაზრებლად ქალისკენ თავი თანდათან ეხრებოდა. მეტის სიამოვნებით ისიც ხან წითლდებოდა და ხან ისევ ფერსა ჰკარგავდა. თვალებს ჟუჟუნი და ელვარება ემატებოდა, გული ძალზედ მოძრაობდა და ქშენა უძლიერდებოდა.

მეტად მომხიბლავი იყო ციცია, რომ ჩეჩენს თავის შემაგრების ძალა შერჩენოდა. ის მიიზიდა რაღაც უხილავმა ძალამ და თითონაც არ იცოდა, რა რიგად და რა დროს ქალის ტუჩებს დაეკონა.

ქალი შეკრთა, წამოიწია და ზიზღით ხელი ჰკრა სულთის, რომელიც პირველის წუთის სიამოვნებაში იყო და ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

– რას სჩადი, უნამუსო?

– იმას, რომ მიყვარხარ! – უპასუხა სულთიმ ქართულად, რადგან ქართული კარგად იცოდა.

– გიყვარვარ და მაწვალებ კი!.. ფუი შენს კაცობას!

– იალახ! – წამოიძახა სულთიმ. – მე კი არ ვიტანჯები?.. ღვთის მადლმა, მეც ვიტანჯები, შენზედ მეტად ვიტანჯები!..

– ჩემზედ მეტად? – მწარედ გაიღიმა ქალმა.

– ჰაი, ჰაი, რომ შენზედ მეტად!.. შენ რაი გიჭირს, ბედნიერო! – დაუმატა სიჩუმის შემდეგ, – რასაც გინდა, იმას იზამ... მაგრამ მე, მე რაღა მრჩება?.. წუხილი?.. წუხილი მთელს სიცოცხლეს?

– იყუჩე, ბიჭაუ!.. მაგით ვერ მომატყუებ... შენი ტყვე ვარ, ძალა გაქვს, რაიც გინდა, ის მიყავ, მომკალ, თუ გინდა, – მაგრამ არ შეგიყვარებ, მეზიზღები.

– რაისთვი, რაი დაგიშავე? – წარმოუთქმელის მწუხარებით წამოიძახა სულთიმ და ისე დაღონდა გმირის მსგავსი ვაჟკაცი, ისე შეწუხდა, რომ ცრემლებიც კი მოერია.

– რაისთვი მომხადე ლეჩაქი, რაისთვი სალექსედ გამიხადე საქმე, რაისთვი მომიტაცე?..

– იმისთვის, რომ მიყვარხარ!.. ისე მიყვარხარ, ღვთის მადლმა, რომ ჩემსავით არავის ეყვარები.

ქალის გული მგრძნობიარეა, სულთის სიტყვებმა ციციას მიჯნური მით უფრო შეაბრალეს, რომ განთქმული ვაჟკაცი, რომელიც ათასჯერ პირზე ღიმილით სიკვდილს წინ შეგებებია, დღეს ციციას წინ შეშინებული, აღელვებული, ფერ წასული იდგა და თვალებში ცრემლი მორეოდა. ჩეჩენი სულს ძლივს-ღა იქცევდა, ხმა უკანკალებდა და პირში სიტყვა უწყდებოდა.

– ქალაუ! – ეუბნებოდა სულთი, – პირველად როცა გნახე, ვიფიქრე – ლამაზია და ჩემი უნდა იქნას-მეთქი, მაგრამ ქრისტიანი იყავ და ვიცოდი არ მომცემდენ. რაიღა მრჩებოდა, თუ არ მოგიტაცებდი?.. ვფიქრობდი, შენც შეგიყვარდებოდი, რჯული კი საყვარლებს ვერ გააშორებს... ამად მოგიტაცე, ამად წამოგიყვანე და ეხლა ვხედავ, რომ მოვსტყუვდი!..

– რაი გიყო, რაი ვქნა?

– მითხარ, რაისთვი მაწვალებ?.. ცუდს რასა ხედავ ჩემში, მითხარ და გამოვიცვლები...

სულთი შეჩერდა და ქალის პასუხს ამაოდ ელოდა: ციციას თავი დაეღუნა და მთრთოლვარე თითებზედ ეტყობოდა, რომ ძალზედ მღელვარებდა. ქალს კეთილი გული ჰქონდა და სულთი მკაცრის პასუხით მომეტებულს მჭმუნვარებაში არ უნდა ჩაეგდო.

ქალის სიჩუმემ სულთის მომეტებულად ფერი წაართვა: ისა ხედავდა, ბედნიერება ისე ახლო იყო და მისთვის კი შეუძლებელი ხდებოდა.

– მითხარ, ქალაუ! – ძლივს წარმოსთქვა იმან, – მითხარ, რას ითხოვ ჩემგან და აღვასრულებ, ოღონდაც შემიყვარე!

პასუხად ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სულთი სრულიად გაფითრდა და ცივმა ოფლმა დაასხა... იმის აზრით, ამ ქალთან დაშორება სიკვდილს შეეთანაბრებოდა, თვით სიკვდილზედაც მომეტებული იქნებოდა.

ჩეჩენმა ქუდი მაღლა შეიწია და ჩოხის კალთით შუბლიდან წყნარად მოიწმინდა ოფლი.

– იქნება, – დაიწყო იმან ხმის ცახცახით და თითქმის ჩურჩულით, – იქნება რჯული გაბრკოლებს?.. თუ აგრეა, რჯულსაც კი გამოვიცვლი, მოვინათლები...

ციციამ შებრალებულის თვალებით შეხედა და პირისახეზედ დაეტყო, რომ ისიც სულთიზედ ნაკლებად არ იტანჯებოდა, მაგრამ სანუგეშო პასუხი კი ვერ მოეხერხებინა.

– მითხარ, მითხარ! – მოუსვენრად ჩასჩურჩულებდა და ხმა ელეოდა.

– რაი გითხრა... რაი ვქნა? – მწარედ და ნაღვლიანად წარმოსთქვა ციციამ.

– იქნებ ეგეც ცოტაა? – წამოიძახა სულთიმ. – მაშ რაღა მეწამლება, რაი-ღა მეშველება?.. ის მაინც მითხარ – ამ კლდიდან გადავხტე, და გადავხტები.

როდესაც ციცია მოიტაცეს, ეგონა, რომ პირველს ავაზაკებს შეხვდა, რომელნიც არც ხვეწნას, არც მუდარას არ შეისმენდნენ, არც იმის ყმაწვილქალობას შეიბრალებდნენ; ეგონა, რომ წაიყვანდნენ, მოხდიდნენ ლეჩაქს, გააწბილებდნენ, – და საქმით სულ სხვა გამოვიდა. სულთიმ, მართალია, გაიტაცა, ძალათი წაიყვანა, მაგრამ როდესაც უპატრონო ხელში ჰყვანდა, როდესაც ყოველი თავისი განზრახვა შეეძლო აესრულებინა, – გამძვინვარებული, გრძნობით დამთვრალი კაცი იმის წინ წყნარად და მოწიწებით იდგა და, ვიზედაც ძალის ხმარება შეეძლო, იმასვე მოწყალებასა სთხოვდა.

მეტად ჩქარი იყო ცვლილება, რომ ამ საქციელს ქალზედ მოქმედება არა ჰქონოდა და სიბრალულს არ აეტანა. მაგრამ რა უნდა ექნა?.. ბეჟია აგონდებოდა, ბეჟია უყვარდა და ახალის წყობილებით[!] ჯერედ გაურყვნელს გულს ორის ერთად სიყვარული კი ვერ მოეხერხებინა.

– სულთი! **შენ ძმა და მე და** [ხაზგასმები ციტატებში ჩემია], – ერთბაშად წამოიძახა ქალმა.

– ო-ოხ! – მწარედ ამოიკვნესა ჩეჩენმა და თავი ჩაჰკიდა. – არ გებრალები?

– მებრალები, ღვთის მადლმა! მაგრა ცხო მიყვარს.

– ო-ოხ! – კიდევ ძალზედ ამოიოხრა სულთიმ და თითქოს გული თან ამოაყოლა.

კარგა ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ველარც ერთს ლაპარაკი ველარ მოეხერხებინა. თვით სუნთქვაც კი თითქმის შეუწყდათ და მარტო გულის ხანგამოშვებითი აჩქარებული ცემა მოისმოდა.

ერთბაშად გამოისმა ქვითინი, მწარე მღელვარე, აღგზნებული, მაგრამ ეს იყო ერთს წუთს, ერთ წამს. ეს იყო სულთისგან

თავის თავზედ ძალდატანება, რომელსაც **გრძნობა უნდა გადაემტვრია**, მასუკან ერთბაშად შესდგა, გასწორდა წელში, მოიწურა თვალები და რამდენჯერმე შუბლზედ და პირისახეზედ ხელი ჩამოისო, თითქოს მით მწუხარე აზრები თავიდგან უნდა მოეშორებინა.

მერე მივიდა ცისიასთან და **წყნარად დამშვიდებულმა, თუმცა წარმოუთქმელის ნაღვლიანის ხმით** უთხრა:

– **დაო, მითხარ, საით წაგიყვანო?**

ციცია სიხარულით დაიბნა, დაიყვირა და სულთის გადაეხვია.

ქალის მიკარებამ სულთის თავი დაავიწყა ერთ წამს, **მხოლოდ ერთ წამს** გრძნობამ გაიტაცა და მთრთოლვარეს ხელებით მიიკრა ძალზედ აღელვებულს გულთან. თავი წყნარად მოეხარა, ტუჩები [გეგონება, „თვითონ“ კი არა] შეალერსებას აპირებდნენ, მაგრამ **იმ წამში** შეკრთა, უკან წაბარბაცდა და თავშეკავებულმა ხელების მიშველებით ქალი შეაყენა.

– **დაო, მითხარ, მითხარ, საით წაგიყვანო?**“.

დაბოლოს, მოთხრობის უკვე დასასრულს, სიყვარულის ამ ამბის დამაგვირგვინებელი ეს ფრაგმენტიც. –

„ერთბაშად კარები შეინძრა და წყნარი კაკუნი მოისმა. ციცია შეკრთა, შეშინებული წამოხტა და იკითხა:

– ვინ ხარ?

– ძმა.

ამ ხმაზე ციციას გადაავიწყდა ყოველისფერი და საჩქაროდ გაქანდა, გააღო კარი და ტირილით კისერზედ გადაეხვია ახლად შემოსულს კაცს, რომელიც ნაბადსა და ყაბალახში შეხვეული იყო.

– ქალაუ! რაი უყავ ჩემს ძმასა?

– მოჰკლეს.

– აქამდინ რად არ შემატყობინე?

– ვიღა მყვანდა, ვის გამოვგზავნიდი?

მოსულმა გადიგდო ყაბალახი და მწარედ ამოიოხრა.

– ვის მოვთხოვო იმისი სისხლი? – ჰკითხა ახლადმოსულმა.

– აბა, რაი ვიცი!.. ამბობენ – პრისტავმა მოკლაო.

– სადაა პრისტავი?

– არ ვიცი.

– რაისთვი არ იცი?.. მტერს ეგრე ადევნებ თვალყურსა?

– სულთი!.. – დაიწყო ქალმა და ხმაში კანკალი დაეტყო, – მიჩვენე და მანახვე ჩვენი მოსისხლე და კბილებით დავგლეჯ, ფრჩხილებით გავუფათრავ მკერდს, რომ გული ამოვუღო, დავეწაფო, გავძღე იმის სისხლით.

– მაშ წავიდეთ, ჩქარა, წავიდეთ!.. სისხლი გადახდილია... სულთი ჩეჩნელია და დიდხანს სისხლს არავის შეარჩენდა.

– მართლა? – სიხარულით წამოიძახა ქალმა.

– სულთის ენაც ერთი აქვს და სტყვაც; სულთი ტყუილს არ გეტყვის. – ამ სიტყვებზე ქალი ხელახლად გადაეხვია ჩეჩნელს და კმაყოფილების ტირილით ჩაეკრო გულში.

ამ მიკარებამ სულთის გაუღვიძა **შეწყვეტილი გრძნობა**, მოაგონა, რომ ბედნიერება კიდევ შესაძლებელი იყო. იმან ჩაიკრა ქალი გულში, თრთოლით დაეკონა ტუჩებზე და წყნარად ჩასჩურჩულა:

– წავიდეთ, **სიცოცხლე კიდევ შესაძლებელია**“. ასე **გაგრძელდა** ბეჟიას სიყვარული სულთის სიყვარულით ციციას გულში. გაგრძელდა-მეთქი, რადგან სიყვარული, მისი ჭეშმარიტი გაგებით, პრინციპულად მხოლოდ **ერთი** შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, როგორც სიცოცხლე. და ყაზბეგის გონითი ძმა ვაჟაც ამას გვაგულისხმებინებს, მკითხველთა წინასწარ დელიკატური გაფრთხილებით, „ნუ გეწყინებათ[!]“-ო, თავისი „მოგონებით“ (1890), რომლის დედააზრიც თვით პოეტს ასე აქვს ჩამოყალიბებული (ვიმოწმებ „ციციას“ უკეთ გასაგებად): „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,/ სიცოცხლე შვენობს შენითა,/ და შენც, სიკვდილო, ფასი გძე/ სიცოცხლის ნაწყენობითა./ სიცოცხლე სიყვარულითა/ და სიყვარული სიცოცხლით,/ უერთურთისოდ ვერც ერთსა/ ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით./ ერთურთი სწყურან ორთავე,/ ერთურთთან დაილევიან;/ უერთურთისოდ ვერ სძლებენ,/ მალედვე დაილევიან!“.

სიყვარულის მადლს არც ერთი ადამიანი, ვინც გინდა იყოს, რამდენადაც იგი ღმრთის ხატად და მსგავსად იაზრება, როგორც ასეთი – არაა მოკლებული. საქმე ისაა, თუ ამ მადლს თითოეული ჩვენგანი როგორ შეირგებს, როგორ გაამართლებს, ვითარცა საამისოდ ასევე ღმრთივ თავისუფალი არსება, სათანადო პირადი პასუხისმგებლობით დავალდებულებული. იგივე ითქმის, გასაგებია, მიჯნურობის, განსაზღვრისამებრ საცოლქმროსი, შესახებაც, რომელიც, კვლავ შევახსენებ მკითხველს, სუბსტანციურად ასევე

არაა, სიყვარულად ამიტომ იწოდება კიდეც, ხორციელი გრძნობა, არამედ – განხორციელებული გონითი, როდესაც ხორცი გონის ხორცად, თვით მის ასეთ სოფლიურ ატრიბუტად, გვევლინება. და ჩემი საგანგებო ინტერესიც „ციციასა“-დმი იმითაა გაპირობებული, რომ მასში სრულად და ნათლადაა წარმოჩენილი ამ, საქალვაჟო **ანუ საცოლქმრო** და, შესაბამისად, სა-**დედა-მამა**-კაცო, სიყვარულის ყაზბეგისეული გაგება. სიყვარულის სიწმინდის რელიგიური იდეალი, ყაზბეგის მიერ ესოდენი „დაჟინებით“ წარმოჩენილი, აშკარად გაპირობებულია ამ გონითი გრძნობის ფუნდამენტური მნიშვნელობით, როგორც საფუძვლისა ერის, ვითარცა კულტურის სუბიექტის, „უჯრედ“ ოჯახის არსებობის (რაც შეეხება სულთის ჩეჩნობას, გასათვალისწინებელია ყაზბეგის დამოკიდებულება, ისევე როგორც, სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველასიც, აბორიგენ კავკასიელთადმი... ასე რომ, ციცია, სულთის ცოლი და სამომავლოდ, უნდა ვიფიქროთ, ღირსეულ ჩეჩენთა დედა, ქართველი ყაზბეგისთვის „დაკარგული“ არ იყო).

მაგრამ მტერი, უვერაგესი, როგორიც კი ქართველობას ოდესმე ჰყოლია, მოქმედებდა, მოწადინე, თავისი სახელმძღვანელო ფორმულის თანახმად, ქართულ სხეულში რუსული სული დამკვიდრებულიყო, საამისოდ კი მას, პირველ ყოვლის, გასაგებია, იერიში უნდა მიეტანა სწორედ ქართულ ოჯახზე, სახელდობრ, მისი ასეთად მასუდგმულებელი სიყვარულის ზნეობრივ პრინციპზე. ამიტომაც სიყვარულის ტრაგედია, რომელსაც წარმოგვისახავს ყაზბეგი, ადეკვატურად მხოლოდ მის სათავე XIX საუკუნის „ქართლის ბედის“ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტშია სააზრებელი, რადგან მხოლოდ მაშინ იქნება გასაგები ის აგრეთვე უთუოდ გასათვალისწინებელი ზნეობრივი დეფორმაციაც სიყვარულის „მარტვილთა“ სულში, რომელსაც ზოგჯერ განიცდიან, და მათი სამსხვერპლო ტრაგედია ამაშიცაა, თვით ეს მაინც ტრაგიზმის მაღალი ნიშნით აღბეჭდილი, როგორც ითქმის ხოლმე, „ხალხის (და, დავსძენ, შესატყვისად „ბუნების“) შვილი“ ადამიანები, რაზეც თავის ადგილას.

ახლა კი გავიხსენოთ, როგორ წარმოგვიდგენს ყაზბეგი სიყვარულის ჩასახვას თავისი რჩეულის – ელგუჯას გულში.

„ელგუჯამ ქალი შეიყვანა „საწოლაში“, აუნთო ჩირაღი და, რა შეხედა, გაშტერებული დარჩა. იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მიმზიდავი, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ქალი, რო-

მელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. რასა შვრებოდა, სად იყო – იმას სრულიად დაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო **ერთს** სურვილს, რომ ასე **განუწყვეტლივ ეყურებინა** ამ ქალის **მშვენიერებისათვის** და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. ქალი კი იდგა ფერმიხდილი, დაღონებული, თვალებდაშვებული და გატაცებული რაღაც ღრმა ფიქრით.

ელგუჯას აწუხებდა იმისი მდგომარეობა. უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და, თუნდაც სცოდნოდა კიდეც, ძნელად შეეძლო სიტყვის წარმოთქმა, რადგან არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, იტანჯები, გინდა წარმოსთქვა რამე, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება და სიტყვა ვეღარ გიპოვნია. სწორედ ამგვარს მდგომარეობაში იყო ელგუჯა.

ბოლოს მოხევე გონს მოვიდა, გაამაგრა „ჩირაღი“ კედელში, უჩვენა იქვე დალაგებულს საბან-გობანზედ და ანიშნა იმათი გაშლა. კიდევ ცოტა ხანს დარჩა, შეხედა, ამოიოხრა და გამობრუნდა. კარებთან რომ მივიდა, ერთი კიდევ მიიხედა, დაინახა, რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ იყვნენ მოქცეულები და ისეთის სახით უყურებდნენ, თითქოს იმათაც ეგრძნოთ მოხევის გულის მიძრაობა და ისინიც თანაუგრძნობდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ...

ელგუჯამ ვეღარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაცა გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული მკერდს ეკვროდა.

ამ წუთებში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულ გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ გეტყოდათ – რა მოსდიოდათ, რასა შვრებოდნენ, ან ასე რად იქცეოდნენ და სხვა რიგად არა?

ღმერთმა იცის, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს მათთვის სანეტარო წამები, ან სადამდის მიაღწევდა, თუ ამ თავის დავიწყებიდამ არ გამოეყვანა ხმაურობას, რომელიც სასტუმროს კარებიდგან მოისმა.

ელგუჯამ უკანასკნელად ძალზედ მოუჭირა მკლავები, აღგზნებულად აკოცა, გამოვარდა გარედ მთვრალსავით, გიჟივით და გულის ძგერით კარებთან მიწვა“. –

აი, ასე ესახება ჩვენს სანდროს სიყვარულის, ამ „ტანჯული“ სიტყვის, ვიტყვი კვლავაც, ჭეშმარიტი ანუ კაცის, ქალისა თუ ვა-

ჟის, თავის-უფლებით სოფლადსაზეო რელიგიურეთიკური გაგებით, ზეგარდმო მოვლინება ადამიანში: როგორც **ღმრთაებრივი ელდა**. და მართლაც, განა რუსთველის მიჯნურნი – ტარიელი და ავთანდილი ასევე არ არიან მათი განმაბრძნობელი სიყვარულით ელდანაკრავნი „შმაგნი“? – „**სიტყვა ბრძენნი,** [რამეთუ სიყვარულით ღმრთივ] **ცნობა შმაგნი**“.

ხოლო, როგორც ნამდვილ იდეალისტს შეეფერება, „ელგუჯას“ ავტორი ასევე რეალისტიცაა თანახმად იდეალიზმისა და რეალიზმის კომპლემენტარულობის პრინციპის და ამიტომ საჭიროდ მიიჩნევს კიდეც, აღნიშნოს აგრეთვე, ჩვენდა საგულისხმოდ, თავისი გმირის, სიყვარულით ეს-ესაა „შეპყრობილის“, წმინდა „ადამიანური სისუსტე“, რომელსაც ელგუჯა, საკუთარი პიროვნული ღირსების შემგნები, თვითონვე, ესეცაა, იშორებს. –

„გზად მიმავალი ელგუჯა ფიქრობდა თავის შვენიერს მზაღოზედ და გულში ყოველგვარ ლანძღვას უგზავნიდა მთიულებს ასე უდროოდ[! – ვისთვის?] არეულობისთვის.

ელგუჯა მიდიოდა ლაშქრად, მაგრამ გული კი შინ დარჩენოდა. იქამდისინ შეეპყრო იმის გონება მზაღოზედ ფიქრსა, რომ ათას საშუალებასაც კი ეძებდა, რომ შინ როგორმე დაბრუნებულიყო... ბოლოს გადასწყვიტა, რომ ის დიაცსავით იქცეოდა და იმ დროს, როდესაც იმის მოძმენი საერთო მტერთან შებმას აპირებდნენ, ეს კი შინისაკენ იწევს, საყვარელ ქალთან საარშიყოდ. ელგუჯა ვაჟკაცისთვის შესარცხვენად უყურებდა ამისთანა დროს ტოლ-სწორების და საქმის თავის მორიდებას და შინ მყუდროებაში მოფარებას... „კაცი ვარ, ქუდი მხურავს, წავალ, ვაჟკაცობას გამოვიჩენ, ვისახელებ თავსა და სამსახურს გაუწევ თემობასა. როცა შინ მშვიდობით დავბრუნდებით, მაშინ ვითხოვ გაგისაგან იმ ქალსა და ისიც მომცემს“.

და ერთიც, სიყვარულის კაცის მაადამიანებელი ძალმოსილებისთვის. –

„როდესაც მზაღომ გული მოიჯერა ტირილით, ელგუჯამ წყნარად მოიშორა გულიდგან, დაუჭირა პირისახე, ააწევინა თავი და პირდაპირ თვალებში შეხედა.

– მზაღო! შენ რაღაცა გაქვს სათქმელი, რატომ პირდაპირ არ მეუბნები? ხვალ თუ ზეგ ჩემი ცოლი იქნები, განა ცოლს ქმართან დამალული უნდა ჰქონდეს რამე?

მზაღოს ტანში ჟრჟოლამ გაურბინა ამ სიტყვებზედ; იმან დახარა თავი და რაღაცა წაიბუტბუტა.

– ვაჟკაცს ჭირში გამაგრება უნდა, მითხარ.

მზაღო ებრძოდა თავის გრძნობას, მერმე ერთბაშად დაეცა მუხლებზედ და მწუხარებით წამოიძახა:

– დამნაშავე ვარ... თავი უნდა მომეკლა, მაგრამ შენი ნახვის სურვილმა შემიშალა ხელი...

ამ სიტყვებზედ ელგუჯა ხანჯალს მისწვდა, მაგრამ თავი შეიკავა, ისევ დაიკრიფა გულხელი და შეჭმუხვნილი უყურებდა.

– მითხარ, რაი ამბავია?

მზაღო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

– ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი აღარა ვარ?

– ბარემ, ბარემ მინდოდა აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქნა, რომ **მიყვარხარ ჩემ თავზე მეტად!... მიყვარხარ...** – ელგუჯამ ძალზედ მიიკრა გულზედ მზაღო და დაუწყო გაშმაგებით კოცნა". ასეა, სიყვარულის წინაშე უძლურება საღმრთო უძლურებაა, სიყვარულის მონობა – ღმრთის მონობა... ჭეშმარიტად, „სიყვარული აღგვამაღლებს" (ცხადია, ელგუჯას მხრივ აქ არანაირ ზნეობრივ „კომპრომის"-ზე სიყვარულის, ზნეობრივად აბსოლუტურის, მიმართ არაა საუბარი: მზაღო, მოძალადის მიერ ფიზიკურად შეურაცხყოფილი, სულიერად ხომ კვლავინდებურად უბიწო დარჩა; ელგუჯას „მინდოდა" კი მისი გულისტკივილის მხოლოდ „ინსტინქტური", თავისთავად ბუნებრივი, გამოხატულება იყო, კიდევაც დაძლეული მის, ვითარცა კაცის ადამიანად მათავისუფლებელი სიყვარულის მადლით ინსტინქტური თავის მორალური უფლის, მიერ). ...

სიყვარულის თემისადმია მიძღვნილი ქრონოლოგიურად „ელგუჯას" მომდევნო „მამის მკვლელი" (1882), რომლისაც ნამდვილი გმირები არიან ნუნუ და იაგო და მათთან, განუყოფლად, ნურც მას დავივიწყებთ, კობაც (სადაც მიჯნურობაა, იქვეა მეგობრობაც, – ასეა რუსთველურად) და არა, დავსძენ, დეკლასირებული გლახა გელაშვილი, ვისზეც ავტორი გვაუწყებს: „რაწამს ცოლმა ის დაინახა, გაექანა ქმრისკენ ხვეწნით, რომ ეშველა, მაგრამ ქმრამდის ვეღარ მიახწივა და დაეცა ქმრის ხანჯლით თავშუაზედ გაჩეხილი". ცხადია, გლახას ეს საქციელი ვერ აიხსნება

მიჯნურის რუსთველური „სიშმაგით“. ახლა კი დავიმოწმებ ამ მოთხრობის დრამატულ ფინალს. –

„გირგოლა წარმოუდგენელს აღშფოთებაში იყო, როდესაც მოძღვარი მიუახლოვდა, ამოიღო ზიარება და იმის შიშით, რომ უზიარებელი არ მომკვდარიყო, უნდოდა მაშინვე მიეღებინა წმინდა საიდუმლო.

– ღირსი არა ვარ, მამაო!

– შენს მდგომარეობაში ყველა ღირსია, შვილო.

– არა, სანამ აღიარებას არ გეტყვი, არა... ოჰ, თუ ღმერთმა შემაძლებინა ყველას თქმა! ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიახლოვდება.

– სასიკვდილო რა გჭირს, შვილო?... მაგრამ აჩქარდი, მოინანიე, ღმერთის გულუხვობას ვინ მისწვდება, ის მოგიტევებს, ის გაპატიებს.

გირგოლა კარგა ხანს წვალობდა, და ბოლოს ძლივს დაიწყო:

– იაგოს მე მოუგონე ქურდობა, მე განგებ შევწამე ცილი, რადგანაც ნუნუ ჩემთვის მინდოდა... ეხლაც მე გავაწყვეტინე იაგო და მისი ამხანაგები... ნუნუს მამაც მე მოვკალ და ქალს კი გადავაბრალე... ილოცე, ილოცე, მღვდელო, ჩემის სულისთვის, ილოცე!...

– ჰო, შვილო!... ვილოცავ, ვილოცავ...

– როგორა გგონია – ღმერთი მაპატივებს?

– ღმერთი მოწყალეა, ღმერთი დიდია!...

– გააგებინე ყველას, რომ მთხოვარა გლახას მკვლელი მე ვარ, რომ ნუნუს ბრალი არა ჰქონდა მის სიკვდილში... მე დასამალად არ გეუბნები აღსარებას... როდესაც იაგოს და მის ამხანაგებს ცეცხლი წაუკიდეთ... მე... გულმა ვეღარ მომისვენა... წაველ გლახას სახლში... ქალსაც და მამასაც ეძინათ... მე მინდოდა ორნივ მომეკლა... მაგრამ ვიფიქრე... ერთი წუთის წვალება განა გადამიხდიდა მთელი სიცოცხლის სატანჯველს?... მე მიყვარდა ნუნუ... ო-ო, როგორ მიყვარდა... იმან უარმყო, იმან სხვა ირჩივა ჩემს თავს... მე თავმოყვარე, თავმომწონე ვიყავ... ვეღარ გავუძელ სატანჯველს... მაშინ ვიფიქრე, რომ მამა... მამა მომეკლა... გავპარულიყავ და იმის სიკვდილი ქალისთვის დაებრალებინათ... იმას გააწვალებდნენ, გასტანჯავდნენ, და მეგონა, ეს დამაკმაყოფილებდა... მაგრამ... აი, რა დღეში ჩავვარდი... სიცოცხლე არ მენანება, მაგრამ საიქიოს, საიქიოს რა პირით წარვსდგე?... – ამ სი-

ტყვებით...ის ჯერ მიილუშა, მერმე წამოიძახა: – აგერ!... აგერ გლახა!...არ მასვენებს, ის მომდევს; თვალები მოუქცევია ჩემკენ!... ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ! – თანდათან სუსტდებოდა გირგოლა და ბოლოს მწარე ქვითინად გადაექცა...

იმან გაიკმინდა ხმა, გადავარდა ლოგინზედ და რამოდენიმე ხანი ისე თავდავიწყებაში იყო, ბოლოს გამოიწივა, გადაისო შუბლზედ მთრთოლვარე ხელი, გადიწმინდა ჭირის ნაკადული და წყნარად წარმოსთქვა:

– ღმერთო, რარიგად ვიტანჯები!... – და მიუბრუნდა მოძღვარს: – მერგება ზიარება?

ღვდელმა მიუტანა პირთან კოვზი.

– მიიღე, შვილო, გერგება და კიდეც დაგამშვიდებს.

...– მამაო! – ერთბაშად წამოიძახა იმან, – მაშ ღირსი ვარ?... მომეც, მომეც. – წაიწია მღვდლისაკენ, ერთბაშად გაიძაბა, წასწვდა გულს, ყელს, თავს და გადავარდა უკან. – ნუნუ!... გლახა!... მიშვე... მიშველე! – და სიტყვები ხრიალად გადაექცა...

კიდევ ერთი გაბრძოლება, გაზმორება, დახრიალება ყელში – და გირგოლა გათავდა...“. –

როდესაც „მამის მკვლელის“ ამ გამაოგნებელ, მისი ტოლძალ მოულოდნელობითაც და დამაჯერებლობითაც, დასასრულს ვკითხულობ, მახსენდება გალაკტიონის ეს ერთი შეხედვით პარადოქსული გამონათქვამი ჩვენს ავტორზე: „ნახევრად შეშლილი, ნახევრად წმინდანი“. რა თქმა უნდა, „შეშლილ“-ში გალაკტიონი გულისხმობს სულით ავადმყოფს, მისი ყოველგვარი რომანტიზაციის (გენიალობა, კერძოდ, ზნეობრივი („წმინდანობა“), – ვითომც შეშლილობის ფორმა) გარეშე. ხოლო, რაკი ამაზე სიტყვა ჩამოვარდა, სანამ განვაგრძობდე, მაინც შევნიშნავ აქვე, რომ თვითონ ყაზბეგს, ცხადია, შეგნებული ჰქონდა თავისი ფსიქიკური მდგომარეობა და, რაც უთუოდ ყველაზე მტანჯველი იყო მისთვის, ამ სენის უარყოფითი ზეგავლენა მის შემოქმედებაზე, რომლის გარეშეც აზრი ეკარგებოდა მის თვალში თვით მის, პიროვნულად როგორც ასეთის ანუ, სახელდობრ, დაბადებით ერის გულის მესიტყვის, ცხოვრებას („მე მყავს ჩემი მკითხველები, და რა რიგ ბუნდადაც [ან, როგორც იტყოდა ყაზბეგის უდიდესი თაყვანისმცემელიც კი კიტა აბაშიძე, „საშინელი სტილით“] უნდა იყვეს დაწერილი ჩემი მოთხრობები, იმათ მაინც ესმით მგოდებლის გულის გმინვა და ცრემლებს არ იშურებენ მის დასატირად“, – გვეუბნება

ალექსანდრე ყაზბეგი, ნათლად შემგნები, ამნაირად, თავისი „უკურნებელი“ სამწერლო ნაკლისაც და მასთან თავისივე შემოქმედებითი შთაგონების უძლეველობის)... მაგრამ დავუბრუნდეთ გალაკტიონის ზემოხსენებულ გამონათქვამს ამჯერად მის, როგორც ითქვა, „მამის მკვლელის“ დამაგვირგვინებელ ფინალთან მიმართებაში....–

და მაინც, გალაკტიონის „შეშლილსა“ და „წმინდანს“ შორის, გინდა – არ გინდა, იგულისხმება ის ინტიმური კავშირი, რომელიც „შეშლილს“, ვითარცა ცნობიერის-ზე, შესაბამისად, ზეცნობიერს, გვააზრებინებს „წმინდან“-ში საზრისობრივ მის ამის გარეთ გამოუტანლად, ასე „შეშლილის“ სენსა და მადლს შორის „წმინდან“-თან მიმართებაში სხვაობის პრინციპულად კიდეც ზღვარდებით (ანალოგიურად, ამ მხრივ ჩვენთვის უკვე ცნობილი „შმაგის“... გავიხსენოთ ზეგარდმო შთაგონების პლატონისეული თეორია). გირგოლას საჯოჯოხეთოდ თვითმამხილებელი შემზარავი აღსარების სცენა სწორედ ასეთი „შეშლილი“ ვიზიონერის მიერაა გულისხმიერი მკითხველის შემძვრელი და განმწმენდი უშუალო განცდით, არ ვამბობ, შექმნილი-მეთქი, წარმოსახული, ვითარცა ცოდვაში ჩაფლულ ცხოველ თავის ზნეობრივ მონა კაცში, ცხოველ თავის ზნეობრივ უფალ ადამიანის მისი საასეთო აჯანყება, ინდეტერმინირებული, რამეთუ საკუთრივ თავისუფლებითი. სხვისი არ ვიცი და, მე ამ ეპიზოდის ბადალი, გასაგებია, ამავე თემაზე, ჩვენს ლიტერატურაში არაფერი მეგულება[1].

ცნობილია გრიგოლ ორბელიანის აღფრთოვანებული გამონათქვამი, სახელდობრ, „მამის მკვლელის“ ავტორის მისამართით:

[1] რაც შეეხება „შეშლილობის“ ხსენებულ გონითს ფენომენს ყაზბეგის შემოქმედებაში, არ შემიძლია გვერდი ავუარო ნიკო ლომოურის ერთ მოგონებას. „რა გემართება, სანდრო? ახლა რომ მხიარული ხარ, უცბად გადაიქცევი რაღაც გაუგებარი. შეშინებული იყურები აქეთ-იქით, ვიღაცასთან ლაპარაკობ, რა მოგდის?“ – უკითხავს ლომოურს ყაზბეგისთვის, რომელსაც უპასუხია: „ეგ არაფერი, უცბად მომელანდნენ ყველა ჩემი გმირები და მათთან ვსაუბრობ“. იყო თუ არა თვით ეს სწორედ გონითად ღრმად შთამბეჭდავი, თავისი, დიახაც, პოეტური (ფილოსოფიურთან უზნაძისეული გაგებით მიმართებაში) დამაჯერებლობით, ფაქტი, როგორც ასეთი, ჩვენი მწერლის ფსიქიკური არასრულფასოვნების ნიშანი, ამას ყაზბეგის ავტორობაზე ცნობილი დისკუსიის, წარმოშობით, უნდა ითქვას, კურიოზულის, დროს გაეცა კიდევაც სათანადო, ე. ი. უარყოფითი, პასუხი. მართლაც, ასეთი „მოლანდებები“ ხომ მხოლოდ ღმრთის რჩეულთა ხვედრი შეიძლება იყოს, თავიანთ განმცდელთათვის ამ სოფლად, ესეცაა, არცთუ „საკომფორტო“.

„ქართველების ომიროს არის, შაბაშ“. საფიქრებელია, რომ ადამიანი, ვისაც ილია ჭავჭავაძემ „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა“ უწოდა, სიტყვას გაუფრთხილდებოდა და ჰომეროსის სახელს ცარიელ „კომპლიმენტად“ არ იხმარდა. და მართლაც, სხვა რაა „მამის მკვლელის“ შინაარსი, თუ არა სიყვარულისთვის ბრძოლის ამბავი უცხო ძალის ბატონობის პირობებში თვით ამ პირობებთან ბრძოლაში, და შამილის საგულისხმო ეპიზოდიც ხომ ამ კონტექსტშია სააზრებელი. სიცოცხლის ბოლო წელს, 1883-ში, გრიგოლ ორბელიანმა შექმნა ერთსტროფიანი შედევრი, ასეთი მისი მჭევრმეტყველური მრავალწერტილითურთ: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,/ დაემხო ჩემი სამშობლო,/ გულს მიკლავს უიმედობა,/ საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“ – და მე მგონია, ორბელიანის ზემოხსენებული აღფრთოვანება „მამის მკვლელით“, მისი გამჭოლი ყოვლისმძლე პათოსით ერის შეურიგებლობისა გადამთიელ ბარბაროსთა ბატონობასთან, იყო ერთგვარი საპროტესტო თავისვე მიმართ რეაქცია რუსეთისადმი ლოიალისტური პოლიტიკის კრახით უკურნებლად ტრამვირებული მხცოვანი პოეტისა სიკვდილის და, როგორც თვითონ იტყოდა, „ზენა სჯულის“ აღსრულების მოლოდინში.

ხოლო ახლა – ყაზბეგის შემოქმედების დამაგვირგვინებელ, ასეა ჩემი შეფასებით, „მოძღვარ“-ზე (1885). კვლავ და კვლავ შევახსენებ მკითხველს, რომ საუბარი ეხება მიჯნურობას, მისი რუსთველური, ვითარცა მაინცდამაინც საცოლქმროსი, ფუნდამენტური კულტურული გაგებით, როგორც კულტურის ერთადერთ სუბიექტ ერის უჯრედ ოჯახის შემოქმედი პრინციპის. და ამ მოთხრობის, შინაარსის მასშტაბით რომანის, სათაურიც „მოძღვარი“ სწორედ ამით უნდა იყოს, აბა, სხვა რით, გაპირობებული (ღმერთი ხომ „სიყვარული არს“; და გიორგი XII-ის ყოფილი კარის მღვდელი ეგნატე იოსელიანიც ხომ ამიტომ იტყოდა უკვე რუსობის დროს: „თქვენმა მზემ, მთავრობისა რომ არ მეშინოდეს, „ვეფხისტყაოსანს“ შევიტანდი და ზედ ტრაპეზზე დავდებდიო“).

რა თქმა უნდა, ონისეს მიერ მაყვალას მკვლელობას სიყვარულთან არაფერი ჰქონდა საერთო, არამედ ეს იყო სულით დაავადებულის, ბუნებითად, ჩანს, ეგოცენტრიკოსის, ქმედება და ის შემზარავი სცენაც მაყვალას საფლავზე, რომლის მოწმეც შეიქმნა ონოფრე (თავი XIX), ამას თვალნათლივ გვიდასტურებს; და, თუ ამ სცენის მკითხველთ **ტრაგიზმის** განმწმენდი და ამამაღლებელი

ძალუმი განცდა მაინც გვეუფლება, ეს იმიტომ, რომ ყოველივე ამის უკან დგას **თვით ავტორის** ცოცხალი განცდა, ვისი მასახიერებელიც უშუალოდ ნაწარმოებში მისი „ალტერ ეგო“, ვითარცა სწორედ **სიყვარულის მოძღვარი**, მღვდელი ონოფრეა. ხოლო, რაც შეეხება თვითონ ონისეს, აი, როგორ ხსნის იგი საკუთარ საქციელს: „მაყვალაი ცხოსთვის ვერ დავთმე და მოვკალ!... მეგონა, მოვკლავ-მეთქი და მოვისვენებ მაინც, მაგრამ უფალი დიდი ყოფილა! და დღენი მომეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩაესხა... [და ა. შ., რაზეც ითქმის კიდეც, ცოდვამ უწიაო]“. საგულისხმოა, როდესაც ონისე ჯმუხას, თემის მოსამართლეს, შეევედრა, გამოიხსენით ონოფრე, გადასახლებაში მე გამგზავნეთ, გზაში რომც მოვკვდეო, „ეგრეც მკვდარი არ ხარ, ბეჩავო! – უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა: – თემს რომ გაძლიერებული ენახე, გაუტეხელი, თავმოუხრელი – ჰაი, ჰაი, რო გიჩვენებდა ძალასა: მოგგრეხდა და მოგტეხამდა, მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს... არ გახლებს, მაგრამ თემობაჩიც ვერ მიგიღებს... წადი, იცხოვრე, იცხოვრე, სადაც გინდა, როგორც გინდა... შენ ერთხელ მოსწყდი თემობას და ვეღარ შეუდუღდები...“. და ასეთია, დავსძენ აქვე, განაჩენი ავტორისაც.

მართლაც, იმის გასაგებად, თუ როგორ წარმოუდგება ყაზბეგს მაყვალასა და ონისეს სასიყვარულო თავგადასავალი მისი პრინციპული – **ზნეობრივი** თვალსაზრისით, ჩვენ გვაქვს მოთხრობაშივე „დამოწმებული“ **თემის** საამისო გადაწყვეტილებები, რომლის ზნეობრივი, სამართლებრივთან ერთად, ავტორიტეტიც მწერლისთვის შეუვალია. შევახსენებ მკითხველს, თემი ყაზბეგისთვის განყენებული „სოციოლოგიური“ ცნება კი არაა, არამედ კონკრეტულადგილობრივი, ერის სოფელ ქვეყნის კულტურგეოგრაფიულად განუყოფელ ფარგლებში, ცოცხალი სახება თვით ამ „დიდ ადამიან“ ერის. და, თუ ყაზბეგი მართლა იყო „თემის იდეოლოგი“, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ იგი თემის ტრადიციებში ნათლად არჩევდა გარკვეულ, ჭეშმარიტად საერო, ღირებულებებს. –

„თემობას თავის საზოგადოება ერთს ოჯახად მიაჩნდა და ყოველი თითოეულის წევრის უბედურება საერთო ზარალად, საერთო დასაკლისად მიიღებოდა. [...] თემობა თავს მოვალედ ხადიდა – დაეცვა სარგებლობა თვითოეული წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამოსარჩლებოდა. თემი თვითოეულ

წევრს ისე უყურებდა, როგორც შემადგენელს ნაწილს მთელის ერობისას და მის ტკივილში საერთო ტკივილი გამოითქმოდა. ამითივე უხდიდა თვითოეული წევრიც, რადგანაც თემს განშორებული, განცალკევებული ცხოვრება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და მის მფარველობის ქვეშ მყოფი კი დაჩაგრული არავისგან დარჩებოდა. ყველა წევრმა იცოდა, რომ მის მოსარჩლედ მთელი თემობა იყო. მისი შეურაცხყოფა – მთელის თემობის შეურაცხება იყო, და ამისთვის გული ამაყობდა, ძალა თავს ველარ ახრევინებდა"; და ყოველივე ეს – იმის სწორედაც პერსონალისტური, და არა ანარქისტული ე. წ. რადიკალურ ინდივიდუალისტური, ჭეშმარიტი ლიბერალური შეგნებით, რომლის თანახმადაც, „კაცს გული დახურული იმადა აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს...". ალექსანდრე ყაზბეგს, ისევე როგორც მასავით მთიელ ვაჟა-ფშაველას, თავისუფლების მათთვის ესოდენ ნიშნეული ღრმა და მაღალი გაგება იმთავითვე, ასე ვთქვათ, ადგილობრივ მოსდგამდათ. – მაგრამ დავუბრუნდეთ თემის ხსენებულ გადაწყვეტილებებს.

მაყვალას „ჰყვანდა ამორჩეული საქმრო", ონისე, როდესაც „ყმაწვილქალობა მოუკლეს და სრულიად სხვა პირზედ გაათხოვეს", იასაულ გელაზე, რომელსაც „ქალი ჯვარისწერამდი გულწრფელად გამოუტყდა, რომ [...] სხვისთვის უცემდა გული, მაგრამ თავმომწონე ბიჭი [...] ამპარტავნად იძახდა:

– მე იასაული ვარ, ხელმწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხევესთან უნდა ჩავითვალო?... არ დავანებებ მაგ ქალაშავას, ვინც უნდა იყოს და რადაც უნდა დამიჯდეს". ყაზბეგი წერს: „ბედისგან დაჩაგრულს ქალს **ქმარი არ უყვარდა**, **მაგრამ** რაკი ბედის ჩალხი ამგვარად დატრიალდა, დაემორჩილა თავის ხვედრს და **ერთგული ცოლი, ოჯახის მომვლელი და პატივის დამცველი** დედაკაცი შეიქნა", – რასაც მოითხოვდა კიდეც თემის მორალი, მწერლისაც მასთან, როგორც ვხედავთ, სრული თანხმობით. „მხოლოდ ერთადერთი უბედურობა აბრაზებდა, გულს უხეთქამდა [ქმარს] და საქმისთვის ვერა ეშველა-რა: მაყვალა ისევ განზედ გასდგომოდა, ვერ დაემორჩილა, ვერ მიეზიდა მისი გული და სიყვარული [სიტყვის, გასაგებია, მოარული გაგებით, სინამდვილეში ვნება] კი განუსაზღვრელი ჰქონდა. ვერც ჯავრობით, ვერც ცემით[!], ვერც ალერსით ვერ მოემხრო ცოლის გული, რომელსაც სიცოცხლე ისე გამწარებოდა, რომ ყოველის ღონისძიებით ცდი-

ლობდა ქმარი გაეჯავრებინა“. და, აი, აქ ავტორს გამოჰყავს კიდევაც სცენაზე მოთხრობის მოქმედ პირად თვით თემი.

მაყვალა გაიქცა სახლიდან, „გავიდა თავის სამშობლოში და, თუმცა ახლო ნათესავი არავინა ჰყვანდა, მაინც მოახერხა წმინდის სამების საბჭოში თემის ყრილობა მოეხდინა. თემის ყრილობამ განიხილა საქმე და მათი [ცოლ-ქმრის] **განშორება** გადასწყვიტა, რადგან აღმოჩნდა, რომ მაყვალა ძალად გაეთხოვებინათ; მაგრამ იმ ხანში თემობა ირღვევოდა, მის გადაწყვეტილებას ის საშუალება აღარა ჰქონდა, რომ თავისი წევრებისთვის ძალა დაეტანებინა – გადაწყვეტილება აღესრულებინათ. იმ ხანებში ნაჩალნიკ-დიამბეგობა ჩამოვარდნილიყო და კანონი კი იძახდა: „ცოლ-ქმარის განშორება შეუძლებელიაო!“

რასაკვირველია, გელა არ დამორჩილდა თემის გადაწყვეტილებას, რადგან მისადმი პატივი დაეკარგა და იცოდა, მშველელები სადაც და როგორც ეპოვნა.

მთიელი კრებიდგან გამოვიდა მუქარით და, ცოტა დროს გავლის შემდეგ, ცოლი კანონმა ხელახლად ქმარს დაუბრუნა.

მაყვალა, ბუნებითვე მხიარული, მოცინარი და მალხაზი, დამშვიდდა, გაჩუმდა და თითქოს თავის ბედს დამორჩილდა. თუმცა ამგვარმა ძალდატანებულმა ცხოვრებამ ქმრისადმი სიმძულვარე ვერ შეუცვალა, მაგრამ, **ოჯახობის სახელის დამცველი**, სახლის უფროსის ბრძანებას წარბშეუხრელად აღსრულებდა“.

მაგრამ გადის ხანი და გელა თავის სახლთან ჭრის ონისეს, მჟღავნდება მაყვალას და ონისეს ფარული სიყვარული. „მთელს თემობაში კაცი არ იყო, რომელიც ზიზღით არ მოიხსენებდა **სამივე** დამნაშავეს, რომელთა მოქმედებაც ხალხის ღირსებას, დებულებას და წესს ისეთს შეურაცხყოფას აყენებდა, ისე სამარცხვინოთ არღვევდა. დამნაშავეთ საქციელს ხალხი აი რა თვალით უყურებდა:

გელა, მართალია, წინ აღუდგა თემის დებულებას, და მათი გადაწყვეტილების შემდეგ ცოლი ძალად მოიყვანა, მაგრამ, ალბათ, მაყვალას ნებაც იყო, თორემ ქმართან არ დადგებოდა და მაშინ თემი გამოესარჩლებოდა. ეს ქალი ქმართან მშვიდობიანად სცხოვრობდა, მის პირისაგან უბრალო საჩივარიც კი არავის გაუგონია და აქედგან შემდეგი დასკვნა გამოჰყვანდათ: ალბათ, ერთმანეთის კმაყოფილი იყვნენ, ერთად ცხოვრება შესაძლებლად მიაჩნდათო.

მაგრამ ამასთანავე იცოდნენ, რომ გელა იყო ლოთი, ჭირვეული და, საზოგადოდ, ადამიანის უსამართლოდ მწვალებელი, ცოლს არამც თუ დიდს ჯაფას აყრიდა და მთელის თვეობით თავს ანებებდა, არამედ ლანძღავდა უშვერის პირით და ხშირად კიდეცა სცემდა. ამ საქციელმა ქალი გაწბილებამდის მიიყვანა, დაღუპა სახლი და ბოლოს მეზობლის, მოძმის სისხლიც კი დააღვრევინა. ქალი მართლა-და ცუდს მდგომარეობაში იყო, ძნელი გასაძლებელი ცხოვრება დასტეხოდა, მაგრამ, ხალხის რწმუნებით, არავითარი უფლება მაინც არა ჰქონდა ოჯახობისთვის ამგვარად ეღალატა. მათ თემის ხმის ძალის იმედი კიდევა ჰქონდათ და იძახდნენ: „მაყვალას [საფორმულოდ: **ქალს**] **ქმართან გაყრის უფლება აქვს და შაერთება ვისთანაც მოისურვებსო, მხოლოდ ქმართან ყოფნის დროს მოტყუება და ღალატი არც ღმერთისაგან და არც კაცისაგან არაოდეს არ ეპატიებაო**“ [და ამიტომაც თემის, ადამიანთა ამ საღმრთო-საერო კავშირის, შვილთათვის მაყვალას თუნდაც ისტერიული „[...] მიყვარს, ნამუსზედაც[!] კი მეტად მიყვარს!“ თავისთავად მკრეხელობა უნდა ყოფილიყო].

ონისეზედაც ამბობდნენ, რომ მას, მართალია, ქალი უყვარდა და „სიყორული“ [და არა: სიყვარული...] კი კაცს გზას იქით გადააგდებსო, მაგრამ **წვეროსანს ულვაშ იმადა აქვს და ქუდი იმად ჰხურავს, რომ ნამუსის ყურმოჭრილი ყმა იყოსო**. ონისემ შეურაცხყო თემის ზნეობრივი რწმუნება და თემი არ მოუთმენდა.

ხალხი ამ რწმუნებით იყო და გადაწყვეტილება დამნაშავეთ შესახებ გულში ნათლად და გარკვევით ჩასჭედოდა: მათ უყურებდნენ, როგორც ერთის ხიდგან მოწყვეტილს და შორს გატყორცნილს შტოსა, რომელთანაც აღარაფერი კავშირი, აღარაფერი საერთო არ მოიპოებოდა.“ და თემის ყრილობის განაჩენიც შესატყვისი იყო:

„მაყვალა, როგორც მიზეზი ყველა ამ უბედურებისა, მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწბილებელი ოჯახობისა და ნათესაობისა, – შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხმყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, – შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

გელა, როგორც მეზობლის და მოძმის სისხლის დამღვრელი, მიზეზი ცოლის ყოფაქცევისა, დამნაშავე თემის მშვიდობიანობის დარღვევით, გამტეხი თემის პირისა (რადგან თემის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ცოლი ძალად დაიბრუნა), – შეკრულ იქნას და განდევნილი ხევიდგან.

სამთავ ჩაესვათ სათემო სამანი, სამნივ თემისგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქმნენ.

დღეის იქით [...] მოწყვეტილმც იქნებიან ჩვენის თემიდგან, მოშორებულნი ჩვენის კერიდგან, ჩვენის მიწიდგან და წყლიდგან... მათ აღარ ეღირსების არც ჩვენი ცრემლი, არც ჩვენი სამარე, არ შაეხება არც ჩვენი საღმრთო, არც ჩვენი საწირი. წყეულიმც იქნება, ვინც მაგათ ხელს გაუწვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვდის, შეცივებულს დაათბუნებს და შებრალებულს ყოფს; წყეულიმც იქმნება და განდევნილი თემისაგან“.

ხოლო ეს ხომ იგივე თემი იყო, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე ონისეს უმწიკვლო სიყვარულის მოალერსე გულისტკივილით სთხოვდა, გადაეფიქრებინა თემიდან წასვლა. მაგრამ, როდესაც ცხადი შეიქმნა, რომ თემის გულმხურვალე მცდელობა ამაო იყო, „ხალხმა გადასწყვიტა, რომ ონისეს გზა მისცენ, რადგან უეჭველი იყო, რომ ამ მოუდრეკელობისთვის მეტად მძიმე მიზეზები [მათში თემის „დემოკრატიულად“ ჩაძიების გარეშე] უნდა ჰქონოდა.

– ონისეუ! – უკანასკნელ სიტყვად დაიწყო ფარეშამ, – არ იშლი, მისდიხარ და ჩვენი გული კვნესით გესალმების!... უფალმა მშვიდობით გამყოფოს, ნუ დაგავიწყოს შენი მიწაწყალი, შენი მოძმენი... ნუ დაგავიწყოს შენი სალოცავები, შენი დედ-მამის ძვლები... გახსოვდეს, რომ იმათი სული და შენ მოძმეთ გული სიხარულით შეინძრევა, თუ კიდევ დაბრუნდი, თუ შენი სიახლოე იგრძნო... ნუ დაივიწყებ ძუძუს, რომელმაც გაგზარდა, ნუ დაივიწყებ გულს, რომელიც შენმა მოშორებამ ააღელვა!... გახედე მთებსა! – გაუშვირა მოხუცმა ხელი და თვალებში ცრემლი აუბრწყინდა. – აქ უცხოვრიათ შენს მამაპაპათ, აქ მოუკლიათ სევდა, აქ აღძგერებიათ გული... აქ უცოცხლიათ და აქ დახოცილან... შეხედე და ნუ დაივიწყებ!... შენია, შენი! – მოხუცი გადაეხვია და მდუღარე ნაკადული თვალთაგან გადმოსცვივდა.“ რისხვა, რომელიც მერე ონისეს თავს დაატეხა თემმა, ონისეს მიერ გაწბილებული ამ მისადმი თემის სიყვარულისვე რისხვა იყო.

დასასრულ, რაც შეეხება ონოფრეს, მისი მზესავით მოკაშკაშე პიროვნული სახე, შედევრი ბელეტრისტული „საერო ჰაგიოგრაფიის“, რა განმარტებას საჭიროებს? აქ ხომ ყველაფერი თავისთავად ნათელია. და მეც „მოძღვარ“-ზე საუბარს აქვე ამით დავუსვამ წერტილს.

თემის ე. წ. გმირული ხანაა წარმოდგენილი, XVII საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან, „მოძღვრა“-მდე ცოტა ხნით ადრე დაწერილი (1884) ისტორიული ხასიათის მოთხრობით „ხევისბერ გოჩათი“. ქვემოთ შევჩერდები, ასეთია ამჯერად ჩემი პრინციპული ინტერესის საგანი, მხოლოდ გოჩაზე – თემის ღირსების ამ მართლაც სალეგენდოდ მაპიროვნებელ ხევისბერზე.

განვმარტავ თავშივე. თემი, ტრადიციულად მონარქისტული მთელ ქვეყანასთან მიმართებაში და, როგორც ასეთი, ანტიფეოდალური, ბუნებითად ეროვნული სულისკვეთების მატარებელი იყო, საამისოდ კიდეც დაზღვეული სწორედ მონარქიზმის, ამ მაშინდელი პოლიტიკურად პერსონიფიცირებული ნაციონალიზმის, წყალობით ფეოდალიზმისთვის ნიშნეული პროვინციული პარტიკულარიზმისგან. და ხევისბერი გოჩაც, თემის თავის თავში ადგილობრივ მაპიროვნებელი, მისი ამ ანტიფეოდალური ეროვნულმონარქისტული იდეის, დედააზრიც ხევის ნუგზარ ერისთავთან დაპირისპირების ხომ ეს იყო, ცოცხალ სახებად წარმოგვიდგება. ეს – რაც შეეხება ერის და თემის იდეათა ურთიერთმიმართებას „ხევისბერ გოჩას“ გონითი საფუძვლის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში.

ხოლო, თუ გვსურს, მართებულად გავიგოთ ტრაგიზმი „ხევისბერ გოჩასი“, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ საქმე გვაქვს ტრაგედიასთან მხოლოდ გოჩასი, სახელდობრ კი მაინცდამაინც ხევისბერ გოჩასი. ონისე ასე სასტიკად გოჩამ კი არ დასაჯა, არამედ ხევისბერმა გოჩამ და ონისეც ამდენად დაისაჯა, როგორც სწორედ ხევისბერის შვილი. ამასთან მგონია, მაინც ისაა ამ ტრაგედიის უმწვერვალესი მომენტი, რომ შვილის დასჯით პირადად თავის, როგორც მამის, დამსჯელად წარმოგვიდგება ზნეობრივად თვითსიკვდილმისჯილი ხევისბერი, ვისთვისაც ფიზიკური თვითმკვლელობა რა იქნებოდა? – ამ ჯოჯოხეთისგან, რომელიც მან თავის თავს ზნეობრივსუვერენულად მიუსაჯა, ჩვეულებრივი სულმდაბლური გაქცევა; და გოჩას შეშლილობაც, მისდა, ასე ვიტყოდი, არა ფსიქოლოგიურად, არამედ თეოლოგიურად მოვლენი-

ლი, სწორედ ამ ჯოჯოხეთის, თვისდა მისჯილის, ოდენ საამსოფ-ლო სიმბოლური ცხადება იყო. დავსძენ აქვე, გოჩას მიერ ონი-სესთვის რამდენჯერმე შეხსენებული „გორის“შვილობა („ვისი გო-რისა ხარ“) გულისხმობდა არა რაიმე პრივილეგიას, არამედ იმ პა-სუხისმგებლობას, რომლის აბსოლუტური უშეღავათობაც ხევის-ბერმა ასე გამოხატა შვილთან საუბარში: „გახსოვდეს, ვისი გორი-სა ხარ **და რომ** ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“.

ყაზბეგის შემოქმედებას ჯეროვანი სისრულით აქ, წინამდე-ბარე წერილის ფარგლებში, გასაგებია, ვერ აუვალ. ვკმაყოფილდ-ები მხოლოდ აუცილებლით მწერლის სოფლხედვის მის პრინცი-პულ განზომილებაში მეტ-ნაკლებ ადეკვატურად შესაცნობად. ამიტომაც ამჯერად ცალკე არ შევეხები ყაზბეგის, ვთქვათ, ისეთ შედევრს, როგორიცაა „ელისო“, და მასთან სხვა, ქართული ლი-ტერატურის ასევე დამამშვენებელ, ქმნილებებს. დავუბრუნდები სათქმელს.

სვიმონ ჩოფიკაშვილი, ონოფრეს დარად „მოძღვარ“-ში, ყაზ-ბეგის „ალტერ ეგო“-ა „ეგლუჯა“-ში, ამჯერად როგორც გამომ-ხატველი „ქართლის ბედის“ ავტორისეული ხედვისა. ეს სახელ-მწიფო კაცი, როგორადაც წარმოგვიდგება სვიმონი თავისი მხურ-ვალე მამულიშვილური სულისკვეთებით მოთხრობის ფურცლებ-ზე, ერის პოლიტიკური კულტურის ღირსეული წარმომადგენე-ლია. ხოლო არაფერი არ წარმოგვიჩენს, მე ასე მგონია, სვიმონის, ვითარცა სწორედ სახელმწიფო კაცის, ზნეობრივ სახეს ისე შთამ-ბეჭდავად, როგორც მის, უკვე მომაკვდავის სარეცელს მიჯაჭვუ-ლისა და, რა თქმა უნდა, თავისი დაობლებული ცოლ-შვილის ბედზე დამწუხრებულის, მიერ ელგუჯას, გადამთიელ მოძალა-დესთან მებრძოლი ამ აღიარებული გმირის და, მაშასადამე, მტრისთვისაც სათანადოდ ცნობილის, მაინცდამაინც თავის შვი-ლობილად, საამისო ტრადიციული რიტუალის საზეიმო დაცვით, თემის სურვილისამებრ გამოცხადება (აქტი, თავისი მნიშვნელობ-ით, გინდა – არ გინდა, თავისთავად აშკარად პოლიტიკური). სვი-მონ ჩოფიკაშვილისა და მის „ავტორ“ სანდრო ყაზბეგისთვის გამ-ონათქვამის „პოლიტიკური მოქმედება გოლგოთის გზაა“ ზნეობრ-ივი პათოსი, რა თქმა უნდა, გასაგები იქნებოდა. მაგრამ, თუ გვსურს, ჯეროვანი წარმოდგენა ვიქონიოთ სვიმონ ჩოფიკაშვილის „საისტორიო“ პიროვნებაზე, ჯობს, ყური დავუგდოთ თვით მის „მეისტორიე“ მწერალს.

„საქართველოს რუსების მფარველობის ქვეშ შესვლამდინაც სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო ერთი მიღებულ კაცთაგანი მეფესთან [იგულისხმება გიორგი XII]. ამას ებარა მთელი მთის ხალხი და ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებენ – დარიელა.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანაკნელს რჩევაზედ, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, შეიტყო მეფის გადაწყვეტილი სურვილი და, როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდავ ცოდვად მიაჩნდა, დამორჩილდა ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველთა [გავიხსენოთ ბარათაშვილის „ბედ-ში ქართლისა“ ასევე მონარქისტ სოლომონ მსაჯულის დრამატული შინაგანი მონოლოგის, ამჯერად მეფე ერეკლეს ცნობილი გადაწყვეტილების გამო იმავ „რუსულ“ თემაზე, ეს ბოლო „პოლიტიკურთეოლოგიური“ აკორდი: „მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება/ უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება:/ ზოგჯერ **ღვთიურსა** ზრუნვასა **მეფის**/ გონება **ყმათა** ვერა მიხვდების!“].

რჩევის შემდეგ ისევ თავის მთებში დაბრუნდა და, მეფის ბრძანებისამებრ, თავის თავზედ მიიღო ზრუნვა მომავალს რუსებზე.

ის გულმოდგინედ ასრულებდა ამ სამსახურს და ცდილობდა მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც მეფე და მისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ. რუსებმაც ჩქარა შენიშნეს სვიმონ, რადგანაც დაინახეს იმისი გავლენა მთაში და თავის მხრითაც ჯარების შესახებ მიანდეს სხვადასხვა განკარგულება. რასაკვირველია, ეს მათთვის სასარგებლო პირი კიდეც დააჯილდოვეს და პირდაპირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით მხარბეჭი აუყვავეს.“ და შემდეგ – ერთი აბზაცის გამოტოვებით. –

„[ბატონიშვილმა] ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში თავის მომხრე ჯარები შეეყარა, გაუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულს მორჩილებას, ხევიდგან რუსების გარეკას და ამ უკანასკნელებისათვის შემოსასვლელ გზების შეკვრას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე[! – ალექსანდრე] პირდებოდა დიდს პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დაემორჩილებოდა, მაშინ ემუქრებოდა სარჩო-საბადებლის გადაწვას და ცოლ-შვილით ამოწყვეტას[! – ნიშანი ტრადიციული ქართული პოლიტიკური კულტურის სამეფო სახლშივე გადაგვარების?...].

– როცა დრო იყო, მეც ვიძახოდი: რად გვინდა რუსები-მეთქი! მაგრამ მეფემ ბრძანა, შემოუშვითო, და მეც მეფის ბრძანებას საით გადავუვლიდი? – წარმოსთქვა სიმონმა და ჩაჰკიდა თავი.

– მაშ ეხლა რას აპირებ?

– ეხლა გვიანღაა, გვიან!...

– მაშ რა პასუხს აძლევ ბატონიშვილს, იმის მხარეს არ იჭერ?

– არა.

– რას ამბობ? ხომ სულ ამოგწყვეტავს, სახლ-კარს ამოგიწვავს!

– რაი უყო?... თუ რუსების შემოშვება არ გინდოდათ, მაშინ წინადვე უნდა გეფიქრათ, თუ არა და ეხლა, როცა ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიგდეს, მე რით-ღა განდევნო?!

– გაიგე კარგა, რომ რუსებს მეფე მფარველობასა სთხოვს და...

– მეც ეგრე მგონია!... აბა, რაი ვუყო? მეფეს ეგრე უნდა... – რაღაც მწუხარებით წარმოსთქვა სიმონმა და დაეტყო, რომ ის მოქმედებდა თავის სურვილის წინააღმდეგ.

გაკვირვებული მოციქულები ყურს უგდებდნენ სვიმონის გადაწყვეტილებას, ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზე უმაღლესი ჯილდო [– ნიჭი, მადლი, ცხადია, ზეგარდმო ღმრთივ მონიჭებული, მომადლებული...] არის, და ეს კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომობის ხალხს მონად აძლევდა! მონად აძლევდა ამისთვის, რომ თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადარჩებოდა [და აქაც – დავიმოწმოთ კვლავ „ბედი ქართლისა“, სადაც ერეკლე სოლომონთან საუბრის დასასრულს ამას ეუბნება თავის თანამოაზრე ოპონენტს: „აი მივიღებ მე შენთ რჩევათა/ და დავიდუმებ ჩემსა გულისთქმას;/ ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტვას,/ რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,/ ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება [როგორ? – ისე, როგორც ეს სწორედ ერეკლეს ჰქონდა აზრად და არა თვით იმ „გაიძვერა მოყვარეს“: წავიკითხოთ ყურადღებით ბარათაშვილისვე „საფლავი მეფის ირაკლისა“].

– მაშ ბატონიშვილს რა პასუხს უთვლი?

– ბატონიშვილსა? ჩემგან **ხვეწნა და მუდარა** მოახსენე: **მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს... თუ**

ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ, თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია!... ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს! თორემ თუ ეგრე მოვიქეცით, ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით, და რუსები კი თავიანთ წადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისაგან არის დანიშნული, იმის გულის პასუხს კაცი ვერ მისწვდების, – მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

– უბრთხილდი, სვიმონ, ბატონიშვილი განრისხდება მაგ პასუხით და მაშინ ვეღარავინ გიხსნის.

– რა უყო! **მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ გადავალ და, თუ მეფე მიბრძანებს, მარტო მე შევებმი რუსებს.**"

ასე წარმოგვიდგება სვიმონ ჩოფიკაშვილი – ერის პოლიტიკური კულტურის საუკეთესო ტრადიციების ერთგული, პოლიტიკური მრწამსით, ვითარცა თავისი დროის შვილი, ნაციონალიზმისა და მონარქიზმის მათს განოყოფლობაში მასახიერებელი. ხოლო ამასთან, დაკვირვებული და მიუდგომელი, იგი ნათლად ხედავს, რომ იმ ანარქიის ბუდე, რომელიც საქართველოს პოლიტიკური კრახისკენ მიაქანებს, თვით სამეფო საგვარეულოა და რომ ერის ხსნა დღეის საქმე არაა. მონარქისტი ჩოფიკაშვილი ასეთსავე მზეჭაბუკ ორბელიანთან ერთად, ალბათ, მასავით იტყოდა: „მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის"; და განა ამასვე არ იტყოდნენ სოლომონ ლიონიძე ან თავად ერეკლე?

გამოხდა ხანი. გიორგი მეფე გარდაიცვალა. გავრცელდა ხმა, რომ მეფეს გადაეწყვიტა საქართველოს რუსეთისთვის მფლობელობაში, ნაცვლად ერეკლეს ნაანდერძევი მფარველობის მოთხოვნისა, გადაცემა. სვიმონი ურჩევს თემის ყრილობას, სანამ საბოლოოდ დაადგენდნენ, როგორ უნდა ემოქმედათ, თავი შეეკავებინათ რუსებთან დაპირისპირებისგან. „– ხალხო! [...] მე მგონია, რომ თქვენში ისეთი ვერავინ გამოვა, რომ თქვას: „სვიმონს სიკვდილის ეშინიან, სვიმონს თავისი თავი თავის ხალხზედ და ქვეყანაზედ მეტად უყვარს!" ვფიცავ, რაც კი სალოცავები მყავს, ვფიცავ, რაც უფრო ძვირფასად მიმაჩნია ამ ქვეყნად – დღესვე რომ შეიძლებოდეს ჩემი ცოლ-შვილის მსხვერპლად მოტანით მამულის დახსნა, იმათაც კი არ შევიბრალებდი, მე თითონ ჩემის ხელით ყელებს დავჭრიდი, მაგრამ ეგ არას უშველის მამულს. ვერცა რას მარტო ჩვენ ვუშველით, თუ ყველანი არ შევგროვდით. თქვენ

შეტყობილი გაქვთ, რომ ქართლი აჯანყებულა, და მე კი ზედმიწევნით ვიცი, რომ [დავაკვირდეთ, რა სურათს გვიხატავს ყაზბეგი სვიმონ ჩოფიკაშვილის პირით ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა:] **ქართლი ჯერ ყიზილბაშების, და ამ ახალის** [– რუსობის] **მოულოდნელობისაგან**[აც], **შემდეგ შინაურის განხეთქილებისა და უკმაყოფილობისაგან თავბრუდახვეული ძალას მოკლებულია, მთვრალსავით გარეტიანებული დარაცრაცებს. იქ თითონაც არ იციან რა დაიწყონ და ვის მიმართონ... თუ ქართლში ვინმე ფხიზლად დარჩენილა, ისინიც ცალ-ცალკე გამდგარან, ხედავენ საქმის დაწყობის შეუძლებლობას და ამისათვის დროს ელიან...**“. სვიმონის რჩევისამებრ ხალხის მოთავენი ორ სანდო კაცს ქართლს აგზავნიან სარწმუნოდ შესატყობად, რა ვითარებაა ქვეყანაში.

დაბრუნებულებმა დაადასტურეს საქართველოს მდგომარეობაზე სვიმონის ნათქვამი.

„– იულონს და ფარნავაზ ბატონიშვილებს ცოტა რაიმე ხალხი მისდგომოდა, იმათ აეღოთ თავზედ რუსების გარეკა... მაგრამ ამ ცის ჩამონგრევის დროს რაი ერთობა ექნებოდათ?... ისინი ერთურთს სჭამდნენ და გლეჯდნენ თურმე ამ უკანაკნელ დროს, იმერეთისკენ ყოფილიყვნენ, იულონ იქ დაუჭერიათ და ფარნავაზი კი გაქცეულა სადმე... დანარჩენი ქართველები კი ჯერაც გონს ვერ მოსულანო და ვერ გაუგიათ, საიდგან რა მოსდითო... ყველანი გაჩუმებული და მიყუჩებული არიანო... აბდიამ შემოგითვალათ ეხლა აღარა გარიგდება-რაო, დაიშალენით და რუსებს გზა მიეცითო.

– ქალაქი, ქალაქი რაიღას შვრება?... ისიც ჩუმად არისო?

– რაიღას შვრება? – მწარის ღიმილით წარმოსთქვა მთიულმა. – რუსები მშვიდობიანად მიიღო და იმათ „რაი, რაი რატატაის“ შესცქერისო!“.

და, აი, ამ დროს გაისმა კიდეც სვიმონ ჩოფიკაშვილის ეს ქართველთათვის ამიერ მარად სამახსოვრო მართლაც საისტორიო სიტყვები: „**ეხლა გავჩუმდეთ, ძმანო! გავჩუმდეთ იმად, რომ ერთმანერთისა აღარ გვესმის-რა. ეხლა ხალხი ავად არის ერთის ავადმყოფობით, საერთო სენით. მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიაც გაიმქრევის, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლების და ავადმყოფი მოკეთდების. ძმა ძმას დაინახავს და შაერთებული საქართველო, ერთ ხორცს და ერთ სულ გადაქცეული, აღსდგების!... აღსდგების იმად, რო მტერს მტრის საკუთნო მოუწყოს და მოყვარეს – მოყვრისა!**“.

ჰო, ეს, ჭეშმარიტად, სწორედ **ისტორიის**, სახელდობრ, საქართველოსი, ნამდვილი **ვიზიონერის, ანუ** მისი **პოეტის** (როგორც განგვიმარტავდა პოეზიის გონითშემეცნებითს ძალას დიმიტრი უზნაძე...), მიერ შეიძლება თქმულიყო. –

ხოლო ამასთან იმავე თავყრილობაზე სვიმონს ზემოთქმულისთვის ესეც დაურთავს საამისოდ თავის ხელმეორე გამოსვლაში: „მხოლოდ ისე კი უნდა დავიშალნეთ, რომ რუსებმა ჩვენი საქციელი მათთან **მეგობრობის** სურვილად ჩასთვალონ... ჩვენ მდგომარეობაში მყოფისთვის ამგვარი საქციელი სირცხვილად ვერ ჩაითვლების...“. ეს იყო სწორედ ის **ლოიალიზმის პოლიტიკა**, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, ეს გზა მაინც იყო გასავლელი, დაადგნენ კიდევაც ქართველები რუსების საქართველოში დამკვიდრების პირველ პერიოდში და რომელსაც ცხოვრებამვე დაუსვა წერტილი მაინცდამაინც ამ პოლიტიკის ერთგული მასახიერებელი დიმიტრი ყიფიანის ხელისუფლების მიერ ჯერ დაპატიმრებით და ბოლოს, ციხეში მკვლელობითაც. რუსთა წინააღმდეგ ამხედრებული ბატონიშვილების ურთიერთობა ვითომც საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის უზრუნველსაყოფად მეზობელ მუსლიმ დიდ თუ მცირე მტაცებელ მეზობლებთან უთუოდ მაშინაც ტრაგიკომიკურად გამოიყურებოდა, მოყვარისთვის სატირლად, მტრისთვის სასაცილოდ; და სვიმონ ჩოფიკაშვილიც, ისევე როგორც მისი სხვა საღად მოაზრე თანამედროვენი, რა თქმა უნდა, ამას ხედავდა. საუბედუროდ, ამ კრიტიკულ პერიოდში საქართველო სამეფო ტახტს დახარბებული პოლიტიკური დეგენერატების საპარპაშოდ იყო ქცეული ტახტის მემკვიდრეობის საბედისწერო ახალი კანონის, მართალია, ერეკლეს მიერ გაუქმებულის, მაგრამ მეფობაზე მადააღძრული უფლისწულებისთვის, მათი სათანადო „სახელმწიფოებრივი“ შეგნებისამებრ, პრაქტიკულად ძალაში დარჩენილის, წყალობით. –

ის, რომ საქართველოს „გამოხსნა-აღდგომის“ გზა რუსეთზე გადიოდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში მოგვიანებით შემუშავებული ფორმულისამებრ: „რუსეთის გზით ევროპისაკენ“, – ალექსანდრე ყაზბეგისთვის თავისთავად იყო გასაგები და, ამდენად, იგი წარმოგვიდგება კიდევაც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ქართლის [– საქართველოს] ბედის“ (რომლის ერთადერთ სუვერენულ სუბიექტადაც სწორედ ქართველი ერი იგულისხმება თვით რუსულ „ხალხთა საპყრობილე“-შიც... იხ. ამაზე ჩემი „ნიკოლოზ ბარათაშვი-

ლი“) კონცეფციური ხაზის, მე ასე ვიტყოდი, ბუნებითად გამაგრ-ძელებლად თავის შემოქმედებაში. და ამიტომაც ბარათაშვილისვე „ახალი ქართლი“ ყაზბეგისთვისაც რუსების სამპყრობელო საქარ-თველო კი არაა, არამედ მათგან თავის დასახსნელად მებრძოლი, რომლის ბუნებრივი წარმომადგენლებიც არიან კიდევაც მის მიერ „სისხლში ნაწები კალმით“ უკვდავყოფილი ერის გმირი შვილები.

ალექსადრე ყაზბეგი „ახალი ქართლის“ უდიდესი „მემატია-ნე“ ისტორიკოსი პოეტია, ვითარცა ქართველი ერის ცხოვრება-შემოქმედების გულთმისანი ტრაგიკოსი მხატვარი.

გალაკტიონ ტაბიძე

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.
გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ადეკვატური შეფასება მხოლოდ მისი ნამდვილი მნიშვნელობის გამომხატველ „რუსთველიდან გალაკტიონამდე“ ღირებულებითს კონტექსტშია შესაძლებელი.

გალაკტიონი ერთგან დავახასიათე, როგორც ლექსის, ვითარცა ყოფნის „პოეტური ლოგოსის“, მოციქული, რითაც გავხაზე ლექსის საგანგებო, სწორედ გონითად მაფორმებელი მნიშვნელობა მის პოეტურ სოფლგანცდაში. რა თქმა უნდა, გალაკტიონისეული ლექსის ზემორე დეფინიცია (ლექსი – ყოფნის „პოეტური ლოგოსი“) საკუთრივ ფილოსოფიური კი არა, პოეტურია, დიმიტრი უზნაძის ცნობილი გამონათქვამის მიხედვით, ეს უთუოდ გავითვალისწინოთ, – ფილოსოფიურის წინმსწრები.

გალაკტიონის პოეზიის სპეციფიკური, თავისი შთამბეჭდავობის ინტენსიურობით, საიდუმლო ისაა, რომ მისი ლექსის უძლიერესი ზემოქმედება მკითხველზე დამახასიათებლად აუხსნელი რჩება თვითონ ამ ლექსის ტექსტით, ამისი მაინცდამაინც პოეტიკის „ემპირიული“ მოცემულობით, – ფაქტი, ყველაზე თვალსაჩინოდ ნიშნეული გალაკტიონის სწორედ „სადა“ ლექსებისთვის. ალბათ, საამისო შეგნებით იტყოდა კიდეც გალაკტიონი, რომ პოეტს ასეთად ყოფს „დაიმონი“ მასში ან ამის შესატყვისად, სხვა გადმოცემით, „ნიჭი“, რომლის, ყოველ შემთხვევაში, პოეტურის (და, საერთოდ, სახელოვნოს), „მეცნიერული“ ახსნა არ არსებობს. მე მგონია, გალაკტიონის შემოქმედებითი თავისებურების მეტ-ნაკლებ სააზრებლად არსებითია იმის გათვალისწინება, რომ მისი ლექსი წმინდა გონითპოეტური ინტუიციის რეალობაა, რომლის ასე თუ ისე შეცნობაც, შესაბამისად, მხოლოდ აგრეთვე ინტუიციური შეიძლება იყოს.

გალაკტიონის მემკვიდრეობაში, აღვნიშნავ ამას მის თავისებურებად, მე ვასხვავებ პერსონალურ „სუბსტანციურად“ მისეულ, ასე ვთქვათ, „გალაკტიონურად“ განუმეორებელ ლექსებს (მაგალითად, „ლურჯა ცხენებს“), და ქართული პოეზიისთვის საზოგადოდ ტრადიციულ, თუმცა, ცხადია, ავტორის ინდივიდუალობით

აღბეჭდილ ლექსებს (მაგალითად, ზემოხსენებულის უშუალო წინამორბედ „მთაწმინდის მთვარეს“), – ორ ჯგუფს პოეტის შემონაქმედისა, თვალსაჩინოდ განსხვავებულს ერთმანეთისგან. წინამდებარე წერილში ჩემი ყურადღება გალაკტიონის პოეზიის არსებითად ორსავე ასპექტზე მათს ურთიერთმიმართებაში იქნება სათანადოდ მიპყრობილი. –

„სურნელება ძველისძველი/ ექსოვება ნიავებს,/ პოეზიის ლაჟვარდ ცრემლით/ სველი დაფნის ფოთოლი.// და ოცნება მოგონებას/ იით მოაიავებს,/ როს მეომარს შუბლს უმშვენებს/ ნელი დაფნის ფოთოლი.// ნილოსის გველს უარესი/ მისი შხამის იავებს/ უფრო მძაფრად დაწურული/ მწველი დაფნის ფოთოლი.// და ხანჯალით ხშირად ფარულ/ მიზანს ულოლიავებს,/ ოდეს ხედავს პოეზიას/ ნელი დაფნის ფოთოლი“ („დაფნა“, 1910). აი, ასეთი იყო პირველი გაელვება გალაკტიონის გენიის.

საკითხს, რომელზეც აქ ცალკე უნდა შევჩერდე, პირველად შევეხე ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ წერილში. საჭიროდ მიმაჩნია, შესაბამისი ფრაგმენტი, სავსებით შესატყვისი ჩემი ახლანდელი თემის, უცვლელი სახით (გარდა ერთგან ამჯერად ხაზგასმის) აქვე კვლავ წარვუდგინო მკითხველს: „ასე რომ [დასკვნად მანამდე ნათქვამის] ინტერესს, რომელიც ბარათაშვილს უთუოდ ჰქონდა, თავისთვის, დიახაც, საარსებო, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედისთვის, მაშინდელი რომანტიკული პოეზიისადმი (კავშირი დროისგონთან...), ისევე არ შეუქმნია იგი რომანტიკოსად, **როგორც** [ეს „სანიმუშოდ“] გალაკტიონი მის ცნობილ გატაცებას ბოდლერითა და ვერლენით – სიმბოლისტად, რადგან ერთიცა და მეორეც იყო ამ თავის საარსებო, რამეთუ შემოქმედებითად სწორედაც საექსპლუატაციო, გავლენათა სუვერენული ბატონ-პატრონი. საერთოდ, რაკი ამაზე სიტყვა ჩამოვარდა, სასკოლო „იზმ“იზმი, პრინციპული, ასე ვთქვათ, დოგმატური, ქართულ პოეზიაში (– მხატვრულ ლიტერატურაში) შემოქმედებითად, მისი „კლასიკის“ შექმნის თვალსაზრისით, უნაყოფო აღმოჩნდა, – გასათვალისწინებელი ფაქტი.“[1] როგორც ცნობილია, თვითონ გა-

[1] მახსენდება, ამასთან დაკავშირებით, „ევროპეიზმით“ კულტურ„რელიგიურად“ შეპყრობილ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში სიმბოლისტად, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ვაჟა-ფშაველას, რეალური ვაკუუმის, გეგონება, „თუნდაც“ ნომინალურად შესავსებად, კურიოზული შერაცხვა, ტოლფასი საერთოდ კლასიკურის, როგორც ასეთის, სიმბოლისტურად აღიარების.

ლაკტიონი იმთავითვე კატეგორიულად უარყოფდა თავის ოდესმე სიმბოლისტობას და საკუთარ შემოქმედებას ყოველთვის განიხილავდა, როგორც ერთ, „პერიოდებად“´განუყოფელ მთლიანობას. და ედგარ პოს (მისი უკვდავი „ყორანით“ ხომ ვაჟაც იყო მოხიბლული), ბოდლერს, ვერლენს მათი თაყვანისმცემელი გალაკტიონიც თავისთვის სავსებით ბუნებრივად სწორედ აკაკის „პირმშო შვილის“ თვალით კითხულობდა.

1915 წელი განსაკუთრებულია გალაკტიონის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში: ამ წელს, როდესაც უკვდავებაში გადავიდნენ აკაკი და ვაჟა, დაიწერა „ლურჯა ცხენები“, იმთავითვე პოეტის გენიის სიმბოლოდ ქცეული, და სხვა შედევრები, რომლებმაც დაუხანებლად დაუმკვიდრეს ავტორს ქართული პოეზიის კლასიკოსის ავტორიტეტი.

შევჩერდები „ლურჯა ცხენებ“-ზე. როგორც ეს დამახასიათებელია ტიპობრივ „გალაკტიონური“ ლექსებისთვის, ძნელია „ლურჯა ცხენების“ იდეის, მისი მოარული გაგებით, „ამოკითხვა“, – იდეისა, რომელიც იდენტურია ლექსის თვით ე. წ. ფორმის (ასე ვთქვათ: ფორმა იდეის – იდეა ფორმის). ამიტომ ჯერ გავიხსენოთ თვითონ ეს ლექსი (ხაზგასმები ციტატებში, თუ სხვა არაა მითითებული, ჩემია). –

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ[!] მზით ნაფერი,/ ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!/ არ ჩანდა შენაპირი [იმიერსოფლის ავტორისეული წმინდა პოეტურმეტაფიზიკური, და არა, ამდენად, საკუთრივ რელიგიური, წარმოსახვით], ვერ ვნახე ვერაფერი,/ ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.// მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,/ სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა [ქვემო კონტექსტში მოწყენილობის, მისგან დაღვრემილობის, გაგებით]!/ ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,/ წევხარ ცივ სამარეში და **არც სულს უხარია**.// შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით/ **უსულდგმულო დღეები** რბიან, მიიჩქარიან!/ **სიზმარიან ჩვენებით** (საიმსოფლო მეტაფორა პოეტური ხილვის?...) – ჩემი **ლურჯა ცხენებით**/ ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!// იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:/ ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;/ **გაქრა ვნება-წამება**, როგორც ღამის ზმანება,/ ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში [ასე: „უსულდგმულო დღეები“ – არც „სიხარულის“, არც „ვნება-წამების“; ხოლო აქედან – იმიერსოფელიც, როგორც არც სამოთხე, არც ჯოჯოხე-

თი].// ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,/ ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!/ ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!/ ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!// რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?/ ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?/ ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,/ სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!// **მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:/ მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!**/ შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით/ უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.// **მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,/ ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,/ როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,/ ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!**". ასეთია იდეა XX საუკუნის ქართული პოეზიის თაურმდგენ შედევრად მიჩნეული ამ ლექსის: ლურჯა ცხენები – სახება აბსოლუტური მშვენიერების, მეტაფიზიკურად უძლეველის მისი, პოეტურსაკრალურად „წყევლით შენაჩვენების", სუბსტანციური ტრაგიზმით.

ამავე გონითს რეგისტრში იკითხება „ლურჯა ცხენების" უშუალოდ მომდევნო „შერიგება"-ც. „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,/ თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები/ და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,/ გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.// დღეს ყველგან მზეა. ეხლა ამ ბაღებს/ და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,/ მაისი ალით ააელვარებს,/ ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.// ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,/ ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:/ მე – მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,/ მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით.// **ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე/ მშვენიერების ლექსით მქებელი:/ დღეს ყველგან მზეა და სილამაზე,/ სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!**". ჩემი ცნებითმეტაფორული იდეა ლექსისა, როგორც ყოფნის „პოეტური ლოგოსის", სწორედ „შერიგების" ამ ბოლო სტროფითაა ნაკარნახევი (თავისთავად ისედაც საგულისხმოთი უზნაძის ფილოსოფემის პრინციპულ „ჩვენი არსებობის აზრი სიცოცხლის [მისგან განუყოფელი სიკვდილითურთ] ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ ან [ალბათ, უნდა იყოს: და] იმაზე მაღლა" კონტექსტში).

მაგრამ მთავარი არ გვითქვამს. მხედველობაში მაქვს იდეა **სიყვარულის**, რომელსაც გალაკტიონმა მიუძღვნა ცნობილი „უსიყვარულოდ" (1914), ჩვენთვის საგულისხმო, რამდენადაც ამ-

ჯერად საუბარი ეხება მაიცდამაინც **იდეას** სიყვარულისა, როგორც ასეთის, საკუთრივ მოცემულს ლექსის პირველი, ასე ვთქვათ, კონცეფციური სტროფით: „**უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,**/ სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ.../ **უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე** [მშვენიერება],/ **არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.**“ ასეთია სიყვარულის გალაკტიონისეული გაგება, სავსებით ტრადიციულად აზრებადი ქართული პოეზიის კონტექსტში: გავიხსენოთ რუსთველური იდეა მიჯნურობისა (ეროსის), როგორც „პირველისა [არქეს] და ტომისა [გვარისა] გვართა [სახეთა] ზენათა“ და აკაკის „სიყვარული კავშირია ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა, იგივეა მაცხოვარი“, რომელიც ხომ ლოგოსიცაა, საიდანაც ეროსისა და ლოგოსის ერთობის, არსებითად იგივე რუსთველური, იდეა. პოეზია აკაკის „პირმშო შვილ“ გალაკტიონისთვის ეროსის, მასში აზრებადი ლოგოსითურთ, პოეზიაა სუბსტანციურად, თვით მისი საასეთო ატრიბუტი. ხოლო შევნიშნავ სავინიცობოდ, რომ ესაა ოდენ ჩემი გაგება გალაკტიონის პოეტური ინტუიციის, გამოთქმული შეხედულების თავად პოეტისთვის, ცხადია, მიუწერლად.

იმისთვის, რათა შესაძლებლობისამებრ უკეთ გავერკვიოთ გალაკტიონის შემოქმედებაში, მისი იმდაგვარი ქმნილება, როგორიცაა, ჯერ სათაურს მივაქციოთ ყურადღება, „შემოქმედება“ (1909), ვფიქრობ, დაგვეხმარება პოეტის შემოქმედების მეტ-ნაკლებ გაგებაში, მაცხადებელი იმ საიდუმლოსი, რომელიც ავტორის პოეტური გენიის სრული ვლენისას ერთგვარ შემოქმედებითს „წმიდა საიდუმლოსა“-ვით არის ხოლმე მკითხველისთვის დაფარული. ამიტომ მივაპყრობ კიდეც მკითხველის ყურადღებას გალაკტიონის სახელის უთუოდ ღირს (და ამიტომაც ჩვენთვის უკვე ამდენად ასევე უთუოდ საგულისხმო), თუმცა არა მისი გენიის შედევრ, ამ ლექსს. –

„მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს განუსაზღვრელი,/ ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში არა მყავს ტოლი./ ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება ნიავი ნელი./ ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა ვერხვის ფოთოლი.// მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ ყოვლისმოქმედი,/ არე-მიდამო ნეტარების ცრემლით ივლება,/ ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი მძვინვარე ბედი,/ ქვეყნად ყოველი არსის სული მემორჩილება.// ეს მაშინ არის, როცა აზრი მიჰქრის შორს, შორს, შორს/ და ლტოლვა გულში დაგუბული ეძლევა

შვებას,/ ირგვლივ ვერ ვხედავ ჩემს თანაბარს და ვისმეს ჩემს სწორს,/ რომ ამგვარადვე ეძლეოდეს ტკბილ-ნეტარებას.// ვხედავ, მიფრინავს იქ, სადღაცა ნისლი უსახო,/ ვგრძნობ, რომ მის ტალღას, ერთხელ ჩემს მძლევს, გააპობს მკერდი./ ო, უძლეველო დიდო წამო შემოქმედების,/ ეხლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი!". ასე წარმოგვიდგება ამ ლექსით გალაკტიონის შემოქმედებითი თვითგანცდა.

თავისი, როგორც პოეტის, დამოკიდებულება პოეზიისადმი გალაკტიონმა საგანგებოდ გამოხატა ლექსით, საამისო იდეის, შემდგომ სარეფრენოს, მის სათაურშივე გაცხადებით, „**პოეზია უპირველეს ყოვლისა**" (1920)[1]. გალაკტიონი სულაც არ იყო, წინააღმდეგ მასზე თუნდაც „კომპლიმენტად" ნათქვამისა, ლექსის „მთვარეული", არამედ იყო ლექსის ეროსით ზეგარდმო შთაგონებული მისი მიჯნური, ვისთვისაც, ისევე როგორც მისი სათაყვანებელი აკაკისთვის, კულტურნაციონალიზმი (ერი – კულტურის სუბსტანციურად მასულდგმულებელი ეროსის სუბიექტი) პოეზიის დედაიდეა იყო, სათანადოდ ასახული კიდეც, წმინდა „გალაკტიონურად", ხსენებულ ლექსში. –

„სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!/ მეგობრებო, სიკვდილამდე მექნება/ მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:/ პოეზია – უპირველეს ყოვლისა!// თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ/ გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,/ **მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა** [გალაკტიონისეული პოეტური ფორმულა ქართული კულტურნაციონალიზმის];/ პოეზია – უპირველეს ყოვლისა!// სიკვდილივით მარადია სურვილი/ მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,/ ყველაფერში შუქით შემობურვილი: პოეზია – უპირველეს ყოვლისა!// თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,/ მე მოვკვდები – როგორც პოეტს შეჰფერის,/ სიმღერები ხალისის და ბრძოლისა:/ პოეზია – უპირველეს ყოვლისა!".

როდესაც „ეფემერას" (1922) ვკითხულობ, მეუფლება სრულიად გარკვეული, ყოველგვარი „მისტიკის" გარეშე, გრძნობა, რომ პოეტური გონის „სტიქიონის" რაღაც მოვლინებასთან მაქვს საქმე, როდესაც ლექსის, როგორც ასეთის, საზრისობრივი მთლიანობის განმსაზღვრელ რაიმე საგანგებო შემოქმედებითს ჩანა-

[1] ეს ლექსი, როგორც მას ახლა ვიცნობთ და ვაფასებთ, გადამუშავებულ იქნა მოგვიანებით.

ფიქრზე თითქოს არც შეიძლებოდეს საუბარი. მე მას დავახასიათებდი, როგორც კაცობრივღმრთაებრივ „პოეზიის კორიანტელს“, განსხვავებით მის ოცი წლის შემდგომ „შთამომავალ“ უკვე მაინცდამაინც „ლექსის[!] კორიანტელ“ „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“-საგან.

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები/ ქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,/ იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები/ გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.// ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია/ ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები [ვინც როგორ იაზრებს],/ ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,/ ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.// ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება/ ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება./ სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები,/ იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.// რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,/ გაიშლება – მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის,/ **წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,/ ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის** [გალაკტიონის კულტურნაციონალისტური „მემენტო“ ყველგან და ყოველთვის].// ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,/ რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით/ ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტერვალები [// ინტეგრალები, – მკითხველის ინტუიციისამებრ],/ ცხენთა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები!// აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი./ ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,/ გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული,/ უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.// კიდეები შეშლილი, ღამეები ველური/ დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას./ სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,/ სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.// სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?/ წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან./ ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,/ ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი – არსაიდან.// ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,/ დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით./ კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა/ და იქ მიექანება სული განწირულებით.// ნატავ ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,/ სადაც ვარდებს ბაღისას მაისობა უქრება./ მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,/ როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.// როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრი სავსე პეშვებით/ ფან-

ტასტიურ მკვლელობებს და ოცნებას მკათათვის,/ წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,/ რომ ძეგლები ავმართო მღვრიე მშვენებათათვის.// თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი,/ ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს,/ წარსულს სწყდება ფოთლების წყება იმედიანი,/ შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.// **დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,/ იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,/ ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული,/ ლანდი – არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა.// დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,/ ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს./ ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე!/ ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!**“ ასეთია ეს ტრაგიკული ლექსი, თავის საფინალო აპოგეაში ტრაგიზმის გონითსუბსტანციური ოპტიმიზმის ნათლით მოსილი.

ამასთან, – შევნიშნავ აქვე, „ეფემერის“ ცხელ კვალზე, შემდგომ გასათვალისწინებლად, – პოეტურისგან იმანენტურად განუყოფელი რელიგიური ცნობიერების ის დროისგონისეული კრიზისული ნიშნები, რომლებიც აშკარად იკითხება გალაკტიონის შესაბამის ლექსებში სწორედ თავიანთი სპეციფიკურ გალაკტიონურად დამახასიათებელი ექსპრესიულობით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენი პოეტისთვის საგანგებოდ ნიშნეული ფუნდამენტური რელიგიურობით. ამ კრიზისის ყველაზე მკვეთრი გამოხატულებაა „ბრძოლა ღმერთთან“ (1925): „ღმერთი არის თუ არა? არა. მაგრამ დიდება/ მისი ხშირად მსმენია, ძილი არ მეკიდება./ იგი **ღამის გენია** [არარსებული? –] ისევ შემეჭიდება,/ მე – სხვა სულის ამარა, იგი – [ამ „სულის“, რომლის „ამარა“-ც თვითონ ეს „მე“-ა] გაბედითება [აქ მნიშვნელობით: გაამაოება, გაარარავება ხსენებული „სულისა“ მის „ამარა“ „მე“-სთვისვე],/ ვიბრძვით და რამდენია დღე, ის რომ ეზიდება,/ რამდენი ჰო და არა, ალზე ალის კიდება,/ ერთიც არ ამცდენია ცეცხლის არ დარიდება,/ დილით მოსაწყენია [იმ, ჩანს, მაინც რეალური „ღამის გენიის“ გარეშე?] ძილი და მოსვენება“ (შთამბეჭდავია ამ ლექსის თვით რიტმის საზრისობრივი ექსპრესია, როგორც ლექსის თვით იდეის „რიტმის ფეთქვა“, – საერთოდ, ესეცაა, ჩვეულებრივი გალაკტიონისთვის).

გალაკტიონის პოეტურ სოფლგანცდაში გასარკვევად უნდა შევეხო აქვე იმ რევოლუციურ, პოლიტიკური გაგებით, სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალული იყო, დანარჩენთან ორგანულ კავშირში, ჩვენი პოეტის, ისევე როგორც მისი სათაყვანებე-

ლი აკაკის, მაშინდელი, დროისგონის შესატყვისად, შემოქმედება: რუსეთის იმპერიაში რევოლუციის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა – ასეთი იყო იმ ხანის ქართველ ნაციონალისტთა და, მათ შორის, გალაკტიონისაც საპროგრამო ეროვნულ-რევოლუციური იდეა.

იმისთვის, რათა მეტ-ნაკლებ დამაჯერებლად გავითვალისწინოთ, გალაკტიონის, ამ შემთხვევაში, პოეტური სოფლგანცდის რომელი ასპექტია შემოქმედებითად დომინანტური, საჭიროა, მოვიხილოთ პოეტის მემკვიდრეობა და ვნახოთ, ხსენებულ ასპექტთაგან რომელს აქვს მასში შემოქმედებითღირებულებითად განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ამ მხრივ, უნდა ითქვას, გალაკტიონის „რევოლუციური“ ლექსები, თავისთავად აღბეჭდილნი ავტორის გენიით, არც ერთი არაა, უთუოდ საგულისხმო ფაქტი, მისი შედევრი.

გალაკტიონის შემოქმედებას, სავინიცობოდ ვიტყვი ერთხელაც, თანაც ამჯერად ხაზგასმით, მე განვიხილავ **კულტურნაციონალიზმის, როგორც პოეზიის დედაიდეის** პრინციპის საფუძველზე, მის კონტექსტში. იგულისხმება, რომ ნებისმიერი თემა, ამ შემთხვევაში პოეტისთვის ყურადსაღები, კატეგორიალურად კულტურის სფეროს განეკუთვნება, რომლის სუბიექტიც ერია, და, როგორც ასეთი, იგი, ეს თემა, იაზრება კიდევაც სუბსტანციურ სუბიექტურად, და ამ გაგებით მაშ პერსონალურადაც (ერი – კულტურის სუბსტანციური სუბიექტი პერსონა), ვითარცა სახელდობრ ეროვნული. კულტურნაციონალიზმის გალაკტიონისეული, ვთქვათ ასე, პოეტურგონითი აპერცეფცია ორგანულადაა დაკავშირებული ქართული პოეზიის ტრადიციასთან, რომლის დოგმატურად ერთგული და შემოქმედებითად გამამდიდრებელი იყო იგი, აკაკის ეს „პირმშო შვილი“, ტოლძალ ტრადიციონალისტი და ნოვატორი, რამეთუ, როგორც ერთიცა და მეორეც, ურთიერთმიმართებაში, ჭეშმარიტი. –

ამ განმარტების, გამგებისთვის, ვფიქრობ, გასაგების, შემდეგ, მივუბრუნდეთ ჩვენი პოეტის ლექსებს.

გალაკტიონის ეროვნული, ვითარცა კულტურის სუბსტანცსუბიექტური, პოეტური თვითგანცდა ყველაზე ნათლად გამოხატულია მისი „თბილისის“ (1920) ამ სიტყვებში: „[...] არ მშორდება ღვთისმშობლის მზერა, სავსე ქართული პატიოსნებით“. ეს შთამბეჭდავი, არსებითად რელიგიური თავის პოეტურ ცხადებაში გამონათქვამი მიემართება პირადად გალაკტიონს, როგორც მაინცდამაინც პოეტს ღმრთისმშობლის წილხვედრი, და ამდენად მისი

კიდეც სულით ნათესავი (საიდანაც ციტატის „ქართული“-ც), ქართველი ერისა. შევნიშნავ აქვე, რომ ამ ხალას პოეტურ განცდას, თავისთავად, არანაირი სპეციფიკურ „იდეოლოგიური“ ფუნქცია არ გააჩნდა თვითონ პოეტისთვის, ვისთვისაც, უნდა ვიფიქროთ, პოეზიას, საამისოდ უკვე დამოწმებული უზნაძის არ იყოს, ფილოსოფიის და მასთან, მაშ, იდეოლოგიისაც, როგორც ასეთის, მიმართ წინმსწრები სოფლგანცდითი წმინდა პოეტური, რაც ნიშნავს კიდეც, წმინდა კულტურული ანუ წმინდა გონითი, აზრი ჰქონდა. ქვემოთ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ლექსებს, კატეგორიალურად საკუთრივ კულტურნაციონალისტურს, ტრადიციისამებრ, მოვიხსენიებ ხოლმე „პატრიოტულის“ სახელით.

წარმოვადგენ „ლურჯა ცხენების“ შემდგომი ახლო ხანის (1916) ორ ლექსს: „ძველი წისქვილი“ და „ციხის ნანგრევები“. საყურადღებოა, შევნიშნავ ახლავე, მათი ქრონოლოგიური კონტექსტი: „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ – „ძველი წისქვილი“ – „ედგარი მესამედ“ – „ციხის ნანგრევებთან“. ამ მხრივ საინტერესოა მომდევნო ლექსებიც, მაგრამ არა ასე „მაინტრიგებელი“ უშუალოდ ერთის ერთთან მეზობლობით ტრადიციულისა და საკუთრივ „გალაკტიონურის“ (თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ ტრადიციული ასევე შემოქმედებითად ორგანული იყო, ერთხელაც შევახსენებ მკითხველს, აკაკის „პირმშო შვილ“ ჩვენი პოეტისთვის).

„ძველი წისქვილი“: „უცნაურ ბინდში გუთნეული მიჰყვება ჭალას,/ ქარი არ არხევს ოქროსფერი მინდვრების ჩალას./ ამოდის მთვარე, სადღაც ქოხში იელვებს კვარი,/ იქ, სადაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი,/ სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას –/ შეგვიანებულ გზით გაივლის მოხუცი მწყემსი/ და მისი სული ვარსკვლავების სულზე უვრცესი/ ოცნებობს მთვარის სითეთრეში – ვით ქანდაკება./ მას თან მიჰყვება უბრალოთა მშვიდი განგება,/ ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს დაწეწილ წისქვილს./ წყალი იმტვრევა გადაკეცილ ბროლის რკალებად/ და სინათლეში სილამაზით სავსე ალები/ კოჭამდე თმებით შადრევანზე აირევიან./ არის კივილი, მღელვარება, ცეკვა, სიცილი/ ასი ათასი და მრავალი ათასი ალის,/ ამაო შიშით შეიშლება გვიანი სული./ აღრფრთოვანება-გაგიჟების ხმა არ შეწყდება,/ სანამდე რაშით არ წამოვა წმინდა გიორგი!/ ხმობა ნელდება, ცა ფითრდება და მზე ამოდის,/ წყალში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი.“ „ციხის ნანგრევებთან“: „საღამო წყნარი, არე მშვიდი

და იდუმალი,/ უკანასკნელი შუქები ურჩი./ გარინდებული ბილიკები და ალუბალი./ ცა ლურჯი, ასე უსაზღვროდ ლურჯი.// გემშვიდობებით, მშობლიურო ჩემო გორებო,/ თქვენც, ნანგრევებო ციხის და ტაძრის,/ გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება,/ როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...// გემშვიდობები, მქუხარეო ზვირთო რიონის!/ ყურს ვუგდებ ხმათა შენთა ჟღერებას,/ რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის,/ უბედობას თუ ბედნიერებას?// არ ვიცი იგი, მომავალი რას მექადება.../ რაზე ხმაურობს ქარი ზეკარის?/ სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება:/ ადამიანი ზეცას შეხარის.// შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი/ და შეშფოთდება ოცნება – სული;/ გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი,/ აღქაფებული, აზვირთებული.// სამშობლო მხარე! ის გრიგალი მსურს მიუძღოდეს/ ფიქრს აღელვებულს და გულდამკოდავს,/ ჩემს მომავალში, დეე, მხოლოდ იმან უწყოდეს,/ ეს ჩემი გული თუ რარიგ შფოთავს.// მხოლოდ შენს ხსოვნას, ჩემს საშინელ მარტოობაში,/ მე არ გადავცვლი სხვა ნეტარ წამზე,/ სხვა სიტკბოებას მირჩევნია ამგვარ გრძნობაში/ სხვისთვის ფარული ცრემლი წამწამზე.// გემშვიდობები... უკანასკნელს ვსვამ სადღეგრძელოს,/ მზე ჩადის, შუქი შუქს ეკონება./ ამ ადგილებში შევხაროდი მთებსა და მდელოს,/ თან მიმაქვს სევდა და მოგონება.“ ასეთია ეს ორი პატრიოტული ლექსი, პირველი – პოეტურმისტერიული, მეორე – გონითზნეობრივად უშუალოდ განცდითი, გალაკტიონის განუმეორებელი პოეტური ინტუიციით თანაბრად აღბეჭდილი.

პატრიოტიზმი სეკულარიზებული თეიზმია თანახმად ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოეტური ფორმულის: „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“. იგულისხმება, რომ კულტურულ-ისტორიული არსება მამულისა, მისი ასეთად განმსაზღვრელი, ერია და ესა თუ ის ქვეყანა სწორედ ამ მისი მკვიდრი ერის შვილ ერისაგანთათვის ითქმის ამიტომაც მამულად: პატრიოტიზმი ტერიტორიულად ლოკალიზებული და რეალიზებული ნაციონალიზმია, შესაბამისად აზრებადი, ასე ვთქვათ, „ექსტერიტორიული“ თავისთავადი სახით, როგორც იგივე, გასაგებია, სეკულარიზებული თეიზმი. ერთი ღმერთი – ზეცად, მრავალი ერი, ვითარცა ღმრთის ხატი და მსგავსი „დიდი ადამიანი“, – ქვეყნად: ასე იაზრება იდეა სახელდობრ ერისა, პერსონალურად რომელიც „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია“ კიდევაც ჩვენ, კაცთათვის.

ხოლო, უშუალოდ განვაგრძობ ზემოთქმულს ცალკე აბზაცად, ტრაგიზმი, თავისი ქვეყნადვე საზეო ოპტიმიზმითურთ, სპეციფიკურად ნიშნეული ერისაგანთა ქვეყნიური ყოფნისთვის, იგულისხმება თვით ერის წიაღში, ვითარცა მის, როგორც „ქვეყნად ღვთის“, მაინცდამაინც ქვეყნიურ არსება შვილთა დრამა. ამით იმის თქმა მსურს, რომ გალაკტიონის პატრიოტულ პოეზიაში, მის ტრადიციულობაშივე, იაზრება ჩვენი პოეტის საკუთრივ „გალაკტიონურად“ პირობითად წოდებული მთელი შემოქმედება, თავისი სრული თავისებურებით.

მივუბრუნდეთ თვით ამ გონითსულიერ დრამას ერის შვილთა, მათს შესაბამის დროისგონისეულ სოფლგანცდას.

„შემოდგომა „უმანკო ჩასახვის“ მამათა სავანეში“ (1917): „ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს/ გადირეკს ნოემბრის ბაღები./ მხურვალე ვნებები გამივლის,/ სასახლის ჩაქრება ჭაღები.// დარჩება აუზთან სანდალი/ და ძველი ფოთლები, ყვითელი.../ რომანზე ისვენებს შანდალი,/ რომანში – შეშლილი სკვითელი.// ვეწვევი განდეგილ მამათა/ „უმანკო ჩასახვის“ სავანეს./ იქ შავი თოვლივით დამათოვს/ ჭვარტლი და ბურუსი თავანის.// სიმკაცრით შემხედავს საშვენი/ თვალები შეკრული კამარის:/ ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი/ არ არის, არ არის, არ არის!// დაჰქრიან უდაბნოს ქარები,/ მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!/ სამრეკლოს რეკავენ ზარები.../ წმინდაო, წმინდაო, მაცხოვარ!// გრიგალთა სადაურ შებერვას/ მოსდევენ ფოთლების შვავები.../ თებერვალს უხმობენ, თებერვალს,/ სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები!// და ვიცი ღელვაა საგანი,/ როდესაც ღამეა უკუნი/ და ჩემი მდუმარე საკანი/ და ცეცხლის მფარველი გუგუნი.// ერთგვარად მიიტანს ამ სახის/ ლოცვისთვის ზმანებამტკივანი:/ გაზელებს – მგოსანი სასახლის,/ ხელთათმანს – სასახლის მდივანი.“ ასე მთავრდება, საერო-სასულიერო („სასახლე“-„სავანე“) სოფლგანცდის ამ ნაღვლიანი ირონიული ტონალობით, ეს ლექსი.

„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ (1917): „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,/ მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა./ მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა!// ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,/ უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!/ გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო/ შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.// ოჰ, როგორ გაფითრდა ციურთა თანადი/ ოცნება, ნახაზი საგან-

თა უარით,[1]/ ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი,/ რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ.//ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი/ და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის./ ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი/ ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!// ქარ-ვათა მორევში დაეშვა ფარდები –/ საღამო კანკალებს შიშით და რიდობით,/ საღამო ნელდება და კვდება ვარდები.../ მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!...". რაზეა ეს ლექსი? რაა მისი თემა, მი-სი იდეა? – უსაფუძვლო კითხვა, რომელსაც, ამიტომ, არც პასუხი აქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ესაა ღმრთაებრივი გან-ცდის ამამაღლებელი სევდა, რომელიც ეუფლება მკითხველს.

ახლა გავიხსენოთ „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში", რო-მელსაც ქრონოლოგიურად ხსენებულ ორ ლექსს შორის უკავია ადგილი. მისი თავისებურება ისაა, რომ რელიგიური კრიზისი, ნიშნეული გალაკტიონის მაშინდელი სოფლგანცდისთვის, ავტო-რის მიერ მასში ნათლადაა გამოხატული. ვიტყვი ერთხელაც, რომ, ვლაპარაკობ რა კრიზისზე, მხედველობაში მაქვს ჩვენი პოე-ტის პრინციპულად მყარი რელიგიური ცნობიერება, რომლის საზ-ღვრებშიც, მტკიცედ მოხაზულში ამჯერად წინამდებარე ლექსის ერთი და იმავე თავ-ბოლო სტროფით („დედაო ღვთისა, [...]"), დასტურდება კიდეც თვით ეს კრიზისი, თავისი მთელი დრამა-ტიზმით. „დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!/ როგორც ნაწვიმარ სი-ლაში ვარდი,/ ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია [პოეტურრელიგიუ-რი ინტუიცია, როგორც სიზმარეული ხილვა...]/ და შორეული ცის სილაჟვარდე.// შემოიღამებს მთის ნაპრალები,/ და თუ როგორმე ისევ გათენდა –/ ღამენათევი და ნამთვრალევი,/ დაღლილ ქალი-ვით მივალ ხატებთან!// ღამენათევი და ნამთვრალევი/ მე მივეყ-რდნობი სალოცავ კარებს,/ შემოიჭრება სიონში სხივი/ და თეთრ ოლარებს ააელვარებს.// და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი/ გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!/ შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის/ დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!// შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები,/ წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, –/ ღამენათე-ვი და ნამთვრალევი/ სავსეა ცრემლთა შურისძიებით!// დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?/ შენს მოლოდინში ასეა ყველა?/ სული, ვედრებით განაცები,/ შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპე-

[1] „ციურთა" ატრიბუტული („თანადი") „ოცნება", როგორც „საგანთა უარით" (საგნობრივობის უარყოფით) „ნახაზი" (მონახაზი) პოეტური ეიდოსი... სწორედ ამაზე ითქმის, პოეზია და ფილოსოფია ერთ ღმერთს უკმევენ გუნდრუკსო.

ლა.// სად არის ჩემთვის სამაგიერო?/ სამაგიერო სად არის სუ-ლი?/ ვით სამოთხიდან ალიგიერი,/ მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარუ-ლი!// და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე/ სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,/ განსასვენებელ ზიარებაზე/ ჩემთან [შენგან დავიწ-ყებულთან] არ მოვა შენი ხსენება.// დავიკრეფ ხელებს და გრიგა-ლივით გამაქანებენ სწრაფი ცხენები [ყრუ რემინისცენცია „ლუ-რჯა ცხენების“?]!/ ღამენათევი და ნამთვრალევი/ ჩემს სამარეში ჩავესვენები.// [და ყოველივე ამის ზე – მაინც:] დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!/ როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,/ ჩემი ცხოვრე-ბის გზა სიზმარია/ და შორეული ცის სილაჟვარდე!“.

1922 წელს გალაკტიონი ქმნის თავის სამნაწილიან შედევრს „ეს მშობლიური ქარია“. „[I] შავმა ნისლმა დანისლა/ მთები დაღეს-ტანისა./ აიმართნენ კოშკები/ ცისა და ნესტანისა./ გახსოვს? ტოტი ქარისა/ აქანებდა მთვარესა.../ „ნეტა ეხლა სადა ხარ/ და რომელსა მხარესა“./ მგლოვიარე ბინდებით/ იბურება ყვარელი,/ ვაზით და სიმინდებით/ მიდის გზა საყვარელი;/ ჩანს შორეულ ჩრდილების/ კი-დეებზე მონთება/ და ომგადახდილების/ ოხვრა მომაგონდება./ შავ-მა ნისლმა დანისლა/ მთები დაღესტანისა,/ ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა. [II] ეს მშობლიური ქარია,/ ეს სოფელია მძინარე./ არ ვიცი, რად მიხარია:/ ვაზი, ყანები, მდინარე./ დღემ ნისლი შემოიხ-ვია,/ გზაც სიარულმა დალია,/ ის – ძველისძველი ციხეა,/ იქ კიდევ წინანდალია./ წინანდალს ვაზი ამშვენებს,/ ახმეტას – ვაშლი წითე-ლი./ როგორ რთავს, როგორ აშენებს/ აკიდოების მკიდელი./ იქ ტყეა მთვარით ქსოვილი,/ ვით ლოენგრინეს სიზმარი,/ ლაჟვარდით გადათოვლილი/ და ვერცხლით ნათილისმარი. [III] შუქი გაიშალა,/ წყალი დაიფერა,/ სიო დაიბერა,/ ჩალა გაიჩალა./ სიზმარს აბარია/ ველი შენაფერი.../ ეხლა ყველაფერი/ ოქროს ზღაპარია./ არც ხმა, არც ჩურჩული,/ ბინა – მინაგნები,/ თვალებდალურჯული/ თრთიან იალქნები./ ძილი მეგონება:/ უცებ ქაოსიდან/ მთვარემ ამოზიდა/ ლურჯი მოგონება.“ ეს ლექსი მე მეაზრება, როგორც ყოფნის პოე-ზია, მაცხადებელი მისი მშვენიერების. აქ თითქოს იგულისხმება ყოფნის, როგორც ასეთის, უმაღლესი ინსტანცია, ერთიანად მომ-

შენიშვნები

რა გვჭირს და რა გვჭირდება – პირველად დაიბეჭდა ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალში „ევერია“, თბილისი – ბრიუსელი, 1993 წელი.

Выступление перед СБСЕ (Совещание по безопасности и сотрудничеству в Европе), 1994 წლის აგვისტო, ტექსტი იბეჭდება პირველად, ქართული თარგმანი შესრულებულია მზია კეკელიძის მიერ.

ამ გამოსვლის შემდეგ ეუთოს წარმომადგენლებსა და მიხეილ ნანეიშვილს შორის გაიმართა ცალკე, ასე ვთქვათ, კონფიდენციალური შეხვედრა, რომლის დეტალებზე, ცხადია, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ; იმასკი აღვნიშნავთ, რომ იმ ეტაპზე რუსეთის იმპერიული ჩანაფიქრისამებრ შექმნილი სიტყვათშეთანხმების, – „სამხრეთი ოსეთი“, აღდგენაზე დისკუსიები შეწყდა. 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებამ ტერმინი კვლავ გააცოცხლა და პოლიტიკური სტატუსიც შესძინა მას. 2007 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტის (თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე) გადაწყვეტილებით შეიქმნა ამ სახელწოდების ახალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული, რაც, პრაქტიკულად, მოასწავებდა რეანიმაციას 1922 წელს შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით იყო გაუქმებული. 2007 წლის 10 მაისს პრეზიდენტის (მ. სააკაშვილი) ბრძანებით შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია“.

ქართველი ინტელიგენცია: რას წარმოადგენს იგი დღეს? – დაიბეჭდა გაზეთში „შანსი“, №15, ივნისი; №16, ივნისი; №20, აგვისტო, 1995 წელი.

არასაიმედო იმედი – ხელნაწერს თარიღად 1996 წლის 17 აპრილი - 5 მაისი უზის. გამოქვეყნდა გაზეთში „ახალი თაობა“, №91, 9 ივლისი; №92, 10 ივლისი; №93, 11 ივლისი; №94, 12 ივლისი; №95, 15 ივლისი, №96, 16 ივლისი. ხელმოწერილია: მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე.

ერთი ძალად „საჭირბოროტო“ საკითხის გამო – წერილი დათარიღებულია 2001 წლის 2 იანვრით; პირველად დაიბეჭდა კრებულში, – „გვინდა თუ არა პრეზიდენტი შევარდნაძის შემდეგ?“, თბ., 2001; მეორედ – გაზეთში „დილის გაზეთი“, 4 ოქტომბერი, 2001, ლიბერალიზმის ინსტიტუტი/ამერიკა-საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭო-ს ეგიდით.

საგაზეთო პუბლიკაციას ახლავს მინაწერი: „ეს წერილი ადრე დაიბეჭდა ერთ კრებულში, რომელიც პრეზიდენციალიზმისა და პარლამენტარიზმის პრობლემისადმი იყო მიძღვნილი. მიზანშეწონილად მივიჩნი-

ეთ მისი ხელმეორედ გამოქვეყნება გაზეთის ფურცლებზე ფართო მკითხველისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ წერილის პირველი პუბლიკაცია მოხდა მანამდე, სანამ პრეზიდენტი შემოვიდოდა პარლამენტში ინიციატივით, პრემიერ მინისტრის თანამდებობისა და, ეგრეთ წოდებული, მინისტრთა კაბინეტის შექმნის თაობაზე. რა მოჰყვა ამ ფრიად მოკრძალებულ, მეტი რომ არ ვთქვათ, კომპრომისს პარლამენტარიზმის სასარგებლოდ, ყველამ, ვინც თვალს ვადევნებთ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, უკვე ვიცით. მის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველს არ უნდა მოეჩვენოს გადაჭარბებულად, „ქართული პარლამენტარიზმის“ ის სურათი, რომელიც ამ წერილშია წარმოდგენილი.“

საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა? – ხელნაწერი თარიღდება 2004 წლის 28 ივლისით. გამოქვეყნდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის შრომების კრებულში – „საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული“, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2005.

პოლიტიკაზე – პოლიტიკის გაღმიდან – ხელნაწერს თარიღად უზის 2009 წლის 27 მარტი, გამოიცა ბროშურად 2009 წელს.

ერი და სახელმწიფო (ზოგიერთი შენიშვნა) – ხელნაწერს არ უზის თარიღი, იბეჭდება პირველად.

პუბლიცისტიკა

გაზეთი „ერი და თავისუფლება“ – ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მესიტყვე – სტატია სარედაქციო წერილის სახით დაიბეჭდა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის გაზეთში – „ერი და თავისუფლება”, ივნისი, 1990.

24 ივნისის გამო – ხელნაწერის თარიღია 10 ივლისი 1992 წ., გამოქვეყნდა გაზეთში „მამული“, 1992 წლის ივლისში (№№12,13), ხელმოწერით: მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს წევრი. წერილს ახლავს სარედაქციო მინაწერი: „ბ-ონ მიხეილ ნანეიშვილის წერილის პირველი ნაწილის დაბოლოება ტექნიკური წუნით დაიბეჭდა. იგი ასე უნდა მთავრდებოდეს – „ამ წერილს: გილოცავთ და გისამძიმრებთ!“ წიგნში ეს ხარვეზი, ცხადია, გათვალისწინებულია.

ზოგიერთი რამ (ერთი დოკუმენტის გამო) – წერილს თარიღად უზის 1992 წლის 5 აგვისტო, გამოქვეყნდა გაზეთში „მამული“, № 14, აგვისტო, 1992 წელი. ფრაზაში „ჩემს ამასწინდელ წერილში“ იგულის-

ხმება ამავე გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილი „24 ივნისის გამო“.

მცირე შენიშვნა (ეროვნული და პარტიული ინტერესების შესახებ) – დაიბეჭდა გაზეთში „მამული“, № 16, სექტემბერი, 1992 წელი, ხელმოწერით: მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

გამარჯვებას იმსახურებს მხოლოდ ის, ვინც მზადაა ბოლომდე იბრძოლოს – წერილი 19 სექტემბრის სატელევიზიო გამოსვლის საგაზეთო ვარიანტია, დაიბეჭდა გაზეთში „მამული“, სექტემბერი, №31, 1993.

პარლამენტის სპიკერის „პირადი“ აზრის გამო – სათაური პირობითია, რედაქციის შერჩეული, წერილი წარმოადგენს 1993 წლის 20 სექტემბრის სატელევიზიო გამოსვლის ტექსტს.

ისტორიული სირცხვილის გრძნობა საკუთარი ნამოქმედარის გამო (საქართველოს „სნგ“-ში გაწევრიანების მიზანშეწონილობის გამო) – დაწერილია 14 ოქტომბერს, 1993 წ.; დაიბეჭდა გაზეთში „ივერია ექსპრესი“, 5 ნოემბერი, № 161, 1993 წ., სათაურით „დამოუკიდებელ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხისათვის... დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“, რომელსაც ახლავს ავტორის მინაწერი: „წინამდებარე წერილი წარმოადგენს გაფართოებულ და შესწორებულ ტექსტს ა.წ. 18 ოქტომბერს გაზეთ „ქართული ფილმისა“-თვის ჩემ მიერ მიცემული ინტერვიუსი, რომელიც ამ გაზეთმა, არ ვიცი, რა მოსაზრებით, აღარ დაბეჭდა. ცვლილებები, შეტანილი თვითონ ინტერვიუს ტექსტში, მისთვის წერილის სახის მისაცემად, წმინდა სტილურ-ფორმალური ხასიათისაა. მ.ნ.“.

ვიყოთ პოლიტიკურად სულგრძელნი! – 26 მაისს, ზურაბ ავალიშვილის სამშობლოში გადმოსვენებისას წარმოთქმული სიტყვა, დაიბეჭდა გაზეთში „მამული“, №19, ივნისი, 1993 წელი, ხელმოწერით, მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „ლიბერალების“ თავმჯდომარე.

სიტყვა – პარლამენტში წარმოსათქმელი და წარმოუთქმელი – დაიბეჭდა გაზეთში „კავკასიონი“, 22 ივნისი, 1994.

ბოროტების იმპერია და საქართველოს სატელიტური „ამბიციები“ – წერილი ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის განცხადების სახით დაიბეჭდა გაზეთში „კავკასიონი“, №63, 1995 წლის 5 აპრილს, ხოლო იმავე წლის ივნისში გაზეთში – „ახალგაზრდა ივერიელი“. გაზეთ „კავკასიონი“-ს ტექსტს ახლავს სარედაქციო მინაწერი: „არც თუ დიდი ხნის წინ საზოგადოების დიდი ინტერესი და შეშფოთება გამოიწვია რუსეთ-საქართველოს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების დაკანონების თაობაზე. ამ თემას ჩვენ რამდენიმე პუბლიკაცია მივუძღვენით. გთავაზობთ სარედაქციო

პორთველში შემორჩენილ საქართველოს პარლამენტის წევრის, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარის, ბ-ნ მიხეილ ნანეიშვილის საპარლამენტო გამოსვლის ტექსტს.

დღესაც არ დაუკარგავს ამ თემას აქტუალობა. ალბათ, პირიქითაც, უახლოეს მომავალში ის დიდ თავსატეხს გაუჩენს ყველას – ხელისუფლების მომხრეებსაც და ოპოზიციასაც“.

ჩვენ 26 მაისის საქართველოს შვილები ვართ – დაიბეჭდა გაზეთში „მსგეფსი“, № 38, 25 ივნისი, 1996 წელი, წერილს ახლავს მინაწერი: „შემოკლებული ვარიანტი ამ სიტყვისა, რომლის ტექსტიც რედაქციამ გვიან მიიღო, წაკითხულ იქნა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის სახელით პარტიის საბჭოს წევრ მ. გობეჩიას მიერ მერაბ კოსტავას სახლთან გამართულ მიტინგზე ა.წ. 26 მაისს. ამჯერად ეს სიტყვა იბეჭდება სრული სახით“.

დღევანდელ საქართველოში კანონს არავინ იცავს – დაიბეჭდა გაზეთში „დილის გაზეთი“, 6 აგვისტო, 1996 წელი, №134, ხელმოწერილია: მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე.

ომი რუსეთთან წავაგეთ – დაიბეჭდა გაზეთში „ახალგაზრდა ივერიელი“, 22-28 აგვისტო, 1996 წელი, ხელმოწერით – მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ- დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე.

მამას ეპატიება – დაიბეჭდა გაზეთში „დილის გაზეთი“, № 196, 5 ნოემბერი, 1996 წელი, ხელმოწერილი: მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე.

მცირე შენიშვნა კორუფციაზე – დაწერილია 30.10.2001, დაიბეჭდა გაზეთში „დილის გაზეთი“, 1 ნოემბერი, 2001, ლიბერალიზმის ინსტიტუტი/ამერიკა-საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭო-ს ეგიდით; გაზეთში პირველი-ორი აბზაცი ხაზგასმითაა აწყობილი.

„გარეშე სატანა“ და მისი მეხუთე კოლონა: „შინაური იდიოტები“ – ხელნაწერს თარიღად უზის 2001 წლის 10 ნოემბერი, იბეჭდება პირველად.

რაა ეს: უმეცრება, უჭკუობა თუ შეგნებული პროვოკაცია? – იბეჭდება პირველად.

წერილები ლიტერატურაზე

ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობის შესახებ – დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, № 4, 1987 (პირველი ნაწილი), № 2, 1989 (მეორე ნაწილი).

ნიკოლოზ ბარათაშვილი – ხელნაწერს თარიღად უზის 2016 წლის 9 აპრილი, იბეჭდება პირველად.

აკაკი წერეთელი ანუ კულტურნაციონალიზმი, როგორც პოეზიის დედაიდეა – დათარიღებულია 2015 წლის 1 სექტემბრით; იბეჭდება პირველად.

ალექსანდრე ყაზბეგი ანუ „კალამი, ნაწები სისხლის გუბეში“ – ხელნაწერის თარიღია 10.02.2017 წელი, იბეჭდება პირველად.

გალაკტიონ ტაბიძე – იწერებოდა 2018 წელს; სამწუხაროდ, მისი დასრულება ავტორმა ვერ შეძლო.

შინაარსი

წინათქმა 5

პოლიტიკა და საზოგადოება

რა გვჭირს და რა გვჭირდება 18
Выступление перед СБСЕ (Совещание по безопасности и сотрудничеству в Европе) 29
ქართველი ინტელიგენცია: რას წარმოადგენს იგი დღეს 42
არასაიმედო იმედი 65
ერთი ძალად „საჭირბოროტო“ საკითხის გამო 126
საქართველოს ფედერალიზაცია: ეროვნული თვითმკვლელობა? ... 138
პოლიტიკაზე – პოლიტიკის გაღმიდან 156
ერი და სახელმწიფო 188

პუბლიცისტიკა

გაზეთი „ერი და თავისუფლება“ – ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მესიტყვე 198
24 ივნისის გამო 206
ზოგიერთი რამ (ერთი დოკუმენტის გამო) 219
მცირე შენიშვნა 226
გამარჯვებას იმსახურებს მხოლოდ ის, ვინც მზადაა ბოლომდე იბრძოლოს 232
პარლამენტის სპიკერის „პირადი“ აზრის გამო 236
ისტორიული სირცხვილის გრძნობა საკუთარი ნამოქმედარის გამო 238
ვიყოთ პოლიტიკურად სულგრძელნი! 250
სიტყვა – პარლამენტში წარმოსათქმელი და წარმოუთქმელი 254
ბოროტების იმპერია და საქართველოს სატელიტური „ამბიციები“ 258
ჩვენ 26 მაისის საქართველოს შვილები ვართ 265
დღევანდელ საქართველოში კანონს არავინ იცავს 269
ომი რუსეთთან წავაგეთ 273
მამას ეპატიება 276
მცირე შენიშვნა კორუფციაზე 282
„გარეშე სატანა“ და მისი მეხუთე კოლონა: „შინაური იდიოტები“..... 286
რაა ეს: უმეცრება, უჭკუობა თუ შეგნებული პროვოკაცია? 296

წერილები ლიტერატურაზე

ილია ჭავჭავაძის სააზროვნო საგნის რაობისათვის 300
ნიკოლოზ ბარათაშვილი 337
აკაკი წერეთელი ანუ კულტურნაციონალიზმი, როგორც
პოეზიის დედაიდეა 384
ალექსანდრე ყაზბეგი ანუ „კალამი, ნაწები სისხლის გუბეში“ 422
გალაკტიონ ტაბიძე 453

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

„... ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე კრიტიკული მომენტი, როდესაც ისტორიის ფარული ძალები ამოხეთქავენ და ცხოვრების ზედაპირზე, როგორც ეს ხდება ხოლმე მიწისძვრის დროს, ღრმა ნაპრალები ჩნდება, წარმოიქმნება თავისებური „ისტორიული კრატერები“, საიდანაც ამოედინებიან ისეთი „მეტაფიზიკური ვითარებანი“, რომლებიც სხვა შემთხვევაში რეალური ცხოვრებისაგან განყენებული „ფილოსოფიური სპეკულაციის“ საგნად მიიჩნეოდნენ. და მაშინ, არა მარტო ფილოსოფოსები, არამედ პოლიტიკოსებიც იძულებულნი არიან, იმავე რეალური ცხოვრების ასეთი „მეტაფიზიკური რეალობის“ კარნახით, ჩაიხედონ ამ „გულდახსნილი“ ცხოვრების სიღრმეში, მის, ასე ვთქვათ, „მეტაფიზიკურ საიქიო“-ში, რათა **იქედან ამოიკითხონ** „საიქაოს“ დატრიალებული ამბების ჭეშმარიტი აზრი, – აზრი ცხოვრების ასეთი „გარდატეხისა“; მაშინ იწყებენ პოლიტიკოსები ერის ისტორიისა და კულტურის თავიდან გააზრებას და ამ უდიდესი გონებრივი ძალისხმევის შედეგად იმუშავებენ იმ პოლიტიკას, რომელიც საფუძვლად ედება ახალ ეპოქას ქვეყნის ცხოვრებაში...“.

ISBN 978-9941-33-778-9